

114
1961/3

114
1961/3

2620000



114/2

11¹

1 9 6 1

გნათობი



სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური პარტიის ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური შუროსი

წელიწადი 38-ე

№ 11

ნოემბერი, 1961 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

8466

შ ი ნ ა კ რ ს ი

ირაკლი აბაშიძე — ხმა კატაშონთან. ლექსი	3
ედუარდ უიფიანი — ოქროსფერი ანაფორები. მოთხრობა	5
კარლო კალაძე — ჩემო სიცოცხლე, ჩემო იმედო... ლექსი	14
გიორგი კალანდიაძე — შენს მოლოდინში. ლექსი	16
გიორგი ლეონიძე — ამბავი ესტატე ლაფაჩისა. მოთხრობა	17
აკაკი გეწაძე — ნათესურები. ლექსი	34
შოთა ნიშნიანიძე — გზები. ლექსი	35
ელიზბარ ზედგინიძე — გაზაფხული დაიწყო აღრე... რომანი. ვაგრაჟლება	36
სიმონ წვერავა — ქორწილი ყანაში. მოთხრობა	57
სტეფან ზორიანი — ვაშლის ბაღი. მოთხრობა. დასასრული. თარგმანი კონსტანტინე გამსახურდიასი	76

წარსულიდან

დავით ქილაჯიშვილი — ოქტომბრის დღეები თავრიდის სასახლეში	95
---	----

შვიდწლიანი მოწინავენი

დავით სულაბერიძე — დიდ გზაზე	98
სერგო გონჯილაშვილი — ისტორიულ-ყრილობის მონაწილე	102

(იხ. მეორე გვ.)



გიორგი ტალიაშვილი — ლომონოსოვი და ქართული ფილოსოფიურ-მეცნიერული
 აზროვნება 106/
 გრ. წარდაღიშვილი — პირველი უნივერსიტეტი 118



კრიტიკა და კუბლიცისტიკა

გ. ფირცხალავა — კომუნიზმის მშენებელთა ყრილობა	123
სერგი ჭილაია — ლირიკული პროზის ოსტატი	116
ვლადიმერ ზამბახიძე — მწერლის პირველი რომანი	115
მამია დუდუჩავა — ესთეტიკურის შესახებ	116
მ. რატიანი — თერგდალეულთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების კლასობრივი ბუნების გაგებისათვის, გაგრძელება	166
ალ. ბარამიძე — წერილი რედაქციას. „ქილია და დამანას“ ახალი გამოცემის გამო	180

წიგნების მიმოხილვა

სოლომონ ხუციშვილი — ნარკვევები ამიერკავკასიის ზღვითა ლიტერატურაზე	182
გ. მესხიშვილი — ბაგრატ შინკუბას ლექსების კრებული	183
ილია მახარაძე — ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის	187
თეიმურაზ ჩიქოვანი — ნაშრომი მეფეტურების წარმოშობა-განვითარების შესახებ	189
ახალი წიგნები	192

რედაქტორი: გრიგოლ აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

- დ. ბენაშვილი, თ. ბუაჩიძე, დ. გამეწარდაშვილი, გ. მარგველაშვილი,
 ე. მაღრაძე (პ/მგ. მდივანი), ბ. ჟღენტი, ა. ქუთათელი, ს. შანშიაშვილი.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ., № 63. ტელეფონი 7-13-42; 7-11-66.

ბეჭდოვნა დასაბეჭდად 30/X 11-61 წ. ქალაქის ზომა 70×108. ანაწილის ზომა 7 1/4×12 1/2.
 ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 12. პირობით ფორმათა რაოდენობა 16. უე 02404.
 ტირაჟი 5.600. შეკვეთა № 1673.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მთავარპოლიგრაფიკამოწყობის
 ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, შარჭანიშვილის ქ. № 5.

ირაკლი აბაშიძე
სმა კატამონთან

ისევ „რუსთაველის ნაკვალევზე“

„— ო, ენავ ჩემო,
დედაო ენავ,
შენ, ჩვენო ნიჭო,
სრბოლავ და ფრენავ,
შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამოვ,
შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
შენ, ერთი შემრჩი სამარის პირთან.

ნათესავს ათასს,
მეგობარს ათასს,
მრუდსა და მართალს,
მტერთა და ძმათა
დაეშორდი.
მორჩა.

ყველა მოთავდა;
მშვიდობა ვუთხარ ყველა მოკვდავთა,
მხოლოდ შენ — უკვდავს,
მხოლოდ შენ — მარადს,
შენ — ერთს,
შენ ვერ გომობ
სამარის კარად.

თუ რამ მზე მწამდა,
თუ რამ მზე მწვევდა,
უტკბილეს დღეთა,
უტკბილეს წამთა,
უტკბესი შენ ხარ, ენავ დედაო,
შენ, მწარე ლხინო,
ტკბილო სევდაო,
შენ, ყოვლის მთქმელო,
ყოვლის არმთქმელო,
შენ, გმირთა-გმირო, ბრძენო ქართველო,
წარსულის ძეგლო, წინ ვამხედავო.



ქვესკნელში მძრომო,
 ცაში მჭვრეტელო,
 ხან ფუნჯო ჩემო, ხან, საჭრეთელო,
 შენ, აკვნის პიმნო,
 ცრემლო სამარის...
 იბერის ენავ,
 ენავ თამარის...
 შენ, ნიჭო ჩემო,
 სრბოლავ და ფრენავ,
 დედაო ენავ, დედაო ენავ!

დაეცეს იქნებ სიმაგრე ყველა,
 მოისრას იქნებ ყველა ყმა ველად,
 დაედოს მტვერი ყველა დიდ ხსოვნას,
 დააკედეს აზრი ნაპოვნის პოვნას,
 ყოველ ნერგს იქნებ დაატყდეს მებნი,
 ყოველ ძეგლს იქნებ დაედგას ფეხი.
 მხოლოდ შენ, უჭკნობს,
 შენ, ხატად ქცეულს,
 რა დრო, რა დასცემს
 შენს უკვდავ სხეულს.

ო, ენავ ჩემო,
 დედაო ენავ,
 შენ, ჩემო ნიჭო,
 სრბოლავ და ფრენავ,
 შენ, ჩვენი სუნთქვის დიდო ალამო,
 შენ, ჭირთა ჩვენთა ტკბილო მალამოვ,
 შენ, კირო ჩვენთა ქვათა და კირთა,
 შენ — ერთს,
 შენ ვერ გთმობ
 სამარის პირთან“.

პირობა ყოველი

ოქროსფერი ანაფორები

რედაქტორი გაზეთის მაკეტს ათვალთ-ერებდა. მკრთალი ყავისფერი ცხვირსახოცი ხელიდან ხელში გადაჰქონდა და ამოდ ცდილობდა ოფლით დანამული კისრის შეშრობას. შევეული ღერძის გარშემო მოტრიალე ნაცრისფერი ვენტილატორი ყოველ ათ წამში აკითხავდა მაგიდას, საამოდ ამრიალებდა გაზეთის ფურცლებს, ჰფანტავდა მაგიდაზე დაცვენით თამბაქოს ფერფლს და ახლა სხვა მხარეს ვზავნიდა ხელოვნურ ნიავს. კაბინეტის ორი კედელი მინისა იყო და ორივეს მუქი ნაცრისფერი ტილოს ფარდა ფარავდა. ამ ფარდებს იქით იწვოდა ქალაქი. ზაფხულის აღმური კარგად მორგებული კბილანებივით ჩანჯდარიყო თბილისის ქუჩებში და თითქოს ქვევზე ღრქიალი გაჰქონდა.

რედაქტორი მარტო არ იყო კაბინეტში. ტილოს ფარდების შესაყართან, ყვითელ სავარძელში იჯდა ახალგაზრდა კაცი, მას ეცვა ძვირფასი ყავისფერი შარვალი და უიმედოდ დაჰმუქუნელი პიკეს ყავისფერივე პერანგი. თავი მალა აეწია და, ალბათ, უხერხულობისაგან, კედლებს ათვალთერებდა. იგი სულ ახლახან შემოვიდა კაბინეტში, კაბი მიხურა და მხოლოდ ამის შემდეგ იკითხა, თუ შეიძლებაო, თან მრავლისმეტყველად გაიღიმა. რედაქტორს ეუხერხულა მისი გარეთ გაბრუნება და უსიტყვოდ სკამისკენ გაუშვირა ხელი, დაბრძანდით, დამიცადეთო.

და აი, ახლა, რედაქტორი კითხულობს გაზეთის მაკეტს და თვალწინ უდგას ის უცნაური ღიმილი, რომელიც აშკარად გულისხმობდა ასეთსავე საპასუხო შე-

გებებას. ხშირხშირად აპარებს მზერას ახალგაზრდისაკენ, მაგრამ ვერ გაუხსენებია, ვინ უნდა იყოს, ან საიდან უნდა იცნობდეს მას. რედაქტორს საშინლად ენამუშება რომ ამ უძრავ, შედედებულ სიცხეში ახალგაზრდა თბილმადგადაფარებულ სავარძელში ჩაფლულა, ჰგონია, იმიტომ სცხელა თვითონაც, და ყოველწუთს იმედით ელოდება, როგორ წამოხტება ის ახალგაზრდა სავარძლიდან და ხის სკამზე გადაჯდება. მაგრამ სტუმარი ჯიუტად მიკვრია სავარძელს, თითქოს გაყინულიყოს და ვასალხობ ადგილისათვის მიეგნოს.

რედაქტორი მუშაობას განაგრძობდა. მაგიდაზე იღო ფერადი ფანქრებით სავსე პლასტმასის შავი ვაზა. ფანქრის წვერები კოკორგაუშლელი ყვავილებით იწყიტებოდნენ ვაზიდან.

რედაქტორი წითელ ფანქარს წასწვდა და მეოთხე გვერდის მაკეტს დიდი, დაბრეცილი ჯვარი გადაუსვა. შემდეგ ზარი დარეკა. კაბინეტში შემოვიდა გაზეთის პასუხისმგებელი მდივანი, დალილობისა თუ უძილობისაგან ვაფითრებულყოფი, ჩავარდნილი თვალების გარშემო წრიულ ტალღებად ერთმანეთს დასდევნებოდნენ ნაოჭები. ახალგაზრდამ ოდნავ წამოიწია, თავი დაუკრა შემოსულს და მერე ისევ ჩაეკრა სავარძელს ყავისფერ ლაქად.

— ეს გვერდი ხელახლა უნდა შეიკრას! — თქვა რედაქტორმა.

— ახალია რამე? — უგერგილოდ, გზეპირებულოვით იკითხა მდივანმა და მიგიდას დაეყრდნო ხელისგულეპით.

— პო... მასალა ხიროსიმაზე, თხუთ-
მეტი წლისთავი სრულდება...

მდივანი წუთით დაიბნა, ვერაფრით
დაუკავშირა ერთმანეთს „ხიროსიმა“ და
„წლისთავი“.

— აა... პო... ხიროსიმას დაბომბვა, —
მიხვდა ბოლოს, — რამდენი გვერდია?

— სარდაფი გამოვა.

პასუხისმგებელმა მდივანმა ხელში
მოსინჯა ტექსტი. მერე უკანასკნელ
გვერდს დახედა.

— არ ჩაეტევა სარდაფში, — თქვა
მან.

— უნდა ჩაეტოთ!

— თუ არ შეამოკლეთ, არ ჩაეტევა,
ბატონო ლეო!.. ანდა, „დადგენილება“
გადასდეთ ხელისთვის.

— ოუჰ, ეგ რა მითხარი, მერე შენ
გადურჩები სახანძრო სამმართველოს?
ამ გაგანია სიცხეში ბატიბუტივით
სკდება სახლები.

— მაშინ შეამოკლეთ!

— ჯანდაბას, შევამოკლებ, — წამოი-
ძახა ლეომ, — ოღონდ ჯერ სტამბაში
გაგზავნე, ვნახოთ აწყობილი რამდენი
გამოვა.

— კი, ბატონო! — თქვა პასუხისმგე-
ბელმა მდივანმა და ტექსტის წაღება
დააპირა.

— ახლაც გამოგიგზავნი! — ხელი
დაფარა რედაქტორმა.

პასუხისმგებელი მდივანი გავიდა,
ლეომ ცალი თვლით გახედა ყვითელ
საგარძელს.

— ცოტახნით კიდევ უნდა მაცალოთ!
ახლაგზარდამ ვაილიმა და თანხმობის
ნიშნად თეი დაიჭნია, რა თქმა უნდაო.

რედაქტორმა ახლოს მოიწია მანქა-
ნაზე გადაბეჭდილი ტექსტი და კითხვა
დაიწყო. მას თანდათან ახსენდებოდა
სხვადასხვა დროს წაკითხული ბროშუ-
რები ატომური ყუმბარისა და ხიროსი-
მას დაბომბვის შესახებ. წერილის ავ-
ტორს გულუხვად ესარგებლა ლიტერა-
ტურით, მაგრამ თავისი წვლილიც შე-
ეტანა. — მეტად მძაფრად და გამკიცხა-
ვად წერდა.

და ლეოს ერთხელ კიდევ თვალწინ

დაუდგა ბაბუაწვერასავით გამჭრალი ქ-
ლაქი, ასფალტისა და ბეტონის რიყე, გე-
დელზე ლანდად მიორთქლილი ზარღა-
ცემული ადამიანის გამარსახულება და
თერთმეტი წლის გოგონას ქანდაკება
დღევანდელი ხიროსიმას მოედან-
ზე.

წერილში ყველაფერი ნაცნობი იყო
რედაქტორისათვის, გარდა ერთისა; მას
არასოდეს გაეგონა, რომ თვითმფრინა-
ვის პილოტი, რომელმაც ატომური ყუმ-
ბარა ესროლა ასი ათას ადამიანს, თურმე
ბერად შემდგარიყო ცოდვების მოსანა-
ნიებლად.

უცნაურად ჩაეღიმა რედაქტორს, მის
სახეზე სტრიქონებივით ჩამწკრივდა
ელდა, განცვიფრება, ტკივილი და, ბო-
ლოს, ტუჩებთან დამცინავი ნიშნისმო-
გება.

„ჰმ, ცოდვების მოსანანიებლად...
რამხელა ღმერთი უნდა ჰყავდეს იმ
ბერს“..

ლეო ფიქრებს გაედევნა, თვალები
დახუჭა და ხელისგულებით წაისრისა.
სადღაც, უძირო სიბნელიდან წამოცვი-
დნენ ფერადი წერტილები და თითო
წერტილს თითო ფიქრი აედევნა. კვამლს
გამოყოლილი ნაპერწკლებივით ჭრებო-
დნენ და ჩნდებოდნენ ფიქრები. ბოლოს
ყველაფერი გაქრა, დაიწმინდა-დაილუქა
და მხოლოდ ერთი სურათი ამოტივტივ-
და გონებაში, ამოტივტივდა და გაშეშ-
და. ეს სურათი იყო ცხელი, ხელს ვერ
დააკარებდი... შუაში აღმართულიყო გა-
ბელატებული მთა თეთრ-ყვითელი ფე-
რისა, ამ მთის მწვერვალზე იდგა მონას-
ტერი და მისკენ მიმავალ თეთრ-ყვითელ
ბილიყს მიჰყვებოდა წელში ორად მოხ-
რილი ბერი... ბერს ეცვა ოქროსფერი
ანაფორა, მღვრიე წითელი ლაქებით და-
წინწყლული...

„სად არის იმხელა ღმერთი“... —
კვლავ გაიფიქრა ლეომ.

ასანთის უსიამოვნო ჩკახუნი გაისმა.
ლეო შეკრთა, აიხედა, კი არ დაინახა,
გაიგონა, რა ფეთებ-ფეთებით აბრიალდა
ალი, ქვეყნად ყველაზე პატარა ალი.

— შეიძლება მოწევა? — ისევ გაიღი-

მა ახალგაზრდამ და სიტყვას თამბაქოს მკრთალი კვამლი გამოაყოლა.

— მოსწიეთ (ეს ყოველთვის მერე თხოულობს ნებართვას).

— ბოდიში, შეგაწუხებ!

— არაფრის... მე ამ წუთში შემოვალ!

რედაქტორმა ახალწაკითხული მასალა აიღო და გავიდა. როცა დაბრუნდა, ახალგაზრდა ფეხზე დახვდა, ფარდა გაეწია და მესხეთე სართულის სიმაღლიდან ჩიხში მდგარ მანქანებს დაპყურებდა, ხელები ზურგსუკან შემოეწყო და გასაღებთა აკილოს აკრიალოსნებდა.

— გისმენთ! — თქვა ლეომ და ვენტილატორი გამორთო. თითქოს გაიბრძოლა, რეზინის ფრთები ააფართხუნა ვენტილატორმა, ძალა გამოეცალა და მკვლარი ჩიტივით გაინება.

ახალგაზრდა სწრაფად მოტრიალდა, გაღიმებული და ხელაწვდილი გამოემართა მაგიდისაკენ.

— გამარჯობათ, ბატონო ლეო!.. არ გახსენდებით? — ოდნავი სიწითლე შეერია მის ლოყებს.

— ეე... სახე კი მახსოვს, მაგრამ... — უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა რედაქტორი.

— თქვენ ერთხელ მანქანით ჩამოგიყვანეთ კოჯრიდან... უშანგი მქვია...

— აა... ჰოო...

— დამდებოდა და თბილისში მოიჩქაროდით...

— აა... ჰოო...

— სახლამდე მიგიყვანეთ... ახლაც იქ ცხოვრობთ?

— დიახ, დიახ... იქ ვცხოვრობ! (რატომ ვიქნებოდი კოჯორში?).

— მოგაგონდით?

— რა თქმა უნდა... დაბრძანდით!

— მე მანამდე გიცნობდით! — უშანგიმ ყვითელი ვენური სკამი მოიწია მაგიდასთან.

— მანამდეც?

— დიახ, როცა სპორტულ გაზეთს რედაქტორობდით... მე რალაცეებს ვკლავნიდი და...

— გამახსენდა! — გაიღიმა ლეომ —

(მატარა მოთხრობები მოქონდა, შგონი, ერთხელ დაუბეჭდე კიდევაც).

— მე მაშინ სტუდენტი ვიყავი... თქვა უშანგიმ.

ლეო შეეყოვნა, ერთბაშად გადააიწყდა, რაზე ლაპარაკობდნენ.

— ჰო... სტუდენტი... ლიტერატურულზე სწავლობდით, არა?

— ეკონომიური დავამთავრე!

— ახლა სად მსახურობთ? (თქვას ბარემ, რაც უნდა).

— ვმსახურობ... — აღარ დამთავრა უშანგიმ.

— აბა, მოთხრობებისათვის აღარ გეცლებათ! — ნაძალადევად გაიღიმა რედაქტორმა.

— სადღა მაქვს დრო... ხუთი წელია მას შემდეგ... თუმცა...

— დიახ!

— თუმცა, ხანდახან მაინც ვწერ ხოლმე! — უშანგიმ რედაქტორს შეხედა, აღელდა. თვალეები ძირს დახარა და მაგიდას ფრჩხილით ფხაქნა დაუწყო.

„გასაგებია, — გაიფიქრა ლეომ. — მოთხრობას მოიტანდა. თუ ერთხელ რამე დაბეჭდეს, მერე მშვიდობით“.

— აბა, მაჩვენეთ! — და ლეომ ხელი გაუშვირა.

უშანგის არ გაჰკვირვებია — თითქოს უკვე უთხრა რედაქტორს, რომ მოთხრობა ჰქონდა მოტანილი. შარკლის უკანა ჯიბიდან ორად გაცეცილი თაბახის ფურცლები ამოიღო, ვაშალა, ხელისგული დაჰკირა და მაგიდის კიდეზე ჩააყურა — ჩააუთოვა, მერე შეაბრუნა და რედაქტორს მიაწოდა.

„უკვირგენო ჩემპიონი“, წაიკითხა ლეომ მოთხრობის სათაური, უკანასკნელ გვერდზე სწრაფად ჩაათვალიერა უკანასკნელი სტრიქონები და მოთხრობა გადალო.

— ზეგ გამოიარეთ და წაკითხულო შექნება.

უშანგიმ სკამიანად ადგილი მოინაცვლა, სანამ სიტყვას დასძრავდა, სანებე გამოეხატა მუღარა.

— ძალიან გთხოვთ, ახლა წაიკითხოთ, მე მინდა... მე... მე მინდა...

„რას ნერვიულობს? — გაიფიქრა ლეომ. — სად მოავიწყდა ახლა მოთხრობის დაწერა, ამ ხუთი წლის შემდეგ... იქნებ სამსახურიდან მოხსნეს?“

— მე... მე... ფული სულ არ მიინტერესებს, — უშანგის ხმა უკანალებდა, — მე მინდა მოთხრობა დაიბეჭდოს... მხოლოდ დაიბეჭდოს... გვარსაც არ მოვაწერ...

— (ეს ვინ ყოფილა!) თუ დაიბეჭდება, გვარსაც მოაწერთ და ფულსაც მიიღებთ (ეს ისეთია, არ მოგეშვება), ოღონდ მოთხრობა ვარგოდეს!

— აუცილებლად მოგეწონებათ! აი, ნახეთ!

ლეომ პაპიროსს მოუყიდა, მოთხრობა ახლოს მოიწია და ვენტილატორი ჩართო. ამრიალდა, აძაგძაგდა სქელი რეზინის ფრთები და ვენტილატორმა მესისიერება-დაკარგული კაცივით ხელახლა დაიწყო ოთახის თვალიერება.

„უგვირგვინო ჩემპიონის“ პირველ გვერდებზე აღწერილი იყო დიდი მოტოკროსი, დახატული იყო შეჯიბრების ადგილმდებარეობა, ოღრო-ჩოღრო გზები, ხელოვნური წინააღმდეგობანი, მაყურებლები, მათი ნაადრევი დასკვნები, საერთო მღელვარება და დაძაბულობა. შემდეგ მოთხრობაში ავტორს შემოჰყავდა მთავარი გმირი და მისი სპორტული მეტოქე, თავიდანვე იგრძნობოდა, რომ ამ ორთაგან ერთ-ერთს უნდა აეღო პირველი ადგილი. გამარჯვებულს ქვეყნის ნაკრებში შეიყვანდნენ და საზღვარგარეთ გაგზავნიდნენ საერთაშორისო შეჯიბრებაში მონაწილეობის მისაღებად („ესაა მთავარი“ — გაიფიქრა ლეომ). ვაყების მეტოქეობა კი თურმე ვასცილებოდა სპორტის საზღვრებს, რადგან საქმეში ქალი ერია. იგი ახლა მაყურებლებს შორის იდგა აღლვებულ და ხელში ყვავილების თაიგული ეჭირა.

ეს იყო გაცვეთილი სიუჟეტი, რომლის მსგავსი ლეოს ბევრი წაეკითხა. „რამ დააწერინა, რა არის აქ დასაწერი?“ ფიქრობდა ლეო, მაგრამ კითხვას მაინც განაგრძობდა.

...ასპარეზობის დასაწყისი, კონსტრუქტორთა წამოძახილები, რადიოდან, სპორტსმენთა ვანცდებები და დამსწრეთა შეძახილები, მზე და გზაზე ავარდნილი მტვერი, მოსახვევში გადაბრუნებული და აყირავებული მოტოციკლეტი...

„...და ჯუმბერი წინ გაიჭრა, მას კვალდაკვალ მიჰყვა შოთა...“

ფინიშამდე უკანასკნელი კილომეტრები და რჩენილი, ჯუმბერმაც უკანასკნელი ძალა მოიკრიბა, ჯამბახივით გადაიზნიჭა მოტოციკლეტიდან და ოსტატურად განვლო სახიფათო მოსახვევი. მიჰქრის, ტყვიასავით მიჰქრის ჯუმბერი, იგი პირველი უნდა მივიდეს ფინიშთან, აუცილებლად პირველი უნდა მივიდეს...

მაგრამ ეს რა არის?! სულ ორასიოდ მეტრის დაშორებით, მოსაფალტებულ გზაზე პატარა ბიჭუნა მიაქროლებს ფეხის საგორავს. პირქარი ქრის და ბიჭუნას, ალბათ, არ ესმის მოტოციკლეტის ხმაური. ჯუმბერი ანგარიშშიუცემლად წასწვდა მუხრუჭს, მოტოციკლეტმა სისწრაფეს უკლო. მაგრამ ეს წამიერი შენელება საბედისწერო აღმოჩნდა.

შოთას მოტოციკლეტმა დამცინავი ხარხარით ჩაუქროლა, თვით შოთამაც დამცინავი ღიმილი დაუტოვა მეტოქეს და... სწორედ ამ დროს მისი მოტოციკლეტის ძარამ გვერდი გაჰკრა ბიჭუნას.

დარტყმამ ჩიკორივით დაატრიალა ბავშვი, თითქოს ამ ტრიალმა შეუნარჩუნა წამით წონასწორობა, მერე მოსხლეტით დაენარცხა მიწას. შოთას მოტოციკლეტი თავდაღმართში ჩაიკარგა...

ჯუმბერი ელვისუსწრაფესად გაჩნდა ბავშვთან, ხელში აიტაცა. ბიჭუნას გონება წართმეოდა, გახეთქილი შუბლიდან სისხლი სდიოდა, მიღეულ ქანქარასავით ერხეოდა მელანში დათხვრილი ხელი. ერთი წუთიც აღარ უფიქრია ჯუმბერს, ბავშვი მოტოციკლეტის ძარაში ჩააწვიონა, მოტორი ააშუშავა და ვიწრო ქუჩისკენ დაქანდა. ცოტახნის შემდეგ უკანიდან მოესმა მოსუზე ჩაქროლილი მოტოციკლეტების ზუილ-რაზარაზი. ეს კროსის მონაწილეთა ჩამორჩენილი ჯგუფი იყო.

სულ სამი წუთი დასჭირდა, რომ ქა-

ლაქის ფართო ქუჩაზე გასულიყო. მილიციელები გაბმული სტვენით აცილებდნენ, მოსდევდნენ, ნომერს იწერდნენ, მაგრამ ჯუმბერტი აღარაფერს აქცევდა ყურადღებას. მთელი სახელო სისხლით მოსეროდა. ბავშვს წამით გადახედა, იგრძნო, რომ ცოცხალი იყო.

მოტოციკლეტი, თითქოს ფრთები მოისხაო, მოლანდებდასავით ეცხადებოდა ქუჩებს, მოედნებს და სხვა ქუჩებსა და მოედნებზე გადადიოდა. გამვლელები ჩერდებოდნენ და თავებს აქნევდნენ.

ჯუმბერს ეჩვენებოდა შოთა, რომელიც ფინიშთან პირველი მისულიყო და ბედნიერი და გაღიმებული, ახლა ყვეაილების თაიგულში იფლობოდა. „აღბათ, ვერ შეამჩნია, ბავშვი რომ გაიტანა, თორემ გააჩერებდა, — ფიქრობდა ჯუმბერტი, — აღბათ, ვერ შეამჩნია“... იგი თვალს არ აცილებდა სააუდიშოფოს თეთრ შენობას, რომელიც ღრუბელივით ახლოვდებოდა.

მიჰქროდა ჯუმბერტი, მიჰქროდა ყველაზე პირველი, ყველაზე სასურველ ფინიშისაკენ“.

რედაქტორმა კითხვა დაამთავრა, მაგრამ არ აგრძნობინა უშანგის, ისევ ისე გაუნძრევლად იჯდა და თავი ჩაერგო მოთხრობაში. ოღნავ, სულ ოღნავ აუძგერა გული წაკითხულმა ამბავმა, მაგრამ ესეც საკმარისი იყო... უნდოდა დიდხანს შეენარჩუნებინა ეს განცდა, თითქოს შიშობდა ხმისამოღებისთანავე არ გამქრალიყო. „ყველაფერს ვფიცავ, ამისგან არ მოველოდი, — ფიქრობდა ლეო, — ნამდვილად არ მოველოდი... კიდევ ბევრია სამუშაო, მაგრამ აქედან მოთხრობას გამოვაჩეკინებ“.

რედაქტორმა უშანგის ახედა. უშანგი დეღავდა, უღმობლად სრესდა პაპიროსის საფერფლეში.

— არაუშავს! — თქვა ლეომ და გაიღიმა, მაგრამ სიხარულის ნაცვლად უშანგის სახეზე რაღაც მოუშორებელი სევდა ამოიკითხა.

— მართლა მოგეწონათ? — ჩაიჩურჩულა უშანგი, თითქოს ეს-ეს არის დიდი იმედი გაუტრუსოს.

— წერილმანებია გასასწორებელი... რაღაც-რაღაცეები გამოგჩვენია!

— რა გამომჩენია? — შეკრთა უშანგი, მაგრამ ლეოს ეს არ შეუშინებია.

— ის ქალი... გმირებს რომ შეჰყვარებით, მერე აღარ ჩანს მოთხრობაში, ან სულ ნუ ახსენებ, ანდა...

— ის ქალი გამოგონილია! — წამოიძახა უშანგი.

— განა ყველაფერი გამოგონილი არა გაქვს? — თვალეში შეხედა რედაქტორმა.

— დიახ, დიახ, გამოგონილია, სუყველაფერი გამოგონილია! — ხარბად ჩაეკიდა ამ სიტყვას უშანგი.

— ამას გარდა, — განაგრძო ლეომ, — ძარიან მოტოციკლეტებზე, შეჯიბრების დროს, ყოველთვის ზის ეკიპაჟის მეორე წევრი, რომ მოსახვევებში წონასწორობა დაიცვას და მოტოციკლეტი არ გადაბრუნდეს, თქვენ ეს გამოგჩენიათ... მერე... კროსის დროს მთელ გზაზე მეთვალყურეები დგანან, რომ ქალაქის ტრანსპორტმა არ იმოძრაოს, ხალხმა არ იაროს... იმ ბავშვს არავინ გაუშვებდა თავისი საგორავით... ეს უნდა ახსნათ...

— არა, ბავშვი ნამდვილად იყო! — წამოიძახა უშანგი.

რედაქტორმა სწრაფად ასწია თავი და გაკვირვებული თვალეში მიპყრო ახალგაზრდას.

— არ მესმის... ნამდვილად როგორ იყო, თუ კი ყველაფერი გამოგონილია? უშანგიმ უცნაურად გაიღიმა, სკამის ზურგს შეეყრდნო და მოულოდნელად ნერვიული სიცილი აუტყდა.

— საქმე ის არის... მპატიეთ, რომ მეცინება... არაფერი მესმის მოტოკროსის და იმიტომ მეცინება... საქმე ის არის, რომ აქ მოტოციკლეტები არაფერ შუაშია, ყველაფერი ავტომანქანებზე მოხდა...

— თქვენ გინდათ თქვათ, რომ მოთხრობაში...

— არავითარი მოთხრობა, ყველაფერი ნამდვილად მოხდა-მეთქი!

— როგორ... ნამდვილად...

— ჩვეულებრივი ავტომობილები

მოქროდნენ ჩვეულებრივ გზაზე...

— სად? როდის?

— ფასანაურთან. ხილს რომ გამოს-
ცდები... აი, იქ!

— და ბავშვი გაიტანა მანქანამ?!

უშანგიმ თავი დააქნია.

რედაქტორი ფეხზე წამოიჭრა, იგრძ-
ნო, როგორ დაებურძვლა კანი, თითქოს
შესცივდაო, ჯიბეებში ხელები ჩაიწყო.
იგი შეაცუბუნა ამბის მოულოდნელმა შე-
მოტრიალებამ, უფრო მეტად კი უშან-
გის უცნაურმა სახეცვლილებამ; თითქოს
აქამდე ვიღაც უხილავი ლაპარაკს უკრ-
ძალავდა უშანგის, ვიღაც უმოწყმდება
ყოველ წარმოთქმულ სიტყვას, ახლა კი
მოვრალივით გულწრფელი ჩანდა.

— როგორ მოხდა ყველაფერი?

— ზუსტად ისე, როგორც მოთხრო-
ბაშია, მხოლოდ...

— მხოლოდ მოტოციკლეტების მა-
გივრად მანქანები იყო?

— დიახ... და არავითარი კროსი არ
ყოფილა! — დაუმატა უშანგიმ.

— თვითონ შეესწარიოთ ამ ამბავს,
თუ...

— ჩემი საკუთარი თვალით ვნახე!

ლეომ ბოლთისცემა დაიწყო. უშანგი
მაგნიტის ისარივით აყოლებდა თავს.

— აბა, თქვე, თქვე როგორ მოხდა?

უშანგიმ თავი ჩალუნა, ისევ მაგიდის
ფხაკნა დაიწყო ფრჩხილით, მერე თით-
ქოს კისერში ხელი წაუჭირეს და ძალად
დააყრევინეს სიტყვებიო;

— ორი მანქანა მოქროდა... — დაი-
წყო მან,

— ჰო,

— წინ „ვოლგა“ მოდიოდა, უკან ზი-
ლი“... შავი „ზილი“...

— ჰო,

— „ზილს“ გასწრება უნდოდა...
„ვოლგა“ არ უშვებდა... გზას უკეტა-
და.

— ჰო, მერე?

— როცა ხილს ვასცდნენ... ბავშვი
დაინახეს...

— ორივემ?

— ალბათ.

— ჰო, მერე?

— „ვოლგამ“ დაამუხრქვა... „ზილი“
გადაუსწრო და...

— ბავშვი გაიტანა? მარკინული
გეზულირთიქა
უშანგიმ თავი დაიქნია.

— ვინ იყო ის ოხერი... არააღამია-
ნი, — დაიბუხუნა ლეომ და უცერად
უშანგის მიუბრუნდა. — ნომერი ვერ
დაიმახსოვრეთ?

— ვერა... ისე სწრაფად ჩამიჭროლა,
რომ...

— ჩაგიჭროლა? თქვენ სად იდებოთ?

— მეე? სად უნდა ვმდგარიყავი...

— ალბათ, შორიდან დაინახეთ ყვე-
ლაფერი, თორემ ნომერს დაიმახსოვ-
რებდით.

— არა... ახლოს ვიყავი... ესე იგი...

— ესე იგი?

უცერად უშანგი წამოხტა, ვენტილა-
ტორთან მიიჭრა და გამორთო.

— ნერვებს მიშლის, — ხელი გაიჭ-
ნია მან, მერე რედაქტორს შეხედა, —
მე არ მახსოვს ნომერი და არც ის ვიცი,
ვინ იჯდა იმ მანქანაში!

— კი მაგრამ „ვოლგაში“?... „ვოლგა“
ხომ გაჩერდა, შოფერმა ბავშვი აიყვა-
ნა... თქვენ, ალბათ, მიხვდიდით ახ-
ლოს..

— რა საჭიროა „ვოლგის“ ნომერი? —
წამოიძახა უშანგიმ. — ის ხომ არაა დამ-
ნაშავე.

— არა, მაგრამ იქნებ სწორედ „ვოლ-
გის“ შოფერმა დაინახა გაქცეულის ნო-
მერი!

— არ დაუნახავს!

— თქვენ... თქვენ ეს საიდან უნდა
იციოდეთ!

— „ვოლგაში“... მე ვიჯექი.

ლეომ განცვიფრებისაგან ხელები მალ-
ლა აჰყარა, მერე გული აუჩუყდა, რამ
აუჩუყა გული, თვითონაც ვერ მიხვდა.

— რას ამბობთ, რას ამბობთ! ესე იგი,
თქვენ აიყვანეთ ბავშვი?.. ასეთი თავმ-
დაბლობაც არ ვარგა... რატომ მიმალა-
დით?.. ახლა ყველაფერი გასაგებია, ეს
ამბავი მოთხრობაში აღწერეთ... მხო-
ლოდ სხვაგვარად, სხვა გარემოებაში...
გასაგებია, მიხვდით...

უშანგი დუმდა. იგი კვლავ ყვითელ

სავარძელს დაბრუნებოდა და შიგ ჩა-
კარგულიყო.

— ეპ, საწყალი ბავშვი... — თავის-
თვის ჩაილაპარაკა ლეომ, ტილოს ფარ-
და ოდნავ გასწია და ქალაქს გადახედა,
იგი ზურგით იდგა უშანგისაკენ, — მო-
დიოდა საწყალი თავისთვის, მოაგორებ-
და ფეხის საგორავს...

— ველოსიპედზე იჯდა!

— შერე?! — ლეო ისევ უშანგისკენ
შემობრუნდა.

— ეტყობა, ტარებას სწავლობდა...
ზიგზაგებით მოჰყავდა... დიახ, ზიგზაგე-
ბით... ამან შემაშინა და მანქანა დავა-
მუხრუქე!

— და იმ ოხერ-მუდრეგმა გადაგის-
წრო და გაიტანა?

— გადამისწრო და გაიტანა! — ეხო-
სავით გაიმეორა უშანგიმ.

— ეპ, საწყალი ბავშვი! — კვლავ
ამოიოხრა ლეომ, — რა თქმა უნდა, არ
გადარჩებოდა... რა გადაარჩენდა, —
და იმედის თვალები მიაპყრო უშანგის.
უშანგი დუმდა.

— რომელ საავადმყოფოში მიიყვა-
ნე? — უეცრად ჰკითხა რედაქტორმა,
რადგან იფიქრა, ფასანაურიდან დაჭ-
რილის თბილისში წამოყვანა უმეცრება
იქნებოდა; შორი გზაა, — რომელ სა-
ავადმყოფოში მიიყვანე? — გაიმეორა
მან, მძიმე ნაბიჯებით მიუახლოვდა სა-
ვარძელში ჩრდილივით ჩაფენილ უშან-
გის და თავზე დაადგა.

— რა, აღარ გახსოვს, სად მიიყვა-
ნე? — ლეოს ერთბაშად მწვავე ეჭვმა
გაუქვნილა გული, — რას განუმებულ-
ხარ?!

— არსად მიიყვანია... აარ-სად! —
წამოიყვირა უშანგიმ და გიჟივით წამო-
ვარდა.

ლეო შეერთა, მაგრამ ფეხი არ მოუ-
ნაცვლებია.

— რა გაყვირებს, აქ ქუჩა კი არ არის!
თქვი, სად წაიყვანე ბავშვი!

— არსად, ბატონო ლეო, არსად წა-
მიყვანია... ნეტა წამეყვანა... ო, ნეტა
წამეყვანა...

— აბა, რა ჰქენი?!

— არც მე... არც მე გამიჩერებია მან-
ქანა! — წაილულულა უშანგიმ, სახე-
ზე ხელები აიფარა და ფლანქი დაეკრა.

ლეოს მუხლები მოეკვითა, ცივი ჰავ-
ლი გადაეველო მთელ სხეულზე, ჩამო-
ვარდა სამარისებური სიჩუმე, როდესაც
გეჩვენება, რომ არაფერი ხდება ქვეყ-
ნად, რომ მხოლოდ დრო გადის, ჩვეუ-
ლებრივზე უფრო სწრაფად და უღმობ-
ლად. დიდხანს, დიდხანს იდგნენ გაქვა-
ვებულნი. ბოლოს უშანგი ასლოკინდა:

— ვერ შევძელი, ბატონო ლეო, ვე-
რაფრით შევძელი გაჩერება.

ლეო შეინძრა, მაგიდისკენ გადმოდგა
რამდენიმე ნაბიჯი, პაპიროსს მოუყიდა
და დაჯდა, ფეხი ფეხზე გადაიღო და
ჰერს ახედა.

— აბა, თქვენ თვითონ თქვით... თქვენ
გამოცდილი ბრძანდებით, რამდენი რამ
გინახავთ და წაგიკითხავთ. — სლუკუ-
ნებდა უშანგი და წელში ორად გახრი-
ლი, წინ გაწვდილი ხელებით, ნელნელა
უახლოვდებოდა მაგიდას, — აბა, თქვენ
თვითონ თქვით, ვინ დამიჯერებდა რომ
გამეჩერებინა, ვინ დამიჯერებდა, რომ
ბავშვი მე არ გავიტანე... ვილაყამ დაა-
ჯახა და მე კი ბავშვის გადარჩენა მინ-
დოდა?... ა, ბატონო ლეო, ამას დაიჯე-
რებდა ვინმე?

რედაქტორი დუმდა, ისევ ჰერს მიშ-
ტერებოდა დაყინებით.

— თქვენ ახლა იტყვით... დიახ, თქვენ
ფიქრობთ ახლა, რომ მანქანის ნაკვალე-
ვით მილიცია მიაგნებდა ნამდვილ დამ-
ნაშავესო, — განაგრძობდა უშანგი, —
მაგრამ იქ ხომ ჩემი მანქანის კვალი იყო
მხოლოდ, დამუხრუქებულნი საბურავე-
ბის შავი კვალი... მხოლოდ ჩემი მანქა-
ნის კვალი იყო და სხვისი არავისი...
თქვენ ხმას არ მცემთ, ბატონო ლეო,
თქვენ ახლა გეჯავრებით... მაგრამ ვინ
დამიჯერებდა, ვინ დამიჯერებდა, რომ
მე არ გავიტანე ბავშვი, სიმართლეს
ხომ ვერაფრით დავამტკიცებდი...

— ტყუილი რატომღა დასწერე მო-
თხრობაში? — ჰკითხა ჰერს რედაქ-
ტორმა.

— ბატონო ლეო... — საიდანდაც

მოფრენილი სინარულით აუციმციმდა სველი თვალები უშანგის, — მინდოდა მოთხრობაში... მოთხრობაში მაინც წარმოვდგინა... რისი გაკეთებაც სინამდვილეში ვერ შევძელი... თავის მოტყუება მოვიწოდებ... ჰოდა, მართლა ისე დავიჯერე, ისე დავუჯერე ჩემს ნაწერს, თითქოს...

— რატომ დასწერე-მეთქი სიცრუე?!

— განა არ მინდოდა სიმართლე დამეწერა, ბატონო ლეო? განა არ მინდოდა? რომ იცოდეთ, რა ჯოჯობეთურია სინდისის ქეჯნა, რომ იცოდეთ... მას შემდეგ აღარ დამძინებია, აღარ გამიციანია, ყოველი ლუკმა შხამად შემრგებიან... განა არ მინდოდა სიმართლის თქმა? მაგრამ სიმართლეს ხომ სულ არ დამიჯერებდნენ... ვინ დამიჯერებდა, რომ მივსულიყავი და მეთქვა, რომ...

— სად მისულიყავი?!

— რომ მივსულიყავი და... მეთქვა, რომ...

— სად მისულიყავი-მეთქი?! — დაიღრიალა რედაქტორმა, ფეხზე წამოიჭრა და ისე წაადგა თავზე სულ ერთნაირად დაპატარავებულ უშანგის, თითქოს ამ წუთში ნაკუწებად უნდა აქციოსო, — შენ ჯერ ერთი სიტყვაც არ გითქვამს მართალი! — გაკაპასებული ჩურჩულით დაიწყო ლეომ, თითქოს იგრძნო, რისხვის გამოსახატად ხმა არ ეყოფოდა. — ერთი სიტყვაც კი.. ჯერ მოთხრობა წამაკითხე და გული ამიჩუყე. მერე, თურმე, ეს შეთხზული ამბავი კი არ ყოფილა, ნამდვილად მომხდარა და შენი საკუთარი თვალთ გინახავს... მერე აღმოჩნდა, რომ შენ თვითონ მჯდარხარ იმ მანქანაში და ბავშვი საავადმყოფოში წაგიყვანია... მერე... კი არ წაგიყვანია და, საერთოდ, არც გიფიქრია მანქანის გაჩერება! — ლეო უკვე ყვიროდა და ისე იქნედა საჩვენებელ თითს, თითქოს მისი წაწყვეტა უნდაო, — ახლა აღარც უს მჯერა!

— ბატონო ლეო!

— შენ იმ მანქანაში იჯექი!

— რას ამბობთ, ბატონო ლეო!

— დიახ, დიახ, შენ იჯექი იმ მანქანაში... ბავშვი შენ გაიტანე!

უშანგიმ უეცრად უკან დაიხრია წელში ლარით გაიმართა, (ლეო ვერც წარმოიდგენდა, თუ ამ სიმაღლე იყო), სახე წამოენთო, თავისთავად მოეკუმმა მუშტები და ცივად წარმოსთქვა:

— სისულელეებს ნუ ლაპარაკობთ!

— და ამ სიტყვების თქმისთანავე სახეზე გაფითრებული სიმშვიდე გადაეფინა. ლეომ პირი დაალო განცვიფრებისაგან, — დიახ, დაუცვირდით, რასაც ამბობთ... თქვენ ამ ამბავს ვერასოდეს გაიგებდით, ვერც ვერაინ გაიგებდა, მაგრამ მე მინდოდა მეთქვა... მაწვალედა და მინდოდა მეთქვა... ვთქვი კიდევ. მე ჩემი უბედურება მეყოფა. დიდი ცოდვა მაწვეს, სამაგიერო მომიზლო ამ ცოდვამ, ადამიანობა დამავიწყა... ახლა ვალიარე, მოვიანნიე, თქვენ შეგიძლიათ არ შემიწოდოთ, სხვებსაც... მე კი გულზე მომეშვა. მე... მე აღარც ვგრძნობ თავს დამნაშავედ...

უშანგი სწრაფად შეტრიალდა და კაბინეტიდან გავიდა, მაგრამ ლეოს ისევ წინ ედგა მისი გაფითრებული სახე და გამოუცნობი გამომეტყველება.

ლიდ დატოვებულ კარებში პასუხისმგებელმა მდივანმა შემოიხედა.

— რა დაემართა იმ ახალგაზრდას? — ჰკითხა ლეოს, მაგრამ მაშინვე შეატყო, რედაქტორი აღელვებული იყო, და პასუხს არ დაუცადა, საქმეზე გადავიდა, — აი, ბატონო ლეო, მასალა ხიროსიმის დაბომბვის შესახებ, ავაწყე, მაგრამ ძალიან დიდი გამოვიდა... უნდა შეამოკლოთ!

რედაქტორი თითქოს დაყრუებულყო, გაშეშებული იჯდა სკამზე და თავი ხელუბში ჩაერგო. „მე აღარც ვგრძნობ თავს დამნაშავედ... აღარც ვგრძნობ თავს დამნაშავედ...“ კვლავ ჩაესმოდა უშანგის სიტყვები. „რატომ ჰკონიათ ადამიანებს, რომ ცოდვას თუ მოინანიებთ, ყველაფერი ეპატიება? — ფიქრობდა ლეო, — რატომ ჰკონიათ, რომ მსხვერპლის გაღება — უძილობა, სიმშლი, ათასგვარი ტანჯვა, შვებას

მოუტანს იმას, ვინც შენი მიზეზით ველარასოდეს განიცდის უძილობასა და სიმშლის, წყენასა და სიხარულს, ცრემლსა და სიცილს?..“

ლეო მიხვდა, რომ ოთახში მდივანი შემოვიდა, მიხვდა, რომ რაღაც უთხრა მდივანმა, მაგრამ არაფერი გაუგონია ერთი სიტყვის გარდა... ხიროსიმა! მდივანი ხიროსიმაზე ლაპარაკობდა.

და ლეოს კვლავ გაახსენდა თვითმფრინავის პილოტი, რომელმაც ბაბუა-წვერასავით გააქრო ასიათასზე მეტი ადამიანი და მერე მონასტერში წავიდა ცოდვების მოსანანიებლად... „რამხელა ღმერთი უნდა ჰყავდეს იმ ბერს!“

და ლეოს ირგვლივ კვლავ გაქრა ყველაფერი და მხოლოდ წარმოსახული სურათი ამოტივტივდა მის გონებაში. ეს სურათი იყო ცხელი, ხელს ვერ მიაკარებდი, თეთრ-ყვითელი ფერი ჭარბობდა... შუაში აღმართულიყო უზარმაზარი, ხოტორა მთა, ისიც თეთრ-ყვითელი ფერისა, ამ მთის ფერდობზე იდგა მონასტერი და მისკენ მიმავალ თეთრ-ყვითელ ბილიკს მიჰყვებოდა წელში ორად მოხრილი ბერი... რომელსაც თვალისმომჭრელი ოქროსფერი ანაფორა ეცვა, მღვრიე წითელი ლაქებით დაწინწკლული... ქვემოთ, ბილიკის დასაწყისში, გზა ამტვერებელიყო... აქმართს შედგომოდა ვილაც... მეორე... მასაც ოქროსფერი ანაფორა ეცვა...

— ბატონო ლეო, მაგიდა დაიწვევა, ბატონო ლეო!

რედაქტორი გამოფხიზლდა და თავი მალა ასწია, მის წინ პასუხისმგებელი მდივანი იდგა და პაპიროსს აქრობდა

საფერფლეში, თან შავად ამომწვარ წერტილს უთითებდა მაგიდაზე.
— კინალამ ხანძარი გააჩინა ილიმა მდივანმა, მერე კედელთან მივიდა, ტილოს ფარდა გადასწია და საჩემელი გამოაღო. ქუჩამ ოთახის კვამლი დაითრია.

— აი, ავაწყეთ ხიროსიმა, — თქვა მდივანმა და ვიწრო სვეტებად აწყობილი მასალა რედაქტორს გაუწოდა, — მაგრამ არ ეტყევა, როგორმე უნდა შემპიროთ, თქვენ ხომ თქვით...

ლეომ ფურცლები გამოართვა და სწრაფად უკანვე დაუბრუნა მდივანს.

— ერთი სიტყვაც არ შემპირდება! — თქვა მან და წამოდგა.

— გასაგებია! — ხმადაბლა ჩაილაპარაკა მდივანმა და ის იყო გასვლას აპირებდა, რომ უეცრად მოაგონდა:

— ჰო, მართლა, რა დაემართა იმ ყმაწვილს, ასე აღელვებული რომ გამოვარდა... რაო, კარგი პოეტი ვარო?

— თავის სიმართლეს მიმტყიცებდა ვაებატონი! — ნიშნისმოგებით თქვა ლეომ, ჯიბეებში ხელები ჩაიწყო და ოთახში გაიარა.

— რაო, რა სიმართლეს?

— მე არ მისვრიაო...

— ა-არ მესმის... რა არ მისვრიაო?

ლეო შედრკა, შეცბუნდა. უზაროდ მიაშტერდა მდივანს, მერე თანდათანობით გადაეწმინდა სახე და სადღაც, სულის მიუგნებელ სიღრმეში მწარედ გაუღიმა საკუთარ თავს.

— არაფერი... სხვა დროს ვიამბობ! — თქვა მან.



პირველი პირობა

ჩემო სიცოცხლე, ჩემო იმედო...

ჩემო სიცოცხლე, ჩემო იმედო,
სიმღერავ ჩემო,

ჩემო ლილეო —
როგორ გაგწირო და გაგიმეტო
ელალ-შერეულო სიყმაწვილეო!
შენს მაღალ შაირს ისევ და ისევ
ვანდე მე ჩემი გულის ხმაური,
სიჩქარე გულის

და სიხალისე,
გულის მღელვარე ჩაბრუნებული...
ხელთა მაქვს შენი სიტყვათა კონა,
სიტყვა „სალხინო“

და „სამწუხარო“ —
ის, რაც მაღალმა მთამ ჩამავგონა,
ჩამოთოვლილო საბა-სულხანო!
რა ლანდი ადგას ცისპირად გორას,
რაა, მითხარი,

რა მერანია?!
ორივე ხელით რომ ხლეჩდა ყორანს —
ამირანია?... — ამირანია!

მაშ, გამარჯვება ისევ ცის-კაცებს,
მათ მივეგებოთ, ადგილის-დედავ!
მხერა ბალღივით მეც აღმიტაცებს
და — „ჩალის ქურდის ნაკვალევს“ — ვხედავ!
როგორც იტყოდნენ მამა-პაპანი:
უსაძირკვლოა ცა და უჭერო —
დედამიწაზე

დადის ზღაპარი
და ზღაპარს როგორ არ დავეუჯერო!
რაჭის მთებია, სვანეთის მთები,
თუ აფხაზეთის ძველი კლდე-კარი,
ყველგან

მე იმის ნატურფალს ვხედები.
წინაპარივით ყველგან ეგ არი!
და აი, ამრა! და აი, ხვამლი!
მღვიმე. ქვის კარი.

ფრთიანი რაში.
და ცის ფიქრით ცისფერი კვამლი



ლერწმის ჩალიდან ასული ცაში...
თუმცა წარსულის ნისლით ჩანისლეს,
ვხედები აქ

ასჯერ-ასი წლით გვიან, —
დგას და ამირან დარეჯანის-ძეს,
ვიცი, რომ ჩემი სიცოცხლე ქვიან!
სიხარულივით მისი შუქურა
შენს გულსაც მისწვდა,

მთაო მაღალო,
და ამ სიმღერით ააგუგუნა
ყველა გვირაბი, ყველა მაღარო...
რაო, ინგილოვ ჩემო, არ გჯერა?
ლაზო, არ გჯერა, არტანუჯელო?
რაში დღემ თვითონ შემოაჭენა,
დღეს, აბა, როგორ არ დაეუჯერო!
რაა ლეგენდა, რაა არაკი,
გზად ისე ვერც კი ჩამიარია,
წინ რომ არ დამხედეს

ჩვენი აკაკი
და არ მახაროს: — ამირანია!
ცეცხლი აქ ახლა წყალსაც კი ცვივა,
ფრთებს ისხამს ახლა

ყოველი წყვილი,
და ვინ თქვას, რომელ ვარსკვლავთან მივა
იმ ძველისძველი ზღაპრების შვილი...
ისე ვით ცეცხლის ნაპერწკალს არ სურს
ჩაქრეს აქ, როგორც ძველი ოცნება,
და ჩემი სიტყვაც

მოსწყდება წარსულს
და ვარსკვლავეთში გაიტყორცნება!
ზღაპარს ებრძოდა ცხოვრება, ვიცი,
მაგრამ არასდროს არ მინანია, —
ეზოში

ბურთს რომ თამაშობს ბიჭი,
ისიც კი, ისიც ამირანია!
მისი დროა და მისი მთაბარი,
დე, ყვავილებით

გზაც აუჭრელონ!...
დედამიწაზე დადის ზღაპარი
და ზღაპარს როგორ არ დაეუჯერო!

გიორგი კალანდია

შენს მოლოდინში

ახლა შენს აჩრდილს სარკმლის მინაზე
მე ვხედავ თითქოს, ნამგზავრს და დაღლილს,
და განშორების სევდას მინათებს
შრიალი ჩვენი პატარა ბაღის.

მგონია, მოხვალ, და ვითვლი წამებს,
ბაღში უეცრად წამოვა წვიმა,
აახშიანებს ზაფხულის ღამეს
და შენზე ფიქრებს გაებმის სიმაღ.

შენი სურვილით ბაღიც დამთვრალა,
ბაღსაც აშლია ფიქრი მგზნებარე,
საით გაიჭერ, შეველო შეეთვალავ,
რომელ ბილიც თუ ტყეს მიეფარე?...

ვარ ხარირეში, შენგან დაჭრილი,
გნატრობ, ვით კლდიდან გადმომსკდარ
ლეღეს,
ზორცს ვეღარ ისხამს შენი აჩრდილი,
ღამის ბინდ-ბუნდში როცა ვხვევ ხელებს.



გიორგი ლონიძე

ამბავი მსტატე დაფაჩისა

(რკალიდან „ძველი სოფლის ამბები“)

დაბალი, შავგვრემანი, ჩოფურა, დაჯაგრული, ზამთარ-ზაფხულ ღურატყავეში გამოხვეული, ის ან ორდობებში მიეჩქარებოდა ხელში სამღვდლო ბოხნით, — რომელშიც ქუჭყიანი ოლარი იდო, — და გამურული, ჰვარტლიანი საცეცხლურით; ან, როგორც შეგრძნებული, იჯდა სამრეკლოზე, ან მღვდლის საფუტკრეში ეძინა. მისი ნაწოლი იონჯა ორ დღეს გონზე ვერ მოდიოდა.

ესტატე ლაფაჩი, წმ. კვირიკეს მნათე, ახლაც მაღალ სამრეკლოზე ზის და გაცნებული გაპყურებს გაღმა მოლაპლაპე იორს და საჯერნე ტბას. გუმბათი კი ისეთი მაღალია, რომ ანდორეთის გრძელ მინდორს ჩრდილს აყენებს. შორს მოჩანს წარიგებულ თეთრი მთები, სასაძოვრე და სათივარები, აქეთ, იორ-გამოღმა, ყაყაჩოიანი ჯეჯილები, ვენახები მტირალა ვაზებით, მოხახხახე ნიგეზნარები შრიალებენ.

ყელშექცეული ლაფაჩი ახლად გამოღვიძებული დათვივით ზის და ვერ ამჩნევს ახალგაზრდა ბუნებას, ვერც მაისის ცისპირს. ლაფაჩის თვალები ამოშრეტილია ბუნების სიყვარულისთვის, ისე როგორც დამშრალია ჭოტის თვალები შუალამისას.

სოფელზე გადაიარა გაზაფხულის წვიმამ და ზრიმლი ჩამოჰყარა. ბავშვები შესძახოდნენ ცისკიდეს:

„ცისარტყელა კამარტელა,
ჩემი კაბის ჩანაჭრას!“

გლეხები გაოცებით შეპყურებდნენ ცისარტყელას, „ქრელი გველივით არა ჰკიდა ცაზე?!“ — გაფიქრა ლაფაჩმა.

ძირს გლეხები კამათობდნენ, თუ რა ფერი სჰარბობს ცისარტყელაში.

— ყვითელია! დაიძახა ერთმა, — სმინდი მოგვივა ბევრი!

— არა, წითლურია! — აბა, დააკვირდი, — ღვინო დასჯაბნის!

— არა, მწვანეა! პური დაქრამს!

ყველა მართალი იყო.

მზის ნებიერი სხივი თვალღრმა ლაფაჩს მიეტკებოდა. ლაფაჩმა უგემურად აადევნა თავგური თვალები ოქროგადაკრულ ცას, მაგრამ ვერ გაუძლო მზის ელვარე წინწელს. და თვალი მოხუჭა. ლაფაჩმა ხელიც გაიჭნია მოსაშორებლად, თითქოს მოალერსე სხივი, ბუზარა მწერი ყოფილიყოს.

ცისარტყელას ოქრო ისევ ჭრიალებდა, მერე გადაშენდა...

მოწმენდილ სივრცეში, იორ-გადაღმა, ლაფაჩმა თვალთ დაიგულა დავით-გარეჯა.

აქ აღიზარდა ლაფაჩი, სიყმაწვილე აქ მოასრულა.

როგორც თეთრი აფრა, ისე მოჩანდა იმ დილით ღვთის ქალაქი, — შემწვარი უღბანო, გავერნებული ტრამა... იქ ნადვლიანად შრიალებდა ურო, ავშანი და ვაიციწვრა, — შხამიანი ქარით დასუნთქული და მშხებრი წვიმით დაღლებული. აქ ხან გაირბენს ცქრიალა ჯეირანი და კაკაბი აუფრინდება გაშხლართულ გველს; აქ, გამოკაფულ კლდე-ქარფებში, ცხოვრობენ ბერები და სულის ცხოვრებისა და მოქალაქობისათვის იღვწიან.

უყურებს ფიქრში მნათე თავი...

სახ. 100
წიგნი
წიგნი

ნავარს. არც უხარია, არც ენანება, ისევე როგორც თავისი გაჩენა და ცხოვრება ამ ქვეყნად.

უყურებს და აგონდება თავისი მწარე წარსული:

ლაფაჩის წინაპრებს ღვთის ნათლულებს ეძახდნენ თურმე. პირველი გლეხები ყოფილან ტამალიაში. წელიწადში შემავალი სამოცი ფურ-ზაქი, ხუთასი მარტო მტრედი, საკმელად მოშენებულნი. მგზავრს უსაგზლოდ არ გაუშვებდნენ.

ხერგებით დახურხლული — დევთა ნასადგომარი დარბაზი...

შუა ყვრასთან ცხრა დასარწეველი ავენი...

ლაფაჩები თურმე დოს არ ჰამდნენ და იორში ასხამდნენ. როცა კარაქს შედღებებდნენ, ქვემო სოფლები ივრის ფერზე იგებდნენ.

დროს არა რჩება რა მოუშლელი. დაუძქრელი ოჯახიც გაიყარა. ნანგრევებზე მთელი უბანი ამოშენდა. ლაფაჩის მამსაც დიაკვან დიანოზს ქოხი დაწყვილებული ბავშვებით გაევისო. მეათე ბავშვის ყოლა კი დედამ სიღარიბის მიზეზით იღარა. მომავალი ნაყოფის გასაწყალებლად მამობარი ხან ლოდებს იდებდა მუცელზე, ხან ერდოდან დაბლა ხტებოდა.

ჰაწინა ლაფაჩი მაინც დაიბადა.

ასე უნდოდა წერამწერალს...

ახალშექმნილი სახარი მახინჯი იყო, ნალევა, რძენაწყენი, ავთელი, სახე ბალნით ჰქონდა მოხაესული. ამბობდნენ, ორსულს ძალზე გადაუვლიაო!

უცნაური ბავშვის შესახებ ადგილობრივმა მასწავლებელმა კორესპონდენტს დაბეჭდა გაზეთ „დროებაში“ და მით გული მოიფხანა. კიდევ ბევრი ირბინა ქალაქში. — რომელიც აც გამოფენაზე უნდა ეჩვენებინა. მაგრამ ამაოდ მიჰყალიბა საგზაო მანეთები. კორესპონდენტსა დარჩა „ხმად მლაღადებლისა...“

ყველაზე უცნაური ბავშვის დაბადებაში ის იყო, რომ ბებია-ქალმა, დედამ

და მეზობლებმაც ვერ გამოარჩიეს მისი სქესი. მაგრამ მონათელის დროს მღვდელი როდი შემკრთალა, მან პირდაპირ მიჰმართა ყრმას:

— უკეთუ მამრობის ნაკვეთი ხარ, დაგერქვას ესტატი! უკეთუ დედათა სქესისა, გეწოდოს მაკრინა!

მხოლოდ ერთი წლის შემდეგ მიხედნენ, რომ დედათა მყუდროება მღვდელმა ამაოდ შეაწუხა.

დედა ცრემლიან იაცნანას დაჰზუზუნებდა აკვანში დაჩირქებულსა და მუწუცდასხმულს. ჩასახვის წუთს უწყევლიდა, დები და ძმები საკოცნელად არ ეკარებოდნენ, არტახების სიმპალის სუნისაგან შორს გაურბოდნენ.

ბავშვი მაინც წამოიზარდა. მუწუცები და ბალანი სახეზე გაუქრა, მაგრამ ღრეცილი სახე არ გაუსწორდა.

მწვანე, დაგესლებული, დასიცხული ფოთოლივით დაღონებული, მიმქნარი, სურავანდიანი, მუდამ ყბაყრული პირგამომშრალი და მტირალი დაზუზავდა ეზოში. ტოლები არ უყვარდა, ისინიც სდევნიდნენ, საცა მოასწრებდნენ. დაშინებული ბავშვი არც გოშიას ეკარებოდა, არც ხატურა ციკას.

ნიშა ხბომ ერთხელ საბრალოდ გათქერა და ტალახში ამოსვარა!

მამამ ბევრი იღონა მეათე შვილისათვის, მიწის მოსაქმედ უქნარი და ოჩანი მწარედ გაიტანჯებოდა.

მამას ნაღვლის სმა ერჩია ამ ფიქრს, დედას — ნაცრის ჰამა.

და აი, ერთ დღეს, ანდორეთში დავით-გარეჯის ბერმა ჩამოიარა საკალმასო. მონასტრში შიშვილი ჩამოვარდნილიყო. მონასტრის წინამძღვარს ქონება გაეფლანგა. ასწლოვანი განდევნის, რომელნიც სულის საგზალს იმზადებდნენ, ახლა გაყოფებულები მგლებივით შეკლმუოდნენ გაბნელებულ სენაკებში და მზად იყვნენ, ერთმანეთი დაეჭამათ. წინამძღვარი არ დაიბნა. მან კალმასობა მოიგონა. ბერები სათითაოდ მიავლინა სოფლებში, მამ-



ღარი პურის საპოვებლად, რითაც ბოლო მოუღო მოსალოდნელ აჯანყებას. პირაქაფებული ბერი ღვთის შიშს აგდებდა ანდორეთს. „მეორე მოსვლის“ ნიშნებზე ლაპარაკობდა და უხვ შესაწირავს აგროვებდა.

— ვაი, თქვენ, ვაი თქვენ, უგუნურნო, ურჯულნო, რას იტყვიტ საშინელ განკითხვის დღეს, როცა ყველა თქვენგანის ფარული ცოდვა თუ საქმე გამოცხადდება?!

— ვაი, შენ, ისრაილო, განსუქდი, განმსხვილდი და დაივიწყე ღმერთი, გამჩენელი შენი! — დაჰკიოდა ენადაქსაქსული ბერი მათ, ვისაც ხორცი დიდი ხანია სარკვეშიც არ დაენახა.

გლეხები მართლა შეფიქრიანდნენ. მოიგონეს ცოდვები, მოიქექეს თავები და სულის მოსაბრუნებლად არასაზოგადნენ. მემარხულე ბერიც უხვად იხვეჭდა პურს, საკლავს, ხორბალს, ფულს, სხვა სახსარსა და შემოწირულს.

ლაფაჩის მშობლებმა ნამზადი დედანი მიართვეს და სახლშიც შეიპატივეს მოსასვენებლად. სადილზე ცოლქმარმა შეიღის ძნელბედობა შესჩივლეს ბერს და რჩევის გზები გამოჰკითხეს.

— გეშველე რამე, ხმელეთის დამრიგებელი!

— შენი ენა ღვთის ენაა!

— ცაში გაქვს გონება ასული!

გახუნებულმა ბერმა ჭება შეიფერა და მაშინვე მოისაზრა: მონასტერში მუშაობა ყველას ეხარებოდა. უფრო კი წყლის საქმე და ჯორების დამწყემსვა აქორებდა საქმეს. როცა ეს ყმაწვილო წამოიზრდებოდა, ფერსა და ჯანს გაიდგამდა, — ყველაფერს შეძლებდა. განზრახვის გასატარებლად ბერმა წარმოთქვა, რომ პირველი ნაყოფი ადამიანისა თუ მიწისა ღმერთს უნდა შეეწიროს, როგორც აბელმა ჰქნაო; მართალია, მასპინძლებს ეს წესი დაურღვევით პირველ შეილზე, მაგრამ ახლაც არ არის გვიანი, არც უფალი საბაო განწყობება, თუ მეათე ბავშვს მაინც, ისიც სწულს. მშობლები მიაბარებენ უფლის წიაღს, ანუ მონასტერს მისცემდნენ გა-

მოსაზრდელად. მკვერმოუბარი ბერი არა ცხიებოდა.

როცა ამ სიტყვებზე დედამა შეტრუნდა, მაშინ ბერმა მოაგონა მათ მამამთავარი აბრაამი: ერთადერთი შეილი ისაკი ღვთისათვის დასაკლავად არ დაზოგა. დაკლდევებული მამა მოტყდა. დედა კი უარესად გაუჩქდა. მაშინ ბერმა მოაგონა ძველი სიბრძნე:

ვინც მონასტერს გაიზარდოს,
მან იხილოს ღვთისა პირი!
ვინც რომ გარეთ გაიზარდოს,
ანუ ლომი, ანუ გმირი;
ვინც რომ შინა გაიზარდოს,
ანუ ძროხა, ანუ ვირი!

ვინ დაუდგება იდა წინ ამ სიტყვებს, ბავშვი მოშორდება სოფლის შფოთს. ველარ გაერევა ცოდვებში, ბევრიც რომ უნდოდეს. უდაბნოში კი ხორცს დაიმონებს, სულს ააყვავებს და აღიზრდება, როგორც „კაცი ზეცისა და ანგელოზი ქვეყნისა“.

საწყალი დიკვანი-მამა მთლად დაადნო ამ სიტყვებმა. იქნებ მისი მახინჯი შეილი არქიელიც გამოვიდეს? გულგაპობილი დედა იხვეწებოდა, ეზოს ძაღლის ალაგას მაინც დამირჩინეთო. მაგრამ დიანოზ ლაფაჩმა დასძლია დედაკაცის ცრემლი და მალე ბაღი ცხენით მიაყენა წმ. დავით-გარეჯის უდაბნოს „ღვთის პირის სახილველად“.

რამდენიმე ხნის შემდეგ მონასტრის კარიბჭეში მოხუცი ბერი ეხეციელი და ლაფაჩი ისხდნენ.

— გაიმეორე! — უბრძანა ბერმა, მაგრამ ბავშვი ჩუმად იყო.

— სთქვი:

„შე მშვა მამაჩემმა უღედლო,
მე ვშვი ცოლი ჩემი,
ცოლმა ჩემმა შვა ისული ჩემი,
ისულმა ჩემმა შვა მამაჩემი!“

— რა არის, ამოიციანი?

ბავშვი ხმას არ იღებდა.

— დაგვიწყებია, ლეგა ბიჭო, ახლა კი სთქვი: ადამი, ევა, ღვთიმშობელი, ქრისტე!

ბავშვმა გაიმეორა...
ახლა გუშინდელი გამოცანაც სთქვი
ბავშვმა წარმოთქვა:

„ასომა საქონლისაჲ,
ვახმა ვენახისაჲ
კაცო მართალი შეაწუხა...“

— რა არის?

— ურიებმა უფალი ჩვენი, იესო ქრისტე, არეული ძმარ-ნადევლის სმევით რომ შეაწუხეს.

— ყოჩაღ, ყოჩაღ!

ასე განისწავლებოდა ლაფაჩი უდაბნოში.

ლაფაჩმა წიგნი და წერა მონასტერში ისწავლა, მაგრამ თავში ბევრი ვერაფერი შესდიოდა, ან სად ეცალა...

ერთი იცოდა: რომ არის ღმერთი — მრისხანე, უწყალო, შურისმაძიებელი. მისი იარაღია — გველებით სავსე, მღუღარე კუბრით ამოვსებული ჯოჯობეთი, ღმერთს აქვს სამოთხეც, მხოლოდ თავისთვის. ჯოჯობეთი — ადამიანებისთვის, ეშინოდა ღვთისა ლაფაჩს, ღმერთმა ხომ ცეცხლით განმეხა იცის ცოდვათათვის!..

ლაფაჩმა ისიც კარგად იცოდა, რომ ამ ქვეყნად არის კიდევ ეშმაკი — სატანა, რომელიც ჩუმად სულ თან დასდევს ლაფაჩს, თვითეულ ბუჩქში ჩასაფრებული, და ცდილობს, ათასი ხრიკით ხელთ იგდოს მისი სული.

ლაფაჩს უნახავს, რომ ზურგთუკანიდან ეშმაკი კიდევ ეჯღანებოდა. შეშინებული ილტვოდა ამ ჩვენებისგან.

პატარა ლაფაჩს მონასტერში უღმერთოდ ამუშავებდნენ, თან ტანჯავდნენ ბერები — უშრომლობის ოსტატები.

— ვაი, შენ დაგეწვა აკვანი, შე უგერგილო!

— ვაი და სნება შენ, გათვალულო, თვალნაკრავო! — ასე წყევლიდნენ წმინდა მამები უხერხულ მორჩილს და თან მუჯლოჯონს უბაკუნებდნენ სახეში. კოკურ წვიმასა და სიცივეში. ჩერებში გამოხვეული, გაბეზრებული ლაფაჩი დარბოდა უდაბნოში ხან წყლის საზიდრად, ხან ათას დავალებათა შესასრულებ-

ლად, ხან ჯორების სამწყემსავად. დარბოდა დანადგლიანებულზე, დაღამებულშიც კი წანწალებდა. შრომობდა, წვალობდა, ნემსს ეცმოდა, ყველას დავალებას ასრულებდა, მაინც ყველა მისი უძმაყოფილო იყო.

— ბატის ჰკუა შენ და ინდაურის ხეტიალი! — შერისხავდა ავი წინამძღვარი. კურცხალი თვალზე ეწურებოდა, გულზე ყორანი ჯდებოდა. მხოლოდ უქმისძალი თუ გაუნახევრებდა ლაფაჩის შრომას, ახლა, წირვაზე ჩოქით უნდა ეთქვა ლოცვანი — შენანებისა, შეწყვალებისა, რადგან „სული უფროს არს ზორცისა“.

ნაწირვეს იგი ბერების პირმსახური იყო ტრაპეზზე: ახლა წყალი უხდა ეზიდა, ხოლო მწუხრისას ვირები უნდა ეძებნა, ჩაებინაებინა...

ცრემლმორეულს, გაპირვებულს, გულის ხაშში სჭირდა. ფეხის გული სტიკოდა... გულდასაკლები ბევრი ჰქონდა. მისი დამადნობელი ოხვრა კლდეს ჩამოშლიდა, განსაკუთრებით — როცა უდაბნოში ეშმაკები ეფეთებოდნენ.

როცა ძუძუთა მტკივანი დედა მოუკვდა ლაფაჩს, მას მერე აღარავის მოჰგონებია. ნეტავ ვინ იგულტკივნეულა მისთვის? — არავინ!

დიდმრავალმა ოჯახმა გაწირა პატარა მწირი უდაბნოში! არავინ გამოესარჩლა! მამაც მოუკვდა და არც კი შეატყობინეს.

ცხრა შვილი იყოფდა ოჯახის ქონებას. ან რა ხელთ მისცემლათ მენკვდრეებს, კიდევ ახალი მეტოქე მიემატებინათ, ისედაც შუღლი ჰქონდათ!

ლაფაჩს თავისი სოფლის სახელიც გადაავიწყდა.

უბედურებაში, უმადლო შრომაში მიდიოდა საწყალი მწირის ცხოვრება: და ვინ იცის, კიდევ რა მოელოდა გოროზი და პირვეული ბერებისაგან, რომ ერთს შემთხვევას არ დაეხსნა იგი.

ზედ ბზობა დღეს, ლაფაჩს მონასტრის ვირები დაეკარგა საძოვარზე. თუმცა მიმწუხრისას იპოვნა, მაინც მონასტრის წინამძღვრის ბრძანებით სვეტზე მიიბეს

ლაფანი და წმინდა მამები შოლტით სცემდნენ, ისევე როგორც პირველმოწამე ქრისტიანებს.

ხელდატანებაზე ამ სიერს თვალი მოჰკრა ანდორეთიდან ჩასულმა მოძღვარმა ზაქარიამ, იფიქრა, ამ კაცის უმოგონელობის დროს ეს მორჩილი მწიფი გამომადლებათ, ხარბ, ანგარ წინამძღვარს თუმნიანი აჩუქა და ლაფანი თავისთან უჯამავირო მოჯამავირედ წამოიყვანა.

ლაფანი სამუდამოდ გამოეთხოვა უდაბნოს...

ამბობდნენ, უდაბნოელმა ლაფანმა, რომ სოფელში ფეხი შემოდგა და დედაკაცები დაინახა, იკითხა, ესენი ვინაა არიანო?!

ლაფანი ნელა შეეჩვია სოფლის ცხოვრებას, უდაბნოელი მწიფი ზაქარია მღვდელმა ჯერ ყორანმთაში გაგზავნა: მელიორედ, მაგრამ მონასტრელი ძელორედ ვერ გამოდგა. იტყოდნენ ლამაზობით კიდევაც ტიროდაო, თან შავი ტყისა ძალზე ეშინოდაო. თითოეულ ბუჩქში მგელი ელანდებოდა, ერთი სიტყვით, ლაფანი გლეხის საქმისათვის არ იყო განენილი.

მაშინ ზაფხული იყო და მეპატრონემ სოფელში ჩამოიყვანა მეკალოედ, მაგრამ ლაფანმა არც ხარის საქმე იცოდა, არც ცხენის შებმა, არც კვერზე ტრიალი.

ერთ დღით, ცხენმა ტყუბი წიხლი ჰკრა საწყალ ლაფანს და მიასულმკვდარა, ძლიერ მოაბრუნეს!

მორბედ ბიჭადაც არ გამოდგა უხერხული ლაფანი, ხან რა ჰურჭელი დაამსხვრია, ხან ფული დაკარგა, ხან ფოფოლიას ტვინი აუზღვრია.

მღვდელს ყოველი იმედი გაუტრუვედა, აღარ იცოდა, რა ექნა. კიდევაც ნანობდა მის მოყვანას.

სწორედ ამ დროს გარდაიცვალა მოხუცი მნათე ისაკი და მონასტრელმა ლაფანმაც სრული შეგნებითა და მომზადებით დაიჭირა მნათის თანამდებობა ანდორეთში. აღბათ მამამისი—დიანოზ დიაკვანი სიბარულით საფლავში

გადატრიალდა, რომ შეიღმა საღვთო გზა არ დაავდო.

ერთგული, მისანდო ლაფანი მღვდლის პირმსახური და მეხვამიადე შეიქნა. ისეთი ნდობა მოიხვეჭა, რომ მთელი ოჯახი მას ებარა. დილიდან საღამომდის აქაურ შრომაში იყო გართული. შემოსავალი საკმაო ჰქონდა — ნათლობისა, ქორწილობისა, მიცვალებულისა, კურთხევისა, დღესასწაულებისა და სხვისა და სხვისა.

ხელმოკერილი ლაფანი ყველაფერს თავის ქონში ეზიდებოდა. იტყოდნენ: საღამოთი, როცა ბრუნდება, უსათუოდ შინ რაიმე უნდა შეიტანოსო, თუ ვერაფერი ვერ იშოვნა, აგურს მაინც შეიტანსო, — თუ აგურიც ვერ მოახელთა, კარგ ჭვას მაინც იპოვნის და ხელცარიელი შინ კარს არ შეაღებსო!

მონასტერში გაზრდილი, ჰამა-სამაშიც თავდაპირველი ებრძოდა ნაყროვანებას და ჩვირებში გახვეული უზალთუნებსა და კაპიკებს დღითიდღე უმატებდა, ნამალი ფული საკმაოდ უგროვდებოდა.

სოფელმა «ქვასქამე» უწოდა ძუნწობისთვის. აგროვებდა ლობიოს, ხახვს, კარტოფილს, ზვითონ არ ჰამდა, ინახავდა; ან კერძს ვინ გაუკეთებდა, რომელი დიასახლისი?

ამიტომ დადგა დრო ცოლის თხოვისა. გლეხკაცს რა უფლება აქვს, ცოლი არ მოიყვანოს, მეუღლე? მაშ, მარტოს ხომ გაუჭირდება ცხოვრება, უღლის გაწევა?!

ამ შემთხვევაში რას დაიშურებდა დეკანოზი თავისი ნამსახური ლაფანისთვის? ან ვინ დაუჭერდა ქალს დაუღვაშებულ ვაჟაკს, რომლის საღვთო წერილის ცოდნა ძირობაზე განთქმული იყო?

ერთ საღამოს, მწუხრის ლოცვის შემდეგ, როცა ორივენი ეკლესიასთან ყუდროში ისხდნენ, მღვდელმა მამაშვილური სიტყვა ჩამოუგდო ლაფანს ცოლის შერთვაზე.

— დროა, ბუნებისა და კაცობის წესი შეასრულო!

ლაფანი ამ სიტყვას არ მოელოდა და

მორცხვად თავი დახარა. როცა მოძღვარმა კიდევ გაუმეორა, მაშინ ლაფაჩმა იუარა ცოლმდომობა, — როგორც უბიწო ვარ დედის მუცლიდან, ისევე უნდა ჩავიდე საფლავშიო. თურმე დედაკაცი ეჯავრება მას მერე, რაც ევამ ადამი ადინა! წრფელი პასუხი მღვდელმა მორცხვობად მიიჩნია და კიდევ შეეკითხა, თუ რომელ ქალზე მისდიოდა თვალი. შეშინებულმა მნათემ მიუგო, მწვავეს ცეცხლი ქრისტეს სიყვარულისა, სულის ცხოვრებისათვის ვზრუნავ და იმ სოფლისათვის საგზალს ვიშვადებო.

მღვდელმა განუმარტა, თვითონ ღმერთს არ მოსწონს ადამიანის მარტობა და ქორწინება — ქრისტესა და ეკლესიის კავშირის მომასწავებელიაო, მოციქულებიც ამას იტყვიან: წმინდაა ქორწილი და შეუგინებელია საწოლიო. შემდეგ ისევ გაუმეორა, თუ რომელი ქალი მოსწონდა თვალად და ხორცად, ან ვისი ნდომა ჰქონია როდისმე.

როცა ლაფაჩმა აცნობა ამ გრძნობის გამოუცდლობა, გაცოფებულმა მოძღვარმა ხელი შესტაცა და მარცხენ: ყბაზე სილა გააწნა. ლაფაჩი პირქვე დაემხო, გაეცხლნათებული მამა ზაქარია კი ხოთხოთითა და წვერის გლგვით დაბრუნდა სახლში — დამიხედეთ, ქრისტეს თიხის ყმაწვილი!

ლაფაჩი საგონებელში ჩავარდა:

— კაცო, შეშვამა გონებამ. რა ვქნა. ვერ გადამიწყვეტია! ჩემი სულიერი და ხორციელი საქმე უფალს დაუუმორჩილე. მღვდელი კი თავისას მიბრკანებს. თუ არ დაუუჯერე, გამირისხდება და რაღა ვქნა საბრალობელმა?! — წერილი ხმით შესჩიოდა მნათე გლეხს ყაყაურს:

— უნდა შეირთო, მაშ, ან აქამდე როგორ სძლებ ოცდახუთი წლის ვაჟკაცი უპასუხებდა ყაყაური და თან უამბობდა, თუ როგორ დაძალა თვითონ ის, ოცი წლის ბიჭი ქალის სურვილმა. როგორ აწვებოდა სისხლი და უხურდა გული. მაშინ მას საქმეც ეზარებოდა, მინდორსა თუ ტყეში ქალის აჩრდილა

ეჩვენებოდა, ბოლოს მამამ დასტურა დასცა და დანიშნა. ყაყაურის დანიშნული დაშორებულ სრფელში ცხოვრობდა, გუთნობის დროს იყო! გუთნას რომ ჩაშლიდნენ, მებრე ყაყაური ღამე გავარდებოდა დანიშნულთან ტყბილსა ალურსს შეირგებდა, ისევ გამოირჩენდა დღის მანძილს და ცისკარზე, შებმის დროს ისევ გუთანთან იყო...

ლაფაჩი გაკვირვებული უყურებდა მეგობარს, უნდოდა გონებით მაინც მისწვდენოდა, მაგრამ ცივი გონება ქალის სიტყვობას ვერ სწვდებოდა.

— მერე ქალსაც უხაროდა?

— ქალი? ჩემს მისვლაზე ვერხვივით თრთოდა, ცახცახებდა, მყნოსავდა, მიკოცნიდა მკერდს, მარჯვენას, შუბლს, იწურებოდა და ამ დროს მზე რომ გეჩვენებინა, ზედაც არ შეხედავდა, მე ვერჩივებ ქვეყნიერებას!

როცა წამოვიდოდი, კარებთან ამეკვრებოდა მოღვედილი და კოცნაში მეტყუოდა:

ნეტავი ნისლად მაქცია,
გამოვივლოდი ქართო,
იქ დავიწყებდი წვიმასა,
საცა შენა მხნავ ხართო!

— კაცო, რა არ ხდება თურმე ქვეყანაზე, რა ყოფილა ეს წუთისოფელი? იღიმებოდა ლაფაჩი და არა სჯეროდა. თუ როგორ შეიძლებოდა ქალისთვის, შუაღამეს, დაღლილმა ადამიანმა სოფელსა და მინდორს შუა ამდენი მანძილი ირბინოს.

ბევრი იფიქრა ლაფაჩმა, ბევრი ილოცა, რომ ღმერთს მაინც ჩაეგოსებინა მღვდლისთვის, დახსნოდა და ლაფაჩის სიწმინდე შეენახა, მაგრამ შემოდგომის ერთ საღამოს, როცა ჰაერი იყო შეღვივებული, ლაფაჩი და სოფლის მზეთუნახავი თაფლუა მართლაც თაფლსატკბურა, ღვდლის ნასაყვარლევით, მოფარდა-გულ საქორწილო ურემში ისხდნენ თავგვირგვინიანები და ჯვარისწერის მერე სახლში ბრუნდებოდნენ; უკან ნაბღიანი მაყრები მოშილინდობდნენ თოფების ცლითა და ღრიანცელით. ლაფაჩი უჩუ-

მრა იჯდა დამკვრახულ გოგოსთან. ლაფანმა ფიქრობდა, რომ ქორწინებით მღვდელმა დიდ ცოდვას შემოჰპყარა და უფალს პატიებას შესთხოვდა აღთქმის გატეხისათვის უნებლიე მაინებელი.

როცა მაყრიონი ქალიანთას მივიდა, მილოცვების შემდეგ, როგორც საქორწინო წესია, ლინი გაიმართა. თამაშის დროს ნეფე-პატარაძალიც გამოიწვიეს. ყელმოღერებულმა პატარაძალმა წიკს ჩამოუარა და ნეფეს მორცხვად თავი დაუკრა. ნეფემ უკან დაიხია და ხალხს შეერია. როცა ჩააცვიდნენ, გააცხადა, რომ მონასტერში ცეკვა არ უსწავლებიათ. ვახშამზე ცვარი ღვინო არ დაუღვია. მღვდელმა მოაგონა საღვთო წერილიდან, რომ ღვინო ახარებს გულსა კაცისასაო! საღვთო წერილის ხათრით ლაფანმა ერთი ჯამი ღვინო დალია და კიდევაც სასულიერო იმღერა.

ჩხაოდა, როგორც განკეთრებული კატა.

თამადამ მაინც უქო სიმღერა და შეპირდა, თუკი დრო დარჩებოდა, კიდევ ამღერებდა.

ნავახშამევი სუფრა აიშალა და მაყრიონი სიმღერებითა და მოძახილებით ახლა ნეფის სახლში გაემგზავრა. აქ, საქორწილო წესით, კარიბჭეში ნეფეს ჯამები დაუწვევს სამტრეველად. ნეფემ პირდამხოზილი ჯამი ვერ გატეხა, თუმცა ფეხი მეორედაც დაადგა. ნეფის უძღურება ეჯიბმა სიმთვრალეს გადააბრალა და ბოდიში მოხადა. თვითონ კი ორივე ჯამი წუთში დაფხვნა. პატარაძალს ფერი აღარ ედო, თითქოს ფილენჯის ქარი სცემოდა.

ახლა ნეფე-დედოფალი ამოწვდილ ხანჯლებშუა გაიყვანეს, მილოცვის მერე დედაბოძი შემოატარეს და საქორწილო ვახშამზე დასხეს.

სუფრის ხმაურობა ზვადების გრილსა ჰგავდა. ასხამდნენ ჯამებით, ხელადებით, საღვინეებით. ახალმოხარდ ვაყებს საყმაწვილო ქარი უქროდათ, ლაღანა პატარაძლის ეშხით გამძრებულ ჯამებს ჰერში ისროდნენ. ლაფანს კი თავი სტკიოდა. ეჯიბმა ორჯერაც გაი-

ყვანა კარში, თითქოს ვიღაც უმანდ ნეფეს რაღაც საქირო საქმეზე.

სუფრა არა ცხრებოდა, ლინის ალღოც ასა სწვდებოდა. ლაფანს კი თავი უტრიალდებოდა. დასასრულ, მზაკაპა თამადამ ქორწინებულს უბრძანა, ძველებური ქორწილის რიგი არ მოეშალა: მზეთვალა დედოფლის შავი ნაწნავები ღვინიან ჯამში ჩაეყარა და ღვინო ისე დაელია. ლაფანმა ორჯერაც ითხოვა ძნელი საქმის ამორება. მესამედ წარმოთქვა, რომ ღვთის მსახურს არ შეშვენის მრუშობა. მაშინ მთვრალმა ეჯიბმა ჩვეულება თვითონ იკისრა. თამადა რომ პირფიცხელი არ ყოფილიყო. ბეერი ახალგაზრდა იწვენედა შავი ნაწნავების გემოს.

შეთენებულზე, როცა ცისკარმა გვირგვინი ჩამოიყარა, მეჯვარე-ეჯიბმა და მამასახლისმა, ვახშმის უკანასკნელმა მოწმეებმა, სამ-სამი რქა კიდევ გადაჰკრეს. ნეფე-დედოფალი გაფარლულ ოთახში შეიყვანეს, თეთრად გაქათბებული მზითვის ლოგინი დაანახვეს, შეეხუმრნენ და გულის წაღილის მიწვევა უსურვეს.

— მარცხენა მკლავთან დაწვინე. უფრო ახლოა გულთანაო! — ურჩია მამასახლისმა.

რა მოხდა იმ საშინელ ღამეს. ეს ღმერთმა იცის, გულთა მხილავმა. პატარაძალმა თაფლუამ მესამე დღესვე დატოვა ლაფანის კერა და გვირგვინი.

ამ ამბავმა მთელი სოფელი აანჩქრია. უფრო დედაკაცები ლაპარაკობდნენ ბევრს, როცა წყაროზე შეგროვდებოდნენ, ან სიმინდს არჩევდნენ, ან, როცა შემოდგომის ქინელი ოხშივარად დაეცემოდა, კრამიტანსა და ჩალიან ქოხებს. თუ ლაპარაკში მამაკაცი შეესწრებოდათ, მყისვე ჩაწუმდებოდნენ.

ხალხმა დაუნდობლად იბრუნა პირი ლაფანისაგან.

ქორწილის დღიდან პატივი დაკარგა. მთელმა სოფელმა ზედ გადააბიჯა, როგორც გადარღვეულ ღობეს.

— არაკაცი!

— დაკოდილო!

✦ უსვენებდნენ ჩასაფრებულები.

დედაკაცებს მორცხვად ელიმებოდათ.

— ძეძვთან ხომ არ იწვა! — სინანულთ ამბობდნენ მოხუცები.

ლაფაჩი ან ყურს მოიყრუებდა, ან, გაცოფებული, ქვის სროლით დაედევნებოდა აბეზარ ბავშვებს სოფლის შარაზე.

ამ წუთას იგი თრთოდა, როგორც ქარისგან შერყეული ფურცელი. კონაგრები არა ცხრებოდნენ, აცვივდებოდნენ წიგვის ხეზე და იქიდან გადმოჰკიოდნენ:

— უმაქნისო!

— გადაჯიშებულო!

— ფუნდურა!

ღონემიხდილი ლაფაჩი კბილებს აღრქენდა.

— სათათრეა ჩვენი სოფელი!

— ჯოჯოხეთია, — შესჩივლებდა გაშვლულს.

— არა-კა-ცო-ოო-ოოო!!!

— ე-ე-ე-ე-ეეე!!!

ხითხითებდნენ ასპიტის ნათხევები.

სამასსამოცდასამი წმინდანის ძალით მაწყვეარი ლაფაჩი დაბურულ ტყეს აფარებდა თავს.

უფრო საბრალო სანახავი იყო ლაფაჩი, როცა სამრეკლოზე წირვის ზარებს რეკდა. დოღრიალა ბიჭები, ხროვა ქვევიდან ამკობდა ლაფაჩის ვაჟკაცობას ქორწილის დამით.

შურაცხმყოფელი ხმების დასაფარავად მნათე მოუხშირებდა ბოხი ზარების რეკას, ბერტყავდა ზარებს, მაგრამ რა შეუძლია სოფლის ზარს, მსხალივით რომ ჰკიდია სამრეკლოზე?!

მამა ზაქარიამ საშინლად აიყარა გული ლაფაჩზე. პირში არა უთქვამს რა, გადაწყვეტილი კი ჰქონდა დათხოვნა, მის მამაშვილურ არჩევანს რომ სახელი გაუტეხა.

მერე დეკანოზს არ უყვარდა უნაშენო ხალხი. მათ საბასრობელად ხშირად იტყოდა:

— ყოველმან ხემან, რომელმან არ გამოიღოს ნაყოფი კეთილი, მოეკვეთოს და ცეცხლსა დაედვას!

— ვინც შეილოსნობა ვერ ამოაშობინოს, ის წყეულიაო!

ამიერიდან ლაფაჩმა უნაყოფო ყოველივე დიდება და სიმდიდრე იგი მიხვდა, რომ ეს ქვეყანა „წუთის“ სოფელია და მეტი არაფერი გამოიხიზლა!

თუმც ისევ უყვარდა ჯიბის ჩხრიალი, მაგრამ, როცა თვიურ შემოსავალს დათვლიდა, შაურთან-ორშაურთანებით შეძენილი სიმდიდრე გულს აღარ უხარებდა ძველებურად, დაკარგა მიმზიდაობა.

ლაფაჩის ფიქრები ახლა მხოლოდ საიქიოს კარიბჭეს ეხლებოდა. იქითყენ ქროდა მისი ფიქრების აფრები!

— სამუდამო ცხოვრება, სულის ცხოვნება, ეშმაკის ჭანგებისაგან თავის დაპრომა, აი, მისი სადარდებელი! ფულისა ბევრი აღარ ენალვლებოდა, ოღონდ ახლა თავისი სულის სახსრისთვის აგროვებდა და აუნჯებდა ყველაფერს.

იცოდა, რომ არავინ თავს არ შეიწუხებდა მისთვის არც სიბერეში, არც სიკვდილში და გადაწყვიტა, თვითონ მოველო თავის თავისთვის, თვითონ ეზრუნა და ექირსუფლა.

უპირველესად მან ეკლესიის ეზოში იყიდა თავისი საფლავის ალაგი და კიდევ ამოაქრეინა. ზედ ფიცრები გადახურა და ღრობით მიწა მიაყარა.

ახლა საფლავის ქვაზე შეუდგა ფიქრს და იგიც მოიპოვა! მან დაიბარა კოსტა ბერაუხი, ქვისმთლელი ხელოსანი, დაჰპატიჟა, ღვინო ასვა და მერე გაანდო თავისი საიდუმლო დიდი ფიცითა და მუდარით.

კოსტამ დიდად მოუწონა განზრახვა. იმაზე კარგს რაღას გააკეთებ ამ წუთის-სოფელში! ამ საქმის კეთილად წარმართვის საგანგებო სადღეგრძელოც კი დალია!

საფლავის ქვა ტინიან კლდეში მოაგლეჯინა. მაგარი ჯიშის ქვაა, ლურჯ-თეთრი, საუკუნეებს გაუძლებსო!

კოსტა ბერაქენმა გათალა, გაჩარხა და შემამო ყვავილებით. თვითონაც ზედ

იყო ლაფაჩი გამოჭრილი ქართულ მას-რებიან ჩოხაში, (თუმც ლაფაჩს არასოდეს ჩოხა არა სცმია), თექის ქულში, ძველებურ ჰვინტიან წაღებში.

მაღალი, ახმაზი, ავადმყოფური კოსტა ბერძენი შემოხიზნული იყო ჩვენს სოფელში. საბერძნეთის ძველი იმპერიის აღდგენაზე ოცნებობდა. როცა გახეთს გავშლიდით, იკითხავდა, რა სწერია საბერძნეთზეო, ტრაპიზონი ხომ არ დაუბრუნესო, თან დასძენდა:

— ამბობენ, დრაბიზონი ჩვენი უნდა იგოსო!

პატიოსანი იყო კოსტა ბერძენი. მაგრამ წვრილშვილი, ღარიბი, ლოთი, თანაც ავადმყოფი.

ამიტომ მუშაობა ხშირად თვეობით ბრკოლდებოდა, ლაფაჩი — შეშინებული, რომ ქვის შემზადებაზე აღრე არ მომკვდარიყო — საწყალ კოსტას ქოხში მიუღვარდებოდა ხოლმე, წყევლიდა დედაკაცურად, ტუქსავდა, აგინებდა, მაგრამ თან ღვინოს მიუტანდა, ან ფულს წაამატებდა და საწყალი ხელოსანი ვაინაჩრობით აგრძელებდა მუშაობას.

ეპიტაფია მოკლე და მარტივი იყო, ჩვეულებრივი. ცოტა კანცელარიის სტილი დაჰკრავდა, რადგან სოფლის მწერალს შეედგინა სამ მანეთად.

როგორც იყო, ქვა მოასრულა კოსტა ბერძენმა და ლაფაჩის გულმაც გაიხარა და იზეიმო ახლა მას აღარ ეშინოდა სიკვდილისა. ამიერიდან სიკვდილსა და მის შორის აღმართული იყო საიმედო ჯებირი — საფლავის ქვა, რომელიც არ ჩაჰკარგავდა ლაფაჩს, არ ჩაუგდებდა ხელში დავიწყებას, შემუსვრას!

რალა უშავს ლაფაჩს! გული დაიარხეინა!

საფლავი ხომ ამოთხრილი ჰქონდა ეკლესიის ეზოში, გადასახედზე, საფლავის ქვა მზა წარწერით დერეფანში ედგა, ტილოგადაფარებული. ბევრი ცბიერი და დამცინავი განგებ ჩამოჯდებოდა ხოლმე ლაფაჩის საფლავის ქვაზე. მნათეს გული მოსდიოდა, მაგ-

რამ ვერას ამბობდა ხათრითა თუ შიშით.

ერთი ხინჯი ჰქონდა ჩარჩენილი: ეპიტაფიაში მარტო სახელით იყო იგი მოხსენებული. მამის სახელის მოხსენება დავიწყებოდა ეპიტაფიის დამწერს.

— ვაითუ მამიჩემის სულმა მიწყინოს, შვილმა მიუცადრისაო!

— ვაითუ მეორე მოსვლის დროს ღმერთმა ვერ მიპოვნოს, სხვაში შემშალოს, სხვისი ცოდვები მე მამკითხოსო! — ჩიოდა ექვში შესული ესტატე ლაფაჩი.

— ტენი გამიშავდა ამდენი ფიქრით! — ჩიოდა გულის სატკივარს. მაინც ისე დღე არ გავიდოდა, რომ სუფთა საფლავის ქვა ცოცხით არ გადაეგავა არარსებული მტვერის გადასაწმენდად და კიდევ ერთხელ არ ჩაეხედა საკუთარ სამარეში. დიდხანს ჩაპყურებდა შიგ, მაგრამ ბევრ არას ფიქრობდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ მისი საფლავი მხოლოდ სულ მცირე ხნით შესასვენებელი აღვილია სამოთხემდე, რომ უფალი აქ არ დააყოვნებდა და მალე პირდაპირ სამოთხეში შეაფრენდა!

მაგრამ აქაც ხომ უწევდა ყოფნა! ამიტომ მართებდა სუფთად შენახვა, რომ სამოთხეში ჰქუქყიანი არ შესულეყო!

— არა, არ დაწვავს სულს, ეცდება სისუფთავე არ მოაკლოს თავის განსასვენებელს! კუბოსთვის ცალკე ჰქონდა ნაყიდი თახახიანი მიტკალი, დიდად საიდუმლოდ შენახული შიგ ლეიბში.

— ამრიგად, ყოველნაირი თადარიგი იყო გაწეული. ვინ შეიტკიებდა თავს მისი საფლავის, კუბოსა და საფლავის ქვისათვის?! მერე, გინდაც ჰყავდეს გულშემატკივარი, ვინ მოიცლის მისთვის ამ აწყწილ დროში? — არავინ.

ეს იცოდა ზედმიწევნით და კმაყოფილიც იყო, რომ თავისი სულის საქმე თვითონ სიცოცხლეშივე უზრუნველყო და არც არავის ვალში იყო ჩამდგარი.

იდგა დამშვიდებული ლაფაჩი და

ელოდა სიკვდილს კულგრილად, როგორც ელოდებიან ხოლმე თოვლის მოსვლას. მეტი არაფერი.

ვაი, კიდევ ახალი საზრუნავი გაუჩნდა ლავანს: საკუთარი ალაპის ხარჯები და სულის ცხოვნების სასყიდელი. რატომ აღრე არ გაითვალისწინა? ახლა კიდევ უნდა აგროვოს კაპიყებით!

არც ეს იყო იოლი საქმე. ჰქუამთვრალი ბევრს ფიქრობდა და მრავალი ფიქრის შემდეგ კიდევ გადაწყვიტა, ამიერიდან ყოველი მონაგები თავისი დამარხვისა და სულის ცხოვნების საქმეზე გადაეგო უყოყმანოდ, ნება-შეუტყვევლად. აქი ყოველდამ, ლოგინში რომ ჩაწევბოდა, ის აბეზარი ფიქრები საფლავის, დამარხვისა და ალაპისა ტვინს უხვრეტდნენ.

ამიერიდან უფრო უკლო თავის კვებას. ცარიელ ნიახურზე გადადიოდა. იკით, რა არის ძალღვადავლილი ნიახური?!

მაისის ერთ დილას წისქვილში წასული ლავანი საღამოთი იმავე ურმით ამოიტანეს. იორს დაეცადა, ათრთოლებდა, აცენესებდა. უბრალო გაციების მეტი ლავანს არა სჭირდა რა, მაგრამ ლავანმა სასიკვდილოდ გადადო თავი. ეგონა კარზე სიკვდილი მიუხდა. ოხვრის ლოგინი დაიგო, ეს არი, საწუთრო უნდა დაეცალოო, თავზე ხილაბანდშემოკრული და ღურატყავწამოსხმული მწარედ აცენსოდა ღერეფანში, სადაც მერცხალი კუდს ვერ მოიქნევდა.

მეორე დილას თვითონ მღვდელმა ინახულა სიკვნიაკრავი.

ლავანი მიემყვდარა, თითქოს გული შემოეხარწა:

— კვდები, მამაო, კვდები, მივალ წინავე უფლისა!— აცენსით იტყოდა ლავანი და უფრო ძვრებოდა საბანში. მღვდელმა სიკვზე გაუზომა. საზომი საშიშს არაფერს ამბობდა. მღვდელს გულში ელიმებოდა, — მამაო, ჩემი ცხოვრების წიგნი დაიკეცა! შენს ნათელით შემოსილ მარჯვენას ვეხვეწები, ისე არ მომკლა, ზეთი არ მიკურთხო, ანდერძი არ ჩაიბარო!

— სიკვცხლეს შეუკეთე, რად გრნდა სიკვდილის ფერი დაიდო? — ეუბნებოდა ლავანს ბუნება,

სოფლის ექიმბაში დოია მხნედ შეუდგა წამლობას და ვითომც სენს მიავნო; თუმცა ავადმყოფს ბაყაყის ნახარში წვენი დაალევინა და მიმინოს ქონით ბეჭები დაუხილა, ლავანი მაინც კვენსოდა, ზარდაცემული წუთისოფლიდან გრძელ სოფელში გადასახლებას ელოდა. უფრო კიდევ იმისა ეშინოდა, რომ უღასარებოდ და ზეთის უცხებლად არ მომყვდარიყო! ზეთის ცხება დიდი ცერემონიაა და მღვდელი როდი ასრულებს მცირე სასყიდლით! ლავანმა თავისი ნათლიამა ყაყინა მღვდელს მიუგზავნა, ზეთისცხება მოითხოვა.

ლავანის ამბავი მთელ სოფელს მოედო. მალე ქირისუფლებიც გამოჩნდნენ. მნახველი მოდიოდა, ავადმყოფს მოაკითხავდა, ანუგეშებდა, მაგრამ წასვლისას უსათუოდ ხელს რასმე გააყოლებდა. იმ დღეს ლავანმა დაკარგა: წალდი, მწნილის ქილა მწნილიანად, ასტამი, აქანდაში და სხვა რამ საქონელი. გაკვრა იყო და წაგლეჯა!

კარის მეზობლები — ციმფია და მარინე — ატირდნენ, როცა ლავანი ნახეს ქვეშაგებში მწოლი, წასვლისას კი ახლად გამოპირული ცული ხელს გაატანეს.

გამოვიდა ხუთი დღე. გადამწირული ლავანი ისევ შფოთავდა. მნახველები ისევ მოდიოდნენ, ისევ მოჰქონდათ, რაც ხელში მოხედებოდათ. ზოგი უფრო ზომაზე თავხედი გამოჩნდა, მომაკვდავ ლავანს პირდაპირ სთხოვდნენ სახსოვრის დაგდებას.

საქმე გლეჯაზე მივიდა.

— ლავანო, შენი უნავირი მე მინახსოვრე! — შესთხოვა მამასახლისმა.

— მაინც უნდა მაკვდე და მაკვდე! შენი ახალუბი მე მომეცი, ტანზე კარგად დამადგება! — ეუბნებოდა ლოთი მჭედელი ყიჟალა.

— სულ მომწონდა შენი ხალიჩა,

მე დამირჩინე შენი სულის ცხოვნებას, ქალი მყავს უმზითო! — იხვეწებოდა დედაბერი თოთოშა.

ლაფაჩი ყველას ჰპირდებოდა სათხოვარის გასრულებას. გული კი სტიკოდა, რომ ყველა ასე იოლად, ადვილად ელეოდა მას, უგულისტკივილოდ.

ბოლოს, ნაწირვევს, მღვდელი შემობრძანდა ზეთის საკურთხებლად.

თავშეკრული და საბანწამოსხმული ლაფაჩი სანახევროდ წამოაყენეს ლოკინიდან ლოკეების მოსასმენად. „ზეთის კურთხევა“ სრული წესით იქნა გადახდილი. გულშიმე ლაფაჩი ორ კაცს ეპირა დამხარადამხარებული.

მღვდელმა აღსარება ათქმევინა. აზიარა. მისამარებული ლაფაჩი კნავილით ძღოვს იღებდა ხმას.

ამ დროს მრავალი მეზობელი მსუნაგად შემოხვეოდა მნათის სახლს. იყურებოდნენ კარებიდან, ფანჯრებიდან, ფიცრულის ქვრიბილოებიდან და სიცილით იქაქებოდნენ.

ზიარების შემდეგ ლაფაჩმა მოითხოვა საჯაროდ წაკითხულიყო მისი ანდერძი სოფლის თავკაცების დასწრებით.

ლაფაჩმა ჯაგრიანი უბიდან ამოაძვრინა გრძელი, დაოფლილი ქაღალდი და წასაკითხად მღვდელს გადასცა. ეფრატ ბერს სხვა ანდერძების მიზამვით შეედგინა და ჯილდოდ ოქროს თუმნიანი მიელო ლაფაჩისგან.

მღვდელმა სამჯერ ჩაახველა და ხმამალა ჩაიკითხა: „ნებითა უფლისათა მე, მწარედ ცოდვილი ესტატე ლაფაჩი, სრულ გონებაზე დაწერილ ანდერძს უპველი სულითა და კეშმარიტის გულითა მოგახსენებთ, ახლა ღვთის სიყვარულისათვის, ჩემი შენაცოდარი შემინდევით და ჩემი უბადრუკი სულის მოხსენებას ნუ დაივიწყებთ“. კითხულობდა მღვდელი და უკვირდა ანდერძის ენათქმა და სიბრძნე.

„მაცდუნა მე წუთისოფელმა და ახლა ვთრთი მე, თიხაშეზელილი. უარყოფ სატანას და ძალსა მისსა,

ვლიარებ და ვადიდებ უფალსა ჩემსა იესოს და ყოველი, ჩემი ცოდვით შემატებული ჰირნახული და მოწაგარი ჩემი გაძალღებულმა სულმა დასახსნელად გადამიდგია. ჩემი საწყლობით შეგროვებული და შრომილი ნაღდი ფული ასე დამიხარჯეთ:

ა) არჩეული მაქვს ძვალთა ჩასაყრელი. ზედ დასადგმელი ქვაც შემზადებული. ცოდვამც შემოყვაროს, ვინც ამ მტკაველ მიწას შემომედავება, ვინც ჩემი ძვალი საფლავიდან დაძრას. სამი თუმანი გადამიდგია საფლავის ქვის საკურთხად დავით გარეჯისათვის, ხუთი თუმანი უდაბნოს წარეგზავნოს.

ბ) ხუთი მანეთი მიერთვას მამა ზაქარიას ჩემი სულის გასაწმენდად. გაისარჯოს, სანამ ცოცხალი სუფევდეს, ყოველ მის ლოცვაში მოხსენებულ ვიყო, ვიდრე მისი ნათლით შეგრაგნილი მარჯვენა უსისხლო მსხვერპლს შესწირვიდეს.

გ) შეიღის წირვისა, ორმოცისა წლისთავისა და ყოველწლივ საფლავზე ჯვარის დაწერისათვის მომირთმევია ორი ცხვარი.

დ) ახალკვირის წირვაში მოიხსენიონ ჩემი თავიდან გვირგვინის ამხდელი ცოდვილი მეძავი, მემარუშე თაფლუა, — ჩემი თავის მკვეთელი, ვითარცა ეროლიადა.

ვინც ჩემს მერე მნათედ დადგება ჩემს მაგიერად, მიეცეს: ჩემი ქვეშაგები, ნაცვამი ტანისამოსი და ნაშალი ნივთი.

ე) ეფრატ ბერს ჩემი დამარხვის თადარიგის გულმოდგინებისათვის ჩემი ნაღდიდან ოცდახუთი მანეთი მიეცეს“.

ლაფაჩმა უეცრად დაარღვია სიჩუმე და კნავილით წამოიძახა:

— ეგ ჩემი ხვაშიადი არ არის!
— ეგ მე არ დამიწვრინებია!

მღვდელმა ცივად შეხედა, მაგრამ ყური არ უგდო.

— მამაო, შენი რისხვა არ მაქვს, ეფრატ ბერს თავისი კუთვნილი ფული ანდერძის დაწერამდე აღებული ჰქონდეს. — უკვე ჯანსაღი ხმით მიჰმართა

მღვდელს ავადმყოფმა, კიდევაც წამოიწია განრისხებით.

მღვდელი განაგრძობდა ანდერძის ჩაქოთხვას:

„ზ) სოფლის ღარიბებსა, უჭონელსა, ქვრივებისა და ობლებსათვის ჩემდა სასულიეროდ შემიწირავს:

- წვრილი ქვაბი ორი,
- უყურო ქვაბი ერთი,
- ფლავის საწურავი,
- ჩამჩა ერთი,
- ტაფა ერთი,
- ქაფქირი ერთი.

ხოლო ვინც შემიცვალოს ანდერძი, შესცვალოს გამჩენმა პირისაგან. იყავნ მიუყენისამდე წყეულ და შეჩვენებულ სულითა და ხორციითა. ხოლო ანდერძის დამამტკიცებელი ღმერთმან აკურთხოს მშვიდობით!

სამუდამოდ ამ ქვეყნიდან წასული ესტატე ლაფაჩი შეიწყალეთ. ვიყავი და აღარა ვარ. გაქვრი, როგორც ბოლი და კვალი ნიავისა. გავხდი მიწა და ნაცარი! დანო და ძმანო, შვილნო და მამანო, შენდობა მიბოძეთ ღვთის გულისათვის!“

როცა მღვდელმა უკანასკნელი სიტყვები ჩაიკითხა, ლოგინზე წამოიჯდარმა ლაფაჩმა ქვითინი ამოტეხა. ხუმრობის გუნებაზე შემდგარ მეზობლებს ლაფაჩი შეეცოდათ, ზოგმა თითო წყვილი ცრემლი ჩამოყარა, თითქოს მარტო ახლა დაიჯერეს მისი სიკვდილი.

ცრუ სულთმობრძავი ავადმყოფი დიდხანს ამშვიდეს, მღვდელმა ეკლესიითაც კი შეაშინა, ღმერთს არ მოეწონებოთ, მაგრამ დიდხანს ვერ დააჩუმეს.

ბოლოს მიყუჩებულმა ლაფაჩმა ანდერძის გამგეებს შესთხოვა, რომ ის ცრუ მუხლი ანდერძისა, ეფრატ ბერისგან სათავესოდ ჩამატებული, ამოეშალათ. ამაზე მღვდელმა ბრძანა, რომ წაქოთხვის მერე ანდერძი ძალაშია შესულიო, შიგ დიდი წყევლაა ჩართული და წაქოთხულისა და გამოცხადებულის შემწია აღარ ეგებოსო!

— თუ შენ თვითონ უპატროდ შრიქეცი, სხვა უარესს ჩაიდენს და ანდერძს ძალა შეერყევა! — შეადგვენ თაქეცები. საწყალი ლაფაჩი დათანხმდა. კარში კი უცაყოფილო ლაპარაკი გაისმოდა ღარიბებისა.

— საკმელა და ფული მონასტერს უანდერძა, ჩვენ კი მშრალი ქვაბები!

— შიგ რა მოცხარშოთ?

— ამ იმედით ველოდით განა მაგ ეშმაკის სახორცის სიკვდილსაო?

— მაღლა წერო მოფრინავდა, ქვეშ შამფურსა სთლიდნენო!

ღარიბები უსამართლოდ ლაყბობდნენ.

ლაფაჩის ეზოში სამრავალკაცო სუფრა იშლებოდა. ესტატე ლაფაჩი წინასწარ იხდიდა თავის ალაპს. ყველას ერგებოდა აქედან თითო ნაჭერი ხორცი და ჯამი ღვინო.

განა დამაიწყდა ლაფაჩის განკარგულება, ქელეხის შესახებ რომ გასცა მან ალაპისთვის ორი თოხლი დააკვლევინა; ხუთთაფიანი ქვევრი მოახდევინა, სულ მოატანინა თავისი ნაგროვი ლობიო, კარტოფილი, ხახვი თუ მწნილები. ამრიგად, სულ დახარჯა, რაც მონაგარი ჰქონდა შთელ თავის სიოცხლეში და სულს კი მოუარა.

სუფრა მწვანიაზე გაიშალა, ეზოში. ამინდი მშვენიერი იდგა. ფშატი და იასამანი გაზაფხულს აბოლებდა...

ქელეხი დიდი მოკრძალებით დაიწყო, როგორც სამგლოვიარო წესს შეშენის. კაცებმა შოთი პურები გადატეხეს და ბოზბაშის წვეს ჩუმად ხერემა დაუწყეს. დედაკაცები ჩამკნარ ყებებს ალაღლაღებდნენ და უფრო ლავაშს ეტანებოდნენ. მაღე კაცებმა უღვაშებზე გადაისყვეს ხელი და მოლხინებულმა ჯამებმაც ჩაიარ-ჩამოიარეს. ნოყიერ ჰაერის სურნელს ცხერის გემრიელი სუნიც დაერთო. ძველი მქელეხე ეთიბერა, უკვე მუცელამოხვერილი, კერძებს არიგებდა და მანაც ცალყბად ილუქმებოდა.

შარვალგამოღარული პატარა ბიჭები გადაჩენილ კაკლის ძირში სუფრი-

სათვის მწვადებს აბრუნებდნენ. აღმერთული ქონი შხიოდა, ნაცარში იღვენთებოდა ბიჭები ნერწყვისა ყლაპავდნენ.

მწვადის მოლოდინში კაცებმა ჯიბის დანები მოიშველიეს და ნიგვზისკენ რამდენჯერმე გაიხედეს.

ლაფანი კი ჩაწულ ლამპას ჰგავდა.

იწვა მწუხარად, როგორც შეპფერის საფლავის ტუსალად გამხადებულ სუდარით ხელფეხშეკრულს.

ვინ იცის, რას არ ფიქრობდა? იგონებდა ცოდვებს და ვერ მოეგონებინა. მაინც მოწიწებით პირჯვარს იწერდა და კუთხეში გაბოლილ ხატს შენდობას ეხვეწებოდა:

— მოიხსენე, უფალო, წყეული და შეჩვენებული ესტატე ლაფანი!

— უფალო, მიხსენ პირთაგან ლომთასა!

მოაღაპებებს კი ქელების მგლოვიარება გადაელახათ, ჯიხეები ჯახუნობდნენ. თამადა „მწვანე იაგორა“ სადღეგრძელოთი ილოცებოდა: გაუმარჯოს დედამიწას, ღონიერსა, უშრეტელსა, უღვეელსა, ჩვენ ხალხსაო!

ლაფანი კი ნაღელიანი, სულთამბრძოლი იწვა ხმელ ტახტზე. — იწეკი, ვერე იწეკი ლაფანო, ვიდრე გამოგადვიშებდეს ანგელოზების ნალარა!

ლაფანის დაღამებულმა გონებამ ასი სახილველი გაიარა: აი, მოკედა, განვიდა ამ სოფლით, მისი სული იქცა პებლად, გაფრინდა სასულეთოში. მისი თბილი გვამი გაასწორეს, გადააჯვარედინეს. მერე ფეხები შეუკრეს მიტკლის ნაჭრით, თვალეები დაუხუტეს, თავთ ჯამით ღვინო დაუდგეს, ბოლოში — ხორბალი. ხელთ ნაშწავი სანთელი მისცეს და შენდობის ქალღი. საკუბოოდ გაზომეს, მერე განბანეს, გაპარსეს, ამერიკოს გასანთლული სუდარა წააფარეს. ცხვირში საკმელი დაუცეს, პირში ბამბა. დაიწყო ტირილი. უში, მოთქმა, გლოვა...

მაგრამ არავინ დასტირის ლაფანს. მოტირალნი მხოლოდ თავის მიცეალებულებს იგონებენ და კუბოში უხვად

აწყოვენ ჩურჩხელებს, ტყლაპებს, ვაშლებს მათთვის გადასაცემად. ~~კეთილმეტყველებს~~ ~~სიციცხლმეტყველებს~~ ~~სიციცხლმეტყველებს~~

გასცილდა სიციცხლმეტყველებს სოფელს და საიქიოს გადავიდა. ხედავს იქ დიდ მდინარეს, გადაღმა მოჩანს ორი ხეობა, — ერთი შავი, მეორე მწვანე. მოჩანს ზეცის იერუსალიმი, სამოთხის ბალის ბუჩქები, გაჩაღებული ბალები, ნაძვიანი, ფიჭვიანი, ბალახ-ყვავილნი, სავარდებები, ტყბილი წყაროები, ბროლის კლდეებზე ჩარიგებული ყვავილოვანი ნუშები... დახატული ტირიფის თეთრი სახლები, ბიბინებენ ბრინჯაოს ყანები, გვერდით სძოვენ ყოჩები, რომელნიც მათთვის შეუწირავეთ დედამიწაზე.

ხეობის შუა დიდი თეთრი რძის ტბაა გადაკიმული. ტბის პირად თეთრად გაფოთლილი ხეა, თეთრი ფრინველითა და ყრმა-ბავშვებით ჩახუნძლული, ჟიფიფებენ, სტვირზე მღერიან. როცა მოშეიათ, ხე ჩამოწვება ტბის პირამდე, ბავშვები დაეწაფებიან რძეს, მერე ხე ისევ აიშართება. გძელ ხეივნებში სამოთხის ბინადარი სულეები ხელიხელ ჩაკიდებულნი სეირნობენ და ქვევადაწყნარებულეები ტყბილად მუსაფიფობენ.

ლაფანმა შენიშნა, რომ სულ მდიდრები იყვნენ სამოთხეში: დიდებული და დიდგვარი თავადი ანდუყაფარი, მამასახლისი ჩითუხა, ვაჭარი მიქელა, თავი-გლეხი ქვიშრაფა და სხვანი. ღარიბები ღობის იქიდან ყელგამოწვეით ითხოვდნენ ლუქმას და გამონაცვალ ტანისამოსს.

ახნაურ კიკოლას მწვანიანზე სუფრა გაეშალა და ფურის რქით სვამდა ღვინოს. ანგელოზები მოართმევდნენ სველ-სველ ხელადებს, მწვადებს და ზარნის ფლავს. მისგან ქიფში შემოხოცილები კი შორიდან დაპბლუოდნენ თავის მკვლელს.

ლაფანმა ისიც შენიშნა, მკალავი ლეკები — ზუბეიდალა, გალეგა და ბენდა, რომლებიც სახადით დაიხოცნენ ტამალიაში, ახლა შიშვლები დატანტალებენ საიქიოში, ყველაფერი უჩინათ

და, შიმშილისაგან გადამღვრძალებს, გული მოსდით და ქრისტიანებს პურის ნატეხს ეხვეწებოიან, მაგრამ ქრისტიანები არ აძლევენ და ცემით ისტუმრებენ შიმშილით დაგეშინებენ.

აგერ, ბენდა ლეკმა, ყველაზე მოხერხებულმა, ფეხი დაჰკრა სამოთხის ღობეს, შიგ გადაფრინდა და აზნაურ კიკოლას სუფრიდან ზორცის ნაჭერი მოსტაცა. კიკოლა წამოხტა და ხმალდახმალ გაედევნა. საბრალო ბენდამ ზორცის ნაჭერი გზაზე დააგდო, გარბის თავზარცემული. აჰა, ხმალმოწედილი კიკოლა დაედევნა და ურჯულო ლეკს თავი ყველივით წაათლა. დანარჩენი ლეკები მაინც არა ჰშორდებიან ღობეს და ახლა მათ უნდათ კიკოლას ლეკმაპური წაპკლიჯონ. კიკოლა აბეზარი ბუზებივით იგერიებს.

ყურწადებულმა ლაფანმა თავისიანებიც შენიშნა. ღობეზე გადმომდგარიყვენ მისი დედ-მამა, და-ძმები და ძლივლით ეძახოდნენ მას, მოსტიროდნენ ოქროს ცრემლებით.

აგერ, აქეთ კი, შავ უფსკრულს დაუღია პირი... ჯოჯოხეთის ნახეთქები... სისხლის ტალახი... დაფსკერებული კუპრის ტბა, ვეშაიანი, ფისისა და გოგირდის ქაფქაფა ქვაბებით. აჰა, ბეწვის ხიდიც! ნამდვილი ბალანია გადებული და ისიც ცალხიდა! ხიდი რომ გათავდებდა, სამოთხის კარიბჭე, ცხრა-კლიტოსანი ადევს... ბჭესთან დიდი სასწორი დგას: პეტრე მოციქული გასაღებით, მიქელ გაბრიელი-სულთამხდელი, ხმლითა და სათანაილი — მარწყუხებით სულეებს სწონავენ. ვინც დამძიმებულია ცოდვების სიმძიმით, ჯოჯოხეთში ისვრიან ხელკუთღმა, საზამთროსავით.

ლაფანიც ასაწონ რიგში ჩააყენეს, მაგრამ პატარა და-ძმები არ უსვენებენ, ბეწვის ხიდზე გადარბენას ეხვეწებიან. უცბად გაისმა საყვირის ხმა, ქუხილიანი და მგრგვიანავი ღალაღი:

— მოვედით, კურთხეულნო მამისა ჩემისანო, დიამკვიდრეთ გამზადებული

თქვენთვის სასუფეველი! — და შეორედ:

— წარვედით ჩემგანა... წყვეტლნო, ცეცხლსა მას საუკუნოსა, რომელი გამზადებული არს ეშმაკათათვის!

აქ პეტრე მოციქულმა წიგნში ამოიკითხა: ესტატე ლაფანი — ანდორეთის მნათე — მობრძანდეს სასუფეველში!

ლაფანი დაიძრა ბეწვის ხიდზე, მიდის, მიდის ძაგძაგით, გაღმიდან მშობლები ამხნევებენ, მაგრამ მთელი ტანი უთრთის, ჩაენგრევა თუ არა ფეხქვეშ ბალნის ხიდი, ცალხიდა! აგერ კიდევაც შეტორტმანდა, ფეხი შეუტოკდა და...

ლაფანი რალაც სასიამოვნო სუნმა დაბნინდა... ცალი თვალი გაახილა და თავი ისევ ცოცხალი დაინახა გახიპულ ლოგინში.

— მაშინებ მე, უფალო, სიზმრებითა და ჩვენებებითა გამაცვიფრებ მე! წაიდუღუნა შეშინებულმა ლაფანმა და პირის ოფლი მოიწმინდა.

ოთახში შემოდოდა ნოყიერი მწვადის სუნი აღაპის სუფრიდან. სუნი შემოიძახებოდა საკმლიდან, კარიდან, კუჭრუტანებიდან, ელენთავდა სახლის თვითეულ ფიცარს, ლოგინს და შეუბრალებლად ესეოდა ლაფანის ყნოსვას. ლაფანი ტანში დაბნინდა. ნელა, ძალიან ნელა, ისე როგორც მძიმე ავადმყოფს შეჰფერის, წამოიწია, ფანჯრის პატარა ფარდა გადასწია და აყვავებული სუფრა კი დაინახა. რათ გაუკვირდა, განა მთელი სიციცხლე ამ საქვლებო სუფრისათვის არ ზრუნავდა წინასწარვე მოტირალი?

სუფრაზე შეჰიქინებული სახეები მოჩანდა. თამადა ხელეებს იქნევდა, მღვდელი ხარხარებდა... ციმფია და მარინე დაველურს უვლიდნენ. სხვებს ღრიანცელი გაჰქონდათ, თითქოს ქორწილი ყოფილიყოს!

ლაფანმა გადახედა თავის გამურულ ოთახს, კუჭყიან ლოგინს, თავის დახეთქილ ხელეებს და მწარედ შეეცოდა თავისი თავი. აკი ენანებოდათ ციმფიას და მარინეს ნახვისას, კარიმოიკ რომ გადმოყარეს! ვის ატყუებენ? ეჭვსა და

დარდში სიცოცხლის წყურვილმა აიტაცა. გრძნობა აეძრა, შადა გაეხსნა.

მაგრამ მესუფრეებს აზრადაც არ მოსვლიათ ავადმყოფისათვის კერძის შეგზავნა. ან რათ უნდოდა მცვრიანი მწვადი სულთმობრძავს? ან ვინ დაურღვევდა მიცვალების წუთებს?

სუფრაზე ხმაურობა იზრდებოდა, ვიღაცამ დამბაჩაც გაისროლა. ციმფიას და მარინეს თაღდავიწყებით სხვებიც მიჰყვნენ. დედებრებმაც კი დააბეს ფერხული! ეს კი უსვინდისობა იყო!

— ტაში, ტაში! — ყვიროდა უღეჩაქო ჯანგირაული.

— აბა ცქვიტად, ძველებურად! — კვერს უკრავდა ასი წლის სულხანაური.

მამასახლისი ხელში მათრახს ატრიალებდა, ტროყია გზირს ავალებდა.

— დილამდე ვერ მიაღწევს სულთმობრძავი! ეცადე, კარგი თადარიგი დაიჭირო; კარებში ჩადექი კომბალით, არავინ შეუშვას, თორემ ამალამდე გაპლენწვენ ლაფაჩის ქონებას! არ დაგავიწყდეს, უნაგირი მე მინახსოვრა, დილაზე შინ მომიტანე!

შეზარხოშებული ტროყია გზირიც მორჩილებით თავს უქნევდა.

„რა ლამაზი ხარ, ხობობო,
რა კარგი რამ ხარო!“

გუგუნებდა ფერხული.

ლაფაჩი თანდათან გონზე მოდიოდა. საამქვეყნო პირი მოიბრუნა, სუფრის სიცოცხლე ეძახდა მის ძარღვებში სიცოცხლეს.

სიმწრით ითვლიდა ამაოდ გაწეულ ხარჯს, იმ ნაფასურს, ქელეხში რომ გასწია.

დახშირბინდებისას ხალხი დაიშალა. სუფრაზე სამიოდე ნაღვინარი კაცი-ღაღანცალბდა. ქვაბზე მუცელ-პირმიდგმული აზნაური ბაშხაღუნი, მწვანე იაგორა, ლორთხა, ციმფია და ტროყია სუფრას ტკიპებევით ჩაჰკროდნენ! ბოლოს, როცა ეზოში მდგარი ღოღნოშოს ხეც არ დარჩა უღდეგრძელბელი, ისევ ტროყია გზირს გაუჭრა სინდისმ-

და ცოცხალი ლაფაჩის შესანდობარი დალია.

— ღმერთმა აცხონოს და სამართობის სახლში შეიყვანოს!

— ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს!

— გზას მართალს მიიყვანოს! — წამოიძახეს აქეთ იქიდან და ღვინო გადახუხეს.

შომშოლისაგან მიხრწნილი ლაფაჩი ღრმად ხვრინავდა.

გამოვიდა ერთი კვირა თუ ცოტა მეტი, ლაფაჩი ფეხზე წამოდგა და, რაკი ჯანსალობა იგრძნო, უაზრო წოლა მოსწყინდა, ადგა, პირდაპირ მღვდლისკენ გასწია, გაეხარდებო. მღვდელმა პირცეცხლი ჰყარა. წმ. ზეთისცხების შემდეგ რჯულისა და ეკლესიის პატივსაცემად ლაფაჩი უსათუოდ უნდა მომკვდარიყო, ხოლო, თუ ეშმაკის ძალით გამორჩა, უცბად არ უნდა ავარდნილიყო სასიკვდილო სარეცელიდან და მცირეხნით მიანც უნდა გატრუნულიყო ლოგინში და წმიდა ცერემონია ზეთისცხებისა არ უნდა გაეფუქსავატებინა და შეურაცხეყო!

• •

დრო გადიოდა, ბევრი ვარსკვლავი ჩამოითვალა ციდან, ბევრჯერ ამღერდნენ ნიაღვრებით ჩამორიყული ჭალეები, ბევრჯერ გაღმოეფინა ცას მზის წითელი აბრეშუმი. ბევრჯერ დახედა უღაბნოდან სოფელს ეფრატ ბერმა. ბერი სოფლის შესავალშივე კითხულობდა ლაფაჩის ჯანმრთელობას, მაგრამ თვალი ვერ მოახვია ოცდახუთმანეთიანს.

მზიარული ნათლიდედები, ვისთანაც ის მორიგეობით ჩამოხდებოდა ხოლმე, ალერსის შემდეგ ახარებდნენ ხოლმე ლაფაჩის ღლეგრძელობას და ბერი მწარედ ჩიქნევდა ხელს. ბევრჯერ ავედრებდა ღმერთს ლაფაჩის სიკვდილს. მაგრამ გადათევებული ლაფაჩი მუხის ჯირკვით იღგა, თუმცა წრი-

ბინა ქალური ხმა არ შესცვლია.

ჩვეულებრივ მიდიოდა მნათის ცხოვრება: ხარების რეკა, წირვა და ლოცვა, ნათლობა, ქორწილი, ქელეხი, ზიარება, სამარეკლოზე ჯდომა, საფუტკრეში წოლა, ორშაბათიანების ჩერებში გამოკვრა, მათი შენახვა და საიდუმლო სამალავებში. მეწერილმანისგან ჯვრების სყიდვა, ოთახში ხატების მოპრავლება და მათ წინაშე ჩოქით ტირილი, ცოდვებისათვის, რაც არა ჰქონია, ალბათ, მხოლოდ ცოდვისათვის თავისუფნებურად ამ ქვეყანაზე რომ დაიბადა, ოთახში გაისმოდა მისი ზვეწა და შესავედრებელი:

„უფალო და მუფაო,
ცხოვრებისა ჩემისაო!“

1918 წლის გაზაფხულის პირი იყო. ახალ შებინდებულზე მუხრანის ხიდზე ჩვენებურ ურემს შემოვხვდი. გამიხარდა: კოფოზე ჩვენი მეზობელი ხუნჩაღე იჯდა, სიხარული მალე აფურისფერმა ფიჭვის კუმბო წაშალა, ურემზე რომ დაედო.

მან მოკლედ მომიპირა, რომ სოფელში შავი სახადი გაჩნდა, მრავალი იმსხვერპლა და საწყალი ესტატე ლაფაჩიც თან გაიტანაო.

ხუნჩაღე გამომგზავნათ ქალაქში კუმბოსა და საქელებო საჭირო სანოვავის სასყიდლად.

მართალია, იგი დაღონებული იყო, როგორც წესია, ასეთ შემთხვევაში, მაგრამ ახლადშენებულ მუხრანის ხიდი (სულ რვა წლისა) არ ენახა, უკვირდა და მეკითხებოდა: ნეტავ რამდენი დაჯდებოდაო?

იმ დღეს სულ ლაფაჩზე ვფიქრობდი: მღელვარე დროში ვცხოვრობთ, აი სად გამოადგა ლაფაჩის მზა საფლავე და საფლავეს ქვა-მეთქი! მაგრამ როგორ ვცდებოდი! როცა შევიტყე, რომ სოფლის კომისარმა ლოგინივით შემზადებულ საფლავეში ლაფაჩს ჩაწოლა აუკრძალა და, როგორც სახადიანი, ვადამდეები სენის უფალი, სოფლის მოშორებით დაამარხვინა იქ, სადაც წინათ

ციმბირის ჭირით დაავადებულ საჭონელს მარხავდნენ ხოლმე, ^{საჭონელი} ამრიგად, საწყალი ლაფაჩი ^{ლაფაჩი} მღელვებდა და ტურებს მიუგდეს. ვინ იცის, იმავ დამეს გაგლოჯეს ლაფაჩის გვაში!

კომისარი როდი ტყუოდა. სახადის შიშიანობის გარდა, ეკლესიის ეზოში სასაფლაოს საკითხი წინათაც არა ერთხელ ყოფილა განხილული სოფლის ყრილობაზე. მართლაც, უსიამოვნო რამ იყო სასაფლაო შიგ შუა სოფელში. და ფიქრი იმაზე, რომ შენს გვერდით იხრწება ლეში ადამიანისა, უსიამოვნების გარდა, დიდ საფრთხეს ჰპატებდა! შავი სახადი სახუმარო ავადმყოფობა არ იყო. სასაფლაოს შექმლო ხელი შეეწყო ჭირის გავრცელებისათვის.

ისედაც არა ტყუოდა კომისარი, რადგან ის პატარა ადგილი ეკლესიის ეზოსი, რომელიც სოფელში ძირტებილა ბალახისა, მატრეტლას და საკმეველით შეზავებულ რაღაც მძაფრ სურნელს აყენებდა, უკვე უცბად გაეცნოთ ფოფოდიებს, ბლალოჩინებს, ადგილობრივ აზნაურთა გვარეულობას, რომელმაც არა ერთი სახელოვანი პრაპორშიკი თუ კაპიტანი მისცა რუსეთის ძღვევამისილ მხედრობას!

მაგრამ, აქი მოხდა უცნაური ამბავი, მთელი სოფელი შეზანხარდა.

სწორედ ოთხი თვის შემდეგ, სახადით გარდაცვლილმა კომისარმა რატომღაც უარყო თავისი ჰიგიენური შეხედულებანი და თვითონ უსინდისოდ დაეპატრონა ლაფაჩის საფლავს.

მაშინ ბევრმა იწამა სოფელში სულის უკვდავება! — ხედავ, რა უყო საწყალმა მნათემ მაღურჩიან კომისარსაო! ხედავ, რა მალე გადაუხადა სამაგიეროო!

ყველა-ყველა, მაგრამ ლაფაჩის საფლავეს ქვა რაღა იქნა, ქვა გულმოდგინებით, შრომითა და რუდუნებით მოპოვებული და სათუთად შენახული და მოვლილი, ვითარცა უკვდავი იარაღი საუკუნეების, გრიგალსა და წყვედიდან ბრძოლისა, საფლავეს ქვა — ერთ-ერთი მწიერი ძეგლი, მალადებელი

ლაფაჩის არსებობისა ოდესღაც ჩვენს დღემიწაზე!

მხოლოდ შარშან მივაგენი მის კვალს შემთხვევით...

ზაფხულის შუადღე იყო.

თბილისიდან კახეთისაკენ მივდიოდი მანქანით, მზე იდაღებოდა. ასფალტის ფისი ადუღლებულიყო, შემდნარიყო.

პირი მტვრით მქონდა ამოაბული, სახე — მზით დაკბენილი. ძალზე მწყუროდა. მანქანაც უწყლობით გმიწავდა, ორთქლს იტყორცნებოდა.

კაკლიან ჭალაში, იქ სადაც ბუბუსწყაროა, მანქანა შევყავნეთ. წყურვილი მოვიკალი, სახე შევიშხევე, მოვსულიერდი! შოფერმა კი წყაროსთან მდგარ ვინმე ნათლიდელას თუ ძალუას წყლით სავსე ჩაფურა ჩამოართვა კარბურატორის გასაგრილებლად.

ის-იყო პირს ვიმშრალეზღი ხელსახოცით, რომ წყაროს გვერდით კოხტა შენობა შევნიშნე, ახალთახალი, — სოფლის კოოპერატივია, სამი თვეა, რაც მუშაობსო!

შენობა შენობაა, რა უნდა გავკვირებოდა ჩვენს დროს, ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ ის მეოცა, რომ ამ შენობის კუთხის ქვაზე ორი ჰვინტიანი ჩექმა იყო გამოჩარხული.

— აჲ კოოპერატივიაო, სახარაზო ყოფილა! — დაესძინე მე.

— რას ბრძანებთ?

— მაშ. ის ჩექმები?

— ჩექმას რა ჰქუა აქვს?

— ეგ ხომ ლაფაჩის ქვაა! ეგრე ვეძახით! — მომაძახა იმავე ნათლიდელამ თუ ძალუამ, ატმისფერმა, უჰურჰლოდ, უსაქმოდ რომ იდგა წყაროსთან და გულიანადაც ჩაიფრუტუნა. ეტყობა, რაღა-ებიც გაახსენდა ლაფაჩის შესახებ, ალბათ, გაგონილი, თორემ მისი მომსწრე ხომ ვერ იქნებოდა!

— ერთი სულელი ლაფაჩი ყოფილა, წინასწარ დღემზადებია საფლავის ქვა და საფლავიც! მაგრამ რომ მომკვდარა, თვითონ ჰირიან გორაზე მიუგდიათ, ქვა კი აქ ჩაატანეს. თეთრი ღიმილით მიამბობდა მზიარული ნათლიდელა და სიციხისაგან ვარდ-ნაოფლ სახეს თავშალით იმშრალებდა.

მომავონდა ჩვენი ლაფაჩი. გამახსენდა ყოველივე... მეც უნდა მეცინა, მეხარხარა ზოგ მის ამბავზე, მაგრამ უცეროვ შემიეცოდა, თითქოს ფეხი უნდა დამედგა გასასრესად და მაშინვე ფეხი ავიღე... აღარაფერი ვთქვი... — სად იყავ, ნათლიდელ, მაშინ, მე აქ რომ დავბობდი! — ნათლიდელამ აავსო ბროლის შხეფით ჩაფურა და წავიდა... თან უკან-უკან ჩემკენ იხედებოდა.

მე მივუახლოვდი შენობას. ქვას დავამტერდი. ქვას წარწერა აღარ ჰქონდა, ხელოსანს ქასრით წაეთალა ეპიტაფია. მიცვალებულის გაქიმული, გულხელდაკრეფილი ფიგურაც გაერანდა, თუმცა არა სუფთად. აქა-იქ ცალკე ასო და ასოთა ნაწილაკები მოჩანდა, ცალი უღვაშის ბოლო და ჩოხის მასრაც, თუმცა ბუნდოვნად, მეტად მკრთალად, მაგრამ ჩექმები კი... ჩექმებისთვის ქვისმთლელს ხელი აღარ ეხლო. იქნებ, როცა ჩექმებზე მიდგა საქმე, სწორედ მაშინ დაუძახეს ხელოსანს ჰიქა ღვინოზე, სამუშაო დაავდო, შეტოპა ღვინოში და... იქნებ ახალგაზრდა იყო და სწორედ იმ დროს, როცა ქასრით ჩექმა უნდა გაერანდა, სატრფომ მოუწოდა, ან ჰაემანზე თვითონ გაიქცა; ან, შესაძლოა, სწორედ იმ დროს კბილი ასტკივდა? ისიც შეიძლება ვიფიქროთ, რომ ფული არ მისცეს დროზე, ან ხელფასი ჩამოაკლეს და გაბრაზებულმა ხელი ჩაიქნია და სულაც წავიდა სამუშაოდან; და იქნებ ლაფაჩი შეიეცოდა, განგებაც დატოვა ჩექმები საწყალი მნათის მოსაგონრად?

ასეა თუ ისე, ქვაზე გამოჩარხული ორი ჩექმა — ნაშთი ლაფაჩის გამოსახულებისა — დაცულია თავისი პირვანდულობით და ისე კარგად, თითქოს ჩექმები მზად არიან ახლავ ფეხი აიღვან და თავისთავად გასწიონ დიდ გზაზეო!

ნუთუ ლაფაჩის სახსოვრად ეს ორი ჩექმა-ლა დარჩა, ისიც ქვაზე, სხვა არაფერი?

ხომ დარჩა, მეტი რაღა უნდა დარჩენილიყო!

აკაკი ბენაძე

ნაფხეურები

თითქოსდა ისევ ბავშვი ვარ, ბავშვი,
კვლავ მიყვარს თოვლი და ბელურები.
აი გუშინაც გავედი ბაღში,
თოვლზე დაეტოვე ნაფხეურები.

დღეს ვხედავ, უკვე ის ნაკვალევი
ქარსა და ახალ თოვლს წაუშლიათ.
მზე მიწას უმზერს ცივი თვალებით,
მე კი არ მაგდებს აინუნშიაც.

... ეჰ, მოვა ერთი ზამთარი გრძელი
და განა მარტო თოვლიან ბაღში,
ჩემს ნაფხეურებს უხილავ ხელით
ამ ქვეყანაზე მთლიანად წაშლის.

სიცოცხლე ცრემლად არ მეზარჯება,
წუთისოფელსაც არ ვემდურები:
მე წავალ, მაგრამ ქვეყნად დარჩება
ჩემი ლექსების ნაფხეურები.

ამიტომ ლექსში მსურს გადგმა ფესვის,
რათა ვიხარო ივარდებად...
აი, ეს ერთი ჩიორა ლექსიც,
მწამს, არასოდეს დაიკარგება.



შოთა ნიშნიანიძე

მ ზ ე ბ ი

უგზობისგან გზებმა დამიცვა,
 მოვსინჯე, რაც კი გზა და ფონია
 და ქვეყნად გარდა ჩემი თავისა
 სხვა არაფერი არ მიპოვნია.
 გზები მიქერენ ანკესებივით
 და დაუნდობლად მაფართქალევენ,
 გზები მკიდებენ ცოცხალ კვამლივით
 იმ მატარებელს, ამ მატარებელს.
 ზღვა და ხმელეთი ცის შესაფერი
 რა სილამაზე და რა სიბრძნეა!
 ბედნიერი ვარ, ეს ყველაფერი
 ასე ძლიერად ჯერ არ მიგრძენია.
 მადლობის მეტი არა მეთქმის რა,
 გალობის მეტი არა მინდა რა,
 შენი დიდება თუ დამეკისრა,
 მეტი დიდება არა მინდა რა.
 რას დამავალეხს, რას მეუბნება
 სული მომავლის, სული წარსულის,
 ან იღუმალი წიგნი ბუნების —
 მზისა და მთვარის ყდაში ჩასმული.
 მარადისობის სანაპიროზე
 იბნევა ყოფის წამი ურიცხვი,
 მე კი, მამულო, სანამ ვიცოცხლებ,
 ვიცოცხლებ მხოლოდ შენი გულისთვის.
 შენს სასწაულებს შევცქერა
 თრთოლვით,
 შენზე ფიქრებში ჩამძინებია,
 და ერთი მიკვირს: ახლობელთ შორის
 რა გამთიშველი მანძილებია.
 ზოგს რომ რამეზე უხარხარია,
 მე იმ რამეზე მიქვითინია.
 ყოველი წამი საოცარია,
 მხოლოდ თრთოლვა და მოლოდინია.
 რას დამავალეხს, რას მეუბნება
 სული მომავლის, სული წარსულის,
 ეს იღუმალი წიგნი ბუნების
 მზისა და მთვარის ყდაში ჩასმული.

ჰა, ცისარტყელის ჰრელი ზონარით
 ჩანიშნულია კარგი ამინდი
 და, როგორც ბავშვი ძუძუმწოვარი,
 ვარ მხიარული და მიამიტი.
 თვითეულ ბუდეს,
 აფეთქებულ კვირტს
 და ღრუბელს
 მიწამ ცას რომ ასტუმრა,
 სიხარული შობს,
 სიხარული ზრდის
 და სიხარული უდევს სასთუმლად.
 ცა — დედამიწის სიხარულია,
 სითბო — სიცივის სიხარულია,
 სროლა — სიჩუმის სიხარულია,
 როგორც დღე — ღამის სიხარულია!
 სიხარულია სიცოცხლის დედა,
 ჩვენი ცხოვრების ძირი, სათავე.
 შეხე ჩიტები: ღხენას თუ სევდას
 მხოლოდ სიმღერით გამოხატავენ.
 ო, სული შენი
 მადლის მფენელი
 თქვი, როდის უნდა ასახიერო?
 ო, უსმინარო ყოვლის მსმენელო,
 ო, უხილავო ყოვლისმხილველო.
 მივდივარ სწორად, თუ არ მივდივარ,
 ვცდები ამ გზებზე, თუ არა ვცდები,
 სალამურივით შენს ტუჩს ვკიდევარ
 და თითებივით მაძლერებს წლები.
 შენი წყალობის მოხარული ვარ,
 საფლავის კარიც სიბრძნის კარია
 და ყოფა მინც სიხარულია,
 მიხარია, თუ არ მიხარია.
 და არ მასვენებს სურვილი ძებნის,
 გზები მიხმობენ, გზებზე ვიზრდები
 და ჩემს ოთახში გაჩრილან გზები,
 როგორც კარაპკში დასტა ისრების...

პირობა ზარნიძე

გაგაფხუნი დაიწყო აღრე...*

რომანი

XVI

გავიდა რამდენიმე თვე და თინამ იგრძნო, რომ მის არსებაში სხვა სიცოცხლე წარმოიშვა. ერთ ღამეს, როგორც სასიხარულო საიდუმლო, ისე გააგებინა გივის. და ორივეს უკვე შეუყვარდათ ის, ქვეყნისათვის ჯერ კიდევ უხილავი. მშობიარობის დღეც დადგა.

ახლადდაბადებულს მოხვდა თუ არა სინათლე, მაშინვე აქვივლდა.

ბალლი მიყუჩდა. მკერდზე, ძუძუსთან გაიტრუნა. აჰა, განაგრძე წოვა... შენ ხომ დედის სხეულის ნაწილი ხარ!

თინა დაიქანცა, საფეთქლებზე ოფლი სდის. გაფითრებულია. უღონობისაგან მოწყვეტილია, მკლავები მოჭრილ ტოტებივით უდევს საწოლზე, სუნთქვაც უშინძს, მაგრამ მაინც წამოიწია... წაილულულა:

— დამანახვეთ... როგორ არის?.. ცოცხალია?..

— განა ჰყვივს არ გესმოდა, ქალო? — ნახევრად აღერსით, ნახევრად წყრომით მიუგო ექთანმა.

რა ქნას თინამ, რამდენი იტანჯა, რამდენი იწვალა. რა ტკივილები გადაიტანა... რა გამოსთქვამს?.. ასე გადინასკვა დედაშვილის სიყვარული სიამეში, ტანჯვაში, ტკივილებში, სიხარულში!

ექთანი ქვედა სართულში ჩავიდა. შევიდა მოსაცდელ ოთახში, სადაც მღელვარედ იცდიდნენ თამარი, გივი და სოსო.

— ბიჭია თუ გოგო?.. — იკითხა გივიმ მაშინვე...

ეს თამარს არ უკითხავს, მისთვის სულ ერთი იყო, ბიჭი იქნებოდა თუ გოგო, ოღონდ თინა ყოფილიყო კარგად.

— ბიჭი! — მიუგეს გივის ღიმილით. გაახარეს. განა გოგო არ გაახარებდა?.. გაახარებდა, მაგრამ რატომღაც ბიჭი ეამაყება. გაიზრდება, დაეაქვაცდება, მამას მხარში ამოუდგება.

ერთი კვირის შემდეგ ბავშვი შინ გაქროლეს.

მოდინ მნახველები, ნათესაეები, ნაცნობები.

პატარა სოსო ბიჭა გახდა. ასე პატარა და უკვე ბიჭაა. სულ რაღაც თხუთმეტი წლის... ისიც სიხარულით მოვარდა დისწულის სანახავად. მასაც ეამაყება. უღვაშები რომ ჰქონდეს გადაიგრებდა, შროიანად აიწკებდა.

გივი ბურუსშია. ვერ გარკვეულა, რა მოხდა მის თავს?.. დადის და თავისთვის ჩურჩულებს:

— „ნუთუ მე მამა ვარ?“

„ნამდვილი მამა ხარ!“ — უპასუხებდა შინაგანი ხმა.

— ცოლშვილი როგორ გყავს?.. — ეკითხებიან გივის ნაცნობები ქუჩაში შეხვედრის დროს.

— კარგად, გმადლობთ! — უპასუხებს ისიც შეფერებით.

გივი მაინც ბურუსშია, მაინც ეკითხება თავის თავს: — ნუთუ მე მამა ვარ?..

ღიბ მამა ხარ! ნამდვილი მამა ხარ, თუ კი შეძლებ მამობას!..

სარეცელზე სხედან თინა და გივი —

* გაგრძელება. იხ. მნათობი № 9, 10.

ახალგაზრდა მშობლები. იქვე წევს პატარა არსება, რომელიც რაღაცას უცქერის, მაგრამ ვერაფერს ხედავს. მიაღებენ თითს ლოყაზე, ნიკაპზე, ის კი მაშინვე ტუჩებს წინ სწევს და სასაცილოდ აცმაცუნებს. მხოლოდ ეს იცის ჯერ... ჰამა... ყველაფერი ძუძუ ჰგონია!

— რა დავარქვავთ?

დიდხანს აღარ უფიქრობთ, გიორგი დაარქვეს და საალერსოდ გოგის ეძახდნენ.

გოგი მათი სიცოცხლე და სიხარული უქრქმნა!

XVII

ბავშვი გაუჩნდა და საგონებელში ჩავარდა გივი. აშკარად ჩანდა, რომ სწუხდა, მოუსვენრად გრძნობდა თავს.

„მამა ვარ და მევე უნდა მოვეუარო ჩემს შვილს“, — ფიქრობდა ის. ახლა უკვე მართლა ეძებდა სამუშაოს, ოღონდ არჩევდა. ხან იწყებდა, მე არ შემეფერებო, ხან ხელფასი ეცოტაებოდა. უსათუოდ თბილისში უნდოდა, ოჯახს ვერ მოეცილებო, მაგრამ მოწყინდა უმუშევრად ყოფნა და ბოლოს გადაწყვიტა სოფლად წასულიყო. მართლაც რას გავდა მისი ცხოვრება. ყველაფრით მამის ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული. ბავშვს უბრალო გულისპირი რომ უყიდოს, მამას უნდა სთხოვოს ფული, მამას უნდა შეუთანხმოს. ეს თინამაც შეამჩნია და ერთხელ სამღურავით უთხრა გივის:

— არასოდეს ფული არა მაქვს, რომ ჩემს ნებაზე რამე ვიყიდო. ვერც ბავშვი გამიხარებია, სულ მამაშენს შევეცქერით ხელეზში. როდემდის უნდა იყოს ასე?

გივი გამოუტყდა თინას, არა ვმუშაობო. სამსახურს ვეძებო. სახტად დარჩა თინა! მაშ ვინ არის გივი? — იჩინებრი არა ყოფილა. არაფერს აკეთებს. სად დადის დილიდან საღამომდე?..

— ნუ სწუხარ, თინა, აბა, რა არის აქ საწუხარი, ხელევე დავიწყებ მუშაობას, თუ თბილისში არ იქნება, სოფელში წავალ და იქ ვიმუშავებ!

— დილიდან საღამომდე სად დადის ხარ? ისიც ყოველ დღე... ყოველ დღე... ხანდახან „შულამისას მოდიხარ, მოვარალო, ნეტა ვისთან სვამ, ვინ გასმევს?..“

— ამხანაგებთან. ამხანაგები მასმევენ!

გივიმ ჩაბნელებულ გონებაში გამონათება იგრძნო... მუშაობის აუცილებლობა შეიგნო.

მართლაც, ერთ დღეს დაღონებული დაბრუნდა შინ. თინას უთხრა, კასპის ცემენტის ქარხანაში ადგილი ვიშოვნეო.

— მერე რამ დავაღონა? — ჰკითხა გახარებულმა თინამ.

— მე ის მალონებს, შორს რომ ვიქნები თქვენგან!..

— ჩვენც თან წავიყვანე. სადაც შენ იქნები, ჩვენც იქ წამოვალთ! — მიუღო თინამ.

გივის გაეხარდა ცოლის აზრი. მაშინვე მამას გაუხიარა თავისი გადაწყვეტილება. ცას ეწია მამა... „ძლივს, ძლივს... ჭკუაზე მოვიდაო. დამოუცილებელ ცხოვრებას იწყებდსო“. — უხაროდა.

ჯერ მარტო გივი უნდა წასულიყო კასპში, ოთახს დაიქირავებდა, გაეცნობოდა იქაურობას, მერე ცოლშვილს წაიყვანდა.

ყველაფერი გაუმზადეს — ტანსაცმელი, საცვლები, ფული, საგზალი. არაფერი დაუკლიათ მისთვის. ჩავიდა გივი კასპში. ქარხნის დირექტორთან გამოცხადდა. დირექტორმა მაშინვე მანქანაში ჩასვა და მიწის სათხრელი კარიერებისკენ წაიყვანა, ქარხნიდან სამიოდე კილომეტრის დაშორებით, სადაც ცემენტისათვის კირქვას სჭრიდნენ. გივი ბრიგადირად დანიშნეს. ათიოდე კაცა მისი ხელქვეითი შეიქმნა. მას უნდა ეხელმძღვანელა მათთვის, რომ ქარხანას კირქვა არ შემოჰკლებოდა.

სამუშაო ღია ცის ქვეშ იყო, მწვანით დაფარულ გორაზე. კასპსა და კავთისხევს შორის, სისხლის გორაზე. ამ ადგილს ძველთაგან ეწოდება ეს სახელი. როგორც ჩანს, ბევრი სისხლი დაუღვრიათ ჩვენს წინაპრებს მტრებთან ბრძოლაში ამ გორის კალთებზე. ახლა აქ

დგას კირქვის სამტერევი მანქანები და ნედლეულს ამზადებს ცემენტის ქარხნის ფოლადის უზარმაზარი წისქვილებისა და ლუმელებისათვის.

მანქანები სკრიდნენ კირქვას და დატვირთულ ვაგონებებს საბაგირო გზით გზავნიდნენ ქარხნისაკენ, რომლის ვებერთელა და მაღალი მილებიდან დღემუდამ ამოდიოდა შავი სქელი კვამლი. ქარხანაში და ქარხნის ირგვლივ გამუდმებით ტრიალებდა პაერში ცემენტის წვრილი, შეუმჩნეველი მტვერი, რომლის ნაწილაკებიც შხის სხივებზე კრისტალებივით ბრწყინავდნენ. დღის განმავლობაში იქ მომუშავეთ ამ მტვერით ევსებოდათ ყურები, ცხვირის ნესტოები, თვალები, ყელი, მაგრამ მეორე დღეს ისევ სუფთად მოდიოდნენ სამუშაოზე.

როდესაც გივი ქარხანაში შევიდა, მოიღუშა, შუბლი შეიკრა, ცდილობდა არ ესუნთქა... „აქ რა გამაძლებინებსო“, — ფიქრობდა შეშფოთებული. ცალი თვალი კარისკენ ეჭირა, ახლავე წავალო, მაგრამ, როდესაც დირექტორმა კარიერებისაკენ წაიყვანა, გაეხარდა, შეება იგრძნო. მოეწონა კიდეც გივის ასე, გარეთ, ღია ცის ქვეშ ლალად მუშაობა. კმაყოფილებით დათანხმდა. დირექტორმა გივის დაათვალიერებინა კირქვის კარიერები და გააცნო სამუშაოთა მწარმოებელი, ბრიგადირები, სხვადასხვა ობიექტები.

ზაფხული იყო. ნისლივით მსუბუქი და გამჭვირვალე თეთრი ღრუბლები გედებივით მისცურავდნენ ცაში. ქროდა გრილი სიო. შორს მოჩანდა თრიალეთის მთები, ლურჯი ცა და მიმზიდველი ჰორიზონტი.

გივიმ იმავე დღეს კასპში ოთახი დაიქირავა. თინას დეპეშაც გაუგზავნა, გორის მატარებლით ჩამოდით, დაგიხვდებითო.

მეორე დღეს თინა გოგისთან ერთად მართლაც ჩამოვიდა კასპში. გივი სადგურზე დაუხვდა. გადმოიღეს ჩემოდნები, კალათები, ფუთებად შეკრული ლეიბ-საბნები და ბინისაკენ გაეშურნენ,

ერთი ოთახი ერთსართულიან სახლში ვიწრო ეჩვენა თინას, მაგრამ ქმარშვილთან ერთად ბედნიერად იგრძნო თავი.

— მშვენიერად მოვეწყობით, მშვენიერად! — ამბობდა თინა, — აი, აქ გოგის საწოლს დაედგამთ. ამ კუთხეში მე და შენ მოეთავსდებით.

ღიასახლისიც თავს დასტრიალებდა მათ. ისიც ეხმარებოდა, ცდილობდა ახალგაზრდა ცოლ-ქმარი მოხერხებულად მოწყობილიყო.

— ჭურჭლის კარადა რომ არა გვაქვს?.. ჭურჭელი სად დავაწყობთ? — საგონებელში ჩაეხარდა თინა.

— მე თქვენ ყუთს მოგცემთ. ის კარგა მოზრდილია. გვერდულად დადგამთ, ზედ პატარა ფარდას გადმოათარებთ, შიგ კი ჭურჭელს დააწყობთ. თქვენ ხომ ბევრი ჭურჭელი არ გექნებათ, — ურჩია მათ ღიასახლისმა.

— მართალია, მართალი, ჩვენ ხომ ცოტა გვაქვს ჭურჭელი? ყუთის თავზე კი ტუალეტს მოვაწყობ. სარკეს, საპონს და სავარცხელსაც ზედ დავალაგებ.

თინა ოთახის დალაგებას შეუდგა.

რკინის საწოლი შემოიტანეს. მართალია ძველი იყო, მაგრამ მისი დაწუნება არ შეიძლებოდა. კარგი ბადე ჰქონდა, რბილად იზნიქებოდა. ოთახის შუაგულში პატარა ოთხკუთხედი მაგიდა დადგეს, ზედ სუფრა გადაათარეს. სამი სკამი შემოუდგეს, ორი მათთვის და ერთიც ყოველ შემთხვევისათვის, იქნებ, ვინმე მოსულიყო სტუმრად. თინამ ფანჯრებზე თბილისიდან წამოღებული ფარდები დაჰკიდა. კედლებზე რამდენიმე სურათი გააკრა. მტვერი დაწმინდა და ორიოდ საათის შემდეგ ოთახში ორი ადამიანის მეგობრული სიტბო დატრიალდა. ისახებოდა ახალი პატარა ოჯახი.

ღიასახლისმა ლობიო და კომბოსტოს მწინილი შემოუტანა, თქვენ დღეს სადილს ვერ დაამზადებთო. პური თვითონ ჰქონდათ, თბილისიდან ჩამოყოლილი.

დასხდნენ და ტკბილად შეექცნენ.

— რა გემრიელი ლობიოა! — წარმოთქვა თინამ.

— ასე იციან სოფელში, გემრიელად ამზადებენ, — უბასუხა გივიმ...

— ამათ კარგი ამოხელვა იციან და სანელებელსაც თავისებურს უკეთებენ, იმიტომაც ასეთი გემრიელი! — თავისას განაგრძობდა თინა.

— აქ ყველაფერი გემრიელია. უბრალო მწვანელიც კი. აი, თუნდაც ეს მწილი, რა კარგია არა, თინა?...

— უუპ, ძალიან, ძალიან გემრიელია! ისადილეს თუ არა, გოგის გაედვიდა. ატირდა. ვერავის ხედავდა, არც ვინმეს ხმა ესმოდა, რადგან ორივენი ჩურჩულებდნენ, გოგი არ გაეაღვიძოთო. ბავშვს ეგონა, მარტო დავრჩიო. ჯერ პატარა იყო, სულ ერთი წლის, მაგრამ მაინც ესმოდა, რომ მარტოობა სასიამოვნო არ იყო, მეტადრე უღედობა...

მივიდნენ, მიუალერსეს. საწოლიდან ამოიყვანეს, ერთმანეთს ხელიდან ართმევდნენ ბავშვს... ეფერებოდნენ და ისე იგრძნობოდა, თითქოს ბავშვს კი არა, ერთმანეთს ეალერსებიათო. ასე, სიამტკბილობაში დაღამდა დღე...

მეორე დილას გივი სამუშაოზე გავიდა. ახალი, სულ სხვა ცხოვრება დაიწყო. ხალისიანად მუშაობდა. გული არხერინად ჰქონდა, ცოლშვილი დააბინავა.

რამდენიმე დღეში გაერკვა და ჩასწვდა საქმის საიდუმლოებას. პირველ ხანებში თუ მუშებს თვითონ უგდებდა ყურს და უჯერებდა კიდევ მათ, მერე უკვე გივი მიუთითებდა, როგორ უნდა გაეხსნათ კირქვიან ქანებში ახალი კარიერი, საიდან უნდა ამოეჭრათ კირქვა. შინ კმაყოფილი ბრუნდებოდა. ის შორიდანვე ხედავდა სარკმელთან მომდგარ თინას. მას ხელში ბავშვი ეჭირა. სახეზე მოუთმენელი ლოდინი ეხატა, შენიშნავდა გივის, და სახე გაუნათლებოდა. გივი კი ოთახში შევიდოდა, ხელ-პირს დაიბანდა და შემოუხსნდებოდნენ თავიანთ პატარა მავიდას. რაც ჰქონდათ სადილად, იმით კმაყოფილდებოდნენ. თუმცა მამის გამოტანებული ფული შემოყვლიათ, მაგრამ ორი კვირის ხელფასი მი-

იღო გივიმ. ფული თინას ჩააბარა. სიხარულისაგან ცას ეწია თინა, როდესაც გივიმ ფული მისცა და უთხრა:

— სადილ-ვახშამზე ზრუნვა შენ გვალეობდეს!..

ძალიან მომჭირნედ ხარჯავდა თინა ფულს. ზედმეტად გროშსაც არ იმეტებდა, თუმცა ღვინოსაც ახვედრებდა სადილად. რამდენიმე ვარია იყიდა და ეზოში გაუშვა. როდესაც წამოიზრდებოდნენ, დაკლავდა ხოლმე და გემრიელ ჩახობილს ამზადებდა. შენახული ჰქონდა კართოფილი, ხახვი, პამიდორი, კომბოსტო. მწვანილს დიასახლისის ბაღიში კრეფდა, ისე, უფასოდ, ამაში ის ფულს არ ახდევინებდა.

სალამობით გივი დაღლილ-დაქანცული ბრუნდებოდა. მას ბევრი სიარული უხდებოდა კარიერებში და ახლომასლო გორაკებზე. დღეში ერთხელ მაინც მიდიოდა ქარხანაში, ხან დირექტორი დაიბარებდა, ხან მთავარი ინჟინერი. უმტკვერიანდებოდა არა მარტო ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, არამედ თმაც. ყელ-კისერიც და ყურებიც. წვრილი, სიფრიფანა მტკვერი, თითქმის უჩინარი, მუდამ ტრიალებდა ჰაერში. მზის სხივებზე ნათლად ჩანდა ეს მტკვერი, მეტადრე საამქროებში, რომლებიც ნახევრად ღია და დაუხურავი იყო. მას კარიერებში ერჩივნა ყოფნა, ღია ცის ქვეშ, მწვანე ფერდობებზე. თავს უფროთხილდებოდა. იმასაც ცდილობდა, შიგ კარიერებში იშვიათად შესულიყო, მაგრამ ყოველთვის ვერ ახერხებდა ამას, ხშირად აუცილებელი იყო შიგ ყოფნა...

დასვენების საათში საუხუმეს მწვანე ბალახზე შეეკეცოდნენ, მოჩუხჩუხე წყაროსთან. ხანდახან ღვინოსაც დააყოლებდნენ ხოლმე, რაც ძალიან ახალისებდა მათ. თავისი ხასიათის ამხანაგებიც შეხვდნენ. ზოგი ბრიგადირი იყო, ზოგი რიგითი მუშა. მათ უმაღლესი სასწავლებელი დამთავრებული არა ჰქონდათ, მაგრამ მუშაობის გამოცდილება დიდი გააჩნდათ. მათაც უყვარდათ ღვინო და ძმბიქური ბაასი. უბრალო, ღარიბ, მაგრამ მაინც ძალიან გემრიელ

სუფრაზე, არ აკლდათ ახალი ხახვი, თვის ბოლოცი, პამიდორი და სუფრის სულის ჩამდგმელი ღვინო, ღვინო და, ისიც ზიდისთაური, რაც კოლმეურნეებს მოჰქონდათ გასაყიდად.

ხალისიანად ვავიდა ზაფხული. სექტემბერიც სასიამოვნოდ გაატარა. მხოლოდ დროდადრო ბუზღუნებდა. ერთხელ ისიც წამოცდა, გარჩენო. თინას ყურადღება არ მიუქცევია, ვერ მიხვდა, რა აზრით, რა გრძნობით თქვა. გვიის უკვირდა კიდევ, რომ თვითონ არჩენდა თავის ცოლ-შვილს, უკვირდა ფულს რომ იღებდა და მამას არ შესცქეროდა ხელებში.

ტანსაცმელი გაუხუნდა, შემოაცვდა. სახლში პატარა სარკე ჰქონდათ და მხოლოდ სახეს ხედავდა. გადაივარცხნიდა შავ გრუზა თმას, გაიპარსავდა წვერს, უღვაშებს კოხტად შეიკრებდა და გაეშურებოდა სამუშაოდ.

ერთხელ დირექტორის კაბინეტში მოხვდა. დიდი სარკე იდგა იქ. ძალაუნებურად ჩაიხედა შიგ და თავიდან ფეხებამდე გამოჩნდა. არ მოეწონა თავისი თავი. ეს როგორ მაცვივაო, ეწყინა, რას დავემსგავსეო!

ოქტომბერში წვიმები დაიწყო. ატალახდა არა თუ გზები, გორაკები და მისი ფერდობები, არამედ კარიერებიც. კოჭებამდე ტალახში იფლობოდა გივი. ფეხსაცმელები და შარვლის ტოტები მუდამ ამოლაფული ჰქონდა. დადიოდა გულშეწუხებული, რაღაცაზე თუ ვიღაცაზე გაბრაზებული, ბუნებაზე გამწყრალი და გაჯავრებული.

ნოემბერში კი ისეთმა ქარებმა დაუბერეს და ისეთი კორიანტელი დატრიალდა, არა თუ უბრალო მიწისა, არამედ ცემენტის მტკვრისა, ტყვიასავით მძიმე ცემენტისა, რომელიც მთელ სხეულში ატანდა...

შინ დაბრუნებისას აღარც გოგის ღიმილი ეხარებდა, აღარც თინას მოფერება. შემოდიოდა სახლში დაღვრემილი, მოწყენილი, დანაღვლიანებული. თინა მაინც მზიარულად ეგებებოდა. უხაროდა, ჩემი ქმარი სამუშაოდან მოვიდაო.

ფაქიზად და გემრიელად დამზადებულ სადილს ახვედრებდა. გივიც კი შუბლშეკრული, გულში ბოლმით მსგავსე, ტალახიან ფეხსაცმელებს იხდიდა, წვებოდა და სადილსაც არა ჰამდა, ხმის გაუცემლად იძინებდა. დილაზე ფეხსაც არ გაიძრევდა.

შეეცვალა გუნება, აღარ ახარებდა ოჯახური სიტბო, პირიქით, მობეზრდა კრღეც.

„მეტის ატანა აღარ შემიძლია“, — ამბობდა თავისთვის. ამ დროს ის წარმოიდგენდა თბილისს, რუსთაველის პროსპექტს, მეგობრებსა და ამხანაგებს, რომლებთანაც ერთად დროს ატარებდა ხან საბილიარდოში, ხან რესტორანში, ხანაც პირდაპირ პროსპექტზე — ქალიშვილების ცქერაში და მათი გარეგნობის ქება-ბაგვბაში.

„უნდა წავიდე თბილისში“... — შეუჩნდა ფიქრი, კიასავით უღრღნიდა ეს ფიქრი გულს და აღარ მოეშვა... ნატურად და წყურვილად გადაექცა თბილისში დაბრუნება...

— ნუთუ ამ ქვეყნად იმისთვის გაეჩნდი, რომ სადღაც მთის კალთებზე მიწა ვჭრა?... — უთხრა ერთხელ თინას სამდღურავით.

— სულ ერთი არ არის, შრომა შრომა. თუ კი აღამიანს ამით ქვეყნისათვის სარგებლობა მოაქვს, სათავილო რად უნდა იყოს?! — მიუგო თინამ უბრალოდ და გულთბილად, რომ გვიისათვის გული არ გაეტეხა, მუშაობაზე გული არ აეცრუებინა.

გივი კი ისე გაბრაზდა ასეთი პასუხის გამო, თითქოს გივის კარიერებში მუშაობა თინას ბრალი ყოფილიყო...

— არა, მე ამას თავს ვერ შევაკლავ! — მიუგო და დააყოლა: — თბილისში გასამგზავრებლად მოემზადე!..

მართლაც მეორე დღეს შეკრეს თავიანთი ბარგი-ბარხანა, ჩასხდნენ მატარებელში და ჩავიდნენ თბილისში.

სახტად დარჩა მამამისი, სულ არ მოელოდა მათ.

— რა მოხდა, სამსახურიდან დაგი-თხოვეს?..

— არა, მამაჩემო, არ დამითხოვეს, მაგრამ მე იქ მუშაობა აღარ შემიძლია.

— რატომ, ვინმემ გაწყენინა?..

— არა, არ შემიძლია მთელი სიცოცხლე მიწა ვჭრა!..

— თუ კი შენს მოჭრილ მიწას სარგებლობა მოაქვს, რატომ არ უნდა შეგეძლოს?.. აი, ეს შენობა, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, მაგ მიწისაგან დამზადებული ცემენტით არის შედგენილი. ცემენტი რომ არ იყოს, ხომ ვერ აშენდებოდა ვერც ერთი თანამედროვე შენობა... ჩემო შეილო, შენ ძალიან დიდ საქმეს ემსახურებოდი... მთელი ჩვენი ქვეყნის მშენებლობას!..

— არა, აღარ შემიძლია დილიდან საღამომდე ტალახში, მტვერში, მიწით ამოსვრილ ტანსაცმელში ყოფნა. არ შემიძლია და რა ვქნა? — გადაპირით გახუცადა ვიგივ მამას.

-- სამი თვეც ვერ გასძელი. სირცხვილი შენი, მხოლოდ სამი თვე, მე კი ოცდაათი წელიწადი ვმუშაობ, ოცდაათი წელიწადი!

— შენნაირი საქმე რომ მქონდეს, მეც ვიმუშაებ, ოცდაათს კი არა, ორმოცდაათს!.. კოსტუმში გამოწყობილი, პალსტუკით ყელზე დადიხარ და ხელმძღვანელობ, უთითებ, შენ უტკერი და სხვა აკეთებს!..

— ეს ახლა, მაგრამ, ვიდრე ამას მივალწვედი, არავითარ შრომას არა ვთავაობდი. ტალახსაც ვზელდი, მიწასაც ვჭრიდი და ქვასაც. კლდესაც ვანგრედი. ახლა კი, როცა ცხოვრებამ გამზარდა და საქმემ განმასწავლა, მე ვხელმძღვანელობ და სხვები ზეღენ იმ ტალახს, რომელიც საჭიროა მშენებლობისათვის. მეცოდები, ჩემო შეილო, ნამდვილად მეცოდები, რომ მეტი სულგრძელობა არ გაგაჩნია.

— არ შემიძლია, მამაჩემო, ვერ შევგუე და რა ვქნა. რაღად დავამთავრე უმაღლესი სასწავლებელი?..

— მეც დავამთავრე უმაღლესი, მაგრამ შენ გგონია, დამთავრებისთანავე ყველაფერი ვიცოდი?.. არაფერი არ ვიცოდი, გარდა იმ თეორიებისა; რომლე-

ბიც წიგნებში ეწერა და გაზებირებული მქონდა. ამ ცოდნას გამოყენებდა სკიორდებოდა. ინსტიტუტი საბოლოოდ დაკავშირდა, სადაც ვმუშაობდი. მშენებლობებზე შეისხეს ხორცი ჩემგან ნასწავლმა თეორიებმა. უმისოდ მე დღესაც სრულყოფილი ინჟინერი არ ვიქნებოდი.

— იქ არაფერი არ არის სასწავლი. ის უკვე ვიცი. უჩემოდაც მოსჭირან მიწას, უჩემოდაც დაამზადებენ ცემენტს!..

— უშენოდაც, დიახ, უშენოდაც იარსებებს ქვეყანა. უშენოდაც აშენდება ჩვენი ქარხნები და ფაბრიკები. უშენოდაც იმუშაებენ, შენ კი იარსებებ ამ ქვეყნად და ამ შენობებში არც ერთი აგური არ იქნება შენი შიგნითი... ეეჰ, საღამდე მიჰყავხარ სიზარმაცეს, უქნარობას. ყური დამიგდე, მომისმინე, რას მოგიყვები. ამას წინათ ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში ვიყავი. საამქროები დავათვალიერე. ბრუნავდა კონვეიერი და ნელინელ მოიწვედნენ წინ ახალთახალი მანქანები. კონვეერთან იდგა ერთი კაცი და მხოლოდ ჭანჭიკს ამაგრებდა იმ მანქანებზე, ის სხვა არაფერს არ აკეთებდა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, რომ ეს პატარა საქმე ემაყებოდა მას, ესმოდა, რომ ავტომანქანას ერთი კაცი კი არ აშაადებს, არამედ მთელი კოლექტივი. მერე ეს მანქანები მთელს ჩვენს ქვეყანაში დასრიალებენ, გადააქვთ ტვირთი. იმ კაცსაც ემაყება, რომ მისი წვლილიც არის შიგ. მთელი ჩვენი ქვეყანა ერთი მთლიანი კოლექტივი, რომელიც აშენებს რაღაცა დიდს, ხალხის უკეთეს ცხოვრებას. ამიტომ, რომ ჩვენს ქვეყანაში ვინც არა შრომობს, ის არა სჭამს. შენ კი არა შრომობ და სჭამ, გესმის, სჭამ!..

— გამძიმებს ჩემი რჩენა?!

— ძალიან. იმიტომ, რომ არაფერს აკეთებ!

— ვინ გამოარაკვევს, ვინ რას აკეთებს, ან ვინ რა საშუალებით ცხოვრობს!..

— ჩვენი სინდისი არაკვევს, ვინ რა გააკეთა და ვინ რას აკეთებს! ვიგივ საპასუხოდ ვერაფერი თქვა და

სახე დაემანჭა, ღვარძლიანად შეხედა მამას, თითქოს უნდოდა ეთქვა: „გამანებე თავი, აღარ გაიჟმდებიო?“.

სტეფანე კი თავს ველარ იკავებდა და განაგრძობდა:

— მე უკვე აღარ მინდა შენი აქ ყოფნა. ჩემი შვილი ხარ, მაგრამ ხელს ვრღებ შენს მამობაზე. შენთვის ლუკმა პური არ მენანება, მაგრამ ვერ ვიტან შენს უსაქმურობას და ამიტომაც არ შემიძლია გარჩინო. მომწყდი თავიდან, სცადე გინდა, იქ წადი!..

— წავალ, წავალ, ოღონდ ისე წავალ, რომ ვერასოდეს ველარ მნახოთ, ვერც შენ და ვერც დედაჩემმა. განა არ ვიცი, შენ ჩემი სიყვდილი გინდა!.. — გვიმ ხნას აუწია, სახეზე სისხლი მოაწვა, თვალები გაუწითლდა. ორივე ხელი მალა-ასწია, ისე, თითქოს რამე უნდოდა დაენარცხებინა, თვალითაც ეძებდა რამე ნივთს დასამტკრევად, მაგრამ იმ წუთში ვერაფერი ნახა და დამუშტული ორივე ხელი ისე მაგრად ჩამოკრა მაგიდას, რომ ფანჯრის მინები აწყრილდა.

ხმაურზე მარო გამოვარდა. შვილს რომ შეხედა, მაშინვე აკვივლდა:

— რა დაგემართა, კაცო, რას მიაცივდი ამ ბიჭს, რა გინდა ამისაგან, რას შეუწუხე გული, აღარ მოასვენებ?!.

მარომ ქმარს დასდო ბრალი. უცებ გადაწყვიტა, რომ მამა იქნებოდა დამნაშავე და არა შვილი, რომელიც ასე შეწყსებულად გამოიყურებოდა.

— მაგდებს, დედაჩემო, სახლიდან მაგდებს!.. — შესჩივლა გვიმ.

სტეფანე კი იდგა გაოგნებული, ათრთოლებული და ბრახმორეული შესცქეროდა ცოლს, რომელიც ამშვიდებდა ხელებში თავჩარგულ შვილს.

ასეთი გამოსარჩლება პირველი არ იყო. სწორედ მაშინ, როდესაც სტეფანე ტკბილი სიტყვით თუ დარიგებით, შეგონებით და მუქარით, შვილის სწორ გზაზე დაყენებას ცდილობდა, სწორედ მაშინ ჩაერეოდა დედა თავისი ჩვილი გულით და მამას ყოველგვარ სასიკეთო ცდას უქარწყლებდა.

— ეგე, რა უნდა გელაპარაკოთ, თქვენ რას გაიგებთ ჩემს დარდს!.. — წარმოთქვა სტეფანემ, ხელი ჩაიჭინა და ოთახიდან გავიდა.

მამაშვილი სამ დღეს ერთმანეთს ხმას არა სცემდა.

ჯიუტი და უღმობელი იყო გივი. კარგად იცოდა, რომ ყოველი ასეთი შელაპარაკების შემდეგ მამამისი სწუხდა და იტანჯებოდა. იცოდა გივიმ, რომ მამა მაშინვე შეურაცღებოდა, გულშიც კი ჩაიკრავდა, თუ კი შვილი გამოელაპარაკებოდა მას, მაგრამ გივი იმდენად გულცივად იქცეოდა, რომ ისევ მამას აიძულებდა პირველად მას გაეცა ხმა, რაც ბოდის მოხდასაც კი უდრიდა.

ამის შემდეგ მამაშვილის ურთიერთობა კარგა ხნით მშვიდად და შეხმატბილებულად მიდიოდა.

მერე კი ისევ მოქვიფე ამხანაგები, ისევ უზრუნველი სიარული საბილიარლოში, რესტორნებში თუ ქალაქგარეთ, რასაც მთელი ზაფხული მონატრებული იყო...

XVIII

დიდი სიციხეები დაიჭირა თბილისში. სანატრელი გახდა ნიავი. სუნთქვა ჰირდა. ფოთოლიც კი არ ირხეოდა. პატარა გოგის სიციხისაგან სული ეხუთებოდა. სტეფანემ შვილიშვილს მზრუნველობა არ მოაკლო. გივი ცოლშვილით ზღვაზე გაგზავნა, სოფელ განთიადში, გაგრის მახლობლად. მშვენიერი აგარაკი აირჩიეს, ბალში ჩამჯდარი სახლი. მალაჩარ ვაზისაგან რამდენიმე ფანჩატური იყო გამართული. ამ ფანჩატურს გადაჰფენოდა მსხლისა და ვაშლის ხეხილის ფართოდ გაშლილი ტოტები. თითქმის ეზოში ცხოვრობდნენ. მხოლოდ დამლაშობით შედიოდნენ ოთახში, ისიც დასაძინებლად. მთელ დღეს ხეხილის ჩრდილში ატარებდნენ. სახლი ქუჩის პირას იდგა, ზღვასთან ახლოს, სულ რაღაც ასიოდე ნაბიჯის დაშორებით. დღეში ორჯერ მიდიოდნენ ზღვაზე საბანაოდ — დილით და საღამოთი. გოგიც თან მიჰყავდათ. აბანაებდნენ ზღვის

მარილიან წყალში. ექიმმა ურჩია, ძველები გაუშვარდებო. ამ დროს გოგი უკვე ენას იდგამდა, ტიტინებდა. პაწაწინა ფერად კენჭებს არჩევდა, თავისი პატარა სათუთი ხელით ყველას დასანახად მალლა სწევდა და გაიძახოდა:

— ვის უნდა ლამაზი ქვა?..

— შე მინდა ლამაზი ქვა!.. — უპასუხებდა დედამისი და ხელს გაუწოვებდა. მაგრამ გოგი არ აძლევდა დედას.

— მამიკოსია! — იტყოდა ხოლმე ბავშვი და, მისი აზრით ლამაზ კენჭს, მამას ჩაუდებდა ხელში.

ბავშვის ყურადღებით კმაყოფილი იყო გივი, დროდადრო ეფერებოდა გოგის, მაგრამ თვალები მაინც სხვაგან მიუბრუნებოდა, ვიღაც ქალებისაკენ, რომელნიც ან ტანთ იხდიდნენ, ან იცვამდნენ.

თინა ამჩნევდა ქმრის უდიერ კვრეტას, გრძნობდა, რომ გივი ფიქრით და სურვილით იმ უცნობ ქალებთან იყო და გულში სწყინდა.

ერთად დაწყებული ცხოვრების შემდეგ ჯერ სამი წელიწადიც არ იყო გასული და გივი უკვე გულგრილი იყო თინასადმი. ამას ამჩნევდა თინა, მაგრამ თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა, აშკარად გამოეხატა წყენა. მხოლოდ ხუმრობით უთხრა:

— თვალები გეტკინება, გივი, ქალების თვალღერებით!..

გივიმ კი თავისი საქციელის გასაქარებლად მაშინვე შეაქო თინა:

— ვინ უნდა ვათვალღერო?.. შენზე უკეთესი რომელია აქ?!..

შექება ყველა ქალს ახარებს, უშნოსაც კი. მაგრამ თინა კვლავინდებურად შართლა მშვენიერი იყო, მას შეეძლო სიმართლედ მიეღო ქმრისგან შექება. ასეც იყო, ეჭვი არ ეპარებოდა ქმრის ნათქვამში, თუმცა მტკიცე, ნამდვილი, ძლიერი სიყვარულის საწინდარი მხოლოდ სილამაზე არ არის, ცნობილია. რომ ისევე ადვილად ღალატობენ ლამაზ ცოლს, როგორც ულამაზოს. სიყვარულის მთავარი საწინდარი სულიერი სიფაქიზეა, გრძნობის სიწმინდე, სპეტაკი გული, ეს კი არ გააჩნდა გივის...

თინას გაელიმა. შექებამ ასიაძრვნა. სილაღე იგრძნო. წამოდგა, წელში გაიმართა. ტანწერწეტა, ლეტწამივით ცოცხანე მოქანავე, შევიდა წყალში. ტალღებს გაჰყვავა... მსუბუქად შეცურდა ზღვაში. ზღვა იწვევდა და იზიდავდა, თინა მკლავების მოხდენილი მოსმით მიიწვედა წინ. დიდხანს იცურავა, ტალღებს ეთამაშებოდა, მერე უკან გამოსცურა. ის უკვე ბუნდოვნად ხედავდა ნაპირს. შეკრთა კიდევ, რა შორს წამოესულვარო. კარგა ხანს მოიწვედა ნაპირისაკენ გულში შიშვეპარული. ნაპირს მოუახლოვდა და დამშვიდდა. ხელს უქნევდა გივი, შესტკეროდა გოგი და ისიც უქნევდა პატარა ხელებს:

— მოდი, დედიკო, დედიკო, მოდი! — გაიძახოდა გოგი, მაგრამ მისი ხმა იქვე ქრებოდა.

თინა ზღვამ დაღალა და უკვე მოქანცული ამოვიდა ზღვიდან.

ოდნავ მღელვარე ზვირთები ჯერ მის მკერდს ეთამაშებოდა, შემდეგ წელს, მერე მუხლებს. როდესაც ზღვიდან ნაპირზე შემოდგა ფეხი, იგი მთელი თავისი აღნაგობით გამოჩნდა. ზღვა კვლავ მოაგორებდა ნაპირზე ქაფმორეულ ტალღებს. თითქოს ეს ტალღები თინას მუხლებს ეალერსებინათ, მოსრიალებდნენ და გარს ეხვეოდნენ. თინა კენჭებზე ნელა მოაბიჯებდა, ოდნავ თავჩაღუნული, მკლავებდაშვეებული. ზღვაზე ჩამოსვლის პირველი დღეები იყო და მას ჯერ არ მოჰკიდებოდა მზე. შავი საბანაო ტანსაცმელი ეცვა, რომელშიც თერთად ქათქათებდა მისი ტანი. თმები დასველებოდა და ოდნავ ასწეწოდა. კულულებზე მარგალიტბივით ასხდნენ წყლის წვეთები, თვალს ხიბლავდა მისი ლამაზი წვივები, ქალობის სისრულით დამშვენებული თქოები, მაღალი, საესე მკერდი.

მზით გამთბარ კენჭებზე ნელა და ფრთხილად, ოდნავი ბორძიკით მოაბიჯებდა. მთელი მისი არსება ქალური სინაზით და სიმშვენიერით იყო სავსე.

მზე ჩადიოდა და მისი უკანასკნელი სხივები წითლად ღებავდნენ ზღვასა და

ცის დასალიერს, რომლის ფონზე თინა ლამაზად დახატული ჩანდა. ნაპირზე მყოფნი ქურდულად უცქერდნენ მას. თინა გრძნობდა მისკენ მიბურობილ ხალხის თვალებს და ისიც, შემერთალი და მოკრძალებული, ძირს იცქირებოდა.

ნელა დაეშვა ქვიშაზე. ცოტა ხნის შემდეგ გივი წამოდგა.

— დროა წავიდეთ, — უთხრა მან ცოლს.

თინამ პასუხი არ გასცა. აუჩქარებლად ტანთ ჩაიცვა, წამოდგა, თავის უკან გადაქნევი თმები მხრებზე გადაიყარა. ღია წაბლისფერი თმები ჩამოეშალა.

თმა სწრაფად დაიწნა, კეფაზე მრგვალად დაიმაგრა და აბრეშუმის ფერადი თავშალი მხრებზე გადაიგდო. გოგის ხელი ჩასჭიდა, გივის გვერდში გააყუდა და ქმრის უუკრადლებობით გულჩათხრობილი ლამაზ, ლურჯ თვალებს ნაბავდა.

— მე რომ იქ დავრჩენილიყავი, გაგეხარდებოდა? — შეეკითხა თინა, ცოტახნის დუმილის შემდეგ ქმარს.

— რას ამბობ, არ მესმის?..

— მე რომ იქ დავრჩენილიყავი, აი, იქ, ზღვაში, გაგეხარდებოდა? — გაუშეორა შეკითხვა.

თინა აღერსიან პასუხს, მოფერებას ელოდა. ბოლოს და ბოლოს, იმას მაინც ჰკითხავდა ქმარი, რატომ ფიქრობდა ამას, მაგრამ გივი ვერ მიხვდა მის გულის ტკივილს.

— იქ რატომ უნდა დარჩენილიყავი? — ისე ჰკითხა, თითქოს იქ დარჩენა მართლაც შესაძლებელი ყოფილიყოს.

თინა სდუმდა. ამ დუმილში წუხილი იგრძნობოდა.

კარგა ხნის შემდეგ, როდესაც უკვე სახლს უახლოვდებოდნენ, გივიმ იხუმრა:

— იქ არც რესტორნებია და არც სასაუბრეები, რისთვის უნდა დარჩენილიყავი?..

თინამ შეხედა და ეუცხოვა, თითქოს პირველად დაინახაო. მიხედა ვინც იყო იგი.

მეტეი აღარაფერი უთქვამთ. სახლამ-

დე ხმაამოუღებლად მიდიოდნენ. მხოლოდ გოგი ლაპარაკობდა, მაგრამ მას არ უსმენდნენ.

გივის შინ დეპეშა დახვდა, საჩქაროდ თბილისში ჩამოსვლას სთხოვდნენ. ირაკლი აწერდა ხელს, ახლო მეგობარი. თვითონაც საგონებელში ჩავარდა, რისთვის მიბარებენო.

— ამაღამვე უნდა წავიდე! — განუცხადა თინას.

— მაინც არ გინდოდა ჩვენთან ყოფნა! — სამდურავით უთხრა თინამ.

— ძალიანაც მინდოდა ზღვის პირას, მხარეთქოზე წამოწოლა, უხრუნველად და უდარდელად ყოფნა, მაგრამ რა გაეწყობა, უნდა წავიდე... შენ კი დარჩი და ისიამოვნე!

თინამ იქნეული და გამკილავი თვალით შეხედა გივის, მაგრამ არაფერი უთხრა. გულში ჩაიტოვა სათქმელი... გივიმ ეს თანხმობად მიიღო და იმავე საღამოს თბილისისაკენ გაეშურა.

მატარებელში თავისუფლად იგრძნო თავი. ვაგონიდან ვაგონში იმდენი იარა, ვიდრე ვილაც ქალიშვილებს არ მიუჯდა. ბევრი იწრიალა მათ ახლოს. ხან უსაბავბოდ ბოდიშს იხდიდა, ხან ძირს დავარდნილ ნივთს თავაზიანად აწოდებდა, ბოლოს შინაურულად გააბა მათთან საუბარი. ქალიშვილებიც გულუბრყვილად ეყისკისებოდნენ უცოლო ყმაწვილ კაცს. გივიმ იმ ქალიშვილებს ასე გააცნო თავი.

XIX

გივის ჩამოსვლის დღეს ღილი შაროსთან მოვიდა.

— თინა ხომ არ ჩამოსულა? — იკითხა მოჩვენებითი წუხილით, — მომენატრა.

— არა, შეილო, მხოლოდ გივი ჩამოვიდა. მის ამხანაგს დეპეშა გაუგზავნია, საჩქაროდ დაუბარებია!

— მართლა?.. როგორ არისო თინა? როდის ჩამოვაო?..

— კარგად, შეილო, კარგად. თვის ბოლოს ჩამოვა.

— ნეტავი გივი მაინც მენახა, თინას ამბავი გაგეგო.

— დილით თუ შეისწრებ, თორემ მერე მიღის და თვითონაც არ იცის, როდის დაბრუნდება!

— მაშ დილით მოვალ. ძალიან მაინტერესებს, როგორ არიან, როგორ ატაოებენ ზაფხულს, ან ბავშვი როგორ ყავთ.

— დილით მოდი, შვილო, დილით.

ლილი დაემშვიდობა და წავიდა.

გივი მართლაც შუალამისას დაბრუნდა. ძალზე მთვრალი იყო. კარგა ხანი არ ენახა ამხანაგები და ძმაბიჭურად შეხედნენ მას, კარგად აქეიფეს. დედას არც კი გამოლაპარაკებია. პირში ენა არა ჰქონდა. ტანსაცმელის გახდაც ეძნელებოდა, მზად იყო გაუხდელს დაეძინა, მაგრამ დედამ არ დაანება, თვითონ გახდა. ჩაწვა თუ არა გივი ლოკინში, მაშინვე ხერინვა ამოუშვა. დილით ადრე გამოეღვიძა. წამოდგა და მაგიდას მიუჯდა. პატარა ხანს ხელეზში შუბლჩარგული იჯდა. თავი სტკიოდა. მერე ზღაზენით ადგა, ბუფეტრიდან ბოთლი გადმოიღო, არაყი დაისხა და უცებ გადაჰკრა. ნაბახუსევს თავი უსკდებოდა. არყით თავის ტკივილის მორჩენა სწადდა.

მართლაც უკეთესად იგრძნო თავი და არყის ბოთლს სიამტკბილობით შეავლო თვალი, ისე, როგორც მხსნელსა და მეგობარს...

ამ დროს მეორე ოთახიდან კალათით ხელში გამოვიდა მარო. პაშას დასვენების დღე ჰქონდა და სამურაბე ატმის საყიდლად თვითონ მიდიოდა. მაგიდაზე არყით სავსე ბოთლი რომ დაინახა, ეწყინა, სამღურავეთ უთხრა:

— გეყოფა, შვილო, ამდენი სმა. ცოლშვილიანი კაცი ხარ, თავს მოუარე, რომ ცოლშვილის მოვლაც შეგეძლოს.

— ცოლშვილს რა მოვლა უნდა. მოვლილები არ არიან?.. აგარაკზე მყვანან! — მიუგო უკმეხად.

— აგარაკზე შენ კი არ გაგიგზავნი, მამაშენმა გაგზავნა. მამა რომ არა გყავდეს, რა გეშველებოდა?!

— როგორ თუ არა მყავდეს? მყავს და ეს არის!

— ნუთუ არა ხედავ, რამდენს მუშაობს მამაშენი? შენც გარჩენს, შენს ცოლშვილსაც. შენ რომ კარგი შვილი იყო, სადმე იმუშავებდი, რამეს შემოიტანდი ოჯახში.

გივი გაჯავრდა, ტუჩები აუთრთოლდა. უცებ ბოთლს ხელი წაავლო, ჭიქა აავსო და ისე სწრაფად გადაჰკრა, თითქოს ეშინოდა, არ წამართვანო. გამოცლილი ჭიქა მაგიდაზე ხმაურით დადო და ბუზღუნით უთხრა დედას:

— ცოლშვილს მირჩენს!.. მერე რა მოხდა? ერთი შვილი გყავართ. ზოგს სამი და ხუთი შვილი ჰყავს, მაინც არჩენენ და ზრდიან... სამი შვილი რომ გყოლოდათ, არ არჩენდით?..

მარომ ხმას დაუწია, შვილი არ გაეჯავრო, და უფრო ტკბილად, თითქმის მოფერებით, მიუგო:

— აგრე რად ამბობ, შვილო, ჩვენ შენთვის არაფერი გეშურს, მაგრამ, განა ცუდი იქნებოდა, რომ გემუშავანა?.. აბა, მამ რისთვის გასწავლეთ?.. ათი წელიწადი სკოლაში დადიოდი, ხუთი წელიწადი უმაღლესში. თხუთმეტა წელიწადი გასწავლიდით, განა იმისათვის, რომ მარტო ღვინო და არაყი სვა?..

— მასწავლიდით, მასწავლიდით! — ავდებულად უპასუხა გივიმ, — გააჭირეთ საქმე, სულ მაგას გაიძახით!.. თქვენ რას მასწავლიდით?! თითქოს თქვენც ჩემს სწავლაში ოქროებს იხდიდით! სწავლა უფასოა და ვსწავლობდი. სახელმწიფო მასწავლიდა. ინსტიტუტში კი სტიპენდიასაც ვიღებდი!..

ველარ სცნობდა მარო თავის შვილს. გივი კი ისე ბრაზობდა, რომ თვალები უელავდა. მართალია, დიდს ვერაფერს აკადრებდა დედას, მაგრამ აშკარა იყო, რამდენიმე მჩხვლეტავი სიტყვაც რომ გაეგო, გივი თავს ველარ შეიკაებდა და სახლიდან გაეარდებოდა. მშობლის გული კი უკან დაედევნებოდა და სულ იმის დარდი ექნებოდა, თავს არაფერი აუტეხოსო.

გამშრალი, გულდაწყვეტილი იდგა

მარო და დამნაშავესავით გაფითრებული შესცქეროდა.

— კარგი, შეილო, აგრე იყოს, აგრე... შენ მართალი ხარ, ჩვენ კი მტყუანებში! — შებრუნდა და კარისაკენ გასწია. — დღეს მამაშენი ჩამოვა, იმას მაინც ნუ გააჯავრებ, მე არაფერი მიჭირს, ყველაფერს გააპატიებ. მტლად დაგედებ, ოღონდ შენ კარგად იყავი!

ჩუმიად გაალო მარომ კარი და ჩუმიადვე მიიხურა ზურგს უკან.

— დილიდანვე შხამს ჩამაწვეთებენ, მთელ დღეს მომიწამლავენ, მერე კი მეკითხებიან ღვინოს რატომ სვამო? აი, რატომ ვსვამ ღვინოს! — თავისთვის ბუზღუნებდა გივი, თითქოს ამით დალევის მიზეზსაც ეძებდა და თავიც გაიმართლავდა. მესამედ შეავსო ჭიქა. ახლა საუზმეც გადმოიღო — წინა დღის მშრალად მოხარშული ხორცი, პამიდორი, კიტრი და შემწვარი კართოფილი. ცდილობდა — დამშვიდებულიყო. შეხედა ბოთლს. არაყი ნახევრამდე აღწევდა, „საკმარისიაო“, — გაიფიქრა და ნერვიულად ააწკრილა დანა-ჩანგალი. ორიოდღე ლუკმის შემდეგ ისევ ბოთლს წაატანა ხელი, მაგრამ სწორედ ამ დროს ზარი აწკრილდა. ჩქარი ნაბიჯით მივიდა კარის გასაღებად.

— ლილი! — განცვიფრებული წამოიძახა გივიმ, მაგრამ სიამოვნებაც დაეტყუო სახეზე.

მაშინვე გაუღევა თავში: ღმერთმა გამომიგზავნაო.

ხელი ჩამოართვა, სუფრასთან მიიპატიჟა. დასხდნენ და ერთმანეთს შესცქეროდნენ.

— დებეშა მივიღე, ვილაც ირაკლი საჩქაროდ ჩამოსვლას მთხოვდა. მეგონა, ამხანაგი მიბარებდა. იმას კი ფიქრადაც არ მოსვლია ჩემი დაბარება.

— მართლა? — ვითომ გაიკვირვებოდა ლილიმ, — როგორ მეცოდები, ცოლს რომ მოგაშორეს! — ღიმილით მიუგო, — ვინ დაიდო შენი ცოდვა? — დასცინა კიდევ.

— მაინც და მაინც არცა მწყენია. მომბეზრდა შიშველი ქალების ცქერა.

შენს თვალწინ უსირცხვილოდ ინდინტანო, ვითომც აქ არაფერიათ. შენ კი უნდა უცქირო და ნერვიულად...

— ნერწყვი რატომ უნდა ყლაპო?.. თინა იქ არა გყავდა?.. ვისზე ნაკლებია?..

— ნაკლები არ არის, მაგრამ... იცი რა? სულ სხვა არის უცხო... მიმიხვდი? — თქვა და გადაიხარხარა. მაგრამ ლილის არ გაეცინა, პირიქით გული მოუკვდა... საცოდავი გამომეტყველება მიიღო, ტუჩები მოექცა, თვალეები დაუწყლიანდა. ლილი ლამაზი არა ყოფილა. მისი სილამაზე მხოლოდ და მხოლოდ მისი სიხალგაზრდავე იყო, ამიტომ უსიამოვნოდ არ მოჩანდა მისი ბრტყელი ცხვირი და განზე გასული შავი თვალეები...

— ერთი ჭიქა არაყი დალიე, — სთხოვა გივიმ.

— უპ, არაყს როგორ დავლევი!..

— მერე რა, მხოლოდ ერთი ჭიქა.

— არა, არა. ნურც შენ დალიე. ძალიან გთხოვ, ვიდრე მე აქ ვარ, ნურც შენ დალიე!..

— კარგი, არ დავლევი!.. — დაუთმო გივიმ, რომ სამაგიერო აენახლაურებინა.

— გივი, იცი რა უნდა გითხრა... რალაც მინდა ვთქვა და ვერ ვახერხებ... არ ვიცი, როგორ დავიწყო...

— ისეთი რა არის, რომ ვერ ამბობ. ჩემთან ლაპარაკი არავის უჭირს, მეტადრე ქალიშვილებს. შენ რა დაგემართა. პირდაპირ ილაპარაკე, ქუქუს ძალა არ დაატანო.

— სამი წელიწადია, სრული სამი წელიწადი!

გივიმ ყურადღება დაქიმა.

— მერე?

— ჯერ მომწონდი. მერე კი, შენ რომ ?ე, აქ კიბეებზე შემაჩერე და მოულოდნელად... ჩამიკარი... ნეტავი რისთვის ამიძღვრე გული?! რად გამამხებინე დაფარული გრძნობა!

— ეპ, მერე რა... გაკოცე არა, მეტი ზომ არაფერი?..

— მერე ასე რატომ მოიქეცი? თუ კი გადაწყვეტილი გქონდა, თინას შეირ-

თავი. თუ კი ის გიყვარდა, მე რაღად მირევიდი გზას?..

— ერთი კოცნით?..

— მე ისედაც გულში ვიკლავდი ჩემს სიყვარულს, რადგან შენ ისეთ ქალს ეტრფოდი, რომელიც ბევრად მჯობნდა მე. ვიცოდი, ხელს არ გამომიწვდიდი, მაგრამ შენს სიახლოვეს რომ ვყოფილიყავი, რომ შენთვის მექცირნა, შენი ხმა გამეგონა, ამისათვის ვმეგობრობდი თინას. შენი სიყვარულის გამო, არაფრისაგან უკან არ ვიხევიდი. ყველაფერში ხელს ვიწყობდი. ისე დაგეხმარე, რომ ჩემი გულის მეტოქეც კი შეირთე. შენ კი ზედაც აღარ მიეკებოდი!..

ლილიმ სახე ხელეში ჩამალა და მიუყურდა...

ორიოდე წამის შემდეგ ქვითინი გაისმა.

— რა გატირებს, მე თუ ვერ მიგიბვიდი, რა ჩემი ბრალია? თუ თანახმა იყავი, ვერ გამაგებინე?!

— რის თანახმა? — წამოიწია და მწყურალად შეეკითხა ლილი.

— აბა, რა ვქნა, ჩემო ლილი, მე სიყვარული არ მეხერხება. არ მეხერხება კი არა, არ შემძლია!..

— ახლა, რა თქმა უნდა, აღარ შეგეძლება, — სინანულით ჩილაპარაკა ლილიმ და ისევ დაღუნა თავი.

გივი ფრთხილად მიუახლოვდა, ერთი ხელი თმაზე გადაუსვა და მეორე მხარში ჩასჭიდა.

— ერთხელ მაინც გეცადა და გეთქვა, იქნებ მეც მომწონდი?.. აბა, უარს როგორ გეტყოდი?..

გივიმ ლილი ფეხზე წამოაყენა და თავისკენ მიიზიდა.

ლილი მთლიანად მიენდო გივის, მიინახა და თვალს არ ახელდა, თითქოს ეშინოდა, არ დაენახა ის, რასაც ასე დიდხანს ნატრობდა. მას უნდოდა ჩამოკონებოდა და განეცადა ბედნიერი ქრუანტელი...

— ნუ ტირი, აბა, რა გატირებს? აქ არა ვარ, შენთან არა ვარ?..

მათ იგრძნეს ერთმანეთის სახის სიციხე, თბილი სუნთქვა, ტუჩების სიტკბო

და გულის ძლიერი ძვრა. ოღონდ ლილი თვალს არ ახელდა, თავის სიხამაში ეგონა და ეშინოდა ეს სიხამა დაეკარა.

მოულოდნელად ზარი აწკრიალდა.

ლილი შეკრთა. გამკვალავად მოესმა ეს წკრიალი, თითქოს გულიც და ტვინიც ერთდროულად დაესერაო.

— დედაჩემი იქნება, არაფერია! — უთხრა გივიმ აჩქარებულად, — საღამოთი დედაჩემი ნათესავეებში წავა, შენ კი მოდი ჩემთან, მარტო ვიქნები, კარგი?..

ლილიმ არ იცოდა, რა ეპასუხნა. თვალს იმშრალეზდა, აბურძგვილ თმებს ისწორებდა.

— მოხვალ?.. თქვი!..

— არ ვიცი... — წაიღულულა ლილი.

ზარი ისევ აწკრიალდა. ეტყობოდა, ნერვიულობდა ის ხელი, რომელიც ზარს რეკდა.

ლილი ჩამოჯდა და საინი თავისკენ მიიწია. გივი კარის გასაღებად გაეშურა. გასაღები გადაატრიალა და იმის ფიქრში, რომ უსათუოდ დედამისი შემოვიდოდა, კარის გაუღებლად უკან გამობრუნდა.

კარი გაიღო და ოთახში გოგი შემოვარდა. ბავშვს ჩემოდნით ხელში თინა შემოჰყვა.

გივი საბტად დარჩა.

ლილი ზურგით იჯდა და ვერ დაინახა, ვინ შემოვიდა.

— რატომ ჩამოდი?.. — შეეკითხა განცვიფრებული გივი.

— მე იქ უშენოდ რა მინდოდა?..

თინას ხმის გაგონებაზე ლილი წამოდგა და გახარებული გამომეტყველება მიიღო. თინა ლილის მიუახლოვდა. მეგობრები ერთმანეთს გადაეხვივნენ, ერთმანეთი გადაკოცნეს, მოიკითხეს, გივიმ გოგი ხელში აიყვანა და კოცნა დაუწყო.

— დედა სად არის?.. — იკითხა თინამ.

— სულ ახლა ხანს წავიდა ბაზარში.

ახლა სამივენი შემოუსხდნენ მაგიდას.

— ერთი ჭიქის დაღევა ვთხოვე და

არაფრის გულისთვის არ დალია!

— ან რატომ სთხოვდი? არაყი რა ქალიშვილის საქმეა? — მწყრალოდ მიუგო თინამ.

თინა ხან ერთს შესცქეროდა, ხან მეორეს. თანდათან იკვება შეიპყრო. მართო რატომ იყვნენო, ფიქრობდა თავისთვის. თითქოს ისიც შეამჩნია, რომ მისი შეხედვა აბნევედა მათ. მაგრამ ამავე დროს თავს იკავებდა. იწყნარებდა გულს. — „განა ლილიმ არ გააცნო გივი, განა მის ბინაზე არა ხედებოდა?.. განა ლილი არ უწყობდა ხელს მათ შეხვედრებს? ნუთუ ასეთი ახლო მეგობარი მის ოჯახში შემოიჭრებოდა?.. არა მგონია!.. არა მგონია!..“ — ფიქრობდა და ცდილობდა გაეფანტა ყოველგვარი იკვი.

— შენი ამბავი მინდოდა გამეგო. გუშინ საღამოთი მოვედი. დედაშენმა მითხრა, გივი ჩამოვიდაო, დილაზე თუ ნახავ, თორემ ვინ იცის, მთელი დღე სად გადაიკარგებაო. მეც ამ დილას მოვედი გივის სანახავად!..

როდესაც ლილი ამას ამბობდა, იგი არ გაწითლებულა, რადგან ეს სიმართლე იყო.

— ცალ-ცალკე რატომ ჩამოდი? — იკითხა ლილიმ და გაღივება სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა. ძნელი იყო, სულ რაღაც სამიოდე წუთის წინათ გულში ამტყდარი მღელვარების უცებ დაოკება.

— სადაც გივია, მეც იქ მინდა ვიყო! რა მინდა ზღვაზე, მარტოდ?..

გივის ამ სიტყვებისათვის ყურადღება არ მიუქცევია. ის ისევ გოგის ეთამაშებოდა, თუმცა სულ სხვა დარდი აწუხებდა მას.

— ვისი იყო დეპეშა? რატომ გეძახდნენ ასე საჩქაროდ? — იკითხა თინამ.

— ვერ გავიგე. მე ამხანაგისა შეგონა, ირაკლისა.

— რა კაცია ეგ შენი ამხანაგი? ვინ არის ეგ ირაკლი?.. რას აკეთებს?..

— კაცია, ჩვეულებრივი კაცი. რაც მე ვარ, ისიც ის არის!

— მართლა?..

— დიახ...!

— ესეც ტელეგრაფი. ვინ იცის, ვის ეძახდნენ და ვინ კი ჩამოვიდა!..

— მაშ, — დაუდასტურა ლილიმ, — გვარი შეეშლებოდათ. ტელეგრაფში ხშირად ემართებათ ასე!..

ამ დროს კარი გაიღო და მარო შემოვიდა.

— ბებია! — შესძახა გოგიმ და მიცუნცულა ბებიასთან.

ბებიამ ატმით საეცე კალათა იატაკზე დადო. გაშტერდა. ეუცნაურა თინას ჩამოსვლა. წამით ხმა ჩაუწყდა. მერე ბავშვი გულში ჩაიკრა, სკამზე ჩამოჯდა და გოგი კალათაში ჩაისვია.

— ძალიან კარგად მოიქეცი, რომ ჩამოსულხარ. — ამბობდა მარო და კოცნიდა ბავშვს. — დაუნდვლიანდი, უამისოდ ვეღარ ვძლებდი!

ლილი წამოდგა, ის უკვე მთლად დამშვიდებულყოფილად. ფანჯრისაკენ გაიხედა. თვალისმომჭრელმა სინათლემ მიანათა სახეში. თინამ შეხედა ლილის და ისევ აემღვრა გული. სინათლეზე ნამტირალევი თვალები შეინშნა. მიაშტერდა.

— მე წავალ! — თქვა ლილიმ.

— რა გეჩქარება? სადილად ჩვენთან დარჩი.

— არა, დედა მელოდება.

— შენი ნებაა! — მიუგო თინამ უკვე გულგრილად.

ლილის არასოდეს უარი არ უთქვამს მათთან დარჩენაზე... არც თინას გაუშვია ასე იოლად, არასოდეს არ უთქვამს, შენი ნებააო. კარებამდე თვალით გააცილა და ეკვი ჩრჩილოვით შეუჩნდა მის გულს.

მარო სამზარეულოში გავიდა, სადილის თადარიგს შეუდგა. თინამ საწოლ ოთახში ჩემოდანი გაიტანა, ტანსაცმელი ამოალაგა და საშინაო ხალათი გადაიცვა.

თინა მთელი დღე სდუმდა. ხმა კრინტი არ დაუძრავს. ჩაფიქრებული დადიოდა. გოგისაც კი არაფერს ეუბნებოდა. ამოჩემებული ფიქრი მძიმე ღრუბლივით იკუმშებოდა მის გულში. გული კი ვეღარ იტევედა მას.

ხანდახან ეკითხებოდა თავის თავს: — „რა მწყინს?.. რა მაწუხებს ასე ძალი-

ან?... ნუ-თუ ის, გვიმ რომ აღერსი გაუ-
ნაწილა სხვას? ნუ-თუ ის, ვიღაც რომ
მართმევს ქმარს? შეიძლება დროებით,
მაგრამ მაინც რომ მართმევს!?"

გვიმ მიხვდა ამ შემზარავი დუმულის
მიზეზს და, თითქოს დანაშაულის გამო-
სყიდვა უნდოდაო, იმ დღეს შინ დარჩა,
არსად წავიდა.

დაღამდა.

გვიმ გოგის საწოლზე იჯდა და ვიდრე
ბავშვს ჩაეძინებოდა, ზღაპრებს უყვე-
ბოდა. უამბო ზღაპარი ცხრათავიანი დე-
ვეებისა, რომელთაც თავებს ჰკვეთდნენ
და მაინც არა კვდებოდნენ. როდესაც
დევს შეცხრე თავიც მოჰკვეთეს და, რო-
დესაც გოგი დარწმუნდა, რომ დევი
ნამდვილად მოკვდაო, მხოლოდ მაშინ
ჩაეძინა.

გვიმ სინათლე ჩააქრო და საწოლი-
საკენ გაეშურა. დაწვა და რამდენიმე
წუთში ჩაეძინა. ასე იცის უდარდელმა
კაცმა, უცებ ჩაეძინება. სასთუმალზე
თავს მისდებს თუ არა, მაშინვე ხვრინ-
ვას ამოუშვებს. უსაქმურებსაც ასე
სჩვევიათ.

XX

არიან ისეთი ნაკადულები, რომლე-
ბიც სალ კლდეებში იბადებიან, სუფთად
და წმინდად მოწკრილალებენ, აუმღვრე-
ლად მიეშურებიან თავიანთი ხასხასა,
წკრილა კალაპოტით დიდი მდინარე-
ბისაკენ. გზადაგზა კიდევაც იზრდებიან
ისეთივე სუფთა შენაკადებით და ბო-
ლომდე წმინდად ინარჩუნებენ თავს.
სხვა ჯურის ნაკადულებიც ბევრია, რო-
მელნიც, თუმცა სუფთად იბადებიან,
მაგრამ გზადაგზა ისეთ წუმპეებში უხ-
დებთ გზების გაკვლევა, ისეთ ბნელ,
გულამღვრეულ ხეებში იჭრებიან, რომ
თვითონაც იმღვრებიან და სხვასაც უც-
ვლიან ფერს. კოტე ჯაბადარი პირველი
ჯურის ნაკადულს ჰგავდა, რომელმაც
თავისი ცხოვრება სუფთა გზით გაიკ-
ვლია და წმინდად შევიდა დიდ მღელ-
ვარე ცხოვრებაში, ის არ იკარებდა,
უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, მას ვერ
იკარებოდა ცხოვრების ჭეშქარი, ადამია-

ნისაგან წარმოქმნილი სულიერი უსუფ-
თაობა.

უყვირდა კოტეს, როგორ შეძლებს,
ყმაწვილი კაცი იყოს ასეთი უგულსო და
რეგვენი, ტლანქი და დაურიდებელი,
კაცი, რომელსაც ჯერ ცხოვრების სიმ-
წარე არც უნახავს, არც განუცდია,
ისიც ვინ, მისი სიძე, მისი საყვარელი
შვილის ქმარი, თინას ქმარი. ათეული
წლობით შექმნილი ოჯახური სიბბო,
სიმშვიდე, სიყვარული კოტემ უცებ და-
კარგა. უთქმელი ნაღველი ჩაელეარა
გულში. ამ ნაღველის შესახებ ის არავის
არაფერს ეუბნებოდა და თავისდა შეუმ-
ჩნველად მხრებში მოიხარა, ჩაუცივდა
და ჩაუშავდა თვალები, უტყვი გახდა.
დადიოდა თავჩალუნული, თითქოს
რცხვენოდა იმის, რაც გადახდა და რაც
თავს დაატყდა.

ქარხანაშიც უსიამოვნება შეემთხვა.

ერთ დილას მელიტონმა კოტე კაბი-
ნეტში მიიწვია, კარი გადაკეტა და, რო-
გორც ახლო მეგობარს, საიდუმლოდ
ჰკითხა:

— რად გვაკლია ღვინო?..

ეს კოტესთვის მოულოდნელი იყო.
გაუკვირდა და უცებ ვერც მოიფიქრა,
რა ეპასუხნა. უსიტყვოდ მიაჩერდა სა-
ხეში.

— რად გვაკლია ღვინო? — გაუმეო-
რა ახლა უკვე ისე, თითქოს დამნაშავეს
მიავნო.

— არ უნდა გვაკლდეს! — კარგა
ხნის შემდეგ ძლივს მიუგო კოტემ, —
ღვინის გაცემა ზომ საბუთებით ხდება?!

— საბუთებით, საბუთებით! — იყვი-
რა მელიტონმა, — თქვენ სულ საბუ-
თებს ვაიძახით, საბუთი კი ის არის,
რომ ხუთასი დეკალიტრი ღვინო გაქრას
სარგებლობით ჩემი მეგობრული განწყო-
ბილებით და არ იცით, რა ხდება ქარხა-
ნაში!

მელიტონმა თქვენობით დაუწყო ლა-
პარაკი, კოტეს წინ იდგა ახლა არა ამბო-
ნაგი და მეგობარი, რომელმაც სუფრასე
ძმობაც კი შეჰფიცა, არამედ თანამდ-
ბობის პირი, მისი უფროსი, დირექტო-
რი.

— მიკვირს.. — ალაღმართლად წარმოთქვა კოტემ. მხრები აიჩეჩა და უმწეოდ გაშალა ხელები.

კოტე ჩაფიქრდა. საგონებელში ჩავარდა, მას უნდოდა მიეკვლია, როგორ ან როდის შეიძლებოდა ეს მომხდარიყო.

„ნუთუ ერთ დღეში, იმ რამდენიმე საათში მოხდა ეს. ქარხნიდან ადრე რომ წავედი? მერე როგორ? ვის შეეძლო ეს ჩაედინა?“ — ფიქრობდა კოტე თავისთვის.

მელიტონი წამოდგა, გარეთ გავიდა და კოტეც თან გაიყოლია. მელიტონს უკმეხი გამომეტყველება ჰქონდა. ლაპარაკის დროს ღვარძლიანად შეაელებდა ხოლმე თვალს, რითაც აგრძნობინებდა, დამნაშავე შენა ხარო.

მელიტონმა კოტე ვეებერთელა კასრებთან მიიყვანა.

— დანაკლისი უნდა შეივსოს! — თქვა მან სერიოზულად, ოღონდ ხმადაბლა. მერე წყლის ონკანს შეხედა, რომელზეც მიმაგრებული იყო რეზინის გრძელი მილი. მილიდან წყალი მოჩხრილობდა და ცემენტის ფილაქანზე იღვრებოდა. — შენ მეღვინე ხარ, სპეციალისტი. ზედმეტი არ მოგვიდეს. რამდენიმე კასრ ღვინოს ნახევარი გრადუსი რომ დააკლდეს, არ შეემჩნევა. ან არა და სხვანაირად მოახერხე. როგორც გინდა. შენ უკეთესად იცი. ხუთასი დეკალიტრი მაინცადამაინც ბევრი არ არის! — ისევე შენობით დაუწყო ლაპარაკი მელიტონმა. თხოვნაც ისმოდა მის ხმაში. ამ სიტყვების შემდეგ უკებ შემოტრიალდა და წავიდა. კოტე მარტო დატოვა ღვინოს ვეებერთელა კასრებთან და წყლის ონკანთან.

კოტე კარგა ხანს გაბრუებული იდგა: — რა მითხრა? რა დამაჯალა? წყალო ღვინოში? — ეკითხებოდა თავის თავს.

გული შეეკუმშა, წაბარბაცდა და კინალამ წაიქცა. კასრს მხრით მიეყრდნო და თავი შეიმაგრა. შემდეგ მთელი დღე გაოგნებული დადიოდა.

როგორც იქნა, დაილია დღე. კოტე დაღონებული და შეწუხებული მივიდა

შინ. თამარს არაფერი უთხრა, დაუმალა. არც თამარს უკითხავს, მუწყუნელობის მიზეზი. თინას დარღობს, უკეთესა და სუფრა გააწყო. ჩემად იყო კოტე და თამარიც სდუმდა. ვერც სოსო იღებდა ხმას. გულნათხრობილ დუმბილში ისადილეს. კოტე ხმაამოუღებლად გავიდა მეორე ოთახში და მიწვა. სოსომ ვერ აიტანა ოჯახში ჩამოწოლილი ნაღვლიანი სიჩუმე და ეზოში ჩავიდა. თამარი აივანზე გავიდა, ფანჯარასთან ჩამოჯდა და ბავშვების თამაშს ადევნებდა თვალს. თავისი ბავშვობა გაახსენდა და სინანულმა შეიპყრო. რა უკვალოდ გაქრა და წავიდა იგი..

მეორე დღეს კოტე მტკიცე გადაწყვეტილებით მივიდა ქარხანაში, დირექტორისაგან მოეთხოვა — გამოერკვია, როგორ გაქრა ამდენი ღვინო.

ის ამ გადაწყვეტილებით შევიდა დირექტორის კაბინეტში, მაგრამ მელიტონს რომ შეხედა, სიმხნე დაკარგა. ცუდი სიტყვა არ ჰკადრა. თანაც დირექტორი ისეთ მხიარულ გუნებაზე დახვდა, რომ ისიც კი გაიფიქრა, ალბათ გუშინ ვინმემ შეცდომაში შეიყვანაო.

ორიოდე წუთის შემდეგ მელიტონმა ხუმრობით უთხრა:

— იცი, თურმე, რაებს შვრებიან ღვინოს წერტებში?.. მმარს ღვინოდ აქცევენ. ძალზე დაოსტატებულან ის არამზადები. მმარი, წყალი, შაქარი, თუ სახარინი და ათას დეკალიტრობით ამზადებენ ღვინოს! — თქვა ეს და ახითხითდა. ხითხითებდა და მისი უშველებელი მუცელი ნაკლულ რუმბივით თახთახებდა.

კოტე ზიზღით უცქეროდა. ქვეყანაზე ორი რამ ზარავდა კოტეს — გველი და ფლიდი კაცი. ახლა მან აშკარად დაინახა ფლიდი ადამიანი, და გააჟრჟოლა, ისე როგორც გველის დანახვაზე გააჟრჟოლებს კაცს.

მელიტონმა ხითხითი შეწყვიტა და ჰკითხა:

— მმარი რამდენი გვაქვს?..
კოტე სდუმდა. ის თავისას ფიქრობდა.

რა სინდისი მისცემდა უფლებას პატიოსან მეღვინეს, ღვინის პატივისმცემელს, რომელიც მთელი სიცოცხლე იმბროდა ქართული ღვინის სიწმინდისათვის, მისი ფერის, მისი გემოს, მისი თაიგულის სასიკეთოდ, თავისივე ხელით დაეშხამა იგი?..

მელიტონი მეღვინე არ იყო. ის შემთხვევითი პირი იყო ამ დარგისათვის. ის რომ მეღვინე ყოფილიყო, ღვინის შელახვას გულშიც არ გაივლებდა. მას არ ესმოდა, რომ ღვინო წმინდათაწმიდაა. ქართველი ხალხი ოც საუკუნეზე მეტია უფლის ვაზს, წმინდად ინახავს მამულს, როგორც სამშობლოს, რადგან მამული და სამშობლო ერთი და იგივე ცნებაა, ერთი სიმბოლოა. ეს ესმის ყოველ პატიოსან მევენახეს, ყოველ პატიოსან გლეხს, მელიტონს კი არაფრად მიაჩნდა ხალხის მრწამსი!

კოტე ფეხზე წამოდგა, მხრებში გაიმართა, სავარძელში ჩაფლულ დირექტორს ზევიდან დახედა და ხმამაღლა უთხრა:

— ეს აქ არ მოხდება. სანამ მე აქ ვარ, მანამ ჩვენს სარდაფიდან მართალი ღვინო გავა!..

მელიტონი ფეხზე წამოვარდა.

— რას მიქვია არ მოხდება! რაც მოხდა, ის როგორ-ღა მოახერხე? — ტყვიასავეთ ესროლა სიტყვა „მოახერხე“ და იქვე მოჰკლა.

ასეთი შეურაცხყოფა ზოგისათვის არაფერს ნიშნავს, კოტე კი მართლა მოჰკლა ამ სიტყვამ.

— როგორ, ეს მე მოახერხე? — შესძახა და ხელეზი დამუშტა, მაგრამ არ იცოდა, როგორ მოეხმარა ეს მუშტები, რომელშიც ძალა და ბრახი ერთად მოხვავდა.

— შენი მუშაობით სიცოცხლეს გვიმწარებ, ცხოვრების საშუალებას არ გვაძლევ! — მიუგო ღვარძლიანად მელიტონმა და, რომ ვერ გაუბედა, ეთქვა, გარეთ გადიო, თვითონ გავიდა კაბინეტიდან. რაც გულში ჰქონდა, ის უთხრა და მერე თავი აარიდა, რომ მის კაბინეტში ცუდი არაფერი მომხდარიყო.

უცებ მოვარდნილი ბრახი უცებვე დაცხრა.

კოტე მოეშვა, მოდუნდა და უფლები აუთრთოლდა და გული აუფრიალდა. მოწყვეტილად დაეშვა სკამზე.

იმ დღეს კოტე უფრო ნაღვლიანი მივიდა შინ.

ოთახში შესვლისას იღიმებოდა, თამარი კი განცვიფრებით შესცქეროდა მას.

— რა დაგემართა? — ჰკითხა თამარმა შეშფოთებით. — შენ რალაცას სწუხარ, — დაუმატა მცირეოდენი დაყოვნების შემდეგ.

— მე? — იკითხა კოტემ. წამოდგა და გაიარ-გამოიარა. მერე ისევ თავის ადგილს დაუბრუნდა და დაგვიანებით მიუგო, — არა, შენ გეჩვენება!

— მიდი, სარკეში ჩაიხედე. მთლად ჩამოგტირის სახე!

კოტე სარკესთან მივიდა და ჩაიხედა. მართლაც საცოდავი სანახავი იყო. მისი ღიმილი ღიმილს არ ჰგავდა. მწარედ მოჰგრეხობდა სახე...

თამარი სამზარეულოსაკენ შეტრიალდა. კოტემ ცოლს თვალი გააყოლა, კარს რომ ამოეფარა, ამოიხვნეშა.

„ერთსა და იმავე ადგილას ორი ჰრილობა... ორივე გულში“... — გაიფიქრა მან და საკინძე გაიხსნა, უბეში ხელი ჩაიყო. მკერდზე თითები ისე ჩააცურა, თითქოს ეშინოდა, ჰრილობაზე არ მომხვდესო, თანაც ელოდა, რომ ხელი უსათუოდ დაუსველდებოდა, მაგრამ არავითარი ჰრილობა... არავითარი სისხლი...

გული კი ნამდვილად სტკიოდა.

ზედა ტუჩის მარჯვენა კუთხე ოდნავ აწეული ჰქონდა, როგორც ეს ღიმილის დროს ხდება. თვალების ირგვლივ წვრილი ნაოქები შემოსხნდომოდნენ, ესეც ღიმილის დროს სჩვევოდა კოტეს. მაგრამ ახლა ღიმილი ვერ იხატებოდა მის სახეზე. ტუჩები მწარე სინანულს გამოთქვამდნენ, თვალები კი-ნაღველს... ღიმილით ტიროდა...

„სიცოცხლეს გვიმწარებ! ცხოვრების საშუალებას არ გვაძლევ! აი, თურმე

რისთვის შემომფიცა ძმობა! — გახსენდა ძველი ამბავიც.

ამ დროს თამარი შემოვიდა.

— რაზე ფიქრობ? — შეეკითხა.

— ეპ, რა ვქნა, თამარ, ასეა და მე რა შემიძლია. დარდი მკლავს... ყველაფერს ხომ ვერ ვიტყვი. თავისით გაივლის... შენ გენაცვალე, ნურაფერს მკითხავ. ნურაფერს!

თამარი გაჩუმდა. თვალის აარიდა. თავჩაღუნული ჩუმად აწყობდა სუფრას.

— ვისადილოთ? — ჰკითხა კოტემ.

— პო.

— ერთად?

— ერთად.

სუფრას შემოუხსდნენ. ხელადა მოიდგა გვერდზე. დროდადრო ავსებდა ჭიქას და მარტო სვამდა. თამარი არაფერს ეუბნებოდა, დარდი გაიქარგოსო. გულში კი სწუხდა და ლუკმა ყელში არ გადასდიოდა. კოტემ ეს შეამჩნია და თავი მოიმხიარულა. გაიხსენა ძველი ამბები, რაც ერთ დროს ორივეს ახარებდა ან აწუხებდა, ახლა კი არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

— გახსოვს ერთხელ ოპერიდან რომ გამომეჭეცი?

— როგორ არა, მახსოვს.

— რაღაცა გეწყინა ჩემგან. აბა ერთი გაიხსენე რა გაწყენინე. ხოო, გამახსენდა. შენ ჩემი კარმენი ხარ მეთქი. როგორ თუ კარმენს შემადარეო, გეწყინა და გამომეჭეცი. რამდენს გეძებდი ვესტიბულებში, ბუფეტში, იმ ჰრელ ხალხში, ვერაფრით ვერ ვიპოვე, თურმე შინ წამოსულიყავი. რა იყო საწყენი? — კოტემ გადაიხარხარა, მაგრამ თამარი მაინც ვერ აპყვა მის ნაძალადეგ მხიარულებას.

პატარა ხანს სდუმდნენ. მერე ისევ კოტემ განაგრძო:

— ან ის თუ გახსოვს, პირველად რომ შემოდი ჩვენს ოჯახში, დედაჩემმა რომ ოთახში გაგატარ-გამოგატარა. ვიღაცას ეთქვა, შენი სარძლო კოჭლიაო და განგებ დაგასაქმა: „თამარ, გეთაყვა, შენს გახარებას, წყალი დამალევინე“, — გითხრა დედაჩემმა, შენც გულუბრყვი-

ლოდ ადექი, მოპირდაპირე კედლისკენ, სადაც წყლით სავსე გრაფინი იდგა. გერიტივით მიგოგმანდი და დედაჩემს წყალი მიართვი. კოჭლიაო, შენზე უთქვამთ, შენ კი ყველას ჯიბრზე, სწორედ რომ გერიტივით დაგოგმანებდი!.. — კოტემ ისევ გადაიხარხარა, მაგრამ ეს ხარხარი გულიდან არ მოდიოდა. ის იყო მშრალი, უსულგულო.

— რატომღაც არ მეცინება, — უთხრა თამარმა და უცნაურად მიაცქერდა, — წელან ისე სწუხდი, ახლა რა დაგემართა? — შეეკითხა მწყურალად.

კოტე გაჩუმდა და თავი ჩაღუნა. უნდოდა ჩანგალი ჩაესო შემწვარი კართოფლისთვის, მაგრამ კართოფლი გაუსხლტა, ხელმეორედ მიმართა ჩანგლის კბილები კართოფლისკენ, მაგრამ ყვითლად შემწვარი კართოფლის მაგარ კანში ვერაფრით ვერ ასობდა ჩანგალს, სხლტებოდა და ტრიალებდა თეფშზე. უცხოს რომ ენახა, ეგონებოდა თამარს და ერთობაო. ნამდვილად კი კოტე სხვაგან იყო ფიქრით. მან უცებ ჩანგალი დადო, თავი მალლა ასწია და იკითხა:

— თინასთან არა ყოფილხარ? — პასუხს დაელოდა, მაგრამ თამარი სდუმდა. — როგორ არის საწყალი გოგო?... — დაუმატა თვითონვე.

— რატომ საწყალი?..

— ისეთი ქმრის ხელში, მამ რა იქნება?!

— თავისი ბედი მონახა. ასეა თუ ისე, მისი ქმარია!

— ქმარი... ქმარი... პა,პა, პა! ქმარი!.. გაუთლელი... უდიერი... იმისთვის ვზრდიდი ჩემს თინას?... იმ ხეპრესათვის?! — კოტეს გულში ბრახმა იფეთქა, — იმ, იმ... — ველარ თქვა, რის თქმაც უნდოდა და ხელი ჩაიქნია. — ეეპ, ეს ყველაფერი შენი ბრალია. შენა ხარ დამნაშავე, შენი!.. ვიღაც ვიგინდარას მიითხოვე. შენ ეს იცოდი და დროზე არა თქვი. დამიმაღე. მერე კი, როცა ყველაფერი გათავდა, ერთი ამბავი ატეხე. ვაი და ვუი!.. რაღა დროს წუხილი იყო?!

თამარი სდუმდა. ამ დღემილით ის მართლაც თავის თავზე იღებდა დანაშაულს. გულში კი სწყინდა. არ ახსოვდა კოტესაგან ასეთი სამღვრავი, ან ხმამალალი მომართვა, მაგრამ ხელაღება, რომ კოტე ისევ ბრავში შეიპყრო და სიტყვა არ შეუბრუნა.

კოტე წამოდგა, სუფრა მიატოვა და ოთახში გაიარ-გამოიარა. პიანინოზე იღო შოპენის პატარა ბიუსტი. რატომღაც აიღო ხელში, დააქვერდა და ისევ თავის ადგილზე დადო. შემობრუნდა და თამარს მიუახლოვდა. ისევ სუფრას მიუჯდა. პატარა ხანს სდუმდა, მერე ღიმილით შეხედა თამარს და თითქოს პატივბას სთხოვდაო, უთხრა:

— მგონი, მე მართალი არა ვარ შენთან!..

— როგორ არა, მართალი ხარ!..

— არა, არა ვარ მართალი. შენი ბრალი არ არის. ჩვენ არც კი ვიცით, ვისი ბრალია. რომ გვეცოდნოდა, არც მოხდებოდა!..

კოტე ჩაფიქრდა. კარგა ხანს უტყირა ერთ წერტილს და თითქოს მძიმე სიზმარს დააღწიაო თავი, შეაერთოლა.

— რა მოგივიდა, დღეს ძალიან მეუცნაურები!..

— მკაცრად გაზრდილი შეილი არ ვარგა. აღამიანისთვის, ჩემის აზრით, საკადრისი არ არის მუშტი თუ წყება. არც განებივრება ვარგა. გამუდმებით რომ თვალბში შესცქერი, მოისურვოს თუ არა რამე, მაშინვე აუსრულო. ჩვენ ასე ვზრდიდით... არ ვარგებულა! — ცოტა დააყოვნა და თვითონვე იკითხა: — მაშ რაგორ უნდა გაგვეზარდა?

— როგორ? — კითხა თამარმა.

— ჰო, აბა, მითხარი როგორ?

პასუხის მოლოდინში ერთმანეთს შესცქეროდნენ. ცოტა ხნის შემდეგ ისევ კოტემ განაგრძო:

— მეგობარივით უნდა გაგვეზარდა. მისი გულის მესაიდუმლენი უნდა ვყოფილიყავით. მას დასამალი არაფერი არ უნდა ჰქონოდა ჩვენგან. შენ ამას ვერ შიამყევი. რცხვენოდა შენი და გიჟალაგდა იმას, რაც ცოტად თუ ბევრად ეჩო-

თირებოდა. რა ჰქონდა დასამალი?.. რად უნდა შერცხვენოდა დედის ან მამის? თავიდანვე ყველაფერი უნდა გვეჩვენებოდა არ შეტოვებოდა. მეგობრად უნდა გაგვეზარდა, გესმის, გულახდილ მეგობრად. მაშინ ყველაფერს გაგვიზიარებდა და გაგვიგონებდა კიდევ. აბა, რა უნდა ექნა ბავშვის ასეთ დროს, ისიც შეყვარებულ ბავშვს?.. იცი, მე რა მაწუხებს?.. ჯერ ხომ თინამ გამიმწარა სიცოცხლე, მერე იქ, ქარხანაშიც გამწარებენ!

— იქ რალად? იქ რალა მოხდა?..

— იქ იმდენი არაფერია! — უცებ მიჩქმალა კოტემ, ინანა კიდევ რატომ წამოვიწყეო. — უფრო ეს, თინას ჯავრი მაწუხებს, შენ არც კი იცი. მე ვიყავი თინასთან. შევეუროვდი. ი ბიჭიც ენახე. ჩვენი სიძე. მაგრამ არ მომეწონა. არ მომეწონა და რა ექნა! იცი რა, მოიყვანე თინა სახლში. ჩვენთან იყოს. აქ იყოს. ჩვენ გავუზარდოთ ბავშვი. მე ვიცი. მე ვგრძნობ, იმ ბიჭის ხელში თინა ვერ გაინახებს. მე ეს შევამჩნიე კიდევ. ისიც კი ვუთხარი თინას, მოდი მეთქი სახლში. შევტყე, თინა ბევრს უთმენს თავის ქმარს. რისთვის უნდა უთმინოს?!

— რას ამბობ, ეს როგორ შეიძლება. ცოლი ქმარს დააშორო. იქნებ როგორ უყვარს ის თავისი საძაგელი ქმარი, შენ რა იცი? არა, ეს არ შეიძლება. რადგან გათხოვდა, იცხოვროს მასთან. ოჯახი არ უნდა დაანგრეოს. რომ დაშორდეს, იქნებ უფრო გაუბედურდეს! არ მიყვარს ქმარგაშორებული ქალი. ოჯახი ინგრევა. ბავშვი ობლდება. სჯობია თვითონ დაიტანჯოს, ოღონდ ბავშვს მამა შეუნარჩუნოს. იქნებ ისიც როდისმე ჰკუთხე მოვიდეს!..

კოტემ ამოიხზრა. ცოლის სიტყვებში სიმართლე იგრძნო. არაფერი უპასუხა. წამოდგა და საჩუკეში ჩაიხედა.

— იქ რალა მოხდა? რა ამბავია თქვენს ქარხანაში?..

— წვერი რომ გავიპარსო უკეთესი იქნება, არა?.. ძალზე ამომსელაია!..

— არა, შენ ის მითხარი, ქარხანაში ვინ გაწყენინა?..

— მე ახლავე წვერს გავიპარსავ და უკეთეს ხასიათზე დავდგები!

— რატომ არ მეუბნები, რა მოხდა ქარხანაში?..

— ხო ხედავ, არ გიპასუხებ, შენც ნულარ მეკითხები. თუ ხათრი გაქვს, თუ ოდნავ მიინც გიყვარვარ, ნუ მეკითხები... — კოტე თამარისკენ მიბრუნდა და ისე შეეხვეწა, როგორც ბავშვებმა იციან, გულწრფელად და გულუბრყვილოდ. მის ხმაში, მის სიტყვებში ისეთი სიმწარე იგრძნობოდა, რომ თამარი მაშინვე გაჩუმდა. მიხვდა, რომ ახლა ხმის ამოდება არ შეიძლებოდა. უსათუოდ უნდა გაჩუმებულიყო, თორემ ერთ უბრალო სიტყვასაც კი შეეძლო კოტესთვის გულის პრილობა გადაეხსნა და უსიამოვნო შედეგი მოჰყოლოდა. და თამარი არა თუ გაჩუმდა, თვალის კი აარიდა ქმარს.

კოტე აივანზე გავიდა.

კოტა ხნის შემდეგ გაისმა მისი ხმა:

— სოსო!..

როდესაც სოსო მამას გამოეხმაურა, კოტემ დაყვავებით უთხრა:

— შინ მოდი, სოსო, გენაცვალე, გეყოფა თამაში!

ვიდრე კოტე აივანიდან გამოვიდა და კარის გასაღებად მივიდა, ზარის წყრილი გაისმა. სოსო ოთახში ქაქანით შემოვარდა.

— რა გინდოდა, მამა?..

— აბა, ერთი გვერდზე მომიჯექი, ჩემო შვილო, რაღაც მინდა გკითხო.

— რა უნდა მკითხო?.. — შემკრთალი და რატომღაც დაბნეული მიაჩერდა სოსო მამას სახეში.

— დაჯექი, შვილო, დაჯექი, ახლავე გეტყვი.

მამა და შვილი ერთმანეთის პირდაპირ დასხდნენ.

— აბა, თუ იცი, ჩემო სოსო, შენი ყველაზე დიდი და ყველაზე კარგი მეგობარი ვინ არის?

სოსო ჩაფიქრდა, არ იცოდა რა ეპასუხნა. მერე გაუბედავად უთხრა:

— წიგნი...

— რასაკვირველია წიგნიც... მაგრამ მე გეკითხები ადამიანების შესახებ.

— ადამიანებისა?.. — გაიმეორა გაურკვევლად.

— გატყობ, არ იცი, მამა, მე გეტყველებ, შენი ყველაზე კარგი და ახლო მეგობარი, იცოდე, მამაშენია. გახსოვდეს, მე ვარ. მე მამა ვარ, მაგრამ ამავე დროს მეგობარი ვარ შენი!

— მერე რატომ მეუბნები მაგას?..

— იმიტომ, ჩემო შვილო, რომ მუდამ გულახდილი უნდა იყო ჩემთან. რაც კი თავს გადაგხდება, კარგიც და ცუდიც, ყველაფერი უნდა გამიზიარო. არაფერი არ უნდა დამიმალო, მე უნდა ვიცოდე შენი ცხოვრების ყველა წერილობანი. მე ჩემის რჩევით, ჩემის დარიგებით უცებ შეგიმსუბუქებ სადარდელს, თუ კი იგი გექნება. მე რომ შეცოდინება ის, რაც შენ გადაგხდება, კარგი თუ ავი, მეტადრე ის, რაც გაწუხებს, უკვე ჩემი საფიქრებელი გახდება, შენ კი თავისუფალი იქნები მისგან!..

— მაშ, ყველაფერი უნდა ვითხრა, ყველაფერი? — გულუბრყვილოდ შეეკითხა სოსო და ოდნავ წამოწითლდა.

— ყველაფერი. მოიცა, აბა, ერთი თვალეშში შემომხედე. რატომ გაწითლდი?

— არ გაეწითლებულვარ! განა გაეწითლდი?

— გაწითლდი, მაშ, მე მამაშვილურად გელაპარაკები, როგორც დიდი მეგობარი, შენ კი წითლდები!

— მამა, იცი რა. მე მგონია, არ შეიძლება ყველაფრის თქმა!

— არ შეიძლება კი არა, აუცილებელია!

— აი, მაგალითად, ჩვენ, ამხანაგებმა ერთი რამე გადაწყვიტეთ და ერთმანეთს სიტყვა მივეცი, რომ არავის არ გაუუმხილოთ. ესეც უნდა ვთქვა?..

— ცხადია, უნდა თქვა. როგორ შეიძლება, მშობლებმა არ იცოდნენ, რას აკეთებენ, ან რის გაკეთებას აპირებენ მათი შვილები. მითხარი, გენაცვალე.

— ვერა, ვერ გეტყვი!

— რატომ?

— უბირო გამოვალ!

შეეშინდა კოტეს, ცუდს არაფერს აპირებდესო და უკვე სთხოვა:

— მითხარი, გენაცვალე, თუ კარგი რამ გადაწყვიტეთ, აბა, როგორ დავიშლო, პირიქით დავგებმარები.

— მაშ ვთქვა?

— უსათუოდ!

— იცი, მამა, სამმა ამხანაგმა გადაწყვიტეთ, სწავლა რომ დამთავრდება, სახლიდან, აი ისე... ჩუმად...

— რა ჩუმად?..

— ჩუმად წავიდეთ...

— ესე იგი ვაიპაროთ, არა? — შეაწყვეტინა სიტყვა კოტემ.

— ხოო, ვაიპაროთ.

— მერე, მერე?

— ბათუმში ჩავიდეთ, იქ რომელიმე გემში ჩაესხდეთ და შორს გავემგზავროთ.

კოტეს თმა აებურძგნა. ძარღვები დაეჭიმა. ნერწყვი ჩაუშრა და ბაგე მტკიცედ ჩაეჭლო ბაგეს.

„აი, თურმე რას უპირებდა ეს ფეხაუდგმელი ბიჭი? სახლიდან გაპარვას. საღაც, უცხო ადგილებში ხეტიალს. ესენი კი საგონებელში უნდა ჩავარდნილიყვნენ, თუ სად იყო მათი შვილი. დაიღუპა, თუ რა დაემართა. ვიდრე მის ამბავს გაიგებდნენ, რამდენ მწარე საათს, თუ მწარე დღეებს გადაიტანდნენ?!

— შე უგუნურო, მაგისტვის გაპარვა რა საკიროა, მითხარი და მე თვითონ მოგიწყობ შე ზღვაზე გასეირნებას. მართლა რომ გაპარულიყავით, ვერც იმოგზაურებდით. ბათუმში ჩასვლას ვერც კი მოასწრებდით, რომ რომელიმე სადგურზე მოგაგნებდნენ და ჩამოგსვამდნენ. ბატყნებივით დაგაბრუნებდნენ სახლში. კიდეც კარგი, რომ მითხარი, ზოფათს ვაღაგარჩინე. დაჭერას, სირცხვილს, უაზრო ხეტიალს.

— საიდან გაიგებდნენ, სად ვიქნებოდით?..

— შინ რომ არ მოხვიდოდო, იმავე წუთას მილიციას შევატყობინებდით. ძებნას დაგიწყებდნენ ყველგან, ყველა ქალაქში, ყველა სადგურზე.

— გვიპოვნიდნენ?

— უსათუოდ! იმავე დღეს ყველა მილიციელს ეცოდინებოდა — შავგვრემანი, შავთვალწარბა, ტანმალაღი და ჩასკვნილი ბიჭი, ოდნავ გაბუმტული ცხვირით და წინ წამოწეული ნიკაპით. ერთი სიტყვით, ისიც კი ეცოდინებოდათ, რომ მარცხენა მხარზე შავი პატარა ხალი გაქვს!

სოსო განცვიფრებული შესცქეროდა მამას. ისეთი გრძნობა დაეუფლა, თითქოს უკვე გაიპარა სახლიდან, მილიციელმა დაიჭირა კიდეც და ახლა, როგორც დამნაშავე, ზის მამის წინაშე და ელის მის მსჯავრს. მამა კი, ეს გულკეთილი ადამიანი, დარიგებას განაგრძობდა:

— თუ მგზავრობა გინდა, ჩემო შვილო და ჩემო პატარა მეგობარო, წადი, იმოგზაურე. თუ გინდა ერთად გავემგზავროთ. შევებულებას ავიღებ და წავიდეთ. ასე არა სჯობია?.. იმ შენს ამხანაგებსაც უთხარი, თუ მათ მშობლებს არა სცალიათ, ჩვენთან წამოვიდნენ, კარგი?!

კოტემ სოსოს თავზე ხელი გადაუსვა.

— მაშ ასე, დღეიდან მე და შენ მეგობრები ვართ, გულახდილი მეგობრები. თუ მე შინ არ ვიქნები, დედას გაუზიარე შენი ფიქრები. არაფერი დაუშალო და მუდამ სწორ გზაზე იდგები, გესმის, ჩემო სოსო?..

— მესმის!

— ახლა წადი და გაკვეთილები მოამზადე. გეყოფა თამაში. საკმარისია! — კოტემ ოთახში მიიხედ-მოიხედა და თამარი რომ ვერ შენიშნა, შეიღს მიაძახა, — დედაშენს დაუძახე.

სოსო მორჩილად გავიდა მეორე ოთახში, სადაც მისი პატარა საწერი მაგიდა იდგა. თამარი მაშინვე გამოვიდა.

— გაიგე, რა მოგველოდა? სახლიდან გაპარვას აპირებდა. თურმე შვილის ნდობაც არ შეიძლება. შენი ბავშვია, შენს თვალსა და გულს შუა გაზრდილი. თითქოს ჩემი გამოკვდილი ხატის მადლი კარგად უნდა ვიცოდე, მაგრამ მაინც არა მცოდნია. მაინც უცნობია ჩემთვის. რა გვიან მივხვდი, რომ შვილის ფიქრები და მისწრაფებები უნდა იცოდე და

წუთითაც არ უნდა მოაშორო თვალი, უფრო მეტიც, მისი ფიქრით და სურვილებით უნდა სუნთქავდე. თავიდანვე ასე რომ გვეზრუნა, არც იმას დაგკარგავდით, იმას... თინას!..

— რად ამბობ მაგას, მე თინამ ყველაფერი მიაშბო!

— ყველაფერი გიამბო, მაგრამ გვიან, როცა ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. გარდა ამისა, ის არ გითხრა, როდის მიპყვებოდა მას!..

— ის, ალბათ, თვითონაც არ იცოდა.

— ნუ ამართლებ, ეცოდინებოდა. უსათუოდ ეცოდინებოდა!

თამარმა გაჩუმება არჩია. გაახსენდა, რომ იმ დღეებში ფხიზლად ვერ მოიქცა. ნდობამ და დედურმა სიყვარულმა მოადუნა მისი გულისყური და შვილი მოულოდნელად გაუსხლტა ხელიდან.

„ზოგი ფიქრობს, თითქოს მარტო გოგონას ესაჭიროება მშობლის თვალი. ნაკლები საზრუნავი არ არის ვაჟი! კარგად რომ ყოფილიყო აღზრდილი გივი, ის, ჩემი სიძე, განა თინა ბედნიერი არ იქნე-

ბოდა?!“ — გაიფიქრა კოტემ და საწერ მაგიდისაკენ გაემართა.

კედლის სარკეს ჩაუარა გვერდში. უნებლიეთ ჩაიხედა სარკეში. წუთით გაჩერდა და უცქეროდა თავის შავ ხშირ წვერს, რომელშიც აქა-იქ თეთრი ძაფები შეჰპარვოდა.

— როგორ მაუშნოებს! — წარმოთქვა თავისთვის, — გავიპარსავ, — გაიფიქრა, მაგრამ მაშინვე შეეყოყმანდა. — ხელ დილას. — გადაწყვიტა და საწერ მაგიდას მიუჯდა.

შუა უჯრა გამოსწია. თავისი შრომა ამოიღო. გადაფურცლა და კარგა ხანს სიყვარულით ათვალიერა. უკანასკნელი ფურცლები გადაიკითხა და ერთ ადგილას ჩაწერა:—„ილია ჭავჭავაძე ქართულ ღვინოს მართალ ღვინოს უწოდებდა. ჩვენ, ქართველი მეღვინეები, კოლმე ურნე მევენახე გლეხები და ყველა, ვინც ვაზს ზრდის და უვლის, ვისაც ყურძენი მოჰყავს, ვინც ღვინოს აყენებს, უნდა ეცადოს, რომ ჩვენი ღვინო მართალ ღვინოდ დარჩეს!“

(გაგრძელება იქნება)

სიმონ ნვარავა

ქორწილი ყანაში*

რას ფიქრობ, ბიძია სერაფიონ?

გვახსენებელი დადგა თუ არა, სერაფიონ კუხალიშვილმა არც საყუთარ თავს მოუსვენა და არც სხვას. რაც კი თავმჯდომარედ აირჩიეს თებერვლის ერთ თოვლქუდაიან დღეს, მას შემდეგ გაჩერებული არაფერს უნახავს. თესვამდის არც ისე დიდი დრო იყო დარჩენილი, ყანების მოშლამეფასა და მის განოციერებაზე რომ არ ეფიქრა. მართლაცდა სულ ერთი თვის შემდეგ თესლი უნდა ჩაეგდო ხნულში და ახლა რომელი წყლისთვის მიეცა თავი, რომელ ერთზე ეფიქრა: მზარადად ნახნაყის ამშვებზე, ლანქე-რიანი ცხენისწყლის ნახნაყებში მიშვებამზე თუ იმ ობერი, დანჯღრეული ტრაქტორის შეკეთებამზე, წარამარა რომ ფუქვდებოდა?

ყველაფერი ამას თებერვალ-მარტში თუ ვერ მოასწრებდა, მერე რა ფასი ექნებოდა მის შრომას? ამ სადარდეზელს ისიც ერთვოდა, რომ ცხენისწყლის პირას, გვაზაურის ტყეების ახლოს, ათი ჰექტარი ფართობი მთლიანად გელაინი ბუჩქებით იყო დაფარული. მის დამუშავებამზე კი დღემდე არაფერს ეფიქრა.

მაინც რა უხეში გაყარებულნი მიწა იყო იმ ბუჩქებზევე, ეგ კოდეე არაფერი, იმ ჯაგებს მოუხერხებდა კაცი რამეს, მაგრამ მიწაში დღღამებით ჩაყარულ ქვებს რა ეშველებოდა?

ამ კომპლექსების სათავეში მდგარ არც ერთ თავიკაცს, ამ ეკალბარდებიანი ფართობისაგან გული არ უწევდა, მუდამ უკან იხევდა და მისგან თავს შორს იჭერდა.

ამ ადგილისათვის დიდი ხანია შეერქმიათ ქვარნალი. მაგრამ ყველა სივალხესთან ერთად ქვარნალს ერთი სიყუთე მაინც ვაჩნდა. ქვებს შუა კარგი ბაღები იყოდა, მას ბოგვა ბაღებს ეძახდნენ. დისახლისები ლიბებში ჩასაყრელად ხმარობდნენ. მატულზე უფრო რბილი და თბილი იყო.

სერაფიონს ახლა მისი სითბო არაფერს შეულოდა. ქვარნალის ვახსენებამზე ტანში კვლავ ცივად აგრკოლებდა, მის ადგილას ტვერივით ამრიალებული ყანის თვალის შევლება ენატრებოდა. სურვილი მართლაც კარგი იყო, მაგრამ ამ ნატრას ხომ სორქმესხმა უნდოდა? მერედა ამ მოკლე დროში რა უნდა ელნა, ისეთი რასისწაული მოეხდინა, რომ ეს ოცნება სინამდ-

ვილედ ექცია? ამაზე ფიქრი ძალწაყ აო ასეკუნებდა, ახლაც, ასეთ ფიქრებში წასულს, სოფლის ბოლოში კბოდვებ მჯდარს, თავს ერთი ახალგაზრდა წაადგა.

— გამარჯობა, ბიძია სერაფიონ!

თავმჯდომარე შეკრთა, თვალები ფართოდ გაახლდა, ირგვლე მიმოიხედა, როცა გამოერკვა, თელწინ მეზობლის ბიჭი ედგა.

— ბიჭო, ბუხტტი არა ხარ შენ?

— კი ბიძია...

ფეხზე საჩქაროდ წამომდგარი სერაფიონი მეზობლის ბიჭს ეხვეოდა, კოცნიდა, მზრებზე ხელს უთათუნებდა, მაგრამ თვალს მაინც არ უჯერებდა და ისევ ერთსა და იმავეს იმეორებდა:

—ნუთუ, ბუხტტი ხარ, შენ? კი მარა, როდის, როდის, ბიჭო, ა?

ბუხტტი სამი წელი არ ენახა სერაფიონს. ბუხტტიმ, როგორც კი დაამთავრა მექანიზიკის ტექნიკუმი, ლაჯანტრპესის მშენებლობის შიამურა, ბუღდოზერის მართვა ისწავლა, შემდეგ ლენინური კომკავშირის მოწოდების საბასუხოლ უამირზე წაიდა, იქ რომელიდაც მშენებლობაზე ორი წელი დარჩა მეზუღდოზერედ. და, იო, დღეს გაწაფული და გაკავებული, ისევ თავის მშობლიურ სოფელს დაბრუნებოდა. დღის ნახის შემდეგ მეზობლებშიც გადასულიყო, ცოტა ღვინოც გადაეკრა და ქალებისაგან წამოსულს ცხენისწყლის ნახვა მონატრებოდა.

— ახლა კი ჩემთან წამოდი, ბიძია, ერთ ქიქის მეც ავეყე შენს ტოლებთან, პოდა, ყამირიდან შენი დაბრუნება აღვნიშნო! — უთხრა სერაფიონმა და ვეკიკის მზარზე ხელი გადასლო, მაგრამ ბუხტტიმ თავი შეიკავა, მეზობლის პატივისცემით გამთზარ გულს სხვა რამ შესთავაზა.

— მაგას მერეც მოვეწრებოთ, ბიძია სერაფიონ, ახლა კი ერთი, თუ ჩვენი ქალები არ შემოვიარე, ცხენისწყალსა და გვაზაურის ტყეებს არ გავხედე, ისე არც ქეიფი მინდა და არც არაფერი.

სერაფიონს გვაზაურის ხსენებამზე ის ჯიგებიათი ქვარნალი წარმოუდგა თვალწინ, შეკრთა, მაგრამ არ დაიშინია, ყამირიდან ჩამოსული ბიჭის გულწრფელმა სურვილმა ხასიათი შეუცვალა.

* იბეჭდება შემოკლებით.

— მარტო როგორ გავიშვებ, ბიჭო, მეც აქ არა ვარ?

— შენ არა, ბიძია, დაიღუბდი...

— ეჰ, ასე მიუტრებ, ბიჭო? გგონია დავძაბუნდი და მუხლები არ მერის? ახლა ამ მიწების ბატონ-ბატონი მე ვარ! — ამბიდა, ზემოთის კლასი დაატანა სერაფიონმა.

გზადგომა ბუხუტი ისე ხარბად უყურებდა ვეღაფერს, გვეგონებოდა, სამი კი არა, თითქოს ოცი წელი არ ენახა აქაურობა. დღევანდელ, ზოგჯერ ნაზალარებს შეაყვებდა ხელს, იფიქრებდით, რაღაც უძვირფასეს განძს წააწყდით. ცხენისწყალმა და მისი ჩქერების ვრავლმა ლამის სულ გადაარა, დიდხანს არ უნდოდა მისივე მიწობა, მაგრამ სერაფიონი ძალაუნებურად, თითქოს და თავისთავად, იმ ადგილისკენ მიიწევდა, რომლის გახსენებაც ტანში ზარბდა. ყოველ ფართობთან ჩქარობდა, უნდოდა, რაც შეიძლება მალე გასცლოდა. ბოლოს, როცა ყველა ფართობი შემოატარა, იმ ქვარნალს მიყვანა. თეთროს, თითქოს აქ არავფროსო, განვტო სულ სხვა მხარისაკენ დაიწყო მზერა, თანაც ცალ თვალთ მალულად ბუხუტის გაყურებდა, გაყურებდა და ვეჯაკის გულში ჩახედვას ლამობდა, საშინლად სწყუროდა, იგივე შიში, ეჭვი ან აზრი ამოკეთხა მასში, რომელიც ამდენი ხანია თვითონვე აწუხებდა.

ბუხუტი ხმას არ იღებდა. მოღუშული გასცვიროდა ქვარნალს.

— რა იყო, ბიძიო, რამ დაგიღონა? — შეუპარა სერაფიონმა. ბუხუტი კვლავ სდუმდა.

— წაუღიო, ბიძიო — ისევ გამოელაპარაკა სერაფიონი და შეატყო თუ როგორ გაეზხარა ხმა. სინამდვილეში კი მას ძალიან უნდოდა ახალგაზრდა კაცი კარგად დაეკრებოდა ამ გვერანებულ ადგილებს, ეგებ მის გულში ისეთი აზრი დაზადებულყო, რომელიც ცოტათი შინც შეუშუბუჭებდა სადარდელს. ბუხუტის ღეშით კი ეშვს უღრმავებდა და საკეთარი თავი უფრო ებრალებოდა.

— ბიძია სერაფიონ, კიდევ არაფერი ეშველა ამ ქვარნალს?

— ეჰ, შეილო, არაფერი ეშველა, არაფერი — უფრო მოისაწყლა თავი სერაფიონმა.

— შერე შენ რას ფიქრობ, ბიძია სერაფიონ, თუ გიფიქრია კიდევ? —

— მიფიქრია და ვფიქრობ, შეილო, მაგრამ სულ რაღაც ერთი თვეა ამირჩიეს და ამ ერთ თვეში ისეთი რა გადატრიალება მოვახდინო, რომ ეს ქვარნალი ბაღნარად ვაქციო? ისე კი არაფერს ვამოხნდა, ამ ქვარნალის სიძინდის ზღვად გადაქცევაზე რომ ეფიქრა. ქალები ხომ იცი, ჩაიში არიან, მოხუციები კი სულ აწული მტკივნო" გიძიბიან, თუშეა ბაგრატ სულაბერიძემ და ვასილა მშველიძემ მიიზრეს, წელს არა და

გაისად რაღაცას ეიფიქრებთ, რადგანაც შენ ასე სულით და გულით ვინდაო. მე რად მინდა, ხალხს უნდა, ხალხს, ისეთი პარკენი მდომარეა, რომ ეს საბუნელი საქმე იქნებოდეს უფროსად გასამარჯულოს ეტებს, მეც გამიტყდა გული, ხეობობა ხომ არ არის, ამ ქვარნალის მოსაუღიან ადგილად გადაქცევა?

— არაფერს ვამოხნდა და არც არაფერს იყისრა? — არაფერი ჯერ ეს ბუხუტის უნდა ამოძიროს ფსევბიანად, შერე არ ციცი, რომელი ტრაქტორი მოყრევა ამ პირდაბუთქილ, ქვიან მიწას. წყალიც რომ არსაიდან უდგება, როგორ უნდა მოარწყვა კაცმა ვეღლის დროს? ერთი სიტყვით, დიდი თავსატეხია და ახლა ამაზე ფიქრის თავი სად მაქვს? ენახოთ, გაისად შეიძლება მოუხებროთ თავი, თუ ვინმე მადლიანი მარჯვენის მქონე კაცი ვამოხნდა და წამოგვეხმარა, ჰაი, დედასა...

სერაფიონი, კვლავ ბუხუტის გულში „დაფაფრობდა“ და თანაგრძნობისა თუ მხარში ამოღვომის სურვილის ამოკეთხვას ლამობდა.

ბუხუტის სერაფიონის ხმა ესმოდა, მაგრამ სინამდვილეში მის ფიქრებს ფრთხილად გამოისმოდა და სახლაც შორს გადაფარულიყო.

იქ შერე არაფერი უთქვამთ.

სოფელში შემოსულისას სერაფიონმა თავისი ვაიტახა და ბუხუტი სახლში მიიწვია.

გაგიფდი, ბიჭო?

ის დამე შეფოთვაში ვაიტახა ბუხუტემ. ბაბისაე დაეკარგა იხსენებია. შვილი გუთინ ჩაბოვიდა, ახლა შეილს არ ენისა და მას რაღა დაამინებდა? უკანა ოთახში ფრთხილად, ფეხისწერებზე დადიოდა. შეილს რაღაც დიდი საფიქრებელი გასჩენოდა, თამბაქოს ზედხედ ამოღებდა და ოთახში ნახანძრალივით ეღვა კვამლი.

ბუხუტი მალე წამოვიარდა ზეზე, განიერი მზრები ვამალა, რამდენიმე ვარჯიში უხალისოდ გააკეთა, გალიფე შარველი ჩაიცვა, ფეხები ფოსტლებში გაყო და პარსახოცით ხელში წელს ზევით შიშველი გარეთ გავარდა, კიდან ციცი წყალი ამოიღო, სხეულზე გადაიფლო და მაგრად დაიზილა.

ბაბიმ ერთხანს უყურა შეილს, შერე ვეღარ მოითმინა და შემფოთებული ხმით მიამართა:

— ღმერთო მომკალი, ამას რას შერები შეილო, ხომ ვაციფდი, ანთემა დაეგმართება!

ბუხუტის გაეცინა, ცუცხლმოღებულ მკლავებს დახედა, განიერი მზარბუკი ათთამაშა, სისხლით ვატენილ ძარღვებს თითები გადაუსვა.

მარტის ხარველი იყო, მაგრამ უწვეულო სუსხი იღვა. ვეჯაკს ციციწულადღავლებულ ნაკარჯიშებ ტანზე ისე ასლიოდა ოხშივარი, როგორც მიწას აძრალის თბილ დღეებში.

ბუხუტი სხლაც წასასეღულად ემზადებოდა.



— რა იყო, ბიჭო, რას წრიალებ ამ ღამეში?

— დედა, მივდივარ...

— სად მიდიხარ, ბიჭო? არ გადამხრო, მიდიხარ კი არა, შენს ამხანაგებს და... იმას... პო, იმას სახლში მოველი, ჯერ კარგად არავის უნახავხარ!

— არა, დედა, არა, თუ ვინმემ მიეთხოვს, უხარი, ცხენისწყლისპირას, ქვარნალში წაგიღათქო!

— ბიჭო, ნამდვილად გადაირიგ შენ? ამ უთენიაზე, ამ ქარსიცივეში იმ დასაქცევ ქვარნალში რა დაგრჩენია? ამ ჯაგებში თვითონ სერაფიონმა იტყუოს თავი, ჯერ არ მოსულხარ, ხეობიანად არც კი შემივლია თვალი შენთვის და ცხენისწყალზე გარბიხარ? იმ ეკალბარდებში არ შედგა ფეხი, თორემ სულ შემოგახვეს შარვალს! — ფეხორებოდა ბაბი, მაგრამ შეიღს მისი არ ესმოდა.

ამასობაში ბუხუტიმ ქუდიც დაიხურა, ტყავის ბრტყელი ქაშარი წელზე მაგრად შემოიჭირა, ჩემებში მუხლამდის ამოქაჩა და კარბანზე გადალაგა. ახლა კი მართლა შეიღსადა ბაბი.

— გაგიღი, ბიჭო?! მართლა მიდიხარ? ერთი ლეკმა მაინც ჩაიღე პირში, უკავმა არ დავასწროს დანაურება. ღმერთო, შენ მოსვე სერაფიონის თავი, ისეთი რა გვლამაზაა, სულ რომ გადაურევიხარ კაცისშვილი?

— დედაჩემო, ახლა ლეკმა ყელში არ ვადავი, მალე მოვალ და ერთად ვისაუბროთ ისიც, პო, ისიც...

— არა, არა, რადგან არ მოჯერებ, ეს მაინც წაიღე! — მიამახა ბაბი მიმვალს, სახლში შევარდა, ჩანთაში სახელდახელოდ ჩადო ერთი წველა ყველი, ცივი მჭადი და რამდენიმე ცალი გეშვი.

გზაღმამავალი ბუხუტი დედის სიტყვებს იგონებდა: „მიდიხარ კი არა, შენს ამხანაგებს და... იმასაც, პო იმასაც სახლში მოველიო“, ჩაეცინა. თავი გაიქნია, აშერე ვინ არის ის, რომელსაც ასე მოვლის დედაჩემი? ის უნდა იყოს, ის, ჩემი სიცოცხლე, ჩემი სიყვარული, თამარიკო მამო, იმასაც მოიყვანს!“ ხმაალა წარმოთქვა ბოლო სიტყვები ბუხუტიმ და შეჩერდა, გზის გარღვივარდში დაკვირვებით მიმოიხედა, ხომ არაფერი მომყურაო და, რომ ვერავის მოკრა თვალი, ისევ გაუყვა გზას.

უკვე ქალებში გასულიყო. სუფთა პაერი ხარბად შესუნთქა და იგრანო, გულში რაღაც დიდი სიცოცხლე რომ ჩაედგარა, აფორიკა და გამოცვალა.

ამ ქვარნალს ხედავ?

დობანს იყო ბუხუტი ცხენისწყლისპირას ტუბლ მოჩვენებებში სულგანაბული. კარგადრო გასულიყო. შორიდან ვილაცის ხმა შემოესმა.

— ბუხუტი, ბიჭო, სად ხარ! ბუხუტი შეერთა, შემობრუნდა, მაგრამ, რომ ვერავის ჰქონდა თვალი, ისევ ვერავის მოსია თავი.

— ბუხუტი! — ახლა უფრო მძლავრად განმეორდა ხმა. ეკვაცი ერთმანად იჭითყენ შეტრიალდა, საიდანაც ხმა მოდიოდა. გზიდან ერთი ახალგაზრდა სულმოუთქმელად მორბოდა. ბუხუტიმ ხელი მოიჩრდილა, იცნო მომავალი:

— დათო, ბიჭო! — შესმახა მან და სიხარულისაგან რომ ვერაფერი მოახერხა რა, წელში ეცა და სამჯერ შეისროლა მალა.

— ბიჭოს, შენ მოვიდავც უოფილხარ! იცი, როგორი სტალიონი გვაქვს? უპ, ასეთი, ჰა! — ცერი უჩვენა დათომ.

— მართლა?

— პო, ასეთი, ჰა! თითქოს მეტი არაფერი ჰქონდოთ სათქმელი საში წლის უნახვე მეგობრებს.

დათო, ისე როგორც თამარიკო, მისი ყოფილი თანაკლასელი იყო. ბუხუტი ჯერ ლაჯანერში და შერე ყაპარზე რომ წავიდა, დათო ავადმყოფობდა, შემდეგ ქვიშები და ავარაგები რომ მოილია, გამოჯანსაღდა, სამანქანო-ტექნიკური სადგურის სახელსწრთი დაიწყო მუშაობა. ერთმა ძველმა ხელსაწინმა ასე შეასწავლა ტრაქტორის ყოველი ნაწილი და ისე გაჩაფა მის შეკეთებასა და მართვაში, რომ ზოგჯერ, როცა ოსტრია შევბუღებამი იმყოფებოდა, იგი ასრულებდა მის მოვალეობას. მალე სასოლო-სამეურნეო ინსტიტუტში მექანიზაციის ფაკულტეტზე ჩარიცხეს და დაუსწრებლად სწავლობდა, ახლა უკვე მესამე კურსის სტუდენტი იყო. უოველ წელს კოლმეურნეობა ჰქეტარ მიწას ამავრებდა დასამუშავებლად. სერაფიონმა, აქო და ტრაქტორი კარგად გესმისო, სატრაქტორო ბრიგადას მიამავრა.

გუშინ სახელსწრთი დირექტორის მათხოჯში გაეგზავნა რაღაც საქმეზე, როგორც კი დაბრუნებულყო და ბაბისგან ბუხუტის ჩამოსვლის ამბავი გაეგო, მასაც ბეერი არ ეფიქრა და ჩაუმუხლავად მეგობრის სანახავად ცხენისწყალზე გამოქცულიყო.

ახლა სურმის მეგობრები მდინარის პირას ისხდნენ და ერთმანეთს პირიდან სიტყვას აცლიდნენ.

— ბიჭო, ერთი ეს მითხარი, ამ უთენია რამ გაგახსენა ეს ქვარნალი და ცხენისწყალი? არ მთომალე შენი ძველი ჩვეულება?

— სანამდის უნდა იყოს ეს მიწა ამ ჯაგებში გამომბრტყალი? წურბულასავით სანამდის უნდა წოვდეს სისხლს. ჰა, დათო, რას იტყვი შენ?

— შერე ახალია შენთვის ეს ამბავი? რაც თვალში ამეჭილა, მას შემდეგ ასეა და შენ ახლა რა გიკვირს? რაეა, შენ ღროს არ იყო ასე თუ?

— დათო, არ გახსოვს, მამაშენმა და მამაჩემ-

მა ამანე უფრო ჯაგებინან ადამიანთაგანადან ზედმეტიკარგელი ახო რომ ვატყვის ნამყოლარსა და ჩარნალში?

— მახსოვს, მაგრამ იმათ გინდა დაეტოლო შენი? იმათ, ბიჭო, დღედაღამ თავი მიწაში ჰკონდათ ჩარგული და ამ ცხენისწყლის პირას, სინიხდის უახლეს იქით ქვეყანა თუ არსებობდა, არც ვგონათ და ვერც დაარწმუნებდო, ჩვენ, კი... პოდა, იმათ ვტოლები?

— ჩვენ რა, ვითომ ჩვენ მათზე გლახები ვართ?

— გეპეცება თუ? მამაშენი დღეში ერთ ჭკვეა ყანას თონიდა, სამ ჰექტარ მიწის პირადღად მარტოხელა კაცი ამუშავებდა, მაგდენ სიმინდს ვინ იწყედა?

— მართალი ხარ, ბუხუტი, მაგრამ რა შორიდან მიწყებ, პირდაპირ თქვი, რა გინდა?

— რა მინდა და მომეცი ხელი!

— პა, მოგეცი ხელი, — გაუწოდა დათომ მარჯვენა და სიცილი წასკდა.

— რას იციანი? რასაც გეტყვი, უნდა შეეასრულოთ.

— გამავგონე, რა გინდა?—დათომ ახლა მართლაც სერიოზული გამოშტეტულებმა მიიღო, რადგან მიხვდა ბუხუტი აღარ ხუმრობდა.

— რა მინდა? პირობა ხომ მომეცი? პოდა, ეს ქვარნალი ჩვენ უნდა გავტყუხოთ, უნდა დავამუშაოთ, ამ ეკონარში სიმინდის ზღვა უნდა დავაყენოთ.

— ეე, ხომ არ გაგიფიდი, ბიჭო, რითი? რა საშუალებით?

— აი, ამ ხელებით! — ორნივე ხელი მღლა ამართა ბუხუტიმ.

— მაგ ცარიელი ხელებით? აბა, თუ კი ბიჭი ხარ, წააგდე მაგ ხელები ამ ჯაგებს, რავა დაგისისხლიანოს, არა, ძმაო, არა, ამისთანა უცნაურობას მოეშვი, თავი დაანებე, ამ ქვარნალს ვინ მოერევა, კი, თუ კაცი ხარ, წამო სოფელში, ერთი შენი ჩამოსვლა აღწინშნოთ, შტრებს თავლები დაუვსოთ და მოყვარე გავაზაროთ.

— მაგას შერეე მოვესრუებო.

— შერეე კი არა, ახლა, ახლა.

— დათო! — ბრძანების კილოთი მიმართა შეგობარს ბუხუტიმ, ამ ერთ სიტყვაში რაღაც რკინისებური ძალა იგრძნობოდა, იგი ლითონივით მტკიცედ ქდებოდა.

— რა იყო?

— შენი პირობა სად არის, რასაც ვეტყვი შეეასრულებო?

— ბიჭო, იმისთანა რამეს მეუბნები, რისი შესრულება შეუძლებელია,

— პირობა, პირობაა, მისი ვატყვია, დანაშაულია, თქვი ვაგეცურად, არ ვარ მართალი? რას მიუთრებ ავრე ვაკვირებულნი?

— მართლა არ ხუმრობ შენი?

— სახუმარო რა არის აქ, რომ შეტყუებოდეს, სხვა რამეს ვერ ვაგებხმრებოდი?

სიზმარში ხარ თუ ცხადში?

ორივენი იქვე ახლოს, დიდი მუხის მირას ჩამოსხდნენ და საუბარი გააწყვეს. თუ რაგორ განხორციელებინათ ეს შეტყუება და წარმოუდგენელი საქმე, რომლის შესრულებაზე დღემდე კაცოშვილს არ ეფიქრა. ათასნაირი აზრი გამოთქმეს, ბევრნაირი ვარაუდი გამოაკაიტეს, მაგრამ საბოლოოდ მინც ვერ შეთანხმდნენ, საიდან დაეწყეთ, როგორ ამოეძიოკეთ ეს ჯაგები ფესვებიდან, ამდენი ეჭვისსათვის რა ექნათ, როგორ ამოეყარათ მიწიდან, ან რამდენი უნდა ამოეყარათ სად ეშოვნათ ამდენი მუშახელი.

ამ მსჯელობასა და ფიქრებში დათოს რაღაც სისიხდევო აზრმა გაუელვა თავში, თითქოს გამოსავალი ნახო, დაღონებულ ბუხუტის ხელი ჩასქიდა.

— ბუხუტი, ეს ფართობი ათი ჰექტარია, ჩვენ მართო ხომ ვერ მოერევათ? სამი ახალგაზრდა კიდევ შემოვიამხანავოთ, აქ ჩვენს უბანში ბევრი კარგი მოსწავლეა, მართალია, სხვადასხვა ბრიგადებში არიან გაფანტულნი, მაგრამ სერაფიონს ვუთხრათ და ჩვენ მოგვამატებს, მაშინ ნამდვილი დამკრეველი ბრიგადა გვეყვარება, ხომ კარგი აზრია?

— კომუნისტური შრომის დამკრეველი ბრიგადა? შერე ასე ერთბაშად?

— პო, ბიჭო, მარა ჯერ ისე, ჩვეულებრივ დამკრეველი ბრიგადა ვიქნებით, ამ ქვარნალს რომ დავამუშავებთ, კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდებას მოგვანიჭებენ და... ეს ხომ გადასარევაია, ა?

— დიდებულია, მაგრამ ვინ შეიყვანოთ ჩვენს გრად ბრიგადაში?

— ვინ?

— პო, ვინ?

— ვინ და თამარ...

— ვინო? — ვერ შეიკავა თავი ბუხუტიმ და სახე გაუწითლდა.

— თა... თამარარ! — ბუტბუტებდა დათო და სიტყვას შეგნებულად არ ამთავრებდა, თან ბუხუტის გასცეროდა.

ბუხუტის ლოყებს აღმური ედებოდა, თულები უბრწყინდებოდა.

— თამარ-კო, ბიჭო! — დამარცხდა ბოლოს დათომ და შეგობარს მიანჭრდა.

— აა, თამარიყო?.. ივარგებს შერე?! — განგებ იკითხა ბუხუტიმ და გულში რაღაც სისიხდევო გრძნობა ჩაელვარა.

— ივარგებს კი არა, მთლად გავანია იქნება, გავანია ისე, ჩვენს შორის დარჩეს და რავა შენი საქმე, ყმაწვილო, ა?

— რისა, ბიჭო?

— რისა და მისა... თამარიყო არ გინახავს?

— თამარიყო?

— პო, რად ვაიკვირე, ჩვენი თამარიყო მართლა არ გინახავს?

ბუხუტი ცოტათი ჩაფიქრდა. მერე თითქოს სიტყვას ბანზე აგდებდა, წიაღსაპარაკა:

— მაშ, თამბიყო გამოდგება, არა? დანარჩენი ორი ვინ იქნება?

— მაგაზე მერე, ახლა ეს მითხარი, რითი დავიწყოთ?

— სწორედ ეგ არის თავსატეხი, მოიწი აქეთ, რით და აი, ჯერ ეს ბუჩქები უნდა ამოვიძირკეთო, მარა როგორ ვინდა ათი ჰექტარი ბუჩქნარის ამოძირკვა? მერე ტრაქტორით უნდა დავინახო, ღრმად, სულ უნდა გადმოვაბრუნოთ, მაგარა რამდენი ტრაქტორი შევლებს ამას? აი, დედასა, სადაა ჩემი ბუღდოზერი, თორემ უბედურად არ დავაბლენვენივთ აქაურბობს? ანდა ძველი ფორძონი მაინც გვექონდეს, სულ თავის ფუნჯებიანად ამოაგდებს. ამ ბუჩქებს ზვენი ტრაქტორი მოურჩება? ეს ქვეები ჩაუშვებს ღრმად სახსნის მიწაში?

— მეტი არაა ჩემი მტერი, სერაფიონის ტრაქტორმა ვერ დაბლენას ეს ქვარნალი, რაღაც სხვა მოვიფიქროთ. მარა, ბიჭო, ამ სიტყვეში საფი ლამის გამოსდეს, წამო სახლში, თავიქ-დოთაოც ენათო, ჩვენი გვემეტიც ვავაქნოთ. ამ ჩვენს ფანტაზიას რომ მოისმენს, გაღაირება, დაუძებებს იმ ენაგატლევად შიანგარიშებს და ხელად დაიანგარიშებს, შემოდგომაზე რამდენ ცენტრერ სანიანდ შეიტანს ბუღდოში ამ ქვარნალიდან, მერე იმ მოსავლით რამდენ სასახლეს ააყვებს. ჰო, აბა, რა გგონია შენ, ჩვენი სერაფიონი ფანტაზიის კაცია, ხუმრობა არ გგონოს! — ბუხუტი რომ დაეჯერებინა თავის ნათქვამი, სერიოზული სახე მიიღო.

— შიოლოდ ფანტაზიის?

— არა, სიტყვისაც არის, მარა უფრო მეტ-წილად ფანტაზია ქარბობს. ხელებს რომ ვამბობ, იმ მოქმენდილ უღრუბლო ცას მიწაზე ჩამოიტანს, ამ ნახამთრალ მიწას კი ცაზე აიტანს, მერე ისე დაგასახლებს და დაგაყარებს, ვერც კი გაიგებს, მიწაზე დგახარ თუ ცაზე გიყლია ხელი, ასე ცასა და მიწას შუა ხარ კაცო გაყოკიდებელი ცირკის ჯამბაზიეთი. იცი, რა ვახანა? ზოგჯერ ამითანა ფანტაზია უფრო უდგება ხალხს. იცის ბიჭისა, ვის რა უნდა უთხრას, ვის როგორ მოექცეს. თუ დავიწრდა, ნემსის უწიწი გაძერება, თუ არა და ისე გაიბერება, წიფის გვირახბოაც ვერ გაუტევა. ხანდახან, თვალებს რომ გადმოატრიალებს, სევატი გეგონება, ხან კი ისე დატბება, ისე დაშკრდება და ისე უწყინარი ხდება, მტრად მონაგონია მასთან, ხან — თუ ვაბრაზდა, პაპიაროსს ერთი მოქანეთ ძირამდე დაიყვანს, ხან კი ერთი ცალი მთელ დღეს აქვს გაჩრილი პირში და ნელნელა უშლავუნებს. ჯაკეთო რომ დაბა, ერთ ადგილას ვერ გაჩერებს, სულ დადის, სულ რაღაცაზე ფიქრობს, სულ რაღაცას ლაპარაკობს.

დეე, ხუდ ასე ვერადეს სიოცხლე!

მართალია, ზამთრიდან გამოყრდნულ ქსენი ჯერ კიდევ ძალაში დარჩენას უნდობლობდა. მამა რამ ხეხილის კერტები კარგა შესამწნველ წამოზრდილიყვნენ, ერთი მსხუნვარე შის სხივები და ისინიც იფეთქებდნენ, ბუტკოებშივე დასკლებოდნენ. თხმელნარში კი რახანია ვეფთჟი და ფოთლებსაც პატარა ყურები დაეკვიტათ. ტყეს მთლიანად მწვანე ფერი დასდებოდა, მთლიანად სილერჯკეში ხასხასებდა, სანიამონო ფერი დაქარავდა.

ბუხუტი ბევრჯერ დამტყბარა ამ ფერების სიუხვით, ალბათ, ამიტომ იყო, რომ ქვარნალიდან წამოსული მთავარი გზით კი არ დაბრუნდა შინ, არამედ უკანა მხრიდან, სიღინაც შის ეზოს თხმელის და აკაციის ტყე ეკვროდა.

დათოს უკვირდა, რაღა უკუღმიდან მივდივართ, წაღმიო, დიდი შარაგზიდან ვერ წამოვედითო, მაგრამ ტყის იღვმელ ხმას რომ მიუვლო ყური, მიხვდა, თუ საით მიუწევდა გული მის შვეგობას.

ბუხუტიმ ფეხი შედგა თუ არა ტყეში, რაღაც სხვანაირი, მიწიერი სიოცხლე იგრანო.

ეს ბუღდოლებიც ასე ადრე საიდან მოფრინდნენ, მთელი ხმით, მონდობებით რომ სტყვენ და აღამიანის გულის ძაფებს ჩონგურის სიმეზივით ეხებოან? ეს შაშვებიც რამ ააფართხალა, ზიღან ხეზე რომ ხტიან და მჭახელ ქახახებენ? ნუთუ იმათაც გაიგებს ვაყაყის ჩამოსვლა და გლობით გვებებოან?

მაინც რა ფრიაბულია, რა სიოცხლის ქროლვია, ეს ქარიც როდის ამოვარდა, ამ ვარემოს რომ ამრიალებს?

როგორც იყო, ტყიდან გამოვიდნენ. ახლა ეზოში, სახლისკენ გაეშურენ, მაგრამ იმ ტყეზე უფრო გულზედაც ეს ატმის, ვაშლის, მსხლისა და ლღვის ხეები შეეგება, ნუთუ შათაც ტყის სიზარული გადმოვლით? ჯერ ხომ აპაროლი არ დამდგარა, მაშ, ეს ატმის ხეები რამ ააყვავა? იმ აღუქებსა და ტყემლებსაც გულში რა ცეცხლი გაჩენიათ, თუთრად რომ გადაფეთქოან? ეს მიწაც, თბილად რომ ედება ფეხებზე, ნუთუ ისიც გრძნობს შრომის დახარბებული ვაყაყის ფეხის ძალას და მისი მარჯვენის მადლს?

ნუთუ ესეც ეჩვენება ბუხუტის?

დეე, სულ ასე ვერადეს სიოცხლე! სულ ასე სცემდეს ვახაფხულის სერნელი და ადამიანიც მის ოსწივარში იბოლებოდეს. რა სჯობს მიწის წიაღიდან წამოსულ წვეს, კერტებდამსკარა ხეხილებს, ახლა რომ ბუხუტის მკლავებ-გაშლილი იწვევს გულმკერდში ჩასახებებლად?

აი, სახლსაც მიუახლოვებხ, ამ დლით აის სახლსაც რაღაც სხვა ელფერი დაქარავს. ის კი, ვინ არის თავსაფარწიარული რომ დაფრინავს კონდარში? დედა? ბაბია? ჰო, დედა, ჩემი

საყვარელი დედა! ნეტავ მან ხომ არ გაუმზილა ჩუი ხაოსელა ჩემს ეზო-გარემოს, ტყესა და მიწას? ასე ადრე როგორ შემოიარა ყველა და უხარა? თუ თავისთავად იგრძნეს დედის გულის სიხარული? მაინც რა ყოფილა დედის გული, მისი სუნთქვა მიწასაც, ტყესაც და ქვასაც აცოცხლებს თურმე.

ჩემი დედა, ჩემი ბაბი! მაინც როგორ ფუტყსებს, სტუმრებს თუ შოკლის, მაგრამ ის ვინღაა, ცისფერი თავსაფარით რომ ტრიალებს დედამისის ვარშემო?

— ბიჭო, დათო, მითხარი ერთი, სიხარია თუ ცხადი? რე გამაგიფე, მითხარი, ვინ არის, ვინ? — ის არის, ბიჭო, ისი თამბრრ... თამბრრ... შენდა... თამბრყო.

— თამბრყო?! — ახლა კი თითქოს ბურანდიან გამოვრკეო, მთელი ხმით იყვირა ბუხტრემი.

ამ ხმამ, თითქოს იმ ქალიშვილამდის მიაღწია და ისიც ერთ ადგილას გაიჩინდა, გაყუნდა. ნაბიჯებს მოუხტვარა, მაგრამ ამ ფეხებს რა ლოდი დაეყიდა, რა ებღანდება, რა ამძიმებს ასე უსაშველოდ? გაიხადოს, გადაყაროს ისინი და ფეხშიშველი გაიქცეს თუ რა ქნას, როგორ მოიქცეს? არა, უნდა გაიქცეს, გადრინდეს, თორემ ვაი თუ გაქრეს და თვალსა და ხელშეა გაუწინარდეს?

აი, საშხადის უკანა კარებს მიადგა, მაგრამ ის ქალიშვილი ამღვნახანს თუ ერთ ადგილას იყო გაფრჩხებული, ახლა ფრთები გამოისხა და სადღაც გაუჩინარდა?

სად წავიდა ნეტაი?

ვაეკაცო დაუდევნა, დათო შორს მოიტოვა, სახლში შევარდა, მაგრამ თამბრყო სადღა? აეო აქ-თენ გამოყრინდა. აგერ, აგერ, აი, აგერ საშხადი სახლის კუთხეში, კედელს ისე აყვრია კარადის უკან, თითქოს ძველებურად კვეთიან ღელობას თამაშობდეს, მაგრამ მხრებგაღილი ვაეკაცის სწირი სუნთქვა რომ შემოესმა, თითქოს იმ სუნთქვის ძალამ დედაფუტყიანად შეიარყიო, ბუხტრისაყენ წამოვიდა და მხოლოდ ორად ორი სიტყვა აღმოხდა:

— ბუხე, ბიჭო!

— ჩემო თამბრყო!

ბაბი იქაურობას სულ ვაცლოდა, ბოსტანში გადასულიყო, ხოლო დათო ეზოში, ლღვებს უკან შეიკრებულყო. მათ გულებს კი არავინ უშლიდათ ხელს, რათა ჩემად, უხმოდ ეჩრჩილათ, დიღანს, მაგრამ ის ვინ არის, ბნელი კუთხიდან რომ იმზირება? ნუთუ ვინმე განგებ დამაბლა, რომ მოწმე გამბდარიყო შეყვარებულების ტკბილი ჩრჩილისა? ეს ხომ ნამდვილი უსინდისობაა!

ბუხტრემი შიშით მიიხედა იმ კუთხისაკენ, სინულეში კი ის ვიღაცა კიდევ უფრო ძლიერად აბრიალებდა თვალებს.

თამბრყო მიხედა ბუხტრის შეცბუნების მიზებს და ჩრჩილთ უხარა.

— ბუხტრე, არ შეგშინდეს, მოსუეო, ბიჭო! — მოსუეო?
— პო, ვასულ წელს მოივოტეწეწე ვანდღა, შეშინდი?

— დათო მეგონა, თამბრყო.
— მე კი მართლა შეშინდი მოსუეო მანც აბრიალებდა თვალებს საპარეში და გაბმულად ზმუოდა. აღმათ, დედას თუ უხმობდა.

ბაბი კი სახლში არ შემოდიოდა. დათოც იმ ლღვების ქვეშ იდგა, მასაც ხომ იმ მოზერის თვალების ბრიალისა არ ეშინოდა?

მომეცი სიცოცხლე, გამიშვი, ქარო!

მეორე ღღეს მთელს უბანს ერთბაშად მოედო ორი ამბავი. ბაბის ბიჭი, ბუხტრეა ყამირიდან დაბრუნებულა და კოლმეურნეობაში დამკერული თუ მისდაგვარი ბრიგადა შეუღღენიაო. დაცინეთ ზოგი ამ ბრიგადას გადამკერულსაც უწოდებდა, ზოგი კიდევ უფრო ამახინჯებდა ნამდვილ ამბავს, მირდაპირ არ ასახელებდა, რომ ბუხტრემი პირველმა შექმნა ამ კოლმეურნეობაში კომუნისტური შრომის ბრიგადის წოდებისათვის მებრძოლი კოლექტივი, ზოგი კიდევ უფრო ღვარძლიანად გაიმახოდა:

— მოვიდა ბიჭი და ახალი ამბავი ჩამოგვიტანა.

— აბა, აბა?! ვითომდა რაო, მაგ რომ არ დაბრუნებულყო, ჩვენთან ბრიგადა არ შეიქმნებოდა?

— თუ ასეთი დამკერული იყო, იქ ვერ დარჩა, სადაც იყო? რა მოარბენინებდა სახლში?

— ტრახბობს, აღმათ, კიდევ, ერთი შემომხედეთ, რა ბიჭი ვარო, მაგას კი რა ვუხარა და მის ბიჭობას!

— თქვენ ვერ ივარგეთ და ახლა მე მიყურეთ, რა გაეაყოლო.

ეს შწარე, ვესწარევი სიტყვები ბუხტრემისაც აღწევდა, მაგრამ მან კარგად იცოდა, რომ სწორედ ამ ღვარძლიანი სიტყვის პატრონები უტანდნენ კოლმეურნეობას სახელს, სწორედ ისინი იყვნენ, რომელთაც წინაყში ერთი შრომადღევ არ ეწერათ, ხელის განმრევის მაგიერ ენის ტარტალით იღლებოდნენ.

ყველაზე უფრო ბუხტრის ის უხაროდა, რომ მას უმრავლესობა მხარს უჭერდა, თუმცა ზოგჯერ მის მიმზრეთაგანაც ესმოდა ასეთი სიტყვები:

— ცოტა ვერ დაისვენა, თავის ეზო-გარემოში ვერ გააპრ-გამოიარა, მეორე ღღესვე ცხენასწყალსა და ქვარანალში რომ არ გაგვარდნილიყო? ვინ მოსდევდა ან რა ეჩქარებოდა?

— თამჯდომარემ წააქეზა, კაცო.

— სინდისზე შეაგდო, ბეჩა, სინდისზე და ეწეა?

— ძეის ბიჭმა, ვის როგორ მოექცეს.

კიდევ ბევრ რამეს ამბობდნენ, მაგრამ ბუნებრივად და ლაპარაკს უფრო არ უვლიდა. ახლა მხოლოდ ის აწუხებდა, მის ბრიგადას საიდან დაეყო პირველად მუშაობა. მართლაც იოლი რაღაც იყო იმ ქვარნალის „მოთვინიერება“ და ბალსარად ქვეყნი? ქვარნალის სარგებლიან მიწად გახდომა ბუნებრივად თავის ბრიგადას რაღაც საშინებელ ციხე-სიმაგრედ დავსახა. თუ დაასხვრედნენ ყოველგვარ სიძინეს, რომელიც მათ წინ მთასავეთ აღმართულიყო, და ქვეტარზე ას ცენტრერ სიძინდს მიიღებდნენ, მაშინ, ცხადია, იმ საბატიო წოდებასაც მიანიჭებდნენ. ეს იყო ის მალაი ზღუდე, რომლისთვისაც ამ ხმთვულს უნდა მივლინა, მერე იმანვედაც უნდა გადავიხეებინა, და მის იქით შექვეარსკვლავით რომ ანათებდა გულში ამოქრილი რაღაც საოცნებო მიზანი, იმისთვისაც უნდა შეველო ხელი.

ბუნებრივად იმ საქმეში იმდენად თავისთვის არ ვნდობოდა, რამდენადაც ბიჭებს, განსაკუთრებით დათოს, კარგ შექვინებოდა და სიყრმის მგობარს. დათო კი, პირაქით, მთელს იმდებებს ბუნებრივად აძვარებდა. მან კარგად იცოდა, ბუნებრივად ფეხი ოცნება არ უყვარდა, რასაც იტყვოდა, ის საქმედ უნდა ექცია, ცოტას იტყვოდა და ბევრს აყუთებდა, რუსულ ცნობილ გამოთქმას «ცოტა ილაპარაკე და ბევრი გააკეთო», საუბრისათვის ამართლებდა, ასეთი იყო ბუნებრივად შექვინების ტექნიკაში, სადაც ერთად სწავლობდნენ, მით უმეტეს ახლა უამრობიდან დაბრუნების შემდეგ, საიდანაც ცხოვრების დიდი გამოცდილება და რვალივით მტკიცე ხასიათი გამოყოლოდა.

დათო ბრიგადაში ერთადერთი ახალგაზრდა იყო, რომელსაც საოცარი ზემორობა ეხერხებოდა. კოლექტივში დადი სხილისე შექვინდა. თუმცა თამრიკო, რომელიც ახლა მათ მხარში ედგა, დათოს იმ ნაყოფიარდებოდა გონებაში ვიღობაში, მაგრამ იმ დღეს, როდესაც ბუნებრივად ვალდებულებების მუხლებს აყალიბებდა, დათო აჯობა—სულ ენად გადაიქცა, და სერაფიონი, რომლის კაბინეტში ხდებოდა ყოველივე გაოცებელი შექვეარება მას. ვალდებულებაში მთავარი იყო შემდეგი: ქვარნალი გაიტეხათ, სანამ უშოდ დაემუშავებით და ქვეტარზე ასი ცენტრერი სიძინდი მივლით.

როცა ეს და მრავალი სხვა მუხლი შეიტანეს ვალდებულებებში, ბუნებრივად განაკლდა:

- მაშ, ამხანაგებო, ასე და ამგვარად ჩვენი მიზანი უნდა იყოს: ერთი ვველასათვის და ვველა ერთისათვის, დამატება ხომ არაფერი გავქვთ?
- მე ვაქვ! — წამოიძახა დათომ.
- თქვი.
- თამრიკო ბუნებრივად თავის და ბუნებრივად თამრიკოსათვის!

იმ წინადადებაზე ისეთი სიცილი-ხარბარბი იტყვოდა, სერაფიონი კი იმდენად გადაიკვირა, სწავიხანა. თამრიკოს კი ციცილი წაეკვლია, უფრო აღმართა ჩაღუნა და იმ ეხასიარბებულად აქვდა იქვე იქვე იღონა, მაგრამ ვერაფერი ვერ მოისახრა, სამი-გვიგორად ბუნებრივად მივსევლა:

— ასე იყოს, თამარი ბუნებრივად თავის და ბუნებრივად თამარისათვის!
 ამან სულ გაღარია ბიჭები, მეზობელ ოთახში მონაგარიმე ქალები სიცილს ვერ იკავებდნენ და ფეხებს იტაკებ ამაყუნებდნენ.
 ოთახში ჯერაც არ იყო მზიარული განწყობილება განვლებული, რომ დათომ დაემატა.
 — მაშ, რაკი ასეა, ამ მუხლებს დავამატოს შემდეგი... ქვარნალში ასი ცენტრერი სიძინდისა და კომუნისტური შრომის წოდების მიღების შემდეგ, იმავე დღეს, მოეწვოს კომპაგვირული ქორწილი, ნუფედ — ჩვენი ბუნებრივად, ხოლო დედოფლად — თამრიკო. სუფრა მინდვრის დედოფლის — სიძინდის ქაღალზე ვაიშალოს.

ახლა უფრო მძლავრად, ქარიშხლისავეთ დატარებოდა სიცილ-ხარბარბი, თამარისათვის კამბინეტს ასეთი ამბავი არასოდეს მოსწრებია.

— კი არ ვხუმრობ, ბიჭებო, უფარეთ ექვნი! — ახლა ერთხანად გამოიკვირა დათო და სერიოზული სახე მიიღო, სწორედ ისეთი, როგორსაც მხოლოდ გამოცდილი მსახიობი მიიღებს სცენაზე.

თამრიკომ ახლა კიდევ უფრო ჩაღუნა თავი.
 — იმ ვალდებულებას პირადად მე ვცისრულა — წამოვდგა ბუნებრივად და თავისი ზარიანი ხმა ყველას გაავიანა.
 — შენ, თამრიკო? — ჩაერია საერთო მხიარულებაში სერაფიონი.
 — შენ!

— შენი — ვაისმა ყოველი მხრიდან. მაგრამ თამრიკო თავს შინც არ წვედა მალა, დრო-გამოწევით ქვეშევსე გამოხედვდა დათოს და მთლად ყაყაჩოსავით ვალდებულებული, ვალიმბული სახით, მუხტს მუხტზე უქვდა, ემუქრებოდა — ასე დაეინაყუ ცხვირპირსო. გულში კი იმდენი სიხარული ჩაღვროდა, სიყვარულის საჯარო გამოვლენებას ისე წაერთმია მისთვის უნარი, რომ ერთი სიტყვაც ვერ ეოქვა დათოსათვის, ცოტათი მაინც რომ მიეჩქმალა მისი ახარება.

ალბათ, დათო კიდევ იტყვოდა ამგვარ რამეს, მაგრამ ამგვარად ისევ ბუნებრივად წამოვდა.

— ამხანაგებო, ჩვენი სერაფიონი დამეთანხმება, თუ რა ძნელ საქმეს მოვკიდებ ხელი, მაგრამ რადგან ვცისრულა, კიდევაც უნდა შევასრულოთ. რით დავიწყეთ? — ეს სიტყვები ისე ვაისმა, თითქოს სიცილ-ხარბარბის ნიაღვარს შიდალი ჯვებიო შეახვედრეს შესაკავებლად. კიდევაც შეაჩერა, კიდევაც შეაგება ეს ნიაღვარი.

დიდხანს ვაგრძელდა დემილი, რაკი ხმა არავინ გაიღო, ისევ ბუხტებში წამოიწყო.

— თესვამდის სულ რაღაც ოკოოდე დღე დარჩა, მოვასწრებთ მინამ იმ ქვარხანის დასათესად მომზადებას? უნდა მოვასწროთ, — თვითონვე გასცა ამ კითხვას პასუხი, — პირველ რიგში ბუქნქარი უნდა გაეკეთოთ, ვალბარდები უნდა მოვსაოთ, მერე იცით, ამას რაშებლა შრომა უნდა? იცით, რომ ჩვენს ხუთი კაცი ვეფხვებად რომ ვიქცეთ, მაინც ვერ მოვერევით? იცით, რომ ამ ადგილს ქვარხანი ტყუილად არ ქვია? მიწაში და მის ზედათ აუარება ქვევია ჩაყრული? განა ციტა შრომა უნდა მისგან მთელი ფართობის განათვისუფლებას? ვთქვათ, ყველაფერი ის, რაც მიწის ზედათაა, გაეკეთო, გავწმინდეთ, მოვასუფთავებთ, მაგრამ იმოდენა ხის ძირკვები რით გინდათ ამოვადლოთ იმხელა ნაკეთებზე? რამდენი მუშახელია საჭირო, ხელით, ხარით, წალკაბითა და წერაქვით რომ შევიარადღეთ? მაშ, როგორ, რანაირი ტრაქტორით დავხნათ ისე დრამდ, ისე როგორ გადმოგაბრუნოთ მიწა, რომ ფესვები და ძირკვები მიღლა დარჩეს? ვთქვათ, ესეც შევქელით, უშველს მერე ეს ჩვენს გაჯირვებას? ხომ იცით, ქვარხანი როგორ მოუსაგლიანია? ხომ ამდენი ხნის ხელმოუკიდებელია, ნასვევია, მაგრამ მაინც არადერს მოცვეცს, თუ არ ვანოვირდა, მერე და ყველაფერს ასე მოკლე დროში როგორ მოვასწრებთ? მაშ, რა ვქნათ? როგორ შევასხათ ხორცი ნაყირ ვაღდებულუბას?

— აბა, რა ვქნათ? — თავისდაუნებურად გამოცრა თამრომ.

— საშველი არ უფიქლა და ისაა, — წამოიძახა ბრიგადაში ყველზე უმცროსმა, მოსწავლე ბიჭმა, კაცმა გალდავამ და შემოფოთებული შესხდა მის ტოლს, მაგრამ მასზე უფრო მალაღას და ვაკაცური შესახედობის ყმაწვილს, ვალს, რომელსაც უბანში ზედმეტ სახელად გაიანეს ბიჭს ეძახდნენ.

ეს ორი ახალგაზრდა ბუხტებში დათოს რჩევით შეიყვანა ბრიგადაში, ორივენი წელს ამთაერბდენ საშუალოს, საღამოს შემთავალგაზრობის სკოლის სწავლობდნენ. ახლა კი ბუხტის რომ ხედავენ ასე მონდომებულს, რაღაც დაძაბულს, დიდი ფიქრებით დატვირთულს და თვალეზარიალებულს, თითქოს მისი სახის გამოიმეტყველება მათაც გადმოედებოდათ და ისინიც, მსავით სახედაძაბულნი უსშენდნენ ვაშირიდან დაბრუნებულს, რომლის ხმა ლითონივით ძვრდდა და ყველას იპყრობდა თავისი დამაჯერებელი სიტყვის ძალით.

მომეტი ძალა, ვამიშვი, ქარო, მომეხმარე ცხენისწყალო, მოვდივარ ქვარხანის გასატეხად, მის წალკობად გადასაქცევად.

ვამიშვი, ქარო, მომეშველე, ცხენისწყალო!

დაილოცოს მისი მომჯინა!

ასეთს ფიქრებს აღუძრავდნენ მთავარბუხტის ბუხტის სიტყვები და არა შიშობდნენ მათი გამოუცდელ უმჯინელებს, რომლებმაც უკვე კიდევ არ იციან თავიანთი მოზღვაებულნი ვენერგია, რომელ ოკეანეს მისცენ, რომელ ციხე-სიმაგრე გასტყონ, არამედ დათოსაც, თამრიკასაც, სერადიონსაც და იმ ახალგაზრდებსაც, რომლებიც საკმაოდ შრავლად ესწრებოდნენ მათს პირველ კრებას.

სერადიონი, ეს ხანდაზმული კაცი, უყურებდა ბუხტის და მასაც შინაგანად რაღაც ახალგაზრდაობა ძალა ემატებოდა, ამ აღფრთოვანებაში იგი გონების თვლით მიიწი იმ ქვარხანის უყურებდა, მას დასცქეროდა მაღლივად და შიშისაგან გული უკრთოდა, ამას რა მოერგეო. როგორც მათემატიკაში ჩახედული კაცი, გულში ანგარიშობდა, თითებზე ითვლიდა, რამდენი უნდა დახარჯულიყო იმ ქვარხანის დასამუშავებლად.

ითვალა, იანგარიშა და იმ დასკვნამდის მივიდა, რომ არ ღირდა ამ თავსამეტრევი საქმის წამოწყება. იმდენი შრომა დაიხარჯებოდა, რომ ერთი ფუთი სიმინდი ორასი მანეთი დაჯდებოდა, ნუთუ მართლა ასე მოხდება? არა, არა, ჩემო ძაო, უპასუხებდა იგი თავისთვის, ბუხტებში ხომ თქვა, მოუსაგლიანო მიწაო? რამდენი ქიმიური და ბუნებრივი სასუქი უნდა შეიტანო შეგ, რომ განოვიერდეს? არა, არა, ძაო, ორასი კი არა, ხუთასი მანეთი დაჯდება ერთი ფუთი სიმინდი, დაწყდება ხალხი, არ მინდა, მაშ, რა ვქნა? ბუხტის ხელი უნდა ავალეზინო მასზე, მაგრამ არა, რას ვამბობ აქ მე თვით წვაეკვზე, ვუბიძგე და ახლა მევე დავაბეინო უკან? ამ გულანთებულ ადამიანს ვინ შეაყენებს ხეი? გაქანებულ მატრებელს შენ შეაძრებ აწის ვროს დავნეით? არც ის ვარგა მთელი კოლმეტრეობა მაგ ხრიოც ქვარხანაზე ჩაეკლა, თორემ ათ ჰექტარ ფართობს ხუთი კაცი როგორ მოერგეო?

კიდევაც ვამხილა თავისთავი სერადიონმა, ყველაფერი გაანდო ბუხტისი, იგივე ჩააფიქრა, თავისი უკვი ვადასლო, თუმცა, არც ბუხტისათვის იყო ის მოულოდნელი, განა მასაც არ ეფიქრა ამის შესახებ? ეფიქრა, როგორ არა, მაგრამ უკვე ბრიგადის წევრებისათვის არ ვაეზიარებინა იგი, არც იყო დრო, როდის უნდა ეთქვა?

დათოს უკვე ყურები ჩამოეყარა, თამრიკასაც წარათმოდდა ხალისი, ზოლო კაცუნა და ვალა ისე შემოფოთებულიყვენენ, თითქოს ხანძრისაკენ ებიძგოს ეინმეს. მართლაც და ხუმრობა როდი იყო, ემუშავნათ, ემუშავნათ და ორმოცმანეთიანი ხუთასი მანეთი დაჯდომოდით? ყველაფრისათვის სარგებლიანი თვლით უნდა შეეხედნა ალა-

მანს, თუმცა ეს შრომა მეორე და მესამე წელს მთლიანად ანახლებული იქნებოდა, მაგრამ მანამ რა უნდა ფიქვა სერაფიმის ხალხისათვის? რითი ემართლა თავი, ბუხუტიმ შეშავდინაო, თუ პირიქით!

— შაბათობა მოვაწყობთ, ამხანაგებო! — წამოიძახა ბუხუტიმ.

— შაბათობა?

— შაბათობა?

იმდენჯერ წამოიხატა ეს სიტყვა, რამდენი ადამიანი იქ იყო.

რა მეორეი ძალა ჰქონია ამ ბატარა სიტყვას, რა სიმხვევე, რა სიმშვიდე, რა მუდროება ჩამოგდო ამ აღუღებელ ახალგაზრდებში.

— მე, ბიძა ბუხუტი, ზეგ, კვირას, ჩემს ჯგუფს გამოვიყვან შაბათობაზე! — წამოიძახა გაიასეს ბიჭმა და ისე შევებით ამოსუნთქა, თითქოს ქვანალი უკვე ბაღარად ექცია.

— შე კი ჩემს კლასს გამოვიყვანი — წამოიქრა ზეზე აკუენა.

— მე, როგორც მასწავლებელი, მთელ ჩემს სკოლას გამოვიყვან, — მშვიდად განაცხადა თაიკომ და პირველად გახელა ბუხუტის. გახელდა და როცა ვაეკაცის თვალებს შეეფეთა, გული რაღაც სხვანაირად აუჩქროლდა და დაჯდა.

— შენ, დათო? — მიმართა სახელაწილმა ბუხუტიმ.

დათო რატომღაც ზღაპრით წამოგდა, ნეტავ რა უნდა წყნოდა? გაითქრა ბუხუტიმ.

— მე, მე...

— პო, შენი — შიამბა თამრომ.

— კვირას ზენი სარემონტო-ტექნიკური სადგურის სახელოსნოს მუშები ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ვაწყობთ შაბათობას.

— ჩაის მეურნეობაში? — გააკვირვა ბუხუტიმ, მაგრამ დათო უცებ გაბალისდა, ისევე წამოგდა:

— ბიჭებო, დირექტორს ვთხოვ და ჩაის მეურნეობაში მეორე კვირას წავალთ, შენ, ბუხუტი?

— მე ჩემს ყამირებს გამოვიყვან, განა შორს მყვანან, აგერ, სულ ახლოს, ციმბირში... ყველას გაეცინა.

— მართლა, მეც გამოვიყვან ჩემს სასწავლებელს!

— შენი რომელია, ბიჭო? — გააკვირვა დათომ.

— მექანზაიციის ყოფილი ტექნიკუმი, ახლა ხომ სახელოსნო სასწავლებელია. ალბათ მასწავლებლებსაც ვეხსოვები, უარს არ მეტყვიან, არ გამაწილებენ.

— არა, არა, უარს როგორ გეტყვიან! — გაიხმა წამოძახილება.

ოქვენი უყინა გამაგონეთ, ბიჭებო!

დილით, ცხენისწყლის ნაპირებისაკენ აღრინად იწყო ახალგაზრდობამ დღეს. ბუხუტი და მისი ბრიგადის წევრებმა რაზანმა მოსტლეყვენს, და ახლად მოსტლებს ხედებოდნენ.

მოსწავლეები და მასწავლებლები წალდებით, ნაკახებით და ბარებით იყვნენ შეიარაღებულნი. ბუხუტი ხან ერთ ჯგუფთან გაჩნდებოდა და ხან მეორესთან. ყველას წინასწარ დაგეგმილ თავთავიანთ ადგილს უჩვენდა. ხუთი ჯგუფი რომ ჯაგებს მსოფლია მოსაჭრელად, ერთ ჯგუფს ნაიჯი ვაქონდა გზის პირას.

ასეთი გრიამული და გამოცოცხლება არ ახსოვდა არც ცხენისწყალს, არც შონტხუხუ წყაროებსა და არც ამ ულამაზეს მიდამოებს.

შინც რა მზიანი დღე იდგა. რა მიშვიდელი იყო იქაერთობა, ვინ მისცა ამდენი სილამაზე და სიცოცხლე ამ ქალებს, ამ თხმელის ტყვეებს, ნაწიისქვილარის ვაღმა-ვაგაღმა ფშიარებსა და ავაციის საფარებს? — ამ ლილისფერმა ცამ, ამ ცხენისწყლის ხეობამ, იმ მაღალმა მთებმა, ამ გადახნულმა ყანებმა თუ ამ მკლავებდაკიბიწებულმა ხაზებმა, იერიშზე რომ გადასულან მაღალი მოსავლის მისაღებად?

„ოქვენი უყინა გამაგონეთ, ბიჭებო!“ ქუხდა სერაფიმი. ძლივს მოისვენა თავაყამა. იგი ახლა არ ანგარიშობდა, თუ რამდენი დაიხარჯებოდა ამ ქვანალში, იდგა და ალტაცებული შეკურნებდა ადამიანის საოცარ კიდილს ბუნებასთან.

უყინი, ნიარნირი სიმღერები და შრომითი შეძახილები კვლავ გრძელდებოდა...

— ბუხუტი!

— ბუხუტი!

— ბუხუტი!

— ბუხუტი... — გაიხმა ოთხჯერ ხედიზელ შეძახილი და მიწიდან ამოსტლებივით შემოგვიფენენ მას ამხანაგები.

ვაეკაცს გული გაუნათლდა, ზღასავით ძალა იგრძნო.

— შენც, თამრიკო?

— მეც, აბა, რა? — სასიამოვნო, გამამხნვევებელი სიტობი იგრძნო მის ხმაში ვაეკაცმა. ეს ტბილი და ნახი ხმა მას იმ წუთას სიცოცხლეს ერჩია, მაგრამ ბუხუტის ომახიანი ხმაე ხომ ამ სიცოცხლეს ერწყმოდა და ლახათსა და შნოს მპატებდა?

— გაკეთილები, თამრიკო?

— დღეს არა მაქვს, ბუხუტი. საერთოდ, რომ იცოდე, მეუბა ახალგაზრდობის საღამოს სკოლაში ვარ, გეომეტრიაა და ხაზვას ვასწავლო, გაკეთილები შედი საათიდან მეწყება, კვირაში ორი დღე თავისუფალი მაქვს, თანაც დაუსწრებელზე რომ ვსწავლობ. ის შენი იყო!

ბუხტის ესამოცნა მეგობრის ნათქვამი, აქამდე ვერაფრით ვერ გავებუნა ეოქვა მთელი დღე სკოლაში თუ იქნება, ქვარნალში როგორღა დაგვეხმარებოდ.

დათოს დღიაში წიგნი ქონდა ვაზრალი.

— დათო, რა გენათ ახლა?

— რა უნდა გენათ?

— დავდგეთ და ასე ვუყუროთ? ხელ ან ზეგ ხენა უნდა დავიწყოთ და მე ახლა იმანვე ვფიქრობ, რომელი ტრაქტორი მოყრევა ამ ქვარნალს!

მამ, რისი მდივანია?

არც ისე იოლი შეიქნა ისეთი მარკის ტრაქტორისა და გუთნის შოვნა, ამ ქვარნალს რომ მოეყრეოდა. სურათიონმა ფეხზე დააყენა რაიკომი, ამ უყანასკნელმა კი — მთელი რაიონი, მაგრამ მაინც არ იქნა საშველი, ვერაფერს ვახდენს. ამ მარკის ტრაქტორი მხოლოდ ჩაის საბჭოთა მეურნეობას აღმოაჩნდა, და ისიც ორი ცალი, აქედან ერთ-ერთი მათგანის გუთანი ნატყვეარის ამოძრავისას გამტყდარიყო, მეორე კი დღითა და ღამით მოუცლელი იყო, შიის კალთებზე ახალ მასივს ითვისებდნენ, ჯგანარს ტყებდნენ და პლანტაჟს ამხალავდნენ.

რაიკომის მდივანი ასეთ გამოუვალ მდგომარეობაში ჯერ არავის ენახა, რომ ვაზრანებინა მეურნეობის დირექტორისათვის დაუყოვნებლივ გადასრულე ის ტრაქტორი ქვარნალში ბუხტის დასახმარებლადო, თვლის დახამხამებამი შეასრულებდა მის ვანკარგულებას. მაგრამ გუშინწინ, ბიუროს სავანგებო სხდომაზე გამოტანილ დადგენილებაში სასტიკი საუკედური რომ ჩაუწერა უყანასკნელი ვაფრთხილებით, ერთ კვირაში დაამთავრეთ იმ ჯგანარის ამოძრავა და მოხენა ჩაის ახალი პლანტაციის გასამეწებლადო, ახლა რა უნდა გენა?

ერთი ნაუპირალი კაცი კი არა, მთელი დივიზია რომ დადგომოდა თავს, მაინც ვერ გადადგამდა ამ მოუღიქრებელ ნაბიჯს. ის დადგენილება ხომ ხანჯალივით ეჭირა ხელში დირექტორს და ვინც ტრაქტორს თხოვდა, იმით იგერიებდა. უნდა გენახათ იმხელა კაცი, როგორ დაპატარავებულყო, დაჩაივებული გამოვიდა ბიუროს სხდომიდან, სახიდან სიმწირის ოფლი წერწერით ჩაიხსდიოდა, ზურგზე კი თითქოს ბოლი ასდისო, მთელი ტანი უპურდა.

ჰო და, სამი დღის წინ კაცს ასეთი დღე დააყენა და ახლა ხომ ვერ უბრძანებდა, ბუხტის ტრაქტორი ათხოვეოთ? ამას რა ჰქვია უპარნახებდა, მაშინ რაღად ეღიერებოდა მისი ავტორიტეტი, ან რა ფასი ექნებოდა ბიუროს დადგენილებას. მაშინ ხომ ის შეფუცხუნებული დირექტორი თავის სიგლახესა და ჩამორჩენას მას გადააბარებდა. საქმეში უხეშად ჩაშერიაო? ამა, რა გენა რაიკომის მდივანს? მერე თე-

ონანი რაგორ ოცნებობდა, ქვარნალს ვინმეს ვაეტება და დაემუშავებინა.

სოციალ ვაგაცი, მისი ბალანსი... რაიკონი, იგი ახლა ავერ მის წინე... ბას თხოვს, ის კი უიმედოდ ასასკეებს ხელეხს, თუმცა ფეხითაც რომ დასკირდეს მთელი საჭაოთველოს შემოვლა, იმ ტრაქტორის მაინც უშოვია, მხოლოდ საკითხავია რაღის, როცა ხენია და თქვის დრო მიიღევა? მერე რაღად უნდა იგი ბუხტის, მამ რა უნდა გენა ახლა იას, რაიკომის ადვიენის წინაფე რომ იღვა ვაქე-შებული და საოცარ დაბნეულობას და შემოფოთებას ამჩნევა სიბეზე? რა გზას დასდგომოდა, რომ რაიონია თავკაცს მისთვის ვერაფერი სანუგეშო ვერ ეთქვა და ბევრი ვაბრანჯველი ფიქრის შემდეგაც ვერავითარი ვადაწყვეტილება ვერ მიუღო?

მდივანი თავის გრძელ კაბინეტში ნერვიულად მიმოდიოდა, ეტყობოდა, ლეაუდა, დაძაბული მდგომარეობიდან ვაფოსავალს კი მაინც ვერ პოულობდა.

ბევრი ფიქრის შემდეგ თავი რომ ასწია და მისავით შეწუხებულ ბუხტის მოპყრა თვალი, გულით შეებრაღა.

— დაბრძანდით, ძმობილო, — დაღლილი მოეჩენა რაიკომის მდივანს ბუხტეტი, დაქანცული, არაქათგამოცლილი, ვინემ თვითონ იყო იმ წლთას.

ბუხტეტი დაჯდა. მდივანი მას მიუახლოვდა, მხრებზე რბილად დაქრა ხელი და უთხრა:

— მამ, ასეა, არა?

რა იყო ეს ასე?, რა იფულისხმებოდა ამ სიტყვაში, არც ბუხტემ იცოდა და არც პირადად მდივანმა. ეს ის, რაღაც უაზროდ იყო თქული.

— დიხ, ასე — დაუდასტურა ბუხტემი.

— მამ, ძმობილო, ქვარნალი ბაღარად უნდა აქციო, არა?

— უნდა ვაქციოთ, უნდა...

— ოუკ...

— ვიცი, ვიცი, თუკი ტრაქტორი გიშოვეთ, არა? — შეაწყვეტინა ბუხტის მდივანმა.

— დიხ.

— და... თუ ვერ გიშოვეთ? — მდივანმა გონების თვლით მის რაიონში მიყოფი ყველა კოლმეურნეობის სატრაქტორო პარკი ჩამოიარა, შეათვალიერა, მაგრამ ის, რაც ბუხტის უნდოდა, გარდა იმ ჩაის საბჭოთა მეურნეობისა, მთიან სოფელში გადასროლილ ორი ტრაქტორისა, არავის არ აღმოაჩნდა, ჩაის მეურნეობას კი ბუხტეტივე უფრო უჭირდა.

მამ, რა უნდა გენა ბუხტის?

რა უნდა ელენა რაიონის სელმძღვანელს? ბუხტის ხმა ვერ ამოვლო, როგორღა უნდა დაეძრა სიტყუი ტრაქტორის შესახებ, მაძლეუ თუ არაო? ისედაც ვაფუნებულ კაცს, ამნაირი შეკითხვით ხომ კიდევ უფრო დაუმძიმებდა

თავს. ამიტომ მხოლოდ გარეთ გამოსვლაზე ფიქრობდა.

მდივანი, ხან ერთ წიგნს შეაეღებდა ხელს ნაკეთვლად და ხან მეორეს. სხვა დროს თუ თავი ჰკონდა მომზარებულ, ახლა როგორ ენატრებოდა ერთხელ მაინც ჩამოერევა ეჩინეს, რომ ვილაკებ, სულ სხვა ვინმეზე ეყარა ჯაფარი თვისი უძლეოების დასაფარავად.

ქვემოთ მოულოდნელად სასურველი ორკესტრმა დაიგრილა, თითქოს რაღაც გამაჰოცებელმა ხივამა დაუბერათ, ორივენი ზეზე წამოიჭრნენ, დაჯარას მივიარდნენ და სწრაფად გამოაღეს. წინ, სამ მოსწავლეს დროშები ეჭირა ხელში. ნათ შეიან ხელმძღვანელი მოუძლოდა, ორივემ უკან უკან ამოისუნთქა, ცოტანათ მივიწვეს თავსამტრევე საყიხთ.

მდივანს არც კი შეუმჩნევია, ისე უხმოდ გა- ვარდა კაბინეტიდან.

მიყვარხარ, გოგო...

ბუხუტი შედგა, სევდა შემოაწვა გულზე, მარტოდ, ობლად, დაცარიელებულად იგრძნო თავი. არც მათ ვაკუეა და არც სოფლისავენ ქნა პაიო, დიდხანს იყო ასე ერთ ადგილას გამუშვებულო, მერე ისევ შემობრუნდა და რაიკომს მიიშურა, პირველი საბოლოო აირბინა, მაგრამ რატომღაც ისევ უკან მობრუნდა, ისევ იქითვე ვაკუეა, საცოდა ეს ასეული დამანაკდა.

გზადმიმავალს ვილაკამ ხელი ვაკურა, — შენა ხარ, თამრიკო? საიდან ვარდნი, გოგო, აქ? — სულ დაბნა ბუხუტი. — სკოლაში მივდივარ.

სხვა დროს ბუხუტი თამრიკოსთან შეხვედრით უბოლოდ ვახარებდა. რამდენი სიხარული უგრძნებდა მას ამ პატარა, მშობელოვით საყვარელ ქალაქში, ამ ბაღში, რომელშიაც ახლა ორივენი ერთად შევიდნენ.

დიახ, დიდი სიხარული! განა ამ პალმების ქინ, დიდი ცაცხვის ჩრდილქვეშ არ გუშვებოდა პირველად თავისი სიყვარული თამრიკოს? დიახ, აქ, ამ ადგილას, მგონი, ამ სკამზე, რომელზედაც ახლა ორივენი ჩამოსდნენ.

— ვახსოვს, თამრიკო? — რა, ბუხუტი? — რომ დღეს, სწორედ იმ ადგილას, სკოლიდან ერთად მოვიდნენ და ამ ჰადრების ქვეშ დასხდნენ.

მამის მშვენიერი დღე იდგა. მწვანე მოლი მუხლამდე სწელებოდათ. სკამზე ისხდნენ და დიდხანს სურათებდნენ. შემდეგ, ბოლო რომ არ უნანდა მათს სიყვარულით სავსე გულუბის ნქროლას. ბუხუტიმ ძალა მოიკრიბა.

— თამრიკო! — რა იყო, ბუხუტი? — მიყვარხარ... გოგო!

— რაო? — ზეზე წამოვიარდა თამრიკო. გულმბრყულიო ყმაწვილო ვერ მიხვდა ქალშეილობაში ახლად ფესმედგმულ ჟურნალზე გოგოების მიხვს, მისი გულის რთმელოვით მუხუტულში, მისდაში სიყვარული რომ ფეოქდა, მაგრამ მალავდა, არავის უმხვლდა. მის ამგვარ წამომხილში პირველი სიყვარული გამკლავნება იყო, მაგრამ რა იცოდა ეს ჯერ გამოიქვლდა ყმაწვილს? იგი ამ ვაკეირებულო თუ გაჯავრებულო შეკვირების იქით, მის გულში ევლარ იხედებოდა.

და აქ ამიტომაც შეერთა ყმაწვილი. — მიყვარხარ, გოგო! — ისევ წაიხტრჩულა საცოდავად ჰამბეჭდა.

— რაო? — კიდევ ვაკერად ჩაესმა ბუხუტის და ბიჭი კინაღამ ვათავდა, სკოლის მერხებზე და სოფლის შეკებში ნალოლიაკები და ფესადგმული სიყვარული რომ ახლა პირველი ვაცხადებისთანავე ეცლებოდა ხელიდან.

შენ ახლა მოიკრიბა და კიდევ ვანუშორა: — რა იყო, რას მიყვირო, რად ვაკოდო, მიყვარხარ-მეთქი!

— სირცხვილოა, დაგვიანხავენ, ვაკიგონებენი — ეს თქვა თამრიკომ და სადღაც ვაკიქცა. ბუხუტი კი იქვე დარჩა ვაკევებულო, ვერ მიუხვდა ვაკონას, თუ რამდენი სიბოლო და სიყვარული იყო მის სიტყვებში ჩადგრილი, ვერ იმას მიუხვდა, რომ თამრიკომ თავისი ვაკეველო ყველაფერი თქვა, რომ მასაც უყვარდა, რომ რაღაც გამოიქვნობი, სახელგადამრქმველო ვრძნობა უღვივოდა გულში, რომლისთვისაც სახელი ველოარ მიეცა, ვერც ვერადფერი ეთქვა, ახლა ვაკიქცა და თითქოს ამოისუნთქა, ამოისუნთქა და თავისებურად კიდევ ვამხილა თავისი გულის საიდუმლოება, მაგრამ ბუხუტიმ ვაკიგო! მოავონდა ყოველივე ეს ახლა ბუხუტის...

— თამრიკო... — რა იყო, ბიჭო? — ვახსოვს ის ადგილი? — მახსოვს... — დარცხენით, თბილად ვაკეხაურა თამრიკო. მერე ორივენი წამოდგნენ და იმ ჰადრების ქვეშ დადგნენ.

ბუხუტიმ ერთხელ კიდევ ჩახვდა თვალებში ქალიშვილს და იგივე ვანუშორა.

— რა იყო, რას მიყვირო, მიყვარხარ-მეთქი. — სირცხვილოა, ბიჭო, ვაკიგონებენ, დაგვიანხავენ!

და ეს ხეოი წლის წინ, ამ ადგილას თქმული სიტყვები, თითქოს ხელმოკრედ ვახსოვა ახლამ!

— წაივდეთ, ბუხუტი, ალბათ, ყველანი ჩვენ გვიმზერენ. — მერე რა, გვიმზირონ... — სკოლაში მეჩქარება. — და ორივენი წელა, რაღაც უფრო მოკრძალებული ნაბიჯით ვაკი- დნენ ბოლიარიდან.

— ბუხუტი, ბიჭო, აქ რა ვინდა. ტრაქტორს ხომ არ ვეძებ? — მოამახა ვილაკამ სურტიდან.

ქალ-ვაგი უცებ შემობრუნდა,

— დათო, აჟაა?

— სად იყავი, ბიჭო? — შესძახა ბუხუტემ ამხანავს, იაგრაჲ ახლა, როცა ასეთ ტკიბულ წუთებს განიცდიდა, ტრაქტორი რა სახსენებელი იყო, სად სიუცარული და სად ტრაქტორი? თქმეცა სწორედ ამ ტრაქტორის წოვინს ფიქრმა არ მოიხვია იგი ამ ბელვარში?

ტრაქტორის გახსენებამ იგი კვლავ ააფორიაქა, ჭკობილი დაუხვინა თვალწინ და თამბიკოს უცებ დაემშვიდობა.

არ მინდა შენი ღვინო!

თამბიკოსთან დამორების შემდეგ ბუხუტემ ყველაფერი დაწვრილებით უამბო დათოს. კაბუტე თო. ათეოლოცა ფეგობრისაგან ასეთი არასასიამოვნო ამბის გაგებას. ამიტომ მუდამ მოუხეცვნილი და ანაოული დათო უცებ მოეშვა, გულსაღი დაფიქრებდა, სულ წახდა.

— აა, რა აუბათ, ბუხუტი?

— ასეა, და...

— აა, არ ყოფილა საშველი? — სასოწარკვეთით აღმოხდა დათოს. ამ ხმამ ძალზე შეაჯრთო ბუხუტი, ახლა უფრო მწვავედ იგარბო გულზე აყოლოლი დარღმ სიმძიმე, ვერც თაისსაფი ანუგემა და ვერც შეგობარი.

— ააა, ბიჭო, მოდი, ბარი დაიკავეთ ხელში და ვთხაროთ ის ძირკვები, ზეთ ჰექტარს წელს თუ არა გაიხად ზოხიცი მოკრჩებით! — არ გაიტეხა ისტობრი და წახემრება სცადა დათომ.

— ეარგა, ხმა რომ ამოიღე, შეგონა, ენა ჩაგეარდა, ეფიქრე, ეჭიმს დავეძახებ-მეთქი, — არც ბუხუტის გამოხედა ზემობრბა.

— გატყობ, არც შენ ზარ დოლ-გარმონის ხასიათზე, დავანებოთ თავი მაგ ოხერ ქვარხალს, მოვეშვათ, თორემ იმდენს გვაფხარკალებს, იმდენს გვაქლოშინებს, სანამ ფეხებს არ გავკაფ-შეიციებს. წამოდი ჩემთან.

— სად, ბიჭო?

— აბედას. ღუნქმიდან ისეთი შავი ღვინო ჩამოტანია, ისეთი, რომ გადაიარევი ყაცი, ერთი ლითიანად დავლიოთ! აღუქსანდროულს რომ გადავკრავთ, გონება უფრო გაბრწყინდება და იმ ქვარხალზედაც შამინ ვიფიქროთ.

დათომ მკლავში გამოსდო ხელი, მგარამ ბუხუტი გაუტალიანდა.

— ჯანდაბანა შენი თავი, წავიდეთ! — ხელი ჩიქინა ბუხუტემ და მგეგობარს გააყუა. იქნება ღვინით მაინც გაექარებინა ყელზე მობჯენილი ბოლმა. ამ დროს, სადღაც სასულე ორკესტრმა იგრიალა. მოულოდნელმა ხმამ ერთბაშად გამოცვალა ბუხუტი და, თაისსაღი-ბერად ისე აუწყო ფეხი, თითქოს ისიც მწყობრში უთარლიათს, სასოლო მესოის ზნათანდათან ძლიერებოდა. ახლოს მოიწვედა,

ის მძლეობამდე პანგი. თითქოს ბუხუტის-სისხლ-ბორცვი გამოლიოდა, ამხნვეებდა, ძალის მატება და, სულში ეღვრებოდა და უსიყურადობა: უჩქარებდა.

ბუხუტი

დათო გავიარებელი ასდევებოდა უკან, ცოტა კიდევ და მზარმარჯვნივ, გზიდან ორკესტრი გამოჩნდა. კაბელმეისტერი მოუქლოდა. სკოლის ამ ორკესტრში ბუხუტი სამი წლის წინ კორნეტზე უკრავდა. ამის გახსენებამ სულ აუმღერია სისხლი, უნდოდა დადევნებოდა უკან, დაწყოდა, კორნეტზე ჭველებურად დაეკრა, მგარამ დათომ ხელი ჩაავლო და გააჩერა.

— მოიცა, ბუხუტი...

— არ მინდა შენი ღვინო, გამიშვი! — გაიწია გვერდზე ბუხუტი.

— ღვინო არა, რაღაც უნდა გახარო! — დათოს სახეზე ისეთი მზობარული განწყობილება აღბეჭდიდა, რომ უთუოდ რაღაც სასიამოვნო უნდა ჰქონოდა საოქმედი.

— სხვა, რაა, გამიშვი, — ისეე აწყოდა ბუხუტი განზე.

— გამახსენდა, გამახსენდა!

ბუხუტი შეჩერდა, მგეგობარს ახედ-დაბედა.

— გაგიყდი! რას მივღ-მოვღებში?!

— დამიგდე ყური! ცხენისწყლიდან ბეტონის არხით სარწყავი წყალი რომ გადმოჟავთ, მათ მშენებლებს სწორედ ისეთი ტრაქტორი აქვთ, როგორიც ჩვენს ღვინდა! — წამოძახა სახევაბადრულმა დათომ.

— კარგად გამოგონე, რაო? — თვალეზი გაუფხართოვდა ბუხუტის.

— ისეთი ტრაქტორი, როგორიც ჩვენ გვინდა. წავიდეთ, ვთხოვთ, შენ, როგორც ნაყამირალს უარს არ გავტყვის, არ გავაშინებებს უფროსი! — მტეტი ველარ მოასწრო დათომ. როგორც ცხენისწყლის პირას, პარველი შეხვედრისას, ბუხუტი ახლაც წელში ეცა და ქალაქის შუაგულში ორჯერ შეისროლა პაერში.

არის ტრაქტორი, თამბიკო!

ორკესტრი ხანოტრებში შევიდა, გეზი კლუბის შენობისაგან აიღო, ამ კლუბის ბოლოს მშენებლობის უფროსი ცხოვრობდა, სამუშაო კაბინეტზე იქვე ჰქონდა, მუშებიც მის ახლოს კარგად მოწყობილ ბარაკებში ცხოვრობდნენ.

ეს ხომ ბუხუტის მშობლიური კუთხე იყო! ბავშვობა ამ გატარებდა. აქ ხომ ყველაფერი ნაყარში იყო, წინათ ხომ აქაც ქვარხალი იყო ნეტავ რა ხელს ეჭყობა სამ წელში იგი ბაღნარად? ჯაგების და ეკლის ნაცვალად ნაქვისა და ფიქვის საფარი შევნიოდა არემარეს. ყველაფერი მუშების ხელს გავეთებინა, ისეთავე ხელს, როგორიც მას და დათოს ჰქონდათ. შეყურებდა ბუხუტი კობტად მოწყობილ მშენებელთა კლუბს, საცხოვრებელ სახლებს და შორეული ციშბარის

ერთ-ერთი ადგილი აგონდებოდა, სადაც ის იყო უკანასკნელად.

— დათო, მართლა იცნობ შენ უფროსს? — გამოერკვა ბუბუტი.

— წამო, გაგაცნობ, — ისე თქვა დათომ, თითქოს მშენებლობის უფროსთან კი არა, აგერ სერაფიონთან მიყავდა.

დათოს ბევრი არ უფიქრია, ბუბუტი პირდაპირ მის კარებს მიაყენა.

— დავით მიხაილოვიჩს ვახლავარი — წამოღვა უფროსი ფეხზე.

— ეფრემ ივანოვიჩი, ვაიკანთი ჩემი მეგობარია, ნაყამირალი კაცია, — ისე წარუდგინა ბუბუტი დათომ, თითქოს მისი უფროსი თითონ ყოფილიყოს.

ეფრემმა ბუბუტის ღონიერად ჩამოართვა პარჯვენი.

— სასიამოვნოა, დაბრძანდით.

მერე მან ზოგი რამ გამოკითხა ბუბუტის და როცა გაიგო ახალი დაბრუნებული იყო და ისიც შორეული ციშიბირიდან, თვალები გაუბრწყინდა.

— მოგეწონათ, ჩემი საშობლო? — შეეკითხა თავის კუთხეს დანატრებული, უზომოდ მოწყურებული უფროსი ბუბუტის.

— მშვენიერია!

— ჯერ თქვენ მის სიღამასზე ვერ მიუხედავოდით, მისი ვენება და ხასიათი რომ გაიგოთ, დიდხანს უნდა იცხოვროთ მის წიაღში და ისევე უნდა შეუსისხლხორცდეთ, როგორც მე ამ თქვენს მშობლიურ კუთხეს. მაინც ამ შიშურ ქვეყანაში გაბრდილი კაცი მართლა შეეგუეთ ჩემს მშობლიურ ციშიბირს?

— როგორ არა.

— გულწრფელად მეუბნებით? — ნამდვილი, ადამიანურა, რუსული გულით გიღლიმა ივანოვიჩმა ბუბუტის და მერე წარმოადგინა მიიწვია, რომელიც მშენებლებისთვის მოეწყო.

— გამაღობთ, ეფრემ ივანოვიჩ, ჩვენ ერთი დიდი სათხოვარი გვაქვს თქვენთან — დათომ ამ სიტყვებზე ბუბუტის გადახედა.

— ბრძანეთ! — მიუგო მან.

დათომაც თავიანთი გასაჭირი გაემხილა. ბუბუტიმ არც ის დაუმალა, რომ დღეს რაიკომის მდივანთან იყო და ვერაფერს გახდა.

— როგორ გაწყენინე! სხეც რომ არ იყოს, ჩემს მიწა-წყალზე ფეხი დაგადგამთ, ჩვენებური ზამთრის სუსხი გიგეწნიათ და გახადხულითაც დამტკბარხართ, უარს როგორ გიტყვი, მით უმეტეს თქვენი კოლმურსეობიდან ჩვენს მუშებს ყურადღება არ აკლია. ჩემი ნიკემა ხომ თქვენს ბაღ-ვენახებში ისე დარბის, თითქოს საყურადღებო ყოფილიყოს. ძალიან შეეჩვია აჭარობას, თითქოს აქ აიღვა ფეხი, ეეჰ!... ნამეტანი შეეტოპე, ბოდიში, ახლა საქმეზე... რამდენი დღე დაჭირდებით ტრაქტორს?

— ორი ან სამი დღე! — ძლიერ ამოიღო მხა ბუბუტიმ.

— ხეთი იყოს, მხოლოდ... ტელეფონის წყრილმა სიტყვა გააწყვეტინა.

— ერთი წუთით, ალო... ალო... ვისმენთ ეფრემ გორბუნოვი! ო, თქვენ ხართ? როდის ჩამობრძანდით, მიხაილ ალექსანდროვიჩი, თბილისიდან? ჰა, გუშინ? დაახ, ვისმენთ... ბრძანეთ... ტრაქტორი? ჯავანარის გასატეხი?.. გვაქვს, ვისთვის ვნებავთ? ვისთვის? ამ წუთას, ჩემთანაა, მიხაილ ალექსანდროვიჩი... ვინ? ჩემმა მეგობარმა მოიყენა... აუცილებელი... როგორ გვკადრებათ, ნახეამდის... — უფროსმა ყურმილი ფრთხილად ჩამოსდო ჩანგალზე.

ბუბუტის რაღაც ენიშნა.

— რაიკომის მდივანი იყო, კარგი კაცია, თქვენ, მასთან ყოფილხართ, ძალიან შეწყურებულია, თქვენთვის ტრაქტორი მთხოვა, — თბილად, სიყვარულით ლაპარაკობდა იგი.

ბუბუტიმ ფეხი ფეხზე მიადგა და მხედრული მაღლებმა გადაუხადა.

დათომაც მას მიბაძა, მაგრამ არ გამოუვიდა.

— წარმოადგინაზე უნდა დარჩეთ, ვთხოვთ!

— იმ პირობით, ეფრემ ივანოვიჩ, თუ მერე დროს იშოვით და ჩვენთან წამოხვალთ.

— ვიცი, გასაგებია, სადაც შეპატრებით, დღეს არა. თბილისიდან უფროსს ველოდები. გორბუნოვს ტყბილად დაეშვიდობნენ და ვარკეთ გამოვიდნენ თუ არა, ბუბუტი დათოს მიუბრუნდა.

— დათო, ახლა კი სიამოვნებით წამოვიადებლასთან.

— წავიდეთ.

— წავიდეთ! — დამკრეს ზელი ზელს და აბელას სარდალესკენ ვახუჯის.

კარგად შეზარბოშებულნი დაბრუნდნენ შინ. ბაბი შეშფოთებული შემოვიგება.

— სად ხარ, შვილო? თვალები მომიქვია, სერაფიონიც იყო, რაიკომის მდივანი დაექმეს, სად დაიკარგაო. მოდი, გენაცუაღე, გემოებათ, იმ გოგომაც სამჯერ მოგაკითხა, ჯავრობდა, სად წავიდაო.

— ვინ, დედა?

— თამარკომ, ბიჭო, აბა, ვინ.

— ჰოო, დიდი, სუფრა ვაგვიშალე, შენ კი დათო, თავმჯდომარე, კაქუნა და ვალა მომიფუნანე, მეზობლებსაც დაუძახე, უნდა ვაგოვს ქვეყანამ, რომ ნაყამირალი ნამდვილად მოვიდა სახლში! — იცინოდა ბუბუტი და დედას ეხვეოდა, კოცნიდა, გახარებული ბაბი კი — უი, შენი ჰიორიშეს! ძახილში ჯარასავით ტრიალებდა.

— კაი ლენო რომ არ გვაქვს, შვილო?

— აბელას ლენო ხომ ვარგა, დედი?

— სადაა შერა, ვინ გავაჩხავნით?

— აგერ, გახედე! — და ბუბუტიმ კაქუნას დიდ ზეზე მიუღებელი ტრაქტორა დაანახა.

ბაბში დათოს გადაუძახა.

— დათო, თამარიკო არ დაგავიწყდეს, შევილიო ბუხუტი თადარიგში იყო, დედას შევლოდა, ტოკიან ლენო ბოთლებში გადაქონდა, ხანაც კედლებზე გავრულ სურათებს აჩერებოდა, ერთმა სურათმა განსაკუთრებით მიიქცია მისი ყურადღება. ერთხელ კიდევ გახედა სურათს ქუჩაღულად და შემობრუნდა. შემობრუნდა და სახტად დარჩა, თითქოს ის სურათი კედლიდან გადმოსულიყოს, მის წინ თამარიკო იდგა.

— რას მიყურებ, ვერ მიცანი?!
— როგორ, განა თამარიკო არა ხარ?

— არა, ბიჭო, ეფროსინე ვარ. სად დაიკარგე, შენს ძებნაში სერაფიონს თვალში სინათლე დაეკარგა!

ახლა, როცა ბუხუტი თამროს უყურებდა და რაღაც ყრუანტელის მომგვრელ სიამოვნებას გრძნობდა, ტრაქტორი ამა რა სახსენებელი იყო, მაგრამ მასში სინამდვილის შეგრძნება იმდენად დიდი იყო, რომ ვეღარ შოთომინა და თამარიკოს შესძახა:

— ტრაქტორი ვიშოვეთ, თამარიკო!

მოდის... მოდის...

შაბტის არეულმა თვემ, ბუხუტის გულგასა-ხარად, ჩვეული ჰირვეულობა როდი გამოიჩინა, ნანატრი მშინაი დღე დადგა. გუშინდელი სუსხი, სიბოთლი შეიკვალა. თითქოს ეს ბრდღვალა მზე მხოლოდ ქვარანალისათვის ამობრწყინებულ-იყოს აღმოსავლეთიდან, მოკანკალებულ მიწას უხვად ეფრქვეოდა მისი სხივები და მიწაც თბილად სუნთქავდა. ბუხუტის გულში ჯაერი უინელივით თანდათან უღხებოდა და სიმხნე-ვეც ემატებოდა.

და უცებ ტყის მხრიდან რაღაც ურუ გუგუნო მოისმა. ნეტავ რამ დაარღვია ამ არეშარის სიმ-ყურდოვე? წეროების ყვილია თუ ჩაღის დე-როების სტეენა? არა, არა, რაღაც უფრო ძლი-ერი, უფრო ვეკაცურა.

— მოდის, მოდის, მგონი ტრაქტორი მოდის! ბუხუტიმ სული შოთქვა და რაღაცის დაყვი-რება უნდოდა, რომ იმ ტრაქტორის მეორეც მოყვა უკან. ამან კინალამ გააგვიცა იგი.

— ყოჩაღ, ეფრემ! ივანიჩ! ყოჩაღ, კაცო! გუშარჯოს ციმიბრელს!—ყვიროდა და ხელებს შლიდა აღფრთოვანებულა.

აი, მძლოლებმაც ისე შემთავარიანეს ტრაქ-ტორები ქვარანალში თითქოს ტანკები ვაღა-დიოდნენ შეტევაზე.

ბუხუტიმ ვეღარ შოთომინა და ერთ მძლოლს ტრაქტორზე შეუხტა, გადაოცნა.

— დათო, ბიჭო! — ყვიროდა იგი და ხან ერთ ტრაქტორს მივარდებოდა და ხან შვირებს. შერე კაცუნას მოუხმებ.

— ამა, სახლში გაიქცე და ახლავე საუზმე მოგვიტანე, თითოზე თითო ბოთლი ლენო, ამა,

ჩქარა, ჩქარა! — და შემდეგ დათოს შეტრუნდა: — ბიჭო, კინალამ გაეგვიცა, რატომ დაგა-ვიანდათ?

— უფროსს განკარგულმა გავცა, ორივე ტრაქტორი ვაატანეთო, მეორე ჩემოსტში იდგა, სანამ არ შევავეთეთ, ვერ წამოვიდოდათ. ბიჭო, ჩვენ ხომ ერთი ვთხოვეთ, ეფრემ ივანიჩმა კო რი მოგვცა, ორი—სულს ვერ ითქვამდა სიხა-რულისაგან იტაცებული დათო.

ბუხუტი და დათო ერთად მისივედნენ ტრაქ-ტორს უკან და უფრეებდნენ, როგორ ძლევდი და შიარღვევდა ამ გაეკრებულ, მთლად ძირ-კვებად ქვეულ მიწას.

მიგუგუნებდა ტრაქტორი და მიწას რაღაც თავისებური ხრილი თუ ხრჭილი ვაქონდა.

— დათო, უფრო ღრმად, ბიჭო, უფრო ღრმად! — და ბუხუტიმ ისე დაარტყა მარჯვე-ნი ფეხი მიწას, თითქოს ეტკვანზედ დაზღუნე-ლი, კაცის ქუსლს აწვებოდეს, რომ უფრო ღრმად წავიდეს სახნისი მიწაში.

— მეტი რა გინდა, ბუხუტი, ნახვევარ მეტრზე ხსენა.

— არ ყოფნის, ბიჭო!
— ჩანს ხომ არ ვთესაეთ, ტრანშეებებით რომ გაღმოვებრუნეთ.

— სამოედახეთმეტზე დაეაყენეთ.

ერთ ტრაქტორზე რუსი მძლოლი იჯდა, მეორეზე კახელი შეატეხა ბიჭი, რომელსაც დათო სანდროკას ეძახდა.

— სანდროკ! — გაძახა დათომ, მაგრამ ისე იყო ხვნის სტიქიაში შესული, ვეღარაფერი გაიგონა, მაშინ დათომ ქუდი დაუქნია.

სანდროკ ტრაქტორი დააყენა.

— რა იყო, დათო! — შინაურულად მიმართა მან დათოს, ისინი ერთმანეთს კარგად იცნობ-დნენ, ბეგრჯერ ერთადაც გადაუკრავთ იმერუ-ლიც და კახურს.

დათომ უთხრა რაშიც იყო საქმე.

— ჩემი თავი თქვენ გენაცვალათ, ახლავე! — შესძახა სანდროკ, ძირს წამოხტა, გუთანი სამოც-დახეთმეტ სანტიმეტრზე დააყენა, დანძრა კო-დაც. ბუხუტიმ ახლა კარგად დაინახა, რომ გუ-თანი სასურველზე უფრო ღრმად აბრუნებდა მიწას და ძირკვები ფესვებიანად ამოქონდა ზე-დაპირზე.

შენი ჰირიმი, შევილიო

ბუხუტიმ შორიდან მოკრა თვალი ნაჩალ-რებში მომავალთ. მიხვდა, რომ მისრანები იყე-ნენ, თუშცა რა მიხვედრა უნდოდა, კაცუნა მთელი ხმით გააკვიროდა:

— ბუხუტი, მოედვარათ, მოედვარათ!

ბუხუტი მოთყენ გაიქცა. მარბოდა და გულ-უფანქარებდა, ნეტავ რა უფრო შიარღენდა, დედის სიყვარული თუ თამარიკოსი? რასაკვირ-ველია, ორივესი, ორივესი ორივე ხომ მისი



ყოფილ დედის გული მშობლიურ მიწასავეთ ეძახდა, ახარებდა, თამარიკოს კი ფრთებს ასხამდა და საღაღად მიიჭრებოდა, ნეტავ საღ, ვისთან? იმ ტყეებს ვადაღმა, იმ ცხენისწულის იქით? არა, აი ავერ, ახლოს, ისევ თამარიკოსთან, ისევ მის გულთან, მის ცეცხლიან თვალებთან, მის სიყვარულთან.

აი მიფრინდა კიდევ, მაგრამ ჯერ დედას შეივლო თვალი.

— დედა, შენ რატომ შეწყებდი?
— რომ არ დამიჯერა, ჩემი ბუბუტი? — ეს ვისი ხმაა, ვისი გულისცემაა, ასე ახლოს რომ ესმის ბუბუტის?

— რავე გეკადრება, შვილო? თამარიკო ბევრი შეხვეწა, მაგრამ სახლში რა დამიყენებდა, დედა, დედა, ეს რა ბედნიერებაა! მიჩვენე, შვილო, რა დღეშია ქვარნალი — ეუბნებოდა ბაბი შვილს და თან აქეთ-იქით იყურებოდა.

— წამოდი, დედა... თამარიკო, შენც, — შეეხმიანა ბუბუტი თამარიკოს და ხელი გადახვია.

ნახანეს რომ მიუახლოვდნენ, სახტად დარჩა:

— შენ გენაცვალე, შვილო, სადაა ქვარნალი, თამარიკო, რავე გადმოუბრუნებიათ დედამიწა, ამას რას ხედავს ჩემი თვალები? სადაა სერაფიონე თვალდასავსები, დეინახოს ერთი, დეინახოს! დედა, დედა, პა, თამარიკო, ხედავ?

თამარიკომ ბაბის მიხაძა, ძირს დაიხარა, ხელში ნახანე მიწა იღო და ისე ატრიალა, თითქმის გაბურბულ კაცზე ჩასაკრაველი ცოში ყოფილიყოს. ბაბი ნახანეში ღრმად შესულიყო, მუხლამდის ეფლობოდა, ათვალაიერებდა გარემოს და გაევირცხებოდა იმხანად:

— შენი ქირიმი, შვილო, ეს რა სასწაულს შექმასწარი!

— ამ ძირკვებსა და ქვებს ზვენ მოვავრთვებთ, ბუბუტი!

— კი შვილო, აბა ამისთვის შენ რავე მოვაცდენ.

— დედა, რას ამბობ, მაშინ მოკვდეს ეს ბიჭი, მაგაზე შენ ან თამარიკოს ხელი მიგვავრებინოთ, მაგ ძირკვების დანახვლვტად მცურება თქვენი ხელები? — ბუბუტი თრთვებს მოხვებია და მიეპაღებს.

— აბა, რისი ბრიგადის წევრი ვარ! — გიბურბა თამარიკო.

— იმის, რომ საღზე მოგვიტანო, საღილი გაგვიყოფო, ვახშამი დავგებედრო, წყალი ამოგვიტანო, კი გასახარი სიტყვა გიფთხება.

— წამო, წამო, საღილი გაეწყნოთ ბიჭებს, მომიეწულები იქნებამან, ის მძლოლები რას იტყვიან, დავაამზიესო, არ ვავალანძლიოთ, გოგო, თვით!

— პო, თამარიკო, გეშია, ძალიან გეშია. ევერ იმ მუხის ქვეშ გავიშალეთ სუფრამ — ხელი გავშვირა ბუბუტომ მუხებისაკენ.

თამარიკო და ბაბი დატრიალდნენ, ნაიალარე-

ბით მოგებულ მიწაზე შესანიშნავი სუფრის გაშლის.

ქვეით ცხენისწყალი ხმარობდასწავლილსო სიადრები ზეესა სწედობდასწავლილსო ასდიოდა და ახალგაზრდებს გაზაფხულის სურნელი ატყობდათ.

შენც, თამარიკო?

ქვარნალის გატეხვის ამბავი მთელს ჩაიონს მოედო. სერაფიონი სიხარულისაგან ფეხზე აღარ იდგა. ყოველ კრებასა და თათბირზე ამაზე ლაპარაკობდა. ბუბუტის კი არ მოსწონდა ამ ამბის ასე გახმაურება. ჯერ ნადარევი, მოსავალი ბელელში უნდა იანგარიშო, ჯერ ჩამდენი თავსაშტრეკლი სამუშაო ედოთ წინ, ასომწავი, დასათესი, არხები გასაჭრელი და ათასი რამ, ეს კი დამდგარა და ყოველ გზაჯვარედინზე გაიძახის, ქვარნალი აწი არ ახსენოთ, ბაღნარი, ნამდვილი ბაღნარიო. რისი ბაღნარი, რა ბაღნარი, ბაღნარი კი არა ჯერ თესლი არ ჩავეიფდია სწულშიო.

ბუბუტის მთავარი სადარღებელი ახლა ვაჩენოდა, ამას აფფორიატებინა ბრიგადის წევრებიც და თავმჯდომარის ფიქრებიც.

მაინც რა იყო ეს ახალი დარდი, ასე რომ აწვალებდა მას?

ბუბუტის რატომღაც თავიდანვე გაუჯდა ტენიშ ის აზრი, რომ ქვარნალის ნიადაგი მწირო იყო, ლარბი, გამოფიტული და მას მარტო ქვებისა და ჯაფგებისაგან განთავისუფლება არაფერს უშველიდა, რომ საჭიროა მისი განოყიერებაო.

დათო კი ამ აზრის წინააღმდეგი იყო.

— რას ამბობ, ბუბუტი, რაც ქვეყანაზე გავჩნდი, ასევე ეს ქვარნალი ხელმოუტოდებელი დაუმუშავებელი და, აბა, რაღაც უნდა ახლა შლამი ან სასუჭი? სასუჭი კი არა, ნახავ შენ, ერთ კვირაში როგორ სოკოებივით ამოვარდეს სიმიწი.

— საოკოებივით კი არა, სენიტრებივით არ გინდა? დამიჯერე, მწიროა, ბიჭო, მწიროა, წყალში გადავიყვითვა ამდენი შრომა და ჯაფა, შერე უყარე კაკალი, გვიან იქნება თავში ხელის ცემა.

— თავში საცემი და წყალში გადასაყრელი რა გიქვებს, ნახე რა მოსავალი მოზღვევდეს, დამიჯერე! — უმტკიცებდა დათო, მაგრამ ბუბუტის მისი როლი ვერაოდა.

— აბა, არა, ჯერ დამიჯერებ.

— რატომ? იმიტომ რომ ჯიბბზე ხარ?

— აბა, ერთი გეთხარით, პატრიცეზულო ბრიგადირო, ჩანაირად გავანოყიეროთ ქვარნალი, ან რა შეიტანათ შიგ და როდის? — ეკლარ მოითმინა დათომ და სიტყვა „ბრიგადირო“ რაღაც განსაკუთრებულად ვაუსევა ხანს. ბუბუტისთვის უმუშევარი არ ღირსა ეს, მაგრამ აღარ შედავებია, იგი ოდნავ მოლბა.

— როგორ და აი, მომსმინე: მილანად ამ

ათ პეტრარ ფართობში სასტუმრო დათესვაში უნდა შევიტანოთ, ამდენ სასტუქს, სერაფიონი ფეხით რომ დაეკიდოს, მაინც არ მოგვემს.

— ან რა ვქნათ?

— რა და, გვიხდეს, ქვევით მდინარის პირას, ხევიში — ხელი ცხენისწყლისკენ გაიშვირა ბუხეტში.

— გვიხდეს, მერე რა გინდა? — დინჯად გასცა პასუხი დათოშ.

— ხომ ხედავ, რამდენი შლამია იმ ხევიში?

— ვხედავ, ბიჭო, ვხედავ.

— დათო, გამიგონებ, ბიჭო, სამი სატვირთო მანქანა თავმჯდომარეს ყავს, ორმოცო უღელი ხაროც ხომ გყავს? სამ-ოთხ მანქანას კოდვე ვითხოვებთ ვინმესაგან და მეტი არც გვიღეს!

— აჰ! მეტი არ გვიღეს? რაც ჩამოთვალე, მთელი თვე რომ ახადებინო ეს შლამი, მაინც არ გვიყოფა.

— მაშ, ასეა საქმე? — შეწუხდა ბუხეტი. —

— არ შეიძლება ხომ? არა, ხომ? თუ არა, მაშ არის, არის! — და ისევე გახუმდა, ჩაფიქრდა, ცხენისწყლის ხმაურს და ტყეების შრაილს მისცა ათვი, უცებ მთელ სხეულში რაღაც ზედადამაინური ძალა იგრანო, ახლა მარტო ამ ყანას მოშლამავს კი არა, იმ მთებსაც შეტარავს და ძირს ჩამოიტანს.

ასეთს ფიქრებში იყო წასული, რომ დათოშ ჰკითხა.

— რას ნიშნავს, ბიჭო, შენი, „არის, არის“?

— წყალი, წყალი! — მწყურვალეობით წამოძახა ბუხეტიში.

— წყალი რაა, ბიჭო?

— წყლით მოვშლამავთ, წყლით ვამიშვით ჩამოდევით!

— წადი, ბიჭო, ვინ გაკავებს, გამიშვული არ ხარ!

— წყალს საიდან მოიყვან, მერე ბუდობრეკად როგორ დათესავ? — გამტყარებული კითხულობდა დათო.

ბუხეტის ამ მტკიცე გადაწყვეტილებას ახლა ვერაფერ შეაცვლევინებდა. ოთხი კოლომეტრი კი არა, ოციც რომ უოფილიყო, იმ არხს მაინც გაჭრიდა და წყალს მაინც მიუშვებდა ყანაში მოსაშლამავად.

ასეც მოიქცა. თავისი აზრი იმ საღამოსვე გაუშვილა სერაფიონს. ეს გაბედული გადაწყვეტილება თავმჯდომარეს, ერთის მხრივ, კიდევაც მოეწონა და კიდევაც შეუძლებელი ეჩვენა, ამ სიგრძე არხს ახლა როგორ გაჭრიოთ.

— გაჭრით, სერაფიონ, გაჭრით!

— ხეთი კაცით?

— რატომ ხეთით, ჩემი ბრიკადის ვარდა სხებესაც ხომ გამოადგება ეს არხი?

— გამოადგება.

— მერე ამას რად უნდა ამდენი ფიქრი? რად-

გან გამოადგება, ისინიც მოეხმარათ.

ეს წინადადება თავმჯდომარეს გულზე მოხვდა. მართლაც, იმ არხით ხანს ჩამქვნივით ათეული პეტრარი მოირწყვებდა სერაფიონს! ამაზე უკეთესს რას იღონებს და მოეხმარონ? მარტო არ იყო, გვალვამ ორმოცდაათი პეტრარი სიმინდის ყანა რომ გადაუწვა? არხი რომ ჰქონოდათ გაჭრილი, ეს ხომ არ მოუვიდოდათ? მაშ რატომ არ უნდა დაუჭიროს მხარი?

— აა, რას იტყვი, უფროსო! — შეეხმინა ფიქრებში წასულ თავმჯდომარეს ბუხეტი.

სერაფიონიც უცებ გამოერკვა.

— არის, ბუხეტი, გაჭრათ არხი! — ისე წარმოთქვა თავმჯდომარემ, თითქოს მარტო ეს ნებართვა იყო საყმარისი. და, მართლაც, მისმა თანხმობამ ბუხეტის მეტი ხალისი შემატა. იგი გვერდში ამოედგა ბუხეტის, მან დათოშ დავალა ტრაქტორის მოყვანა და დათოშაც ერთ მშვენიერ დღეს ტრაქტორი ორდობიანი გეთონით მოაგრილა. ბუხეტი თვითონ გაუძღვა ტრაქტორს. სერაფიონმა ყველა ბრიკადა გამოიყვანა დასახმარებლად, და ერთ კვირაში არხი მზად იყო.

გამოყვანილი არხით წყალი ნახევარ მიუშვეს. ჯერ არაფერ ახსოვდა, რომ ეს ფართობი ოდესღაც მოირწყულიყო. ბუხეტი წუხდა, რომ წყალი ჯერ საქმოდ მღვრივ არ იყო, ლანქერი არ დაწყებულყო. არა და, მეტი ლოდინიც არ შეიძლებოდა, თესვა გვიანდებოდა. ის იყო უნდა მოეკრათ წყალი ყანაში, რომ ცხენისწყალი აღიდგა, კალამობი გაივსო, ვახიზინდა, ბუჩქნარი და ტყეც მთლად წყლით დაიფარა. მთელი ხეობა ლანქერად იქცა.

— ლანქერი მოვარდა, ლანქერი! — იძახდა გახარებული ბუხეტი და ამხანაგებს ორივე ხელისგულზე დაღვქილ შლამს უჩვენებდა.

წყალში დგებარ და ცეცხლი გიკიფია?

სერაფიონი რომ არა, ბუხეტი, აღბათ დიდხანს არ მოკვებოდა წყალს ახალ ფართობში. იმ ხელით პეტრარიდან წყალი ჯერ ერთ პეტრარზე ჰქონდა მიშვებული. რა ექნა, თორემ ლანქერად ქცეულ მთელ ცხენისწყალს მიუშვებდა შიგ. ერთ მტკიცეზე იღო შლამი ყანაში და მაინც გაუშამალდა, ხარბი თვალეობთ გაკურებდა ცხენისწყალს და თვალს ვეღარ ამორებდა ლანქერს.

თავმჯდომარემ ქვეყანა დაასია, რაიკონის მდივნის ჩარევითაც დაემუქრა, მაგრამ მაინც ვერ გასტეხა მისი ჯიბიტი ხასიათი. პოლოს თამბიყო შეუჩინა, ვეგბ გაკურებულმა ბუხეტში ამას მაინც დაუჯეროსო. თამბიკომაც თვი არ დაზოგა. ხან დაუყვავა, ხან გაუჯეროდა, მაგრამ, არ იქნა და, მხარზე ვადებელი პარი ძირს ვერ ჩამოაღებინა. გოგონა საგონებელში ჩაყარდა, ისეთი რა მოეფიქრებინა, ან რა ელოდა, რომ ბუხეტის უკან დაებია? ამ ფიქრებში რომ იყო,



ერთმა აზრმა გაუელვა თავში. სახე წამოემთო, თვალბი გაუბრწყინდა, ახლა მე მაყალუ, რასაც ვინაშო, წამოიძახა და კახის კალთა წამოიწია, ფეხსაქმელები და წინდები გაიხადა, ბუხტრით ბარი მხარზე გაიღო და წყლით გაიზინებულ ფართობში შევიდა.

ბუხტრი ამ დროს ფართობის ბოლოში დამბიდან გადახტეტილ წყალს ავადებდა, წელამდის წყალში მდგარი აქეთ-იქით ტრიალებდა, ატორტმანებულ წყალს სადღაც ჯერ გავერთა, ხერგელი გაეკეთებინა და შიგ გამჭვრალიყო. მერე ის ხერგელი გაეფართოებინა, გაეღრმავებინა და შიგული დამბა გაეგლოჯა. შებოროებული წყალი ერთამხად დაძრულიყო და გულდაგულ გავთვებულ დამბას ტალღასავით დატყავობდა, ფსკერზე დაღვქილი შლამი ხრიალითა და შხუილით მივრძლიდა, მიწას აღარ ანებებდა.

ბუხტრემ, როგორც იყო, ისევ აღადგინა დამბა. წყალი ისევ შეგუბდა. მთლად წყალსა და ოფლში გაწურული ვეჯაკა წელში გასწორდა, ერთხელ კიდევ მიმოავლო ირგვლივ ფართობს თვალს და გამტერდა, თვალებს აღარ უჯერებდა. ნუთუ ეს თამრიკოა?

და უცებ ცეცხლი წავიკა და ვეჯაკს.
— თამრიკო, თამრიკო! — ერთბაშად დაიძახა და მისკენ გაიქცა.

ქალი მავრად ურტყამდა ბარს მიწაში.
სუნთქავსწვერული ბუხტრი მივარდა თამრიკოს:
— რას შევბი, გოგო, თავს მჭირ?
— რატომ, ბუხტრი? — მიამიტად იკითხა თამრიკომ.

— ამოდი წყლიდან!
— არა, ბუხტრი, არა, მეც ხომ თქვენი ზრიგადის წვერი ვარ, თქვენ თუ დღედაღამ წყალში დგახართ, მე რა წითელი კოჭი ვარ?
— ბევრს ნუ ლაპარაკობ, ბარს ხელი გაუშვი, გოგო!

— შენც გაუშვი და მეც გაუშვებ! — მტკიცედ განუცხადა ქალმა.
— თამრიკო, ერთი კვირა კიდევ მაყალეთ, ბარემ იმ დარჩენილ ოთხ ჰექტარსაც მოვშლამავ!
— ევეღრებოდა ვეჯაკი.

— მაშინ მეც თქვენთან ვქნები, აქედან ფეხს არ მოვიკელი.
— ცეცხლი ნუ მომიკიდევ, გოგო!
— წყალში დგახარ და ცეცხლი ვიკიდიან?

— ზევით ამოდი, გოგო! — მთელი ხმით შესძახა ბუხტრემ და ხელი ჩაავლო მკლავში, უნდოდა ღონიერად მოექნია, მავრამ ისეთი ძრუანტელის მოშვერელი სიტყბო იგრძნო მისი შეხებით, რომ უცებ უველაფერი გადააიწყუდა. იღვა და რაღაც ენით გამოუთქმელი სინაზით უუურებდა გოგონას, რომელიც ვეჯის ასეთი დაკინებული ქვერით მთლიანად ანთებუდიყო, გაბრწყინებუდიყო და საოცრად ლამაზი მოჩანდა.

— რა გინდა, ბიჭო! — გვიან გასცა პასუხი ბუხტრის.

— ამოდი, ზევით! **შეჩვენე!**
— შენც ამოდი, ბუხტრი! **შეჩვენე!**
მუხლებზევით დაკარწყებუდი შარვალი ქვევით ჩამოუშვა, წყალი მოკეტა და წამოვიდა შინ.

უანაში ქორწილი?

უანაში სიშინდამ ყურები ექვითა, საოცრად იფეთქა. ბუხტრემ საშვერ გათოხნა და საშვერვე მორწყო. კვადრტულ-ბუღობრავად დათესილი სიშინდი ჯვარდინი კულტურაციის შემდეგ ხელით დიდ შრომას აღარ მოითხოვდა, მავრამ, მიუხედავად ამისა, სულ უანაში იყო. მახლობლად, კარავიც დაღვეს, რის შემდეგ ბაბი იშვიათად ნახულობდა შვილს სახლში. გახურებუდი თონის დროს ბრიგადის სხვა წევრებთან ერთად თამრიკოსაც ბევრჯერ გაუთყეია დამე ამ კარავში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბაბიც მათთან რჩებოდა.

მაღე სიშინდის ტაროებში მარცელები ჩაბახდა, დამწიფდა. ბუხტრის მოუხვეწრობა დავტყო, მოსავლის აღებისათვის თადარიგზე ფიქრმა შეიპყრო, თან თამრიკოზე ფიქრიც ეძალეზოდა. ბაბი მაინც სულ არ უსვენებდა, შეირთე, რაღას ელოდებო.

ბუხტრის კი საღ ჰქონდა ახლა ქორწილის თავი, მაღე მოსავლის აღება უნდა დაწყებუდიყო. ბაბი მაინც არ უშვეებოდა.

— რომელ მთავარს ელოდები, ბიჭო? შეირთე!

— მაყა, დედაჩემო, ახლა რა დროს შერთავა, კარს მოსავალი ვაქვს მომდგარი, აღება უნდა, დამინავება.

— ამანე დიდი მოსავალი რა იქნება ჩვენი ოჯახისთვის, სიშინდიც მოკეტებით და რაღაც მოვიყვანათ.

— ორივე ერთად, დედი?
— ჰო, შენლო, ჰო, ისეთი ქორწილი უნდა ვავმართო, რომ არავის ენახოს, მიგული სოფელი დავმარტოვო,

— რას ამბობ, დედი!
— რა იყო, ბიჭო, რახე დავუთდი?
— ამდენი ხალხი საღ დავმარტოვო?
— უანაში, შენლო, უანაში!
— უანაში ქორწილი ვის უნახავს, დედაჩემო!
— ჰო, უანაში, დია ცისქვეშ. რაც არ უნახავთ, ვანახვო.

— მართლა უანაში? — კიდევ ჩაკითხა შვილმა ვაკვირვებით.

რას ამბობ, დათო!

შემოდგომის თბილი დილა იყო. აღრე ამდგარ დათოს უჩვეულო აღდევება ეტყობოდა, თავმჯდომარის წეხანდელი დავალება თითქოს

ვეუნებოდნენ, მაგრამ ამ უცნაურობამაც იგი რაღაც ახალსა და სასიამოვნოს ზედაცა. ამიტომ ეკიდებოდა მონდომებით სერაფიმონის დავალების შესრულებას. არავის უმხელდა, თუ რატომ მიუჩქარებოდა ცხენისწყლისაკენ. არც კავრისა და ვალას ეუბნებოდა, თუ რატომ დალაგა მანქანაზე ფიცრები, ბოძები და ორი დიდი საფარ-ქელი. სკოლიდან დასასაზარებლად წამოყვანილ ახალგაზრდებს ხომ არაფერს ეტყოდა და ისაა.

საბარგო მანქანა ქოთქოთით მიადგა ქვარნალში სიმინდის ყანას და მუხუბტქემ დადგა. დათო სიმინდებში შევიდა, მიდამო მოათვალიერა და მერე ბიჭები ზედ ცხენისწყლის ნაპირზე, მაღალ კბოღესთან მიიყვანა.

— ბიჭებო, აი აქედან დაიწყეთ ჩალის მოკრამ — შესახა დათომ და ნამკლებსმომარჯვებელი ახალგაზრდები სიმინდის ყანას შეესივნენ.

მალე ყანის შუაგულში ბიჭებმა სიმინდის ზვინი დააყვეს, დათომ სამხათმსიანი გოდორი მანქანიდან გადმოიღო, ტაროებით ააესო, რაღაც თოთებზე ჩამოითვალა, უბის წიგნაკში ჩაიხიშნა, გადაამარჯვლა, კიდევ გადაამარჯვლა, მერე ბიჭებთან ერთად ისევ ყანაში შევიდა. მიდიოდნენ და ძლივს მიარღვევდნენ ტუერივით მიმდგარ ყანას. ტაროები სახესა და გულმკერდზე ეხლებოდათ. ანგვარ კიდილში ძლივს გააღწიეს ბოლომდის, ირგვლივ შემოუბრებს ყანას და კვლავ კალსთან გახდნენ. თუთარი, აჯამეთური სიმინდის ტაროები თოვლივით ქათქათებდა.

დათომ კიდევ ჩაიხიშნა უბის წიგნაკში და ვალას რაღაც წასწერა.

- ჰა, რას ამბობ, დათო!
- მართლა, ბიჭო, მართლა.
- დიდუ, დიდუ! — იძახდა იგი.
- არ გაშომპართო, მეც მითხარით, რა დავე-მართათ!

- ასორმოცდაათი ცენტრერი, კაქუნა!
- რაო? ასორმოცდაათი ცენტრერიო?
- ჰო, ჰო! — გაბმულად წარმოთქვა დათომ. — თქვენ ვენაცუალებთ, ბიჭებო, ამაზე უკეთესს რას ვახარებთ ბუხუტის და სერაფიმონს?

- აბა, აბა! — გაიძახოდა ვახარებელი ვალა.
- ესეც ასე, ახლა შევევჯობრონ, ვისაც უნდა! — დონიკშემოყრილმა ვაიარ-ვაშოიარა დათომ და მთასავით აშვინულ სიმინდის ზვინთან დიდხანს იტრიალა.

— ახლა ბიჭებო, ფიცრები და ბოძები ვადმოვიღოთ მანქანიდან, — მიმართა მან ამხანაგებს და პირველი შებტა მანქანაზე.

დატრიალდნენ ახალგაზრდები და მალე ორასი კაცის დასაგდომი ისე ღამაზად და კოხტად მოაწყის, რამ სუფრის ღამელა აყლდა.

ბიჭები ყველაფერს დათოს მითითებით აკეთებდნენ და თან გაკვირებული უხუტებდნენ,

ვერ გავეთ, ვისთვის მზადდებოდა ყოველივე ეს.

მარკინეშვილი

— დათო, ახლა მაინც გვეხმარა? რა მუშაა ჰაქმე? ვის ველოდებით?

— უცხოელ სტუმრებს! — ეშმაკური ღიმილით უპასუხა დათომ.

ნფთვ-დედოფალი, აქვით

ცხენისწყალი დღეს აღმამანვით ზარობდა. მთელი ძალით მიგრიალებდა და დგაფუნითა და მშუილით მიარღვევდა ნაპირებს. ცხენისწყლიდან მონაბერმა ნიავმა ტალასავით გადაურბინა გადათავნაყარებულ სიმინდებს, დატარობებული სიმინდები ისევ ამბურდნენ, ცაში აწვდილი კუნკულები ისევ დაირხნენ, ყუთელი, ფიქსინებური მტვერი დაღვანებულ ტაროებს ისევ დააფრქვიეს, დაფრქვიეს და, თოქოს სიმინდებში ათასმა წვერებდაფქვილმა მერის-ქვილმა გაახილა თვალო, იმ ათასიდან, თათქოს ერთმა იტაცება ველარ დაგარა:

— რა ხელმა, რა მიწის წვენმა დაავადავა ცეს სიმინდები, რამ მისცა მათ ეს სასიამოლო ყუარი? აქ ხომ გადაფხვკილი ქვარნალი იყო. ნუთუ იმ ქვარნალიდან ღებულობდა საზრდოს ეს ატორტმანებული სიმინდი? მითხარით ერთი, ქვარნალია იგი თუ ოქროთი დაფრქვეული მთის კალთები? საუფან კიდევ სადაა ასეთი ზღვა მისავალი, ასე უცებ სად გაჩნდა ამდენი მინდე-რის დედოფალი!

ამ აღტაცებას კიდევ ახალი სიმღერისებური შემახილი შეუერთდა:

— ყანო, ჩემო ყანო, ვინ ვთესა, ვინ დავაბერა, ვინ მოვიყვანა, ყანაო?

— სიყვარულმა მომიყვანა, სიყვარულმა. არა გსმენია, რაც სიძულელს დაუნგრევია, სიყვარულს უშენებიაო? ჰო და, სიძულელიასაგან დაქცეული და დაუნგრეული, სიყვარულმა ამაშენა. ქვარნალი ვიყავ, მიწად მაქცია, მიწა ვიყავ, სიცოცხლედ მაქცია. აწი მიწას ნუ დამიძახებთ, ყველამ სიცოცხლედ და სიყვარული დამიძახებთ. შემომხედეთ, რა ვაყავი ვარ, დამხედეთ. ზელი შემავლეთ, არ მოგწონთ ჩემი წვერულავაში? ვანა კოხტად არ მზურანს თავზე დარღვლა ქუდი, ვაგორიალებულ კანკელს რომ ვავრნებთ? ჰო და, იმ კანკელივით მაქვს ცაზე მიბჯენილი წვერები და ცისა და მიწის შუა ხანჯლებამოწყვდილ ვაყავით ვლგვარ. აბა, შემდეგით, თუ ვერ გავიძლოთ, ჩამოგვქით ჩემს მუხუბტუეწელი თუ ვამელუნოს, ეს ტაროები ჩემი შეიღებია. ჰო და, ჩამხედეთ, რა სიმღერად მაქვს შიგ, გამფურჩქნეთ, გამფუქვენით, დამანახეთ ცა, შემახედეთ ქვეყანას. აი, ასე, ასე, კიდევ გადამხსენით ვულმყერდი, კიდევ გამფურჩქნეთ, ღამაში ვარ ხომ? მოგწონთ ჩემი თეთრი კბილები ხომ? აჯამეთური ვარ, მზეთუნახავი, აქ ამამურიც მუყავს მუზობლად, ყუთელი კბი-

ლები აქვს, მაგრამ გული მაინც თეთრი აქვს. მოდიტ, მომტკბეთ, გამახარეთ, დამფშვენით, დამფქვით, გამყნობ, გაიხარეთ, ეპეი, მეწისჭვილეთ! გესმის შენ, ჩემი ძახილი?!

— გვესმის, გვესმის! — თითქოს ათასმა მეწისჭვილემ ერთად გამოსცა ხმა.

— პოდა, უფრო დამიგდეტ, მაინც რამდენი მნახველი მყავს, ვინ არ მოდის, საიდან არ ჩამოდის, ქალაქებიდან, სოფლებიდან, მთიდან, ბარიდან, შორიდან, ახლოდან.

— მეტე რა უნდატ, ძმობილო?

— აბა, რა ვეიტ, ნეტე რა უნდატ, რისთვის მნახულობენ? რა დარჩენიან? ვინ ხართ, ხალხნო, თქვენ? სახატარძლოდ გინდვიართ, თუ შესაქმელად? ჩემს ბუხეტის რატომ ვერ ვხედავ თქვენს შორის? სად წაიქვია ნეტე? ან თამარიკო სად არის, ან თქვენ სად ხართ, ბიჭებო; დათუნა, გაყუნა, ველა? პა, რაო? საქორწილოდ ვმზადებინა, უნდა გამათხოვონ? ამდენ დედოფალს ვინ გაათხოვებს, ამდენი სასიძო სადღაა. პა, რაო? თამარიკო უნდა დასვატ ჩვენს შორის დედოფლად?

გაისმოდა კიდეტყვილემდე ეს იღუმალი ხმები და უცებ დათოს ომახიანმა შეძახილმა დაფარა ვეღაფერა!

— მოდიან, მოდიან! — და ამ ძახილს თან მოჰყვა დოღ-გარმონისა და მრავალამიერის ხმა, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა, ძლიერდებოდა და წინ მოიწვევდა.

აი მოვიდნენ კოდეტ და ჯარივით შემოეხვივნენ ზეინს, მაინც სად იყო ამდენი ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ვეჟაკოც, ამდენი კობრად ჩაქმული ქალიშვილი, ამდენი მოხეტე და ახლგაზრდა!

მათი მრავალამიერი მალდა ცას სწვდებოდა და ძირს მიწას აზნაზარებდა. ამ მიღამოებისათვის უჩვეულო, სასიამოვნო ჰანგებს ცხენისწყალი მერდღში სიყვარულით იყრავდა და აქაყვებელი ჩქარების ხმაურით ქვევით მიჰქარებდა.

— აქეთ, აქეთ, ნეტე-დედოფალი, აქეთ! — იძახდნენ ახალგაზრდები და დათოს მიერ წინასწარ გამზადებული ფიცრის გრძელი მავიდები მუხამარლოთ იყებოდნენ.

აი ბუხეტი და თამარიკო მათთვის წინასწარ გამზადებულ სავარძლებში ჩასვეს. მათს ზურგსუკან კონუსისებრად აღმართულიყო თეთრი ტაროების ზეინი. თეთრ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი ბუხეტი და თეთრ აბრჭმულში შორთული თამარიკო თოვლივით ქათქათა ზეინის ფონზე მართლაც ხელით ნახატს მკვავდნენ.

ქალიშვილები და ვაჟები რკალეით შემოირტყმოდნენ მათ ირგვლივ. ორ მწკრივად გაშლილ

საქორწინო სუფრას თითქმის მთელი სოფელი შემოსდომოდა.

სიმინდების შუაგულში, ფერად-კაღვს წიფს, მდინარის პირას გაშლილი სუფრა და იქ მის ირგვლივ მოხვიმე ხალხი, ერთი შეხედვით, ოპერის დიდ სცენაზე გამართულ ქორწილს ჰგავდა, მაგრამ ეს მხოლოდ ერთი შეხედვით, ისე კი, ოპერის სცენაზე კი არა, ცხოვრების დიდ სცენაზე გამართული, ნამდვილი, ხალხური ქორწილი იყო. ღია ცისქვეშ, ბუნების ამ სიმშვენიერეში ისე შერწყმულიყო ადამიანისა და ბუნების დიდი სიხარული, მიწისა და კაცის დღესასწაული, რომ თითქოს ორი ადამიანი კი არა, მთელი სოფლის ახალგაზრდობა იყვრდა ჯვარს, მთელი სოფელი ქორწილობდა.

და აი თამდამდე ასწია ყანწი: — ბედნიერი იყოს, ხალხნო, ჩვენი ნეტე-დედოფალი!

— ბედნიერი იყოს, ბედნიერი იყოს! — დასძახა ყველამ ერთად და კვლავ გაისმა მრავალამიერი, დედამიწამ ერთი წუთით სული ვანაბა, მხოლოდ ვეჟაკურთი ჰანგები გაისმოდა კიდეტყვილემდე, თითქოს ადამიანის მარჯვენის ძალა თავის გამარჯვებას ზეიმობდა.

მინდვრისა და სიცოცხლის ნამდვილი დედოფლები ერთმანეთს შორცხვად შეჰუფრებდნენ და ბუხეტით აღფრთოვანებას ვეღარ მალავდა.

— ბაბი, ბაბი! — გაისმა უცებ ძახილი და ახალგაზრდები იქითკენ გაეზურნენ. ბაბი ნაწყენი იყო, რომ სერაფიონმა ინიციატივა წაართვა და ბუხეტის და თამარიკოს კოლმეტრნეობის სახელით თეთრონ გადაუხადა ქორწილი ყანაში. ბაბის ამიტომ დაეგვიანებინა მოსვლა. ახლა კი იგი იგერ მოსულა. თამაშევერცხილი, ხანდაზმული ქალი ჯერ რძალს გადაეხვია და მერე — შვილს.

სერაფიონმა ახლა ბაბის სადღეგრძელო ასწია ყანწით.

უცებ დოღ-გარმონის ხმა გაისმა და ქართულმა ცეკვამ თვალი მოსტაცა ყველას. ნეტე-დედოფალი ფერიებივით დაქროდნენ ნასიმიდარში, უფურცბდა მათ ბაბი და სიხარულის ცრემლებს ვერ იკავებდა, სუფრის ბოლოში კი აღფრთოვანებული მოხეტე სეკასტი ფეხებს ძალეშად უსვამდა და მკლავებს ფართოდ შლიდა.

ამნაირი უცნაური ქორწილი ჯერ არავის ენახა.

— ქორწილი ყანაში! — გაიძახოდნენ ვაკეირ-მეზული სოფლელები, მაგრამ ყველაზე უფრო მაინც ის უღვირდათ, ამ ქვარნალში, მათს თაღწინ, დიდი მოსავლის მალალი მთა რომ იღმართულიყო.



საუზან ზორიანი

ვაშლის ბალი*

ასე არ არის, პაპაჯან? ეგრეა. ბევრმა აღამიანმა არც ზრდილობა იცის, არც წესიერი აღამიანური მოპყრობა აქვს, რაც წამოუჭროლებს თავში, ან ენაზე მოადგება—როშავს. მე ვეუბნები: ჩვენს პაპას რაცა სურს — ის უნდა შეასრულოს-მეთქი. ჩვენ დღეს რომ ვართ — იმისი შვილები ვართ, ვეუბნები, ნამდვილი შვილები, თქვენ, გიუბნები ნოემს, ქალები ხართ, ჩვენც, რადგან მას ვაფიშვილი არა ჰყავს — ვაფიშვილები ვართ. ეგრე არ არის, პაპაჯან?”

„პაპა ბაღს გაპყურებდა, უსმენდა და ხმამოყოლებლივ ჩაისა სვამდა.

— ასე, პაპაჯან, სულელებისაგან არაფერი უნდა გეწყინოს. შენ ჰკვიანი კაცი ხარ, — და მეგობრულად სიმამრს მუხლზე დაკრა ხელი, მერე უცხად დაიხარა და მოხუცს ყურთან ჩურჩული დაუწყო.

ნუნუფარი შესმენილი ქალი იყო, რომ დაინახა მდელქნემ ჩურჩულით დაუწყო ლაპარაკი, თავის ოთახში შევიდა და გაუჩინარდა.

— ასე, პაპაჯან, — ნუნუფარი რომ გავიდა, ხმა ისევ აიმაღლა მდელქნემ. — ლაზათიან რამეს რომ ნახავენ, მაშინვე რამეთა ხდიან. თქვენ რა, მეთქი, კაცის ოჯახში რომ ქალი მუშაობს! ერთი ვინმე ხომ უნდა მუშაობდეს-მეთქი? ხომ მართალს ვამბობ? ქალები ვერ ასწრებდნენ, სხვამ მაინც გაუკეთოს საქმე.

აგრე არ არის, პაპაჯან? დიახ, აგრეა. მე კი ერთი სულ ახალი ფიქრი მომივიდა, პაპაჯან, — ხელი კიდევ დაარტყა: სიმამრს მუხლზე, — მე შენ დიდ პატივსა გცემ აი, ეგ შენ კარგად იცი, და ძა-

ლიანაც მებრალები, რომ მარტოკა დარჩი, და ამიტომ აი რასა ვფიქრობ...

ბიძია მარტინმა ხშირი წარბების ქვემოლან აღმაცერად ახედა სიძის გაპარსულ პირსახეს, რომელზედაც ორი მაცთური თვალი კიაფობდა.

— ვფიქრობ—შენ მარტო ხარ, და ასე შენთვის ძალიან მოსაწყენი იქნება. ვამბობ — მოდი ჩვენ პაპას მარტო ნუ დავტოვებთ-მეთქი...

ბიძია მარტინმა კიდევ ერთხელ გამოცდელი თვალთ შეხედა მდელქნეს — ღვინით მოვაჭრე სიძეს, და, წარბებშუანოში გაეშალა, მოხუცს პირისახე გაუბრწყინდა.

— პა, — სთქვა მან და შესვა.

— ვამბობ, მაშასადამე, პაპაჯან, შენ მარტო არ დავტოვოთ, ცოდო ხარ... ვამბობ — ბავშვები, ნოემი წამოვასხა და მოვიდეთ შენთან საცხოვრებლად. მარტო ცხოვრება ძნელია შენთვის. ხალხი რას გვეტყვის, მაშ რიღას შვილები ვართ!..

ბიძია მარტინმა წარბები კვლავ შეიკრა, სახის კუნთები მკაცრი გაუხდა.

— ნუნუფარ, — ისეთი უკმაყოფილო ხმით დაუძახა, თითქოს საყვედურობდა ჩემს დაუკითხავათ რად გახვედიო. როცა ნუნუფარმა ოთახიდან თავი გამოპყო, ბიძია მარტინი აიპრიზა, — მოდი, ჩაი დამისხი...

მდელქნემ იგრძნო, რომ სიმამრს არ ესიაშოვნა მისი წინადადება, მაგრამ თავი ისე დაიჭირა, ვითომ ვერაფერს მიმხედარიყოს და ისევ მეგობრული ხმით განაგრძო:

— რასაკვირველია, დაიკო ნუნუფარიც დარჩება, ჩვენთან იმუშავენს. მარ-

* დასასრული იხ. „მნათობი“ № 10.

თალია, ჩემთვის ცოტა უხერხული იქნება, დუქნიდან მოშორებულა, მაგრამ არა უშავს რა, პაპაჯან. შენთვის სულოჯან, ყველაფერს ავიტან. რომ მიბრძანო — ამ წუთას ტრაპიზონში წავალ...

მედუქნე განაგრძობდა ლაპარაკს. მარტინ ბიძა კი ჩაისა სვამდა და მოლუშული, ბალს გასცქეროდა. იგი სიძის ნალაპარაკებს ყურადღებას აღარ აქცევდა. როცა ჩაის სმა დაამთავრა და ჰქია დადგა, უეცრად ფეხზე წამოდგა:

— სააკ, სააკ... მოდი აქ... ძაღლებს წყალი დააღვინე? — შეეკითხა იგი, ხეების ჩრდილში გამოჩენილ სააკს. — თუ არ მივიცია, წადი, მიეცი...

მედუქნე დარწმუნდა, რომ სიმამრი მას აღარ უსმენდა — ჩვეულებისამებრ ხელი ბეჭებზე დაარტყა და გამოეთხოვა:

— ასე, პაპაჯან, ყოჩაღად იყავი, — და წავიდა, მაგრამ სანამ ბალის კარებამდე მივიდოდა, მედუქნე დიდი გულმარჯვებით სააკს გაესაუბრა და სთხოვა ფხიზლად ყოფილიყო.

— ხეებზე, ფუტკრებზე თვალი გეკიროს, თორემ... — და ხელი მეგობრულად დაარტყა მხარზე. სააკს ძალიან ესიამოვნა სიძის დავალება, და ეტლამლის მიაცილა იგი.

ცოტა ხნის შემდეგ, ეტლის გრილი და ცხენების თქართაქური რომ გაივონა, ბიძია მარტინს მოთმინების ძაფი გაუწყდა და წამოიძახა:

— ყბედო, ჩაჩანაყო, შენდა მავლდი...

ნუნუფარი წინდახედული და გონიერი ქალი იყო, იგი ვრძნობდა, რომ სიძის საიდუმლო მოლაპარაკება ბიძია მარტინთან მას ეხებოდა, იმისაც ვრძნობდა, — ქალები წინააღმდეგი იყვნენ მამის მიერ გადადგმული ნაბიჯისა, უფროსმა ქალმა ნოემმა თვალები გადაუბრიალა და მუშტი უჩვენა. დღეს აგერ მორიდ მოვიდნენ ქალები, მეტადრე ნოემი, მაგრამ სახლში არ შედიოდნენ.

ნუნუფარს ეშინოდა დებისა, მეტად-

რე — ნოემისა, რომელიც გაცოფებულ თვალებით ისე უცქეროდა, თითქოს უნდა გადაყლაბოსო. ნეტა რა უნდა ნოემს მისგან? — ნუნუფარი ვერ მიმწვდარიყო და ცდილობდა, პირისპირ არ შეხვედროდა.

მაგრამ ადამიანი ფიქრობს და ცხოვრება კი თავისი გზით მიდის. სწორად ისე ხდება, რომ ვისაც არ გინდა შეხვედე, სწორედ იმას გადაეყრები. — ორიოდ დღის შემდეგ, როცა ნუნუფარი სოფლის ერთ-ერთ დუქანში ჩაიშაქრის საყიდლად წავიდა (ბიძია მარტინი ახლა სააკის ნაცვლად იმას გზავნიდა, ვინაიდან მეტი შნო და მარიფათი შეამჩნია) დუქანში მოულოდნელად ნოემს შეხვდა. ქალმა ხელიკივით მწვანე თვალები გაუშტერა და ისე დაეინებით მიაჩერდა, რომ ნუნუფარი შიშისაგან აწითლდა და უნებლიეთ თვალები ძირს დახარა.

— არ გესმის, ქალო, — მიუახლოვდა ნოემი, და ისე დინჯად გამოელაპარაკა რომ ნუნუფარი სულ არ მოელოდა. — მოდი აქ — რაღაც უნდა გითხრა.

ისინი დუქნიდან გამოვიდნენ. ნოემი წინ წავიდა. ნუნუფარი, უსიტყვოდ. გულის ცახცახით უკან გაჰყვა, როგორც მონუსხული, თუმცა ფიქრობდა, ამ ქალს სად მიეყვებარო.

როცა დუქნის ქუჩიდან ერთი ყრუ ქუჩისაკენ გაუხვიეს, ნოემი უეცრად შეჩერდა და მწვანე თვალები ნუნუფარს მიაშტერა. — გესმის, ქალო, — დაიწყო მან დაბალი ხმით. — მე შენი არც მტერი ვარ და არც ცუდის მდომელი. მამაჩემმა დედაჩემის ტანისამოსი მოგცა, გაცვია კიდევც, ეგ არა უშავს, ღარიბი, საწყალი ქალი ხარ, მადლი უქნია. მაგრამ ახლა შენ ერთ რამეს გეტყვი — უნდა გამოიგონო, თორემ, იცოდე მე ნოემს მეძახიან, ძალიან გავბრაზდები.

— ბრძანე! — აკანკალებული ხმით უთხრა ნუნუფარმა.

— მამაჩემის ოჯახიდან წადი. იქ საქმე არა გაქვს. სხვა საქმეს მე გიშოვნის, — გაიგე? ხვალისა და იქ აღარ გნა-

ხო, — მტკიცედ უთხრა ნოემმა ნუნუფარს.

— მე არ მინდოდა, — შეეცადა თავის მართლებას ნუნუფარი, — მამა მეუბნება — „მოდით“. მე ვეუბნები — წავალ—მეთქი. არაო, ამბობს, დარჩიო.

ნოემს თვალები აენთო.

— შენ რომ არ დარჩე, — გაცხარდა იგი, — მამაჩემი ძალით ხომ ვერ დაგტოვებს! რაებს ლაპარაკობ. აი, მე შენ გფრთხილებ, ხელიდან თუ არ წახვალ, — მოვალ და სახლს თავზე ჩამოგანგრევე, უპატრონო ლტოლვილო, — ხმა აიმაღლა ნოემმა. — მე ქირით ვცხოვრობდე სხვის სახლში, შენ კი, ვილაყ გადამთიელი, მამაჩემის სახლში გამოიჭიმო... აბა, ჰაიდა, გასწი.

ისინი გაშორდნენ ერთმანეთს. ნუნუფარი, მძიმე წამებისაგან განთავისუფლებულია, გამოვიდა ყრუ ქუჩიდან და ბაღისაკენ გაეშურა. ნოემის წინადადება მისთვის მოულოდნელიც იყო და საკვირველიც, მაგრამ გულში მაინც უხაროდა, რომ ნოემმა ქუჩაში ხმა არ აიმაღლა, სირცხვილი არ აჭამა, ზედმეტი სიტყვები არ უთხრა და ხალხმაც არაფერი გაიგო.

ნუნუფარს ეგონა, რომეი ყვირილს დაუწყებდა, ხალხს შეაგროვებდა, საქმეყნოდ სცემდა.

სახლში მისვლისას — ბიძია მარტინს არაფერი უთხრა ნოემთან შეხვედრის გამო. — თავის დროზე ასადილა მოხუცი, დარაჯი სააკი, მერე ჰურძელი შეაგროვა, გარეცხა, ხოლო, როცა ბიძია მარტინი ჩვეულებრივად „გვერდზე“ მიწვა აივნის ტახტზე, ნუნუფარი შევიდა ოთახში, გაიხალა ბიძია მარტინის ნაბობარი ტანისამოსი და ფეხსაცმელები, თავზე თავისი ძველი თავშალი მოიხვია და ძველებურად გამოწყობილი მიუახლოვდა ბიძია მარტინს, რომელიც ამ დროს ტახტზე ისვენებდა.

— მამა, მე მივდივარ, — უთხრა ნუნუფარმა დამნაშავეს ხმით.

— სად? — და მოხუცმა გაკვირვებით შეხვდა ნუნუფარს. — სად მიხვალ?

— ჩემს ძველ სახლში.

— რატომ? რა მოხდა? — ბიძია მარტინი ტახტზე ჩამოჯდა და ფეხები ძირს ჩამოუშვა. — ჩემგან გეწყინა რამე?

— არა, მე შენი დიდ მოლოდინს ვარ... — ნუნუფარმა თვალები ძირს დახარა. — შენმა ქალმა ნოემმა მითხრა: „მამაჩემის სახლიდან მოშორდიო, თორემ...“

ბიძია მარტინმა ხელის ჩაქნევით ანიშნა ქალს, მეტს ნურაფერს იტყვი, ჩემთვის ყველაფერი გასაგებიაო.

— ნოემმა?.. მაშასადამე, იმას გაუცია განკარგულება, რომ ჩემი მოცემული ტანისამოსი და ფეხსაცმელი გაიხადო?.. — აღელვებულმა მოხუცმა სწრაფათ ჩაიკვა ჩუსტები და ფეხზე წამოდგა. — ნოემი ვინ არის? იმას რა უფლება აქვს ჩემ სახლზე? ტანისამოსი... ევ ტანისამოსი იმის ნაყიდი კი არ არის. ჩემია, ჩემი...

ბიძია მარტინი ჰარხალივით გაწითლდა, ერთი-ორჯერ გაიარ-გამოიარა აივანზე, მერე უეცრად მიუახლოვდა ნუნუფარს, ხელი წაავლო და ოთახისაკენ წაიყვანა.

— მოდი აქ...

ნუნუფარი მორჩილი ბავშვივით უკან გააჭვა.

— ტანისამოსი, — დაიძახა ბიძია მარტინმა და განსვენებული ცოლის სკივრი ახადა, იქიდან ამოალაგა ტანსაცმელი, გაოგნებულ ნუნუფარს წინ დაუწყო, მერე კამოდიდან ამოიღო ფეხსაცმელები, თეთრეული, წინდები და წინ დაუყარა ნუნუფარს იატაკზე. — ეს ყველაფერი შენ უნდა ჩაიკვა, გესმის თუ არა, შენ. ეს ყველაფერი ჩემი ნაყიდი. გესმის, და არა იმათი... აბა, ამ წუთად ტანისამოსი გამოიკვალე, როგორც გაიხადე — ისე ჩაიკვი...

ნუნუფარი გაოცებული, გაკვირვებული იდგა და არ იცოდა როგორ მოქცეულიყო.

შემოდგომაზე, როცა ორანელები კალოს მორჩინენ, ბაღ-ბოსტნების მოსავალი აიღეს, სოფელში ხმა გავარდა, ბი-

ძია მარტინმა ნუნუფარზე ჯვარი დაიწერაო, მხოლოდ ეკლესიაში კი არა, — თავის ვაშლის ბაღშიო. ამ ზეიმს დასწრებიან მღვდელი, რამდენიმე ხანდაზმული კაცი, მეუღლითურთ, და ნათლია ამბაკუმი, რომელსაც სოფელში ამბაკოს ეძახდნენ. სხვა მეტი არავინ.

სტუმრების სიტყვით, ძალიან კარგი საქორწინო სუფრა გაუშლია ბიძია მარტინს, სანაქებო ღვინით და ნაირ-ნაირი საქმელებით დამშვენებული... მხოლოდ დაკერა, სიმღერა, ცეკვა-თამაში არ ყოფილა.

ნუნუფარს ახლად შეეკრილი ტანისამოსი ცმია. დარაჯი სააკაც ახლებურად ყოფილა გამოწყობილი და ნუნუფართან ერთად ემსახურებოდა მოწვეულ სტუმრებს.

ეს ამბავი სოფელში რომ გახმაურდა, სოფლელები ამბობდნენ:

— ბიძია მარტინმა ვაშლივით ცოლი შეირთოო.

ზოგნი გაკვირვებულნი იყვნენ, ეს როგორ მოხდა, მოხუცმა ორანელ ქერივ დედაბრებს გვერდი აუარა და უგვარტომო ნუნუფარი ითხოვაო. მეორენი, ქილიკაობდნენ: — ბიძია მარტინი ალბათ „შეყვარებულია“, და მოხუცს მასხარად იგდებდნენ. მესამენი პირდაპირ ამბობდნენ, ბიძია მარტინი „შერეკილიაო“.

ამ უკანასკნელთა აზრს იზიარებდნენ ბიძია მარტინის ქალებიც — ნოემი და ანგინი.

— არა, მამაჩემს უეჭველად ჰქუდააკლდა, — მკერდზე ხელის ცემით ჭოთქოთობდა ნოემი, როცა გაიგო ეს არასასურველი, მისი სიტყვით, ეს მეტად სამარცხვინო ამბავი. — ვინ იცის, იმ მაწანწალამ შეულოცა, ჯადო გაუყეთა მაგ საცოდავ მოხუცს. — ამბობდა ნოემი და ახლა სოფლის მღვდელს მიუვარდა, წყევლა დაუწყო, ჯვარი იმ როსკიოზე რად დასწერო? რამდენიმე უწმარო სიტყვა ნათლია ამბაკოსაც უთავაზა, რომ გზა აპნეული მოხუცი სწორ გზაზე არ დააყენა. თანაც ძალზე აღელვებული იყვნენ იმისთვისაც, რომ

ისინი არაფრად ჩასთვალა, არ დაპატიო-ეა, მაშასადამე, მათთან არაერთი კაც-შირის დაქვერა აღარ სურდნენ და მოსწონებოდა; ნოემი თავის ქმარსაც უკიცხავდა, რომ მან ვერ შესძლო სიმამრის ოხტში მოყვანა, მასზე გავლენის მოხდენა.

— იცევხნიდა, „ბაბა მარტინი“ ახლა ჩემს ხელშიაო, კარგად კი ჰყოლია ხელში დაქერილი მაგ თავგასამოხს.

მეღვინეც განცვიფრებული იყო სიმამრის საქციელთ, მაგრამ ჯერ მაინც იმედს არ ჰკარგავდა.

— შენი ფიქრით, რაკი დაქორწინდა, — ცოლი მემკვიდრე გახდება? სრულებითაც არა. მემკვიდრეები ისევე შეილები იქნებით, ვაშლის ბალი თქვენ დაგარჩებათ და არა მაგ მაწანწალა დედაკაცს.

ისე კი, მართალია, დიდი სამარცხვინო ამბავი მოხდა, ეტყობა — ჩვენ არ გვეცნობს, ღვიძლ აღამიანებად არა გვთვლის, მაგრამ საქმე ამით არ გათავდება.

— რა იცი?

— „რა იცი, რა იცი“. — გამოაჯავრა ცოლს. — ალბათ ვიცი. კი არა მძინავს, ყველაფერი გამოვიკითხე, გავიგე. შენ მწერალ პეტროსაზე კარგად ხომ არ იცი კანონები. ის ამბობს — ათი ცოლიც რომ შეირთოს, თუ შეილი არ ეყოლა, მემკვიდრეები მაინც ქალები არიანო. ხოლო თუ შეილი ეყოლა, მაშინ საქმე გაძნელდებაო...

— ეგლა აკლია, იმ მაწანწალასაგან შეილი ეყოლოს.

— მხოლოდ ერთი დიდი იმედია, რომ მოხუცია და შეილი არ ეყოლება, — ანუგეშებდა მღვდინე ცოლს. — ფიქრი ნუ გაქვს, ხვალ თუ ზეგ ბალი ჩვენი იქნება.

მაგრამ ნოემი მაინც არ მშვიდდებოდა, ის ვერ შერიგებოდა იმ თავზარდამცემ ფიქრს, რომ მამამ ცოლად შეირთო „მაწანწალა დედაკაცი“, რომ მამამ ისე „დაკარგა გონება“. — გაწყობილ ოჯახის ბატონ-პატრონად „მაწანწალა“ გამოაცხადა; რომ დედის სანუკვარი საგ-

ნები მაგან უნდა მოიხმაროს, დედის ძვირფასი ტანსაცმელი იმ უპატრონო, შშიერ და ობოლ-ოხერ ქალს უნდა ჩაეცვა, რომელიც ხელზე მოსამსახურეთ მოშაობდა ოჯახებში, და ათას ადგილას ნათრევი იყო, როგორც ნოემი ამბობდა.

— ოპ, ის დედაჩემის ადგილზე დაჯდეს და იმ ბაღის პატრონი გახდეს?!

არა ნაკლებ გაბოროტდა და დანადვლიანდა, აგრეთვე, ანგინიც, მაგრამ იმისი სევდა უფრო სხვაგვარი იყო. იგი თავის თავს ამტყუნებდა, რომ მამა მარტო მიატოვა, ხშირ-ხშირად არ აკითხავდა, და ისიც იძულებული გახდა ასეთი ნაბიჯი გადაედგაო...

ნოემსავით ანგინიც ამტყუნებდა თავის მეუღლეს, რომ ნებას არ აძლევდა ყოველდღე წასულიყო მამასთან, თითონ თერძიც იშვიათად ელაპარაკებოდა მამას, არ იგებდა მამის „გულის საიდუმლოებას“, ამიტომ მარტოდ დარჩა, და ასეთი საქმე ჩაიდინაო.

— ახლა ლაპარაკი უკვე გვიანაა, — ეუბნებოდა თერძი. — როცა კაცმა მოიწონა, შეირთო, ჩვენ რაღა გვეთქმის.

ეხლა იმისათვის ჭკუის სწავლება დაგვიანებულია. ყველა კაცი თავის თავის პატრონია, რაცა სურს, იმას გააკეთებს. თუ მას ის მოხეტიალე დედა-კაცი მოეწონა, მამასაღამე, იმის ბედობლიც ისა ყოფილა, ჩვენი ლაპარაკი უკვე ზედმეტია.

ანგინი ქმარს ეთანხმებოდა, იმის სიტყვებს იზიარებდა, მაგრამ თან გუნებაში თავისთავს საყვედურობდა, რომ ვერ უპატრონეს მოხუცს: ხალხის ყბაში ჩავარდით, ხალხი ჩვენ ვაგვიცხავსო — ამბობდა ანგინი.

დების დარდი სხვადასხვაგვარი იყო, მიუხედავად ამისა, ისინი ხშირად დაიარებოდნენ ერთმანეთთან თავის სანუგეშებლად, მაგრამ ამ მისვლა-მოსვლით დარდი როდი უმსუბუქდებოდათ, არამედ უფრო უმძიმდებოდათ, მეტადრე ნოემს.

— ახლა ხალხში თავი როგორ გამოვყოთ! — ქოთქოთებდა ნოემი, — ვი ჩვენს მოსწრებას! ჩვენ ასე გაჭირვებ-

ში ვცხოვრობდით, ის კი მამაჩემის ბაღში „ბოლთასა სცემდეს“?.. ის ზრმ თავლაფდასხმაა...

და დებს ღრმა მწუხარება ეუფლებოდათ, სასოწარკვეთილებას ეძლეოდნენ, მაგრამ ანგინი მალე მოდიოდა გონს და უფროსი დის დამშვიდებას ცდილობდა: — ეპ, რაც მოხდა, მოხდა, ყველაფერი გათავებულია, ახლა ლაპარაკი ზედმეტია. მამაჩვენს ასეთი საქმე არ უნდა ჩაედინა, მაგრამ, რაკი ჩაიდინა, რას იზამ?.. კაცია, თავის საქმე თითონ იცის...

— ნეტა ნანის მაგიერ ეს მომკვდარიყო, — დააკვესა გაბოროტებულმა ნოემმა. — ამ სირცხვილსაც არ ვჭამდით. სოფელში ერთი წვეთი თაფლი გავხდით. ხალხი ახლა ჩვენ დაგვიცინის. დღეიდან ჩვენი დიდი ქალბატონი — დედის ნაცვლად — ვილაც ლტოლვილია... რომ დაეფიქრდები, ლამისაა ჭკუაზე შევიშალო...

ქორწინების პირველ დღეებში, პირველ თვეებში ნუნუფარი სოფელში აღარ გამოდიოდა. წინად ხშირად დადიოდა საყიდლებისათვის დუქნებში, ხანდახან წყალზეც მიდიოდა, მაგრამ ახლა სრულებით აღარ ჩანდა.

იმის მაგიერ ისევ სააკი დაიარებოდა დუქნებში და წყალიც მას მოჰქონდა. როცა სააკს ზემრობით ან სერიოზულად ვინმე შეეკითხებოდა: ალა რატომ არა ჩანს, ან „ახალი ქალბატონი“ რატომ არ გამოდისო? — სააკი ცბიერად თვალს ჩაუბაკუნებდა, გაეღიმებოდა და ჩუმად გაშორდებოდა.

— ალბათ თაფლის თვე ჯერ არ გათავებულა, არა ბიჭო? — დაადევნებდა აბეზარი სიტყვას.

მაგრამ სააკი არაფერს უპასუხებდა. ის დიდ პატივსა სცემდა ბოძია მარტინს და მოხუცის ოჯახური ამბების საქვეყნოდ გამოტანას ერიდებოდა. რაც შეეხებოდა ნუნუფარს, სხვა დროს იქნება ბევრი ავი და კარგი ეთქვა სააკს, მაგრამ

იმის შემდეგ, რაც ნუნუფარი ბიძია მარტინის ცოლი გახდა, ამ ქალის შესახებ აღარაფერს ამბობდა. მხოლოდ ერთი რამ ამფოთებდა სააკს, ძველ ქალბატონს „ნანის“ ან „მაირიკს“ უძახდა, ეხლა კი, არ იცოდა ნუნუფარისათვის როგორ მიემართა. „ნანის“ თქმა ეუხერხულებოდა, „მაირიკიც“ არ შეეფერებოდა, ნუნუფარი ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო. ამიტომ პირდაპირ „შენობით“ მიმართავდა. ნუნუფარი ამას ყურადღებას არ აქცევდა, დიდი მომთხოვნე არ იყო, წარმოიდგინეთ, როცა მას მიმართავდნენ „დაო“, ესეც ეხამუშებოდა, მიჩვეული იყო „ნუნუფარის“ დამახებებს. ხოლო როცა ბიძია მარტინი „ნუნუფარ-ჯან“ დაუძახებდა, ესეც უჩვეულოდ ჩაესმოდა ყურებში: დიდი ხანია მისთვის „ჯანი“ არავის ეთქვა.

„ჯანის“ გაგონებაზე ნუნუფარს გული აუფართხალდებოდა, ხანდახან ფარულად ატირდებოდა ხოლმე კიდევ. არ ვიცი სიხარულის ნიშნად თუ წარსულის მოგონების გამო. ბიძია მარტინს ეს ქალი უაღრესად დიდ პატივს სცემდა: ყოველ შაბათს თავსა ჰხანდა, განსაკუთრებული მზრუნველობით უშლიდა ლოგინს, ჩაიში შაქარს უყრიდა, კერძის კარგ ნაჭრებს იმას გადაუღებდა. ყოველდღიურად იატაკსა სუშენდდა და ფარეანასავით თავს ევლებოდა.

ბიძია მარტინი ხშირად ეტყოდა:

— გეყოფა, ნუნუფარ-ჯან, კმარა, დაიღლები...

სანამ ნუნუფარი გამოჩნდებოდა, ბიძია მარტინს ისე ეგონა, თითქოს დედაბრის სიკვდილის შემდეგ ყველაფერი ჩაკვდა, გაპარტახდა. მაგრამ, აი, გამოჩნდა ნუნუფარი და უეცრად ყველაფერი ისევე გაიცოცხლდა.

სულ მოკლე დროში ნუნუფარმა ყველაფერი წესრიგში მოიყვანა: ჯამ-ჭურჭელი დარეცხა, გაასუფთავა, გააპრიალა, აქა-იქ ქათქათა გადასაფარებლები გამოჩნდა, ოთახებში მეტი სინათლე ჩადგა — გაბრწყინდა, ვერ გაიგებდნენ ფანჯრის მინები დაიწმინდა თუ მზეს

მოემატა ძალა, მაგიდა თოვლივით თეთრმა სუფრამ დაამშვენა... ნუნუფარმა — იყიდა თუ საიდანაც გააჩინა — ფარდები შეკერა, — ფანჯრებს ჩამოაფარა, ჭურჭლის კარადის თაროებზე კუწუბებიანი ქაღალდები გადააფარა. მოკლედ, ნუნუფარი ცდილობდა ყველაფერი ფაქიზად მოვლილი და ლამაზად ყოფილიყო...

დიდი დროებით, ბიძია მარტინი ხეების და ფუტკრების დასათვალიერებლად ჩავიდოდა თუ არა (ბაღში ეხლა ხამთრის ჯიშები — „ანპორტი“ და „ანტონოვკა“ დარჩენილიყო), ნუნუფარიც ადგებოდა, სამოვარს აიგნის ნაპირზე დადგამდა და სანამ ადუღდებოდა, ნუნუფარი სახლს ასუფთავებდა, მარტინის დაბრუნებამდე ყველაფერი დაწკრივლებული ჰქონდა...

— ყოჩად, ნუნუფარ, იცოცხლე, — ეტყოდა ბიძია მარტინი და ნუნუფარს მხარებზე ხელს მოუცაცუნებდა. — ბევრს ნუ მუშაობ, ნუნუფარ, დაიღლები...

და ნუნუფარი ერთ დღეს მართლაც „დაიღალა“, უეცრად — იატაკის გაწმენდის დროს — თითქოს თვალთ დაუბნელდა, ცოცხით ხელში კედელს მიეყუდა, შუბლზე ხელი მოისვა და ტორტმანით წამოღდა.

უნდოდა დაეკენესა, მაგრამ დიდი გაჭირვებით თავი შეიკავა. ბიძია მარტინის შეკითხვაზე, — რა დაემართაო? — ნუნუფარმა თავი გვერდზე გადახარა და მხარი აიჩნია, რაც ნიშნავდა — არ ვიციო.

თვითონ ნუნუფარმა, რასაკვირველია, იცოდა რაშიც იყო საქმე, მაგრამ თქმისა ერიდებოდა. ასეთი რამ მას რამდენიმე წლის წინათ დაემართა, როცა „ბავშვიანი“ იყო. ახლა კი ცდილობდა რამენაირად დაეშალა ეს ნიშნები მარტინისათვის... მაგრამ ბიძია მარტინი ყველაფერს მიუხედა...

— აბა შენ იცი, თავს მოუარე, ბევრს ნუ იმუშავებ, მძიმე რამეები არ ასწიო...

ნუნუფარი ნატრობდა ვინმე დედაბერის ახლო ყოლას, რომ იმისთვის გაე-

ზიარებინა თავისი განცდები, სიხარული, მისთვის გაემდგინებინა, რომ ამდენი წლის შემდეგ, თავისი შეილება დაკარგვის შემდეგ, კვლავ ბავშვის დედა უნდა გამხდარიყო. უხაროდა საწყალ ქალს, რომ ქვეყნიერებაზე უთვისტომო აღამიანს მალე გაუჩნდებოდა ნამდვილად მშობლიური ძე თუ ასული, რომელსაც შეაღწევდა მთელ თავის სიყვარულს, ყველა დაკარგული ბავშვებისა და ახლობლებისათვის გულში დამარხულ აღიზნებას, გულის სითბოს. ეს ახალი ბავშვი იქნებოდა მისი მთელი სიცოცხლის დასაყრდენი, მისი ამქვეყნიური სიხარული...

მუშაობის თუ დასვენების დროს, ნუნუფარის ჰკუა და გონება დასტრიალებდა იმ არსებას, რომელსაც ასე გულმოდგინედ ელოდებოდა. ფიქრობდა იმისთვის ტანისამოსი შეეკერა, ლოგინი დაემზადებინა, მაგრამ, როცა თითებზე დროს გამოითვლიდა, ირკვეოდა, რომ ჯერ ნაადრევი იყო... იგი ამ პატარა არსებაზე ისეთივე გატაცებით ფიქრობდა, როგორც პირველ ბავშვზე მშობიარობის დროს...

მოაგონდა, რომ დედამთილს იგი ყოველ კვირა ეკლესიაში მიჰყავდა. ახლაც, ზამთრის დამდევს, როცა თავისუფალი იყო, ეკლესიაში სიარული დაიწყო.

ყოველ კვირა-უქმე დღეს წირვაას ესწრებოდა. ჩაიკმევდა ხოლმე განსვენებულ დედაბრის თაღს პალტოს, დაბალქუსლა ფეხსაცმელებს, შალს მკლავზე გადაიგდებდა, როცა არა ციოდა, ან მხრებზე მოისხამდა, როცა ქარი ჰქროდა, და გასწევდა.

ბაღიდან სოფლამდის მარტო მიდიოდა ხოლმე, სოფელში კი, ეკლესიის გზაზე, ზოგჯერ ვინმე ნაცნობი ქალი შეუთამბანავდებოდა და ისინი მუსაიფით განაგრძობდნენ გზას. ეკლესიაში ნუნუფარი ქალებისათვის მიჩენილ კუთხეში დგებოდა, მხურვალედ ლოცულობდა და მოწინებით უსმენდა მღვდლების გალობას, დიაკვნების მოძახილს. ხოლო როცა მღვდელი ტრაპეზიდან მრევლისაკენ მობრუნდებოდა —

ხელებს აღაპყრობდა, ნუნუფარს ეგონა, თითქოს მღვდელი მხოლოდ მას ეპყრობოდა. **სიხარული**

ნუნუფარი გაუჩნდებოდა, მღუშარედ იდგა და ჩუმად ლოცულობდა. მოხდებოდა ხოლმე, გულის კოვზის დაბლარაღაც გაითვარტახლებდა — იგი მღვლვარებასთან ერთად ტკბილ სიამოვნებას, გრძნობდა, და მაშინ უფრო მხურვალედ განაგრძობდა ლოცვას.

თან, სიამოვნებისაგან გაბრუებულს, გული ძალუმად უცემდა და ისეთ ნეტარებასა გრძნობდა, როგორიც განიცადა მაშინ, როცა მარტინ ბიძას პირველად გაუშვლავნა ეს საიდუმლო, ხოლო მოხუცმა ჰქიქით წყალი მიაწოდა.

— შენ თავს გაუფრტხილდი, — ხშირად არიგებდა ხოლმე გახარებული მარტინ ბიძა, ცხვირსახოცს ამოიღებდა და კმაყოფილებით მოიწმენდა უღვაშებს.

— მაშასადამე, კიდევ შეილი უნდა შეგვეძინოს. — დასძენდა და წყნარი, მშვიდი ღიმილი მოეფინებოდა სახეზე, კბილები გამოუჩნდებოდა. ნუნუფარმა რომ შეამჩნია — მოხუცს ეს ახალი ამბავი ახარებდა, გული გაიმგავრა...

ამიერიდან ბიძია მარტინი ნებას აღარ აძლევდა მძიმე საგნები აეწია, ჯაფა გაეწია. ღუმელს თითონ ანთებდა, სამოვრის შემოტანას ან ნოხის დაბერტყვას სააკს ავალბებდა. ეკლესიაში წასვლის დროსაც აფრტხილებდა, არ გაციებულაიყო, ყინულზე ფეხი არ გასხლტომოდა: არ წაიქცე, ან ძაღლმა არ შემოგყეფოს — არ შეგამინოსო. ზოგჯერ კი პირდაპირ უკრძალავდა:

— ლოცვას ჩვენი სახლიდანაც შეიწყნარებსო ღმერთი.

ნუნუფარი ამ აზრს არ იზიარებდა, ასე რომ იყოს, მაშინ ეკლესიებს რაღათ აშენებენო! ეს ქვეყნის ძველი ადათი და წესიაო. არ ვიცი, ნუნუფარი თვითონ გრძნობდა ლოცვის აუცილებლობას, თუ „ბავშვიანი“ ქალი ხდებოდა მორწმუნე — ის ყოველ კვირაძალზე საკმევლს აკმევდა, ისევე, როგორც განსვენ

ნებული საბედი იქცეოდა ფეხმძიმობის დროს... კვირაობით კი ნუნუფარი ეკლესიაში წასვლას არ აკლდებოდა, ქალებისათვის განკუთვნილ ადგილზე იდგა — ყურს უგდებდა ლოცვას და იმავე დროს ესმოდა, თუ როგორ „თამაშობდა“ უჩინარი არსება მუცელში.

ამ წუთებში ნუნუფარი უფრო მხურვალედ ლოცულობდა და უფრო გულმოდგინედ ისახავდა პირჯვარს, იმისი ლოცვა ერთი და იმავე სიტყვებისაგან შეესდგებოდა, რომელიც დახეპირებული ჰქონდა ბავშვობიდან:

— შენი წმინდა ძალმოსილების ჭირიმე, ღმერთო...

ლოცულობდა და თან რიდიითა და მოკრძალებით გადახედავდა ხოლმე ირგვლივ მდგარ ქალებს, ეშინოდა არ დაეცინათ, აბუჩად არ აეგდოთ მის მიერ გადადგმული ნაბიჯის გამო, არ ეცნოთ ის პალტო, რომელიც ბევრჯერ ენახათ საბედის ტანზე. ნუნუფარი დაწმუნებული იყო, რომ ახლა მთელმა დაბამ იცოდა, ვის მისთხოვდა, ვის ტანისამოსს ატარებდა და ძალიან რცხვენოდა, თანაც ეშინოდა, განსაკუთრებით, მოხუცი ქალებისა, და მეტადრე ნოემისა, რომელმაც არა ერთხელ გაიციხა დედამისის ტანისამოსის ტარებისათვის...

ეკლესიაში ნუნუფარი ცდილობდა მორიდებოდა ნოემს. როგორც კი თვალს მოჰკრავდა, ნუნუფარი უმალ უკანა რიგებში მიიმალებოდა. ერთხელ, შემთხვევით, ნოემის გვერდით აღმოჩნდა, როგორ მოხდა, მისთვის გაუგებარი იყო. დანახვისთანავე ნუნუფარმა უკან დაიხია, თითქმის გაიქცა, რომ ნოემს არ დაენახა.

— შენი ძალმოსილების ჭირიმე, ღმერთო, — კრძალვით წაიბუტბუტა შეინარევი ხმით ნუნუფარმა, როცა ჭუჩაში გავიდა და მოაგონდა ნოემის მუქარა, იმისი მწვანე თვალების ბოროტი ბრიალი, — შენი ჭირიმე, შენ ძალას ვენაცვალე, ღმერთო...

მაგრამ ერთ დღეს, ეკლესიიდან გამოსვლისას, ნუნუფარი პირდაპირ შეეფეთა ნოემს, უფრო სწორად მან პირ-

ველმა დაინახა იმისი მწვანე თვალების მზერა, რომელიც თავით-ფეხებამდე ზეერავდა.

ნუნუფარმა თვალები დახარა, და ქალების წრეში როგორ გაიკვლია გზა, თითონაც არ ახსოვდა, ახსოვდა მხოლოდ ის, რომ ნოემმა ეს სიტყვები დაადევნა: „შეხედეთ ამ კახასს“...

ნუნუფარი სწრაფად გამოვიდა ეკლესიიდან და ისე ჩქარი ნაბიჯით გაეშურა, რომ შვებით მხოლოდ ბალთან ამოისუნთქა.

დიდხანს, ეგონა, ნოემი ფეხდაფეხ მოსდევდა მას, დასაპერად, გასაკიცხად, ჭუჩაში დედის ტანსაცმელის გახდევინების მიზნით... და ამ ფიქრებით აფორიაქებული ნუნუფარი თითქმის სულ შეხუთული გარბოდა და მხოლოდ მაშინ მიიხედა უკან, როცა უკანასკნელი მოსახლის კარმიდამოს გასცდა. როცა დააწმუნდა, რომ უკან არავინ მოსდევდა — ცოტაც გაიარა, ბაღს მიუახლოვდა, შორი-ახლო ქვაზე ჩამოჯდა და მთელი გულმკერდით ამოისუნთქა. გული ისე აჩქარებით უცემდა, რომ ყურებში ესმოდა გულის ფეთქვა. შეეცადა დამშვიდებულიყო, ხელი გულზე მიიდო, მაგრამ გულისძგერა მაინც ვერ აილაგმა. ბალიდან ბიძია მარტინს თვალი მოეკრა იმისი აჩქარებული სიარულისათვის და ახლოს მისულს, პირისახე ალუწილი ნუნუფარი რომ დაინახა, გაუკვირდა და შეეკითხა:

— რა დაგემართა, რად მორბოდი?..

— არაფერია, — ალელეების მიზეზი დაფარა ნუნუფარმა, — ძალი დავინახე — შემეშინდა.

მას არ სურდა მოხუცისათვის გაემხილა ქალის უკეთური მოპყრობის ამბავი, არ უნდოდა, — მამა მისი მიზეზით წაჩხუბებოდა თავის ქალს... იგი საერთოდ ცდილობდა ბიძია მარტინთან არაფერი ელაპარაკნა, არ გაეღიზიანებინა, და ქალები უფრო არ გადაემტერებინა.

მეტადრე თვინიერი იყო ნუნუფარი მაშინ, როცა გულისკოვხის ქვეშ გრძნობდა „თამაშს“ — გული აუჩვილ-

დებოდა ხოლმე და მზად იყო ყველასათვის მიეტყუებინა მის წინაშე ჩადენილი თავხედობა, წყენას ყურადღებას არ აქცევდა, იმისი ყველა ფიქრი ბავშვს დასტრიალებდა და მის მოვლა-პატრონობაზე ზრუნავდა.

ნოემს ეკლესიაში ნუნუფარის ნახვა ძალიან გაუკვირდა. მაშინ, შემოდგომაზე, ქუჩაში შეხვედრის შემდეგ მას ნუნუფარი აღარ ენახა. ნოემს მოეჩვენა თუ ნამდვილად ასე იყო, ნუნუფარის სახეზე ერთგვარი ცვლილება და კმაყოფილება ამოიკითხა. იგი ძალიან უცნაურად ეჩვენა თავისი დედის პალტოში, გაოგნებასთან ერთად, ნოემი შეიპყრო რაღაც შეუკავებელმა ბრაზმა, და გზად მიმავალ ნუნუფარს მიამახა „შეხედეთ, ამ კახასო“. ამ სიტყვებმა მთელი არსებით შეაძრწუნა საწყალი ნუნუფარი... ნოემი კი ამ დღეს ისე იყო აღელვებული, ისეთი ბოროტი ექვები დაეხადა გულში, რომ ეკლესიიდან სახლში წასვლის ნაცვლად თავის დასთან გაეშურა.

— საყდარში ვიყავი, — დაიწყო ნოემმა ანგინთან მისვლისას. — ვხედავ, სასიკვდილედ იქ არ იყო!.. ავხედ-დავხედე, ვხედავ, იმ კახას კაბის კალთა დამოკლებია!.. ეტყობა ორსულად არის...

და ნოემმა მუხლებზე ხელი დაირტყა.

— ხომ არ სცდები, ნოემ, — უთხრა ანგინმა.

— რის შეცდომა, რომელი შეცდომა, მე რომ დამინახა — სირცხვილისაგან გაწითლდა.

— ესეც ახალი ამბავი! — დახშული, გაბრაზებული ხმით წარმოსთქვა ანგინმა. — მაგრამ მაინც არა მჯერა, მამაჩვენის ასაკში — ბავშვი... არა, არა მჯერა.

ნოემმაც ძალა აღარ დაატანა სარწმუნოდ მიეღო მისი სიტყვები და დას ურჩია დღეისწორ კვირას წირვაზე ერთად წასულიყვნენ. მან კარგად იცოდა, რომ ასეთ საქმეში ის არ მოტყუვდებოდა, მაგრამ ანგინისა და თავისი თავის კიდევ ერთხელ დასარწმუნებლად,

გადაწყვიტეს ხელახლად შეემოწმებინათ „მამანწალა დედაცოცქვენი“.

ნოემმა თავისი ექვები მამარსაგან დო. სირაჯმა თავი მძიმედ გაიქნია და ბოროტად დაიღრინა:

— აი ეგ კი ცუდია. თუ მემკვიდრე ეყოლა, ისიც ვაჭი — მორჩა და გათავდა. ის დაეპატრონება მთელ ქონებას, თქვენ კი, ქალებს თხის ჩლიქებიც არ გერგებათ...

იგი ლაპარაკობდა, თან მაღალყელიანი ჩექმებით ოთახში ბოლთას სცემდა. როგორც სიძე, თავს უფლებობდ თვლიდა, მაგრამ ქალებს ხომ შეეძლოთ ხმის ამოღება. ისინი უნდა მოელაპარაკონ მამას, რომ მან მემკვიდრეობით უფლებებს პატივი სცეს: — მემკვიდრე!.. საოცარი! რა იცით, მამათქვენის მემკვიდრე დარაჯი სააკის ნაშიერი არ არის?

— მართლა, ხომ შეიძლება ასეც მომხდარიყო?!.. — წამოხტა ნოემი. — ახლა ვინ რას გაიგებს!

ეს ექვი ანგინის გულშიც ჩაბუღებულყო, იგი მუდამ იმეორებდა, მამა ეხლა იმ ასაკში არ არის, რომ ბავშვი ეყოლოსო. ვის გაუგონია მავ ასაკში ბავშვი შეეძინოს კაცს. აქ აღბათ, რაღაც მოხდაო...

ნოემი რამდენიმე დღეს, წამდაუწყუმ, აღელვებული მიდიოდა დასთან და ბჭობდნენ, თუ როგორ დაეხსნათ თავი ამ შერცხვენისაგან. თუ დადასტურდა, — „მამანწალა“ ორსულია, თავისთავად დიდი სირცხვილიაო, ხოლო თუ გამოირკვა, რომ ბავშვი დარაჯ სააკისაგან არის, ორმავად თავის მოჭრაო.

— აბა, მაშინ წადი და უყარე კაკალი, — თავის ქნევით ამბობდა ნოემი და გაშტერებით ემუქრებოდა, არ ვიცი ვის: მამას, ნუნუფარს თუ სხვა ვისმეს. — ოჰ, ნეტავ ტყუილი გამოდგეს...

დების მწუხარებას ზოგჯერ სირაჯიც ინაწილებდა ხოლმე, ათასგვარ ექვებს უზიარებდა და დებს თავის ბრძნულ რჩევა-დარიგებებს აძლევდა. ხოლო, როცა ცოლთან მარტო რჩებოდა — ოხრაედა:

— ნოემ, თუ ბიჭი გაჩნდა, ბაღი ხელიდან გამოგვეცლებო...
 რაც შეეხება დერცე ვანესის, ის საესებით გულგრილად უყურებდა ამ საქმეს, სრულებით არ ერეოდა და არც მათ სევდა-ვარაამს იზიარებდა. პირიქით, როცა დაინახავდა დები ვაცხარებით სჯაბაასობდნენ თავიანთ მაიმის და მისი ახალი ცოლის შესახებ — გაშორდებოდა, ან რაიმე საქმით ირთობდა თავს. ხოლო, როცა ცოლთან მარტო რჩებოდა, ანგინის ჭირვეულობას, მის კითხვებს და ეკვებს მუდამ ერთნაირად ავსებდა:

— მოეშვი... რა გრჯის, სხვის საქმეებში რომ ერევი. მამაშენს იმდენი ჰქვია აქვს, თავის საქმეს თვითონ უკეთ მოუვლის.
 — მართალია, მამაჩემი ჰქვიანი კაცია, მაგრამ ვერ გაითვალისწინა, ხალხი რას იტყვის... თავის სახელზე არ უფიქრია...

— ზედმეტია, ანგინ, საქმე უკვე გათავებულია...
 მაგრამ ანგინი თავისას მაინც არ იშლიდა. თუმცა თავადაც დარწმუნებული იყო, რომ ახლა ზედმეტი იყო განგაშის ატეხა, — მაინც მოუთმენლად ელოდა კვირა დღეს, რათა ნოემის ნათქვამი ეკლესიაში შეემოწმებინა.

კვირა დღეც გათენდა.

როცა დები საყდარში შევიდნენ, წირვა უკვე დაწყებულიყო, მწირველი მღვდელი ტრაპეზზე იდგა, დიაკვნები მარჯვნივ და მარცხნივ საეცებლურებს აქნეიდნენ. ეკლესიაში ციოდა, ამიტომ ყველანი — ქალი და კაცი — ერთად შექუჩებული იდგნენ. ქალებს პალტოები ეცვათ, თავზე მატყლის შალები ეხვიათ, მაღიმალ პირჯვარს იწერდნენ, უფრო ხანდაზმული ქალები მუხლს იყრიდნენ. ნოემი და ანგინი ქალების ჯგუფში შეერივნენ და თვალით ნუნუფარს დაუწყეს ძებნა. მაგრამ ამ დღეს ძალიან ბევრი ხალხი იყო ეკლესიაში, თავიანთ დედინაცვალს თვალი ვერ მოჰკრეს. „იქნება არც მოსულა“, — გაიფიქრეს და მათ გულმოდგინედ დაიწყეს თვალიერება, ნუნუფარს თვალი ვერსად

შეასწრეს: ნუნუფარი ქალებს უკან იდგა, კუთხეში, ხანდახან გაიხედავდა აქეთ-იქით. მან დიდი ხანს შეამჩნია ნოემი და ანგინი, მიხვდა, ისინი ვაცხარებით ეძებდნენ მას, და, როცა დები მისკენ მიიხედავდნენ, ნუნუფარი უმაღვე ამოფეარებოდა ხოლმე მის წინ გაჩერებულ ქალს და ფარულად უშვებდა ბიძია მარტინის ქალებს. მაგრამ ხანდახან ნუნუფარს ყველაფერი ავიწყებოდა, და, როგორც ამ უკანასკნელ დროს მუდამ ემართებოდა, ფიქრებს მიეცემოდა. ამ ფიქრებს იგი გადაჰყავდა სხვა სამყაროში, სადაც ნუნუფარი პირადი ნეტარების წალკოტში დაცურავდა; და თავდავიწყებაში ჩავარდნილს, თვალწინ ედგა პატარა უმწიკლო არსება, რომელიც ახლა მის სხეულის განუყრელ ნაწილს შეადგენდა, — დაუფლებოდა მის სულსა და გულს. ასეთ მდგომარეობაში ნუნუფარი ხშირად ვერ ამჩნევდა, თუ როგორ იწყებოდა და თავდებოდა წირვა-ლოცვა, როგორ გალობდნენ დიაკვნები, საეცებლურების საქმეების სუნი, სანთლების ციმციმი, ზარების რეკვა უფრო უღრმავებდა იმ საოცნებო გრძნობას, რომელიც ხშირად დაუფლებოდა ხოლმე ნუნუფარს. ის დინჯად, წყნარად, სასოებით ისმენდა საეკლესიო გალობას, და მუხლმოდრეკილი ემუდარებოდა უფალს შვილის კეთილად დაბადებას. მას ისე ეჩვენებოდა, თითქოს დიდხნის წინათ დაკარგული განძი უნდა ეპოვნა... ასეთი განცდა შინ ყოფნის დროსაც აღძვროდა ხოლმე ნუნუფარს, მაგრამ აქ სულ სხვა გვარად მიდიოდა მისი ფიქრების ჯაჭვი. ზოგჯერ ნუნუფარს ისე გაიტაცებდა ბავშვზე ფიქრი, რომ ვერ ამჩნევდა ხოლმე, მლოცველები როგორ იწყებდნენ დაშლას, ეკლესიიდან გამოსვლას — უცებ გამოფხიზლდებოდა დაბნეულობისაგან და ცდილობდა უკან არ ჩამორჩენოდა ხალხს. ვარეთ გამოსული მარტოდ მარტო, ან ვინმე ღარიბ დედაკაცთან ერთად გაუდგებოდა ხოლმე გზას; შეძლებული ქალები არ კადრულობდნენ მას და გვერდს უვლიდნენ.

დღესაც ასე დაემართა. ნუნუფარი მაშინ გამოერკვა, როცა კარების ჭრიალი შემოესმა და დაინახა, ქალები ერთიმეორის მიყოლებით გარეთ გადიოდნენ. ნუნუფარმა ერთხელ კიდევ გამოისახა პირჯვარი და დინჯი ნაბიჯით კარებისაკენ გაემართა.

— შენი ძაღვების ჭირიშე, ღმერთო... — თქვა და ის-ის იყო გამოვიდა ეკლესიიდან, რომ იქვე ახლოს ნოემი და ანგინი, დაინახა, რომლებიც მისკენ იმზირებოდნენ. ნუნუფარი უნებლიედ შეჩერდა და გაიფიქრა, დები, ალბათ, დედის პალტოს და მატყლის ლურჯ შალს თუ ათვალთვალდნენ. ასე იდგა ერთხანს, შემდეგ თავს ძალა დაატანა, ძლივს მოახერხა ადგილიდან დაძვრა, რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა. ნოემმა გზა გადაუჭრა.

— ქალო, აბა ცოტახანს გაჩერდი, — მკაცრად მიმართა ნოემმა და თავისი მწვანე თვალები მიანათა. — ქალო, შენ არ გითხარი, მოშორდი მამაჩემის სახლს-მეთქი, ჰა?..

აცახცახებული ნუნუფარი შეჩერდა. შიშისაგან ხმის ამოღება ვერ მოახერხა, თითქოს ენა დაემა, ბაგე დაუდუნდა. ამჯობინა ჩუმიად გასცლოდა, ერთი ნაბიჯი გადადგა წინ, მაგრამ ნოემმა კვლავ გადაუჭრა გზა:

— შენ ჩემს გაფრთხილებას ყურადღებას არ აქცევ, ჩემ ნათქვამს არაფრად აგდებ!.. შე უბედურო, რას ჩადიხარ, დედაჩემის ტანისამოსი ჩაგიცვამს, შალი მკლავზე გადაგიკიდია და ჩვენი გულის გასახეთქად ისე მოსულხარ ეკლესიაში? — უსმენდა ნუნუფარი, ვერც პასუხის მიცემას ახერხებდა, ვერც მოშორებას. უეცრად იგრძნო, რომ ნოემმა ხელი ჰკრა.

— ერთი ამას დამიხედეთ!.. — დააკვესა ნოემმა.

ამ სიტყვების გაგონებაზეც ნუნუფარმა მაინც პასუხი ვერ გასცა, მხოლოდ ჩუმიად წამოიძახა „გამიშვი“ — და ხელი ჰკრა ნოემს, რომ გზიდან ჩამოეცილებინა.

— შენ მე დამარტყი! — წამოიძახა

ნოემმა და უეცრად ნუნუფარს ისე ღონიერად დაარტყა, რომ ქალს მუხლთ მოეკვეთა, ნოემმა წამოდგომა არ დაეცალა და მეორედ უფრო ღონიერად ჩასცხო წიხლი მუცელში. ნუნუფარი მიწაზე გაიშხლართა. ამის შემდეგ მას აღარ ახსოვს, რა დაემართა. როცა თვალი გაახილა, დაინახა, რომ ორი ქალი ცივ წყალს აკურებდნენ პირისახეზე, მლოცველები შორიახლო იდგნენ და შეჰყურებდნენ მას. ნუნუფარს შერცხვა და სახეზე ხელები აიფარა.

5.

ბიძია მარტინი მოუთმენლად ელოდებოდა ნუნუფარს, კარგა ხანს იდგა ფანჯარასთან, გასცქეროდა ხეების ბოლოს ქიშკარს, და უკვირდა, რომ ნუნუფარი იგვიანებდა. ცივი, უღრუბლო დღე იყო. ხეებზე რთვილი ბროლივით ბრჭყვიალებდა, ფანჯრიდან ხეები ისე მოჩანდნენ აყვავებული გეგონებოდათ. მეტადრე მზიან დარში თოვლი და რთვილი ტოტებზე ვაშლის ყვავილებივით მოლურჯო-მოთეთროდ ციმციმებდნენ ყინვისაგან.

ბიძია მარტინი ნუნუფარს სწირად ურჩევდა ეკლესიაში არ წასულიყო, ვაითუ გაცივდყო. ახლა გაცივების საფრთხე უფრო ნამდვილი ეჩვენა, ნუნუფარის დაგვიანების გამო. ჩვეულებრივ ნუნუფარი ეკლესიიდან ჩქარა ბრუნდებოდა. როგორც კი მზე ოთახიდან თავის სხივებს აიკრეფდა და აივანზე გადმოიტანდა, ნუნუფარიც გამოჩნდებოდა, მაგრამ დღეს რატომღაც იგვიანებდა, და ეს გარემოება აშფოთებდა ბიძია მარტინს. რამდენიმეჯერ სააკი გაგზავნა ქიშკრის გადაღმა, გზას გახედო. დარაჯი წავიდოდა და ისევ უკან ბრუნდებოდა — არა ჩანსო. ის-ის იყო მოთმინების ფილა აევსო ბიძია მარტინს, რომ უეცრად ოთახში სააკი შემოიჭრა, სული მოითქვა, შეშინებულმა თქვა — ნუნუფარი მოყავთო... და ისევ გარეთ გავარდა.

„ნუნუფარი მოყავთ“... ამ სიტყვებზე უფრო მნიშვნელოვნად მოეჩვენა ბიძია

მარტინს სააკის ანაზღვეულად ოთახში შემოჰკრა და შიშით უკან გაქცევა. დარეტიანებული მოხუცი ისე გავიდა ოთახიდან და ქიშკართან გაჩნდა, რომ არაფერი გაუვია. აქ მოხუცს გულის წუხილი და გაოცება უფრო გაულრმავდა, როცა დაინახა, რომ ნუნუფარს ორი ქალი შედგომოდა მხრებში და ისე მოჰყავდათ. თალბტანსაცმლიანი დედაკაციები თეთრ თოვლის ფონზე უფრო შავად გამოიყურებოდნენ...

აფორიაქებული ბიძია მარტინი ნუნუფარის შესახებერად გაეშურა. ქალი პირკალივით იყო გაფითრებული, იმისი გამოხედვა ტკივილსაც გამოხატავდა და რალაც ფარულ მწუხარებასაც.

— რა დაგემართა? — შეეკითხა ბიძია მარტინი და ქვედა ყბა აუკანაკალდა.

— არაფერია, — თავშეკავებით უპასუხა ნუნუფარმა.

— როგორ თუ „არაფერია“! ადამიანის ფერი არ გადაეცს, — თავი დახარა ბიძია მარტინმა. — თუ არაფერია, მაშინ ეს ქალები რად ამოგდგომიან იღლიებში?

— ისე, — მიუგო ერთერთმა მოხუცებულმა დედაკაცმა. — თავს ცუდად გრძნობდა — თან გამოვეყვიეთ...

ნუნუფარს დედამრები გაეფრთხილებინა — ქმრისათვის არაფერი ეთქვათ... „ნოემს გაუბრაზდება და ის ავი ქალი უფრო გადამეკიდებოა“, — ფიქრობდა იგი, რაც ჩაიღინა, ამის შესახებ არ უნდოდა მეუღლეს რაიმე გაეგო.

ნუნუფარი ოთახში შეიყვანეს. ქალმა დაჯდომა ვერ მოახერხა, პირდაპირ ტახტზე გადაესვენა. და სირცხვილის თუ ტკივილის გამო ხელები სახეზე მიიფარა. ბიძია მარტინი დაჟინებით ცდილობდა გაეგო, რაში იყო საქმე, მაგრამ ნუნუფარი სდუმდა და თავისი მდგომარეობა ყინულზე დაცემით აუხსნა.

— ზომ გეუბნებოდი, ეკლესიაში ნუ წახვალ-მეთქი, — თავის ქნევით უსაყვედურა მოხუცმა.

— არაფერია, გაივლის, გაივლის, — ამწვიდებდა ნუნუფარი მეუღლეს, თან ოღნავ კენესოდა, იკლავებოდა, თავი

ბალიშში ჩაერგო, ხელებს პირზე იფარებდა.

ბიძია მარტინს ეგონა, ნუნუფარს ცუდებ-ცხელებს აქვსო, საბნებს ახურავდა, ჩაის სთავაზობდა, თან ესაუბრებოდა. ნუნუფარს არ სიამოვნებდა ლაპარაკი, ეშინოდა რაიმე არ წამოსცდენოდა და მოხუცს კითხვებზე ერთსა და იგივე პასუხს აძლევდა:

— არაფერია, გაივლის, აი, მალე გაივლის...

მაგრამ საღამოს ქალმა მკვდარი ბავშვი დაბადა. ბიძია მარტინი მეუღლის სარეცელს არ შორდებოდა, გუნებაში თავისთავს საბოლოოდ დაღუპულად სთვლიდა. „წუთისოფელმა ორიოდ წუთით მარგუნა სიხარული და ისევ შხამი ჩამიწვეთა. ვაი, ჩემს თავს“, — ფიქრობდა ბიძია მარტინი და მხოლოდ იმასღა ზრუნავდა, რა ეღონა, რომ ფეხზე წამოეყენებინა ნუნუფარი... თუ გინდ ნურაფერს ნულარ გააკეთებს, ოღონდ სახლში და ბაღში გამოჩნდეს, ესეც საკმარისიაო.

— ნუნუფარ, სადა გტკივა? — ხშირ-ხშირად ეკითხებოდა იგი და ქალის თავთან დახრილი ბავშვივით ემუღარებოდა: — ნუნუფარ, რა გინდა, რა მოგიტანო?..

ნუნუფარი ან კვლავ იმეორებდა „არაფერიაო“, ან პასუხს არ აძლევდა და ოღნავ კენესოდა. იგი მოხუცის წინაშე თავს დამნაშავედ გრძნობდა, რომ მისი სიტყვა არ შეასრულა და ამ სიცივეში წავიდა ეკლესიაში. „რომ არ წავსულიყავი, ეს საქმე არ დამემართებოდაო“... ფიქრობდა და უფრო მოიწყენდა ხოლმე, როცა თავისი მდგომარეობით ზედმეტად აწუხებდა მოხუცს, რომელსაც ყველაფრისთვის თავი მიენებებინა, დღეღალამ მოსვენება აღარ ჰქონდა და სულ გვერდით უჯდა. ბიძია მარტინი ხშირ წარბებ მჭეშიდან დაღონებული უმზერდა; ელაპარაკებოდა ან კითხვებს აძლევდა. ნუნუფარი გულში ნანობდა, რომ მოხუცი დაასვენდიანა, მოსვენება დაუტარგა. რცხვენოდა, რომ ოჯახში

საქმის გამკეთებელი აღარავენ იყო და კაცებს უხდებოდათ ოჯახის მოვლა-პატრონობა, მისთვის საკმლის მომზადება-მიწოდება კი. ეცოდებოდა სააკი, რომელიც ხან ჩაის ადუღებდა, ხან ოთახს გვიდა, ხან ქათმებს „ჯუჯუს“ უძახოდა და საეკნეს უყრიდა. თავისი მდგომარეობა ძალზე აწუხებდა ნუნუფარს, ტკივილს უმატებდა, იგი ხშირად შალით ან ხელით იფარავდა პირისახეს და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ძლივს იკავებდა ოხვრა-კვნესას, რომელიც ძალუძამდ აწევებოდა გულ-მკერდიდან ყელში.

ნუნუფარი ძალიან ებრალებოდა სააკსაც. „ნეტა რა ვახდა მიზეზი, რომ ნუნუფარმა მკედარი ბავშვი დაბადა“, — ფიქრობდა სააკი და ცრემლიანი თვალით უყურებდა სიცოცხლით სავსე, ჯანმრთელი ქალის წამებას. სააკს ახლა ბიძია მარტინიც ებრალებოდა და ცდილობდა ოჯახურ საქმეებს ისე გასძლიოდა, რომ მოხუცს რაიმე ნაკლი არ შეენიშნა და არ შეწუხებულყო. თავის დროზე ასუფთავებდა სახლს, ძაღლებს სალაფავს აძლევდა, წყაროზე მიდიოდა.

ერთხელ, წყაროზე მოსულმა გლეხებმა ცნობისმოყვარეობით ჰკითხეს ბიძია მარტინის „ახალი ცოლის“ ამბავი. მართალია, რომ მკედარი ბავშვი დაბადაო? სააკმა რაც იცოდა, ყველაფერი დაწერილებით უამბო. დედაკაცებს გაუჟვირდათ და თავი გაიჩინეს.

— მაშ ისე უღმერთოდ დაარტყეს, რომ ბავშვი მოკვდა? — იკითხა ერთმა მათგანმა.

— ვინ დაარტყა, რა დაარტყა? — გაკვირვებით წამოიძახა სააკმა, ეგონა, ბიძია მარტინს გულისხმობდნენ და გადაკრით უარყო.

— მარტინ ბიძას არასოდეს ხელი არ დაუჯარებია ქალისათვის.

— ბიჭო, მარტინ ბიძაზე ვინ ამბობს სიტყვას? — უკმაყოფილოდ ჩაილაპარაკა ქალმა. — ჩემი თვალით ვნახე, ნოვმი მივარდა საწყალ ქალს და წიხლი ჩასცხო... ვერ გავიგე, ქაა, — მიმართა მან წყალზე მოსულ ქალებს, — რა

უთხრეს ერთმანეთს, რაზე წაეკიდნენ, მხოლოდ ის დაეინახე, რომ ცნობა-წააქცია და წიხლი ჩასცხო... სადღეობა ქალი ყინულზე დაეცა და გული შეუღონდა...

საკმა ყური მოჰკრა თუ არა ამ ამბავს, კოცა აღარ აავსო და საჩქაროდ გაეშურა სახლისაკენ. ხენეშით მივიდა სახლში, ბიძია მარტინი გარეთ გამოიძახა და წყაროზე გავიწილი ამბავი აცნობა.

ბიძია მარტინმა ჩუმად მოუსმინა ბოლომდის. როცა სააკმა დაამთავრა მოყოლა, სახის ნაკეთები აუცახცახდა, დუმილით გაშორდა სააკს და ოთახში შებრუნდა.

— ნუნუფარ, რად მიმაღე? — შესვლისთანავე შეეკითხა ბიძია მარტინი და ლოგინთან ჩამოჯდა. — ნოვმი წიხლი ჩავცხო ეკლესიის კარებთან, არა?... რად მიმაღე?...

ნუნუფარი სდუმდა. ბიძია მარტინს კი უნდოდა გაეგო, რაზედ წაეკიდნენ, რა ლაპარაკი ჰქონდათ და რად გაარტყა. ნუნუფარი კვლავ დუმდა, სევდიანად შეჰყურებდა ლოგინთან ჩამომჯდარი მეუღლის მუხლებს და კვნესოდა. მაგრამ, როცა ბიძია მარტინი გამოუტყდა, რომ მან ყველაფერი იცოდა, უკვე დაფარვას აზრი აღარ ჰქონდა, და ნუნუფარმა აღიარა სიმართლე, თან დაამატა:

— მაგრამ იმას მეცა ვკარი ხელი. — დანაშაულის სიმძიმე ნაწილობრივ თავის თავზე აიღო. — მე რომ ხელი არ მეკრა, არც ის მახლებდა ხელსაო.

ორი თუ სამი დღის შემდეგ ეტლით მოვიდა მედუქნე არტუში და, სააკთან გამოლაპარაკების შემდეგ, თითქმის ყვირილით შევარდა სახლში. არტუშას თბილი ქურჭი ეცვა, მაღალყელიანი ჩექმები, ბუნხრის ქუდი ეხურა.

— სად არის პაპაშა?... ჰო, აქა ხარ, გამარჯობა. დღეს გავიგე, ნუნუფარ ავად ყოფილა და დუქნიდან პირდაპირ აქეთ გამოვეშურე — რა მოხდა?..

ლაპარაკის დროს ხან სიმამრს უყურებდა, ხან ნუნუფარს, (რომელსაც სირცხვილისაგან კედლისაკენ მიებრუნები-

ნა პირსახე და თავზე საბანი წაფარებინა) და ხან სააკს, მაგრამ არც ერთი პასუხს არ აძლევდა.

— ეს რა უბედურებაა! რა მოხდა? ვერაფერი გამოივია... ჯანმრთელი ქალი უცბათ ასე... ვთქვი, — წავიდე, ერთი ვინახულო, პაპაშა მარტოხელა კაცია... — ფაფახი მოიხადა და მაგიდაზე დადო. — პა, პაპაშა, რა ვუყოთ? მკურნალი მოვიწვიოთ, ექიმს დავეძახოთ...

სააკი გაშტერებული შესცქეროდა მელუქნეს. უკვირდა, რომ ნოემის თავებდობით ლოგინად ჩავარდნილი ქალი ნოემის მუდღელს ებრალებოდა და გულში საყვედურობდა ბიძია მარტინს, პასუხს რომ არ აძლევდა. ნუნუფარის მდგომარეობა გასაგებია, იგი აეადა, თანაც რცხენიან, მაგრამ მარტინ ბიძა რომ ხმას არ იღებდა — ეგ უცნაურად ეჩვენებოდა სააკს.

მარტინ ბიძა დიდხანს მდუმარედ უსმენდა, ბოლოს ვეღარ მოითმინა, სიძეს სიტყვა შეაწყვეტინა, გადაუბღვირა და უეცრად, ფრუტუნით ზეზე წამომდგარმა, მოულოდნელად ფეხები დაუბაკუნა:

— გაეთრიე აქედან, ყბედო, გაეთრიე, უსირცხვილოვ, შენმა ცოლმა წიხლი ჩასცხო. შენ კი მოსულხარ, სახარებას მიკითხავ თავზე... — მოხუცმა უფრო წინ გაიწია და განმეორებით ისე მაგრად დაჰკრა ფეხი იატაკს, რომ ნუნუფარი საშინლად შეკრთა და შეშინებული თვალებით გადახედა მარტინს.

სირაჯი უტიფრად შეეყურებდა სიმამრს, მაგრამ, რომ დაინახა მარტინი სულ მისკენ და მისკენ მიიწევდა, უკან უკან წავიდა, ლმობიერი ხმით ლუღლუღით დაიწყო:

— დამშვიდდი, პაპაშა, დამშვიდდი. ნუნუფარს ეწყინება, ავადმყოფთან ასე მოქცევა არ შეიძლება. ნუნუფარ, დაო, შენ დამშვიდდი... მე მოველაპარაკები პაპაშას... არა, პაპაშა, შენ ნუ ბრაზობ. ნუთუ ნოემის საქმეა?.. არა მჯერა, პაპაშა... მტრების მოგონილია... უთუოდ მათი მოქორილია...

მას იქნებ კიდევ განეგრძო ლაპარაკი,

მაგრამ ბიძია მარტინს კვლავ ნიკაპი აუთამაშდა, ამჯერად პაპაშა, მელუქნი აღმართა, მეღვინე შიშის ხანში აიტანა, უკან-უკან წავიდა, კარებისაკენ, და ძლივსლა მოასწრო ფაფახის დახურვა.

— კარგი, პაპაშა, კარგი, დამშვიდდი. კარებთან წამით შეჩერდა, უკან მოიხედა.

— კარგად გამყოფოს, დაო ნუნუფარ, ჯანმრთელად იყავიო. — და გარეთ გაეარდა. სააკი უკან გაჰყვა, რომ ჭიშკრის კარები დაეკეტა. როცა სააკმა ურდული გამოსწია, მელუქნემ თითუბით ანიშნა მარტინზე, „პაპაშა ჭკუაზე შერევილია“.

— შენ კი, სააკ, სახლ-კარს, ხეხილს ყურადღება მიაქციე, თუ რაიმე მოხდა, სასწრაფოდ მაცნობე, — და სიბნელეში გაუჩინარდა. ერთხანს მოისმოდა ეტლის გრიალი, მაგრამ მალე მიუყრდა და ირგვლივ სიჩუმე გამეფდა.

მოწმენდილი ცივი ღამე იყო. სააკი დიდხანს იდგა ჭიშკართან, ზეცას შესცქეროდა, სადაც ვარსკვლავები კიაფობდნენ. დათოვლილი ხეები ცალფეხზე შემდგარ გოლიათბივით მოჩანდნენ. შორი ახლო დაბმული ძაღლი თავის ბუნაგიდან გამოვიდა და აღერსიანად აწყმუტუნდა.

სააკი ძაღლთან მივიდა, თავზე ხელი გადაუსვა და ჩაილაპარაკა:

„შედი ბუნაგში, შე ტუტუცო, ცივა, შედი“. შემდეგ გაყინული ყურები მოისრისა და სახლისაკენ გასწია.

ახლა სადღაც შორს ისმოდა გაყინულ მიწაზე გაქანებული ეტლის გრუხუნნი.

როცა ეტლის ხმა სავეხებით მიწყდა, სააკი შინ შევიდა. ოთახში შესვლისას დაინახა, გაბოროტებული ბიძია მარტინი ბოლთასა სცემდა და ერთსა და იმავე სიტყვებს იმეორებდა:

— უსირცხვილო... ავაზაკი...

სააკს ძია მარტინი ასე აღელვებული არასოდეს არ ენახა: მარტინს ქვედა ყბა, უღვაშები, მთელი თავი უცახცახებდა და ისე იყო აღშფოთებული, რომ ბრაზისაგან სულის მოთქმა უჭირდა კენესოდა. ოხრავდა, ცხენივით ფრუ-

ტუნებდა. ნუნუფარის მდგომარეობა უფრო გაუარესებული ჩანდა: იგი მოკრუნჩხულიყო და თითქოს ჩუმად სტიროდა კიდევაც.

სააკს ახლა უფრო შეებრაღა ქალი, მაგრამ არ იცოდა რა დახმარება გაეწია მისთვის, ბოლოს მოიფიქრა, რომ საჭირო იყო ექიმბაში დედაბერის გამოძახება, რათა ნუნუფარის ავადმყოფობის მიზეზი გაეგო როგორმე, მაგრამ ამის შესახებ ვერაფრის თქმა ვერ გაებედნა მარტინ ბიძიასათვის.

6

ნუნუფარი ისე გარდაიცვალა, რომ ვერაინი გაიგო მისი წასვლა ამ წუთისოფლიდან. თავზე საბანი წაეხურა საცოდავ ქალს და ისე დაეღია სული. კარგა მოგვიანებით, როცა ბიძია მარტინს სადილი მიეტანა, — ენახა, რომ ნუნუფარი ცოცხალი აღარ იყო.

იგი მოკვდა ისევე მღუმარედ და მშვიდად, როგორც ცოცხლობდა.

კვირა დღეს დამარხეს, ციკა მზიან დღეს. დასაფლავებას დაესწრნენ ისინი, ვინც იცნობდა ამ უიღბლო დედაკაცს, აგრეთვე მათხოვრები, ქეღების საქმელად მოსულნი. დაკრძალვას ესწრებოდა სირაჯიც.

თუმცა მისთვის არავითარი დავალება არ მიუციათ, ის მაინც განკარგულებებს აძლევდა მღვდლებს, მესაფლავეებს, სამგლოვიარო პროცესის თადარიგის მონაწილეებს.

ბიძია მარტინს იგი ჰირისდღესავით სძულდა, მაგრამ სირაჯი მაინც იბტიბარს არ იტებდა, მისი აზრით, თავის მოვალეობას ასრულებდა, ვინაიდან „ბიძია მარტინს სხვა ახლობელი გულშემატყვიარი ადამიანი არ გააჩნდა“. აქვე იყო, აგრეთვე, თერძი ვანესი მეუღლითურთ. ამათაც თავის თავზე აეღოთ სახლ-კარის წესრიგში მოყვანა, მოსული ხალხის გამასპინძლება, რასაც, ბიძია მარტინის შიშით, დიდი მორიდებით ასრულებდნენ... მარტო ნოემი არ ესწრებოდა „ავადმყოფობის“ გამო, როგორც სირაჯმა განაცხადა.

როცა მიცვალებულის დაკრძალვის ცერემონია დამთავრდა, წესისამებრ, ყველა მიდიოდა ბიძია მარტინთან ხელის ჩამოსართმევად, ნუგემის მისაცემად. სირაჯიც მიუახლოვდა სიმამრს და გაამხნევა:

— ნუ გეშინიან, პაპაჯან. ყოჩაღად იყავი, თავს გაუფრთხილდი...

ბიძია მარტინმა აღმაცერად შეხედა და მწარედ ამოიოხრა. მას ეწადა ერთი მაგრად გამოელანძლა სიძე, მაგრამ უხერხულად ჩასთვალა — საამისოდ არც დრო იყო და არც ადგილი.

მთელი დღე სდუმდა ბიძია მარტინი. სააკის გარდა არავის არ ელაპარაკებოდა, მხოლოდ მას აძლევდა ზოგიერთ განკარგულებებს:

— სააკ, ეს გააკეთე... სააკ, ის გააკეთე...

ნუნუფარის დაკრძალვის მესამე დღიდან ბიძია მარტინი საესებით დადუმდა, თითქოს ენა წაერთვა, გულცივი გახდა, გულხათუთქული, მთელი კვირეები ისე გადიოდა, სახლიდან გარეთ არ გამოიხედავდა, სოფელში არ გადიოდა.

სააკს კარგად ესმოდა, რომ მარტინს ზაფხულობით არ ეცალა, ზამთარში თავისუფალი იყო და სწორედ ამ დროს გადიოდა ხოლმე სოფელში საქმეების მოსაგვარებლად, ან ნაცნობ-მეგობრების სანახავად. ახლა კი სულ ამოკვეთა ფეხი, იჯდა სახლში მარტო, ან მხრებზე შალმონხვეული დადიოდა აივანზე ღრმად ჩაფიქრებული.

თუ რასა ფიქრობდა მარტინი — სააკს ვერ გამოერკვია, იგი გაკვირვებული იყო იმ ცვლილებებით, რასაც მარტინის საქციელში ხედავდა, თან ებრალებოდა მოხუცი, ნუგემის მიცემას ცდილობდა.

უფრო დაწვრილებით უამბობდა, რაც წყაროსთან ქალებისაგან გაიგო, ეგონა ამით დამშვიდებდა მოხუცს და სულ ვერ ხედებოდა, რომ უფრო აღელვებდა ისედაც გულშემოყრილ ადამიანს.

ვინ იცის, სააკი მერამდენედ უყვებოდა ამბავს, თუ როგორ გადაეჭრათ გზა ნოემსა და ანგინს ეკლესიის გაღავანში



ნუნუფარისათვის, რა სიტყვები ეთქვათ, როგორ ეჩხუბათ... სააკის აზრით, მის ნაამბობს ერთგვარად უნდა დაემშვიდებინა ბიძია მარტინი, ამიტომ ხშირად უბრუნდებოდა ამ თემაზე საუბარს:

— როგორც ამბობენ — ნოემი ჯიქურ მისულა ნუნუფართან და უთქვამს: „შენ ვინა ხარ, მამაჩემის სახლყარს, ბაღს, დედაჩემის ტანსაცმელს რომ დაეპატრონეო... ეგ ყველაფერი შენ კი არ გეკუთვნის, არამედ ჩემიაო. — უთქვამს და ისე ჩაურტყამს წიხლი, რომ საცოდავი ქალი მაშინვე წაქცეულა.

ბიძია მარტინი უსმენდა სააკს, კვენსოდა, ხენწოდა, კრიალოსნის მარცვლებს ნერვიულად სრესდა, ან ჩიბუსს ძალუმად სწევდა ხორმე. სააკი კი ახალ-ახალ ამბებს უყვებოდა ნუნუფარის შესახებ, მოკრძალებით იხსენიებდა განსვენებულს — ჩემთვის ერთი ცუდი სიტყვა არ უკადრებიაო.

ხანდახან სააკი საუბრის თემას შეცვლიდა, მოხუცს ელაპარაკებოდა ბაღის მომავალ სამუშაოებზე. აგერ-აგერ გახაფხული დგება, როდის დაიწყოთ ბაღის სამუშაოები, ანდა როდის შევაკეთოთ ვალენის კედლები და როდის დავაჭრათო ხეებს ხმელი ტოტები.

ბიძია მარტინი ამ შეკითხვებზე პასუხს არ აძლევდა, სდუმდა და თუ ზოგჯერ ხმას ამოიღებდა, სააკს მხოლოდ ამას ეკითხებოდა, ქათმებს საკენკი, ან ძაღლებს სალაფავი თუ მიეციო? სხვას არაფერს კითხულობდა. თუმცა, სააკი, ისედაც, რაც საჭირო იყო, ყველაფერს აწესრიგებდა.

რაც დრო გადიოდა, სააკი გრძნობდა, ბიძია მარტინი გულგრილ დამოკიდებულებას იჩენდა ბაღისადმი. პაერი უკვე თანდათან თბებოდა, ბაღში თოვლი გადნა, ნოტიო მიწას ორთქლი ასდითოდა. ალაგ-ალაგ, ხეების და ბუჩქების ძირას, იას და ენძელას ამოეყო თავი, ბაღში მორაკრაკე რუს ნაპირებს ეს-ეს არის ამოსული მწვანე ბალახის ზოლი გასდევდა. ხეები, მეტადრე ვაშლისა, ყვავოდნენ და კვირტობაში შედიოდნენ...

დრო აღარ ითმენდა, საჭირო იყო ვალენის კედლების შეკეთება. შეკეთებების გასხვლა, გამხმარე ტოტების შეჭრა, ხეების ძირას ნიადაგის გაფხვიერება, სარეველა ბალახების გამარგვლა, რუს ამოწმენდა და სხვა... მაგრამ რატომღაც, ბიძია მარტინი ისევე სდუმდა, არაფერს ამბობდა ამ სამუშაოების დაწყებაზე. წინად კი, ჯერ თოვლი არ იყო გამდნარი, ამ სამუშაოების თადარიგში იყო მოხუცი.

ყოველ დღე სააკი მოაგონებდა ხოლმე მოხუცს, რომ ოქროს დღეები გადიოდა, ბაღი მოვლას საჭიროებდა.

— ძია მარტინ, ხეები უკვე კვირტობაში შედიან, რაღას ვუყურებთ?

— ჯერ მოიცა, ვნახოთ, — ამბობდა მოხუცი, — მოიცა, დრო ბევრია...

და კვლავ ჩაჰკიდებდა თავს, ფიქრებში გაერთობოდა, თან კრიალოსნის მარცვლებს ნელა და მსუბუქად მარცვლავდა. სააკს უნდოდა, პასუხი მიეცა მარტინს, ეწადა, გაეკიცხა მოხუცის უღარდებლობის მიზეზი, მაგრამ ვერც უბედავდა და არც მარტინის ფიქრთა ძაფის გაწყვეტა სურდა. ამიტომ სდუმდა, თუმცა გუნებაში სწუხდა, ბოლოს ყველა სამუშაო ერთად რომ მოიყრიდა თავს, საქმეს ვერ გაართმევდნენ თავს და დროულად ვერ მოასწრებდნენ ყველაფერს.

„მოიცა... დრო ბევრია“? — იმეორებდა სააკი გუნებაში.

— კარგი, მოვიცადოთ!..

ერთ დღილას სააკი რაღაც ხმაურმა გამოაღვიძა, ბაღში თითქოს ვიღაცა ხეს სჭრიდა. საჩქაროდ ჩაიხვია და იქითკენ გაეშურა, საიდანაც ხმაური მოისმოდა.

ბაღის ერთ კუთხეში ცულს ხათქახუთქი გაუდიოდა. „ამ დღილა აღრიან ბაღში ნეტავი ვინ მოსულა, ვინ გადაჩეულა?!“

გაიფიქრა სააკმა და პირველად უსაზღვრო იყო მისი გაცოცხება, როცა შორიდან თვალი მოჰკრა მარტინ ძიას... მაგრამ სააკი მალე, ცოტა არ იყოს, დაამშვიდა მარტინის დანახვამ, უცხო არავინ იყო, „რაც მთავარია,

ბიძია უკვე მუშაობას შედგომიან — გაიფქრა, თამამად გაეშურა მისკენ.

მიუახლოვდა თუ არა, სააკი აღვილზე გაქვევდა. დაიბნა, თავბრუ დაეხვია, მუხლთ მოკეცვითა და აკანკალებული ხმით ძლივს წარმოთქვა:

— მაგას რას შერები, ძია მარტინ?

მარტინმა არაფერი უპასუხა, შეიძლება ვერც გაიგო სააკის შეკითხვა. მოხუცს ახალუხის სახელოები გადაეწია, კალთები ქამარში ჩაეკეცა, როგორც ხის მჭრელებს სჩვევიათ, და ბეჯითად სჭრიდა ვაშლის ერთ ლამაზ ხეს, რომელსაც დაკოტრებული ტოტები ლაღად გაეშალა. იქვე ახლოს უკვე მოჭრილი საინოთხი ვაშლის ხე ეგდო.

სწორედ ამ სურათმა გააოცა სააკი და შეცბუნებული მიუახლოვდა მოხუცს.

— ძია მარტინ, ეს ხეები რად მოსჭერი? რა დაგიშავეს?.. — ისე ხენწვოდა, ლულულულებდა სააკი, ისე ქლოშინებდა, თითქოს დიდი მანძილი ჰქონოდა გამოვლილი. — ეჰ, ბიძია, აფსუსია, როგორ გაიმეტე?..

ლაპარაკობდა სააკი და თან მოჭრილ ხეებს გარშემო უვლიდა, გაოცებული დაჰყურებდა, ეტყობოდა, ებრალებოდა. მაგრამ ბიძია მარტინი ისევ სდუმდა, პასუხს არ აძლევდა, თავდაღუნული, თავგამეტებით ცულს იქნევდა და ლამაზ ხეს უხატუნებდა.

ნორჩი ხე სტიროდა, ცრემლად იღვრებოდა, მოყვითალო, წყლით გაქვინითილი ნაფოტები ირგვლივ იფანტებოდა.

საკი გაოცებული შეჰყურებდა ხან მოჭრილ ხეს, ხან იმ ვაშლის ხეს, რომელსაც ეს-ეს არის მარტინი წამოაქცევდა, და გული ბოღმით ევსებოდა ხეების სიბრალულით, რომელნიც ესოდენ გემრიელ ნაყოფს იძლეოდნენ. სააკს მით უფრო მოერია ბრახი, რომ ბიძია მარტინი ისევ სდუმდა, კრინტს არ იოებდა, არაოდეს ეუბნებოდა, თუ რა მიზეზით სჭრიდა ხეებს, რომელნიც ძალიან უყვარდა ოდესღაც მოხუცს და შარშან საუკეთესო ნაყოფი მიიღო კიდევ მათგან.

საკმა ერთხელ კიდევ სცადა გაეგო ხეების მოჭრის მიზეზი, მაგრამ რაკი მარტინი პასუხს არ აძლევდა, მშვიდად განაგრძობდა ხის მოჭრას, — წამოაქცია მეოთხე ხე, ასევე მშვიდად ახლა მეხუთე ხესთან გადაინაცვლა, იმ ხის მოსაჭრელად გაეშალა, — ველარ მოითმინა. თავი ველარ შეიკავა, მივარდა მარტინ ბიძიას და მკლავებზე ეცა.

— ძია მარტინ, აფსუსია... — სააკის ხმაში ცრემლები ერია.

მარტინმა იგრძნო სააკის გულისტკივილი, მაგრამ მაინც აღმაცერად გადახედა.

— მაშ დავტოვო, რომ ძალი და მეგული დაეპატრონოს?! — ამოიხრიალა მოხუცმა და ბოროტად შეუტია სააკს — გამიშვი, — ცული მოუქნია, მკლავი გაითავისუფლა. და კვლავ განაგრძო ხეების მოჭრა. სააკი ისევ მუდარაზე გადავიდა, სთხოვდა ხელი აეღო ბაღის განადგურებაზე, მაგრამ ძია არც ყურს უგდებდა და არც პასუხს აძლევდა.

საკმა, რაკი დარწმუნდა, რომ მოხუცთან ვერაფერს გააწყობდა, ხელს ვერ ააღებინებდა ხეების მოჭრაზე, გადასწყვიტა სხეებისათვის მიემართა, ფიქრობდა ისეთი ადამიანი გამოენახა, რომელიც მოხუცს ხელს ააღებინებდა ამ საზარელი ნაბიჯის გადადგმაზე.

საკის აზრით, ასეთი ადამიანი მარტინ ბიძიას ნათლია — ამბაკუმი უნდა ყოფილიყო. აქვე სააკს მოაგონდა, აგრეთვე ბიძია მარტინის უფროსი სიძის — სირაჯ არტუშის გაფრთხილება: „ხეებს კარგა მოუარე, სააკ, რო რამე გაფუძღეს, პასუხისმგებელი შენ იქნებიო“. სააკმა გაიფქრა, იმისთვისაც შეეტყობინებინა ეს ამბავი.

დროს დაკარგვა აღარ შეიძლებოდა, სააკი აღვილიდან მოწყდა და სასწრაფოდ გაეშურა არტუშისაკენ, რათა დანარჩენი ხეები მაინც როგორმე გადაერჩინა. მანძილი მალე დალია, ხენწვით მიიქრა და აკანკალებული ხმით სხაპასუბით მოუყვა ბაღში მომხდარი შემთხვევის ამბავი.

— ბიძია მარტინი ცულით ანადგუ-

რებს ვაშლის ხეებს. — მისვლისთანავე „მიახარა“ სააკმა სირაჯს.

— რატომ?

— რა ვიცი. „ბიძია, აფსუსია, ნუ სჭირი-მეთქი“, — ყურცი არ მათხოვია. „ძალღსა და მგელს დავეუტოვო?“ მიზუსუნხა.

მედენე მოიღუშა, ბოროტად აუთამაშდა წარბი, საჩქაროდ ეტლი მოაყვანინა — შიგ ჩაჯდა, სააკიც გვერდით მოისვა და ბალისაყენ გასწია;

— ჭკუაზე შეფრეკილა ჩემი სიმამრი! რა მოუვიდა? — წარამარა იმეორებდა სირაჯი გზაში. — ვითომ რაო, რა მინდაო?..

ეტლი ბალთან გაჩერდა. არტუშა ეტლიდან ჩამოხტა და სწრაფად გაეშურა ბალის იმ კუთხისაკენ, საიდანაც ცულის ხმა მოისმოდა.

აქამდე სააკის სიტყვები ჭორი ეგონა, მაგრამ როცა თვალი მოავლო ბაღს, დარწმუნდა: ათი მოჭრილი ხე საცოდავად განრთხმულიყო მიწაზე. მარტინ ბიძა ახლა მეთერთმეტე ხეს ასალმებდა წუთისოფელს.

— პაპაჯან, — მიიბრინა სირაჯმა მარტინთან, — რას შვრები? რას ჩადიხარ? ძია მარტინმა არც კი შეხედა, უბრალოთაც კი არ გადახედა სიძეს და ენერგიულად განაგრძობდა თავის საქმეს.

მედუქნე უფრო ახლოს მივიდა სიმამრთან.

— პაპაჯან, — მაგრად დაუჭირა სიმამრს მკლავები. — ეგ როგორ იქნება?..

ძია მარტინმა აშკერად შეწყვიტა მუშაობა, წელში გასწორდა, თავი აიღო, წარბებქვეშვიდან აღმაცერად გამოხედა სიძეს, ძალუმად შეტოკდა ადგილზე, მკლავი გამოსტაცა და... სიძეს მოულოდნელად მოუღერა ცული.

— შორს, ავაზაკო... შორს, შენი ფეხი არ ვნახო აქ...

სირაჯი ორი ნაბიჯით უკან გადახტა.

— პაპაჯან!

ძია მარტინმა მისკენ გაიწია ცულით ხელში... სირაჯმა უკან დაიხია, ბალის ქიშკრისაკენ გასწია, უსიტყვოდ გარეთ

გავარდა, ეტლში ჩაჯდა და მოჭკურტულა.

ბიძია მარტინი კი ისევ ხეს დაუბრუნდა და კვლავ განაგრძობ ხეების ქრა.

— ამ ხეებისათვის დამინგრიეს ოჯახი, ერთსაც არ დავეუტოვებ იმათ...

სააკს ესმოდა აღშფოთებული მოხუცის ლაპარაკი, მაგრამ მარტინთან მიახლოვებას ვერა ბედავდა... იგი დარწმუნდა, რომ ბიძია მარტინს გადაწყვეტილი ჰქონდა ყველა ხის მოჭრა, ბალის განადგურება... მარტინმა ერთხანს კიდევ იმუშავა, მერმე, ეტუობა დაიღალა, ცული ხის ძირას დაავლო, ჯირკვზე ჩამოჯდა და თავი ჩაჰქინდრა. ზოლო ორი საათის შემდეგ პრისტავის გამოგზავნილი კაცები მოვიდნენ, ბიძა დააბატონრეს, ეტლში ჩასვეს და წაიყვანეს.

მარტინის დაბატონრებამ სააკზე ძალზე ცუდად იმოქმედა, იგი შეძრწუნდა, შეშინდა, მიტოვებული სახლკარი გამოკეტა და ეტლს უკან გამოეკიდა ფეხით...

ორანში ხმა გავრცელდა, ბიძია მარტინი გაგვიებულა, დაუჭერიათ და ცალკე საკანში მოუთავსებიათო. ზოგნი ამბობდნენ, მარტინ ბიძას უთქვამს, გიყი კი არა, ძალიან ნორმალური ადამიანი ვარო, რაც შეეხება ხეების მოჭრას, ეს შეგნებულად და განგებ ჩავიდინე, რათა ჩემი სიკვდილის შემდეგ უმადურ და ბოროტ ადამიანებს არ ჩავარდნოდეთო ხელში ბაღი. მაგრამ ამ განცხადებისა ხალხს არაფერი სჯეროდა, დასცინოდნენ მოხუცის სიტყვებს, ფანჯრიდან სამადლოდ აწვდიდნენ პურსა და წყალს და ცდილობდნენ შორს ყოფილიყვნენ გიყისაგან, რათა უცბად რაიმე ზიანი არ მიეყენებინა მათთვის.

რამდენიმე დღის შემდეგ სირაჯი თავისი ცოლშვილით ბაღში გადასახლდა — სიმამრის სახლში, რომელსაც ბალთან ერთად სააკი უწყევდა დროებით მეთვალყურეობას.

დაბატონრების რამდენიმე დღის შემდეგ ბიძია მარტინი უეცრად გარდაიცვალა. სიკვდილამდე იგი ისევ იმეორებდა, რომ ხეები შეგნებულად და განგებ

მოსჩება; იმასაც ამბობდა, თავად გიცი არა ვარო, მაგრამ ხალხს მისი არა სჯეროდა: — ისე ვაგვიყვებით უყვარდა ბალი, კეულათმყოფელი შვილივით გაზრდილ ხეებს როგორ გადაჭრიდაო, — ამბობდა ხალხი.

წლები მიჰქრია. მელვინე თავისი ოჯახით ბედნიერად ცხოვრობს მარტინის სახლში, როგორც მემკვიდრე. მან გააფართოვა ვაჭრობა, დუქანი, და დილიდან შულამემდე იქაა.

ნოემი კი ბალის საქმეებით არის ვართული და დარაჯ სააკთან ერთად ვაჭრობს.

დაბაში ერთხანს ხმა გავრცელდა — მამის ქონებიდან ანგინი თავის წილს რატომ არ თხოულობსო. ერთნი ამბობდნენ, თერძი ვანესი ამყია, მას არ სურს „სხვისი ქონების პატრონი გახდესო“. მეორენი კი ჭორაობდნენ, ნოემს უთქვამს — უფროსი მე ვარ და მამის პირდაპირი მემკვიდრეც მხოლოდ

მე ვარო. თანაც ისეთ პირებს, რომელნიც ამბავს მოუტანდნენ ანგინს, აბარებდა: — ჩემმა მეუღლემ, მეტონემ პირებისაგან — „პრისტავისაგან, შამასახლისისაგან, პისერისაგან“, გაიგო, რომ მამის ქონება მემკვიდრეობით რჩება იქ ქალს, რომელსაც ვაჟიშვილი ჰყავს, ანგინს კი მხოლოდ ერთი გოგონა ჰყავსო.

სააკი ისევ მებაღედ მუშაობს ბალში, წყალი მოაქვს, ღობეებს ასწორებს, ვაშლს კრეფს, ბალისა და ბოსტნის კვლებში წყალს უშვებს, ძაღლებს აუტრებს, და თან მარტინ ბიძას შესახებ ამბობს ხოლმე:

— ეპ, ეპ, კარგი კაცი იყო მარტინ ბიძა.

სააკი წინანდებურად მუშაობს, მაგრამ წინანდებურად აღარ იღიმება და თვალსაც აღარ უპაქუნებს ხეებს, ვარსკვლავებს. იგი ახლა მუდამ მოლუშულია, ჩაფიქრებული და სერიოზული... მოჭრილ ხეების ადგილზე, მართალია, ახალი ნერგები დარგო, გაახარა კიდევ, მაგრამ ახლა ისე აღარ არის აღფრთოვანებული აყვავებული ხეებით ან მათი ნაყოფით, როგორც უწინ.

თარგმნა კონსტანტინე გამსახურაძემ

მ. და ბ. ლავითიანაშის ბჭარედის მიხედვით



რ ა ვ ი თ ქ ი რ ა კ ა ნ ი ზ ი ი ო კ ტ ო მ ბ რ ის ღ ლ ე მ ბ ი თ ა ვ რ ი ლ ის ს ა ს ა ზ ე მ ბ ი

(უ ო ფ ი ლ ი წ ი თ ე ლ გ ვ ა რ დ ი ე ლ ის მ ო გ ო ნ ე მ ბ ი)

თებერვლის რევოლუციის ამბები თბილისის გიმნაზიაში სწავლის პერიოდში შევიტყუეთ. ჩვენი გიმნაზიის მერვე კლასს, რომელშიც მე ვსწავლობდი, ვადაზე ადრე შეგვაწვევდნენ სწავლა და 1917 წლის მაისში უკვე გიმნაზია დამთავრებულები ვიყავით. რამდენიმე თანამეგობრულსთან ერთად მოსკოვს გავემგზავრე და უნივერსიტეტში შესვლა განვიზრახე. მართალია უნივერსიტეტში ჩავერიცხე, მაგრამ სწავლა მაინც ვერ გაეაგრძელე, ვინაიდან დროებითაა მთავრობამ სტუდენტების შობილიზაცია გამოაცხადა და ჯარში გაგვაწვიეს. ასე და ამრიგად მოვხედი პეტროგრადის კონსტანტინოვსკის საარტილერიო სამხედრო სასწავლებელში.

კავკასიიდან და სახელდობრ თბილისიდან სასწავლებელში საწინი ვსწავლობდით: გიორგი ლაზარეიშვილი¹, პეტროგრადელი უოფილი სტუდენტი ვლადიმერ ჯიქია² და მე. განსაკუთრებით დავუახლოვდი ვლადიმერ (ვალოდ) ჯიქიას, რომელიც ჩემთან ერთად მეორე ბატარეაში ირიცხებოდა. (ყაზარმაშიც ერთბაშის გვერდით გვერდით). იგი გამუდმებით მესაუბრებოდა პოლიტიკაზე და ჩემში თანდათანობით აღვივებდა პოლიტიკური ამბებისადმი ინტერესს.

ქალაქში კახაკები და იუნკერთა რაზმები პატრულდნენ. მხოლოდ ჩვენი კონსტანტინოვსკის საარტილერიო სამხედრო სასწავლებელი დარჩა ნეიტრალური და დროებითი მთავრობის

მხარეზე არ გადასულა. 1917 წ. 24 ოქტომბერს ასეთი ამბის მოწმე შევიქვინი: სასწავლებლის ეზოში ჯავშნოსანი მანქანით ოფიცერთა ჯგუფი შემოგრიალდა და სასწავლებლის უფროსს ბუტირკინს¹ კატეგორიულად მოსთხოვა:

— მთელი სასწავლებელი სამხედრო წესის მიხედვით მოეწყო და დროებითი მთავრობის მხარე დაეკირა, მაგრამ არც შექარამ და არც ზეჟენამ ბუტირკინთან არ გასუკრა, იგი მაინც ურყევად იდგა და თავისი ვაიტანა.

ვლადიმერ ჯიქია სასწავლებელში აღარ მოდიოდა. რადგან პოლიტიკურ მუშაობას ეწეოდა. 25 ოქტომბერს დილით მასთან წავედი მე და ლაზარეიშვილი. ვიპოვეთ მეშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო და დავრწმუნდით, რომ მას საკმაოდ დიდი საპასუხისმგებლო როლი ეკისრებოდა მომავალ დიდ ამბებში. ვალოდამ დიდად გაიხარა, როცა შეიტყო, რომ ჩვენ ბოლშევიკების მხარეზე ვიყავით.

მისი უშუალო და აქტიური ზღვამქვანელობით მომზადდა წითელ მეთაერთა პირველი რაზმი უბრალო მუშებიდან.

1918 წლის 18 სექტემბერს ლენინმა წითელი მეთაურების ამ გამოშვებას საეციალური დებეშა მიუძღვნა. ლენინის მისალოცი დებეშა ასეთი სიტყვებით თავდებოდა: მე დარწმუნებული ვარ, რომ ოთხასის მაგალითის მიზამაც კიდევ ათასობით და ათასობით მეშა, ხოლო ასეთი

¹ გიორგი ლაზარეიშვილი — შემდგომში სამთო ინჟინერი გახდა და უკანასკნელ დღეებამდე ხშირად ეხედებოდა.

² ვლადიმერ ჯიქია — ძველი ბოლშევიკი, იატაკქვეშეთში მომუშავე, რევოლუციონერი, რომელმაც რევოლუციურ მოღვაწეობაში ჩაშება

¹ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ საბჭოთა მთავრობამ გენერალი ბუტირკინის ეს მოქმედება სათანადოდ დააფასა და სასწავლებლის უფროსად დასტოვა იგი. სასწავლებლის სამხედრო კომისრად კი ჯიქია დანიშნა.

აღმნიშნავთ და მეთაურებით კომუნისტების გამარჯვება უზრუნველყოფილი იქნება.

ვლადიმერ ჯიქიამ მონაწილეობა მიიღო კრონშტადტის აჯანყების ჩაქრობაში, რის გამოც წითელი დროშის ორდენით, რევოლუციური სამხედრო საბჭოს სიგელითა და სამხედრო საკურველო დაჯილდოვდა.

მაშინ ვლადიმერ ჯიქია სხვადასხვა საბასტის მშენებლო პოსტებზე იმყოფებოდა.

მისი რევოლუციური წევნი წითელი გვარდიის რაიონულ შტაბში გაევაგზავნეს, სადაც პირველი დავალება მოგვეცა. ჩვენ, რაც შეიძლება სწრაფად უნდა შეგვესწავლებინა სამხედრო საქმე მუშათა რაზმებისათვის. მალე საბაზოლო ბრძანებაც მივიღეთ. ჩვენი რაზმებით აჯანყების ხელმძღვანელი შტაბისაკენ უნდა დაეპრულიყათ.

საღამოსათვის წითელგვარდიელთა რაზმებმა, მთავარი შტაბის შენობის უკან, პეტროგრადისა და ვიბორგის მხარეს — ზამთრის სასახლის პირდაპირ ყველა ქუჩა დაიკავეს. მათთან ერთად იდგნენ ჯავშნოსნები, სახენიტო ბატალიები, ქვეშევრდები და სხვადასხვა არტილერია. ნების პირის პეტრუხ, ყაზანის ტაძრის მიდამოებთან კი მძიმე არტილერიის შენაერთები იყო განლაგებული. ესენი იყვნენ დროებითი მთავრობის მიერ ფრონტიდან გამოძახებული ქვედანაყოფები, რომლებიც რევოლუციის მხარეს გადმოვიდნენ. მათ უნდა დაეცვათ ზამთრის სასახლის მისაღვლოები, თუ შტერი მოახერხებდა ზამთრის სასახლეში მოკალათებულ დროებითი მთავრობის გარსემორტყმულ ჯარებისაკენ გაქრას.

თერთმეტ საათზე ჩვენ პეტრუ-პავლეს ციხიდან ზნორი საარტილერიო სროლის ხმა შემოგვესმა. ორ საათზე შევიტყუეთ სასიხარულო ცნობა, რომ ზამთრის სასახლე ჩვენმა ნაწილებმა იიღეს.

ჯიქიამ, რომელიც მამობრივ მზრუნველობას იჩენდა ჩვენს მიმართ, მოგვებნა მე და ლაზარეიშვილი და დამფუძნებელი კრების სახალხო კომისარ მ. ს. ურიცკისთან წარგვაგზავნა, თავრიდის სასახლეში.

ურიცკიმ ძალიან გულთბილად მივიღო და ბრძანება გასცა, რომ ჩვენ სასახლის კომუნდანტურის თანამშრომლებად გავეთორმეინეთ. იმ დროს ტავრიდის სასახლის კომუნდანტურაში მანტროსებთან ერთად წითელარმიელებიც მსახურობდნენ.

ჩვენ, დავალებათა შემსრულებელი თანამშრომლები და კომუნდანტის ადიუტანტები, სულ ექვსნი ვიყავით: კომუნდანტის ადიუტანტები ჩერკესკაში გამოწყობილი, მარჯვენა ყუბანელი სტრიეკო, ცოცხალი და მახვილგონიერი უკრა-

ინელი ბონდარენკო, და დავალებათა შემსრულებელი თანამშრომლები: პეტროვი, და ჩემი თანამშრომლები — დგებუაძე, ნიკოლაიშვილი და მე.

ჩვენ ვმეთაურობდით სასახლის ყარაულს, ვმორიგვობდით დღითა და ღამით, ვასრულებდით სხვადასხვა დავალებებს, რათა შეგვეჩინებინა სასახლეა და ქალაქში რევოლუციური წესრიგი და უმშრობობა.

ერთ-ერთი ჩემი მოტივების დროს საარკმლიდან ნაწილობრივ ქუჩას ვაეცქეროდი. თავრიდის სასახლეს ავტომობილი მოადგა. მანქანიდან გადმოვიდა სამუშაო ტანის ადამიანი, რომელსაც ტანზე გაცვეთილი პალტო ეცვა და კეზი ეხურა. ეს იყო ლენინი.

მე კორიდორში გამოვევარდი. ლენინი გვემართა კაბინეტისაკენ, საიდანაც მისკენ კოჭლოებით მომავალი ურიცკი მოიჩქაროდა.

ამ პირველ, უცეარ შეხვედრას, უნდა ვალიაო, არ ვანუცვიდებოდა, შეიძლება იმიტომ, რომ იგი მოულოდნელი იყო და მე ამ შეხვედრისათვის მოემზადებული ვახლდით. მაგრამ მე უფრო მეგონა, რომ ლენინი ძალიან უბრალო და ადამიანური აღმოჩნდა. მხოლოდ მაშინ, როცა კაბინეტს კარი მიხიურა, მე ახალგაზრდული აღფრთოვანება დამეუფლა და მხოლოდ, მაშინ განვიცადე ამ შეხვედრიდან მომდინარე განსაკუთრებული სიხარული. მე ვამაყობდი ამ შეხვედრით და გულში ვივიტორებდი: „მე ვნახე თეთონ ლენინი!“

იშვრად თავრიდის სასახლეში ლენინი დიდხანს არ ვაჩერებულა. შემდგომში კი იგი ზნორად მოდიოდა სმოლნიდან თავრიდის სასახლეში და ჩვენ, როცა კი დაინახავდით ხოლმე, რაღაც არაჩვეულებრივი აღფრთოვანებისა და სიხარულის გრძობა გვეუფლებოდა.

ჩემს სიცოცხლეში არ დამევიწყებდა ასეთი შემთხვევა:

თავრიდის სასახლის კორიდორში დავინახეთ აჩქარებით მომავალი ლენინი. მე და დგებუაძე კომუნდანტის დავალების შესასრულებლად მიიჩქაროდით. ვანიერ კორიდორში აღვიღო ბეჭერი იყო და შეგვეძლო მორიდებით ჩაგვევლო, მაგრამ ლენინის დანახვაზე კედელს გავეკაით. ჩვენს გაჯგიმვას არ შეიძლებოდა უფრადლება არ მიეცემა. როცა ლენინი ჩვენსკენ მობრუნდა, ჩვენ სამხედრო წესისამებრ მივესალმეთ. ლენინმა გავეიცინა, კარგად შეგვათვალეობა და გვეკითხა:

— საიდან მოხვედით თავრიდის სასახლეში? მე ვუპასუხე, რომ კონსტანტინოესკის საარტილერიო სისწავლებლიდან, ჯერ წითელ გვარ-

1 ლენინი. თხ. ტ. XXVIII, მე-4 გამოც. გვ. 99.



დღაში ვიყავით და მერე თავრიდის სასახლეში გადმოვიყვანეს-მეთქი.

— ახალგაზრდობა მოდის ჩვენთან, ეს ძალიან კარგია, — წამახალისებლად სთქვა ლენინმა და გაგვიცოლდა.

ერთ დღეს თავრიდის სასახლეში ეპორტიუნისტები და საპორტიუნო ოთახში ვიყავი. უცერად ურიცხვითად გამოიძახეს. გავიქეცი, ოთახში შევედი, სამხედრო წესისამებრ ვაფიქიმე და მოვახსენე.

— თქვენი ბრძანებისამებრ, გამოეცხადდი ალღევებულმა ვერ შევიმჩნიე, ურიცხვით ვარდა, თუ კიდევ იყო ვინმე ოთახში. მაგრამ, წამიცი და, ლენინი დავინახე. ლენინისავე მივბრუნდი, ძალიან დავიბენი, მაგრამ, მაინც მივესალმე.

ლენინი ოდნავ გვერდულად იჯდა სავარძელზე. მისი ცოცხალი თვალები რაღაც დალილიად გამოშრობილი მომეჩვენა. იგი უცერად წამოდგა, მომიახლოვდა და მითხრა:

— აი, რა ამხანაგო, შე სადღაც აქ უბის წიგნაყი დამჩნა, შეიძლება ჯიბიდან ამომივარდა. შე ეს წიგნაყი ძალიან მჭირდება, სხვებს კი ვერაფერს სამსახურს გაუწევს. რასაც ვიწერ ხოლმე უბის წიგნაყში, მხოლოდ შე თვითონვე თუ ამოვიციხხვ და იმასაც ყოველთვის ვერ გახერხებ. ესა თქვა და გაიცილა.

ლამარაყში ურიცხვით ჩაერია და ამისნა:

— ვლადიმერ ილიას ძე ჩემი ოთახიდან კორიდორის გავლით იყო მხოლოდ საათობირო ოთახში. გააფრთხილეთ წითელგვარდიელები და მოძებნეთ წიგნაყი! გამოიგეთ?

— დიას, გვიკვირ — მივეუბნე შე და ოთახიდან გამოვედი.

რამდენიმე წუთი დამჭირდა, რომ გონს მოვ-

სულეყავი, რაც მოხდა, ყველაფერი კარგად გამეგო და ამეწონ-დამეწონა. ურიცხვით დავალება, რომ მეხოვნა ლენინის წიგნაყში ნაყო, დიდი სახელმწიფოებ-რივი მნიშვნელობის საქმედ მიჩვენა და მე ვულწრფელად შევეროდა, რომ ამ უბის წიგნაყის ჩანაწერებზე დამოკიდებული იყო რევოლუციის ბედი. ყოველ შემთხვევაში ეს ჩანაწერები შეიცავდა საბჭოთა ხელისუფლების განსაკუთრებით სერიოზულ ცნობებს.

ამ ფიქრებით გავგებულა დარბაზში გამოვვარდი. სტრიკაყმა შემაჩერა.

უგულად მოვახსენე ყოველივე, რაც მოხდა. სტრიკაყი ჩემთან ერთად წამოვიდა საყარაულო ოთახში. მეკეჭირის საშუალებით გამოიძახა მორიგე, წითელგვარდიელები, მეზღვაურები და უთხრა, სადაც უნდა მოეძებნათ უბის წიგნაყი, და მე ისევ დარბაზში გამავაგანა.

დარბაზში შევედი. შესვენება იყო და იქ არავინ არ დამიხვდა ტრიბუნისავე გავემართე და პირველსავე ასახეულ საფეხურთან გაქვაგებულევით შევჩერდი. ტრიბუნის მარცხნივ, მოფარდაველ საფეხურის პირას, შეუძნეველ ვგდო უბის წიგნაყი. იმ ბედნიერ წუთს, აზრადაც არ მომსვლია, რომ ეს უბის წიგნაყი შეიძლება ლენინის არ ყოფილიყო.

წიგნაყს დავტაყე ხელი და ურიცხვით ოთახისაყენ ისარივით ვაფერინდი.

კაბინეტში ნებართვის გარეშე შევევარდი. იქ ამჯერად ბევრნი შეკრებილიყვნენ, მაგრამ მე ლენინის გარდა არავინ დამინახეს. სიტყვა არ მოთქეამს, აყანაყლებული ხელით ისე გავუწოდე უბის წიგნაყი და ამის მოლოდინში, თუ რას იტყოდა ლენინი, ვავირინდი.

მტყობა, ლენინმა კარგად ვავიო რა მდგომარეობაშიც ვიყავი. წიგნაყი გამომართვა, ვადაფურცლა და სიცილით თქვა:

— ეს არის! ძალიან კარგია რომ ამოგნეთ! გვადლობთ! — და ხელი გამომიწოდა.

მე ფრთხილად ჩამოვართვი ხელი და სიხარულსა და აღტაცებისაყან მეშვიდე ცაზე მყოფ ოთახიდან გამოვედი.





ღამ სუბაპირიძე

ღიღ გზაზე

ნარკვევი

რას არ იფიქრებს დედის გული!

ზურგს უკან ჰქიშვარი მიხურა ტატიანამ და ზვეთრად დაქანებულ გორის ფერდს გადახედა. პატარა ზანაძეს თვალი გადააფლო და მდინარას გაღმა, სატყეებუნაოს ორღობეში, ნაცნობ ჰქიშვარს მიაჩერდა.

შორს, ცის მტრედისფერ კიდეზე, მზეს ჯერ კიდევ არ ამოუჩენია ყური. ამოსასვლელიდან ვარდისფერი შადრევნები ამოუფრქვევია მნათობს.

ფართო ფარფლებიანი ჰილის ჭელი ზურგზე გადმოუვლიდა ტატიანას.

როგორი ყოვლით იღებდა ხოლმე ტატიანა იმ ჰქიშვარს ყმაწვილობაში, იმ ღამეს კი რა ჩემად, ჭურღულად მიუხურა საბრალო დედამას!

გა, არქიბო! სულ შენი გულისათვის გააყვით ეს ტატიანამ!

ვეერ, ასე აღრიანად რომ წამომდგარა და ჭითებს ახურებს, ის შოსანს დედაკაცი ტატიანას დედაა, თამარი. ახლაც ახსოვს საბრალოს ის ღამე. მამა კი დიდი ხანია აღარ ბოგინობს იმ არე-მარეში.

ხედავს ტატიანა, ტაშტით რაღაც გამოიტანა დედამ, საირეხია იღბათ, ზანაძესაყენ გამოეშვრა.

რას იზამ, არქიბო, ასეთია დედის გული. აბატიე, შენ კი არა გზრახავს, ტატიანაზე ეტყინა გული მაშინ. „ჩაიში არ მინდა ჩაყლა ჩემი გოგოო, — ასე ამბობდა მუდამ, — სხვაგარ, ჭალაქში მინდა გავათხოვოო“.

რა იცოდა ტატიანამ, არქიბოს თურქზე ბავშვობიდანვე ჩაყარდნია გულში. მორიდებული და მორცხვი ბიჭი იყო, მაშინ ბრავადირად მუშაობდა კოლმეურნეობაში.

ერთხელ, შებინდებისას, ჩაიდან რომ შინ ბრუნდებოდა, ორღობეში არქიბო შემოხვდა, კონვერტი გადასცა.

- ტატიანა, ეს წერილი შენია.
- ვისგანაა, ბიჭო?
- რა ვიცი, წაიკითხე და გაიგებ.

იქვე წაიკითხა ტატიანამ წერილი. მიყვარხარო, ბავშვობიდანვე მიყვარხარო. ცხაკიაში ტექნიკეში რომ იყავი, უოველდღე შარას ვაყუტებდიო, შენს დაბრუნებას ველოდიო, სულ შენზე ვფიქრობდიო.

ახლა ვერც კი აუხსნია ტატიანას, რატომ ეწყინა მაშინ არქიბოს გულითადი, თბილზე თბილი სიტყვები. წერილი რომ ჩაიკითხა, არქიპო აღარსად ჩანდა, თორემ ტატიანას რისხვას ვერ გადურჩებოდა.

შესამე დღემდე კი ცოტა გაუნელდა გოგოს წყენა.

პოდა, კოლექტივის კანტორის ეზოში, კომკავშირის კრების მერე, არქიპო ცალკე გაიხმო ტატიანამ და მისდაუნებურად ეს უთხრა გაფთხებულ ჰახუკს!

— კი მარა, წერილი რა საჭირო იყო, ისე ვერ მითხარა?

არქიბომ ძლივს ამოიღულღულა:

— მეოქვა კი არა, მოწყრა რომ გავებდე, არ გიციის?!

მერე...

სიღამოს ერთმა ენატარტალა ჰალმა წამოიჭახა, არქიბოს ტყის ჰრისას ნაჯახით ფუხი გაუბია და, მგონი, აღარც კი შორჩესო.

ელდა ეცა ტატიანას. კინაღამ შეჰკიედა. იმ დედაკაცის სიტყვამ აგრძნობინა, რომ მის გულში საღდაც რაღაც იმალებოდა. იმ დღემდე არ იცოდა ეს ტატიანამ.

მაშინვე არქიბოს ეზოს ჰქიშვარი შეაღო და... ერთ ღამეს დედას და მამას ჩემად, ჭურღულად გამოეპარა სახლიდან თვრამეტი წლის ჰალიშვილი,

ეს იყო და ეს.

„სხვაგან, ჭალაქში მინდა გავათხოვოო. ჩაიში არ მინდა ჩაყლა ჩემი გოგოო“.

ეს, რას არ იფიქრებს დედის გული! არქიბომ იმ საშხადში დატოვა დედა და ორჩვილიანი ტატიანა. ომიდან რომ დაბრუნდა არქიპო, ეს ოდა-სახლი დაბვედრა ცოლმა, შავრამ რას იზამ, არქიბოს აღარ ეღირსა მასში ტყბობად დაბერება. ოთხმოცი წლის ანეტა დეიძლ



დღისათვის უღვას მხარში რძალს. ბედნიერად დედა იყო ანეტა, ომი რომ არ ატეხილიყო. სა-ნატრელი რძალი მოუყვანა, მაგრამ ომი დაიწყო თუ არა, არქიმო ფრონტზე წავიდა. დედის ორი წვილბავშვიანი ტატინა დაუტოვა. ორ აყვანს არწყვდა ერთდროულად ანეტა, ხელს უშვართავ-და რძალს. არქიმოს მავივრად ბრიგადირობა ტატინას ჩაახარა თავმჯდომარემ, კაცები ომ-შია და შენ უნდა ითავო ეს საქმეო. დედამთილი ყოველგვარ ოჯახურ საქმეს ამორებდა ტატინ-ნას. ბავშვების მოვლა, რეცხვა, სადილ-ვაშშამი, შინაური წვრილფეხობა და მსხვილფეხობის მოვლა, — ყველაფერს ამას ანეტა აუდიოდა, ახლაც ასეა ანეტა.

არქიმო ომიდან მძიმედ დაჭრილი დაბრუნდა. ტატინამ მომძლავრებული ოჯახი დაახვედრა ქმრას. თავს გაღაფა, უშეურნალა, მაგრამ ვე-ღარაფერი უშეველა. კიდევ ერთი ბავშვი შევიძინა ტატინას და მეოთხედზე ორსულად იყო, როცა მეცრად გარდაიცვალა არქიმო.

ღირსეული ცვლა

— ტატინა!

შარის კიდულზე სატყებუნიოსკენ პირშექცეუ-ლი ტატინა დაფეთებულივით შემობრუნდა.

— ეჰ, გერონტი ხარ, ბიჭო! რა იყო, რა ამ-ბავია?!

— უნდა მიშველო, ტატინა.. იმ ქალების მოკრეფილი ჩაი დაგვიწუნეს, არ მიიღეს, გა-დაახარსხეთო. უნდა ვადაშინარისხო საჩქაროდ.

გერონტი ტყებუნიავა მუხუთე წელია ბრიგა-დირად მუშაობს. ყოილი ბრიგადირია. შარშან მისმა ბრიგადამ ასოცდაოთხი ტონა ჩაის ფოთ-ლის საყვლად, ასოცდაცხრამეტი ტონა შოკრი-ფა. შრომის ვშირი ტატინა ტყებუნიავა მისი ბრიგადის თვალისჩინია.

— პლანტაციაში მივდიოდი, ბიჭო, ჩემი დღე რომ გამიცდება?

— არა უშავს, ტატინა, — შენ მინეც მოა-ხერტებ შენსას. შე ქალო, ერთ დღეში ოცდა-ჩილმეტი დღე გამომეშავე, არ გახსოვს?!

ჰო, ეს მართლა ასე იყო, 1950 წელს. პირვე-ლად გავარდა მამინ მისი სახელი საქვეყნოდ. ჩვეულებრივი დღიური ნორმა მამინ ათი კი-ლოგრამი ჩაის ფოთოლი იყო. ტატინა ისე დაოსტატდა, რომ მიადგა ერთ დღეს და 257 კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრიფა. 26 შრომა-დღე გამომეშავა იმ ერთ დღეს ტატინამ.

— კი მარა, დაკარგულ დღეს სადღა დაეიჭერ, ბიჭო? — ჩაიკრიკა ტატინამ გერონტის.

— ჰო, ეს კი ასეა...

ტატინა ეზოში ჩაივლიდა და რკინის ქიშკარი გაღო.

ურემი ეზოში შეჭრილდა.

— ლელის ჩრდილში დაყარე, ბიჭო? — მი-მართა ტატინამ მეურმეს.

ურემი ლელის ხესთან შეჭერდა. გერონტიმ და მეურმემ ჩაის მწვანე ფოთლები ურმიდან მოლზე დაახვედეს.

ამასობაში მზეც წამოადგა მაღალ გორებს.

ტატინამ ქვედი ლელის მიტეხილ ტოტზე ჩამოკიდა და ხელთ ფოთები დაეწყო მოლზე დახვეებულ მწვანე ფოთლებს.

ქიშკარს ღორა ტყებუნიავა და ნელი დეიხვი-ლია მიადგნენ.

— მოდით, გოგოებო, მოდით! — ეზოში შე-მოიხშო ისინი ტატინამ. გოგონები ეზოში შე-მოვიდნენ.

— გოგოებო, შეხედეთ, როგორი ფოთლები დაეკრეფათ ქალებს, — ტატინამ გაუხეშებუ-ლი ფოთლები ხელს გულით გაეწოდა გოგო-ებს, — ასეთ ფოთოლს კაცო შოკრეფს! აბა, ნოლით ახლა, ჩწარა ვადაეახარისხოთ, თორემ ასე დახვეებულ დღეებს ჩავვიხებებს და ესე-ნიც ვაგვიფუტდება.

ტატინამ ბერი ზანელი მუხაიე იზხარდა. ისინი ახლა კარგი მეჩაივები არიან, ახლა ღო-რასა და ნელის უზიარებს თავის გამოცდილე-ბას, თვალ-ყურის არ ამორებს გოგონებს.

ესაქარე თუ მარაქიანად არ გეკნა, რაინდ კრეფის კარგი ოსტატი იყავ, მინეც ვერაფერს მოკრეფ, ჩაის ბუნქებს მოვლა უნდა.

გავერანებული ფართობი ჩიბარა ტატინამ, მაგრამ აბა, ახლა ნახეთ, როგორია მისი პლან-ტაცია! ზანელები ახლა ტატინას პლანტაციას „ტატინას ჩაის“ ეძახიან.

თავის დროზე თოხნის, ისე თოხნის, რომ ჩაის ბუნქის არც ერთი ფესვი არ დაზიანდეს. თავის დროზე სასუქი შეაქვს, განსაკუთრებით ორგანიული სასუქი. თავგამოდებით ებრძვის სიმუხურებს, ალაგ გამორავებს, ალაგ ტოტს გა-დააწვეის ხოლმე მიწაში და ასე აყვებს გამე-ჩხებულ მწკრივს.

ღორა და ნელი გულდასმით უთვალთვალდებენ პლანტაციაში მუშაობის დროს გამოცდილ მე-ჩაიეს. ბევრი რამ ისწავლეს ტატინასგან და კიდევ ბევრ რამეს ისწავლიან, ადრე ღორა და ნელი ოც-ოცდახუთ კილოგრამ მწვანე ფოთოლს კრეფდნენ დღეში, ახლა კრეფენ ორმოცდაათ-სამოც კილოგრამს. მათი ოცნებაა, ომუნი შოკ-რიფონ, რამდენსაც ტატინა კრეფს.

ისინი ტატინას ღირსეული შეშველებები იწეზიან.

ჩინელი მეგობარი

არავის შეუძინეგია, როგორ შემოვიდა ეზოში ფოსტალიონი. ლელის ჩრდილში ტატინას გაზეთი და წერილი გადასცა. კონკრეტის რომ

დახედა, მოიცა, მოიცაო, სახლში შევარდა, არაყი და ხმელი ხილი გამოიტანა და ფოსტა-ლიონს დაესხა არაყი.

კონვერტი გახსნა ტატიანამ. წერილი ზინეთი-დან იყო. გაეხარდა ტატიანას. წერის ზინელი მეგობარი მეჩაიე ჯან ცინ-ხე უგზავნის.

მოლზე ჩამოჯდა, გვერდით მიუსხდნენ გოგონები და ვერონტი, ხმაშლდა ჩაიკითხა წერილი.

1959 წელს გაზეთში ნახა ტატიანამ ცნობილი ჩინელი მეჩაიის ჯან ცინ-ხეს სურათი. დაინტერესდა წერილი მისწერა.

„ჭალიან მიინტერესებს თქვენი შრომისა და ცხოვრების ამბავი, — წერდა მის ტატიანა, — ამიტომ ვთხოვთ გამოგზავნათ ჩემს წერილს, ერთმანეთთან დავამყაროთ მეგობრული ერთი-ერთობა, შევეჯიბროთ შრომაში, მეტი ჩიასათვის ბრძოლაში“.

ჯან ცინ-ხე ჭალიან დაინტერესებულა ტატიანას ოსტატობით. ტატიანა ხომ ათივე თითით კრეფს ჩაის.

ჯან ცინ-ხემ მოსწერა ტატიანას:

„ვეარჯიშობ ჩაის ათი თითით კრეფაში. ნება მომეცით გულწრფელი მეგობრობა და ურთი-ერთობა დავამყარო თქვენთან. გისტრებთ ახალ დიდ წარმატებებს ჩაის საქმის განვითარებაში. ჩემი სამშობლო ანხუელს პროინცია. ჩვენში ხარობს მთელ ჩინეთში ვანთქმული ჩაი. სახსოვრად ვიგზავნი ფოტოსურათებს. თქვენი ჩინელი ამხანაგი ჯან ცინ-ხე“.

მის მერე ურთიერთობა არ ვაუწყვეტიათ ქართულ და ჩინულ მეჩაიე ქალებს. ქართული და ჩინური ჩაი ხომ მსოფლიოში სახელგანთქმულია. მშობლიური საქმის დიდმა სიყვარულმა დაამეგობრა ერთმანეთთან ჩაის ქართული და ჩინული ოსტატები.

ჯან ცინ-ხე დამარბებულია, ჩამოვალ, გესტუმრები. ამას ელოდება ახლა ტატიანა.

ასე მოუთმენლად ამიტომ ჩაიკითხა ახლა მეგობრის წერილი ტატიანამ. როგორც კი ჩემს წლევახდელ ვალდებულებას შეეასრულებ, უსათუოდ ჩამოვალ და გინახულებთ, წერს ახლაც ჯან ცინ-ხე.

ზანა ძალიან ღამაში სოფელია. სტუმართმოყვარე და გულუბვი ხალხი ზანელემა. მთელი ზანა ელოდება ძვირფას სტუმარს.

ურილობიდან ყრილობამდე

პოდა, ტატიანაც თავს არ შეირცხვენს. ღირსეულ სტუმარს ღირსეულ მასპინძლობას გაუწყეს.

ჩვენი მშობლიური პარტიის მეოცდარბთე ყრილობის დელეგატი იყო ტატიანა. მის სი-ოცობლეში არ დაავიწყდება ტატიანას მოსკოვ-ში ყრილობის დღეები.

ახლაც ხშირად ეკითხებიან ხოლმე მისი მო-

წაფეები, ლორა და ნელი, იმ დღეების შესახებ-დიდებებს.

კრემლეში, ყრილობის სხდომაში უკრებში რომ შევიდა, მის აღტაცებას სასტუმრო არ პქონდა. გელსსუფრით უსმენდა ხრუსჩოვის მგზნებარე სიტყვებს. შესვენების დროა ხრუსჩოვი დელეგატებს შორის იღგა და საუბრობდა მათთან. ტატიანას ხელი ჩამოართვა, გაესაუბრა. მის სიოცობლეში არ დაავიწყდება ტატიანას ეს წუთები.

ყრილობიდან დაბრუნებულმა გაორკეცებელი ენერჯით დაიწყო შემოაბა, ყრილობამდე თუ თორმეტნახევარი ტონა ჩაის ფოთოლს კრეფდა წლიურად, ყრილობის შემდეგ, შეიღწეულის პირველ წელს, ხუთმეტ ტონაზე მეტი ჩაის ფოთოლი მოკრეფა.

ახლა სოციალისტური შრომის გვირი მშობ-ლიური პარტიის ოცდამეორე ყრილობას უფრო დიდი წარმატებებით შეეგება. ოცდამეორე ყრი-ლობის აღსანიშნავად მან სახელმწიფოს ჩაბარა ჩვიდმეტნახევარი ტონა ჩაის ხარისხობანი ფო-თოლი.

ახლა უოველი დღე ძვირფასია ტატიანასათვის.

ხოწელი იზოლდა წოწონავა ეჯიბრება ტატი-ანას. შარშან ზონში ესტუმრა იზოლდას. მოეწონა ტატიანას მისი პლანტაცია. დაეკაშია ტატიანამ, შევიდა ჩაიში და სამ წუთში რვა კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოკრეფა, გაახარა იზოლდა ტატიანას ოსტატობამ. იქ დამსწრე ერთმა ხონე-ლმა მასპინძელმა თქვა კიდევ: „როგორც ზღე-ში გემი, ისე მიცურავს ჩაიში“.

პოდა, უოველი დღე ძვირფასია ახლა ტატი-ანასთვის, არ იჯობოს იზოლდამ. ბრიგადირმა კი გააცდენდა დღევანდელი დღე, მაგრამ რას იზამ, იგვეც ხომ საერთო საქმეა. არა უშვეს. ტატიანა ამ დღის ტვირთსაც მარჯვედ აზიდაეს.

მზე გაღაიხარა.

გაღაიხარისებული ფოთლები ისევე ურეშვე დაუარეს. ბრიგადირმა და მეურმემ საჩქაროდ გააქანეს ჩასაბარებლად.

დღედათილმა პატარა სუფრა ლელვის ჩრდილ-ში გამოუტანა რძალსა და სტუმრებს. გემრიე-ლი სადილით დააბურა ისინი.

მერე ტატიანამ საჩქაროდ ზელ-პირი დაიბანა, ტანზე გადაიცვა. კანტორაში მივდივარო, დე-დამთილს უთხრა და გოგონებთან ერთად შარ-ზე გავიდა. შარაზე გავიდა თუ არა, ზინა და ნესტორი კითხვები შემოხედნენ. საყვარელ მო-ხუცებს მიესალმა ტატიანა.

ზინა და ნესტორი ტატიანას ყოფილი მას-წავლებლები არიან. ნესტორი ძველი პედაგოგია. ზანაში მისი ინიციატივით აშენდა სკოლა. მისი აღზრდილები დღეს ცნობილი მოღვაწეები არი-ან. ახლა ნესტორიცა და მისი მეუღლეც, ლენინ-ის ორდენოსანი ზინა, პენსიონერები არიან.

ზინა ქართულ ენას ასწავლიდა ტატიანას.

ტატიანა შუაში ჩაუდგა საუვირელ მოხუცებს და მკვლავაყრილი გახედა მათ, ღორა და წელი შორიახლო მოკრძალებით აედევნენ.

— რაც უფრო მეტი სახელოვანი ადამიანი უავს, სოფელი მით უფრო ძლიერია, ჩემო ტატიანა, — უთხრა ზინამ ტატიანას.

— გოგოებო, — ნესტორმა ღორას და წელის გადახედა, — ტატიანა ჩვენი კარგი მოწაფე იყო. ჩვენი სიბარული განუზომელია, ის ხომ საქვეყნოდ ცნობილი ქალაქ შეეცადეთ თქვენც ასეთივე კარგი მოწაფეები იყოთ ტატიანასი. მისგან ბევრი რამ შეგიძლიათ ისწავლოთ. სო-

ფელს და ქვეყანას გაუხარდებო, თუ ასეთი სახელოვანი ქალები იქნებით.

გოგონები მოკრძალებულად ჩაღმებოდნენ და მათ უანგარო ღიმილში ნათლად ჩანდა მათი უსიტყუო პასუხი: „ჩვენ ვველაფერს ვისწავლით ტატიანასგან, ვეცდებით ისეთივე სახელოვანი საქმეები გაეკეთოთ, სოფლისა და ქვეყნისათვის, როგორსაც ტატიანა აკეთებს. არც ჩვენ შევარცხვენთ ჩვენს მასწავლებელს“.

ისინი მართლაც ღირსეული შემცველები იქნებიან ტატიანასი. ეს გოგონები კომუნისტური წესისა და კომუნისტური მომავალ თაობებს უამბობენ ჩვენი დროის საგმირო საქმეებს.



საგზო გონჯიღაშვილი

ნიტორიული ყრილობის გონაწილე

მალალ ვალაყანს საყმაოდ მოზრდილი ფარ-
თობი შემოუტყალავს. გარედან მხოლოდ ვა-
ძარცული აყაყები და ცადაზიდული მილი
ჩანს... ფართო ჭიშკრის თავზე დიდი ასოები
იფუყებინან: თბილისის ავტოშემყეთებელი ქარ-
ხანა.

უხო საყსეა თეთმცელი და საბარგო მან-
ქანებით. ძარამოსნილი კაზინები თავკომბალე-
ბივით დიდოდაყენ ასფალტზე...

ცოტა უფრო ზეით ფერადი, უფანჯრო და
უყარებო, უთვლებო და უმოტორო ავტობუსე-
ბი ერთმანეთზე მოყრით მილაგებულან.

ავტობუსების მწყრების პირდაპირ გრძელი
შენობაა. შენობისათვის ფართოდ მოუტრეყვიათ
კარი. შესასვლელში გიგანტური კოლოფს — ავ-
ტობუსის ძარას — ხარაბუნასავით მითრეყს
პატარა მანქანა. აქ ასეთი კოლოფები ბევრია.
ისინი გრძელ დარბაზში ჩარიგებულან ორმე-
კრივად. დგანან პირისპირ. ამოშრეტლი თვა-
ლებით მისჩერებინან ერთმანეთს. ისინი საყულ-
დაყულად გამოუფატრავს მანქანების ქი-
რურებს — ზეინყალს. ჩონჩხად ქვეულნი ახლა
დგანან და „მალამოს“ ელიან, — სხეა ოსტატის
მარჯვენას ელიან...

ეს შენობა საავტობუსო — საძარე საამქროა.
შენობა საყსეა ხმაურით. ელექტრობური ციბ-
რურტვიით ტრიალებს. ხრქიალებს ლითონი.
გამოცდილი ოსტატის ხელში მაყის სიშხო
რკინა დეყდვიით იგრახება.

საამქროს ჭერი მალალია. ყედლებზე ახალი
აღისფერი ტილოები გაყიმულა. ტილოებზე
თეთრი წარწერები ძახილის ნიშნებით ბოლოე-
ლებინან:

„წარმატებით შეყასრულოთ კომუნისტური
პარტიის ოცდამეორე ყრილობის ისტორიული
გადამყვეტრებები...“

საამქროში ოთხი ბრიგადაა. ბოლოში ავტო-
ბუსებს შლიან. მეორე და მესამე ბრიგადები
მანქანის ძარასა და ჩარჩოს აყემონტებენ. კე-
რის პირდაპირ მეოთხე ბრიგადა მუშაობს. ამ
ბრიგადაში შვიდნი არიან, შვიდღევს გამყრული
კომბინიზონი აყვია. კანდაყორაყებულ მუხასავით
დგას კვლარა ბერიყაცი. მათ წინ გიგანტი ყუ —
ავტობუსის ძარა გაფაფხულა.

— აბა, აყწითო! — ხელით ანიშნებს დროუ-
ლი მანქანაზე.

აქ აღამიანები იშვიითად ლამარაკობენ. საამქ-
როში ხმურია და ამიტომ იშვიითად ლამარა-
კობენ. აქ ხელის მოძრაობა ჩინებულად ასრუ-
ლებს სიტყვის როლს.

გგონია, შეიდი ეყაკაცი ერთდროულად დე-
ტიდება გიგანტს. მაგრამ ერთი მათგანი მიდის
ელექტროდინამიკატთან და დინჯად გადმოსწყევს
სახელურს.

რალე აღმუვლდა, აგრიალდა. ძარა შეტოყდა,
შეირბა, მერე ერთბაშად მოწყდა იდეილს და
პაერში გამოეყიდა.

ქვემოდან საყრდენები შეუდგეს, გაამაგრეს.
მოიტანეს კიბე...

— დეიწითო! — ზათქსა და ზრიალში მიინც
ისმის ბერიყაცის ხმა.

აქ აღამიანები ხმამაღლა ლამარაკობენ, მყე-
თრად, რიხინანდ. მითი ხმები ლითონივით
ყდერს.

ბერიყაცი პირველი აღის კიბეზე ცოცხლად,
ხალისინანდ. საშუალო ტანისაა. მხრებზე მსუბუ-
ქად მოუგდია ორმოცდაცხრამეტი წელი. სახე
დაღარული აქვს, ლითონისფერი.

ძარაში სინათლე ჩართო. ყედლები აყაყაშ-
და. ყედლებზე გაზეთებიდან ამოკრილი სურა-
თები გაუყრავთ ბიჭებს. ახლოს მივიდა. სახეზე
ნაოჭები წაშალა ნათელმა. თაფლისფერი თვა-
ლები ოდნეე მოჭეტა.

ცხლად წარმოუდგა მოსყოვი, ყრილობათა
სასახლე — სულ რამდენიმე დღის წინ ხომ იქ
გადაიღეს ეს სურათები. ის კოვბაყია, ეს კი,
თვითონ — მუხიგულამეულია.

— რაო, ძია პაეღე, ვერ იყინი?! — ეღგუჯა
ჭავთარაყე ქვემქვეშ უყურებს მოხუცს და ტუ-
ჩებზე დიმილი უყრთის.

„ძია პაეღეს“ არაფერი უთქვამს. ჩაქუნი
მარჯვედ შეატრიალა ხელში და გამობურცულ
ყედლებს გასწორება დაუწყო.

კარგი ბიჭები ყავს ბრიგადაში პაეღეს, გე-
ლისყურებანი. შრომა ხომ უყვართ და უყვართ.
მხოლოდ შეასახეღე და მზად არიან. ეყვსი
მარჯვენა თორმეტის საქმეს აყეთებს. ასეთი
ბიჭებით მისს შესძრავ ყაცი, მანქანების აყყო-

ზა რა არის, როგორი საქმეა! პავლე სამჯერ ზედზედ იქნა არჩეული უმაღლეს საბჭოს დეპუტატად. ბოლოს ხომ ასახელეს და ასახელეს ბიჭებმა. კომუნისტთა დიდი ფორუმი ახლოვდებოდა. რით შევხვდეთ ოცდამეორე ყრილობასო. ბჭობა გაპაროეს. თვის ბოლოსათვის გვეგმით გათვალისწინებული ოცდაექვსის ნაცვლად ოცდაათხმეტი ავტობუსი ავაწყოთო. ოცდაათხმეტიო, თორემ რატომ ოცდათექვსმეტი არ ააწყეს... პოდა, მოსკოვისაგან ვინა დაულოცეს ქაღარა ბრიგადის... ექვსივეს მან შეასწავლა ზეინკლობა. ექვსივე მშობლიური სუფიარული უყვარს პავლეს, მიდი და ნუ დაუფანებ.

აქვე, ძარის ეკლესიას რომ ამირყვებენ, რვეზ კანანაშვილი და ელგუჯა ქავთარაძეა. ისინი მარჯვედ ზურღავენ ლითონს. ნამუშევარი უნდა იყოს სუფთა. აქედან ვასული ავტობუსი ახალს უნდა გავდეს. ხმალაქე მანქანის ქვეშ შექმარა — ხაღებს უყვანებს. ფრთხილობს, ძალიან ფრთხილობს რვეზში. ქანჭიფა წესიერად უნდა მოარგო, ხრახნი საიმედოდ ჩახრახნოს. ცუდად აწყობილი მანქანა ისევე მალე გახდება დასამლეული; ვიორგი გოჯიაშვილი ძრავას ჩაქორცილებს. თვითონ მძღოლია და იცის, რა არის მანქანისათვის ძრავა, ჯიუტად ჩაქორცილებს...

მარჯვედ ტრიალებენ ზეინკლები. დღეს ამ ავტობუსის აწყობა უნდა მოამთავრონ და დაიწყონ ახალი. ხედავს უფრო ატყე მორჩებიან და სხვას ჩამოაყენებენ. ასეა ყოველ ცისმარე. რა ვუყოთ, თუ გვემა მხოლოდ ოცდაექვსი ავტობუსის აწყობას ითვალისწინებს თვეში. რაღა კომუნისტური შრომის ბრიგადაა, თუ ყოველთვის 5-6 ავტობუსით მეტს მაინც არ გამოუმუშავს. მათში ბრიგადამ ქარხანაში პირველად მოიპოვა ეს სახატო სახელო და ჯერ პირველობაც არაეისთვის დათმობია...

პავლე საჭის დაყენებას შეუდგა. მარჯვნიდან ცარიელი ბუდეები შეყურებდნენ. იქ ელემტრომრიცხველებს დააყენებენ. ნეტავ რამდენი კილომეტრი ეწეებოდა გველილი. ასითათს? ორასი? სამასი?... იქნებოდა ლამაზი, ძლიერი. ბოლოს მაინც უმეტესად ღონემ. დრომ და ჯაფამ გაცითა რკინა, წამალა საღებლო. დიდხანს დახრილს წელი სტყენოდა. გასწორდა, ღრმად ჩაისუნთქა. — მშ, ასეა ადამიანიც, ვარსკვლავებს ეთამაშები, ცა ქუდად არ მიგანია და დედამიწა ქალამნად. მიიხვდა უკან და... შეკრთები. არ იცი, სად გაფრინდნენ წლები. თვალს გადაავლებ განელილ გზას. უუ, რამხელა მინძილი დაგვიტოვა! ოცი... ორმოცი! კიდევ ერთი შემოღვომა და სამოცი მუყაყენებ. სად ვაფრინდნენ, სად? ან როდის? ნუთუ მართლა ამდენი დრო გავიდა? მაშ, როგორ ხედავს ასე

ცხადად იმ დღეებს, ვაუმეორებულს, შერად ვატარებულს, ტკბილად მოსაგონარს.

...თელათგორი. ყავარგადადარებული მიწერი სახლები... ჰაპა თვედორე ჰარტმუტებულ ურემს მოარახრახებს ვიწრო, გრობიზინან ორლოდუნან ტრელიანა ბავშვები ერთიმეულთ მოსდევნ უკან, ეკიდებიან ურმის ბოლოს, ზოგიც ზედ ადის... ის პატარაა, ისიც ურემს მისდევს, ეტორელიალება და ვერ ადის, უნდა ასედა და ვერ ადის. ხორკლიანმა გორახებმა შიშველი ფეხებზედ სისხლი გამოადინეს და მაინც მიბაჯბაჯბებს. წაიდობხადა, წაიქცა. პატარა ხელეში, ჩვილი ხელეში დაეაყრა და ატირდა. ვანა სიშვარითა?! ო, რატომ დიდი არ არის... ჰაპა თვედორე ურემს აჩერებს. მიდის მისთან, აყენებს, ეფერება, კოფოზე სვამს და სახრეს აძლევს ხელში: შენ გარეყო. სიხარულის ცრემლი, გაბურღულ ტუჩებზე ვადარბენილი ღიმილი, ნათლი, ცამკობა. ტრელიისაგან ამხვი გადახედვა: აბა, შემომხედეთო. ტრელიის შერი, უბორბო, ბავშვური.

მუხაგულაანთ მიხაკოს ღარიბულ პერქვემ ცხრა პირტყე იბუშმულეზოდა. ოჯახის დედა — ელისაბედი, დიდიდან საღამომდე ფეხნაურეფად ტრიალებდა, მაგრამ შეილებს ტანისამოსის რუცხვა-კერებასაც ძლივს აუღიოდა. უჭირდა მიხაკოს ოჯახის რჩენა. პავლე პირველის მოზღვენი იყო და მალე შეადგეს ოჯახის მძიმე უღელი სუსტ კისერზე — ჰაპა თვედორეს დაყვებოდა სოფლის ნახირში...

ტკბილი საუბარი იცოდა იმ ცხოვრებულმა. ზემ თვეზო, იტყოდა ხოლმე, წისქვილის ქვა არ დაბრუნებულა, თორემ... იმის გაუკეთებელი არაფერი იყო. პატარა ბავშვის რომ დაე-საქმა, არ დაზარდებოდა. მეზობლებს მალამო იყო. დათესილი სიყვით არასოდეს დაეკარგებო, ხშირად იცოდა თქმა.

ჰაპა თვედორეს თვალთ დაეკლდა და ცოტა სენსასაც უჩიოდა. არც მაინცდამაინც ღონემ მისდევდა, თემცა მუდამ საქმიანობაში იყო. დამტრეფული ურემი მოეტანათ ვასამართად. უბე მოზღვეული ქქონდა, ქვალეზ დაეყენილი. დერძი თითისტარებით გაელა ქანჭივინა.

— ჰაპა, ურემი სულ გაცვეთილია, რაღას ივარკებს.

თვედორემ მადლიდან გადმობედა.

— ჩემო პავლე, ისე გავაახლო, რომ ველაბც იცნოს. — მერე ურემის ბოლოზე შერჩაბი უკანასკნელი ჰალიო მოაძრო. — სიბერეს ვერაფერს ვუმერები თორემ... დავბერდი, ჩემო კარგო, დაჩაჩანაქდი. თელსა და ხელს შუა გამოფრინდა ასი წელი. მშ, მერე რა უქებად ასი წელი! წუთისოფლისათვის ერთი თვალის დახამხამება, აბა! — ჰაპა თვედორე გაიწმიდა, გაიჩრდილა. მერე ყრუდ, თითქოს თავისთვის ჩაიდუღუნდა: — ასევე, მამ... ადამიანები დიდხანს

თავიანთი საქმეებით ცოცხლობენ მხოლოდ...

ვერ იქნა და ქანკიო ვერ მოარგო პავლემ. მონსნა ისევ. საკის ბოლო ძირამდე არ ჩასუ-

რთა, გაასწორა, — სიძველეს რა უჭირს. გა-

ნახლება შეიძლება, თუნდაც ეს ავტობუსის ახლა ისინი აღადგენენ, ხორცს შესახებ, სულს ჩაბერავენ. მანქანა კვლავ დაკეცეს გზე-

ბსა და ვაბატეცილებს. ახალი მრიაცხელი ახალ კილომეტრებს დათვალს... აღაშინებენ კი...

აღაშინებმა თავიანთი საქმეებით უნდა იცოც-

ხლონ...

როცა მან, მუხიგულაშვილმა, ამავე საამქრო-

ში პირველი ავტობუსი ააწყო, 33 წლისა თუ იქნებოდა, ჯან-ღონით სავსე. საუკუნის მეოთ-

ხედი ამ მოგუგუნვე ღარბანში გალია, ხრახ-

ნებსა და ქანკიების კარკიტში გალია...

21 წლისამ მიატოვა მშობლიური თელავგო-

რი პავლემ. პატარა სოფლის შემოგარენი ვეიწ-

რობოდა. დიდი, საგმირო საქმეებისაკენ მითუ-

ხმობდა იდუმალი ხმა. პოდა, ერთ დღეს მია-

ტოვა სახრე და გუთანი, გუდა და ნაბადი; უკან

მიუხედავად გამოარბინა სოფლის ვეიწრო, ტალ-

ხანი ორღობე, კასში თბილისისაკენ მიმავალ

გატარებელს შეაბტა და მცხეთაში ამოყო თავი.

პირველად ზაქსის პიდროლსადგურის მშენებ-

ლობაზე სცადა მარჯვენი პავლემ... მალე ჯარ-

ში გაიწვიეს. ორი წელი ახალი ქვეყნის საღა-

რაჯოზე იდგა ზედის მამიებელი ჭაბუკი... მერე

ფოლადის მაგისტრალებს ჩამოყვა თბილისში.

ღიანდაგების შევითებაზე დაიწყო მუშაობა.

ღრი ტექნიკების მეორე კურსზეა. პოდა, შეი-
ლიშვილიც ისწავლის. პავლე შეაფიქრებს პრო-
მას. მერაბი ინიინერი იქნება, გამოშვონებული.
მაშ, როგორი პაპის უნდა გასწიროს მს... უტრე-
ვნია მამულსა...

სამუშაო დღის პირველი ნახევარი მიიწურა.

არა, ზეინკლები საათებს როდი დაუტრებენ.

გაეეთებულ საქმეს დახედავენ და შეუტდომ-

ლად გატყვიან, რა დროა...

ეგულუა და რევაზი ძარიდან ჩამოვიდნენ.

პავლემ უკანასკნელი საჯდომი დაამატა, მერე

ძარის კედლები გულდასმით შეათვალიერა,

„ყოჩაღ, ბიჭებოო“, ჩემად თქვა, თავისთვის

თქვა და ისიც ჩამოვიდა, ზეით უკვე მოთავე-

ბული იყო საქმე.

ყველა ხმაღაქს წაეშველა ხიდების მიყე-

ნებაზე. ვინ გამოშვლებულ თვლებს საბურავე-

ბი გადაეცა, ზოგმა ქანკიები დაუჭირა...

ცოტაც და ავტობუსი მზად იყო ამწევი ონკა-

ნიდან ჩამოსასვლელად...

საამქრო ანაზღად დადუნდა, — შესვენება

დაიწყო...

მალე მორჩნენ სადილს. ბრიგადის წევრებმა

ისევ საამქროში მოიყარეს თავი.

— რა ვქნათ? — იყობა ვეყამ.

— რა ვქნათ და, — გიორგიმ მუხიგულა-

შვილს გადახედა, — ძია პავლემ მოსკოვის

ამბები მოგვიხსროს.

— კარგია, — კვერი დაუტრა რევაზმა.

— ქუთის კოლოფი ხარ, — თენგიზმა შავად

გაღვსილი კეზი წარბებამდე ჩამოათხატა გიორ-

გის.

პავლემ მხრები აიჩქა, ვითომ: ყველაფერი

გამბეო, ახალი აღარაფერი ვიციო. არ მოეშ-

ენენ. ბოლოს დაიყოლიეს. ბიჭები იქვე მანქა-

ნის ჩარჩობებზე ჩამოსხდნენ და ბრიგადირი

შუაში ჩაისვენს.

— პო, იმას გუებნებოდით, — პავლემ რამ-

დენჯერამე ჩაახველა, — ვუყურებ და თვალებს

არ ვუჯერო, ეს კი ნამდვილად ზღაპარული

სასახლე არის-სეთქი. რა გინდა, რა ჭეით არის

ნაგები, ფერებს არ იკითხებო? — ბიჭები პირ-

ში შეაყურებენ მოსაუბრეს. რამდენჯერამე აქვს

ნაამბობი მათთვის, თოქმის ზეპირადაც იციან.

ისინი თვალებით მისჩერებიან პავლეს, ფიქრე-

ბით კი შორს არიან. ჯერ ავტობუსები მი-

უტრავენ სადღაც და ქრებიან, მერე საამქრო

უჩინარდება. მის აღვილს იყავებს მარშარილო-

თი და ბროლით ნაგები სასახლე. ერთმანეთში

ირევა ფერები: ლალი და ზურამუხტი, ფორუზი

და მარჯანი... უზარმაზარ დარბაზში ტყვა არაა.

ყველა სკამი დაყავებულია. ზედავენ: მათი

ბრიგადირი საქართველოდან წარგზავნილ დე-

ლუგატებს შორის ზის და ტრიბუნას მისჩერე-

ბია.

— პო, იმას გუებნებოდით, — დინჯალ ყვე-

მას შემდეგ ოცდაექვსი წელი გავიდა...

პავლემ საკე დააყენა და საჯდომების დამაგ-

რების შეუდგა.

პო, კიდევ იმდენს, ალბათ, ვეღარ იმუშავებს.

ასეთია კანონი ბუნებისა. სამაგიეროდ მისი

აღზრდილები იქნებოინ აქ. მოვა ახალი ცვლა.

იქნებ მისმა შეილიშვილმავე შეცვალოს პავლე.

რა ვუყოთ, რომ მერაბი ჯერ სამი წლისაც

არაა. გაიზრდება, დაფუკავდება. ისე უყვარს

მანქანები, რომ... არა, შეილიშვილი პაპის გაას-

წერებს. პავლემ ვერ ისწავლა. თელათგორელ

მიხაყოს სად სცებოდა შეილების სწავლისათ-

ვის — დიდირო ლეკმა ვეატირებოდა. პავლეს

ჭალიშვილმა კი პოლიტექნიკური ინსტიტუტი

დაამთავრა. ინიინერია ლაა. რუსულანი მუსიკა-

ბა პაეღე: — ვესმენ ორატორებს, ხარბად ვიკერ თვითულ სიტყვას. ლაპარაკობენ ჩვენი ქვეყნის მიღწევებზე, მის წინსვლაზე. ვესმენ და გული სიამაფით მეცხება. თითქოს ახლად ამეხილა თვალი. ქვეყანა მომივილია, ბევრი მინახავს, გამივია, აქ ნახულმა და მოსმენილმა მაინც მოლოდინს გადააჭარბა. ვფიქრობ: მე, თელათორელი გლეხის, მიხაკოს ბიჭმა რა ვაეკეთე ამის ფასი, რომ ამ დიდ მარაქაში გამარბეს. ვთქვათ: ის მკურნალია, აღამიანისა სიკოცხლეს ახანგრძლივებს და აქ ამიტომ მოიწვიეს, ზოგი მწერალია — აღამიანებს აწვდის სულიერ საზრდოს, აღამიანებს მის ცხოვრებას, იმათ უამირი გატეხეს, მათ შექმნეს დედამიწის ზელოვნური თანამგზავრი, ისინი კოსმოსში შეიჭრნენ და საიდუმლოებით მოკულ სამყაროს ფარდა ახადეს და ამიტომ მოიწვიეს აქ, ამ დიდ ფორუმზე. მე ვინ ვარ? ვქვსი კაცის ბრიგადირი, — ეს არის და ეს. ვფიქრობ: ჩვენ ოც წელიწადში უნდა ავაშენოთ კომუნისმი. დღეს ეს ისევე ნათელია, როგორც ელვარება მზისა, ისევე ხელშესახები, როგორც ჩვენს გარშემო მყოფი ხილული საგნები... ყველაფერი თავბრუდამხვევი სისწრაფით გაექანა წინ. ტექნიკა დაუფლდა მზარბანებელ მწვერვალებს. აღამიანი ჩქარობს, აღამიანს უნდა დროს გაუსწროს. უოველი წამი, უოველი წუთი ძვირფასია მისთვის. ამიტომ გამოიგონა მანქანა, ორთქლმავალი, თვითმფრინავი... გამოიგონა და აღმჯობესებს: მანქანა უნდა იყოს სწრაფი, სიმიედო. ბევრი, რაც შეიძლება ბევრი...

აი, ჩვენ გეგმის ზევით, თვეში ექვს ავტოზუსს ვაწყობთ. ეს კარგი იყო გუშინ, დღესთვის კი უკვე ცოტაა. ცხოვრებას არ უნდა ჩამორჩე, დროს თუ ვერ გაასწარ, კვალდაკვალ შაინც უნდა მიყუე, თორემ სხვებს მოედები ფეხებში და გადაგთლავენ. მივადებენ გვერდზე და სამუდამოდ დაგიფიწყებენ... მაშასადამე, საჭიროა უფრო მეტი მუშაობა. პირველად თქვენ მაგონდებით: ნეტეე რას ფიქრობენ ახლა ისინი?! თქვენი დებუმა რომ მივიღე, ფრთები გამომესხა, ვამბობ: ასეთი ბიჭები სიტყვას არასოდეს გაგატეხინებენ. ერთი სული მჭონდა ჩამოესულაყავი თქვენთან...

*
*

საყვირმა აუწყა სამუშაო საათების დამოუტრება ავტოშემკეთებელი ქარხნის მუშებს. საავტობუსე საძარე სამჭროდან ნელ-ნელა გაიკრიდნენ ზეინკლები.

— სიბერეს არ უტყდები, პა, პაეღე! — შეაგება ტიშკართან მდგარმა მორიგემ ხალისიანად მომავლ ბერაკას.

— რა გატეხს, როცა ასეთი არწივები მხარში გიდგანან, — პაეღემ ღიმილით გადაბედა ბიჭებს.

ქუჩაში რომ გამოვიდნენ, ხეთა ჩრდილები უკვე წაშლილიყო. მაღალი გალაგნის იქით მხოლოდ ფოთოლგაცვენილი აკაცების კენწეროები და ოდნავ შემურული მილი ჩანდა...



ბიოგრაფიული

ლომონოსოვი და ქართული ფილოსოფიურ-მეცნიერული აზროვნება

მიხეილ ლომონოსოვი თავისი დროის უდიდესი პროგრესული მოაზროვნე იყო. მან შესანიშნავად აითვისა ძველი და ახალი ფილოსოფიური სისტემები და მაღალ საფეხურზე აიყვანა რუსული ფილოსოფიური აზროვნება. აღსანიშნავია, რომ მისი ფილოსოფიური ნააზრევი არასოდეს არ ატარებდა აბსტრაქტულ ხასიათს. მისი თეორიული დასკვნები და განზოგადებანი ყოველთვის მრავალჯერ ჩატარებული ექსპერიმენტებიდან, პრაქტიკული დაკვირვებებიდან გამომდინარეობდა. მართალია, ლომონოსოვს ჰქონდა ზოგიერთი ბუნდოვანი წარმოდგენა მატერიის მოძრაობის დიალექტიკურ პროცესზე, მაგრამ ძირითადად იგი მეტაფიზიკური მატერიალიზმის პოზიციებზე იდგა. სამყაროს აგებულებისა და მისი მოვლენების გაგებაში იგი სტიქიური მატერიალისტი იყო.

დიდი რუსი მეცნიერის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ ის იცავდა სამყაროს ევოლუციური განვითარების აზრს. იგი ამტკიცებდა, რომ სამყარო, რომელსაც ადამიანი ხედავს, ღვთის სასწაულებრივი გარეგანი ბიძგის წყალობით კი არ წარმოიშვა, როგორც ამას ნიუტონი ამტკიცებდა, არამედ თანდათანობითი განვითარების შედეგად.

ეს მატერიალისტური ფილოსოფია საფუძვლად უდევს ლომონოსოვის ყველა მეცნიერულ შეხედულებას, ყოველ მის ნაშრომს; იგივე უნდა ითქვას მის ესთეტიკურ კონცეფციასზეც.

ლომონოსოვი კლასიციისტი იყო, მისი ესთეტიკური პროგრამა და მხატ-

ვრული პრაქტიკა ძირითადად კლასიციისტურ ხასიათს ატარებდა. როგორც ვეროპელი და რუსი კლასიციისტების, ლომონოსოვის ესთეტიკურ შეხედულებათა ფილოსოფიურ საფუძველსაც რაციონალისტური მსოფლმხედველობა წარმოადგენდა. ლომონოსოვიც, გრძნობასთან შედარებით, გონებას ანიჭებდა უპირატესობას და მხატვრული ნაწარმოების შექმნისას გონების განყენებული ზოგადი პრინციპებით ხელმძღვანელობდა; ისევე როგორც ბუნების შესწავლის დროს, აქაც განყენებულ რაციონალისტურ პრინციპებს იყენებდა; მხატვრულ ლიტერატურაშიც იგივე ლოგიკური, აბსტრაქტული სქემები გადაჰქონდა. ლომონოსოვი მოითხოვდა, რომ ლიტერატურას წარმოესაბა არა კონკრეტული ყოველდღიური ყოფაცხოვრება, არამედ ზოგადი, განყენებულ რაციონალისტურ კანონებთან შეფარდებული ობიექტური სინამდვილე. როგორც სხვა კლასიციისტების, ისე ლომონოსოვის შემოქმედებაშიც ვერ ვხედავთ კონკრეტულ ისტორიულ სინამდვილეს. ბ. ბელინსკი ამბობდა, კლასიციისტების მხატვრულ ნაწარმოებებში სახეები მოცემულია ადამიანების გარეშე, ხოლო ამბები და მოვლენები დროისა და სივრცის გარეშე.

კლასიციისტები ხელოვნების მთავარ ფუნქციად ემოციურ ზეგავლენას კი არ თვლიდნენ, არამედ რაციონალურს, ე. ი. ზეგავლენას არა ადამიანის გრძნობაზე, არამედ გონებაზე. აქედან გამომდინარე, მათ შეიძლება შეესაბამებოდეს მხატვრული ნაწარმოების შექმნის ურყევი დოგმები, მშრალი, განყენებული სქემები, რომლებითაც

მათი აზრით, უნდა ეხელმძღვანელა ყველა ჰუმანიტარული ხელოვანი.

კლასიციზტებმა შექმნეს მეტად მტკიცე ლიტერატურულ-ესთეტიკური თეორია, რომელიც შეიცავდა ქანრების მკვეთრ, კლასიფიკაციას, თვითეული ქანრისათვის დადგინდა კანონებს, რეგლამენტებს და ა. შ. ამ კანონების დარღვევა სასტიკად იყო აკრძალული, რადგან, კლასიციზტების აზრით, ყოველგვარი გადახვევა რაციონალისტური ლოგიკური კანონებიდან ნაწარმოებს დამაჯერებლობას და რეალობას უკარგავდა.

ლომონოსოვი, მართალია, იზიარებდა კლასიციზტების ძირითად ესთეტიკურ შეხედულებებს, მაგრამ, იგი არ შეიძლება ჩაითვალოს ორთოდოქსალურ კლასიციზტად. ლომონოსოვი ხელოვნებას მარტო რაციონალისტურ ფუნქციას კი არ აკუთვნებდა, არამედ ემოციურსაც.

ამიტომ იყო, რომ ლომონოსოვმა სუმაროკოვის მეტაფიზიკურ, შეზღუდულ კლასიციზტურ თეორიას თავიდანვე ბრძოლა გამოუცხადა. ჯერ კიდევ 40-იან წლებში ის ცდილობდა კლასიციზტურ ფორმაში ახალი შინაარსი, სავსებით რეალური, კონკრეტული მიზნები და ამოცანები ჩაეკსოვა; მან მოინდომა, რომ ლიტერატურა დროისა და სივრცის გარეშე კი არ მდგარიყო, არამედ რუსეთის კონკრეტულ სინამდვილესთან ორგანულად ყოფილიყო დაკავშირებული.

ლომონოსოვმა თავისი ესთეტიკური შეხედულებები პირველად „რიტორიკაში“ (1748) ჩამოაყალიბა. ამ ნაშრომში დიდი რუსი მეცნიერი და პოეტი პირველ რიგში თავისი ესთეტიკის განსეოლოგიურ საფუძველს ქმნიდა და ამტკიცებდა, რომ ყოველგვარი იდეა სხვა არაფერია, თუ არა ნივთის ასახვა, ანარეკლი. ასე, მაგალითად, მოძრაობის იდეა რეალური მოძრაობის ასახვის შედეგია.

„ნივთებზე წარმოდგენას, ან მათს მოქმედებას გონებაზე, — წერს ლომონოსოვი, — იდეა ეწოდება“. თუ იდეები რეალური სინამდვილიდან წარმო-

შობა, მაშინ მეცნიერება, ლიტერატურა, ხელოვნება ობიექტურ სინამდვილესთან ყოფილა დაკავშირებული და მისი კანონების სხვადასხვა ფორმით შეესაბამება და გამოხატვის საშუალებას წარმოადგენენ.

ამ გნოსეოლოგიური პრინციპების საფუძველზე როგორც მეცნიერებას, ასევე ლიტერატურასაც ლომონოსოვი საზოგადოებრივ ფუნქციას ანიჭებს. მისი აზრით, ლიტერატურა საზოგადოებრივი მოვალეობის იდეებით უნდა იყოს გამსჭვალული.

ლომონოსოვს უშინაარსო, მაღალ საზოგადოებრივ იდეალებს მოკლებული ლიტერატურა არაფრად მიაჩნდა: „ლექსების მთხზველი, — წერდა იგი, — არ მინდა უსაქმოდ ვნახო, მე მინდა იგი საზოგადოებაში ვიხილო როგორც მოქალაქე, სადაც თვით ზომავს ადამიანთა ნაკლოვანებებს“. უფრო მოგვიანებით თავის ერთ-ერთ ნაშრომში „პოეტის თვისებათა შესახებ“ ლომონოსოვი პოეზიას მეცნიერების ერთ-ერთ დარგად აცხადებს და ციკერონს იმორწმუნებს. იქვე დიდი რუსი მეცნიერი იმ აზრს ავითარებს, რომ ნამდვილი პოეტური ნიჭი ფუქსავატურ აღწერაში კი არ ვლინდება, არამედ საზოგადოების უარყოფითი მხარეების გამომჟღავნებაში. იმავე ტრაქტატში იგი წერს პოეტის ინტელექტური განვითარების აუცილებლობაზე, სალიტერატურო ენის ცოდნასა და პოეტურ ნიჭზე.

ლომონოსოვი იყო პოეტი-მოქალაქე, პოეტი-მოაზროვნე. „საერთო სარგებლობისათვის, — წერდა იგი, — მეტადრე, ჩემს სამშობლოში მეცნიერების განმტკიცებისათვის საკუთარი მამის წინააღმდეგ ამხედრებასაც კი ცოდვად არ ჩავთვლი“.

რასაკვირველია, როგორც ჰუმანიტარული მეცნიერი, ლომონოსოვი პოეზიას მეცნიერებას უკავშირებდა. ამიტომ მისი პოეზია მეცნიერული მოტივებითა და იდეებით არის გაკლენთილი. იგი ესწრაფვოდა იმას, რომ მეცნიერული ცოდნა, საერთოდ, და, კერძოდ კი, თავისი

საკუთარი მეცნიერული აღმოჩენები არა მარტო გავერცელებინა ხალხში, არამედ ადამიანებისათვის მეცნიერებისადმი სიყვარული ჩაენერგა, რუსეთის მაშინდელი საზოგადოების ფართო წრეების დამოკიდებულება ბუნებისადმი, მათი წარმოდგენა სამყაროსა და ადამიანებზე შეეცვალა. ამიტომ იყო, რომ იგი თავის მეცნიერულ აღმოჩენებს ხშირად ლექსად გადმოსცემდა. გოგოლი წერდა, რომ ლომონოსოვი ნამდვილ პოეტურ აღმაფრენას იქ აღწევს, სადაც „ნატურალისტი აღტაცების გულწრფელმა ძალამ პოეტად აქცია“. ასევე თვლიდა პუშკინიც. მისი აზრითაც, ლომონოსოვის პოეტური შემოქმედება მეცნიერულ მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული. რაკი ლომონოსოვი პოეზიას მეცნიერული ცოდნის საშუალებად თვლიდა, ამიტომ, ბუნებრივია, იგი ისეთ ლიტერატურულ საშუალებებს ეძებდა, რომლებსაც მეტი ემოციური ეფექტი ექნებოდა. მაგრამ მისთვის სრულიად უცხო იყო, აგრეთვე, ყოველგვარი ფორმალისმი. მისი ლიტერატურული ფორმა გარკვეულ მიზანს ემსახურებოდა — გადაეცა მკითხველისათვის თავისი აზრები და ამავე დროს მის გრძობიერებაზე გავლენა მოეხდინა. სიტყვა იდეურ შინაარსს უნდა ექვემდებარებოდეს, მაგრამ სიტყვა, ლომონოსოვის აზრით, რეალური ცნების გამომხატვის საშუალებაა, მისი ძალა დამოკიდებულია იმ რეალობასა და ელვარებაზე, რომელიც სიტყვას უნდა ახასიათებდეს. დიდი რუსი მეცნიერისათვის უცხო იყო ყოველგვარი მისტიკური წარმოდგენა სიტყვაზე. პოეტი არც „ჯადოქარია“ და არც ღვთის მესაიდუმლე, იგი მოქალაქეა, მეცნიერია, რომელსაც კარგად უნდა ჰქონდეს შეგნებული თავისი მიზანი და ამ მიზნის გამომხატვის სიტყვიერი საშუალებანი. მაგრამ პოეტისათვის მარტო ლექსთაწიყობის თეორიის ცოდნა არ არის საკმარისი. ლომონოსოვის აზრით, პოეტისათვის საჭიროა აგრეთვე, ცოდნა. ის კარგად უნდა იცნობდეს პოეზიის კლასიკურ

ნიმუშებს, ცხოვრებას, მეცნიერებას.

ლომონოსოვის „რიტორიკაში“ დიდი ადგილი უჭირავს სინტაქსის საკანონებს. მწერლის აზრით, წინადადება მსჯელობის საგნის ხასიათს უნდა შეეფარებოდეს. იგი წინააღმდეგია რთული და ეფექტური წინადადების ხმარებისა, როცა მსჯელობა მარტივ იდეებს ეხება. დიდი რუსი მეცნიერი დასცინოდა თავისი დროის ავტორებს, რომლებიც, თვით ლომონოსოვის სიტყვით, „თავს ძალას ატანდნენ გატყლარკულად ეწერათ“. ამასთან, ულამაზო და უფერადოვნო ფრაზა მას პოეტურ ფრაზად არც მიაჩნდა. ის იცავდა ისეთ მაღალ სტილს, რომელსაც ძლიერი ემოციური ზეგავლენის ძალა ჰქონდა.

როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ლომონოსოვმა თავისი ესთეტიკური კონცეფცია ყველაზე სრულად თავის მეცნიერულ ნაშრომში „რიტორიკაში“ ჩამოაყალიბა, თუმცა ესთეტიკურ შეხედულებებზე იგი სხვა ფილოსოფიური და ფილოსოფიური ხასიათის წერილებშიც ლაპარაკობს. უფრო ნათლად თავის დამოკიდებულება ხელოვნებისადმი მან მოგვცა ერთ თავის ლექსში „გაბაასება ანაკრეონთან“. აქ პოეტი თავის ესთეტიკურ მრწამსს, თავის დამოკიდებულებას ლიტერატურისადმი განსაზღვრავს არა ლოგიკური ცნებებით, არამედ მხატვრული სიტყვით. ლექსი „გაბაასება ანაკრეონთან“ დაწერილია დიოლოგის სახით. ლომონოსოვმა ოთხი ანაკრეონის ოდა თარგმნა და თვითველ მათგანზე თავისი საკუთარი პასუხი დაწერა. არც ერთი თარგმნილი ოდა ანაკრეონს არ ეყუთვის, მაგრამ ოთხივე ანაკრეონისებურია, მათში ანაკრეონის მოტივებია და ანაკრეონის პოეტური სულით არის გაქვნილი.

პირველ ოდაში ლაპარაკია პოეზიის საგანზე, უმალღეს იდეალზე, რომელსაც უნდა უმღეროდეს პოეტი. ამ ოდაში ანაკრეონი პოეზიის საგნად სიყვარულს აცხადებს, უარყოფს სიმღერას გმირებზე და საგმირო საქმეებზე. ლომონოსოვი არ იღებს ანაკრეონის ინტი-

მურ ლირიკას და შენიშნავს: თუმცა სიყვარულის გრძნობა, ნაზი, მოტრფიალე გული მეც მაქვს, მაგრამ საგმირო საქმეები, გმირთა მარადიული დიდება უფრო მეტად მიტაცებს, ვიდრე სიყვარული. სამ მომდევნო ოდაში ანაკრონი აბაგებს ფულს. ცხოვრების უმაღლეს მიზნად მზიარულებასა და ლხინს აღიარებს. მისი აზრით, სიმდიდრესა და დოვლათს ამქვეყნიური სიტყობეზანი სჯობს, ამიტომ ადამიანი მთელი თავისი სიცოცხლე განცხრომაში უნდა გაატაროსო.

ლომონოსოვი აღიარებს, რომ ანაკრონის ფილოსოფიასა და მის პირად ცხოვრებას შორის არავითარი წინააღმდეგობა არ არსებობს. ანაკრონი, მართლაც, თავისი ფილოსოფიის შესაბამისად ცხოვრობდა, თავისი ცხოვრება, მართლაც, ლხინში გაატარა; რომ არ მომკვდარიყო, მრავალ საუკუნეს სიმღერით და ცეკვით გამოივლიდა და ჩვენამდე ასე მოაღწევდაო.

შემდგომს ოდაში ანაკრონი ამბობს, ქალიშვილები გამომეცხადნენ, სარკე მომაწოდეს და მითხრეს: სარკეში ჩაიხედე, დაბერდი, თმა გაგიოთორდაო. ამ სიტყვებმა ანაკრონი ვერ შეაშინეს, პირიქით, მან უაპსუხა: რაც უფრო ბერდება ადამიანი, მით უფრო მეტად უნდა იმზიარულოს, რადგან ბედისწერა მოახლოებულია და სიკვდილი ელოდებაო.

ლომონოსოვს არ მოსწონს ანაკრონის ეს სიტყვები. მისი აზრით, ადამიანის დანიშნულება სრულებითაც არ მდგომარეობს მზიარულებასა და განცხრომაში. პოეტი თავისი ქვეყნის თავდადებული მოქალაქე უნდა იყოს, მას საზოგადოებრივი ინტერესები უნდა ამოძრავებდეს და არა პირადი კეთილდღეობისა და სიამისადმი მისწრაფება.

„გაბაასების“ უკანასკნელ ოდაში ანაკრონი მხატვარს ემუდარება, რათა მიჯნურის ისეთი პორტრეტი დაუხატოს, რომ მისმა ხილვამ ვენებათა ლეღვა აღუძრას.

ლომონოსოვიც მხატვარს სატრფოს

პორტრეტის დახატვას როდი სთხოვს, მას სურს თავისი სათაყვანებელი დედამ საშობლოს სურათი იხილეს.

ამრიგად, ლომონოსოვი ქადაგებს საზოგადოებრივი პათოსით გამსჭვალულ პოეზიას, მაღალი კეთილშობილური იდეალების გამტარებელ მხატვრულ შემოქმედებას.

1757 წელს ლომონოსოვმა გამოაქვეყნა ტრაქტატი „რუსულ ენაში საეკლესიო წიგნების სარგებლობის შესახებ“, ამ შრომაში წამოაყენა ეგრეთწოდებული „სამი სტილის“ თეორია და გაარკვია საეკლესიო სლავური ენის დამოკიდებულება რუსულ ენასთან. ამ ნაშრომით დიდმა რუსმა მეცნიერმა რუსეთში საფუძველი ჩაუყარა მეცნიერებას ლიტერატურული სტილის შესახებ. ნაშრომის შესავალში ლომონოსოვი მოკლედ გადმოგვცემს თავის შეხედულებებს რუსული ენის ისტორიაზე. მისი აზრით, რუსული ენის ისტორიულ საფუძველს საეკლესიო-სლავური ენა წარმოადგენს. სწორედ ამ ენამ შემოინახა ძველი რუსული კულტურა და ამავე ენის წყალობით ეზიარა რუსეთი ანტიკურისა და ბიზანტიური კულტურის მაღალ ტრადიციებს. ამის საფუძველზე ლომონოსოვი ამტკიცებს, რომ საეკლესიო-სლავური ენა რუსულ ენასთან ერთად უნდა იქნას გამოყენებული და ამ ორივე ენის შერწყმის გზით უნდა შეიქმნეს სალიტერატურო ენაო.

სწორედ ამ თვალსაზრისით ლომონოსოვი ქმნის სამი სტილის ანუ. როგორც თვითონ უწოდებდა, „სამი სტილის“ თეორიას.

ლომონოსოვის „სამი სტილის“ თეორია დაფუძნებულია რუსული და საეკლესიო-სლავური ენების შედარებითი ანალიზის შედეგად მიღებულ საერთო ენობრივ კლასიფიკაციაზე. მან სიტყვები სამ ჯგუფად დაყო. პირველ ჯგუფს მიაკუთვნა ის სიტყვები, რომლებიც საერთო იყო როგორც საეკლესიო-სლავურისათვის, ისე რუსულისათვის, მეორეს — საეკლესიო სლავური, რომელიც წერა-კითხვის მცოდნეთათვის გასაგები

იყო, მაგრამ სასაუბრო ენაში იშვიათად იხმარებოდა.

მესამე ჯგუფში ლომონოსოვმა შეიტანა ის რუსული სიტყვები, რომლებიც საეკლესიო წიგნებში არ იხმარებოდა, მაგრამ გვხვდებოდა სასაუბრო ენაში, თანაც თავისი ხასიათით მისაღები იყო სალიტერატურო ენობრივ პრაქტიკაში.

როგორც ვხედავთ, ლომონოსოვმა სალიტერატურო ენიდან სრულიად გამოორიცხა, ერთი მხრივ, ისეთი საეკლესიო სლავური სიტყვები, რომლებიც მოძველდა და აღარ იხმარებოდა, ხოლო, მეორე მხრივ, ისეთი სიტყვები, რომლებიც ხალხურ-ველგარულ კომუნიკატივში გამოიყენებოდა.

ამრიგად, ლომონოსოვმა სალიტერატურო ენის მთელი ლექსიკური მარაგი სამ ჯგუფად გაყო, რასაც თავისი სამი სტილის თეორია შეუფარდა. იმისდა მიხედვით, თუ რომელი ჯგუფის სიტყვები იხმარებოდა, ლომონოსოვი შესაფერის სტილსა და შემდეგ ქანრსაც მიაკუთვნებდა. მაღალი სტილი პირველი და მეორე ჯგუფის სიტყვების ხმარებით წარმოიქმნებოდა, საშუალო სტილი პირველი და მესამე ჯგუფის სიტყვების შერწყმის შედეგად იქმნებოდა, ხოლო მესამე ანუ დაბალი სტილი მეორე და მესამე ჯგუფის სიტყვებისაგან შედგებოდა.

ამრიგად, ლომონოსოვის ისტორიული დამსახურება ის არის, რომ იგი, თავისი წინამორბედი და თანამედროვე პოეტებისაგან განსხვავებით, აღიარებდა არა ორ ენას (რუსულსა და საეკლესიოსლავურს), არამედ ერთ საერთო რუსულ სალიტერატურო ენას.

სხვადასხვა სტილის იერარქიას, რომელსაც ლომონოსოვი ქმნიდა და რომელიც საერთოდ დამახასიათებელი იყო კლასიციზმისათვის, პრაქტიკული ლიტერატურული მიზანდასახულება ჰქონდა. მისთვის მთავარი იყო არა თვითეული სტილის ლექსიკური ბუნების განსაზღვრა, არამედ მისი გამოყენება შესაფერისი ქანრისათვის. ამიტომაც ლომონოსოვის ნაშრომში — „რუსულ ენა-

ში საეკლესიო წიგნების სარგებლობის შესახებ“ სტილის იერარქიასთან ერთად ქანრების იერარქიასაც ვხვდებით. პირველი პოემები, ოდები, ორატორული სიტყვები (ოღონდ ორატორული სიტყვები განსაკუთრებით მაღალ საგანს უნდა ეხებოდეს) პირველ ჯგუფს განეკუთვნება და მაღალ ქანრში შედის; თეატრალური თხზულებები, გალექსილი წერილები, სატირები, ეკლოგები და ელეგიები, აგრეთვე, ისტორიული და ფილოსოფიური პროზა საშუალო ჯგუფის ქანრს ეკუთვნის. უკანასკნელ, მესამე, დაბალ ქანრში კომედიები, სახშიარულო ეპიგრამები, სიმღერები, პროზაული წერილები შედის.

სამი სტილის თეორია ლომონოსოვს დასრულებულად არ მიაჩნდა. ის ფიქრობდა, ეს თეორია კიდევ უფრო გაეღრმავებინა. უფრო მოგვიანებით დაიწყო შრომების წერა სტილისტიკის პრობლემებზე („რუსული სტილის სიწმინდის შესახებ“, „რუსული ენის სიმშვენიერის შესახებ“ და სხვა), მაგრამ ვერ დაამთავრა.

მიუხედავად ამისა, ლომონოსოვის „სამი სტილის“ თეორიამ დიდი როლი შეასრულა რუსული სალიტერატურო ენისა და სტილის განვითარებაში. მან წესრიგი შეიტანა იმ ენობრივ ქაოსში, რომელიც რუსეთში ქრისტიანობის გავრცელების შემდეგ წარმოიშვა და განსაკუთრებით პეტრე პირველის ეპოქაში გაძლიერდა. ლომონოსოვის „სამი სტილის“ თეორიამ საგრძნობლად შეზღუდა ძველი საეკლესიო-სლავური ენის გამოყენების ფარგლები რუსულ სალიტერატურო ენაში. ამ თეორიამ უზრუნველყო სალიტერატურო ენის განვითარება საერთო-ეროვნულ საფუძვლებზე.

მ. ლომონოსოვს დიდი დამსახურება აქვს რუსული პოეზიის თეორიაშიც. XVIII საუკუნის 40-იან წლებამდე რუსულ პოეზიაში სილაბური ლექსთწყობა იყო გამეფებული. მ. ლომონოსოვმა უარყო სილაბური ლექსთწყობა, როგორც რუსული ენის ბუნებისათვის

სრულიად შეუფერებელი, და ჩამოაყალიბა ტონური ლექსთწყობის ძირითადი პრინციპები.



ლომონოსოვის სიცოცხლის წლებში ბევრი ქართველი ემიგრანტი მოღვაწეობდა რუსეთში და იქ სამეცნიერო-კულტურულ საქმიანობას ეწეოდა.

ცნობილია, რომ გიორგი ვახტანგისძე ბატონიშვილმა აქტიური მონაწილეობა მიიღო მოსკოვის უნივერსიტეტის დაარსებაში და მის ფონდში 10 ათასი მანეთიც შეიტანა. არსებობს აგრეთვე გადმოცემა, რომლის მიხედვითაც, ვახუშტი ბატონიშვილი მოსკოვის უნივერსიტეტის ერთ-ერთი დამაარსებელია.

ინტერესმოკლებული არ არის ის ფაქტი, რომ მოსკოვის უნივერსიტეტის გიმნაზიაში პირველ მოსწავლეთა შორის ბევრი ქართველი ახალგაზრდა იყო. ამას გარდა XVIII ს. 60-იან წლებში ქართველები რუსეთის ბევრ სხვა სასწავლებლებშიც სწავლობდნენ. ქართველი ემიგრანტი მოღვაწეები ლომონოსოვის შრომებისადმი დიდ ინტერესს იჩენდნენ. XVIII საუკუნეში არც ერთ რუს მოაზროვნეს არ ჰქონია ისეთი ძლიერი გავლენა მოწინავე ქართულ ფილოსოფიურ და მეცნიერულ აზროვნებაზე, როგორც დიდ რუს მეცნიერს ლომონოსოვს.

პროფ. შ. ნუცუბიძე თავის ფუნდამენტალურ შრომაში „ქართული ფილოსოფიის ისტორია“, წერს: „მ. ლომონოსოვი ყოვლის უწინარეს დიდი ბუნებისმეტყველია. ბუნებისმეტყველების განვითარების იმ საფეხურებზე, ვიდრე მ. ლომონოსოვმა ასწია იგი რუსეთში XVIII საუკუნეში, ბუნებრივი იყო მატერიალიზმის მომარჯვებაც და გამარჯვებაც, ამან შექმნა რუსული მატერიალიზმი, როგორც ტონის მომცემი რუ-

სულისა და, მასთან დაკავშირებით, ქართული ფილოსოფიისა“.

XVIII საუკუნის ქართველ მოაზროვნეთაგან პირველი ანტონ ბაგრატიონი იყო, რომელმაც ლომონოსოვის ფილოსოფიური და ესთეტიკური იდეების დიდი გავლენა განიცადა, მაგრამ იგი დიდი რუსი მეცნიერის მატერიალისტური მსოფლგაგების დონემდე ვერ ავიდა.

ანტონ ბაგრატიონი ქართული კლასიკური ფილოსოფიის მიმდევარია, მისი ფილოსოფიური სისტემა ქართულ ნიადაგზეა წარმოშობილი და ამიტომ იგი რუსულ-ქართულ ფილოსოფიური ურთიერთობის გარეშე განიხილება, მაგრამ, ამასთან, შუასაუკუნეების ქართულ სქოლასტიკურ აზროვნებაში მან პირველად შეიტანა სერიოზული ნაპრალი, რაც საერთოდ რუსული ფილოსოფიური აზროვნებისა და, კერძოდ, ლომონოსოვის ფილოსოფიის გავლენის შედეგი იყო.

არისტოტელე, რომელიც მანამდე ხელშეუხებელ ავტორიტეტად ითვლებოდა საქართველოში, ანტონ ბაგრატიონის მეორე პერიოდის თხზულებებში კრიტიკულად არის წარმოდგენილი. ეს კრიტიკა ქართულ ფილოსოფიაში მ. ლომონოსოვის გაბედულმა საბუნებისმეტყველო მატერიალისტურმა იდეებმა წარმოშვა. შ. ნუცუბიძე ზემოთ დასახელებულ შრომაში წერს, რომ ანტონ ბაგრატიონი სქოლასტიკებზელი არისტოტელეს ნაკლის შეგნებამდე რუსული მოწინავე ფილოსოფიის გავლენით მივიდა, იგი მიხვდა, რომ არისტოტელე სქოლასტიკოსთა ხელში იარაღი იყო. „ამ შემთხვევაში, — წერს პროფ. შ. ნუცუბიძე, — როგორც გაირკვა, მ. ლომონოსოვის გავლენის უარყოფა ყოველად შეუძლებელია, რადგან სხვა წყარო, რომელსაც შეეძლო ანტონის ამ დასკვნამდე მიყვანა, არ ჩანს. ისტორიულ-ფილოსოფიური სიტუაცია სრულიად გარკვეულია: „მაღალი სქოლას-

1 შალვა ნუცუბიძე, ქართული ფილოსოფიის ისტორია, ტ. II, თბილისი, 1938, გვ. 449.

ტიკის“ მიმდევარი ანტონი არისტოტელეს სქოლასტიკურ გამოყენებლობას ვერ შეიგნებდა და მის წინააღმდეგ არ გაილაშქრებდა, რომ რუსულ ფილოსოფიას, მოწინავე მოაზროვნე ლომონოსოვის სახით, მისთვის საამისო საშუალება არ მიეცა“¹.

ამ აზრის დასამტკიცებლად პროფ. შ. ნუცუბიძე ასახელებს ანტონის ორ სხვადასხვაგვარ დამოკიდებულებას იოანე დამასკელის ფილოსოფიური კონცეფციის მიმართ. თუ ანტონ ბაგრატიონი რუსეთში წასვლამდე არისტოტელეს შესწავლისათვის იოანე დამასკელის ქართულად გადმოკეთებას საუკეთესო საშუალებად თვლიდა, რუსულ ფილოსოფიასთან შეხების შემდეგ, ეს საველალოდ მიაჩნია.

ანტონ ბაგრატიონი თავისი მოღვაწეობის მეორე პერიოდში განმანათლებელი გახდა. იგი ენერგიულად ებრძვის ჩამორჩენილობასა და უმეცრებას, ძირითად ამოცანად ისახავს საქართველოში განათლების დანერგვასა და გავრცელებას, მაგრამ ანტონმა კარგად იცოდა, რომ განმანათლებლობა შეუძლებელი იყო ისე, თუ სქოლასტიკური და დოგმატური ფილოსოფია არ იქნებოდა დაძლეული, თუ არ იქნებოდა გამოყენებული კრიტიკული ფილოსოფიური აზროვნებისა და მეცნიერების ცდისეული მეთოდი, ის ახალი ფილოსოფიური და მეცნიერული იდეები, რომლებსაც რუსეთში ლომონოსოვი ავრცელებდა. ქართველმა მოღვაწემ სწორედ ამ მიზნით თარგმნა ქრ. ვოლფის მიმდევრის ბაუმისტიერის ლოგიკა, მეტაფიზიკა, ესთეტიკა და თვით ვოლფის ფიზიკა.

ბაუმისტიერის თხზულებათა თარგმანის წინასიტყვაობაში ანტონი წერს, ეს შრომები ლათინურიდან ვთარგმნე, მაგრამ სხვა წყაროებიდან ჩანს, რომ ისინი თარგმნილია რუსული ენიდან².

ბაუმისტიერი (დაიბადა 1709 წ. და გარდაიცვალა 1785 წ.) ეთიკისა და ფილოსოფიის არ ყოფილა მკვლევარი ბილი იყო, როგორც ლომონოსოვის მასწავლებლის — ვოლფის ფილოსოფიური და მეცნიერული შეხედულებების პოპულარიზატორი და სახელმძღვანელოების ავტორი. ბაუმისტიერის ლათინური სახელმძღვანელოები მეტად პოპულარული იყო რუსეთში და რუსულ ენაზე ხშირად ითარგმნებოდა.

ამის მიზეზია ის საერთო ინტერესი, რომელსაც მაშინ რუსეთის საზოგადოება ვოლფის რაციონალისტური ფილოსოფიის მიმართ იჩენდა.

ვოლფის ექსპერიმენტული ფიზიკა ლომონოსოვმა 1746 წელს თარგმნა, ხოლო თეორიული ფიზიკა — მისმა მოწაფემ ბ. ვოლკოვმა. მართალია, ანტონ ბაგრატიონმა ქართულ ენაზე თეორიული ფიზიკა თარგმნა, მაგრამ როგორც ტ. რუხაძე მართებულად შენიშნავს, თარგმნის დროს კათალიკოსი ლომონოსოვის თარგმნაშიც იხედებოდა.

ფიზიკის საგანი, რომელიც თელავის სემინარიაში ისწავლებოდა, ვოლფისა და ლომონოსოვის ფიზიკის კომპილაციას წარმოადგენდა.¹

როგორც ცნობილია, თელავის სემინარიაში სწავლა ანტონ კათალიკოსმა განაახლა და მანვე შეუდგინა ამ სასწავლებელს „რეგლამენტი“. აღსანიშნავია, რომ ანტონის მიერ შედგენილი ეს წესდება პეტერბურგის ვიმნაზიის იმ „რეგლამენტს“ მოგვაგონებს, რომელსაც ლომონოსოვის პროექტი დაედო საფუძვლად.

საგულისხმოა, რომ არც რუსულ და არც ქართულ რეგლამენტში, ღვთისმეტყველების სწავლება გათვალისწინებული არ იყო. ქართული სასულიერო სე-

¹ შალვა ნუცუბიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 380.

² ქართული ლიტერატურის ისტორია, ტომი I, გვ. 884.

¹ ტ. რუხაძე, ქართულ-რუსული ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიიდან, (XVI — XVIII სს.), გვ. 305.

მანარიები არსებითად „უნივერსიტეტებს“ წარმოადგენდნენ¹.

ანტონ კათალიკოსის მემკვიდრეობიდან აღსანიშნავია, აგრეთვე, ლინგვისტიკური შრომები. გრამატიკაზე იგი ხანგრძლივი წლების განმავლობაში მუშაობდა. აიოველი გრამატიკა მან 1753 წელს, რუსეთში გამგზავრებამდე, დაწერა. იმდროინდელ რუსულ ლინგვისტიკურ აზროვნებასთან მას საერთო არაფერი გააჩნდა. როგორც აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე მიგვითითებს, ანტონმა ეს გრამატიკა მხითარ სევასტიანელის სომხური გრამატიკის გამოყენებით დაწერა. მეორედ, 1760 წელს, ანტონმა საკუთარი გრამატიკა შეადგინა. სწორედ აქ გამოიყენა მან ლომონოსოვის გრამატიკულ-ლინგვისტიკური მოძღვრება. 1764 წელს ანტონ ბაგრატიონმა დაწერა „რიტორება“, რომელშიც ლომონოსოვის „რიტორიკის“ აშკარა ზეგავლენა იგრძნობა. ანტონ კათალიკოსის დიდი ღვაწლი აქვს ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში. მართალია, ის წერდა მეტად განყენებული, ხელოვნური ენით, რომელსაც მისი თანამედროვენი არ იზიარებდნენ, მაგრამ „მან შექმნა თეორია სამგვარი სტილისა და თავისი წვლილი შეიტანა ქართული ფონეტიკისა და გრამატიკის ისტორიაში“².

ანტონ კათალიკოსმა, ლომონოსოვის მსგავსად, ქართულშიც სცადა შემოეღო „მძალა“ და „დამბალი“ სტილის³ სალიტერატურო ენა, მაგრამ თავიდანვე მას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. მის წინააღმდეგ მეტადრე დავით ბატონიშვილმა აღიმდლა ხმა. ეს უკანასკნელი ამტკიცებდა, რომ „სამი სტილის“ თეორია ქართული ენისა და ლიტერატურისათვის უცხოა, რუსთაველის „განწარფელება არ სჭირდება“⁴. დავით ბატონიშვილი მართალი იყო. ის უფსკრული, რომელიც რუსულ სალაპარაკო და სალიტერატურო ენებს შორის XVIII საუკუნის პირველ ნახევარში არსებობდა, საქართველოში არ იყო.

რუსთაველის ენა ბევრად უფრო გასაგები იყო XVIII საუკუნის ქართველი მკითხველისათვის და მას ბევრად უფრო ნაკლები რეფორმები სჭირდებოდა ხალხურ ენასთან დაახლოებისათვის, ვიდრე რუსულს, რომელიც XVIII საუკუნის პირველ ნახევარში გაუგებარ ენად უნდა ქცეულიყო, ლომონოსოვსა და კარაშჩინს გაბედული ენობრივი რეფორმები რომ არ მოეხდინათ. ამისდა მიუხედავად, ანტონ კათალიკოსის „სამი სტილის“ თეორიას გარკვეული წვლილი შეუტანია ქართული გრამატიკის ისტორიაში.

ანტონ კათალიკოსის „სამი სტილის“ თეორიაზე სხვაგვარი აზრისა აკად. არნ. ჩიქობავა. მისი აზრით, ანტონმა თავისი „სამი სტილის“ თეორიით მეთვრამეტე საუკუნის მესამოცე წლებში ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ხაზი გაწყვიტა. მთელი საუკუნის განმავლობაში ანტონ კათალიკოსის სკოლა ხელს უშლიდა სალიტერატურო ენის განვითარებას.⁵

XIX საუკუნის დასაწყისში მოწინავე რუსულ და ევროპულ ფილოსოფიურ მიმდინარეობას უფრო გაბედულად დავით ბაგრატიონი გაჰყვა (1766—1819). მან, როგორც ტახტის მემკვიდრემ, თავისი დროისათვის საკმაოდ ღრმა და ფართო განათლება მიიღო ჯერ საქართველოში და შემდეგ რუსეთში. თავისი ენციკლოპედიური განათლებით ბაგრატიონი ლომონოსოვს მოგვეგონებს. ისევე, როგორც ლომონოსოვი, დ. ბაგრატიონიც ფიქრობდა, რომ მისი ქვეყნის ხსნა შეიძლებოდა სწავლა-განათლების

¹ ა. ფრანგიშვილი, ნარკვევები აღმავანის ფსიქოლოგიური ცოდნის ისტორიიდან საქართველოში (XVII—XVIII სს. და XIX ს. დასაწყისი), გვ. 346.

² კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, ტ. I, გვ. 382.

8. „მნათობი“ № 11

³ იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I, გვ. 018—023.

გავრცელებით. თავისი ორიგინალური შრომის „გრამატიკის“ წინასიტყვაობაში დავით წერს, რომ უკანასკნელ ხანებში ქართველები თავიანთი ფიზიკური არსებობის შენარჩუნებისათვის იმდენს ზრუნავდნენ, რომ თანამედროვე მეცნიერული და ფილოსოფიური ცოდნის მისაღებად დრო აღარ რჩებოდათ. ამის გამო ისინი სხვა განათლებულ ქვეყნებს ჩამორჩნენ და, აი, ამ ხარვეზის ნაწილობრივ გამოსწორებისათვის ხელი მოგვიდევ მეცნიერებასა და ფილოსოფიასო.

მართლაც, პეტერბურგში დავით ბაგრატიონი უღრესად მრავალფეროვან მოღვაწეობას ეწეოდა. იგი მუშაობდა ფილოსოფიაში, ისტორიაში, ლინგვისტიკაში, პოეზიაში, ესთეტიკაში, ღვთისმეტყველებაში, სამართალში, მითოლოგიაში, კოსმოგრაფიაში, ქიმიაში, მეტეოროლოგიაში, გეოფიზიკაში, მედიცინაში, ფარმაკოლოგიაში, ანატომიაში და ფიზიკაში.¹

ამას გარდა, დ. ბაგრატიონი მთარგმნელობითს მუშაობასაც ეწეოდა, — თარგმნიდა სხვადასხვა სახის მეცნიერულ და ლიტერატურულ წიგნებს: რუსული, ფრანგული, სომხური და სხვა ენებიდან; ფლობდა ქართულ, რუსულ, ლათინურ, ბერძნულ, ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ და სპარსულ ენებს. ისევე როგორც ლომონოსოვი, დ. ბაგრატიონიც ატომისტური თეორიის მიმდევარი იყო. იგი, თანაუგრძობდა რუს და ფრანგ განმანათლებლებს და მათ პოზიტიურ შეხედულებებზე დაკრძობით ებრძოდა ყოველგვარ ცრუმორწმუნეობას.

დ. ბაგრატიონის ფილოსოფიური შეხედულების გასარკვევად დიდი მნიშვნელობა აქვს მის ორიგინალურ „იოჰანს“ „შემოკლებულ ფიზიკას“, რომელიც მან 1817—1818 წლებში დაწერა. ამ შრომაში დავით ბაგრატიონი გვევლინება, როგორც მეცნიერი და ფილო-

სოფოსი, რომელიც ფეხდაფეხ მისდევს XVIII საუკუნის მეორე ნახევრის რუსულსა და ევროპულ განმანათლებლურ იდეებს. მოწინავე რუსულ მოაზროვნეებთან ერთად, დავით ბაგრატიონიც მტკიცედ გაპოლია ლომონოსოვის მიერ გაკაფულ გზას. მან გადალახა დეკარტეს რაციონალიზმი და მივიდა ცდილურ მატერიალისტურ მსოფლმხედველობასთან, იმ მსოფლმხედველობასთან, რომელიც რუსეთში 40—50 წლით ადრე ლომონოსოვმა ჩამოაყალიბა.

ლომონოსოვის მსგავსად, დავით ბაგრატიონი „შემოკლებულ ფიზიკაში“ გვევლინება ისეთი მსოფლმხედველობის მატარებელ ადამიანად, რომლისთვისაც უცხოა ყოველგვარი ცრუმეცნიერული, იდეალისტური და რელიგიური თვალსაზრისი.

ლომონოსოვის საბუნებისმეტყველო მატერიალიზმი უფრო მკაფიოდ არის გამოთქმული გნოსეოლოგიის საკითხებში. დ. ბაგრატიონიც შემეცნებაში დიდ როლს ანიჭებს შეგრძნებებს, ცლებს, გამოცდილებას. რადგან საგნის სწორი შეცნობა შეუძლებელია გრძნობების გარეშე, ამიტომ, დავითის აზრით, ადამიანს გრძნობათა ორგანოები ჯანმრთელი უნდა ჰქონდეს.

დ. ბაგრატიონი საგნებს განუწყვეტელს მოძრაობასა და ცვალებადობაშიც იხილავს. მოძრაობის გარეშე მთელი სამყარო მკედარი იქნებოდა: „არცა ერთი განცხადებანი და შემთხვევანი, — წერს დ. ბაგრატიონი, — სოფელსა შინა იქმნებიან თვინიერ მოძრაობისა და ყოველნი ბუნებანი თვინიერ ამისა იქმნენცა მკედარი“.¹

დავით ბაგრატიონი არჩევს სხვადასხვა სახის მოძრაობებს. როდესაც სხეულზე ერთი ძალა ზემოქმედებს, ვიღებთ მარტივ მოძრაობას; როდესაც ერთზე მეტი, — ვიღებთ რთულს, ანუ შერწყმულ მოძრაობას; თუ სხეულზე

¹ „ქართული მეცნიერება“, ვ. ვ. პარკაძის რედაქციით, 1931, გვ. 32.

¹ თ. კუკუა. ნარკვევები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ქართული საზოგადოებრივი და ფილოსოფიური აზრის ისტორიიდან, გვ. 109.

ერთდროულად მოქმედებს თანაბარი ძალით ორი საგანი ურთიერთსაწინააღმდეგო მიმართულებით, — სხეული უძრავი რჩება; თუ ზემოქმედებს ორი არათანაბარი ძალა — სხეული ამოძრავდება იმ ძალის მიმართულებით, რომელიც უფრო ძლიერია და ამიტომ მას სხეულზე მეტი. ზემოქმედების მოხდენის უნარი აქვს¹.

დ. ბაგრატიონი ატომისტური თეორიის მიმდევარია. მისი თეორიის მიხედვით, სხეულები რთული აღნაგობისაა. „არა გვექმნების ჩვენ იდეა სხეულისათვის, უკეთუ არა წარმოვიდგენთ თანად, რომელ იგი არს შედგმულ-შერწყმულისაგან კერძოთა და ესრეთ ყოველსა სხეულსა შევრაცხთ შერწყმულად, და ნაწილი ისე შემდგენელნი სხეულისანი ძალიდებიან განწვალავად ურთიერთისაგან და ამად ყოველი სხეული ძალიდების განწვალავად“². — („განწვალვა“ — გაყოფა). დ. ბაგრატიონი ასახელებს ნივთიერებათა გაყოფის ორ სახეს: პირველ შემთხვევაში საგნის არსი არ იცვლება და საქმე გვაქვს რაოდენობრივ ცვლილებასთან, ხოლო მეორე შემთხვევაში — საგნის არსი იცვლება.

დავითის აზრით, სხეულები შედგება პატარ-პატარა ნაწილაკებისაგან. ამიტომ ისინი დამლადი და წარმავალი არიან. ყოველი ახალი საგანი ბუნებაში წარმოიშობა ატომთა შეერთების შედეგად და იშლება ატომთა დაშლის საფუძველზე, მაგრამ არა მარტო ატომთა წარმოშობა და დაშლა, არამედ სხეულში მიმდინარე სხვა პროცესებიც ატომთა მოძრაობისა და ადგილგადანაცვლების შედეგია. სწორედ ამ თვალსაზრისით განიხილავს დ. ბაგრატიონი „შემოკლებულ ფიზიკაში“ ფიზიკურ და ქიმიურ პროცესებს.

დავით ბაგრატიონის ფილოსოფიური კონცეფციის და მისი ატომისტური თეორიის წყარო, რა თქმა უნდა, მარტო

რუსეთში არ უნდა ვეძიოთ. ქართველი უფლისწული შესანიშნავად ფლობდა ევროპულ ენებს და იგივეს ეცნობოდა ფრანგი მატერიალისტების თხზულებებს. შემთხვევითი არ არის, რომ მან, ქართულად მონტესკიეს „გულისხმისყოფისათვის სჯულისა“ თარგმნა და საქართველოში ვოლტერის იდეებსაც ქადაგებდა.¹ ამიტომ დ. ბაგრატიონის ფილოსოფიურ შეხედულებებში ქართულ და რუსულ ფილოსოფიურ წყაროებთან ერთად ევროპული წყაროც უნდა ვეძიოთ. მაგრამ მთავარი (მხედველობაში თუ არ მივიღებთ ქართულ წყაროს), უეჭველად, რუსულია, ლომონოსოვის შეხედულებები სხეულის ატომისტური აგებულებისა და მოძრაობის შესახებ საფუძვლად უდევს დ. ბაგრატიონის ფილოსოფიურ და მეცნიერულ კონცეფციას.

შესასწავლია დ. ბაგრატიონის ორიგინალური შრომის „გრამატიკის“ წყაროებიც. ქართველი მოღვაწე პეტერბურგში რუსულ ფილოლოგიას რომ სწავლობდა, სწორედ მაშინ თავისი ქვეყნისათვის ქმნიდა „გრამატიკას“. იგი გვერდს ვერ აუვლიდა ლომონოსოვის „გრამატიკას“, რომელსაც მაშინ რუსული ფილოლოგიური მეცნიერებისათვის ფუძემდებლური მნიშვნელობა ჰქონდა.

ამრიგად, დ. ბაგრატიონის მრავალფეროვანი განმანათლებლური მოღვაწეობა საქართველოში ისახავდა იმავე მიზნებს, რასაც ლომონოსოვი რუსეთში. დ. ბაგრატიონი თავისი ფილოსოფიური და მეცნიერული იდეებით ლომონოსოვის მიმდევარი იყო, მაგრამ მას არ გააჩნდა არც პირობები და არც ისეთი ასპარეზი, როგორც დიდი რუსეთის დიდ ლომონოსოვს.

ქეშმარიტად გაოცებას იწვევს ს. დოდაშვილის ნააზრვეის სიღრმე და რადიკალური მიმართება. მან 22—23 წლის

¹ იქვე, გვ. 110.

² იქვე.

¹ ლევან ასათიანი, ვოლტერისა და საქართველოში, გვ. 65.

ასაკში ჩამოაყალიბა ფილოსოფიური და ესთეტიკური კონცეფცია.

დოდაშვილის ფილოსოფიური წანამძღვრები, პირველ რიგში, უნდა ვეძიოთ ქართული კლასიკური ფილოსოფიის მდიდარ მემკვიდრეობაში, შემდეგ კი XVIII საუკუნის ევროპულ ფილოსოფიასა და ლომონოსოვის მატერიალიზმში.

დოდაშვილი, რომელიც პეტერბურგის უნივერსიტეტში სწავლობდა, თავიდანვე გაჰყვა არა სქოლასტიკურ-იდეალისტურ სკოლას, არამედ ლომონოსოვ-რადიშჩევის მატერიალიზმს, დეკარბისტების რევოლუციურ იდეოლოგიას.

დოდაშვილი XIX საუკუნის 20—30-იანი წლების მოღვაწეა. მისი ფილოსოფიური კონცეფცია უფრო მაღალი საფეხურია, ლომონოსოვთან შედარებით, მაგრამ, როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, დიდი რუსი მეცნიერის ფილოსოფია დოდაშვილის მატერიალისტური მსოფლმხედველობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წანამძღვარია.

ლომონოსოვი რევოლუციურ-დემოკრატი არ ყოფილა და არც შეიძლება ყოფილიყო, მაგრამ რუსული რევოლუციურ-დემოკრატიული იდეოლოგია მისი მატერიალისტური მსოფლმხედველობის საფუძველზე განვითარდა. ლომონოსოვის გარეშე ისტორიულად შეუძლებელი იყო ნოვიკოვის, რადიშჩევის, დეკარბისტებისა და XIX საუკუნის 40—60-იანი წლების რევოლუციური დემოკრატების იდეოლოგიის წარმოშობა.

ს. დოდაშვილი, რა თქმა უნდა, ლომონოსოვის ფილოსოფიისადმი ისევე იყო დამოკიდებული, როგორც რუსი დეკარბისტები, რომელთა ანტიბატონყმურ და ანტითვითმპყრობელურ იდეებს მან მხარი თავიდანვე დაუჭირა.

ს. დოდაშვილი „რიტორიკაში“ ლომონოსოვს მსოფლიო გამოჩენილი რიტორების გვერდით იხსენიებს. როგორც ჩანს, ქართველი ფილოსოფოსი თავისი ორიგინალური შრომის შექმნის დროს ლომონოსოვის „რიტორიკათ“ სარ-

გებლობდა. მაგრამ ამ ორი შრომის ერთმანეთთან შედარება გვიჩვენებს, რომ დოდაშვილის შრომა ^{ლომონოსოვის} ^{„რიტორიკის“} და მასზე ლომონოსოვის „რიტორიკას“ გაკლენა უმნიშვნელოა. დოდაშვილის რიტორიკა პროზის თეორიაა. ლომონოსოვი კი თავის შრომაში აშუქებს მკვერმეტყველების დებულებებს და იძლევა ისტორიისა და პოეზიის ზოგად წესებს.

ს. დოდაშვილისათვის ლომონოსოვის „რიტორიკა“ განვლილი ეტაპი იყო, თუმცა მთავარი ესთეტიკური პრობლემა ხელოვნების სინამდვილესთან დამოკიდებულების შესახებ ორივესთან ერთნაირად არის განხილული.

ჯერ კიდევ 60—80-იან წლებში საქართველოში ნათელი წარმოდგენა ჰქონდათ ლომონოსოვის სამი სტილის თეორიის შესახებ. ეს თეორია საქართველოში მარტო ანტონ კათალიკოსის შრომებით კი არ იყო ცნობილი, არამედ რუსული ენიდან გადმოთარგმნილი ზოგიერთი წიგნიდანაც. ასეთი იყო, მაგალითად, რუსულიდან თარგმნილი თხზულება „საფუძველნი სიტყვიერებისანი“. ამ წიგნში გადმოცემულია ლომონოსოვის თეორიაცა და მხატვრული ილუსტრაციებიც.

ლომონოსოვის ლექსების უძველესი მთარგმნელია ერეკლე მეორის მდივანბეგი დავით ჯიმშერის-ძე ჩოლოყაშვილი (1735—1809). მან ქართულად თარგმნა ლომონოსოვის სასულიერო ჰიმნები. განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩოლოყაშვილის თარგმანი: „საწინასწარმეტყველო წიგნი იობისა 40, 41“ და „145 ფსალმუნი ვალექსილი“.

ლომონოსოვის „იობის ლექსებიდან“ ქართულად სამჯერ იქნა გადმოთარგმნილი: პირველად — დ. ჩოლოყაშვილის, შემდეგ — ვილაც უცნობი პირის. ხოლო ჩვენს დროში — პოეტ ვ. გორგაძის მიერ.

ქართველი მოწინავე ინტელიგენცია ყოველთვის პატივისცემით იხსენიებდა გენიალური რუსი მეცნიერისა და მწერლის — ლომონოსოვის სახელს. ვაჟა-

ფშაველა „წმინდა ხელოვნების“ მიმდევრებს უპირისპირებდა რუს მწერლებს, რომლებიც, ლომონოსოვიდან დაწყებული, ხალხს ემსახურებოდნენ. „მაგალითებისათვის შორს წასვლა არ დაგვირდება, — წერდა ქართველი მწერალი, — თვალწინ გვიძევს რუსეთის ხელოვნების მომდინარეობის ისტორია, ლომონოსოვიდან დაწყებული მწერლობა ხელოვნებით ამ ცხოვრების სკიპოების დაკმაყოფილებას ემსახურება“.¹

ლომონოსოვის შესახებ გამოთქმულ აზრებს სხვა ქართველი მეცნიერებისა და მწერლების ნაწერებშიც ვხვდებით. საინტერესოა 1884 წელს ეურნალ „ნობათში“ დაბეჭდილი მხატვრული ნარკვევი „საკვირველი გლეხი“,² წყალტუბელის (გიორგი იოსელიანი) ხელმოწერით.

„საკვირველ გლეხში“ მხატვრულად არის მოთხრობილი ლომონოსოვის ბავშვობა, ყრმობა და სიკბაბუე. ნარკვევის ავტორი დიდ რუს მეცნიერსა და პოეტს

ყველაზე მეტად აფასებს იმისათვის, რომ მას „ძლიერ უყვარდა დედისი, მამული და ბევრი სამსახურეც“. ვაჟი მას, როგორც მწერლობით, ისე სხვაფერადაც.³

ქართულ ენაზე გადმოითარგმნა დიდი რუსი მწერლის რამდენიმე ლექსი, ეურნალ-გაზეთებში ბევრჯერ დაიბეჭდა წერილები ლომონოსოვის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ. 1841 წელს დაიბეჭდა დ. ი. იმნაძის მონოგრაფია „მიხილო ლომონოსოვი“. უფრო გვიან, 1851 წელს ქართულ ენაზე გადმოითარგმნა და დაიბეჭდა ბ. კუზნეცოვის წიგნი „დიდი რუსი მეცნიერი ლომონოსოვი“.

ქართველი ხალხი, საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან და მთელ განათლებულ კაცობრიობასთან ერთად, მადლიერებისა და პატივისცემის გრძნობით აღნიშნავს გენიალური რუსი მეცნიერისა და მწერლის მიხეილ ლომონოსოვის დაბადების 250 წლისთავს.

¹ ვაჟა-ფშაველა, „რამე-რუმე“, ტ. VII, 33-381, საბეჭდო, 1956.

² ეურნ. „ნობათი“, 1884, № X, XI, XII, 33. 466—471.

36. ზარდაცობილი

პირველი უნივერსიტეტი

„ლომონოსოვი განმანათლებლობის დამოუკიდებელ მეგვიდრედ ითვლება. მან შექმნა პირველი რუსული უნივერსიტეტი ანუ, უფრო სწორად რომ ვთქვათ, თვით იყო ზვენი პირველი უნივერსიტეტი“, — ასეთი მაღალი შეფასება მისცა გენიალურ მეცნიერს აღესპანდრე პეშინმა.

მართლაც, ფართო და მრავალმხრივი იყო მეოთხეკმეტე საუკუნის ამ დიდი ადამიანის მეცნიერული შემოქმედება. მეცნიერების რომელი დარგისთვისაც არ უნდა მოეკლდა ხელი, ლომონოსოვს ნათელი გონება ამდიდრებდა მის შესანიშნავი აღმოჩენებით და სახავედა მეცნიერების განვითარების ახალ გზებს. ქიმიკოსი და ფიზიკოსი, გეოლოგი და მინერალოგი, ისტორიკოსი და გეოგრაფი, პოეტი და მხატვარი, თანამედროვე მეცნიერული ბუნებისმეტყველების ერთ-ერთი ფუძემდებელი, შოაზროვნე — მატერიალისტი და გამოჩენილი მებრძოლი თავისი სამშობლოს კეთილდღეობისა და განათლებისათვის — ასეთი იყო მიხეილ ლომონოსოვი, ადამიანი, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა რუსეთისა და მსოფლიო მეცნიერების განვითარების ისტორიაში.

მახილო ვახილის-მე ლომონოსოვი დაიბადა 1711 წლის 19 ნოემბერს რუსეთის უკიდურეს ჩრდილოეთში, სოფელ დენისოვკაში, ხოლომგორის მაზლობლად. დიდი რუსი მეცნიერი გაზოგდა მოსახლეობის იმ შესანიშნავი ფენიდან, რომელმაც ჩრდილო ზღვისპირეთში თავისებური კულტურული და ეკონომიური პირობები შექმნა ზღვიანობისა და ეპარობის განვითარებაში. შემთხვევითი არ არის ის ფაქტიც, რომ სწორედ ამდროინდელი რუსეთის ჩრდილოეთის განვითარების თავისებურებებმა გარკვეული ზეგავლენა მოახდინეს ახალგაზრდა მიხეილის მსოფლმზედველობის ფორმირებასა და მეცნიერული შემოქმედების მიმართულუბაზე.

რუსეთის ევროპული ნაწილის კულტურულ ეკონომიური განვითარების თავისებურება პირველ რიგში გამოიხატება რიგი სოციალ-ეკონომიური ფაქტორების არსებობით. პირველი და მნიშვნელოვანი ფაქტორი ის იყო, რომ რუსეთის ჩრდილო ტერიტორია არ ყოფილა მონგოლ-თათართა უღელქვეშ. ეს იყო შამაც მულღაურთა მხარე, რომელთა მთავარ საქმიანობას წარმოადგენდა მეთევზეობა და ზღვის რეწვა, ხე-ტყის დამზადება. გულადი პომორები (ზღვისპირელები) თავიანთი პატარა სათევზო ხომალდებით ახდენდნენ შორეულ გადასვლებს, აღწევდნენ ვრუმანტს (მარტბერგენს) და ჩრდილო უნელოვანი ოკეანის ციმბირის სანაპიროებს. ეს ის პერიოდი, როდესაც კულტურული და ეკონომიური განვითარების გზაზე მდგომ რუსეთს არ გააჩნია ზღვაზე გასაყვანი ევროპასა და სხვა ქვეყნებთან საჯარო ურთიერთობისათვის. ჩრდილოეთის ზღვისპირა მხარე ავთოციკლები და სუსტად დასახლებული იყო. საგარეო ვაჭრობა უმთავრესად უცხოეთის გემებით წარმოებდა.

საუკუნეების განმავლობაში „მიგდებულ“ ჩრდილოეთის განვითარება XVI საუკუნის ბოლოდან იწყება. ამ პერიოდში, როდესაც აღლანტის ოკეანეში გაბატონებული იყო ესპანეთის ფლოტი, ხოლო ინგლისის საზღვაო ვაჭრობა ერთობ შეზღუდული იყო, ცნობილმა ინგლისელმა მოგზაურმა სებასტიან კობტმა, რომელმაც კოლუმბისაგან დამოუკიდებლად, აღმოაჩინა ჩრდილო ამერიკა, ინგლისის მთავრობისადმი წარდგენილ მოხსენებში ბარათში გამოქვა აზრი — რუსეთის ჩრდილოეთზე გავლად მიეღწით ინდოეთისა და ჩინეთისათვის.

1553 წ. სპი გემი ინგლისიდან გავიდა რუსეთის მიმართულებით. ერთი გემი, პოე ფილობის მეთაურობით, ძლიერ გრივალს შეესწრო და მურმანსკის სანაპიროებთან დაიღება. მეორე გემს ვა აებნა და უკან დაბრუნდა, მესამე გემმა კ. რინარდ ჩენსლერის მეთაურობით, შიადწია მდ. დენის შესართავს. ჩენსლერმა ხოლომგორიდან მარხილებით მოსკოვს მოაღწია. მეფე ივანე IV-ს წარუდგა. რუსეთ-ინგლის შორის საჯარო ზელშეკრულება დაიდა. ჩენ-

საუკუნეების განმავლობაში „მიგდებულ“ ჩრდილოეთის განვითარება XVI საუკუნის ბოლოდან იწყება. ამ პერიოდში, როდესაც აღლანტის ოკეანეში გაბატონებული იყო ესპანეთის ფლოტი, ხოლო ინგლისის საზღვაო ვაჭრობა ერთობ შეზღუდული იყო, ცნობილმა ინგლისელმა მოგზაურმა სებასტიან კობტმა, რომელმაც კოლუმბისაგან დამოუკიდებლად, აღმოაჩინა ჩრდილო ამერიკა, ინგლისის მთავრობისადმი წარდგენილ მოხსენებში ბარათში გამოქვა აზრი — რუსეთის ჩრდილოეთზე გავლად მიეღწით ინდოეთისა და ჩინეთისათვის.

სერის ჩამოსვლით საფუძველი ჩაეყარა საეპიტრო ნაოსნობას მდ. დვინის შესართავში, სულ მალე ქალაქი ხოლოგორი და მისი მიდამოები გადაიქცა ინგლისთან და ევროპის სხვა ქვეყნებთან საზღვაო ვაჭრობის კერად. ხოლოგორიდან ტვირთი მდ. დვინით მიჰქონდათ ევოლიგდამდე, შემდეგ კი მოსკოვსა და რუსეთის სხვა ქალაქებში. ეს ის პერიოდი, როდესაც ხოლოგორი, უფრო გვიან კი არხანგელსკი, გადაიქცა არა მარტო უცხოეთთან ვაჭრობის ცენტრად, არამედ რუსული საეპიტრო ფლოტის მშენებლობის კერადაც. თავდაპირველად სწორედ „ჩრდილო კიშკარიდან“ იჭრება ევროპულ ცივილიზაციას ჩრდილოეთში, რამაც, ცხადია, ერთგვარი ზარღობით გააღწია მოახდინა ახალი სანავსადგურო ქალაქებისა და ევროპული რუსეთის ჩრდილო მხარის კულტურულ და ეკონომიურ განვითარებაზე.

პეტრე I ქმედითი მოღვაწეობის შედეგად ფეოდალური რუსეთი სწრაფი ნაბიჯებით მიდის წინ. ამ გამოჩენილი მოღვაწის ამოცანა იყო ფეოდალური რუსეთის ეკონომიკაში დაენერგა საეპიტრო კაპიტალი. სახელმწიფოებრივი წყობის ევროპეიზაციას თან სდევდა კულტურული და ეკონომიური ცხოვრების ყველა მხარის განვითარება. ეს განსაკუთრებით შესამჩნევია იყო საბუნებისმეტყველო დისციპლინების — ქიმიის, ფიზიკის, გეოლოგიის, გეოგრაფიისა და სხვათა განვითარებაში. აი, სწორედ რუსეთის ამ მძლავრი აღზევების პერიოდში დაიბადა ნიხაილო ლომონოსოვი, და შემთხვევით არ არის ის ფაქტიც, რომ ლომონოსოვის ყველა შემდგომი შრომა ორგანულად დაკავშირებული იყო რუსეთის კულტურულ და ეკონომიურ ცხოვრებასთან, პრაქტიკასთან, ხალხის კეთილდღეობასთან.

პატრიოტიზმი, მეცნიერების განსაკუთრებული სიყვარული იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ლომონოსოვის ყოველმხრივი და ნაყოფიერი შემოქმედებისა.

ცოდნის წყურვილმა 19 წლის ჰაბტუი მიიყვანა მოსკოვის სლავურ-ბერძნულ-ლათინურ აკადემიაში. უკან დარჩა მხოვეთა მამა, მშობელი ი სოფელი. სესხიან ზამთარში ძველი მშარითა და ჩექმებით, ფეხით უკან მიჰყვებოდა დროგს „რუსული მეცნიერების მომავალი მამამთავარი“. მოწაფეობის დროს მან გამოიჩინა განსაკუთრებული ნიჭი და ცნობისმოყვარე გონება; ისე დრმად დაუფლდა ლათინურ და ბერძნულ ენებს, რომ შემდეგში ის მთელს რუსეთში ერთ-ერთ საუწყეთსო ლინგვისტად იყო აღიარებული. 1736 წლის დამდეგს ნიჭიერი სტუდენტი ლომონოსოვი სწავლის გასაგრძელებლად გავხაენილი იქნა საზღვარგარეთ. სამი წლის განმავლობაში სწავლობდა მარბურგის უნივერსიტეტში ფიზიკის პროფესორ

ქრ. ვოლფის ხელმძღვანელობით (რომლის სახელმძღვანელო შემდეგში რუსულად თარგმნილი იყო თვით ლომონოსოვის მიერ). შემდეგ კი გადავიდა ქალაქ ფრეიბერგში, სადაც დაუფლდა სამთო საქმეს ი. მეკელის ხელმძღვანელობით. 1741 წელს ლომონოსოვი დაბრუნდა რუსეთში და მალე დანიშნული იქნა ქიმიის პროფესორად პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიაში.

თავისი მეცნიერული მოღვაწეობის პირველივე დღეებიდან ლომონოსოვი შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებდა რუსული მეცნიერებისა და კულტურის მოწინააღმდეგე უცხოელ მეცნიერებთან და რუსეთის მართველ რეაქციულ წრეებთან. მისივე სატყუელი, მისი მთავარი და ერთადერთი ამოცანა იყო რუსული მეცნიერებისა და კულტურის განდევნა, უცხოელების განდევნა და საკუთარი ახალი მეცნიერული კადრების მომზადება.

1744 წლიდან იწყება მ. ლომონოსოვის საკმაოდ ხანგრძლივი და ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობა. მისი დაყენებითი მოთხოვნით, ჩამოყალიბებული იქნა პირველი ქიმიური ლაბორატორია რუსეთის მეცნიერებათა აკადემიასთან, რომელმაც მთელი ეპოქა შეადგინა სამამულო ქიმიის განვითარებაში. სწორედ ამ პერიოდისა იწყება ლომონოსოვის ყველა მნიშვნელოვანი აღმოჩენა, განსაკუთრებით, ქიმიამი.

მ. ლომონოსოვი თავისებოთა სამართლიანად ითვლება ქიმიური მეცნიერების ფუძემდებლად რუსეთში. მან პირველმა განსაზღვრა ქიმიური მეცნიერების ამოცანები, აღმოაჩინა თანამედროვე ბუნებისმეტყველების ერთ-ერთი ძირითადი კანონი — ნივთიერებათა წონის მარადისობის კანონი და ექსპერიმენტებით დაამტკიცა ქიმიური მოვლენებში მისი გამოყენების შესაძლებლობა.

XVIII საუკუნეში ქიმიურმა მეცნიერებამ დიდ წარმატებებს მიიღწია. შავი და ფერადი მეტალურგიის ზრდამ დასავლეთ ევროპასა და რუსეთში ახალი ამოცანები დააყენა ქიმიური მეცნიერების წინაშე. სამეცნიერო გამოკვლევებში შემოღებული იქნა სასწორი, ნივთიერებათა მარადისობის კანონის დადგენით უარყოფილი იქნა იმ დროს გაბატონებული ფლოგისტონის თეორია. ცრუმეცნიერებამ — ალქიმია ამ გზა დაუთმო მეცნიერულ ქიმიას.

მ. ლომონოსოვი ცხოვრობდა ფლოგისტონის ეპოქაში და სისტეკ ბრძოლას აწარმოებდა ამ ცრუმეცნიერული თეორიის წინააღმდეგ. როგორც ცნობილია, ფლოგისტონის თეორია აღქიმიკოსების ძირითადი დასაყრდენი იყო. მათ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა ხელოვნური გზით კეთილშობილი ლითონის (პირველ რიგში, ოქროს) მიღება. ფლოგისტონის თეორიის მიხედვით, მყარი სხეულის მთავარი ელემენტებია: გოგირდი, მარილი და მერკური

(სინდიკი). ვოგორდი ნიშნავდა ყველაფერს, რაც იწვის და ფეთქდება, მერკური — აირად ნივთიერებებს, მარილი კი — ყოველგვარ მყარ და მინარევი ნივთიერებების ნარჩენებს. აღჭიმოკლები დაწმენვითი იყვნენ, რომ ლითონის ცვალებადობა ცეცხლის ზეგავლენით გაპირობებულა მასში „კოგორდის“ არსებობით, ე. ი. განსაკუთრებული სახეობის საწვავის არსებობით. მათი წარმოდგენით წვა არის არა შერთება, არამედ დაშლა. ამასთან ამ პროცესში ნივთიერებიდან გამოიყოფა რაღაც ალის მსგავსი, რომელიც არ ჩანს და არც წონა აქვს. სწორედ ეს შეხედულება დაედო საფუძვლად ფლოგისტონის თეორიის (ბერნშულა ფლოგისტონის ნიშნავს დამწვარს), რომელიც გაბატონებული იყო მთელს ევროპაში ლომონოსოვის შრომების გამოქვეყნებამდე.

მიხეილ ლომონოსოვა თავის შესანიშნავ შრომაში «Рассуждение о причине холода» (1745 წ.) და «Рассуждение о химически растворяющих жидкостях вообще» (1750 წ.) წამოაყენა ანტიფლოგისტონური თეორია, ქიმიურ გამოყვევებში შემოიღო ზუსტი მეცნიერული მეთოდი, რომელიც აწინავე გამოყენებას ემყარებოდა, დაამტკიცა ჰაერის მონაწილეობა მეტალების დაკანკავშირებაში, შეიმუშავა მეცნიერული შეხედულებები გახსნის პროცესების არსისა და ხსნარების შესახებ და ა. შ. ის, რაც საფუძვლად განმავლობაში ევრაყეთის ქიმიკოსთა თაობებმა, გააკეთა მ. ლომონოსოვა, და მხოლოდ 40 წლის შემდეგ მისი აღმოჩენიდან ეს დებულებები წამოაყენა და გომეორა ცნობილმა ფრანგმა ქიმიკოსმა ლავუაზიემ.

ქიმიური მეცნიერების თეორიულ საფუძვლად შეადგინა მოძღვრება მოლეკულებისა და ატომისაგან ნივთიერებათა აგებულების შესახებ ან სხვანაირად ატომ-მოლეკულური მოძღვრება, რომელიც მ. ლომონოსოვმა პირველად დასაბუთა 1748 წ. ეილერისადმი გაგზავნილ წერილში. მ. ლომონოსოვის აზრით, ატომთა რეალური არსებობის დასაბუთება ნივთიერებათა ქიმიური გარდაქმნები, და რომ ამ გარდაქმნათა პროცესში ხდება მოლეკულური დაყოფა უფრო მკირე ერთეულებად — ატომებად. მ. ლომონოსოვის მიერ შექმნილ ატომ-მოლეკულური მოძღვრებას უდიდესი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ეს მოძღვრება ნათლად გვიმტკიცებს, რომ ბუნებაში არსებული ნივთიერებანი წარმოიქმნიან ატომებისაგან და რომ ერთი სახის ნივთიერება გარდაიქმნება სხვა ქიმიურ ნივთიერებად ქიმიური რეაქციის შედეგად. ე. ი. ატომთა მოძრაობის შედეგად.

მ. ლომონოსოვი არის ავტორი ბუნებისმეტყველების ერთ-ერთი კანონისა — მატერიისა და ენერჯის მარადისობის კანონისა. ამ კანონის თანახმად, ბუნებაში არაფერი არ წარმოიქმნე-

ბა არაფრისაგან და მატერია არასდროს არ ისპობა.

წონის (მასის) და ენერჯის მუდმივობის კანონი ცნობილია ლომონოსოვმა გამოიყენა სხვადასხვა წოდებით და მის მიერვე ფორმულირებულია შემდეგნაირად: „ბუნებაში მომხდარი ყველა ცვლილება ისე მიმდინარეობს, რომ თუ ერთ სხეულს რაიმე ემატება, მეორეს ამდენივე აკლდება. თუ ერთგან მჭირდება მატერია, მთომატებს მეორე ადგილს. ეს საყოველთაო ბუნებრივი კანონი ვრცელდება მოძრაობის წესებზედაც, რადგანაც სხეული, რომელიც თავისი ძალით ამოძრავებს სხვა სხეულს, იმდენავე კარგავს თვითონ, რამდენსაც უმატებს მეორეს, რომელიც მისგან მოძრაობას ღებულობს“. ამ კანონის აღმოჩენა-დასაბუთებით მ. ლომონოსოვმა დიდად გაუსწრო თავის თანამედროვეებს არა მარტო რუსეთში, არამედ დასავლეთ ევროპაშიც.

მას დიდმნიშვნელოვანი გამოკვლევები აქვს აკადემიკოს მ. რიხმანთან ერთად ელექტროობაში. 1744 — 1745 წ. რიხმანმა მეცნიერების ისტორიაში შექმნა პირველი ელექტროობის ხელსაწყო, რომლის გამოყენებით მ. ლომონოსოვმა და რიხმანმა დასაბამი მისცეს ახალ პერიოდს ელექტროობის განვითარებაში. მათ მიერ დამზადებული ელექტროობის ხელსაწყო — „ელექტრომაგნიტები“ გამოყენებული იყო აღმოსავლური ელექტროობის შესასწავლად.

ბევრი რამ გააკეთა მ. ლომონოსოვმა მეტეოროლოგიის დარგში, — გამოიგონა და დაამზადა მეტეოროლოგიური ხელსაწყო „ანემომეტრი“, რომელიც უხვევებად ქარის მიმართულებასა და სიქქარეს; „საზღვაო ბარომეტრი“, ანარტირთვითმწერი თერმომეტრის ასატანად ატმოსფეროს მაღალ ფენებში. მ. ლომონოსოვის აინტრესებდა პოლარული ნათებაც და 1753 წ. გამოთქვა საკუთარი აზრი პოლარული ნათების ელექტრული ბუნების შესახებ.

მ. ლომონოსოვი საესეებით სამართლიანად ითვლება მეტეოროლოგიის ფუძემდებლად რუსეთში. მის სპეციალური პროექტიც კი შეადგინა და სურდა მეტეოროლოგიური ობსერვატორიების ფართო ქსელის შექმნა, რომელიც აღჭურვილი იქნებოდა მას მიერვე დამზადებული თვითმწერი ხელსაწყოებით.

დაუცხრომელი ენერჯის მეცნიერს არ გამოჩნენია პრაქტიკული მნიშვნელობის ისეთი დარგები, როგორცაა ოპტიკა, ასტრონომია და გეოლოგია. 1741 წ. მან დაამზადა ორიგინალური კონსტრუქციის კატოპრიკო-დიოპტრული ხელსაწყო, რომელიც შვიდი ბრტყელი და რვა ორბზირი ამოწვეტილი ლინზისაგან შედგებოდა. მანვე პირველმა დაამზადა და პრაქტიკაში დანერგა ხელსაწყო რეფრაქტომეტრი, ავ-

რედაქციაში „პორტოგალიკოსი“, ვ. ი. პერსიკოვი — ხელსაწყო წყალქვეშაიდან წყალზედა ადგილის პორტოგალიკო დათვალვებისათვის. ლომონოსოვამდე მსგავსი ხელსაწყო არავის არ დაუშვებია. პერსიკოვი ფართო გამოყენება მხოლოდ მეოცე საუკუნეში მოუვა, — წყალქვეშა ნაგების გამოგონების შემდეგ.

ინსტრუმენტულ ოპტიკაში მ. ლომონოსოვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოგონებაა „ღამით საურბელები მილის“ დამზადება, რომლითაც დაბნელებისას და ღამით შეიძლება საგნების გარჩევა. მსგავსი „მილები“ გამოყენებული იყო რუსეთის პოლარული ექსპედიციების გამგებზე, რომლებიც ლომონოსოვის ინიციატივით იყო ორგანიზებული 1765 — 1767 წლებში აღმოსავლეთ კონტინენტის მეთაურობით. სახლგარეშო ასტრონომიისათვის მ. ლომონოსოვმა შექმნა ორ ათეულზე მეტი ახალი ხელსაწყო: ვერსიაზე აღმოაჩინა ატმოსფერო; გამოთქვა სანტრე-რუსო მოსახრება სამყაროს უსასრულობისა და განუთარების, მზის ფიზიკური ბუნების შესახებ და ა. შ.

მ. ლომონოსოვი სანტრეცესო როგორც გეოლოგი, მიწარალოგი და მეტალურგი. 1742 წ. მან დაწერა „მეტალურგია“, რომელშიც მოგვცა ბევრი მიწერა და ქანის აღწერა, რაც მთავარია, მაშინ კლასიფიკაციის გეგმა: რუხეთის სინამდვილეში პირველმა წარმოაყენა გეოლოგიურ გამოკვლევათა პრაქტიკაში ზუსტი მეთოდების გამოყენების იდეა; დასაბუთა ფიზიკისა და ქიმიის მნიშვნელობა; გამოსთქვა იდეა გეოლოგიურ წარსულში ზღვის მოქცევისა და უცუქვევის მორიგეობისა და სანაპირო ხაზის შედარებით მოძრაობის შესახებ. ეს მოკვლევები ასევე „დედამიწის რყევით“. მკვლევების საუკუნეობრივი რყევით, მიწისძვრებით და ტექტონიკური მოძრაობით, სწორედ ასევე ქვანახშირის, ტორფისა და ქვამარილის წარმოშობის მიზეზები, დამატკიცა, რომ ქარვა არის გაქვავებული ქვის ფისი, რომ შეცვრება აქვე ხავერდოვან კვება, აწარმოვა პრაქტიკული მნიშვნელობის გამოკვლევები მეტალურგიაში, მინის წარმოების დარგში და ა. შ.

დღე სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას ანიჭებდა მ. ლომონოსოვი ლითონის წარმოების საქმეს რუსეთში; მიანიღა რა ლითონი ქვეყნის ეკონომიკური სიმდიერისა და დამოუკიდებლობის საფუძვლად, რუსეთის წიაღისეული სიმდიერების გამოკვლევა და დაუშვებია აქცია მთელი რიგი თავისი შრომების, ლექსების, გამოსვლების ლიტერატურაში.

დღია მ. ლომონოსოვის დამსახურება რუსეთის ისტორიის, ხელოვნების, ფილოლოგიის დარგშიც. პატრიოტიზმი და სამშობლოს განსაკუთრებული სიყვარული ჰქონდა მას ჩაქსოვილი თავის ისტორიულ შრომებში. ეს ის პერიო-

დია, როდესაც რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში წევრთა უმრავლესობა და ხელმძღვანელები გერმანელები არიან და მხოლოდ მხოლოდ შრომებში ცდილობენ რუსი ხელმძღვანელები ფალსიფიკაციას, რუსი ხალხის როლის დამცირებას მხოლოდ ისტორიაში. სწორედ ამ უცხოელებთან უხდებოდა სასტიკი ბრძოლა მ. ლომონოსოვის არა მარტო საჯარო გამოსვლებში, არამედ სტატეგიაში და შრომებში. 1795 წელს მან დაწერა «Краткий Российский летописец с родословием», რომელშიც გაშუქებულია რუსეთის ყველა მნიშვნელოვანი თარიღი და მოღვაწეობა ყველა თავადისა და მეფისა პეტრე პირველამდე. სანტრეცესო აღინიშნოს, რომ მ. ლომონოსოვის ეს ნაწარმოები გამოიყენა ცნობილმა ფრანგმა ენციკლოპედისტმა ეოლტერმა თავისი შრომის „რუსეთის იმპერიის ისტორია პეტრე I დროს“ დასაწერად.

მ. ლომონოსოვი ბევრს მუშაობდა რუსეთის ისტორიის დიდ მონარქიაში, მაგრამ მხოლოდ პირველი ნაწილის დაწერა მოასწორა, სახელწოდებით «Древняя Российская история от начала Российского народа до кончины великого князя Ярослава Первого или до 1054 года». აღნიშნული ნაშრომი დაიწერა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრის, გერმანული მეცნიერის მილერის სახსებოდ, რომელმაც გამოაქვეყნა რუსეთის სახელმწიფოს წარმოშობის ისტორია. აღნიშნული ისტორია აღსაქვ იყო ცილისწამებით რუსეთის სახელმწიფოსა და რუსი ხალხის მიმართ. მ. ლომონოსოვი იყო ის რუსი მეცნიერი, რომელიც თავის შრომებში სასტიკი ნაწილის ეწეოდა მსგავსი ანტიოპიანიონური შრომების წინააღმდეგ. ისტორიის საკითხებზე მუშაობა მას დიდ ღროს ართმევდა, ამიტომ იყო, რომ მ. ლომონოსოვი 1754 წელს ეილერისადმი მიწერდა ბარათში წერს, რომ „მე იძულებული ვარ აქ შევასრულო არა მარტო პოეტის, ორატორის, ჭიმიკოსისა და ფიზიკოსის როლი, არამედ ამჟამად მთლიანად ისტორიკოსად გადავიქცეო“.

მ. ლომონოსოვი გვევლინება როგორც სახელით ხელოვნების თვალსაზრის წარმომადგენელი რუსეთში. მან აღადგინა XII საუკუნეიდან მივიწყებული მოზაიკური ხელოვნება. მისი საუკეთესო ნახელავია პეტრე I მოზაიკური პორტრეტი, რომელიც თავისი ღირსებით არ ჩამოევიარდება იმპერატორული დასავლეთ ევროპის ცნობილ ოსტატთა ნახელავს. 1762 — 1764 წლებში ლომონოსოვის სახელოსნოში პეტრე-პავლეს ტაძრისათვის დამზადებული იქნა ედლის გრანდიოზული პანო „პოლტავის ბატალია“, რომლითაც მან უცუდავყო პეტრე პირველის ეპოქის ღირსშესანიშნავი ისტორიული მოვლენები.

განსაკუთრებული დამსახურება მიუძღვის მ. ლომონოსოვის გეოგრაფიის განვითარებაში.

მ. ლომონოსოვის დროს დედამიწის უზარმაზარი ფართობები ჯერ კიდევ შეუქმნაველ-ათვისებელი იყო. მეცნიერებისათვის სავსებით უცნობი იყო აზიისა და აფრიკის დიდი ნაწილი, ჩრდილო ამერიკა 40 გრადუსის ჩრდილოეთით, ავსტრალიის შიდა ოლქები. მ. ლომონოსოვმა პირველმა მეცნიერთაგან ყურადღება მიაქცია იმ მოვლენას, რომ ატლანტის ოკეანის აღმოსავლეთი და დასავლეთი სანაპიროები უმსგავსებლად ერთი კონტინენტის მოხაზულობას, კერძოდ, გამოთქვა მოსაზრება შორეულ გეოლოგიურ წარსულში სამხრეთ ამერიკისა და აფრიკის ერთიანობის შესახებ, მანვე პირველმა შეისწავლა ხმელეთისა და წყლის გავრცელების კანონზომიერება დედამიწაზე, როგორც გამოჩენილი გეოლოგიური და გეოგრაფიული, ის 1758 წლიდან სათავეში ჩაუდგა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის გეოგრაფიულ დეპარტამენტს და დიდი მუშაობა გააჩინა რუსეთის გეოგრაფიის შესასწავლად. ჯერ კიდევ 1745 წ. გამოიკა ატლანტი, რომელიც სავსე იყო ფაქტობრივ შეცდომებით, ამიტომ მ. ლომონოსოვმა დიდი მუშაობა გასწია რუსეთის ახალი გეოგრაფიული ატლანტის შესადგენად. მისი ვარაუდით, ატლანტი უნდა ყოფილიყო 60-70 რუკა, რომელშიც ასახული იქნებოდა რუსეთის არა მარტო ბუნება, არამედ მოსახლეობისა და მურჩევობის განლაგებაც. ამ მიზნით დაამუშავა 30 საკითხისაგან შემდგარი კითხვარი — გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და მეტეოროლოგიური ხასიათის მასალების შესაგროვებლად რუსეთის იმპერიის ყველა გუბერნიიდან. მანვე დაამუშავა „კანონზომიერი ლექსიკონის“ შეთავაზების პროექტი; რაც მთავარია, მსოფლიო გეოგრაფიის ისტორიაში პირველმა შემოიღო ტერმინი „კანონზომიერი გეოგრაფია“ და „პოლიტიკური გეოგრაფია“.

ჩრდილოეთში დაბადებულმა და აღზრდილმა კარგად იცოდა თავისი მხარე მისი მკაცრი ბუნებით, და შემთხვევით არ არის ის ფაქტიც, რომ მას განსაკუთრებული დამახატობა მიუძღვის ჩრდილოეთის ათვისებისა და ჩრდილო საზღვაო გზის გამოყენების საქმეში. მან პოლარული ქვეყნების გამოკვლევას მიუძღვნა სპეციალური შრომა: „ჩრდილოეთის ზღვაზე სხვადასხვა მოგზაურობათა აღწერები და ჩვენებები ციმბირის ოკეანით აღმოსავლეთ ინდოეთში შესადგენელ მილწევამ“ (1766 წ.). ამ ნაშრომში დიდი რუსი მეცნიერი მოკეთებდა, თუ რა დიდი ეკონომიური და სტრატეგიული მნიშვნელობა ექნებოდა რუსეთისათვის ატლანტის ოკეანიდან წყნარ ოკეანემდე ჩრდილო საზღვაო გზის ათვისებას. „რუსეთის ფლოტი, — წერს მ. ლომონოსოვი, — დამკვიდრდება არა მარტო ევროპის სავაჭრო ნავსადგურებში, არამედ იაპონიაში, ჩინეთში, ინდოეთში და ამერიკის

დასავლეთ სანაპიროებამდეც კი მიადრწეს ამით ჩვენი ვაჭრობა არა მარტო მოიპოვებს ახალ უპირატესობას, დიდ სიმდიდრეს და დიდებას, არამედ შიშის ზარსაც დასცემს თავის ყველა მოქალაქეს“.

მ. ლომონოსოვმა გამოთქვა აზრი, რომ ჩრდილოეთ პოლუსი უმოკლესი გზა არის ევროპა-ამერიკის შორის. მანვე შეადგინა პროექტი პირველი რუსული პოლარული ექსპედიციისა, რომელიც უფრო გვიან მოეწყო კიდევ აღმობრალ ე. ჩინაგოვის მეთაურობით, მაგრამ უშედეგოდ.

მ. ლომონოსოვის ნაშრომს ჩრდილოეთის შესახებ დაბოლოებული პოლარული ქვეყნების რუკა და ჩრდილო საზღვაო გზის ათვისების ვრცელი აღწერა. ის გატაცებით წერდა, რომ მომავალში რუსეთი შესძლებს ჩრდილოეთის მკაცრი ბუნების დამორჩილებას. მან ამ საკითხს 1760 წელს სპეციალური ოლაც კი მიუძღვნა.

მ. ლომონოსოვის ოცნება მხოლოდ ჩვენს საბჭოთა ეპოქაში განხორციელდა; ჩრდილო საზღვაო გზა მდომივ მოქმედ მაგისტრალად იქცა. ამჟამად არქტოკის აუზში მეცნიერულ დაკვირვებებს აწარმოებენ მოდერნულ პოლარული სადგურები. მასვე გეტყვინის პოლარული ყინვაბების პირველი კლასიფიკაცია და ნამარხი ყინვაბების წარმოშობის თეორია, იდეა არქტოკის აუზში დიდი ყინულოვანი დრეიფტის შესახებ, რაც მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში დასაბუთა ნორვეგიელმა მეცნიერმა და მოგზაურმა ფრიტიოფ ნანსენმა.

• • •

დიდი და განუზომელია მ. ლომონოსოვის მეცნიერული მემკვიდრეობის მნიშვნელობა. მის დიდ მეცნიერულ ავტორიტეტზე ის ფაქტიც მეტყველებს, რომ მ. ლომონოსოვი არჩეული იქნა შვეციის (1760 წ.) და ბოლონის (იტალია) მეცნიერებათა აკადემიების სახელმწიფო წევრად.

მ. ლომონოსოვის ინიციატივით 1755 წელს რუსეთში შეიქმნა პირველი უმაღლესი სასწავლებელი — უნივერსიტეტი, რომელიც მისი დამაარსებლის სახელს ატარებს.

მ. ლომონოსოვის მეცნიერულ მემკვიდრეობას მაღალ შეფასებას აღუვადნენ გამოჩენილი რუსი რევოლუციონერ-დემოკრატები. ზოლო ა. პუშკინმა მას რუსეთის „პირველი უნივერსიტეტი“ უწოდა.

დიდი რუსი მეცნიერი-პატრიოტი ღრმად იყო დარწმუნებული იმაში, რომ „მაღლესი რუს ხალხსა თვით პლატონები და მკვირცხელი აზრის ნიუტონები თავის წიაღში აღმოაყენოს“.

ბ. შიჩხინაძე

კომუნისტების გუნდებთან ყრბობა

17-დან 31 ოქტომბრამდე ჩვენი პლანეტის ყველა ქვეყნის ხალხების ყურადღება მიპყრობილი იყო ჩვენი დიდი სოციალისტური საშობლოს დედაქალაქისაკენ — მოსკოვისაკენ. ისინი სულგანბული უსმენდნენ კრემლს, სადაც მიმდინარეობდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXII ყრილობა.

სკკპ XXII ყრილობა ქეშმარიტად უდიდესი, ეპოქალური მოვლენაა საბჭოთა ხალხის, მთელი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების მშრომელების ცხოვრებაში, მსოფლიოს მუშათა და კომუნისტურ მოძრაობაში. იგი წარმოადგენს ახალ, უმნიშვნელოვანეს ეტაპს კომუნისტებისათვის ბრძოლის საქმეში.

ყრილობა შეიკრება იმ დროს, როცა ჩვენი დიდი სოციალისტური საშობლო შევიდა კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში, როცა სოციალისტური წყობილება მტკიცედ დამკვიდრდა და ახალ-ახალ ისტორიულ გამარჯვებებს აღწევს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, როცა სწრაფად იზრდება პროგრესისა და მშვიდობის ძალები მთელ მსოფლიოში.

ყრილობამ, რომელსაც საბჭოთა ადამიანები შეხვდნენ როგორც დიდ და სასახარულო დღესასწაულს, შეაჯამა ჩვენი ქვეყნის მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებათა შედეგები, რომლებიც მოიპოვა საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელო-

ბით პარტიის XX ყრილობის შემდეგ განვლილ პერიოდში.

„სკკპ XX ყრილობის შემდეგ განვლილ წლებს, — ნათქვამია პარტიის XXII ყრილობის რეზოლუციაში, — განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი პარტიის, საბჭოთა ხალხის, მთელი კაცობრიობის ცხოვრებაში. ახორციელებდა რა ლენინურ გენერალურ ხაზს, პარტიამ დარაზმა ყველა მშრომელი კომუნისტური მშენებლობის ამოცანების შესასრულებლად დიად სამუშაოთა მთელ ფართო ფრონტზე. კომუნისტებისაკენ სსრ კავშირის განვითარების გზაზე დიდი ნიშანსვეტი იყო სკკპ რიგგარეშე XXI ყრილობა, რომელმაც მიიღო სახალხო მეურნეობის განვითარების შვიდწლიანი გეგმა“.

სკკპ XXII ყრილობაზე საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ანგარიშისა და პარტიის ახალი პროგრამის შესახებ მოხსენებებით გამოვიდა ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი. თვითმული საბჭოთა ადამიანი, სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მშრომელები, მთელი პროგრესული კაცობრიობა უდიდესი აღფრთოვანებითა და სიხარულით შეხვდნენ ამხანაგ ხრუშჩოვის აღნიშნულ მოხსენებებს, რომლებშიც შეჯამებულია საბჭოთა კავშირისა და მთელი სოციალისტური ბანაკის დიად გამარჯვებათა შედეგები, მოცემულია თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ღრმ-

მეცნიერული ანალიზი, დასახულია კომუნიზმისაკენ ჩვენი ქვეყნის განვითარების დიდებული პერსპექტივები, გაშუქებულია თანამედროვე კაცობრიობის განვითარების ყველაზე მთავარი, ყველაზე ძირითადი საკითხები.

პარტიის XX ყრილობიდან განვლილმა პერიოდმა ერთხელ კიდევ სავსებით ცხადყო ვ. ი. ლენინის სიტყვების სისწორე იმის შესახებ, „...რომ სოციალიზმი თავის წიაღში ატარებს გიგანტურ ძალებს და რომ კაცობრიობა ამჟამად გადავიდა განვითარების ახალ სტადიაზე, რომელსაც თან მოაქვს არაჩვეულებრივ ბრწყინვალე შესაძლებლობანი“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 590). აღნიშნული პერიოდი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი მძლავრი განვითარების, მეცნიერებისა და კულტურის ახალი აყვავების, მშრომელთა ცხოვრების დონის განუხრელი ზრდის, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს საერთაშორისო ავტორიტეტის განუზომლად ამადლების, სოციალიზმის მსოფლიო სისტემის კიდევ უფრო განმტკიცების პერიოდი იყო.

XXII ყრილობამ აღნიშნა, რომ თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის განმსაზღვრელი ნიშანია სოციალიზმის, დემოკრატიისა და მშვიდობის ძალების შემდგომი ზრდა მთელ მსოფლიოში. ცხოვრებამ დაადასტურა, ნათქვამია ყრილობის რეზოლუციაში, რომ სწორია ჩვენი პარტიის საგარეო კურსი, რომლის მიზანია ომის თავიდან აცილება და მშვიდობის განმტკიცება.

თანამედროვეობის ყველაზე დიდი და ყველაზე სასიცოცხლო პრობლემა, მშვიდობისა და ომის პრობლემა, რომელიც ადევნებს მსოფლიონ ყველა ქვეყნის ხალხებს. შესაძლებელია თუ არა ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილება. თუ იგი გარდუვალია? ამ კითხვაზე სწორი პასუხი გასცა ჯერ კიდევ ექვსი წლის წინათ სკკპ XX ყრილობამ, რომლის დასკვნა ომის ფატა-

ლური გარდუვალობის არარსებობის შესახებ მთლიანად მოიწინეს მსოფლიოს კომუნისტური და მშვიდად პარტიების წარმომადგენელთა თათბირებმა, რომლებიც გაიმართა 1957 და 1960 წლებში მოსკოვში.

მართალია, ვიდრე არსებობს იმპერიალიზმი, ომის საშიშროებაც იარსებებს, მაგრამ ომის საშიშროება არ ნიშნავს ომს ან მის გარდუვალობას. მსოფლიოს იმპერიალისტური ძალები ყველაფერს აკეთებენ ომის გასაჩაღებლად. უკანასკნელ წლებში მათ ბევრჯერ სცადეს თავს მოეხვიათ კაცობრიობისათვის ახალი მსოფლიო ომი, მაგრამ პროგრესისა და მშვიდობის ძალებმა, რომლებსაც მეთაურობს საბჭოთა კავშირი, ჩაშალეს იმპერიალისტთა ეს ცდები. წავიდა ის დრო, როდესაც აგრესორებს დაუსჯელად შეეძლოთ ომის გაჩაღება მაშინ და იქ, როდესაც და სადაც მოებრძანებოდნენ. მათი ნება რომ იყოს, ისინი დიდი ხანია გადაჩენდნენ კაცობრიობას ახალი მსოფლიო ომის უბედურებათა უფესკრულში. ახლა, მსოფლიო ასპარეზზე ძალთა თანაფარდობის შეცვლის შედეგად, მშვიდობის მომხრე ძალები, რომელთაც სათავეში უდგას სოციალისტური ბანაკი დიდი საბჭოთა კავშირის მეთაურობით, ბევრად სჭარბობენ ომის ძალებს. ისინი იმპერიალისტებს არ მისცემენ ნებას გახვიონ კაცობრიობა ახალი ომის ცეცხლში.

მშვიდობის მომხრეთა ძალა და უძლეველობა ის არის, რომ მათ სათავეში უდგას საბჭოთა კავშირი — მსოფლიოში ყველაზე მძლავრი სახელმწიფო, რომელიც დღიდან თავისი წარმოშობისა მტკიცედ იცავს მშვიდობისმოყვარულ ლენინურ საგარეო პოლიტიკას. საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნებისათვის ორგანოდ უცხოა ომი. სოციალისტურ ქვეყნებში ხომ ყველაფერი ადამიანების კეთილდღეობისათვის კეთდება, ომებს კი მოაქვს სახალხო მეურნეობის განადგურება, ადამიანთა ზოცვა-ყლუტა, უბე-

დურება და გაჭირვება სოციალისტური ბანაკის ხალხები დიდ შემოქმედებით მუშაობას ეწევიან სოციალიზმისა და კომუნისმის ასაშენებლად. მათ მშვიდობა ესაჭიროებათ ისე, როგორც თევზს წყალი, ფრინველს ჰაერი.

სოციალისტური ქვეყნების საგარეო პოლიტიკის ურყევი საფუძველია ორი მოპირდაპირე სოციალური სისტემის სახელმწიფოების მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი, რომელიც ვ. ი. ლენინმა წამოაყენა და რომელმაც შემდგომი განვითარება პოვა სკვპ XX და XXI ყრილობების გადაწყვეტილებებში. მთელი მსოფლიოს ორ სისტემად გაყოფის პირობებში ეს პრინციპი ერთადერთი სწორი და გონივრული პრინციპია. ან მშვიდობიანი თანაარსებობა, ან გამანადგურებელი ომი, — აი როგორ დგას ახლა საკითხი. საბჭოთა კავშირი მტკიცედ იცავს მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკას არა იმიტომ, რომ იგი, თითქოს, სუსტია, რომ მას კაპიტალისტური ქვეყნებისა ეშინია. არა, მას არავისი არ ეშინია და დედამიწაზე არც არსებობს ძალა, რომელსაც შეეძლოს ქედი მოახრევეინოს მას. საბჭოთა კავშირი, მთელი სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ხალხები იბრძვიან მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკის განხორციელებისათვის იმიტომ, რომ იგი შეეფერება მათ ინტერესებს, მსოფლიოს ყველა ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს, იმათ ძირეულ ინტერესებს, ვისაც არ სურს ახალი სისხლისმღვრელი ომი და ვინც მტკიცე მშვიდობისათვის იბრძვის. ეს პოლიტიკა ხელს უწყობს სოციალისტური სისტემის პოზიციების განმტკიცებას. მშვიდობიან პირობებში სოციალისტური წყობილება სულ უფრო და უფრო ცხადყოფს თავის უპირატესობებს კაპიტალისტურ წყობილებასთან შედარებით ეკონომიკის, მეცნიერებისა და ტექნიკის, კულტურის დარგში. სოციალიზმი და მშვიდობა განუყრელნი არიან.

პირდაპირ და ამჟამად ამხელს რა

დასავლეთის სახელმწიფოთა იმპერიალისტური წრეების ხრიკებსა და ცდებს ახალი მსოფლიო ომის გახადებისათვის, საბჭოთა კავშირი ყველა ზომას იღებს იმპერიალისტ აგრესორთა ასალაგმავად, დაუღალავად იბრძვის მტკიცე მშვიდობისათვის, უომო, უიარაღო მსოფლიოსათვის. აი, რატომ არის, რომ ყველა ქვეყნის მშრომელები, ჩვენი პლანეტის ყველა პატიოსანი ადამიანი მხურვალედ მიესალმებიან და მხარს უჭერენ ჩვენი ქვეყნის საგარეო პოლიტიკას.

ყრილობამ მალალი შეფასება მისცა კომუნისტური პარტიის საგარეო პოლიტიკის თანმიმდევრულობას, მოქნილობასა და ინიციატივიანობას და სავსებით მოიწონა ღონისძიებები, რომლებსაც სკვპ ცენტრალური კომიტეტი და საბჭოთა მთავრობა ახორციელებენ ყველა სახელმწიფოსთან პოლიტიკური, ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის გაძლიერების მიზნით.

„საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია, — ნათქვამია ყრილობის რეზოლუციაში, — გააკეთებს ყველაფერს, რაც საჭიროა იმისათვის, რომ შენარჩუნებულ იქნას და განმტკიცდეს ხალხებს შორის მშვიდობა და მეგობრობა ხალხთა სოციალური პროგრესისა და ბედნიერების მალალი იდეალების გამარჯვებისათვის“.

საანგარიშო პერიოდში მოპოვებულია უდიდესი წარმატებანი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში.

უალრესად სწრაფი ტემპით მიდის წინ ჩვენი ქვეყნის მრეწველობა. პარტიის XX ყრილობიდან გასულ ექვს წელიწადში მისი საერთო პროდუქცია გაიზარდა 80 პროცენტით. გადაპარბებით სრულდება შეიღწლიანი გეგმა. სამრეწველო პროდუქციის საშუალო წლიური მატება შეიღწლიედის პირველი 3 წლისათვის დასახული 8, 3 პროცენტის ნაცვლად ფაქტიურად შეადგენს 10 პროცენტს. დიდი წარმატებებია მოპოვებული მშენებლობაში, ტრანსპორტზე. საანგარიშო პერიოდში სახელმწი-

ფო კაპიტალურმა დაბანდებებმა სახალხო მეურნეობაში 156 მილიარდი მანეთი შეადგინა. ეს იმაზე მეტია, რაც დაბანდებული იყო საბჭოთა ხელისუფლების მთელი წლების მანძილზე პარტიის XX ყრილობამდე. წლითი-წლითი იზრდება შრომის ნაყოფიერება. 1961 წელს იგი გადააჭარბებს 1955 წლის დონეს: მრეწველობაში 43 პროცენტით, მშენებლობაში 60 პროცენტით, რკინიგზის ტრანსპორტზე 56 პროცენტით. შექმნილია ათასობით უახლესი ტიპის მანქანები, ჩარხები, აპარატები, ხელსაწყოები, ავტომატიზაციის საშუალებანი.

„წარმატებით წყდება, — ნათქვამია ყრილობის რეზოლუციაში, — ამოცანა — დავეწიოთ და გავუწიროთ ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. საბჭოთა კავშირმა უკვე გაუსწრო ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყანას — ამერიკის შეერთებულ შტატებს — არა მარტო ტემპების, არამედ აგრეთვე პროდუქციის აბსოლუტური ყოველწლიური მატების მიხედვითაც. ამჟამად სსრ კავშირში უფრო მეტს იღებენ, ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებში, რკინის მადანს, ქვანახშირს, მეტს აწარმოებენ კოქსს, ასაწყობ რკინაბეტონს, სამაგისტრალო ელმაგლებსა და თბომავლებს, დახერხილ მასალას, შალის ქსოვილებს, ერბო-კარაქს, შაქარს, თევზს და მთელ რიგ სხვა ნაკეთობებსა და პროდუქტებს.

შვიდწლიანი გეგმის შესრულება საბჭოთა კავშირის ეკონომიკას გაიყვანს ისეი წილადეზე, როცა ცოტა დროა იქნება საქირო იმისათვის, რომ გავუსწიროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივაც. ეს იქნება სოციალიზმის მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება კაპიტალიზმზე“.

საანგარიშო პერიოდში შესანიშნავი, სასიხარულო წარმატებებია მოპოვებული სოფლის მეურნეობაში, რომ-

ლის განვითარების საკითხებს პარტია განსაკუთრებულ ყურადღებებს აქცევდა და აქცევს. დიდად განვითარებული სოფლის მეურნეობა კომუნისმის აშენების აუცილებელი პირობაა.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების სწრაფი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს პარტიის მიერ შემუშავებულ და განხორციელებულ ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია, სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვის ახალი წესის შემოღება, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების გადიდებით კოლმეურნეებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშების მატერიალური დაინტერესების ლენინური პრინციპის აღდგენა, ხელმძღვანელთა კადრებითა და სპეციალისტებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განმტკიცება, სოფლის მეურნეობაში მეცნიერების როლის ამაღლება და სხვ. პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ ამ დიდმნიშვნელოვან ღონისძიებათა განხორციელების შედეგად 1956-1960 წლებში მარცვლეულის წარმოება წინა ხუთწლეულთან შედარებით 42 პროცენტით გადიდდა. უკანასკნელ ხუთწლეულში ბევრად გაიზარდა აგრეთვე ხორცის, რძის, მატყლისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების წარმოება. საზოგადოებრივი წარმოების გადიდების საღუქველზე გაორჯევდა კოლმეურნეობათა ფულადი შემოსავალი და განუყოფელი ფონდები, ამაღლდა კოლმეურნეთა მატერიალური კეთილდღეობის დონე.

მარცვლეულის წარმოების გადიდებასა და მთელი სოფლის მეურნეობის განვითარებაში განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა ყამირი და ნასვენ მიწების ათვისებამ. სულ ათვისებულია 41,8 მილიონი ჰექტარი მიწა. ეს მიწები ახლა პურის დამზადების 40 პროცენტზე მეტს იძლევიან.

ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესება, საბჭოთა ადამიანების მატერიალურ და სულიერ მოთხოვნილებათა განვითარება და უფრო სრულად დაკმაყოფილება იყო და არის კომუნისტური პარტიის მოღვაწეობის უმაღლესი კანონი, მისი საქმიანობის მთელი აზრი. ჩვენს ქვეყანაში ყოველდღიურად იზრდება ეროვნული შემოსავალი, რომლის სამი მეოთხედი მშრომელთა პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას ხმარდება. უკანასკნელ 10 წელიწადში ეროვნული შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე გაიზარდა 2,2-ჯერ.

საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლებაზე ნათლად მეტყველებს შემდეგი ფაქტები: განუხრელად იზრდება სახალხო მოხმარება, სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობა 1960 წელს 1955 წელთან შედარებით გაიზარდა 1,5-ჯერ; უკვე მთავრდება მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის მოწესრიგება, მალედება მისი მინიმალური დონე. საგრძნობლად მოიმატებს მათი ხელფასი აგრეთვე გადასახადების გაუქმების ღონისძიებითა განხორციელების შედეგად, რაც დაიწყო 1960 წლის პირველ ოქტომბრიდან და რაც 1965 წლის დამლევსათვის დამთავრდება; 1960 წელს დამთავრდა ყველა მუშისა და მოსამსახურის შვიდი საათისა და ექვსი საათის სამუშაო დღეზე გადაყვანა; უახლოეს წლებში შემოღებული იქნება ორმოცი საათის სამუშაო კვირა იმ მუშა-მოსამსახურეებისათვის, რომლებსაც ამჟამად შვიდი საათის სამუშაო დღე აქვთ. გაუმჯობესდა საპენსიო უზრუნველყოფა. ხალხის კეთილდღეობის დონის განუხრელ ამაღლებაში სულ უფრო მეტ როლს ასრულებენ საზოგადოებრივი ფონდები. დახმარება და შეღავათები, რაც მოსახლეობამ ამ ფონდებიდან მიიღო, 1960 წელს შეადგენდა 24,5 მილიარდ მანეთს, ნაცვლად 1940 წლის 4,2 მილიარდი მანეთისა. ხოლო შვიდწლეულის დამლევს იგი გადიდება 40 მილიარდ მანეთამდე. დიდი ყურადღება ექცევა ჩვენს ქვეყანაში საბინაო მშენე-

ბლობას, რომელიც უმაგალითო გაქმნებით ხასიათდება. უკანასკნელ ხუთ წელიწადში უფრო მეტი სახლი აშენდა, ვიდრე წინა თხუთმეტ წელიწადში. საბინაო მშენებლობის რემისისა და მოცულობის მიხედვით ჩვენი სამშობლო პირველ ადგილზეა მსოფლიოში.

ახალ აყვავებას განიცდის ჩვენი ქვეყნის მეცნიერება, ტექნიკა და კულტურა. საბჭოთა სოციალისტური საზოგადოება ყველაზე განათლებული საზოგადოება გახდა მთელ მსოფლიოში. ჩვენმა მეცნიერებამ მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის წარმატებები მოიპოვა და მოწინავე პოზიციები დაიკავა ცოდნის უმნიშვნელოვანეს დარგებში. ამის ერთ-ერთ ბრწყინვალე დადასტურებას წარმოადგენს საბჭოთა მეცნიერების მიღწევები კოსმოსის ათვისების საქმეში, რომლებითაც დაიწყო ახალი ეპოქა კაცობრიობის მეცნიერული ცოდნის განვითარებაში. საბჭოთა კავშირმა პირველმა მსოფლიოში გაუშვა დედამიწის ხელოვნური თანამგზავრები და კოსმოსური ხომალდები, პირველმა მიიტანა ალაში მთვარეზე და გადაიღო მისი უკანა მხრის სურათი, პირველმა შესძლო კოსმოსში ადამიანების წარმატებით გაფრენა. მთელ მსოფლიოში ჰქუხს საბჭოთა მოქალაქეების, კომუნისტების იური გაგარინისა და გერმანე ტიტოვის სახელები, რომლებიც პირველნი გაიჭრნენ კოსმოსში, შემოუარეს ჩვენს პლანეტას და მშვიდობით დაბრუნდნენ დედამიწაზე. ეს არის ბუნების ძალებზე ადამიანის უმაგალითო გამარჯვება. იგი არის საბჭოთა ხალხის გენიის განსახიერება, სოციალიზმის ძალისა და სიდიადის ახალი ბრწყინვალე დემონსტრაცია. უდიდესი მნიშვნელობის გამარჯვებანი კომუნისტურ მშენებლობაში, სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებასა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლებაში, რომლებიც უსაზღვროდ ახარებს თვითველ საბჭოთა ადამიანს და ჩვენს საზღვარგარეთელ მეგობრებს, მოპოვებულია გმირი მუშათა კლასის, სახელოვანი კოლმეურნე გლეხობისა და

სახალხო ინტელიგენციის თავდადებული შრომით, კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით, რომელიც შექმნა და გამოაწრო ვ. ი. ლენინმა.

„ჩვენი დიდი წარმატებანი როგორც საგარეო, ისე საშინაო პოლიტიკის დარგში, — თქვა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ყრილობაზე, — მიღწეულია იმის მეოხებით, რომ მტკიცედ და თანმიმდევრულად ვახორციელებდით პარტიის ლენინურ გენერალურ ხაზს, რომელმაც თავისი ღრმა გამოხატულება ჰპოვა XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში. ცენტრალურ კომიტეტს საჭიროდ მიაჩნია მოგახსენოთ რომ XX ყრილობის პოლიტიკურმა კურსმა მთლიანად გაიმარჯვა. თვით ცხოვრების მიერ ნაკარნახევი, ლენინური რევოლუციური შემოქმედების სულისკვეთებით გამსჭვალული ეს პოლიტიკური კურსი გახდა მთელი ჩვენი საბჭოთა ხალხის საქმე. პარტიამ კიდევ უფრო განამტკიცა თავისი კავშირი ხალხთან და, მის მძლავრ ენერჯიაზე დაყრდნობით კიდევ უფრო განადიდა საბჭოთა კავშირი“.

გადაქრით დავმო რა თავის XX ყრილობაზე სტალინის პიროვნების კულტი, გაანადგურა რა მალენკოვის, მოლოტოვის, კაგანოვიჩის და სხვათა ანტიპარტიული ჯგუფი, რომელიც იბრძოდა პარტიის XX ყრილობის მიერ აღებული კურსის წინააღმდეგ და ცდილობდა აეციდინა ქვეყანა ლენინური გზიდან, პარტიამ აღადგინა პარტიული ცხოვრების ლენინური ნორმები და ხელმძღვანელობის პრინციპები, გააფართოვა და განამტკიცა კავშირი მასებთან, კიდევ უფრო აამაღლა თავისი ბრძოლისუნარიანობა. მტკიცედ დარაზმა საბჭოთა ხალხი ახალ ისტორიულ წარმატებათა მოსაპოვებლად.

ყრილობამ მაღალი შეფასება მისცა საანგარიშო პერიოდში სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ გაწეულ მუშაობას. ყრილობის დადგენილებაში ნათქვამია:

„მთლიანად და სავსებით მოწონებულ იქნას საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა პოლიტიკური კურსი და პრაქტიკული საქმიანობა საშინაო და საგარეო პოლიტიკის დარგში“.

საბჭოთა ხალხს, კომუნისტურ პარტიის ისტორიამ არგუნა პირველი აღმომჩენის, პიონერის როლი. კომუნისტური პარტიის გარშემო მტკიცედ დარაზმულმა საბჭოთა ხალხმა პირველად კაცობრიობის ისტორიაში ააშენა სოციალისტური საზოგადოება, სადაც მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, უმუშევრობა, ეროვნული ჩაგვრა და ერთა უთანასწორობა, სადაც საწარმოო ძალები საზოგადოებრივ საკუთრებაშია და უმაგალითო სწრაფი ტემპით ვითარდება, სადაც ადამიანთა მატერიალური და კულტურული კეთილდღეობა განუხრებლად იზრდება. ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმმა მთლიანად და საბოლოოდ გაიმარჯვა. საბჭოთა ხალხის მიერ გაკეთულ გზას უკვე დაადგნენ ევროპისა და აზიის მთელი რიგი ქვეყნების ხალხები, რომლებიც წარმატებით აშენებენ სოციალისტურ საზოგადოებას. სოციალიზმის ბანაკის ქვეყნებს დედამიწის ერთი მეოთხედი უკავიათ, მოსახლეობა კი კაცობრიობის ერთ მესამედს შეადგენს. ახლა საბჭოთა კავშირი აშენებს კომუნისტურ საზოგადოებას, სადაც იზეიმებს მშვიდობა, შრომა, თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა და ბედნიერება ყველ: ხალხებისათვის.

მას შემდეგ, რაც კერძო საკუთრება და კლასები წარმოიშვენ, კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე ძმობელები ყოველთვის ოცნებობდნენ და ოცნებობენ ისეთ ცხოვრებაზე, ისეთ საზოგადოებრივ წყობილებაზე, სადაც ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაციის, მონობის, სიღატაკის, ხალხებს შორის ომების ნაცვლად გამეფებული იქნება შრომა, მშვიდობა, თავისუფლება, ბედნიერება, ოცნებობდნენ კომუნიზმზე. კომუნიზმი უკვე საბჭოთა ადა-

მიანების პრაქტიკული მოღვაწეობის საქმეა. საბჭოთა ხალხს კომუნისტურად გზას უნათებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამა, რომელიც მიიღო პარტიის XXI ყრილობამ.

პროგრამას უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკური პარტიის მოღვაწეობაში. „უპროგრამოდ, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — შეუძლებელია პარტია, როგორც რამდენადმე მთლიანი პოლიტიკური ორგანიზმი, რომელიც ყოველთვის შესაძლებს შეინარჩუნოს ზაზი მოვლენათა ყველა და ყოველგვარი შებრუნების დროს“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 17, გვ. 332). პროგრამაში ჩამოყალიბებულია პარტიის მიზნები და ამოცანები, მათი განხორციელების გზები და საშუალებანი. აი რატომ იყო, რომ ვ. ი. ლენინი პარტიის პროგრამის შემუშავებას ყოველთვის უდიდეს ყურადღებას აქცევდა.

ჩვენი პარტიის პირველი პროგრამა მიღებული იქნა 1903 წელს რსდმპ II ყრილობაზე. იგი უახლოეს მიზნად ისახავდა მეფის თვითმპყრობელობის დამხობას, სოციალისტური რევოლუციის განხორციელებას, პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებას. 1917 წლის ოქტომბერში ამ პროგრამით დასაბუთებული იქნა ჩვენი კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) VIII ყრილობაზე 1919 წლის მარტში, მიღებულ იქნა პარტიის მეორე პროგრამა, რომლის უახლოესი მიზანი იყო სოციალიზმის აშენება. ეს პროგრამაც ლენინურმა პარტიამ წარმატებით განახორციელა. ახლა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა შეიმუშავა ახალი პროგრამა, რომლის მიზანია ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური აშენება.

„კომუნისტი, — ნათქვამია პარტიის ახალ პროგრამაში, — არის უკლასო საზოგადოებრივი წყობილება, სადაც წარმოების საშუალებათა ერთიანი საერთო-სახალხო საკუთრებაა, საზოგადოების ყველა წევრი სოციალურად სავსებით თანასწორია, ადამიანთა ყოველმხრივი

განვითარებასთან ერთად საწარმოო ძალეშიც გაიზრდება მუდამ განვითარებადი მეცნიერებისა და ტექნიკის საფუძველზე, საზოგადოებრივი სიმდიდრის ყველა წყარო სავსე ნაკადად იდენს და განხორციელდება დიდი პრინციპი

„თვითულისაგან — უნარის მიხედვით, თვითულის — მოთხოვნილების მიხედვით“. კომუნისტი თავისუფალ და შეგნებულ მშრომელთა მაღალორგანიზებული საზოგადოებაა, რომელშიც დამკვიდრდება საზოგადოებრივი თვითმმართველობა, საზოგადოების საკეთილდღეო შრომა ყველასათვის გახდება პირველი სასიცოცხლო მოთხოვნილება და შეგნებული აუცილებლობა, თვითულის უნარი გამოყენებულ იქნება უდიდესი სარგებლობით ხალხისათვის“.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ახალი პროგრამა თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია. კაცობრიობის მრავალსაუკუნოვანმა ისტორიამ არ იცის მეორე ისეთი დოკუმენტი, რომელსაც ასე დიდი გამოხმაურება გამოეწვიოს დედამიწის ყველა კუთხეში, რომელსაც ასე მიეპყროს მთელი მსოფლიოს ყურადღება და ასე აღეფრთოვანებინოს ასეული მილიონობით მშრომელი ადამიანები.

ეყრდნობა რა მარქსიზმ-ლენინიზმის უკვდავ იდეებს, ითვალისწინებს რა სოციალისტური ბანაკის ქვეყნების ხალხთა გამოცდილებას სოციალიზმისა და კომუნისტური მშენებლობაში, მსოფლიო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის გამოცდილებასა და გაკვეთილებს, პარტიის ახალი პროგრამა მთელი რიგი ახალი დებულებითა და დასკვნებით ამდიდრებს მარქსიზმ-ლენინიზმს. ამ პროგრამის უდიდესი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობა ის არის, რომ მასში პირველად კაცობრიობის არსებობის ისტორიაში, მოცემულია კომუნისტური საზოგადოების აშენების მეცნიერულად დასაბუთებული კონკრეტული გეგმა, ნაჩვენებია სოციალიზმიდან კომუნისტურში გადასვლის გზები, იგი ასწავლის პარტიას, საბჭოთა ხალხს როგორ შექმ-

ნას კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, როგორც მიაღწიოს მოხმარების საგნების სიუხვეს, როგორც აღზარდოს ახალი, კომუნისტური მომავლის აღამიანები.

პარტიის ახალი პროგრამა ითვალისწინებს უახლოესი ორი ათეული წლის განმავლობაში კომუნისტური საზოგადოების ძირითადად აშენებას ჩვენს ქვეყანაში. ამ ორი ათწლეულის მანძილზე შეიქმნება კომუნისმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რის შედეგად საბჭოთა კავშირის ექნება სიმძლავრის მიხედვით უმაგალითო საწარმოო ძალები, იგი გადააჭარბებს ყველაზე განვითარებული კაპიტალისტური ქვეყნების ტექნიკურ დონეს და დაიკავეს მსოფლიოში პირველ ადგილს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ. ეს იქნება საფუძველი, — ნათქვამია, პროგრამაში, — კომუნისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობად სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის თანდათანობით გარდაქმნისა, მრეწველობის და სოფლის მეურნეობის ისეთი განვითარებისა, რომელიც საშუალებას მოგვცემს უხვად დავაკმაყოფილოთ საზოგადოებისა და ყველა მისი მოქალაქის მოთხოვნილებანი.

თუ რა გრანდიოზულია თავისი მასშტაბებით ის ამოცანები, რომელიც პარტიამ დასახა ეკონომიური მშენებლობის დარგში, ამის დასახასიათებლად საკმარისია დავასახელოთ შემდეგი ციფრები: 20 წლის განმავლობაში სამრეწველო პროდუქციის მოცულობა გადიდება სულ ოცთა ექვსჯერ და დიდად გაუსწრებს ამერიკის შეერთებული შტატების სამრეწველო წარმოების ახლანდელ დონეს. ამ ხნის განმავლობაში შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში გაიზრდება ოთხჯერ — ოთხნახევარჯერ და გადააჭარბებს ამერიკის შეერთებული შტატების შრომის ნაყოფიერების თანამედროვე დონეს დაახლოებით ერთიორად. დიდი ღონისძიებანი განხორციელდება სოფლის მეურნეობაში შემდგომი მძლავრი განვითარებისათვის,

რაც ჩვენს ქვეყანაში კომუნისმის აშენების აუცილებელი პირობაა. სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე მოსახლეობისა და სახალხო მეურნეობის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების მიზნით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის საერთო მოცულობა 20 წლის განმავლობაში გადიდება სამნახევარჯერ. აღნიშნული პროდუქტების წარმოება წინ გაუსწრებს მზარდ მოთხოვნას მასზე. საბჭოთა კავშირი პირველ ათწლეულში გაუსწრებს ამერიკის შეერთებულ შტატებს ერთ სულ მოსახლეზე სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების მხრივ.

სახალხო მეურნეობის განვითარების გრანდიოზული ამოცანების განხორციელებასთან ერთად კიდევ უფრო სწრაფად გაუმჯობესდება ჩვენი ქვეყნის მთელი მოსახლეობის კეთილდღეობა. კომუნისტურმა პარტიამ დასახა უდიდესი მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა — უზრუნველყოს საბჭოთა კავშირში ცხოვრების ყველაზე მაღალი დონე კაპიტალიზმის ყოველ ქვეყანასთან შედარებით.

ეს ამოცანა, — ნათქვამია პარტიის ახალ პროგრამაში, — განხორციელდება იმ გზით, რომ ა) გადიდება მშრომელთა ინდივიდუალური ანაზღაურება მათი შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით საცალო ფასების შემცირებასთან და მოსახლეობის გადასახადების გაუქმებასთან შეხამებით; ბ) გაფართოვდება საზოგადოებრივი ფონდები, რომლებიც საზოგადოების წევრთა შორის ნაწილდება მათი შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიუხედავად, ესე იგი, უფასოდ (განათლება, მეურნეობა, პენსიით უზრუნველყოფა, ბავშვების შენახვა საბავშვო დაწესებულებებში, კომუნალური მომსახურებით უფასო სარგებლობაზე გადასვლა და სხვ).

პროგრამით გათვალისწინებულია მომავალი 20 წლის განმავლობაში საშუალოდ ერთ სულ მოსახლეზე რეალური შემოსავლის გადიდება სამნახევარჯერ და მეტად. მნიშვნელოვნად გადიდება

საბჭოთა ინტელიგენციის ისეთი მრავალრიცხოვანი ფენების შრომის ანაზღაურება, როგორც არიან ინჟინრები და ტექნიკოსები, აგრონომები და ზოოტექნიკოსები, მასწავლებლები, მედიცინისა და კულტურის მუშაკები.

პარტიის ახალი პროგრამით გათვალისწინებულია სოციალური ურთიერთობის შემდგომი განვითარება. მოხდება ჩვენი სოციალისტური საზოგადოების კლასებს შორის ჯერ კიდევ არსებული განსხვავების ლიკვიდაცია, შეიქმნება უკლასო, კომუნისტური საზოგადოება. ლიკვიდირებულ იქნება ქალაქი და სოფელს შორის არსებითი განსხვავება. საწარმოო ძალების განვითარების დონითა და შრომის ხასიათით, — ნათქვამია პროგრამაში, — წარმოებითი ურთიერთობის ფორმებით, საყოფაცხოვრებო პირობებით, მოსახლეობის კეთილდღეობის დონით სოფელი ქალაქის დონეს მიაღწევს.

კომუნისტური გამარჯვება გულიანობის გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის განსხვავების ლიკვიდაციას. ფიზიკური შრომის მუშაკები თავიანთ კულტურულ-ტექნიკური დონით გონებრივი შრომის ადამიანთა დონეს მიაღწევენ. კომუნისტური მატერიალური და სულიერი წინამძღვრების შექმნასთან ერთად განვითარდება კომუნისტური საზოგადოების ადამიანის ნიშნები, ადამიანისა, რომელშიც პარამონიულად იქნება შეხამებული მაღალი იდეურობა, ფართო განათლება, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა.

გრანდიოზულ ამოცანებს სახავს პარტია პოლიტიკურ დარგში. მიღწეულ იქნება ყველა მოქალაქის აქტიური მონაწილეობა სახელმწიფოს მართვაში, სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ხელმძღვანელობაში. სოციალისტური დემოკრატიის ყოველმხრივ განვითარებისა და სრულყოფის შედეგად საზოგადოება მოემზადება კომუნისტური თვითმართვლობის პრინციპების სრული განხორციელებისათვის.

კომუნისტური მატერიალური დოვლათის

სიუბეცთან ერთად გულისხმობს სულიერ ფასეულობათა სიუბეცეს. კულტურის მუშაკები საზოგადოებებს უზრუნველყოფენ მშენებლობის პერიოდში ჩვენი ქვეყნის კულტურა კიდევ უფრო მძლავრად განვითარდება, მიაღწევს ახალ მწვერვალებს. პარტია, — ნათქვამია ახალ პროგრამაში, — დაუტყობლად იზრუნებს კულტურის აყვავებისათვის, თვითელი ადამიანის პირადი უნარის რაც შეიძლება სრული გამოვლინების ყველა პირობის შექმნისათვის, ყველა მშრომელის ესთეტიკური აღზრდისათვის, ხალხში მაღალი მხატვრული გემოვნების და კულტურული ჩვევების ჩამოყალიბებისათვის.

ლიტერატურა და ხელოვნება, რომლებიც გამსჭვალულნი არიან კომუნისტური იდეებით, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. განსაკუთრებით დიდ წარმატებებს მიაღწიეს მათ XX ყრილობიდან განვილი პერიოდში. უკანასკნელ წლებში, აღნიშნულია ყრილობის რეზოლუციაში, შეიქმნა ლიტერატურისა და ხელოვნების მთელი რიგი მნიშვნელოვანი ნაწარმოებები, რომლებიც მართლად ასახავენ ჩვენს სინამდვილეს, გვიჩვენებენ ახალი ადამიანების — კომუნისტური მშენებლების ხასიათსა და ნიშნებს.

ამჟამად, კომუნისტური საზოგადოების გაშლილი მშენებლობის პერიოდში, შემოქმედებითი ნიჭისა და უნარის, მაღალი ოსტატობის გამოვლინების უაღრესად ფართო ასპარეზი ისახება ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეთა წინაშე. მათ უნდა შექმნან ისეთი მაღალ-იდეური მხატვრული ნაწარმოებნი, რომლებიც გამოხატავენ მილიონობით ადამიანის ნებას, ფიქრებსა და გრძნობებს, რომლებიც ხელს შეუწყობენ მშრომელთა კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას და შთაავრებენ მათ ახალი შრომითი მამაცობისათვის.

„ლიტერატურისა და ხელოვნების განვითარებაში, — ნათქვამია პარტიის

ახალ პროგრამაში, — მთავარი ხაზია კავშირის განმტკიცება ხალხის ცხოვრებასთან, სოციალისტური სინამდვილის სიმდიდრისა და მრავალფეროვნების მართალი და მაღალმხატვრული ასახვა, ახლის, ნამდვილად კომუნისტურის შთაგონებული და მკაფიო წარმოსახვა და ყოველივე იმის მხილება, რაც ეწინააღმდეგება საზოგადოების წინსვლას“.

პარტიის ახალი პროგრამა აგებულია მარქსიზმ-ლენინიზმის ურყევ მეცნიერულ საფუძველზე, ეყრდნობა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ობიექტური კანონების, სოციალიზმიდან კომუნიზმში თანდათანობით გადასვლის კანონზომიერებათა ცოდნას.

ჩვენს ქვეყანას გააჩნია ყველა პირობა, რათა წარმატებით განახორციელოს პარტიის ახალ პროგრამაში — ჩვენი ეპოქის კომუნისტურ მანიფესტში ჩამოყალიბებული მიზნები და ამოცანები, რომლებიც თავიანთი მასშტაბების გრანდიოზულობით ადამიანთა გაოცებას იწვევს. ჩვენ გვაქვს დაუშრეტელი ბუნებრივი რესურსები, უდიდესი საწარმოო სიმძლავრეები, პირველხარისხოვანი ტექნიკა, მსოფლიოში ყველაზე მოწინავე მეცნიერება, გვყავს მაღალკვალიფიციური კადრების მრავალრიცხოვანი არმია; ჩვენს ქვეყანაში გაბატონებულია წარმოების სოციალისტური წესი, რომელიც უზრუნველყოფს საწარმოო ძალთა უმაგალითო მძლავრ განვითარებას. ჩვენ გვაქვს გიგანტური შემოქმედებითი ძალის საზოგადოებრივი წყობილება. ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვებამ უზრუნველყო საზოგადოებრივი განვითარების ისეთი მამოძრავებელი ძალების წარმოშობა და განვითარება, როგორცია საბჭოთა ადამიანების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, ხალხთა მეგობრობა და საბჭოთა პატრიოტიზმი. კომუნიზმის მშენებლობის ყველა ამოცანის წარმატებით განხორციელების მტკიცე გარანტიაა კომუნისტური პარტიის გიგანტური იდეურ-პოლიტიკური და ორგანიზა-

ტორული მუშაობა, მისი ბრძნული ხელმძღვანელობა საბჭოთა ხალხისადმი. დიდი ლენინის მიერ შექმნილ მოწოდებულ მოწოდებულ კომუნისტური პარტია საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელი და წარმართველი ძალაა, საბჭოთა ხალხის ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია. კომუნისტური პარტიის ძალა და ძლიერება ის არის, რომ იგი შემოქმედებითად ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს მარქსიზმ-ლენინიზმის ყოველმხრივ იდეებით. პარტიამ კარგად იცის საით და როგორ წაიყვანოს მასები და მიჰყავს ისინი გამარჯვებიდან გამარჯვებამდე. პარტიის ძალისა და უძლეველობის დაუშრეტელი წყაროა მისი მტკიცე ურდვევი კავშირი ხალხთან, რომელიც ისტორიის მამოძრავებელი, შემოქმედი ძალაა.

კომუნისტურმა პარტიამ საქვეყნოდ გამოაცხადა, რომ საბჭოთა ადამიანების ახლანდელი თაობა იცხოვრებს კომუნიზმის ღროს, და რადგან პარტია აცხადებს ამას, ეს ასეც მოხდება. პარტიის სიტყვა და საქმე ერთია. საბჭოთა ადამიანები ღრმად არიან დაარწმუნებულნი, მრავალი წლის გამოცდილებით იციან, რომ რასაც პარტია იტყვის, რასაც იგი დასახავს, ის სინამდვილედ იქცევა. პარტიამ იცის, რასაც ამბობს და რისთვის ამბობს. მისი სიტყვა და საქმე მეცნიერულად არის დასაბუთებული.

შეიმუშავა რა ახალი პროგრამა, პარტიის ლენინურმა ცენტრალურმა კომიტემ იგი კომუნისტების, მთელი საბჭოთა ხალხის განსახილველად გამოიტანა. პროექტის განხილვამ, რომელიც ორ თვენახევარს მიმდინარეობდა, ისეთი გაქანება მიიღო, რომელიც თვით ჩვენი პარტიისა და სახელმწიფოს ისტორიაშიც კი უმაგალითოა.

პროგრამის პროექტი გულდასმით, ყოველმხრივ განიხილეს ყველა პირველადი პარტიული ორგანიზაციის კრებებზე, რაიონულ, საქალაქო, საოლქო და სამხარეო პარტიულ კონფერენ-

ციებზე, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ყრილობებზე. განხილვაში მონაწილეობა მიიღო 9 მილიონზე მეტმა კომუნისტმა, ე. ი. მთელმა პარტიამ. უდიდესი აქტივობით განიხილავდნენ პროგრამის პროექტს მშრომელები თავიანთ კრებებზე. საწარმოებში, კოლმეურნეობებში, დაწესებულებებში, ჯარის ნაწილებში, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში მოეწყო 500 ათასზე მეტი კრება, რომელსაც დაახლოებით 73 მილიონამდე მშრომელი დაესწრო. პარტიულ კრებებზე, კონფერენციებზე, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ყრილობებზე, მშრომელთა კრებებზე პროექტის შესახებ გამოვიდა 4 მილიონ 800 ათასზე მეტი კაცი. გარდა ამისა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტში, ადგილობრივ პარტიულ ორგანოებში, გაზეთების, ჟურნალების, რადიოს და ტელევიზიის რედაქციებში შევიდა 300 ათასზე მეტი წერილი და სტატია.

პარტიის ახალი პროგრამის განხილვამ საბჭოთა საქართველოში, ისევე როგორც მთელ ჩვენს უზარმაზარ სოციალისტურ ქვეყანაში, ჭეშმარიტად საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიიღო. პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზე, სარაიონო, საქალაქო და საოლქო პარტიულ კონფერენციებზე, საწარმოთა კოლექტივების, კოლმეურნეობების კრებებზე ერთ მილიონზე მეტი კაცი მონაწილეობდა, მათგან სიტყვებით გამოვიდნენ 80 ათასამდე კომუნისტი და უპარტიო.

მშრომელთა გამოსვლები კრებებზე, წერილები, სტატიები, წინადადებები, შენიშვნები გამსჭვალულია მშობლიური კომუნისტური პარტიისათვის უდიდესი სიამაყის გრძნობით, გამოხატავენ საბჭოთა ადამიანების მხურვალე მისწრაფებას ყველაფერი გააკეთონ პროგრამაში დასახული მიზნებისა და ამოცანების განხორციელებისათვის.

პროგრამის განხილვა გადაიქცა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა

ხალხის ურღვევი ერთიანობის უდიდეს დემონსტრაციად. მან ერთხელ კიდევ ცხადყო საბჭოთა ხალხის უსუსულესი ერთგულება თავისი ავანგარდისადმი — ლენინური პარტიისადმი, ერთხელ კიდევ ნათლად გვიჩვენა, რომ საბჭოთა ხალხს მხურვალედ უყვარს კომუნისტური პარტია, ენდობა მას, მიჰყვება და მომავალშიც მტკიცედ გაჰყვება მას.

კომუნისტურმა პარტიამ, მთელმა საბჭოთა ხალხმა ერთსულოვნად მოიწონეს პარტიის ახალი პროგრამის პროექტი. საბჭოთა ადამიანებმა გონებით და გულთა მიიღეს პროგრამის იდეები, მასში დასახული გეგმები და გამოთქიეს ურყევი ნება და მგზნებარე მისწრაფება წარმატებით განახორციელონ ისინი თავიანთი თავდადებული შრომით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტი მხურვალედ მოიწონეს საზღვარგარეთის ქვეყნების კომუნისტურმა და მუსათა პარტიებმა, რომლებმაც იგი შეაფასეს, როგორც თანამედროვეობის უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, როგორც მარქსიზმ-ლენინიზმის შემოქმედებითი განვითარების ნიმუში, როგორც მარქსისტულ-ლენინური მეცნიერების ტრიუმფი.

დიდი აღფრთოვანებით შეხედნენ პარტიის ახალი პროგრამის პროექტს კაპიტალისტური სახელმწიფოების მშრომელები, კოლონიური და დამოკიდებული ქვეყნების ხალხები. მიუხედავად მძაფრი იმპერიალისტური პროპაგანდისა, რომელიც ათასნაირ ცილს წამებს სოციალიზმს და ყოველნაირად აქებს კაპიტალისტურ საზოგადოებას, სიმართლე, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეები სულ უფრო და უფრო იკაფავს გზას ასეულობით მილიონ მშრომელთა გონებისა და გულისაკენ. პარტიის ახალ პროგრამაში კაპიტალისტური სამყაროს მშრომელები პოულობენ ერთადერთ სწორ პასუხს იმ კითხვებზე, რომელიც მათ აღელვებს, მასში ისინი ხედავენ თავიანთ ნათელ მომავალს.

მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელო-

ბის გამარჯვებები, რასაც მიიღწია ჩვენ-
მა სოციალისტურმა სამშობლომ და
რომლებითაც სამართლიანად ამაყობს
თვითეული საბჭოთა ადამიანი, მოპოვე-
ბულია კომუნისტური პარტიის ბრძნუ-
ლი ხელმძღვანელობით. ახლა, კომუნის-
ტური საზოგადოების გაშლილი მშე-
ნებლობის პერიოდში, კომუნისტური
პარტიის, როგორც საბჭოთა ხალხის
ხელმძღვანელისა და წარმართველი ძა-
ლის, როლი და მნიშვნელობა კიდევ
უფრო იზრდება. კომუნისტური საზო-
გადოების აშენების ამოცანის წარმატე-
ბით განხორციელება მოითხოვს პარ-
ტიული ორგანიზაციების იდეურ-პოლი-
ტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული
მუშაობის შემდგომ გაძლიერებას, თვი-
თეული პირველადი პარტიული ორგა-
ნიზაციის, ყოველი კომუნისტის ბრძო-
ლის უნარიანობის კიდევ უფრო ამაღ-
ლებას, ხალხის მასებთან პარტიის, მისი
თვითეული ორგანიზაციის კავშირის გა-
ნუხრელად განმტკიცებას, საზოგადოებ-
რივი ორგანიზაციებისადმი პარტიის
ხელმძღვანელობის შემდგომ გაძლიე-
რებას, მშრომელთა მასების მთელი ძა-
ლების მობილიზაციას ჩვენი ქვეყნის
ძლიერების კიდევ უფრო განმტკიცები-
სათვის. კომუნისტების გაშლილი მშენებ-
ლობის პერიოდი იქნება ახალი ეტაპი
პარტიის განვითარებაში. ეს ახალი ეტა-
პი მოითხოვს ახალ პროგრამასთან ერ-
თად ახალ წესდებას.

სკკპ XXII ყრილობაზე დიდი ყუ-
რადღება დაეთმო პარტიის ახალი წეს-
დების საკითხს. ჯერ კიდევ ყრილობამ-
დე თითქმის ორნახევარი თვით აღრე
პარტიული ორგანიზაციებისა და მშრო-
მელთა მასების განსახილველად გამოქ-
ვეყნდა პარტიის წესდების ახალი პრო-
ექტი, რომელიც შეიმუშავა სკკპ ცენ-
ტრალურმა კომიტეტმა.

ახალი წესდება დაფუძნებულია მარ-
ქსიზმ-ლენინიზმის ურყევ პრინციპებზე
და წარმოადგენს პარტიის შესახებ
ლენინური მოძღვრების შემდგომ გან-
ვითარებას. მასში გენიალურად არის
განზოგადებული პარტიის პოლიტიკური

და ორგანიზატორული მუშაობის გა-
მოცდილება და განსაზღვრულია პარ-
ტიის ორგანიზაციული წყობის, მისი
შინაგანი ცხოვრების მთავარი სახელმ-
ძღვანელო წესები.

პარტიამ, მთელმა ხალხმა ერთსუ-
ლოვნად მოიწონეს წესდების პროექტი.
იგი ერთხმად მიიღო პარტიის XXII
ყრილობამ.

*
*

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებებს
და საბოლოო სიტყვას პარტიის XXII
ყრილობაზე, პარტიის ახალ პროგრამას
და წესდებას, ყრილობის გადაწყვეტი-
ლებებს მთელი საბჭოთა ხალხი უდი-
დესი აღფრთოვანებით შეხვდა. ყრილო-
ბის მიერ მიღებულმა ისტორიული
მნიშვნელობის დოკუმენტებმა და მასა-
ლებმა ახალი შრომითი საქმეებისათვის
შთააგონა თვითეული საბჭოთა ადამი-
ანი. ქალაქად და სოფლად, მთელს ჩვენს
ქვეყანაში ახალი ძალით გაჩაღდა სოცი-
ალისტური შეჯიბრება შეიღწიანი
გეგმით დასახული ამოცანების ვადამდე
და გადაჭარბებით შესრულებისათვის.
საბჭოთა კავშირი ახლა წარმოადგენს
შრომის უზარმაზარ ფრონტს, სადაც
კომუნისტური მშენებლობის ახალ-ახა-
ლი ზღუდეების ასაღებად შეტყეას ეწე-
ვა მილიონობით ადამიანთა გონება და
ნებისყოფა, შემოქმედებითი აქტივობა
და შრომითი ერთუზიანობა.

სკკპ XXII ყრილობამ, რომელმაც
შეაჯამა პარტიის ხელმძღვანელობით
დიად ლენინურ წინასწარდასაბულობა-
თა განხორციელებისათვის საბჭოთა
ხალხის ბრძოლის შედეგები და დასაბა
ჩვენს ქვეყანაში კომუნისტური საზო-
გადოების მშენებლობის პროგრამა,
ქართულ მწერლებში, ისევე როგორც
ჩვენი უზარმაზარი ქვეყნის მხატვრული
სიტყვის ოსტატებში, შემოქმედებითი
ენერჯისა და ერთუზიანობის უმაგალითო
მოზღვაება გამოიწვია. ეს არის იმის
მტკიცე გარანტია, რომ ქართველი
მწერლები, ჩვენი სოციალისტური სამ-

შობლოს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის გამარჯვებებით შთაგონებულნი, კომუნისტური პარტიის მშობლიური მზურნელობით აღფრთოვანებულნი, შექმნიან ახალ-ახალ მაღალ იდეურ-მხატვრულ ნაწარმოებებს, რომლებშიც სრულყოფილად აისახება საბჭოთა ადამიანების შინაარსიანი, მრავალფეროვანი ცხოვრება, მათი ნათელი, მიმზიდველი აწმყო და კიდევ უკეთესი მომავალი, ნაწარმოებებს, რომლებიც იქნებიან კომუნისტური მშენებელთა სიხარულისა და შთაგონების მძლავრი წყარო.

კომუნისტური იქმნება საბჭოთა ადამიანების თავდადებული შრომით. ამიტომ არის, რომ ჩვენი ქვეყნის გმირი მუშათა კლასი, სახელოვანი კოლმეურნე გლეხობა და სახალხო ინტელიგენცია ძალ-

ღონისა და ცოდნის დაუზოგავად იმპროვიზირებენ ეკონომიკისა და კულტურის ყველა დარგში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად, განამტკიცებენ ჩვენი სამშობლოს ძლიერებას, ქმნიან უფრო და უფრო მეტ მატერიალურ და სულიერ ფასეულობებს, რომლებიც აუცილებელია კომუნისტური თავისი.

თავისი ავანგარდის — კომუნისტური პარტიის გარშემო მტკიცედ დარაზმული საბჭოთა ხალხი წარმატებით განახორციელებს პარტიის ახალი პროგრამით გათვალისწინებულ წინასწარდასახულობებს, და ჩვენს ქვეყანაში პირველად მსოფლიოში შეიქმნება კომუნისტური საზოგადოება, სადაც იზეიმებს მშვიდობა, შრომა, თავისუფლება, თანასწორობა, ძმობა და ბედნიერება ყველა ხალხისათვის.

საგმი ჟილანი

ღირსი პოეტის ოსტატი

სერგო კლდიაშვილი გამორჩენილი საბჭოთა მწერალია. მას საინტერესო და თავისებური შემოქმედებითი გზა აქვს გავლილი. უცნაურია, მაგრამ ფაქტია: სერგო კლდიაშვილი, თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში ერთი ყველაზე ნათელი რეალისტი მწერალი, იმ მწერალთა თაობას ეკუთვნის, რომელთა მოღვაწეობა საქართველოში ყველაზე ტიპურ ანტირეალისტურ მიმდინარეობას დაუკავშირდა. დიდ ლიტერატურულ ტრადიციებს ზიარებული დიდი ქართველი რეალისტის — დავით კლდიაშვილის ოჯახში დაბადებული და აღზრდილი სერგო კლდიაშვილი რეალიზმის გზას გააღივდა და სიმბოლიზმს მიემხრო. ვინც სერგო კლდიაშვილის აღზრდელ მინიატურებს გაეცნობა, სავსებით დარწმუნდება, თუ რა თანმიმდევრობით იცავდა იგი მოდერნიზმის გზას თავის შემოქმედებაში. მწერლის აღზრდელი მინიატურები სიმბოლისტურ ჟურნალ-გაზეთებში იბეჭდებოდა („ოქროს ვერძი“, „მეოცნებე ნაშრობები“, „შვილდოსანი“).

აი, ერთი მათგანის „იყავით მარტო“ მთელი შინაარსი:

„იყავით მარტო, თუ გსურთ ამაღლდეთ და გარეშის მწიკელმა და ტალახმა არ გააბინძუროს თქვენი სიმშვენიერე, ვისაც გსურთ და გსურდეთ ამაღლდეთ და მზეს გაუტოლდეთ, იყავით მარტო, ვისაც გსურთ სიღიადეთ და გრძნეულობა, ჩადრმავდით თქვენს სულში და იყავით მარტო. სიღიადეთ მოიპოვეთ მიწისაგან დაშორებით. სიღიადეთ შენ შუქში სულის სიღრმეში, მოშორებულს დღის ავადმყოფ სინათლეს, ვისაც გსურთ შეება პოვით — იყავით მარტო“.

მარტოობის ეს მისტიკური ფილოსოფია არ იყო ორიგინალური, და რომ ს. კლდიაშვილი ამ შეხედულებებს შერჩენოდა, იგი უმნიშვნელო მწერლად დარჩებოდა.

სერგო კლდიაშვილმა სულ მალე აიღო ხელი ამ სიმბოლისტურ ფილოსოფიაზე და გულწრფელად დაადგა კლასიკური მწერლობის რეალისტურ გზას. ისიც უნდა ითქვას, რომ აღზრდელ მინიატურებში იგარანობოდა პოეტური სიტყვის ოსტატი, რომელიც განსა-

კეთრებულ ყურადღებას აქცევდა ფრაზას, დიალოგს, რეპლიკას. და მაინც სერგო კლდიაშვილი საბჭოთა ეპოქაში გახდა ცნობილი და პირველხარისხოვანი ოსტატი ქართული პოეტური სიტყვისა; დიდი გახმაურება იმ ნაწარმოებებს ხედა წილად, სადაც ასახულია თანამედროვე ცხოვრება.

ახალმა საქართველომ, რევოლუციურმა ცხოვრებამ შემოაბრუნა მწერალი რეალიზმისაკენ და მისი ნაყოფიერი მოღვაწეობა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო.

პირველი დიდი მშატერული ტილო, რეალისტის ხელით დახატული, მოთხრობა „ფერფლი“ იყო.

მოთხრობაში აღწერილია ქართველი ხალხის ცხოვრება პირველი მსოფლიო ომის წლებში. იმერეთის ერთი სოფლის, ერთი გლეხის ოჯახის მაგალითზე ნაჩვენებია გაჭირვება და სიღებშირე ხალხისა, რომელსაც კიდევ უფრო მძიმე ტვირთად დააწეა ომით გამოწვეული უბედურებანი. ომმა გამარჯვდა და ძალდონით სავსე ახალგაზრდები ფრონტზე გაიქცა. ფრონტიდან ყოველ დღე მოდიოდა ცნობა კაცის დაღუპვისა, ოჯახის გაუბედურებისა, და სოფელში ბრუნდებოდნენ ფეხმოჭრილი ან სახედასაბინარებელი ინვალიდები. მწერალი ამ დეტალებს საკმაოდ მუქ ფერებში აღწერს და ამ ფონზე ნათელი ხდება, რომ იმპერიალისტური ომის სასაკლაოზე არ სურს ხალხს ნებით წავიდეს, მაგრამ მთავრობისაგან დაშინებული გლეხკაცობა ვერ ახერხებს, თავი დააღწიოს სამხედრო ბეგარს. ამ ეთაირებაში ზოგი ძუას იყრის ფეხებში, ზოგი ბელოვნურად ავადმყოფდება ზაფრით და ციხე-სხედებით, ზოგი ტყეში გარბის ყანადად. მოთხრობაში ეს ეპიზოდები მეტად მძაფრად არის გადმოცემული.

ახალგაზრდა მეგობრები ვია, ზაქრო და იორამი სოფლის ეკიმბაშს მონახვენ და მას დახმარებას თხოვენ. ეს „დახმარება“ იმით დამთავრდა, რომ მუხლებში ძუაგაყრილი ზაქრო მეოთხე დღეს გარდაიცვალა, ხოლო ამ ამბის გამჟღავნების შიშით ვია ყანადად გაეარდა. ამ

გებოდა მისდევს ომიდან დაბრუნებული ინვალიდის, გიორგის ჯვარით დაჯილდოებული მიხაკის თავგადასავალი, რასაც ერთგვარი კომიკური იერი შეიქმნს ნაწარმოებში. ცხოვრების ეს ცალკეული დეტალები ნათელ წარმოდგენას გვაძლევს, თუ რა მძიმე და გამოუვალი მდგომარეობა შექმნა ომმა ისედაც გაძვალტყავებული გლეხბაყის ოჯახში. ამბავი იწყება ყოფითი სურათით: გლეხი დათა შეიღწეილს კაკოს ეთამაშება. კაკო ამ ოჯახის ერთადერთი იმედია. დათას უფროსი შვილი არსენა დიდი ხანია ომში წაუყვანიათ; უმცროსი გამზადებულია წასაყვანად. დათა შინით შესცქერის ხვალისდელ დღეს, შეიღწეილსა და რძალს განსაკუთრებით ეფერება. ერთადერთი იმედი, რომ კერა არ ვაკეთდეს და ოჯახი არ დაეშვოს, ახლა დამყარებულია პატარა კაკოზე.

დათა მშრომელი გლეხია. დღედაღამ წელებზე ფეხს იდგამს. ოჯახს ჯერ კიდევ შერჩა უმცროსი შვილი და ეს უადვილებს მძიმე ტვირთს მშრომელ გლეხს. წარსული შემოდგომა მშვიდი იყო. გაზაფხულამდე გამოზოგვით ეყოთ საკუთარი და ზიარი ყანიდან შემოტანილი სარჩო. უჭირდა დათას ოჯახის შენახვა. კიდევ კარგი, რომ მზარში ედგა ისეთივე დაუღალავი იორამი, როგორიც თვითონ იყო. მამა და შვილი ჯიუტი მუშები იყვნენ, მხოლოდ ურევში ვაშმა არ უცდიათ; რომ დასჭირებოდათ, არც ამას დაიზარებდნენ. სწორედ ამ ვითარებაში გაიწვიეს ოჯახიდან ახალგაზრდა გლეხბაყო — იორამი. მწერალს დამამახსოვრებლად აქვს აღწერილი მშვიდი და პატოსანი იორამის გაწვევა ომში.

გულის დაპლონებული, სევდიანი სტრატეგებით არის გადმოცემული იორამისა და მისი მეგობრების გამგზავრება ფრონტზე. მწერალს მოთხრობაში შეიქმნა იმდროინდელი საღდათური სიმღერები. ცხვარივით სასაფლაოზე გარკველი ჯარისკაცები სევდიანად მიიმღერიან:

„საღდათი ვარ საწყალი,
არც მიწა მაქვს, არც წყალი...“

ვაიმე ჩემო ვენახო,
შვიდ წელიწადს,
შვიდ წელიწადს ვერ ვნახო...“

საღდათი ვარ ნაფიცი,
სად მივდივარ, არ ვიცი“.

დღე-მამა შვილს — იორამს მოთქმით, ცრემლით მიაცილებს. ჩემი და გამარჯე იორამი აღარ ჩანს. დათას სევდა და უიმედობა იპყრობს, მაგრამ იბტიბარს მაინც არ იტყბს, შრომაში ასწორებს უღამლამო დღეებს.

ასე მძიმეა ცხოვრება. გლეხმა იცის, რომ მისი

ცხოვრება უკეთესი წინათაც არ ყოფილა. „არც წარსული ყოფილა ტყემლი, მრწყელი, კლამთ, უარსენ იქნება. რა უსიბარტულად თავსდება სოციალურ, გულისტყვილით აღმოჩნდება დათასა. და მაინც არ იმერებს არაფერს, რომ შეეკიდოს, ადვილად არ დაემორჩილოს ბედს და იბრძოლოს სულის ამოხდომამდე. მწერალი შესანიშნავად აჩვენებს იმ რთულ ვითარებას, რომელშიაც მოექცა ეს გაბრუნებული გლეხი.“

სოფელში ცხოვრობენ არა მარტო დაბეჭდვებულები, ღარიბ-ღატაკი გლეხები, მათ შორის თითო-ორილა შექალბულები ურევია, რომლებიც სჭვის უბედურებით იხევენ დოვლათსა და სიმდიდრეს. ასეთები არიან, კერძოდ, დათას მეზობელი დიმიტრი ლანჩა და მისი შვილი პარმენი. დიმიტრი ოდესღაც მცველად ახლდა სპარტაკელოში ჩამოსულ თვითმპყრობელ მეფეს. მას ღარიბ-ღატაკი პარამონიკის სახარებები უბოძეს. შემდეგ, რუსეთ-ოსმალეთის ომში იყო. ომიდან დაბრუნებულს რაღაც ჯვარი ჩამოყვა და ამის შემდეგ მეომრის სახელიც გაუვარდა. თვითონ წერა-კითხვა არ იცოდა, მაგრამ ამის გამო პატივი არ მოკლებია, ცხოვრობდა უზრუნველად და უდრტვიწველად. მისი შვილი პარმენი უფრო გაქნლი აღმოჩნდა. ხან სად იყო და ხან სად, ათასგვარ საქმეს ჰკიდებდა ხელს. ერთი საზრუნავი ჰქონდა — სიმდიდრის შექმნა. თაღლითობის გზით ამასაც მიაღწია, შექალბულები კაცი ვახდა, ომის დროსაც ხელი მოითბო, ოსმალეთის ფრონტზე თავისი მეზობელი გლეხები სამეშაოდ გაიტყუა, მათი ხელფასი — დიდძალი ფული თვითონ ჩაიჯიბა. პარმენ ლანჩა, რომელმაც სოფელი ააწიოკა, არავის მოსწონდა. „ქორღლიანი სახე და კურდღლის მოწითალო თვალები“ ჰქონდა, უველას ეხარებოდა. აი, ამ ლანჩამ მიზანში მეზობელი გლეხი დათა აპოლო. პარმენმა განიზრახა, დათას ეზო ხელში ჩაეგდო და თავისი კარმიდამოსთვის მიემატებინა. ჯერ იყო და პარმენ ლანჩამ მამას შემოუთვალა: ჩვენს მეზობელს დათას გადაეცე, რომ მისი შვილი ოსმალეთის ფრონტზე დაიღუბა, მე, სანამ შემეძლო, ვეხმარებოდი, მაგრამ ბედისაგან განწირული კაცის ხსნა, აბა, რითი შემეძლოთ. ახლა ჩემად შეაპარე მამამისს, რა ოხრად უნდა ეს სახლი და ეზო-კარი, ჩვენ მოგვეყოლოს, ფულს საჭიროდ მივცემ. მაგრამ დიმიტრი ლანჩას იმდენი ხათრი მაინც აღმოაჩნდა მეზობლისა, რომ შვილის შემონათვალად დათას ვერ გაუმხილა, ხოლო, როცა პარმენ ლანჩა ოსმალეთიდან ჯიბეგასქმლებული დაბრუნდა, თავად დაიბარა მეზობელი დათა, წვრილად უამბო უკეთაღვე. ოჯახისა და კერის ერთგული დათა მკაცრად დაუხედა თავებელ მეზობელს.

დაიწყო თებერვლის რევოლუციის დღეები. დათას ეგონა ახლა მაინც გადარჩებოდა უბე-

დურებას, მაგრამ ცხოვრება ისევ ძველი გზით წავიდა. ლანჩამ მენშევიერ მთავრობასთან საერთო ენა მოძებნა. სოფლად ჩამოსულ მენშევიე ორატორის ვერადმი ამოუღდა. „ორატორის სიტყვის პათეტიკურ მომენტებში ლანჩა ხალხს რაღაც ნიშანს აძლევდა, ვაშის უძახოდა და ტაშს ეტრავდა. ალბათ, ხალხის აღფრთოვანებას ცდილობდა, მაგრამ ხშირად სახტად რჩებოდა, ათიოდე ვინმე თუ აყუებოდა. ეს მომენტები, — დასძენს შწერალი, — რამდენიმედ მოგაგედა პროვინციაში სცენისმოყვარეთა მიერ დიდი პრეტენზიით დადგმულ საგმირო პიესას, რომელშიაც მასობრივ სცენებს ორი კაცი ასრულებს“. ამ ატორისებულ რეპლიკაში საკლებით ნილაბახილია მენშევიეებისადმი ხალხის დამოკიდებულება. მაგრამ აქ მთავარი სტეკა არის: შწერალი ხედავს, რომ ამ მთავრობასთან ყველა ვაჭარმა, თავადმი, აზნაურმა ადვილად მონახეს ენა; გლეხკაცობამ კი — ვერა. და აი, გლეხი დათთა და ვაჭარი ლანჩა კვლავ ერთმანეთს შეხედნენ.

„რამდენიმე დღის წინათ სახლის ევროთხევაზე ჩამოსული ლანჩა აყრასა და გაუბედურებას ექაღისა. ემუქრებოდა იმათი კანონით, რომელთა აღასრულს აბლა შეხაროდა და, რადგან პარმენ ლანჩას გახარებულს ხედავდა, გონებაშიც ისე შილიო და გადაალავა მომხდარი ამბის მნიშვნელობა, როგორც აბლა გრძნობა ეკარანახებდა... ის, რაც ლანჩას უხარია, შეუძლებელია დათთას სიხარულის საგანზე იყოს. დათთა აქედან ზომავდა ყველაფერს, რაც ვარსებო ხედებოდა. დათთას და ლანჩას სიხარული ერთმანეთს არსად არასოდეს არ შეხვდებოდა... პარმენ ლანჩას და დათთას სიხარულს ერთი ბედე არასოდეს ექნება. ერთმანეთის შტრები ერთად როგორ მოთავსდებიან?“. ლანჩა „მენშევიერ სამოთხეში“ კვლავ ჯიბეებს ისქვლებს, თავს არხეინად გრძნობს, ხოლო დათთა კვლავ გამოუვად მდგომარეობაშია. ამას ისიც დაემატა, რომ შიშილობისა და სიღატაკის წლებში სოფლად სახადი გაერკვლდა, რკინაპავეთ მაგარ გლეხს დათთას ეძგერა და სამ დღეში წააქცია. ვინღა დათთას დამტკრებელი! რძალი და შეილიშვილი გახიზნული ჰყავდა, ხოლო მომაკვდავი ცოლი, დარღისა და ვარაზისაგან დაუძღვრებელია. მდგომარეობას არაფერი ეშველებოდა, რომ ამ დროს არ გამოჩენილიყო ლაზარე, ყველასაგან საძლეელი ლაზარე, რომელსაც სიკვდილი თან დაქონდა. ამ კაცმა ურემზე დაასყენა მიცვალებული და სასაფლავსკენ გაეყენა. მთავრდება მენშევიეების ბატონობის უღიმღამო დღეები და ომისაგან გაუბედურებული დათთას ოჯახის ტრაგედია. შწერალი აქ არ სვამს წერტილს.

თებერვლის რევოლუცია მოხდა. მეფე ტახტიდან ჩამოაგდეს. ხალხს ეგონა მშვიდობა

დაუბრუნდებოდა ქობებს, მაგრამ კერესკის დროებითმა მთავრობამ ომი კვლავ განაგრძო. კვლავ გარეყეს ფრონტებზე გლეხკაცობა, ხალხის უმეადოფილების სახლქარი არა აქვს. საქართველოში ბოლშევიეების პროკლამაციები ვრცელდება. სხვათა შორის მათ აერკვლებს ომს გადარჩენილი გიგა, რომელიც აბლა ბოლშევიეების მხარეზეა. გიგას მენშევიერი მთავრობის კომისარი იზარებს, და მათ შორის ასეთი დიალოგი იმართება:

— ამხანაგო გიგა, იყო თუ არა შემთხვევა, რომ ფრონტზე დასაბრუნებულ ჯარისკაცებს ავტულიანებდი არ წასულიყვნენ და მთავრობის ბრძანებას არ დამორჩილებოდნენ?

— არა.

— მე კი ამის ფაქტები მაქვს. იმას უარყოფ, რომ მათ ომის გაგრძელების წინააღმდეგ ელაპარაკე?

— ეგ კი იყო.

— მერე და, როგორ გგონია, ნიშნავს ეს თუ არა რესპუბლიკის წინააღმდეგ მოქმედებას?

— თუკი რესპუბლიკა ომის გათავებას არ ფიქრობს, მე უფლება მაქვს, ხალხის მხარეზე ვიყო და ვთქვა, რომ ომი უნდა გათავდეს.

როცა მას ბოლშევიერ პროკლამაციებს წარუდგენს კომისარი, გიგა აღიარებს: დაღბოლშევიეები მართალი არიან და მეც მათს მხარეზე ვარო. ამ დეტალებით შწერალი ხატავს ომის შემდგომ საქართველოში შექმნილი მდგომარეობის ნამდვილ სურათს და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად გლეხების საბრძოლოდ მზადყოფნას.

საზოგადო. მოთხრობაში დიდი ადგილი აქვს დამოთბილი რევოლუციონერ მოტივებს. რომლებიც 1905 წლის რევოლუციიდან მოდიოდა. დამახასიათებელია რევოლუციონერ ესტატე ყანჩაველის სახე.

ესტატე ყანჩაველი ქიათთის მაღაროში მუშაობდა. აქ მას ორი თითი დაუწიანდა და იგი სოფელს დაუბრუნდა. სოფელში კვლავ რევოლუციონერ მუშაობას ეწევა. რევოლუციონერი ნათლობა მაღაროებში, 1905 წლის მღელვარე დღეებში მიიღო.

ერთხელ ესტატემ მოხუცებს მოკლედ უამბო შატრაშის „გლეხკაცის ისტორია“, რომელიც მაღაროში ყოფნის დროს ჰქონდა წაყითხული, ახალგაზრდებს კი უფრო ვრცელად გააცნო ფრანგი გლეხების თავგადასავალი, მათი ტანჯვის მიზეზი და ის ბრძოლა, რომელსაც ისინი ეწეოდნენ.

შორეულ და უცნობ ფრანგ გლეხებს მსმენელნი ისე ცხადად ხედავენ, თითქო ისინი ძველი ნაცნობები ან მუშაობლები ყოფილიყვნენ. ბოლოს ეს წიგნი იშოვეს კიდევ და მრავალი საღამო მის კითხვაში გაატარეს. არავის ეუცხოვა ის გარემოება, რომ ყველაფერი ის, რაც

იმ ეწერა, შორეულ ქვეყანაში მოხდა. ფრანგი გლეხები ისე ახლო აყენენ მათთვის, როგორც ესტატე, დათა და მრავალი სხვა მწერობდა.

ესტატე განზობდა, რომ ყოველი მისი სიტყვა ნოთიერ ნიადაგზე ეცემოდა. ახალგაზრდებში განსაკუთრებით ენდობოდა გიგას, ჰაქროს და კიდევ რამდენიმე ბიჭს, რომელთაც დაუშვებოდა რა კიდევ. ესტატე მათ უამბობდა, თუ როგორ და რატომ შეშობდა ფარულ ორგანიზაციაში და რას ფიქრობდნენ იქ, მაღაროებში, ბრძოლაში ნაყოფი ძველი მუშები*.

ამ დღეებით მწერალი გვიჩვენებს სოფლად რევოლუციური ფარული ორგანიზაციის მუშაობას, რაც არსებითად 1905 წლის რევოლუციური მოძრაობის გაგრძელება და განვითარება იყო. შემდეგ მწერალს ეს საბრძოლო განწყობილება ფრონტზე გადააქვს. თვითონ ესტატეც ფრონტზე გაიწვიეს, და მწერალიც გეაცნობს ჯარის ნაწილებში შეჭრილ რევოლუციურ სულისკვეთებას.

განსაკუთრებით საინტერესოა ფრონტის უშუალო ეპიზოდები. მოთხრობა ორი ნაწილისაგან შედგება: ერთია ზურგის ცხოვრება, რომელიც ომის წლების სურათს ხატავს გლეხი დათას თავგადასავლის მიზეზებით, ხოლო მეორეა — უშუალოდ ფრონტისა და პოსპიტლის ცხოვრების სურათები, რომლებიც მწერალს ეკლმოცემული აქვს უცნობი ჯარისკაცის დღიურების სახით. ამ დღიურებში კვლავ ვხვდებით რევოლუციონერ ესტატეს, ჯარისკაცს იორამას და მის შეგობრებს, ვეცნობით მათს ბირქვე ცხოვრებას. აქ დაწერილებით არის ვადმოცემული ფარაჯაგადაცემული გლეხების მძიმე სულიერი განწყობილება.

„მაღალია იგონებს სოფელს, ოჯახს, სადაც მისი ფიქრი მდებარეობდა, იქ დარჩა ოთხი ბავშვი და უფროსი და, რომელიც ბავშვებს დედის მაგიერობას უწევს. იორამი მის გვერდით მიწაზე მორთხმული ზის და თავდახრილია, არფერს ამბობს, მაგრამ ჩანს, მასაც აწვადებს მოგონება იმისა, რაც შორს დარჩა, ხანდახან აწევს თავს და ვარშემო მოიხედავს, შემდეგ დაბრუნებს თავს და ერთხანს ასე ყურს, შეინილება სასწრაფლისა სჯერა. აი, გამოიხედავს ახლა და უცებ დაინახავს, რომ თავის ეზოში ზის*.

ასეთი მოგონებებით ცხოვრობენ ფრონტზე გარეკალი გლეხები. ომით გამოწვეული დარდი და სიღუბლიერ მწერალს მეტი ფერებით აქვს დახატული. ამის ნათესაყოფად გვიხსენით კიდევ ერთი ეპიზოდი:

„შეუბნეველად დილა ჩამოდგა. ნაღვლიანი, ნისლით შებურული, სანგრების ნაპირზე მოკლული ჯარისკაცი გდია. თავი სანგრებში აქვს გადმოგდებული. მარჯვენა ხელი მოყენებული.

თითებში მიწა ჩაგნესია, ვახია კონდახით ზეკით აგდებს მკვდრის თავს, მაგრამ ხელი რჩება სანგრების ნაპირზე გადმოგდებული მამთო ზარბაზნები გრალებს, ხანდახან ინძმის, როგორც ყვირიან მტრის სანგრებში. ყუშპარის გასროლა და ჩვენი სანგრების შუა აღვილზე მიწის ავარდნა ერთსა და იმავე წუთში ხდება. ფხვიერი მიწა თვალეში გვეყრება. ფიქრმა ცოცხალი ვართ თუ არა, ელვასავით გაიარა*.

ასეთ მძიმე ვითარებაში ხალხს მიანიჭებს მომავლის რწმენა. რევოლუციონერი ესტატე აქაც ვანაგრძობს მგზნებარე პროპაგანდას მწაგრებლებისა და ომის გამძაღვლებების წინააღმდეგ. ამას მოსდევს შეამბობე ჯარისკაცების სურათი. „თქვენ, ძებო, მთებში დარჩენილი, შეეპარუნით თოფის ღელა იმათყენ, ვინც ჩვენ ერთმანეთის დასახოცად მოგვრეკა. მტერი ის არ არის, ვისაც ვესრით, მტერი ის არის, ვინც სროლას გვაძიძლებს“. ასე აცოცხლებს მწერალი იმ საბრძოლო სულისკვეთებას, რომელიც ბოლშევიკების პროპაგანდის მეოხებით ჯარში შეიჭრა და მეომარი ხალხი ააღვლა ყველა მეფისა და მწაგრებლის წინააღმდეგ. ამიტომ ბუნებრივია, რომ ჯარისკაცის ეს დღიური მთავრდება ცხოვრების სიყვარულით აღბეჭდილი ოპტიმისტური სულისკვეთებით.

აი, ამ დღიურის ფინალი:

„დღიური აქ თავდება. მაგრამ აქედან სისხლს დაუღბია და დაბეულოა, ფერცლებს ნაღვჯებზე ფანქრით ნაწერი ძლივს იკითხება. ერთ აღგლის ვარკვევით დარჩენილია: „რა ვეშრიელოა დღეს პერი. თუნდაც ამისთვის ღირს სიციცხლა“.

ნაწარმოებში დიდი ბუნებრივობითა და უშუალობით მოთხრობილია ერთი იმერელი გლეხის ოჯახის ისტორია, რომელიც მოიცავს, ერთი მხრით, პირველი მსოფლიო ომის ამბავს, მის შედეგებს სოფლად და, მეორე მხრით, ფრონტისა და პოსპიტლის მძიმე ცხოვრებას. ეს პირველი მოთხრობა იყო ქართულ ლიტერატურაში, რომელიც მათრად ამხელდა იმპერიალისტური ომის საშინელებას. სიციცხლის სიყვარული, უსამართლობისა და ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის პათოსი ამ რომანს ოპტიმისტურ ელფერს აძლევს.

სერგო კლდიაშვილმა სახელი ვითქვა ქართულ მწერლობაში უმთავრესად მეორე ფორმის ნაწარმოებების, ნოველებით. მისი სტიქია, როგორც ოსტატისა, ყველაზე სრულყოფილად, მთელი სისრულით ამგვარ მოთხრობებში გამოვლინდა. არსად ისე თავისუფლად არ ვგრძობს მწერალი თავს, როგორც ნოველებში.

მწერლის პირველი საინტერესო ციკლი იყო 1934 წელს გამოქვეყნებული ნოველები „სეანეთის მოთხრობების“ სახელწოდებით. |

სერგო კლდიაშვილი, ერთმა პირველთაგანმა, შეიხებდა სეანეთში საბჭოთა მწერლის თვალთ. ზენი ბელეტრისტიკის ბიოგრაფიაში ამ ნოველებს განსაკუთრებული ადგილი უკავია, და ზენი მათზე დაწერილებით შეეჩერებოდა.

სეანეთის მიუვალა, ცამდი ახიდელი ზვიადი მთები, სეანეთის ზნე-ჩვეულებანი, მთებობის და დღევანდების სამყარო, ყოველთვის იზიდავდა შემოქმედის გულს და გონებას. სერგო კლდიაშვილის დაინტერესება სეანეთით 30-იან წლებში, როდესაც ძველი სეანეთი ფერს იცვლიდა, ახალ საფეხკლებზე აგებდა თავის ცხოვრებას, ყოფას, სავსებით ბუნებრივი იყო. მწერლის მიუვალა ახალ სეანეთთან, საქართველოს ამ უღამაზესი მხარისადმი უბრალო ეთნოგრაფიული ინტერესით როდი იყო გამოწვეული. მწერალმა დიდი ზომიერების გრძობით, ტაქტიკა და ლირიული გულთადაობით გამოხატა თავისი დამოკიდებულება აღორძინებული და განახლებული სეანეთისადმი.

გავისხვითი ნოველა „ლაშხეთის ბატონი“. დღევანდელი უფიქარი ლაშხეთის მკაცრი და უხეში მკერდები იყო. ბოლოს, სეანი მშრომელები აუჯანყდნენ მრისხანე გულქვა ბატონს, შეიღღ-სრებით შეიარაღებული ყმები მის ლაშხეთიდან გაიყვანეს და სიკვდილით დაემტკნენ. შეწინებულმა ბატონმა ერთგული რვა ყმის თანხლებით განაპირა სოფელს მიაშურა, პკონია, რომ ყმები ბოლომდე მისი ერთგულები დაჩხვებან. მაგრამ ანგარიშში მოტყუდა: აქაც აჯანყებული ყმების რისხვა დახვდა მასპინძლად. დღევანდელი მოუვალ კომში ჩაიკეტა. შიმშილა და წყურვილში გაატარა მთელი სამი დღე, ხოლო ამოთხე დილას, როცა წყურვილი წამებად იქცა, დასტრეს ჩოხები და შალი დავრჩეს. დღევანდელი ყმებში აირჩია ყველაზე სანდო, დაავალა მას ეთქვა აჯანყებულ ლაშხეთელთათვის, რომ ყველას ამატებებს გაუგონარ ურჩობას, თუ ახლავე დაუბრუნდებიან თავიანთ სოფლებს.

ახალგაზრდა სეანი მარდად აცოცდა ბანზე, გრცხილის ერთი ბოლო ბოძს მიაბეჭრა და მოწისაყენ დაუშვა. შუა კოშკს გაუტოლდა გაბედული ყმა, როცა აზრიალდა ხალხი. იმავე წუთში უამრავი ისარი დააყარეს კედელს. უეცრად სეანმა ხელი უშვა გრეხილს და მოწყვეტით დაეარდა მიწაზე. ისრებით დაცხრილული ის უკვე მკვდარი იგდო. განრისხდა ბატონი, მაგრამ გამოსავალი ვერ იპოვა. იგი თვითონ ხედავს აჯანყებულ გლეხებს კოშკის სარკმელთან. ბოლოს გადაწყვეტს სიტყვით მიმართოს თავის ყოფილ ყმებს. ღრეობაში დამთვრალი გლეხები დანახავენ თუ არა კომზე

გაღმომდგარ ბატონს, ერთბაშად აზრიალდებიან. „თითქოს ისრების ზრიალით გამოფხრულდებოდა, ამართული შებებით ხალხი მადტტდ...“ შემორტყა კოშკს, და ათასმა ზმამ... [ქრამამამ] იღრიალა — სიკვდილი დევლეთს, სიკვდილი! დღევანდელი თვალთ მოძებნა მაღალი სეანი, მომართა ხელში ხანჯალი და ესროლა. მხარში მოხვედრილმა სატევარმა სეანი ჩაყვეა. მაშინ დევლეთმა, რომელსაც ისრები ყოველ წუთს სიკვდილით ემტკრებოდნენ, პირველად სწრაფად გადაისახა, გახედა შეჭარად ამართულ წვეტიან შებებს და სწრაფად გადახტა. ტანი შებებზე წამოკვებული დატოვეს ცისკრამდე, სანამ ღრეობას ვათაყვებდნენ“. ასე მშვიდი ტონებით მთავრდება მრისხანე შემათული ხალხის ამბოხება მტანჯველი ბატონის წინააღმდეგ. ამ თითქოს ხანჯალმულია ლოკუერი დასასრული ყოველი მტარავლისა, ამბოხებული და დანაგრული ხალხის მიერ გამოტანილი განაჩენის სიმატაღე. ნოველაში არ არის ერცლად აღწერილი დევლეთ ბატონის მრისხანება, მაგრამ აშკარად იგრძნობა პერსონაჟთა ცალკეული რეაქციებისა და ფრაზების ქვეტექსტში. უკმაყოფილო ყმათა აჯანყებას, მათს სტიქიურ შემართებას მრისხანე ბატონის მიმართ მწერალი ასევე ძუნწ რეაქციებში გვიხატავს ისე ხატოვანად და დასამახსოვრებლად, რომ მთელს სურათს დიდი ემოციური ძალა ენიჭება. დიდი და მღვდარე ამბების ნახვეარტონებში გაღმოცემა, საზოგადოდ, ს. კლდიაშვილის დამახასიათებელი თვისებაა.

ნოველების ამ ციკლში ღრმად არის ასახული სეანეთის ყოფა-ცხოვრება, ზნე-ჩვეულება, მაგრამ ამ უმთავრესი მანეც ის არის, რომ მწერალი სეანების ცხოვრებაში პოეტობას ახალ თვისებად, ახალ განწყობილებებს და რელიგიურად წარმოდგენილ რველუციურ სელისკვეთების ზრდას ამ ეტობის მშრომელთა შევანებაში. ამ მხრივ დამახასიათებელია ნოველა „პარტიზანები“. ამ მოთხრობილია წითელი პარტიზანების შეუბოვარი ბრძოლა საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, ბრძოლა, რომელსაც რევილუციონერი ბონდო მასკოვა ხელმძღვანელობდა. სეანების ცდა გაღმოცემაზე მთები და მწიწვიეიერ გვარდიას ბრძოლა ვაუმართონ, უშედეგოდ მთავრდება. უთანასწორო შეჯახებაში ბონდოს რაზმი მარცხდება, თვით ბონდო კი მძიმედ დაიჭრება. ამ ვითარებაში გამოცდილი მეთაური ბონდო გადაწყვეტს რაზმელები გახიზნოს ჩრდილოეთ კავკასიაში, სადაც უკვე საბჭოთა ხელისუფლება არსებობს, ხოლო თვინი, სანამ მომჯობინდებოდეს, თავი შეაფაროს მეგობარი სეანის გიერგილის ოჯახს. გიერგილი, როგორც მშას, ისე მიიღებს დაჭრილ პარტიზანს, მოუტლის და მოასვენებს, მკერდალად თავის შეუღლებს მიუჩენს, მეთვალუდრედ — თავის

უშვროს მძას ჯატუს. ამ უყანასკენელ ძალზე მოეწონება ბონდოს კარაბინა, ხელს შეივლებს მას გულისფანცქალით, ავირდება. გამოცდილ პარტიზანს ეს ამბავი ეკვს აღუძრავს, მაგრამ მანაც ენდობა გიერგილის ოჯახს. პარტიზანთა მეთაურს ბონდოს თავგამოდებით ეძებენ გვარდიელების დაგეშილი ავენტები. გიერგილი გადაყვეტს შორს გახიზნოს მძადნაფიცო. მეგზურად უშვროს მძას ჯატუს გაყოლებს. და როდესაც ისინი — დაჭრილი ბონდო და მეგზური სვანი, ჯატუ ხელიხელ გადახვედენი, დიდ ნაპრალს მიადგებიან, სვანს იარაღს ხელში ჩადების სურვილი შეიპყრობს, ხელს უშვებს დაჭრილ პარტიზანს და ეს უყანასკენელი ხრამში გადაიჩეხება. როცა უყან დაბრუნებულს ჯატუს გიერგილი შეხედა, ყველაფერს მიხედა, უშვროს მძა მიიყვანა იმ ადგილას, სადაც გადაიჩეხა მძადნაფიცო ბონდო, უცხად ხელი ჰკრა და უფსკრულში გადაისროლა.

ამ საინტერესო ნოველაში მწერალმა ახალი ცხოვრების მეთაურს დაუბირისპირა ძველი სვანური ტრადიციის მონა კაცი და შეტად საინტერესოდ დავიხიბატა ძველისა და ახალის შეჯახების მწვევე ტრაგიკული სურათი. მწერლის მთელი სიძნითია ახალი ადამიანების — პარტიზან ბონდო ბაკიასა და სვანი გიერგილის მხარეზეა.

ნოველების ამ წიგნში ავტორი დიდ ადგილს უთმობს ძველ, გარდასულ ჩვეულებათა აღწერას და ტრადიციის მავნე გააღუნას სვანთა უოფაზე. ამ მხრივ საინტერესოა ნოველა „უშველ“.

უშველის თემს ძალით იხუმებდა ბუჩოს მმართველი ფუთა დაჩქელიანი. „უშველი შიშობდა თავისუფლების დაკარგვას. დაჩქელიანს უშველის მოღრკა უნდოდა. უშველს ბატონი არასოდეს ჰყოლია, მაგრამ ესმოდა მომავთა ვენესა რაჭოდან, ვილიზანების სვანეთიდან, და ამიტომ უფრო ფხიზლად ეცირა თვლი ბალს-ჭელიკან, სადაც ფუთა ელანდებოდათ. თავის-უფლებისმოყვარე უშველანები ვერ შეირიგებან ბორიტ დაჩქელიანის ავ განზრახვას, ერთპირად გაიფიცებან. თემში მიიმატეებენ შრი-სხანე დამპყრობელს მისი შვილით, დიდი პატივით მიიღებენ, ხოლო შემდეგ, როგორც ეს დათქმული ჰქონდა თემს, დაძახების ნიშანზე „მიართით წითელი ღვირი ბატონსო“, ერთბაშად დაქიმვეენ ბაქარს, და თოფის სმასთან ერთად ტყვიანაკრავი დაჩქელიანი მიწაზე ეცემა. შტრისძიებით გამოპოტებულმა უშველანებმა, ბუჩოელნი აღარ დაინფეს, ცოცხლად დატოვეს მხოლოდ ისლამ ბერლანი, ფუთას შვილი, რომ მისი ფასით მთევლები გამოესყიდათ. ასეთი მუქი ფერისმთა გამოხატული ხალხის შტრისძიება შეტრისხანე ბატონზე. მაგრამ აქ მწერლის მთავარი ამოცანა ის კი არ არის, რომ აღწე-

როს სისხლის აღების ადამი, არამედ ვახანას სოციალური ცხოვრების ის მოტივები, რომელიც თავისუფლების მოყვარე სვან ხალხს რჩენს მავს და ამოძრავებს. აქ განსაკუთრებული ადამიანი წინ წამოწეულია არა ტრადიციული შტრისძიება, არამედ სოციალური უსამართლობისა და ბოროტების წინააღმდეგ ხალხის შეურიგებული ბრძოლა.

ნოველა „ხალდეში“ მოთხრობილია სვანეთში მეფის ჯარის შეჭრის ეპიზოდ. სვანეთში მოყოფ მთიორ შაბუროგისა და ოფიცერ არჯალი აღოლინის იმაზე აქეთ სჯა-ბასის, თუ რა ერთფეროვანი და მიმივა მთებში ცხოვრება. შაბუროგი უფრო დაკვირვებული და გაიძვერა დამპყრობელია. როცა ეს ორი რუსი ოფიცერი აჯანყებული სვანების მეთაურს რატინს შეხვდებდა, მათ შორის ასეთი საუბარი გაიმართება:

— საყვარელი კაცი მოიყვანა ჩვენმა მეგობარმა, ნადირისაგან არაფრით განიარჩევა.

— შეიძლება შენ მართალი იყო, — გაუღიმა შაბუროგმა, — მაგრამ ისიც სიმართლეა, რომ მას თავის სამშობლოში აგრე არ უყუტებენ. თავისუფალი სვანები რატინს დიდ პატივს სცემენ. ეს პატივისცემა მან დაიმსახურა არა მარტო ვაჟაკობით, არამედ ჭკუთისა და შეუპოვობით, რომლითაც იცავს თავისი ქვეყნის თავისუფლებას. დიდი ხანია ვცდილობ მასთან დაახლოებას, მაგრამ ვერ იქნა, ვერაფრით მოვახერხე. ჩემმა მეგობარმა სვანმა, მრავალი ცდის შემდეგ, მხოლოდ დღეს შესწლო მოეყვანა ის ჩემთან. არ მინდოდა პირველადვე რაიმე აღმეჭრა მასში. ამიტომ ასე ფრთხილად და თათქო უნდობლად ვთხოვე, კადვე მსტუმრებოდა. მთიელი მუდამ იტყვიანია, მისი მოჩვევისათვის ოსტატობა და მოთმინება საჭირო. თუ ერთხელ დააფრთხე, სამუდამოდ გაიქცევა. ოცი წელიწადია მთებში ეცხოვრობ და, დამოჯერე, ჯერაც ვერ ვიცნობ მისს ხალხს. ოცი წლის შემდეგ, როცა ტრეზე მაგ ქერა ვინგლის მაგიერ ჩემსავით ქალარა ჯაგარი გექნება, შენთვისაც აუხსნელი ამოცანა დაჩეხება ამ ველურ მხარეში მოსახლე ადამიანი. ჯერ-ჯერობით კი ერთი პირობა შემისრულე. როგორც შეიღს, ისე ვთხოვე, ნუ ეთამაშები მათ“.

ამ დიალოგიდან ნათლად ჩანს, ერთი მხრით, ფრთხილი და ფხიზელი დამპყრობელი შაბუროვის, ხოლო მეორე მხრით, თამამი და თავზე ხელადებული ახალგაზრდა ოფიცერის აღოლინის სახე. მწერალი შემდეგ დაწერალებით აღწერს სამხედრო განაყოფის ოპერაციებს მთაში, აღოლინის შეხვედრას რატინთან, მის მოჩვენებით გამარჯვებას და გაწილებას, ბოლოს, ჯარის ნაწილების მიერ ავლებული სოფლის სურათს: „ამ დღით აფეთქებდნენ და ანგრევდნენ კოშკებს სვანებისაგან მიტოვებულ ხალდეში. დაშლილი ქვების გრიალს სამხედრო ორჯეს-

ტრის ხმა ერთოდა, როცა ერთხელ არკადიმ კარაივის კალთა გადაწია, მტვერში გახვეული ნახოლარი დაინახა.

ასე აქვს მწერალს მინიშნებული მეფის ჯარის მიერ სოფლების დარბევა. როგორც დიდი ჰემინსტი, მწერალი ხატავს სენი აღამიანების ბრძოლის მოძალადეების წინააღმდეგ.

სევანური მოთხრობების ციკლში შედის აგრეთვე ნოველები „გიო ძველ კოშკში“, „მურზაყან“ და „წარმართი“.

„ძველ კოშკში“ აღწერილია, თუ როგორ შეეცადა ძველად ხალხისაგან დაწვეული კოშკს ფერმების ბრიგადირი გიო თავისი ოჯახით. ამ პერსონაჟს უკავშირდება ახალი სენათის ცხოვრების ეპიზოდები. „წარმართი“ კი უფრო ნაკრვევს წარმოადგენს, სადაც საინტერესოა ასახული ჯოჯოს და პატარა სენათის სოხარის თავგადასავალი. ეს ყველასაგან დაბეჩავებული პატარა სენი მას შემდეგ, რაც მისი საყვარელი სატარფო მერეხი, სოფლის ნახირობა ერთად, მოისხლევნა მოიტაცეს, სენათი გამოემშვიდობა და სამეგრელოსა და გურიაში გადავიდა მოჯამაგირად. ამ ციკლს ეხებოდა დაავადებული ერთ ეკლესიას შეეცადა და ფრესკების მოხატვა ისწავლა. შემდეგ სენათში დაბრუნდა და რამდენიმე ეკლესია მოხატა ამ წარმართმა სენამ.

ყველაზე უფრო საინტერესოა მიიღწე ნოველა „მურზაყან“. შეიძლება ითქვას, ეს ერთადერთი ნოველა სევანური მოთხრობების წიგნში, სადაც მწერალი დაწვრილებით აღწერს სისხლის აღების აღმას.

მოხუც მურზაყანს იმედოდ შეიღწეილი ყაზბულათი შერჩა. მოხუცის აზრით, ყაზბულათმა უნდა აიღოს მისი შვილის — ბექირბის სისხლი. ზორბანების გვარს გირგვიანების სისხლი ემართა. გირგვიანებმა მურზაყანის შვილი ბექირბი მოკლეს, და იმ მოხუცს არ ასვენებია შურისძიების წყურვილი მოპირდაპირე გვარისადმი.

„იზრდებოდა ყაზბულათი განიერ მხარბეკიანი, ღონიერ მკლავებიანი, მაგრამ ყველაზე უფრო იზრდებოდა მასში შურისძიების სურვილი. და რაც უფრო მეტად გრძნობდა ამას მურზაყანი, მით უფრო აღვივებდა მტრის გულში სიძულელის მოპირდაპირე გვარისადმი“. მაგრამ მოულოდნელად ყაზბულათი ავად გახდა ყვავილბატონებით და კიდევ გადაყვია მას. მოხუცმა სასუბით დაჯარვა ცხოვრების აზრი. სწორედ ამ დროს სისხლის აღების წყურვილით გამოპრეტული მოხუცი შეხვდა გელა გირგვიანს — თავის გვარში სანაქებო ეკაცს. ყაზბულათს რომ დასცლოდა, სახედისწერა შეხედრდა, ალბათ, გელასთან ეწეზობდა. ასე ფიქრობდა მოხუცი, როდესაც ეიწრო ბილაცზე გელა შემოხვდა.

„ეკაცეი ხარ, — შესაბა მურზაყანი, —

შხოლოდ შენი სისხლი დაამწეოდეს ბექირბის. ორივემ თოფი გადმოიღო, ორბევს თრფმა და მქეა, გელა მკედარი დაეარდა რდესტენა მწერზაყანმა თოფი და ეკლესიისკენს წაქეძა მასხხლე, — დასკვივლა შეილის საფლავს, გისისხლე, ბექირბ“. მწერალი ასე ხატავს შურისძიებით, სისხლის აღების წყურვილით გამოპრეტებულ მოხუცის სახეს. შემდეგ ეს მოხუცი სასამართლოში გამოცხადდა და აღტაცებით განაცხადა, მტრის სისხლი ავიღე და გამასამართლეთო. სასამართლოში გირგვიანების გვარი არ უღასტრებდა მოხუცს ამ „ეკაცურ“ ამბავს იმის მივით, რომ მურზაყანის გვარბან მარტო ის იყო დარჩენილი და, თუ მას ციხეში ჩასვა მდენე, მოხუცი ვერ აიტანდა ციხეს და მოკედებოდა, გვარს კი არავინ რჩებოდა, რომ გირგვიანებს სისხლი აეღოთ. ამიტომ უარყოფდენ მის მიერ გელას მოკვლის ფაქტს. ზოგს კი ეცოდებოდა მოხუცი, — უმატებს მწერალი. მოხუცის მზიარულბას საზღვარი არ ჰქონდა მამის, როცა ის სასამართლომ სცნო დამნაშავემ. „მოხუცის თვალები სიხარულით აინთო, ამყად გახედა ხალხს, მიიბრუნა სახე ეკლესიისკენ და გადასძახა: — ბექირბ, მშვიდად იყოს შენი სული“.

ძნელია მოინახოს ამბზე უფრო მძაფრი ფერებით დახატული სისხლის აღების წყურვილით შეპყრობილი და გამოპრეტებული ბერბაცის სახე.

ს. კლდიაშვილის სევანური მოთხრობების ციკლში უნდა გამოიყოს ნოველა „მტრები“. ამ საინტერესოდ არის დახატული ახალი, სოციალისტური სენათის აღამიანები, ძველი ტრადიციების არტახებისაგან განთავისუფლებული აღამიანების ძმობა და შეგობობა. სენათი ოთარი სენათის ტრადიციას, აღათებს გამოქეცა და პატარა ხვეის ქალაქს შეაფარა თავი. მანამდე კოლხეთში არტახების გახარახე, ხან გურბის ჩაის პლანტაციებში მუშაობდა. ახლა პატარა ქალაქში განაგრძობს საქმიანობას. ოთარის უფროსმა ძმამ მოკლა ომან მარშანიას უფროსი ძმა. მკვლელი გაქეცა შურისძიებას და სამართალს, მიუვალი მთებით უარაჩის მიაშურა, მაგრამ სადაც ნაპრაღში გადაიჩნხა. არც პირველი და არც მეორე არ დანაწეხა სოფლებებს. ორივენი თაზე ხელაღებული ახალგაზრდები იყენენ. მკვლელი მკედარი იყო, მაგრამ ამით მოკლულის ოჯახი და გვარი ვერ დამწეოდებოდა, რადგან სისხლი აუღებელი რჩებოდა.

ოთარმა იცოდა, რომ აღათის ძალით მასზე შერის იძიებდენ, და ამიტომ მიატოვა საყვარელი სოფელი. მაგრამ ბარბაყ ყველგან ჩასაფრებული სიკვდილი ეჩვენებოდა. ოთარი იმ ქარხანაში მოხვდა სამუშაოდ, სადაც თერამე ომან მარშანი მუშაობდა. მოისხლევნი ერთ-

მანეთს შევხდნენ. ოთარისთვის მოულოდნელად ომან მარშანი მოეფერა, აღურსით შეხვდა თანასოფელს. საცხოვრებლად თავის ოთახში გადაიყვანა, ხელი გაუწოდა, მაგრამ ტრადიციისაგან დაშინებულ ოთარს ეღანდებოდა, თითქოს ეს განგებოდა მოწყობილი, რომ ომანი მხოლოდ ხელსაყრელ გარემოებას უცდის. სწორედ ამ დროს ოთარი ავირაიში მოპყვება და მას საავადმყოფოში ათავსებენ. ოთარის გაღარჩენისათვის საკბროა სისხლი. ომანი არ დაფიცებულა, დათანხმდა საკეთარი სისხლი გაეღო თანასოფელისათვის. „ომანი შეამოწმეს, შემდეგ ის მორჩილად დაწვა მომავლადგის გვერდით და ექიმს ტიტველი მკლავი გაუშვია. არ უგრძენია, როგორ გადადიოდა მისი სისხლი ოთარის სხეულში, გრძობდა მხოლოდ, რომ სიცოცხლეს უბრუნებდა კაცს, რომლის გვერდით ბავშვობიდან ერთს მთასა და ერთს ცას შეკურებდა, ერთსა და იმავე სიმღერებს მღეროდა, ერთი მხით გამთბარა, ერთი მიწის ქერითა და წყალით ვაზრდილა“. როდესაც ომანი თვალს გაახელს, ხედავს, თავზე შეგობარი ადგას. „ახლა კი წამდელიად გმართებს ჩემი სისხლი, გაუღიმა ომანმა, — და ბუერად გმართებს“.

აქ ნათლად ჩანს ის დიდი გარდაქმნები და ცვლილებები, ახალმა დრომ რომ მოიტანა, რის შედეგად აღამიანებს შორის ახალი ურთიერთობა დამკვიდრდა. შეიცვალა არა მარტო ეკონომიური ცხოვრება სვანეთში, შეცვალა აღამიანების შეგნება, მათი მორალური სახეც. ამას ხედავს მწერალი, რომელსაც ეს ცვლილება საინტერესოდ გამოხატა „მტრებში“. აქ სათაურშიაც ხაზგასმული ისტორიული მტრობა, რომელსაც ბევრი უბედურება მოუტანა ძველ სვანეთს, ძველი ყოფისა და ტრადიციის მორჩილ აღამიანებს. ახალ ცხოვრებამ გარდაქმნა მთის აღამიანებიც და ისინიც დიდი სოციალისტური ცხოვრების ფერხულში ჩაება. ოთარი და ომანი სოციალისტური მშენებლობის მოწინავე აღამიანები არიან. ეს ყოფილი მტრები ერთად შრომობენ, ერთად ცხოვრობენ, ერთად იბრძვიან ახალი სოციალისტური საქართველოსათვის.

ს. კლდიაშვილის ნოველების მთელი ციკლი თანამედროვეობას ასახავს. ნოველებს გვიჩვენებს არიან მწერლის თანამედროვე აღამიანები, რომელთაც იგი ყოველდღიურად ხედება ცხოვრებაში და ურთიერთობას აქვს მათთან. მწერალი ამ მოწინავე, დადებითი აღამიანების თვლით უყურებს სამყაროს, ხარობს მათი კეთილი საქმით, მათ მიერ შექმნილი დოვლათითა და სიკეთით. ამ მხრივ ს. კლდიაშვილი თანამედროვეობის გულწრფელი მხატვარია.

ს. კლდიაშვილს აქვს ნოველა „სერაფიტა“. აქ მთავარ მოქმედ პირად გამოყვანილია ექიმი, რომელსაც ქალაქელი გეოლოგი ჰყავს შეგობარად. გეოლოგი ექიმს მოუთხორობს საქართვე-

ლის შორეული წარსულის ამბებს. მოუთხორობს წარსულის იმ დიად ძეგლებზე, რომლებიც სამარხებში აღმოჩნდა. ექიმი განმარტავს გაიტაცა სერაფიტის ამბავი. უკვე აღმოჩნდა ქალის სიღამაზე საუკუნეთა მანძილზე შემონახა სამარხში ნათეს წარწერას. გონების თვლით ადადგენს ექიმი უცხო ქალწულის სახეს, მის გარდასულ მიქრალ სიღამაზე, მის უკანაო მშვენიერებას. რომანტიკული ცნობისმოყვარობით გატაცებულ მეგობრებს მუდროვებს დაურღვევს ექიმთან დასახმარებლად მოსული გლეხი. გლეხი სთხოვს ექიმს, წამომყვეით სოფელში და გადაამარჩინეთ მომავლადი ქალი. ექიმს თან მიპყვება გეოლოგიც. გზად მიმავალი ისინი კვლავ საქართველოზე მსჯელობენ:

— იცი, რა ჭვეანაა საქართველო? — მიმართავს ექიმი გეოლოგს. — არ ვიცი, როგორ ვთქვა, არ ვიცი, რას შევადარო შეუდარებელი — სიამაყე იგრძნობოდა მის სიტყვებში და მერე უცერად წაღვლიანად დაუშავა, — როცა წარმოვიდგენ, რომ ამ ღვთისნიერ მიწაზე მხოლოდ ორი მილიონი, თუ რაღაც მეტი ქართველი ცხოვრობს, ჯაგრისაგან ვიფიქრო მინდა. ათი და მეტი მილიონი, აი, რა გვიწავდა ჩვენ. ყველას გვასაზრდოებს, ყველას გვახარებს ჩვენი მიწა, ჩვენ ბაღებში და ქარხნებში ყველგან კაცის ხელი უნდა ტრიალებდეს. ამაზე უნდა ვფიქრობდეთ და ვზრუნავდეთ, ყოველდღე, ყოველწიგის. ათი მილიონი ქართველი, წარმოვიდგენია ეს ბედნიერება? *

ასე ფიქრობს ექიმი, რომელსაც აღამიანების სიცოცხლე აბარია. ისინი იგონებენ საქართველოს ტრაგიკულ წარსულს. მის გვირულ ვეფკატურ შემართებას სამშობლოს დასაცავად. და ყველაფერ ამას ადარებენ იმას, რაც დღეს შიშიოვა საქართველოში. ისინი ამ ახალი საქართველოს, მისი ხეაღინდელი დღის დაუცხოვმელი პატრიოტები არიან.

— მაგრამ, ჩემო კარგო, ცოცხალი ცხოვრება კიდევ უფრო მეტი და დიდი საქმეა. იმ იშვიათ და განუწეოვრებულ ნივს, რომელსაც სიცოცხლე ეწოდება, ვერაფერი ვერ შეედრება ერთი ჯანმრთელი, შრომისუნარიანი ვეფკაცი და დედა ჩემთვის უფრო საიმედო და გულთანაც ახლო, ვიდრე ათასი ლეგენდარული სერაფიტა. ის მუზეუმში გახლავთ, რა თქმა უნდა, მუზეუმში მდიდარი უნდა იქნეს, მაგრამ მე მინდა, რომ ჩვენი ცოცხალი ცხოვრება მიმდინარეობდეს დაუშრეტელ წყაროსავით და უფრო მდიდარი, უფრო სასვე გახდეს“.

ასე გვაუწყებს ექიმი თავის დამოკიდებულებას თანამედროვე საქართველოსთან და მის ისტორიულ წარსულთან, მაგრამ ეს როდი არის ნიშლისტური დამოკიდებულება წარსულისადმი. არა, ამ აღამიანებმა კარგად იციან წარსულის ფასი და მნიშვნელობა, მაგრამ ასევე კარგად

ესმით, რომ საქართველოს აწინდელი ცხოვრება აწმყოზე და მის მომავალზეა დაფუძნებული. თანამედროვე ადამიანი ვალდებულია მისი დღევანდელი კეთილდღეობისათვის იღწეოდეს, შრომობდეს და იბრძოდეს.

ამიტომაც ს. კლდიაშვილი განსაკუთრებული სიყვარულით ხატავს ჩვენი ცხოვრების მოწინავე ადამიანებს, ყოველგვარი სიყეთისა და დოვლიათის შემქმნელი ადამიანების სახეებს.

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ს. კლდიაშვილის ნოველა „ქარავნის ზეამლის ძირში“.

ნოველაში აღწერილია გეოლოგთა ექსპედიცია, მოწყობილი ზეამლის მთებში ბარიტის სახადოების აღმოსაჩენად. ინჟინერი გეოლოგები, მეგობრები ილია, ირაკლი, რაფელი, ექსპედიციის სხვა წევრები, რომელთაც მთებში წვიმა და ქარიშხალი მოუსწრებს, ქარავნს შეადარებენ თავს. შუალამისას მათ ქალის ხმა მოესმით. რამდენიმე წუთის შემდეგ, კარავში შემოჰყავთ წვიმისაგან დასველებული ქალიშვილი. მოუარეს, მოასვენეს, გამოეცნაურნენ. ეს ქალიშვილი — ასპირანტი მანანა ბუგიაშვილი, სამეცნიერო შრომის დასაწყერად ემზადება თერმულ და სოფლებში ახალ ფოლკლორულ მასალებს აგროვებს. ირკვევა, რომ ქალს ხალხში გაბნეული მარგალიტების შეგროვებით სურს ისეთივე აქტიური მონაწილეობა მიიღოს ჩვენი ხალხის შემოქმედებით შრომაში, როგორც ამ გეოლოგებს საქართველოს მიწის წიაღში დამარხულ სიმდიდრეთა აღმოჩენით. ერთიცი და მეორეცი, თავიანთი კეთილი საქმითა და შრომით ერთნაირად ემსახურებიან ახალი საქართველოს პროგრესს. სიამაყით აცხადებს მანანა: „მე დიდი მასალა შეეგროვებ და ახლა მინდა ყველას გავუზიარო ეს სიმდიდრე, თათოველო სიტყვა და ჰანგი, ფიქრი იმ ადამიანისა, ვინც ახალს აშენებს, ვისაც დღეისა და მომავლის რწმენა გააჩნია, ვისაც მართალი და წმინდა გული აქვს“.

ს. კლდიაშვილი განსაკუთრებული სიყვარულით გვიხატავს სწორედ ზეამლიდელი დღის რწმენით აღსავსე იმ კეთილ ადამიანებს, რომლებიც არაფერს იშურებენ ახალი საქართველოს კეთილდღეობისათვის. აქ გამოყვანილია

ახალგაზრდა ცოლ-ქმარი ირინე და ნიკოლოზი, რომელთაც ძველ სამცხეში კერა გაიხიზნეს, დაუღალავად მუშაობენ და ახლამდე მუშაობენ. ახალი შესბუთის დაბადებით ხსარობენ ცხოველ „პირველი“. აქვე ვეცნობით ცამეტ-თოთხმეტი წლის ზურიას. ზურია სამამულო ომის დროს მგებურად გაჰყვა საბჭოთა ჯარს კავკასიის მისადგომებთან და თავი გამოიჩინა. ახლა იგი, როგორც ერთ-ერთი მოწინავე მშრომელი, თავისი სოფლის კოლმეურნეობის მეთაურია. ზურია არაფერს ზოგავს იმისათვის, რომ უფრო დოვლათიანი და ლამაზი გახადოს მეზობელთა ცხოვრება. ს. კლდიაშვილი თავის მოთხრობებში ამგვარ მოწინავე ადამიანთა გამოსატყვის დიდ დროსა და ენერჯიას ანდობებს. ამავ დროს ჩვენმა ავტორმა კარგად იცის, რომ ამ ქვეყანაზე მართოდენ ეს კეთილი გულისა და საქმის ადამიანები როდი ცხოვრობენ. ცოტა როდი არიან ისეთი პირებიც, რომლებიც კვალს ვერ ტოვებენ, ზოგ შემთხვევაში კი ხელს უშლიან და აფერხებენ ჩვენს წინსვლას. ს. კლდიაშვილი ამბობს, კაცავს, სარკასტულად დასცინის ასეთს სულითა და ხორციით მახინჯებს, უღღერებს, სულნამცოცა კაცუნებს, ხელმოცარულებს. ამ მხრივ ყველაზე ტიპური და დამახასიათებელია ნოველა „ცხოვრება პატარა კაცისა“. აქ მოთხრობილია ერთი ფორტოგრაფის, გახუნებული და ნიადაგგამოცლილი ადამიანის ცხოვრება. მას პატარა ქალაქში, ბაზრის მოედნის ერთ კუთხეში, ფორტოსხელოსნო ჰქონდა მოწყობილი წარწერით „ფორტოგრაფი მელიტონ ლიბრაძე“. დროთა ვითარებაში შეიცვალა წარწერის დასაწყისი, — კოთხერატეის ახალი აბრის ბოლომ დაფარა ოთხი პირველი ასო და დარჩა წარწერა „გრათი მელიტონ ლიბრაძე“. ხშირად ამბობდნენ დაცინვით მელიტონზე — საბჭოთა ბელისუფლებამ მისცა მას გრაფობა, დაცინვით ეძახდნენ კიდევ გრაფ მელიტონს. თავის მხრივ მწერალი ჰუმანიტურ დამოკიდებულებას იჩენს ამ პატარა კაცისადმი: „ჩვენ მაინც ნუ ვუწოდებთ ასე. კმაროდეს, რომ სხვა დასცინის. ჩვენ ლობიერი ვიყით“. რასაკვირველია, ეს ხელს არ უშლის მწერალს მთელი სიმართლად წარმოადგინოს ამ კაცის სულიერი ავღალიდება.

(დასასრული იქნება)

3კალიბრა ზაზუხიძე

მწერლის პიკვედი რომანი

ვთქვა ფშაველმა მართებულად შენიშნა ერთ-
ხელ: „ოგია ნიჭიერი მწერალი, ვინც რააც
თავად გრძნობს და ფიქრობს, აქვს უნარი
სხვათაგან ესე აგრძნობინოს და აფიქრებინოს,
ვისშიაც ძლიერად სჩქეტვს ეროვნული სისხლი,
ვინაიდან ეს უმთავრესი ფესვია იმის შემოქმე-
დებისა; ეს, როგორც ქართველი ერთი ამბობს
„აღალი რაჟა დედისა“ და, ნუ ჰგონია ვისმე —
უამისოდ ნაყოფი გამოიღოს მისმა ნიჭმა“.

ღიახ, ნამდვილი მწერლის შემოქმედების ძი-
რი, როგორც ეს ვეყას ზემომოტანილი სიტყვე-
ბიდანაც ნათლად ჩანს, მისი ხალხის ცხოვრე-
ბაშია, რადგან შიოლოდ ხალხი, მისი ცხოვრე-
ბა, შრომა, ბრძოლა, ზნეობრივ-ესთეტიკური
იდეალი და გამოცდილება სიმაართისა და
მშვენიერების ის დაუშრეტელი წყარო, რომე-
ლიც კუმშარბტ ხელოვნებას, მწერლობას ჰყე-
ბავს და ახარებს მუდამ.

სწორედ ამას გულისხმობდა ბრძენი ილიაც,
როდესაც მისთვის ზეუელი დამარწმუნებლობით
ამბობდა: „ჩვენი მწერლობის საქმე საქართვე-
ლოს ხალხის ცხოვრებაა“.

ცხოვრებისეული სიმაართლის ესთეტიკურ
პრინციპზე დამყარებით და მის შესაბამისად,
სწორედ ქართველი ხალხის ცხოვრებაა ასახული
ოტია იოსელიანის პირველ რომანში „ვარს-
კვლავთცვენა“. თანამედროვეობისადმი მიძღუ-
ნილ ამ ნაწარმოებში ტელისტრუალ, ყოველ-
გვარი ყალბი იდეალიზაცია ვარკმე, ისტორი-
ული სიმაართლით, სათანადო ფსიქოლოგიური
სიღრმითა და დამაჯერებლობით, მწერლური
ოსტატობითაა მოთხრობილი ქართველი ხალხის
ეკაყაეტი მონაწილეობასა და მსხვერპლზე საბ-
ჭოთა კავშირის სამაჟული ომში, მის შრომით
გმირობაზე ზურგში, იმ საოცარ სულიერ სიმტ-
კიცესა და სიფაქიზეზე, აგრეთვე იმ ზნეობრივ
ერთიანობაზე, რომელიც ამ უდიდესი განსაც-
დელის ვაჟს დაანახვა მან ქვეყანას.

„ვარსკვლავთცვენა“ უწოდებია მწერალს თა-
ვის აბლი ნაწარმოებისათვის, და სავსებით
სამართლიანადაც. ეს სათაერი მითხველს სიმ-
ბოლოებად ანიშნებს იმ უდიდეს მსხვერპლზე,
რომელიც ომის დროებამ შეიწირა მთელი
ჩვენი ქვეყნისა და კერძოდ საქართველოსაგან,

კაცობრიობის ისტორიაში მანამდე გაუგონარი
დიდი სისხლის ღერისას.

ტოლსტოი ამბობდა, კარგ ნაწარმოებს,
თავიდან ბოლომდე არა მარტო ერთი აზრი,
არამედ ერთი გრძნობაც უნდა განდევდესო.

თავით ბოლომდე ერთი გრძნობა ვასდევს
„ვარსკვლავთცვენას“, გრძნობა უსაზღვრო სიყ-
ვარულისა სამშობლოსადმი, ხალხისადმი, მისი
სულისა და ზნეობისადმი, და ამაშია ამ რა-
მანის პატრიოტული ხაზითა და მნიშვნელობა.

ამასთან ერთად, „ვარსკვლავთცვენა“ ერთგვ-
რად პოლემიკური ნაწარმოებიცაა და ამითაც
იქცევს იგი მკითხველს ფურადლებას. პოლემი-
კურია იგი ისევე, როგორც თავის დროზე, მაგ-
რამ სხვა ვითარებებთან დაკავშირებით, პოლე-
მიკური აყო დიდი ილიას „მგზავრის წერილე-
ბა“, ტურგენევის „მამები და შვილები“, ი. ლი-
ბედინსკის „კეჩა“. თავისი პოლემიკური გან-
წყობილებით იგი მიმართულია იმათ წინააღ-
მდეც, ვინც ნებსით თუ უნებლიეთ სრული
სისწორით ვერ ხატავს გარდახდილი უდიდესი
ომის სურათს, ზოგჯერ დაღატობის ისტორიულ
და მხატვრულ სიმაართლს, მიუდგომლად ვერ
აღაღვენს იმდროინდელ მოვლენებს და ამით,
კანონიერ გულისწყრომას იწვევს მკითხველთა
გარკვეულ ფენებში.

„ვარსკვლავთცვენა“ რომ პოლემიკური რა-
მანია, ეს მისი ეპიგრაფიდანაც ცხადად ჩანს.
აგი ავტორი სწორედ იმას უჩივის ვიქტორ
პეტროვისს, რომ „შენ ზემთან პირად საუბარ-
ში, სხვათა შორის, ვითქვამს: თქვენ — ქართ-
ველებს ომი არ გინახავთ“ და ცდილობს,
რომანში ვგაღშლილი სურათებით დაანახოს მის
ამ აზრის მყდარობა, არა როგორც ვინმე მოწი-
ნააღმდეგეს, არამედ როგორც მეგობარს, კეთი-
ლისმსურველს, მაგრამ სიმაართლის გზიდან
აეღვირა იდამიანს.

ორი მახლობელი ადამიანის მეგობრულ პაქ-
რობაზეა მითითებული რომანის ეპიგრაფში,
და ამიტომაც, რომ ავტორი ასე ინტიმურად
მიმართავს შორის მყოფ ამხანაგს: „ახლა რა
ხანია აღარ მინახავხარ. მომენტატა შენი რბ-
რობა სიცილი და პირდაპირი საუბარი. საბლშიც
არაინია, რომ ხმა გამცეს, ვარჯთ ნაწუიშარი

და გავლა არა ღირს. ეზივარ ჩემთვის და ვწერ, გწერ ზენ, გწერ, რაც დამამახსოვრდა ომის დროიდან“. ისეთია თავისებური წინათქმა ამ საინტერესო მხატვრული ტილოსა, რომლის სიღრმე, როგორც ვთქვით, სამამულო ომის მიმდევარდევების მხატვრულ რეტროსპექციას წარმოადგენს და ადამიანთა იმ საზოგადოებრივ და პარად ინტეგრირ ურთიერთობას ეხება, რომელიც დროის მრისხანე ვითარებაში წარმოიშვა და განვითარდა.

• რომანში ფსიქოლოგიური სიზუსტითაა ნაჩვენები სულიერი სამყარო მთელი ჩვენი ხალხისა და ომის ქარცეცხლში ნაადრევად დაბრძნებული იმ ქართველი ქაბულებისა და ქალიშვილებისა, რომლებშიც, მოულოდნელად თავზე წამომდგარმა საშინელებამ ნაადრევად ჩაჰკადა მხატვარი ხალისი და უღარადელობა, მაგრამ ზნეობრივად მათი გატეხა ვერ შესძლო, და ამიტომ ისინი ბოლომდე ერთგულნი დარჩნენ იმ ოპტიმისტური აზრისა, რომ ცხოვრების გარეშე და მის შიდა არა რა არსებობს, რაც შეიძლება მის მართებულ მიზნად ჩათვალოს, რომ უშაღდესი ღირებულება, უღადესი ზნეობრივი სიეთე თვით ცხოვრება, მის მთლიანობაში აღებული და წარმოდგენილი.

• თქმა არ უნდა, ცხოვრების ცოდნა მწერლობის ერთ-ერთი პირველი და უშთაბრესი პირობაა. ჯერ კიდევ ჰეგელმა შენიშნა, რომ ვიდრე საქმეს შეუდგებოდეს, მწერალმა ბევრი უნდა ნახოს, ბევრი მოისმინოს და ბევრიც შეინახოს თავის მუხისებრებაში. ო. იოსელიანი კარგად ხედავს და იცნობს იმას, რაზედაც წერს, ადამიანებსაც, მათ ყოფასა და გარემოსაც. ლ. ტოლსტოის თქმისა არ იყოს „ადამიანები აქ ისე მოქმედებენ, როგორც ეს სინამდვილეში ხდება“. ისინი იდეათა სქემები ან აზრდებები კი არ არიან, არამედ რეალური სიცოცხლით ცოცხლობენ, საკუთარი ინდივიდუალობა აქვთ, თავისი ცოცხა და შიდა, დადებითი და უარყოფითი მხარეები გააჩნიათ. ეს ის გმირებია, რომელთა პროტოტიპებს ჩვენ ყოველდღიურად ვხვდებით ან შევხვედრებართ ცხოვრებაში.

რომანის პირველი თავიდანვე იგრძნობა მწერლის სიახლოვე ცხოვრებასთან, ხოლო ცხოვრებასთან სიახლოვე, როგორც ცნობილია, თავისათვის სიახლოვეს ნიშნავს. კარგად წარდა ერთხელ ირაკლე აბაშიძემ: რომ გადმოსცე შენი სულის მოძრაობა, ეს იგივეა, გადმოსცე შენი ეპოქის ადამიანთა სულის მოძრაობა, თუ რასაკვირველია, შენ გაცხოვრებ ხალხის ცხოვრებით, მისი ტყვიელებითა და სიხარულით, მასთან ერთად გაგივლია ცხოვრების გზა მარცხითა და გამარჯვებებით, ბრძოლითა და იმედებით. ოტიია იოსელიანის შემოქმედება ნათლად გვაგონობინებს, რომ მწერალს უცხოვრია ხალხის ცხოვრებით, მისი ტყვიელებითა და სიხარულით

და ამიტომ ახერხებს იგი ასე დამაჯერებლად დაგვანახოს ამ ცხოვრების სიუკუროვე მასში ჩამბული ადამიანების სულიერი სამყარო. ოტიია იოსელიანის რეალისტური მწერლობის და თავის გმირებსაც წინასწარ აღებული მორალური იდეების თარგზე არა სჭრის და ხატავს. იგი თავის შემოქმედებაში მხატვრული სიმართლის გზას მიჰყვება და ამიტომ ერთი შეიკრეს არ უპირისპირებს აბსოლუტური სიეთისა და აბსოლუტური ბოროტების წარმომადგენლებს.

ო. იოსელიანს უყვებად მხატვრის მახვილი თვალი აქვს. მას აქვს დეკორატივის, ერთხელ ნახულის კარგად დამახსოვრების და შემოქმედების პროცესში საკუთარი ფანტაზიით მისი გამდიდრების უნარი. მწერლის ვეჯა ეს თვისება კარგად ჩანს არა მარტო მხატვრულ სინთეზებში, ნაწარმოების არა მარტო კომპოზიციაში, არამედ დამახასიათებელი დეტალებში გადმოცემაშიაც.

ო. იოსელიანი არ არის ჩვენი ქვეყნის გუმინდელი დღის გულდამწვდებელი, აუღადებელი ნემატანი. ამიტომ რომანში მკაფიოდ იგრძნობა ავტორის ღირიული სითბოცა და პუბლიცისტური მგზნებარება. მწერალი არასოდეს არ დარჩავს საყვარლისა თუ ზილის სემბიქტური გამოზობებს ნაწარმოებში აწერელი ან თუ იმ ამბისა და მოვლენისადმი, მისი ცალკეული გმირებისადმი. ჩანს, მწერალმა კარგად იცის, რომ რაც „საგნების შესახებ ითქმება ადამიანური დანიტრატების გარეშე, სიყვარულისათვის დამახასიათებელი მიყვარებას გარეშე, ის ყურადღების ღირსი არ არის“, როგორც გოეთე ამბობდა ხოლმე.

ჩვენი ქვეყნის ცხოვრებიდან აღებული მასალა მწერალს, ვაქას სიტყვებით რომ ვთქვათ, „საკუთარ სულიერ ქერაში გადაიღუნა, გადაუღუნებია, მისგან ახალი რამ შეუქმნია და დაუწერია ქუმარტების შესაბამისად ისე, როგორც ხალხს სურს“. ამაშია, თუ გნებავთ, ერთგვარი ხალხობრივი „ვარსკვლავთცეცნისა“, რომელიც მუთხველში ნერგავს იმის რწმენას, რომ ხალხის, მასების სულიერი სიმტკიცე, თევგანწირვა, ადამიანისადმი ადამიანის სიყვარული, კეთილი გული და დაუღალავი შრომა ყოველგვარი დაბრკოლებათა გადალახვისა და გამარჯვების ზეიმის უწყობი საწინდარი.

• იმერული დადაქტობა შეზავებული მსუბუქი ქართულითა ყოველგვ უზომოქმედის შესახებ მოთხრობილი ო. იოსელიანის პირველ რომანში. კარგ სტილს, როგორც ცნობილია, არასოდეს ძალდატანების დღი არ არის, იგი მუდამ ბუნებრივი და თავდაპირილია. წერის დაუძალეზული მინერა ახასიათებს ო. იოსელიანს; ბუნებრივი და კლორირტულია მისი დიალოგებია, ხოლო აზროვნება ემოციური და მიტაფორული. მწერალი ამბებს კი არ ჰყვება, არამედ შთამბეჭ-



დავი სახეებითა და ოსტატური ჩანახატებით გვეცნობს ადამიანთა სულიერ მდგომარეობას, მათ ურთიერთობასა და ცხოვრებას. მ. ოსტაინის ნაწარმოების წყაობებისა შილებული პირველი შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს ყოველსავე ამას მწერალი ძალიან ადვილად და სხვათაშორის აღწევდეს. ჩვენ არ ვიცით, მართლა ასეა ეს, თუ არა, მაგრამ, როდესაც ოტია ოსტაინის ნაწერს კითხულობ, უნებლიეთ გაგონდება ტურგენივის მიერ შეტანილი მიწერილი სიტყვები: „მამებისა და შვილების“ გამოცემის შემდეგ ვხატავდი, როგორც სოკები, ფოთლები, ხეები დამოხატნა სხვა დროს“.

ძალდატანების არაერთი დადი არ ახის რომანის კომპოზიციასაც, ხოლო სიუჟეტის განვითარება მასში ძალზე დინამური და იგი საკლებით შეესაბამება ქვეყნის ცხოვრების ომისდროინდელ რიტმს.

რომანის მთავარი გმირის — გოგიტას ცხოვრების ისტორია შეადგენს იმ ძირითად ხაზს, რომლის გარშემოც დატრიალებული ნაწარმოებში ასახული მოვლენები.

წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ გოგიტა თავისი ხასიათით, როგორც ჩანს, ახლო დგას ავტორის ბუნებასთან. ამიტომ მწერალს თითქოს არ ძალუძს აბსოლუტურად განათვისებულდეს მისგან და რომანში მისი სრული ობიექტურობა მოახდინოს. მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ თითქოს ამ რომანს, ჩვენ, მწერლის ავტობიოგრაფიად ვაცხადებდეთ. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის და არც შეიძლება იყოს, რადგან გერ კიდევ ბელისკომ თქვა შესანიშნავად: „სუბიექტური გამოსახულება პირველებისა არ გრის ავტობიოგრაფია, შილერი არ იყო უმაღლი, თემცა კარლ შორში მან გამოსახა თავისი იდეალი ადამიანისა“. მწერლის ასეთ იდეალად გვესახება ჩვენ, უცნაო მისი დაუდებლობა და უარყოფითი მხარეებით, გოგიტაც, რომლის ცხოვრების ისტორია, როგორც ვთქვით, მოთხრობილია „ვარსკვლავთცვენაში“.

შვიან დღეს მოულოდნელად ამოვარდნილი ქარიშხალივით დატრიალდა ქვეყანაზე და კერძოდ ერთ ქართულ სოფელში ომის დაწყების საშინელი ამბავი. მინდობად რიცხვებელს თამაშით გართულ ოთხ სოფელად ბაღს—გოგიტას, გონას, ბუდუს და ტუბუს, გონას უმცროსი დაივგონა წივილით ატყობინებს: „ომი... ომი დაიწყო“. „რაღაცნაირი იყო ეს სიტყვა, რაღაც იდეალი, რაღაც ამაზრზენი, რომელიც არც ერთმა ჩვენთაგანმა არ იცოდა, მაგრამ უგარკენით კი“, — ამბობს გოგიტა. და ეს იდეალი გრწნობა თითქოს შიშის ცნობიერ განცდად იქცა მათთვის, როდესაც ტრავლის თავი სამ გოგაზე გაეცა რიკის შუაწელს და მოქცეულ ოთხ ვეარით დაჩა. ცუდის მო-

მასწავებლად შევიგრძნეს მათ ეს შემთხვევა და დამართბალემა სახლებს მიაშურეს. ომის დაწყების მისხანე მშენებელ მშენებელ ადამიანთა გული და გონება მშენებელ მშენებელ ერთბაშად დიდისა და პატარის სულის შემხუთველი შავი ღრუბელი გადაეფარა; სადაც, შორს დანთხებული პირველი სისხლის სუნით დატრიალდა თითქოს პერში, და ექვსი წლის ზახა ცამებითოდ წლის უფროს მშასთან, გოგიტასთან მიიქრა ბლავილითა და ყვირილით — „მამისა მოკლავენ, მოკლავენო“.

ერთბაშად აიწეწა და კალაპოტიდან ამოვარდა სოფლის ცხოვრება, ერთბაშად მოიშალა მისი ყოველდღიური განწყობა. ახრებულვიით გამოიყურებოდა სოფლის მთელი არე-მარე და გოგიტას მშობლების კარშიდამოც, რასაც ასე ცოცხლად აგვიწყრს მწერალი. „ოდის კარები გამოკეტლი იყო. სამზადიდან ბოლი ამოდიოდა და გაკაასებული ბავშვის ტირილი ისმოდა. სამზადის აივანზე კრუხ-წიწილა ქოთქოთებდა. ღორი ქვევითინით დაეყუბოდა ბოსტანის ღობეს და გაძრომას ლამობდა.“

დღეა და მამა მიტინგზე წასულიყვენ კანტორაში. კერისთან ბებია იჯდა დაბად გორკოზე, ორივე ხელი თავზე შემოვლიდა, იდაყვით ნუხლს ეყრდნობოდა და ქვევით ნაღვერდალს ხასჩერებოდა...

—კრახზე შავი კარდალი იდგა კარდალიდან ომშივარი ამოდიოდა და ძნელი ვასარჩევი იყო რა იხარშებოდა. მუცულები ბოლავდა, აღიოდა თერთი კვამლი, ხნარაღვდა, მთელ სამზადში სურთქვა შირდა. ეტყობოდა კარდალიდან წყალს გადმოიველო და ცეცხლი ჩაქტრო. ახალ მღუღარე გადასსმული მუგულები ბოლავდა და ალაგ-ალაგ კაფობდა გადარჩენილი ნაკვერჩხალი.

მე ჩამშებულ ცეცხლს ჩაუთუცქდი და მუცუტად ნაკვერჩხლებს დაეწევე შეგროვება. კარაპანზე შემოფრენილი კრუხი მოუხმობდა აწივლებულ წიწილებს.

ქართაში ისევ ბლოდა მშეირი ხარძროხა.

— დმერთო ჩემო — აღმობდებოდა ბებიას.

— კრუხი არ იშლიდა კრიახს. სადაც ბოსტანის ღობე გატება ღორას, დაიქოთქოთეს ინდაურებმა, და მშეირი პირტუცვი ისევ მთელი ხმით ითხოვდა სამოვარს.

ზახა არწევდა და არწევდა ჰირვეული ღის აყვანს.

მე კერისთან ჩამოქილი ვუბერავდი ნაკვერჩხლებს, მაგრამ მღუღარეს ერთნაირად დაეღუშა კერა და სველ მუგულებს ასე იოლად აღარ ეღებოდა აღი“.

ან როგორ შეიძლებოდა ეს აღი მოსდებოდა „წყალდასხმულ კერისა“?

მიმე ფიქრებს დაედუშებია გოგიტა, დედა, ბებია და თითქოს პატარა ზახის ბაღურო

უღარგელობაც საღდაც გამკრალყო. სამაგიეროდ, იცინოდა მამა, დღეს აყვალაზე მერს იგი იცინოდა, და ეს გასაკვირია. განა ომში მამავალი ჩვენებური ვეკაცი მუდამ ასე არ იქცეოდა ოჯახის წევრთა გულის გამამაგრებლად? მამას არავისთვის გაუშვალა თავისი დაფარული ფიქრები, მწერალმა რომ გაგვიანდოდი ადამიანური გრძობით გამთბარ იმ საუბარში, რომელიც დათკომ თავის ღვინიასა და შეხარის გაუმართა შინიდან წასვლის წინ. ამ საუბრისას ასენა მან კლემენტი, სოფლის ეს ორგანი და ღვარძლიანი ადამიანი, რომელიც ოჯახის მეთაურად დარჩენილ პატარა გოგირტას შეება პირველ დღესვე იმ ბოროტი განზახვით, რომ მისთვის ხარი წაერთმია. ღამით, დობის ძირში ჩუმად ჩაუკეებულმა გოგირტამ მოპკრა ყური, ხარებთან, როგორც ძმებთან, მოსაუბრე მამის სიტყვებს, რომ „თუ ხარს პატრონი არ უყარგა, კაპიცია მისი ფასიო“. მოპკრა ყური ამ სიტყვებს და გულში მტკიცედ ჩაიპარხა იგი, რათა მამის წასვლის შემდეგ თავისი მხარუწველი ხელის სითბო არ მოვალყო პირტუვისათვის.

ასე ერთმანედ გაიღვივა მამაშვილური მოვალეობის ძლიერმა გრძობამ დიდი ქართველით ნაღვრეად მოწიფებულმა ბავშვის სულში. ბავშვისა, რომელსაც ომში წასვლის წინა დამით გამართულ „სერობისას“ მამამ პირველად მიმართა სიტყვით „შელო“, და გასამზნეებლად ასე უთხრა: „შენ თორმეტი წლის კი არა. მერსაც ხარო“, თუმცა შემდეგ თავი ვადაჟინია და დაუმატა—„ეგრე შენ რიტყუეღას თამის მტი არაფერი არ იციო“.

ეს ასეც იყო არა მარტო გოგირტას, არამედ მისი ტოლების ცხოვრებაშიაც. მაგრამ მამებმა მაინც „იმ გრძელ ვზაზე წასვლის წინ, რომლიდანაც არც ერთი არ დაბრუნებულა“, მათ მხოლოდ ეს უთხრეს, — „აბა თქვენ იცითო“, თითქოს და ისინი, თორმეტი-ცამეტი წლის ბალები კი არა, მოწიფებულნი ვეკაცები ყოფილაყვენ.

◄ ომში წავიდა სოფლის ჯვალა ვეკაცი. წვიდნენ მამები, ძმები, კმრები, შვილები. მწერალი ფსიქოლოგიური სიშორით გაღმოგვემს განზორების ეამს შექმნილ მძიმე სულიერ განწყობილებას ქართველი ადამიანისა, ეგრძოდ, იმ ერთ-ერთი ქართველი დედისა, რომელიც ცდილობს ფიქრადაც არ გაიგლოს ომში მიმავალი შვილის მოსალოდნელი სიფათი და ამიტომ მშობლის წმინდა გულბრწყინობით ეუბნება მას: „ბიჭო, თავს გაუფრთხილდი დედა. შენ ცუდი ძილი იცი, საბანს არ იყეავ, შარშან ანუბა გქონდა და კინაღამ დამიდგა თვალბიო“. მოხუცი ელპიტეც ხომ იმას სთხოვს თავის ერთადერთ ამბაკოს, რომ „არ დაგვიანო, მალე დაბრუნდი, ჩხუბი არ ჰქნაო“. „საბანი ამოიცი-

ც და ჩხუბი არ ჰქნა ომშიო!“ — ვერაფერი გრძელი აღწერები ვერ შეძლებდა უფრო მეტ სიღრმით და ოსტატობით დაეხატა მტკიცეღვინისათვის ზნეობრივი სახე გულბრწყინებულმა. ეიდრე მწერალმა ამ რამდენიმე გულბრწყინლო სიტყვით შეძლო ეს.

მოხუცი სერაფიონი, ყავარჯინიანი თევდორე, უტიერყო ეზოა, ფუხუცა კლემენტი, ქალები და ბავშვები დარჩნენ, სოფელში და როდესაც განზორების უკანასკნელი წუთი დადგა, ავიდა ატირდა, აზრალდა ხალხი, ამდენი ხმა შეერთდა, შეიკრა, აზვირთდა და გვინებასავით გაიქცა.

ეს გინება და რისხვა ისმოდა იმ სიმღერაშიც, რომელიც ელიაც მანქანაზე წამოიწყო, ხოლო შემდეგ მას დანიარჩენებლაც აყენენ და, მწერლის სწორი შენიშვნით, ამით „თითქოს მძიმე ტვირთი მოიხსნეს“.

◄ ოტია იოსელიანი ფსიქოლოგიური დეტალების კარგი ოსტატია და ამიტომ გვესმის ჩვენ მისი სიტყვებისა, რომ „ამ სიმღერას არ ჰქონდა მოტივი, ეს სიმღერა არ იყოო“. ასე დაიწყო მწერალმა სიმღერასა და ტირილში ადამიანთა ერთი და იგივე სულიერი განწყობილების გამოხატვის სხვადასხვა, მაგრამ ერთდროული საშუალება და ამის მიგნებაშიც გვაგრძნობინა მან, თავისი მხატვრული ნიჭის ძალა.

◄ წავიდა მამა, მაგრამ დარჩა მისი დანაბარები — „აბა, თქვენ იცითო“, რომელიც როგორც მოწოდება მიუძღოდა წინ გოგირტას, უღვიძებდა მას მშობლისადმი სიყვარულთა გამოხარის მოვალეობის გრძობას და ასაკითაც ნაღვრეად ამწიფებდა თითქოს.

◄ თითქოს ერთს დღესა და ღამეში შეიცვალა გუშინდელი ბაღის ბუნება, შეიცვალა მისი აზროვნება, ნებისყოფა, ქცევა მთლიანად. ოჯახისა და ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობის შევნებით ავსილი დაეძებდა იგი მამის წასვლის მეორე დღიდან საქმეს, თავის ადგილს ცხოვრებაში, რომ ამით მისი დანაბარებისადმი ერთგულება გამოუმჟღავნებია. ამ სერეის შესრულების პირველი შესაძლებლობა მამის მივიდა მას, როდესაც მამის საყვარელი ხარის, ღვინის გამო შეება მწვენა, წერათუვალე კლემენტის, კლემენტი სოფლის შენობაში ორგანი იყო. როგორც ეს მწერლის მიერ შესანიშნავად გაკეთებულ დიალოგიდან ჩანს, კლემენტი გაიძვერა, თავის სასარგებლოდ მუქარასთან ერთად, საჭიროების დროს, შემთავის სირბილესაც რომ იჩინოს. კლემენტის საჭიროების საფარ ქვეშ მოიწვილია მან გოგირტას მამის საყვარელი ღვინის წართმევა, მაგრამ ამაოდ. ამ ბოროტმა ადამიანმა ვერაფრით ვერ სძლია გოგირტას ნებისყოფას, მისი ხასიათის სიმტკიცეს. შეიღს, რომელიც ხატავით ატარებდა თავის გულში მამის ძვირფას სახეს, ერთი

სურვლი ამორავებდა: არაეისათვის, და მით უმეტეს კლემენტისათვის, არ დაეთმო ღვინო, რადგან მას სჯეროდა ომიდან მამის დაბრუნებისა. ამიტომ იყო, რომ ავეჯდა კლემენტის წამოხახლოვ: „არ მოვა (მამაშენი — ვ. ზ.) შე მამაძალიო“, მან დარწმუნებით უბახუბრა: „მოვა, მოვა... თუ არ მოვა, შე... მე... ავერ არა ვარ... ავერ ვარ შეო“ — და ამით მწერალმა ვეაბრძნობინა, რომ გოგია, ეს გუშინდელი ბაღლი, უკვე კაცი, პირიქევა გამხდარა, რომლის ქვეყნის ხასიათი შეგვიძლია ჩვენ წინასწარ გავეითვალისწინოთ და წარმოვიგონოთ ცხოვრების თითქმის ყველა ეთაბრებაში.

როგორც აღამიანის სულის კარგი მცოდნე. მწერალი დიდი სიმატლით ავეიწერს, თუ კლემენტისთან შედავეების შემდეგ როგორ ახრჩობდა გოგიტას ბრახი, როგორ სურდა მას ტირილი და ვერ ატირებელიყო, როგორ დაემუქრა იგი გოგომას ვალახეთი მხოლოდ იმის გამო, რომ მას „ის ბიასფერი კაბა ეცვა, ის კაბა, რომლითაც მამინ (ე. ი. ომის დამწყების დღეს — ვ. ზ.) შორბინა გულგახეთქილია“. მწერალი ავეიწერს, თუ, როგორ დაახვეია მამიე ხევედრით გავრბებულმა გოგიტამ, გოგონახე საქვენად წამოსულ ხარს, როგორი სიმტკიცე და ევაკაცობა გამოიჩინა მან ამ დროს, ვაკაცობა, ერთგვარად ორთავეისათვის ჯერ გაუცნობიერებელი სიუარულის გრძობობითაც რომ იყო ნაკარახვევი.

ხარები რომ კლემენტის არ წაეყვანა, ამიტომ ვადამწყევტა გოგიტამ მათი უღელში შებმა და მინდერად სააუშაოზე გაყენა. უფროსებისაგან მაღულად ვაკეთის ეს მან, გოგამ და გოგონამ. ურამზე მათ კავი დაადეს და იმ გზას ვაუღვანენ, რომლის ასე წარმტაცად აღწერა მხოლოდ პეიზაჟების კარგ ოსტატს შეეძლო.

თითქმის ფართულად მივიღენენ შეგობრები სახნავ ადგილთან. ფრხხილთ და კბილთ გამოსხენეს მათ ბეურები, ხარები უღელი დაადვენ და შეუღელეს ნიადაგთან ბრძობას, რომელშიაც ეს ჯერ კიდევ შეაღვამგარებელი ნორჩები ასაკისათვის შეუფერებელ საოცარ სულერ სიმტკიცეს დაიენებას იმგვანებდნენ. „იი — ამბობს გოგია — სახნისი მიწას მოვლო, ჯერ ოდნავ წაიღა, მერე ამოხტა, ვადახნიქა, ვადაიწია, შე იქვე ამოგვებულ ბელეს წამოვკარ და თავდავმა ვადატორალი, ვერც ხელების დახვედრება მოვასწარ, რადგან ერქვანზე ვიყავი ჩაბლაუქებელი და მიწაზე ცხვირით დავერქვე.“

იმწამსვე წამოვვარდი და ათრეულ კავს ავედევენ, შეშინოდა ფეხი არ დავტრა სახნისზე ხარს. ამასობაში გოგამაც იმარჯვა და შეაბერა ხარები. კავი წამოვავალი, მარამ პირმა მოტკბო, მარალიანი, თბილი სითხე ჩამეწვეთა. ენა მოვისვი, ცხვირიდან სისხლი მდიოდა. გოგამ სახეში მიეურებდა და ადგილიდან არ იბრძოდა.

— წადი, წადი! — ვევიროდი შე, — წადი მეთქი, — ვხარახავებდი, ვიკეკოდი, ვდგებოდი, მებლზე ვეეეეოდი. სისხლი... ჩამიშვარდა ნიკახე და გულისპირზე შეწვეთიოდა, —

წადი, არ შეჩერდე, წადი — იმ უკვე აღარ ვერიღებოდი წაქევეას, არც მას, რომ ფეხს მკეთენულად წამოვვარადი, წამოვიგოქვებდი, ან სისხლი რომ მდიოდა, ისევე ვევიღებ სახეულტრს და მთელი ძალით ვებრძოდი, ვეწყოდი“. აჟ, ამ საოცარ შეუპოვრობაში ჩანს გოგიტასა და მის თანატოლთა ნებისყოფის ისეთი სიმტკიცე, რომელიც ალბათ ეგზოტუპურისა და ჰემინგუეის გმირებსაც შეუძრდებოდათ, ხლო სელნიკერის პოლდენ კოლფილიისათვის იგი სრულად უცხო და გუგუბარიც აღმოჩნდებოდა!

შრომაში ასეთი შეუპოვრები ჩანან არა მარტო გოგია, გოგია, გოგონა, არამედ კოკლი და ენამილწი ეხიკაც, მამა ომში წასული ამირანისა და მისი ცოლის — ფატის მამამილი, რომელიც უქუსლო ფეხს ხესავით დაათრევდა. უსახლვროდ თავმოყვარე იყო ეხიკაც და ამიტომ არ გაატანა მან რძალი მის მშობლებს სახლში, როდესაც ამირანი ომში ვახუნენეს. ეხიკაც დროებით მეთაური იყო ევათა ერთი ბრიგადისა, დანარჩენი ბრიგადა ქალებისა იყო. სოფლისა და ქვეყნის ერთგული იყო ეხიკაც და ამიტომ სძულდა მას ასე მწარედ ცბიერი და ვაიძვერა კლემენტი.

დღე და დამ შრომადა სოფელი მტერზე ვასამარჯვებულად და დღე და დამ ვერ იშორებდა იგი ფიქრებს ომში წასულთა ბედილბაზე. ფიქრებს, რომლებიც, პოეტის თქმისა არ იყოს, „წუნარბი წიგნის წყვთებით“ აესხებდა აღამიანთა გულებს. და თუ აოტებს ეს შედარება ვაციხსენეთ ჩვენ აჟ, ეს მხოლოდ იმის გამო, რომ ოტია იოსელიანსაც უყვარს წიგნიანი დარი, როგორც მის გმირთა მამიე სულიერი ვანწყობილების ერთგვარი სიმბოლო.

წიგმიდა იმ დღეხაც, როდესაც დღქნიდან დაბრუნებულმა პატარა ზაზამ დევამ ამბავი მოუტანა, რომ პური არ არის და არც იქნებოხლოდ უყვითლისმა თომა ფოსტალიონმა ოჯახს, მამის — დათიკოს მიერ გამოგზავნილი უმისამართო ბართი მიუტანა.

შველთავანვე ცნობილია, რომ ჰუმპირიტება აღამიანის მიერ აღამიანობის შეგრძნებაშია, სხვა აღამიანებთან სიახლოვის გრძნობაში, გულგახსნელიობისა და სიკეთის იმ დიდ პრინციპშია, რომლის თანახმად აღამიანი აღამიანისათვის მეგობარი, ამხანაგი და მამა უნდა იყოს.

ამ მაღალი ზნეობრივი პრინციპის სული იგრძნობა ო. იოსელიანის მთელ რომანში, მის გმირთა უმრავლესობაში, ვანსაკუთრებით, ვევიანისათვის საყვარელ ვლამ თომა ფოსტალიონში, რომელსაც, რატომღაც საყვართა დანამაუვლად მიჩნდა, რომ გოგიტას მამის — დათიკოს

წერილი დღემდე არ ყოფილა, რომ ამბავისა და კოწიას წერილები დღესაც არ არის, ხოლო როდესაც ვას მოსკოა თელი, „ეზოს თავში შეჩერდა, წელში წახიარა, ღობეს მოდარბებელი შემობრუნდა და ისევ ტიშქარს მიადგა. იგი ახლა მოკუნტული ჩანდა, მსრები მალა წასვლოდა და კსერის კეს ბაკინიდან თავგამოყოფილს უგავდა.

იგი ეზოში მოხრილი შემოქტვარა:
 — მობრძანდი, მობრძანდი — მიიხატევა დედამ.

— არა, ჩემო ივლითი, მაქვთ სად მცალია, მარა ავერ, — მან ეზოს თავში ვაიშვარა ხელი, — ევა მელოდება ტიშქართან. გეშინაც მელოდება, გეშინინაც, არაა წერილი, დღისათვის დავბირდი, ისევ არაა... ხვალ კე იქნება, მარა დღეს ზამ მოვატყუილე ამ ხნის ქალი“.

საღამო უნდა სყოდნოდა ბიძია თომას, იქნებოდა თუ არა ეს წერილები „ხვალ“, მაგრამ მაინც ირწმუნებოდა — იქნებაო, რადგან ასე სურდა მის გულს, საესეს იმ გრძნობით, რომ ადამიანი ადამიანისათვის შეგობარი და მძა უნდა იყოს.

„ადამიანი ადამიანისათვის შეგობარი და მძა უნდა იყოსო“, — ეს გრძნობა დეუფუდა ერთბაშად ყველას, ქალსა და კაცს, დიდსა და პატარას, მან შექმნა მათ შორის ის სულიერი სიახლოვე, რომელიც ყოველ კეთილ აზრსა და სიტყვას კეთილ საქმედ აქცევდა მუდამ.

ამ კეთილი საქმის ნათელი მიუქლოდა გოგირტის იმ თავდადებამი ოჯახისა და სოფლის საქმეებისათვის, იმ დახმარებამი, რომელსაც იგი უყარჯენიან მოხუც თვდარტასა და მარტოხელა ელპიტეს და ფატის უწევდა, ფატის, რომლის ცხოვრების ტრაგიკული დასასრული, როგორც ამას შწერალიც ნათელყოფს მრავალი მხატვრული დეტალით, ადამიანის გონებაზე ინსტიტუტების გამარჯვებამ გამოიწვია.

გადამარბებელი გგრძნობიარებით გამოირჩევა ფატის მხატვრული სახე რომანში, მაშინ, როდესაც „ეარსკვლავთცეცვის“ ტიპების უმრავლესობა, ძლიერი ნებისყოფის, შთლიანი და გამოკეთილი პიროვნებები არიან, რომლებსაც საკეთარი ინსტიტუტების, ცხოველური იმპულსების დაოკება შეუძლიათ და ამით პოლოგიურზე, ეგონისტურზე, სოციალურისა და ეთიკურის გამარჯვების ძალა შესწევთ.

ამგვარია, უპირველეს ყოვლისა, ბუნება გოგირტის, რომელიც მშვირიც თავის ლუქმას უმცროს მძას, ზაზას უთმობს მუდამ. ასეთია ჩვილბავშვიანი მისი დედაც, ჩვენი ხალხის მბლახნეობრივ ტრადიციებზე აღწერილი ეს სულგრძელი და კეთილშობილი ქართველი მანდალოსანი, რომელიც ყოველთვის მზად არის თავისი უკანასკნელი ლუქმა მშვიტ მუზობელს

დაუთმოს და ამაში პოვოს წინებრივი და სულიერი კმაყოფილება.

როდესაც რომანში ჩვენი ცხოვრების ვლადიმერ ადამიანთა ასეთ სახეებს ვეცნობით, უნებლიეთ ვრწმუნდებით აქა-იქ გავრცელებულ იმ აზრის სიუალებში, თითქოს გავირყება და ტანჯვა კი არ აკეთილშობილებდეს, არამედ პრყენილეს ადამიანს, „უფრო ეგონისტურსა და წერილმანს ხდიდეს მას და, როგორც მოქმე ამბობს, „ღმერთს კი არა, ნადირს უახლოვებდეს მას, ყოველთვის და ყველგან“.

შელ ვახუშტელს უმუროდ დაბრინილ სოფელს, სიზინდიც მალე შემოვლია. ჩეწისქვილესაც ბერლია ვადეშვა, ორი დიდი სკულპტებიანი წისქვილი ჩაეკეტა და ერთი კიდის ვიწროლარაანი აღრიანტებუა ვაცყეთილ დოლაბს. ხვიშიარზე ერთი ტომსიყა კიდევ იყო შესყებებული, ეს იყო და ეს. ამ დროს მიიტანა გოგირტამ წისქვილი თავისი და მუზობლების საფუკავი, მწერლის სიტყვებით „ნახვარი სოფლის ის სარჩო, რომელიც წისქვილმა ისე ჩანტქა, რომ სანახევროდ მაინც მშვიერი დარჩა“. და სულ მალე მიმშილის აბრდილმა გაიარა მთელს სოფელში. შიოდა ყველას და მითანი ერთად ტუბუიასაც, რომელსაც თავის ღარიბ ღუქმას უყოფდა გოგირტას კეთილი ოჯახი. დამშვეული იყო ტუბუიას ერთადელი თოლიაც, რომელსაც უმულობის გამო „თავითიქოს ვაბრდოდა, თუალები ვაფართოებოდა და პატარის დამსგავსებოდა“.

• მიმშილისაგან ძალაგამოღებული ბავშვები ერთი შვირტის ხმასაც ვეღარ ცნობდენ სკოლაში. თითქოს სიცილის უნარი და მოთხოვნილება წარათყოფდათ, და როდესაც პლატონ მასწავლებელმა ცალ ყურზე სათვალე მოიხსნა, მაგრამ ზელიდან ვაესხლტდა და ცალზე სასაცილოდ ჩაიოყიდა, ამის გამო მათ არა თუ არ ვასციენბიათ, არამედ „წარბიც არ ვახსნიათ“.

ღიდი დარღი აწვა სოფელს გულზე, მაგრამ იგი სულთი არ ტუფებოდა, თავადუბლოვ შრომობდა და მტრის თითმფრინავების თავდასხმისაგან ვადასარჩენად თავშესაფრებსაც თხრიდა და აწყობდა.

თავშესაფარი უნდა მოეთხარა თავისიანებისათვის გოგირტასაც. მძიმე, შეტად მძიმე იყო ეს საქმე მისთვის, მაგრამ ახლობლებისადმი სიყვარულის გრძნობას ამა რა დაუდგებოდა წინ გოგირტამ წინაწარ მიწაზე მოხზა კიდევაც თავშესაფარი: აქ ბუბია დაჯდება, აქ დედა. ზაზა ამ კუთხეშიც დაეტევა, შუაზე აყვანი უნდა დაიდგას, ცოტა სრულად უნდა იდუკს აყვანი, რომ წარწვა შეიძლებოდეს. თორემ აბრდება თათია, და თუ არ გაბავურწვი, რა გაანერებს! მე? მე საუღად აყვინს თავში და მამოსაღვლელში ჩავიმალები, ამბობდა თავის თავზე ეს კეთილშობილი ბაღლი, მახლობლებზე

გადაგებული და სხვების ბედნიერებაზე მეოცნებე.

სიუვარულმა და ნებისყოფამ სძლიეს ყველა დანაკარგს და გოგონამ მოთხარა თავისუფალი, რომლის დანახვებზე, ნიჭიერი იუმორით შენიშნავს მწერალი, „ბებიას ერთხანად ატყაპებდა უბილი ქვედა ყბა, ჯოხი მალა აქწინა და დასწავლა: რაა, შე უღმერთო, ვერ, სამარეს მიიხიბო ენოში?“

შრომობდა შინ დარჩენილი ხალხი. მკვდლის ბიჭი გიგეც არ იდგა უსაქმოდ. იგი ხარებს ჰედავდა, თუმც ამ სასწაულებზე კლემენტის უარი უთხრა. სოფელს უკვე რთველი მოსდგომოდა ვარზე, მაგრამ რა მწივი და მოწვენილი ჩანდა იგი ახლა?!

ერთიმ ყველაფერი რთველივით იყო, მაგრამ რაღაც მიიწეო არ იყო, მთავარი მიიწეო აქვდა. შარშან განუწყვეტლავ ვუბნებდა ნაღვრი და ჭლის კისკის ისმოდა. დღეს კი თითქოს არავის ეშვებოდა არასოდეს, თითქოს არავის ელანდაროს და ეკისკისოს. ტებუნენ ტარობენ, ისრადნენ, ტებუნენ და ტებუნენ, შემდეგ გოდრებით ურემში ყრიდნენ. გაუჭირდა დიდხანს ასე შრომა გოგონას და ვინას. ერთხელ ურემზე გოდრის ატანაში მათ ფატიე წაეშველა და ამ დროს მოხდა უცნაური ამბავი. ერთი კვირა ტარო გადმოეცრა და მალეა-ხელუბატობულ ფატიეს ურემში ჩაუვარდა. მან უბილად ცოცხალი ამოიღო და მთავარის სინათლეზე ისეთი თვალთ შეხედა გოგონას, რომ ყმაწვილი შევრობა. ბოლოს ტარო წყნით დაინარცხა და შებრუნდა.

გაოცებული დარჩა გოგონა. მას ვერ გაეგო, რა მოხდა ახლა, ან რა მოხდა მაშინ, როდესაც ფატიემ ერთხელ მის დანახვებზე მიშვეულ მუხლებზე ხელები იტყუა, კაბა წაიფარა და ნაკვარჩხალივით წაიფარა; ვერ გაეგო, ალბათ, იმ უბიროების გამო, რომელიც საბოლოოდ ფატიეს საბედისწერის ვნებათა დედებს უნდა შეეწიარა.

ხათავდა გრძელი, წვიმებიანი შემოდგომა და კარებს კიდევ უფრო მშვიდი და გაპირებული ზამთარი მოადგა. ვათავდა ის თითო ფეხი სიმინდით, რომელიც სოფლის წერბელა კლემენტემ გოგონას დედას ერთწლიან მიზვერში, ზოლო ტებუნას დედას კაპიტის სახლის ფიცრებში გაუცვალა. ბებია, რომლის დამკვირვებელიც წოვდა თათია, რძე მოსვლოდა, და ამან მთლად ააფორიქა ოჯახი. შიმშილს ისიც წყამატა, რომ ჭალამებში, რომლებიც გოგონამ თავისთვის, ზანასთვის, ტებუნასთვის და გოგონასათვის გამოკრა კეთილი სერაფიმის მიერ ნაშტარი ტყავიდან, მალე გაეცდა. დღე და დამე ბლოდა მშვიდი საქონელი და ახალშობილი ზამთარს უკმელობის გამო მალე გაფშავდა. არსად ჩანდა მოხუცი თომა, რომელიც

სულ მოკაცა ქვეყნის დარღმა. წერლის შორს-ველურებით გულგახეთილი ბებია შეიღწეოს სამართო ბართს აეთხებდა მწიგნობრობის რთველიც და მუდამ ერთს იტყუებდა: „მეცხესეხეს აქვდა“:

- მერე, ბიჭო?
- მეტი არაა, ბებია
- არა! კიდევ დაეწერა...
- არ დაეწერია და...
- არა, მარა... შეეძლოდ ხომ არა ვარო, ამა კარვად ამოვიტყუე.
- არა, მეტი არაფერი არაა, — თავიდან ვიმეორებ წერის.
- ესაა, რაყაა!

მწერლის მიერ ასე შესანიშნავად გაკეთებული დილოგის დასასრულს, ბებია შეიღწეოს გამართმევედა წერის, თვითონ დააკვირდებოდა, გაეცვალა ოთხად. ცხვირსახოცში შეხვედა და ჯიბეში ჩაიდებდა.

აუწყრელი გაკირებება ვადახდა იმ წელს ხალხს, მაგრამ ამან გახაფხულის მოსვლა ვერ შეაჩერა. არც თვედორეს კრულვა, არც გოგონას ხარების ბლავილი და არც ეზოკას უბერფობა არ ჩაუფლია მას არაფრად, თოვლი ააღწო. დედაები მდინარეში ჩარეკა, მიწას პარი წაუშრო და ტყემლებიდან ჰქულებურად გაუცინა ხალხს. ბუნებობა და მტერზე გამარჯვების იმედით შემოანათა სოფელში ომისდროინდელმა პირველმა გახაფხულმა. მალე ოჯახებს რამდენიმე დამკვირვებელი დაუბრუნდა: ერთი მეტყვეობდა იყო, ორ ყავარჯენზე დაურდობილმა ცალი ფეხი და მსპიტლის სენი რომ ჩამოიტანა თან, მეორე კი, გოგონას მამის ბიძაშვილი, ბიძინა. მალე მათ კონტუზებული მიტოს მამაც შეეშატათ. ბიძინა სოფელმა კოლექტორის თავმჯდომარედ აარჩია, ეზოკამ, როგორც ზემოთ ვთქვი, ბრიგადირობა იქისრა. მასთან მუშაობდნენ მოხუცი სერაფიონი, გოგონა, გონა. გოგონა და ტებუნაც, რომელმაც ნატეხი მჭადის გატაცებისთვის თოლიას თავი ისე გაუპო, რომ მწერლის, მარხლაც, შესანიშნავი დაკვირებით მომაცდავი პირტუყვის უკანასკნელ რეფლექსებზე, „თავგაპირილი ძალი ცალკადე ხედავდა თვალებს, თითქოს ნახევარი ნახევარი თავი ცალკადე კვდებოდა და ორივეს მიიწეო მჭადის ნატეხზე რჩებოდათ სული“.

ზეადამიანური შრომის სურვილით შეეგება სოფელი გახაფხულს. გაერთიანებულნი, ხელი-ხელ ჩაკიდებულნი შეეხენ ადამიანები დედა-მინას. შრომაში ძალღონეს არ იშვრებდა ეზოკას ბრიგადეც. ყველა მისი წევრი, ვარდა ტებუნისი, რომელიც მუშაობაზე უფრო მეტად ჰამაზე ფიქრობდა. გოგონაც იმ ბრიგადეში მუშაობდა ხარების გამჭოლად. გახაფხულის ცხელი დღე იფუცა და მუშაობა სჭირდა. ოფელში იწურებოდნენ ყველანი. გოგონას თვალში

დაუწითლდა სიციხისაგან და მწყანე ფოთლების ქედამეშვემ ბროწეულის ყვავილივით წამოიწონო. ამ დროს შენიშნა გოგირამ თუ „როგორ შევინოდა გოგონას მწყანე ფოთლების ქველა“, და ველში, როგორც ამას მწერალი გვაგონობინებს, მანამდე უცნობმა გრძნობამ გაუარა. ეს არ იყო, ცხადია, უბრალო მოწონების გრძნობა. იგი უფრო სიყვარულის დაფარული და გაუცნობიერებული გრძნობის მორცხე გამოყრთომას ჰგავდა, სიყვარულისა, რომელმაც პატრონის დატოვბხვად გაიზინა ბინა გოგირას გელში და შეუმჩნეველად ღვივებოდა და მწიფებოდა იქ.

კლემენტრეობაში შრომას ვარგებულად არც კლემენტი და მისი ნაშვილები — ბუფე ვერბოლენი, როდესაც კლემენტი ჩემ სავაჭრო საქმეებზე ბაზარში მიდიოდა, მაშინ ბუფე სცვლიდა მას. ხანდახან კლემენტეც მოკიდებდა ხელს თოხს, მაგრამ მუშაობის ნაკლებად, დროის უმეტესს ნაწილს ომისა და ქვეყნის შესახებ შეთხზულ კორებს ანდომებდა. სძულდათ მუშობლებს კლემენტი, მაგრამ ხანდისხან მაინც უსმენდნენ მას, თუმც მისმენილი შიშის ხარის სცემდა ზოგაერთს. შიში იპყრობდა ამ დროს გოგირასაც, რომელსაც კოროს მოსმენის უმაღლე ერთი აზრი გაუტყდა და თაქი: „გაქცევა რომ მომიწიოს, ხარები სად დავმალო“. ეზიზღებოდა გოგირას კლემენტი და, როგორც თვით ამბობდა, მისი დანახვისას „ტანზე ბუნუსებს აყრიდა“.

უბოცა იყო კლემენტის რისხვა. „რა იცი ომის, შე მათოვარო, — გულისგამჭირავად დაუცვიობდა კლემენტის ეზოცა, ეს, ქვეყნის, მეზობლების, მისი ამირანის ბედით გაშწარბული ბრიგადირი და ერთს კიდევ გულდაგულ შეუკრთხებდა მას.

კლემენტი საპასუხოდ მხრებს აიწურავდა, თოხის ტარს გულზე მიიბჯენდა და ბუფების შლით ვტყუდა: ეზოცა, პატრონო, ომის შე რა ეცი, მარა ნათქვამის ნათქვამს ვამეორებ, გულში არ შეტევა და...

— პატ, შენი ღღინი და მასაფი, შე დაკარგელო, შენა... შეუფერიებდა ეზოცა“.

კლემენტი ამის მერე თოხს მოიშარჯევებდა და გულდაგულ დასებდა. თაქში რომ ერთჯერ ეზოცა, მეღდარი და ცოცხალი ეგინებინა, ხმას არ ამოიღებდა და ამით გადაურჩებოდა ბრიგადირის რისხვას.

ამ მოკლე, მაგრამ მერად კოლორიტული და ბუნებრივი დიალოგით დაგვიხატა მწერალმა სხვადასხვა საზოგადოებრივი ფსიქოლოგიისა და მორალის ორი ტიპიური წარმომადგენლის ორგვარი ხასიათი და შესაფერისადაც ვანგეაწყობით მიმართ.

ავტორი დიდი გულწრფელობით მოგვითხრობს, თუ როგორ ასწორებდა ქვეყანა დღე და ღამეს ჯაფაში, როგორ დაივიწყა ხალხმა

არა თუ დასვენება, ძალიც კი, რათა შეეცვლებული შრომით მტერზე გამარჯვება დაეჭირებინა, თუმც საბოლოო მიზნამდე უკერ კიდევ დიდი და სისხლით მორწყული გზა იყო გასავლელი. ერთ დროს ფრონტზე მდგომარეობა ისე ვართულდა, რომ, როგორც მწერალი ამბობს, „ხელიდან ხელში გადადიოდა ქალაქები, უქარდა მტერს წინსვლა, სისხლისაგან წღებოდა, მაგრამ კავასიონს მაინც უხალოვდებოდა. და ზვენ შიშით დაეწვეთ ცეკრა მწერებრლებზე გაწოლილ ღრუბლებსო“.

ეს შიში შეპარულიყო ამ დედის გულშიც, რომელსაც ძველი, დანგრეული ეკლესიის შენობაში წააწყდა გოგირა ლოცვაზე და რომლის შესახებ ასე მტყუვლად, ხატოვანად, ემოციურად და დიდი ზნეობრივი დატვირთვით მოგვითხრობს მწერალი რომანის ერთ-ერთ თავში.

მწერლის გადმოცემით, გოგირა ეკლესიის ეზოში დავაშლა გზაზე მომავალ პლატონ მასწავლებელს, დავაშლა, რადგან ყნის სამეშაოებმა ძალზე ბევრი გაცვეთილი გააცდენია მას და ამის გამო აღმზრდელთან პირისპირ შეხვედრას ვეღარ ბედავდა. ეზოში შესვლისთანავე შენიშნა გოგირამ, რომ საყდრის ცალი კარი ქარს მოგვიჯერა და ზედ ამოკვეთილ ჯვარიანად სამსაფეხურიან ხაზიან კიბეზე ეგდო. მთვრებს, ცალ ანჯამაზე შერჩენილს, ერთხელ კიდევ გაეძლო ბედის თუ ღვთის რისხვისათვის. „შესასვლელთან, — განავრძობს რომანის გმირი, — წელამდე ავარდნილ ჩამხმარ აწწლში. ელიცას მორიდებით“ გაველო და ვიწრო ბილიკი დაეტოვებინა. ეს ბავშვის განარბნის არ ჰგავდა. არც მამაკაცის მხიმე ფეხის ნაკვადობა... როცა ხავსიან კიბეზე ჩამოვდგი ფეხი, იქვე ძველი, ქუსლებმათელილი ჯდანები შეენიშნე. ჯდანები დიდი ხნის მიტოვებულს არ ჰგავდა. ისევე შეეკვებუ კარებში და ჩამოქცეულ სახურავს იქით უტრადლებით დაეცქერდი. ღვთისმშობლს შიშველ ფეხებთან სანთელი იწვოდა და ტრაპეზის შემოღობვაზე მიწასთან ვართხმულიყო ფეხშიშველი, შეეებინა დედაცო, იგი არც ხმას იღებდა და არც იძვროდა.

დედაბერი დიდხანს დარჩა ქვაზე შუბლდაბჯენილი. სანთელი ჩაიწვა, აბოლდა. თითქოს მლოცველმაც იგრძნო სანთლის ჩაქრობა, წამოიწია, ორივე ხელი გულთან მიიტარა. და მე პუტბუტი მომესმა: „— შენთვის ჩამიბარებია, ღვთის მშობელო, შენ დაიფარე ზემი ბიჭები, შენ დედა ხარ და ღვთისა გესმის, დედაო მარიამ...“

იგი თითქოს პასუხს ელისო, თვალები მოაცოცა ხატს და ვამეშადა“.

წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე ეს სურათი, მაგრამ აღწერაში თითქოს დაუკმაყოფილებელი მწერალი, კიდევ უფრო აძლიერებს მას საყდრის სახურავზე

მოტრეანალი ყორნების ყრანტალით, შიშის ერუ-
ანტელს რომ ჰგვრიდა დროდარო ლოცვისაგან
გამოტრეანულ დედას და ახლა მეთხველს
უმძიმებს გულს ომისდროინდელი წარსულის
მოგონებით.

ყრანტალბედა ყორანი და მწერლის მდიდარი
ფანტაზიით, მას თითქოს „მყრალი სუნეც მო-
ყვა“, აღბათ, იმპორტ, რომ, როგორც ამას
ო. ოსელიანის შედარებაც გვაგვრანობინებს, იგი
ბრძოლებში დაცემულთა სისხლითა და ლეშით
უნდა ყოფილიყო დანაყრებელი, საქართველოს
საზღვარზე იყო მაშინ ფრონტი და ამის ნათელ-
საყოფად ამოხსნა მწერალი ხატოვანად: „კა-
კასიონის მწვერვალებსსაკენ, ცის სიღურჯეში
მოვარი თვალ შვე წერტილებს, თეთრ, თე-
ლიან მწვერვალებიდან გადმოდიდნენ, თუ
ქვეთ ეშურებოდნენო“. მწვერვალებს გადაღმი-
დან იყო გადმოფრენილი, აღბათ, ის ყორანიც,
რომელიც გოგიტამ საყრდის ვზოს უზარმაზარი
მუხის კენწეროზე შეინშა. ვინ იცის, მგვბ
საერთობელებთან ხელუბაყრობილი მლოცველი
დედის ვაგყათა სისხლით გამძლარი აქანავებ-
და იგი მუხის ტოტს და დროდარო დუნედაც
ყრანტალბედა?

მაგრამ დედის ლოცვამ ვერ უშველა ომში
წასულ ვაგყებს და მალე ავადდნენ გამწ-
რებული მშობლები. ელვის სისწრაფით მოედო
სოფელს ხმა—ეკას შვილი მოუტუესო, და
აწივდნენ მგზობლები. ყველა, როგორც საყ-
თარ შვილსა და მძას სტიროდა დაღუბულ კო-
წიას, მოთქმით იზიარებდნენ ისინი ეკას უბე-
დურებას და ამ მოთქმეში იგონებდნენ ველ-
საკვავად თვინ შვილებს, მშებოს, ქმრების
სახელებს. ვასპირიასა და გლოვის დროს ზვენს
ქვეყანაში აღამიანი არასოდეს არ დარჩენილა
მარტოდ, და ასე მოხდა ახლაც. დიდი სიმართ-
ლით, რომელშიაც ჩვენ თითქოს ავტორის გე-
ლისეცმაც მოგვემის, აგვიწერს ოტია იოსელია-
ნი, თუ როგორი გულწრფელობით ვაიზიარეს
მეზობლებმა ეკას ეს შვილი დღე, რა აღამიანობა
და თანაგრანობა გამოამკვლავნენ მათ ზღვადმწ-
ვარი დედისადმი. „კოწიას ეზო, — მოგით-
ხრობს მწერალი, — მოტირალეებით ავსო.
მთელმა სოფელმა მოიყარა თავი. დიდიან-
პატრიანად მოაწყდა უბედურ დედას უბედუ-
რი ასი დედა და მამა, ცოლი და შვილი, ბებია
და მამიდა, სისხლითა და სულით ნათესავი.
გულდათუთქული და თვალატრებელი, დაკა-
რული სპითა და გაწეწილი კლარით... ერთად
რბმულა ამღუნმა ცოლი და შვილი, ამღუნმა
მოხუცმა და ახალგაზრდამ. გულში შვილის
ტანსაცმელ ჩაყრულ ეკას მიაწყდა, ყველა კო-
წიას დასტიროდა და თავისი შვილის, თუ ძმის,
მამისა თუ ქმრის სახელს იძახდა, ყველა წა-
სულს და არდაბრუნებულს, ყველა უბოვი-
ლოდ დაყარულს და შინ მოესხველს ახე-

ნებდა“. სოფლის საერთო გულმის მიხედვლევ
იყო გოგიტაც, რომელმაც ყველაზე მეტად
მაშინ შეიცნო მომზდარი უბედურება, როცა
თეთის ძირას, ზურგმეცქერულ მობრუნებულ
მენტო დაინახა. „კლემენტო ტიროდა... კლემენ-
ტი ნამდვილად ტიროდა... ახლა უცებ მივხვედი
მთელ ამ უბედურებას და ერთბაშად ავღრიალ-
დი, — მამა, მამამკოოო“, — ამბობს გოგიტა და
ამ სიტყვებით მწერალი გვაცნობს ერთს, მეტად
საინტერესო ფსიქოლოგიურ დეტალს, რომე-
ლიც გოგიტას მოგონებასთან უნდა იყოს დაკავ-
შირებული. ბუნებრივია, რომ სოფლის ამ გლო-
ვის დღეს, კლემენტის დანახვაზე უნდა მო-
გონებოდა მას ამ გულმეო კაცის სიტყვები,
რომელიც ხარის ვარშემო ატეხილი დავის დროს
უთხრა გოგიტას—„არ ჩამოვა მამაშენი, შე მამა-
პალო“, და ამ მოგონების გამო აღრიალებუ-
ლიყო იმის შიშით, ვაი, თუ მამაჩემიც კოწი-
სავით დასტირებელი ვახდესო.

არა მარტო ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაა
საინტერესო ეს ადგილი ჩვენთვის. იგი საინ-
ტერესო და ყურადღების ღირსია წმინდა მხა-
ტრული თვალსაზრისითაც, რადგან აქ მწერალი
ბოლომდე ერთგული რჩება ტიპების რეალის-
ტური ხატვისა; იგი არ ჰყოფს მათ აბსოლუტუ-
რად კეთილ და აბსოლუტურად ბოროტ აღა-
მიანთა ჯგუფებად და ამით გვაგვრანობინებს,
რომ ზნედაცემულ არსებებსა შეიძლება ზოგ-
ჯერ გულში ჩარჩეს კაცთმოყვარეობის რაღაც
ნატეხიო.

ბევრი იტირა სოფელმა მთელ დღეს კოწიას
უბედურებაზე, მაგრამ ხალხის ნებისყოფამ და
ობტინიზმმა მაინც სძლიეს ცრემლსა და მოთქ-
მას. როგორც მწერალი გვიამბობს ქვემარტივი
ხატოვანებით, „იმ ღამეს ყველამ იმედის ნაპერ-
ქილი მოქექა და შეუბერა... დილით სოფელმა
დაიბრძოლა საბნებიდან ისევ ვალო თვალი.
ფანჯარაში შემოსული დღის სინათლე დაინა-
ხა... გამშრალ თვალებზე ერთი მუცვი წყალი
შეისხა და კერაში ეცეხლი შეაყოზინა. ისევ
გამოხნდა ეზოცა და ქალი და კაცი ჩიის პლან-
ტაციაში გაიწეა“.

ისევ გაჩაღდა მწუნარებისა და დარდის გამ-
ქიწყებულები შრომა. ისევ დატირალდა სო-
ფელში ხალისი, ისევ გაიხმა აღამიანთა ვად-
ძახილები, ბავშვთა გრიამული. გოგონამ ჯარის-
კაცებისათვის საჩუქრების შეგროვებაზე დაიყო-
ლია გოგიტა, გონა, ტუხეია, — ავტორი-
ბინა და ბრძოლადიერების შეგროვლის ცოტა რამ
მეტრს ნალაქლიც დაეუბრატოთ. ძენწი კლე-
მენტის ხელდაწინც გამოიტანეს მათ ხნელი ხი-
ლი და საერთო საჩუქარს მიუბატეს. და ასე,
„ერთი კვირის წინ დამარტყებული სოფელს
ისევ აღსდგა ფერფლიდან, ისევ ვარცა მტერი
და უიმედობა“. აღსდგა ფერფლიდან ისე, რო-
გორც ეს ზღვებოდა ზენა ხალხის მამივე ისტო-

რომში მუდამ, მტრებთან სისხლისმღვრელი ბრძოლების გათავების შემდეგ. აქ, ამ ოპტიმისში იზინა თავი ჩვენი ხალხის ერთგულმა ხასიათმა, მისი ნებისყოფის სიმტკიცემ და გასაუბრის წინაშე იმ ქედბრუნებობამ, რომლის შესახებ ასე დავიწყარად წერდა თავის დროზე ილია: „არ არ გადაგვდენია თავს, რა მტრები არ მოგვევლიან, რა ვაი-ვაგაღანი, რა სისხლის ღვრა, რა ღრუნიანი კბილთა არ გამოგვივლია, რა წისკვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზე და ყველას გაუფლავიო, ყველას დამოუფრდილო, შეინახეთ ჩვენი თავი, შეინახო ჩვენთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი“. ეს უღრვეი სული ტრიალებდა ახლაც სოფელში და მან აღადგინა იგი ფერფლიდან.

ხალხის სული ყოვლისმძლეა და ამიტომ იყო, რომ, „ფერფლებულწილში მტრებმა, — როგორც მწერალი ამბობს, — იყადრა უკან დახვეა. და კლუმენტი პირზე ბოქლომი დაიდო, კოდეტიში მემოაბის უმტაბ“. ისევ გრძელდებოდა სისხლის-მღვრელი ბრძოლები და მწერლის შესანიშნავი მეტაფორული გამოთქმით „რომელიმე ოჯახში ურემარასავით ჩამოვარდებოდა შილიყის და სიძინიყის დაღუპვის ამბავი და ზელახლა დაიხოცებოდა ყველა უბარისკაცი, გიწყებოდა ასი დედა, ლოყის ჩამოიხოცდა ასი ცოლი და ახლუქენდებოდა ათასი დაომდებელი“. ასე ვადგობთან სოფელში მესამე ზაფხულიც, და შემოდგომამზე ზახა სკოლაში იმ რვეულით წავიდა, რომელიც მას გოგირტამ ძველი რვეულებიდან ამოხეული უწყრი ფერცლებისაგან შეუკერა. წელსაც შარშანდღვივით მძიმე იყო ცხოვრება, მაგრამ ხალხი იმედს მაინც არ პარაკავდა.

ამ მესამე შემოდგომის საოამო გამს შეხვდა გოგირტა გოგონას და იმდღეინდელ გაუთავებელ მიცილება-მოცილებიასს გაისყენა მათ შორის თითქოს და საბოლოოდ ის გრძნობა, რომელმაც დამით ძილი წართვა გოგირტას. თქმა არ უნდა, სიყვარულის გრძნობა იყო იგი, სიყვარულისა, რომლისადმი უნებელი და მოულოდელი ლალბა ასე სანახებელი დადარჩა შემდეგში გოგირტას. ეს „ლალბა“ კი ფატისთან ჩაიდინა მან, ყოველგვარი წინასწარი განზრახვის გარეშე, როგორც ეს ღალი ბუნების შეილებს მოსდით ჩვეულებრივ.

აღებულ ყანაში ჩალს დაზინიყისა, შებინდებამე მოხდა ეს „ლალბა“, როდესაც ნიავმა შემოტეხა. უკარეს ალი წააწყურა. თან კოკისპირულადაც დაუშვა. გოგირტა ინსტრუქტორად შეძრა გადასაწყვიტებლად ზეინში და მას ფატისთან შეყვდა. სიყვარულის გამო ქალი თითქმის ტანზე მიკეროდა ვაჟს, რომელსაც მისი ამონასუნთქი სახეში ცეხდა. გოგირტამ ზეინში სხეულის უწყურით სითბო იგრძნო და შევიწინადა მისი. შევიწინებულმა ყმაწვილმა გაკრთ გაგარდ-

ნაც განიზრახა, მაგრამ რატომღაც ვერ შეძლო. იგი ისევ ზეინში იღვდა და ისევ გრძნობდა მის სხეულზე მიკრული ქალის სხეულის სიფრთხის. შემდეგ კი ქალ-ვაჟი თავდადებულად მოუხვედნენ გადამყენება და ერთხანად დასკრეს იმის შეგრძნების უნარს „გაერთა ქარია თუ წვიმა, მესიციმს, თუ გრგვილია დოთარკობის. არსებობს თუ არა „გარეთ“, არის თუ არა ზეინის გარდა ქვეყანა; ზეინის კი არა, ამ ათი კონა ჩალის გარდა, რომელიც მათ ირგვლივ იყო შემოწყობილი“.

რალც გუშანით იგრძნო გოგონამ იმ წვიმიან ღამეს ზეინში მომხდარი ამბავი და მეგობრობაში უერთბუღესი, მაგრამ ბუნებით თავმოყვარე და ოდნავ ამაყიც, იგი გოგირტას გაუდგა. დაჩადა შეიხრო ვაჟის გული, და იგი თითქვალ ათენებდა ღამეებს იმის ფიქრით, თუ როგორ გამოყსიდა თავისი დანაშაული, როდესაც მოულოდნელად ისევ ახალი გამააცდელის წინაშე აღმოჩნდა.

ეს მოხდა იმ საღამოს, როდესაც ეზიკა სხვებთან ერთად ტუშში შემადღული ქურდბაცაცების საძებნელად წავიდა და მარტოდ დარჩენილ ფატის „დარაჯად“ გოგირტა გაუგზავნა. სოფლის პირბებისა და წისისათვის ცოტა არა ბუნებრივად გვეჩვენება ჩვენ ეზიკას ეს საქციელი, მაგრამ ასე იყო თუ ისე, სწორად იმ ღამეს მოხდა ის, რასაც საბოლოოდ ტრაგიკულად შეეწირა ფატის სიცოცხლე და რამაც გოგონასა და გოგირტას სიყვარულის ძაფიც გასწყვიტა.

თითქოს გოგირტას სურვილის წინააღმდეგ მოხდა ყველაფერი იმ სახედისწერო ღამეს. მწერალი დიდი დამაჯერებლობით აგვიწერს თუ, ახალგაზრდა გოგირტა როგორ ებრძოდა. ტ. ლოსტოვის მამა სერგივით იმ ცოტნებას, რომელსაც ბოლოს და ბოლოს მაინც ვერ გადაურჩა იგი, თუმცა ამის თაოსნობა არა ვაჟს, არამედ ცხოვრებამში უფრო გამოცდილ ფატის ეკუთვნოდა. ავი ფატიმ პირველმა დაუძახა ყმაწვილს: „გოგირტა, მეწინაე და ჩემთან გადმოწყვიტო“, ხოლო როდესაც გოგირტამ ამისაგან თარი შეკავა, ქალმა თითქმის მიაშურა მის საწილს ჩერჩულით, ტირილით, სლოკინით და სთხოვა — „მოიწი გოგირტა, მეწინაე“.

მწერალი კარგად ახერხებს მკითხველის იმამში დაწმუტებას, რომ არა მარტო ქალბრძანებამე მიიყვანა იმ დამით ფატი გოგირტასთან. ენაბააშლილობამე ტურთ მერტად, მარტობის უმძიმესმა განცდამ ჩაადენია ეს საქციელი ფატის, და ამიტომაც ეტბნება იგი გოგირტას: „მეწინაე, გოგირტა, სამი წელიწადია მეწინაე, ამ ფიცრულ ოთახში ვწეუარ მარტო და მეწინაე; მთელი ღამეები არ მძინავს, მეწინაე, ვერავის ვერ ვეშხელ, ვერავის ვერ ვეუბნება, ეზიკა დედაჩემს ეზოში არ უშვებს, არავან არ იყის,

მარტო შენ ერთმა, შენ იცი, რომ მშობარა ვარ.
 ძვირად დავუჯდა ის ღამე გოგონას. მარტო-
 ბა, რომლისაც ასე ეწინააღმდეგებოდა, ახლა გო-
 გონას მძიმე ხვედრი ვახდა, რადგან მან წუთი-
 ერთ წუთსაც შესწირა ადამიანისათვის ყველაზე
 ძვირფასი გრძნობა, გრძნობა წმინდა სიყვარუ-
 ლისა. „იმ დღიდან, — ამბობს გოგონა, — სრულ-
 ლად მარტო დავარჩი, იმ დღიდან გვერდობილი
 ვიყავი, იმ დღიდან არასოდეს დამიბახია
 გონას ჰიშვართან, არასოდეს გამივლია იმ გზა-
 ზე, სადაც გოგონას უნდა გაველო“.

შეგე ვისი ბრალი იყო ეს? „ჩემი ბრალი
 არაა“, — უპასუხებს გოგონა ტუბუიას ამ კითხ-
 ვაზე და ამ პასუხს ასე ასაბუთებს: არ ვიცი,
 შე არ ვიცი, ვისი ბრალია, იქნებ გოგონას,
 იქნებ გონას, იქნებ ეზიკას ან ფატიმას, ვისი ბრა-
 ლია, არ ვიცი. შენ... შენ რომ თოლიას თავი
 გაუჩუხე, შენი ბრალი იყო?

— რა ვიცი, — უპასუხებს ტუბუია და იმა-
 საც გული უჩვილდება.

— პო, არ იცი, შენი ბრალი არ იყო, იქნებ,
 თოლიას ბრალი იყო, იქნებ, ჩემი ბრალი იყო,
 რომ ურემი ასე ახლოს მივაყენე ძუღლის ძი-
 რას, იქნებ, — სხვისი ბრალი იყო, შენი ბრა-
 ლი კი არ იყო! — ეუბნება გოგონა.

— არ იყო! — ამბობს ტუბუია.

— ჰოდა, არც ჩემი ბრალია, ხომ არ იცო-
 ვისი ბრალია?

— არ ვიცი...

— ჰოდა, არც შე ვიცი...“

მწერალმა კი კარგად იცის, ვისი ბრალიც
 იყო ეს. მან იცის, რომ მიწვევას ინსტრუმენტი
 გააჩნია თოლიას თავი ტუბუიას. მან ასევე
 იცის, რომ ინსტრუმენტის წუთოვრმა გამარჯვე-
 ბამ ჩააღწია გოგონას ის საცივილი, რომელიც
 ასე ეწინააღმდეგებდა ჩვენს წარმოდგენას მის
 ხასიათზე, თუმცა ამით არავითარ შემთხვევაში
 არ იზრდებოდა ამ ხასიათის მთავარი, მთელი
 ჩვენი ახალგაზრდობისათვის მისაბამი ისეთი
 თესვებები, როგორცაა მისი ჰუმანიზმი, პატ-
 რიოტიზმი, მიზნის სიკმაღლე და ნებისყოფის
 სიმტკიცე.

ოღონდ აქვარებული ჩანს მწერალი რო-
 მანის დასასრულში, მაგრამ მიუხადავად ამისა,
 იგი ჩვენ მაინც ნათლად გვაგრძობი-
 ნებს, რომ მის გმირთა ცხოვრებაში დატ-
 რილბუღი ტრაგედიის ერთ-ერთი მთავარი
 მიზეზი ომისდროინდელი ცხოვრების უკონო-
 ხეობის პირობები იყო, და ბრალდების მთავარი
 სიმძიმე მას, ამ პირობებს, უნდა დაეწვეს.

მწერალმა შეძლო, მართლაც, წარმოსთქვა
 ეჩვენებინა, ადამიანთა სიყვარულის, თავდადებ-
 ბის, მორალური ერთიანობის, მათი სულის
 შეუპოვრობისა და სიმტკიცის ძალა ქვეყნის,
 ერის, საზოგადოების ცხოვრებაში. ამისა, თუ
 გნებავთ, „გარსკვალავთყვევის“ მთავარი პათო-

სი, მისი ზნეობრივი ძალა და მნიშვნელობა.
 ხალხის სულის ამ დღიდან გამაქვრება და
 შეუპოვრობამ მოიყვანა ცხრამეტი წლის
 მილიონების თავდადებით ექვსი მილიონი
 გამარჯვება, რომელშიაც, როგორც ამას შესა-
 ნიშნავად გვიჩვენებს მწერალი, თავისი წმინდა
 და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ჩვენმა
 ხალხმა არა მარტო თავისი გმირული შრომით,
 არამედ იმ უთვალავი ვაჟაკების სისხლითაც,
 რომლებსაც ზედმა ბრძოლის კელიდან შინ დაბ-
 რუნება აღარ აჩვენა.

ყველაზე ნაზი და მგრძობიარე მსხვერპლი
 შესწირა ომის ღვთაებას მამან იმ მოზარდმა
 თობამ, რომლის სახელითაც გოგონა ასე ნალ-
 ელიანად ამბობს რომანის ეპილოგში: „ვათუ-
 და ომი, რომელიც ოთხი წლის წინათ თამაშის
 დაიწყო, დაიწყო თამაშით და წარმეტყველმა
 დაამთავრე. ენაზე შეეღაფრე: ვნახე ზღვა
 ცრემლი და მწუხარება, მოვასწარი დიდი სიყ-
 ვარული და დაღი, გავედი მამა“.

თქმა არ უნდა, სევდა იგრძნობა ამ სიტყვებ-
 ში, სევდა იმ გრძნობით გამოწვეული, რომლის
 შესახებ, სტენდალი ასე მალაპოეტროდა და
 მგრძობიარეთ შეინახავდა თავის ავტობიოგრა-
 ფულ ჩანაწერში: „ერთს საღამოს რომში სან
 პეტრო მონტორიოს ეკლესიის კარიბჭესთან
 ვიჯექი და საუცხოო მზის ჩასვლას ვუცქერო-
 დი; უცებ გამახსენდა, რომ სამი დღის შემდეგ,
 ორმოცდაათი წლის გავხდებოდი; გული მწუ-
 ხარებისაგან შეწყვეტა, თითქოს თავს მოუ-
 ლოდნად მწუხარება დამტეხოდეს, და ძველი
 ბერძენი პოეტით გავიფიქრე, რა უჩვენნი
 არიან ადამიანები, რომელნიც სიკვდილის გამო
 სტირიან, მაგრამ არ სტირიან ახალგაზრდობის
 დაყარვის გამო“.

გოგონა ბერძენ პოეტთან ერთად დგას ამ
 განცდაში. იგიც მწარად იგონებს ასე დაყარ-
 გულ ბავშვობას, მაგრამ ამის გამო გულის გა-
 ტება შეუძლებელი იქნებოდა ისეთი მტკიცე
 ხასიათის ყმაფილისათვის, როგორც გოგონა,
 და აქი ამიტომაც ამბობს იგი, რომ „ჯერ
 ჩემდებოდა წელი არ შემსრულებია! მომავალი
 წინ არის, დღი იმდით და ნათელია გაბრწყ-
 ნებელი მომავალი“. ეს ის მომავალია, ვი-
 რთული ჩვენ, რომელიც სწორედ გოგონამ და
 მისმა თობამ უნდა შეუქმნას ჩვენს ქვეყანას.

მეშობრებად მხატვრული ნაწარმოების გმირი
 ჩვენ მუდამ გვიტარებს და გვიბოლავს არა
 მარტო მისი გუშინდელი და დღევანდელი,
 არამედ ხვალდელი საქმეებითაც. ჩვენ გვწამს
 გოგონასი და მის თანატოლთა ხალინდელი
 საქმის, გვწამს, რომ, თობა, რომელიც ომის
 მძიმე დღეებში ასეთი თავდადებული იყო ყო-
 ველდელი შრომის, მტერსაც ვაჟაკურად
 დაუხვედნა მუდამ, თუ ამას საშუალობა და
 ხალხის ინტერესები მოითხოვს მისგან.

ამინი რეჟიზაჲ

ესთეტიკურის შესახებ

ესთეტიკურის არსი ესთეტიკის ურთულეს პრობლემას წარმოადგენს. ამით იზსნება, რომ ის, რაც დღემდე მიღწეულია ყველა დროის ესთეტიკური აზროვნების ამ უმთავრესი საგნის შესწავლის სფეროში, ისაზღვრება მხოლოდ ზოგადი დებულებების, სახელობრ, ესთეტიკურის ანალიზის ზოგადი პრინციპული საფუძვლების ჩამოყალიბებით. თავისთავად ცხადია, აქ მარქსისტული ესთეტიკის თვალსაზრისით იგულისხმება. ჩვენს დროში სიძნელეს ამ თვალსაზრისის, ამ საფუძვლების კონკრეტარება, ესთეტიკურის მათ საფუძველზე, მათ ასპექტში გაშუქება წარმოადგენს, მაშინ, როდესაც წარსულში, უპირველეს ყოვლისა, თვით ეს პრინციპული საფუძვლები იყო საიმიტო.

არ მინება გადაჭარბება თუ ვიტყვით, რომ თანამედროვე მარქსისტულ სპეციალურ ლიტერატურაში ჯერ კიდევ ვერ გზდებით ამ სიძნელის გადალახვის მნიშვნელოვან ეტაპებს. პირიქით, უმეტეს შემთხვევაში აქ ძალზე შეზღუდულ და ცალმხრივ თვალსაზრისთან გვაქვს საქმე, მშვენიერების ჩერნიშენსკისეული განსაზღვრის პირდაპირი ვამეორების, ან ძალზე გამარტივებული ინტერპრეტაციის სახით. ამის ნათელი ილუსტრაციაა ის ფაქტი, რომ ესთეტიკური, ამჟამად ყველაზე ილიარებული და გავრცელებული განსაზღვრით, არის ადამიანის წარმოდგენა სრულყოფილ (ან სასურველ) ცხოვრებაზე; ანდა, მშვენიერია ის, რაც ქემპარიტია, სრულყოფილია, მიზანშეწონილია, კარგია. ისეთი შემოკლებული ხასიათის ნაშრომიც ვი, როგორცაა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის მიერ მომზადებული „მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის საფუძვლები“, ესთეტიკურის, საერთოდ მშვენიერების აქ მითითებულ ცალმხრივ გაგებას გვთავაზობს. აქ მოცემული დასკვნით, ესთეტიკურის, საერთოდ მშვენიერებას საზოგადოებრივ ცხოვრებაში წარმოადგენს ყველაფერი, რაც ახლა იზადება, პროგრესულია, ხელს უწყობს საზოგადოებას წინსვლას, მიზნად ისახავს ადამიანის განთავისუფლებას ექსპლოატაციისა და პოლიტიკური უთანასწორობისაგან და ა. შ. მაშასადამე, ესთეტიკურია ყველაფერი, რაც თავისი

არსის გამო მოგვეწონს და ხელს უწყობს ადამიანის ცხოვრების გაუმჯობესებას, რაც დღეობითია, მოწინაეა და ქემპარიტებს ემსახურება. თავისთავად ცხადია, ამავე თვალსაზრისით არის განხილული ამ ნაშრომში ესთეტიკური, საერთოდ მშვენიერება ბუნებასა და ხელოვნებაშიც. განსაკუთრებით დამახასიათებელია ამ მხრივ ხელოვნების ესთეტიკური არსის განსაზღვრა: „Прекрасное в искусстве есть творческое воссоздание и отражение прекрасного в природе и общественной жизни. Красота в искусстве — это не только красота его формы, но и, в первую очередь, красота его идейного, жизненного содержания. Таким образом, в основе красоты произведения искусства лежит реальная, объективная красота самой действительности, которая может быть в нем отражена“ (ხაზგასმა ზემოა მ. დ.), როგორც უხედავთ, აქ ხელოვნებისათვის დამახასიათებელი მშვენიერება (მშვენიერება ხელოვნებაში), აღიარებულია ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მშვენიერების შემოქმედებით წარმოქმნად და ასახვად. მაშასადამე, აქ არსებითად მოხსნილია მშვენიერების ამ სახეობის (იგივე ხელოვნების ესთეტიკური არსის) სპეციფიკური ბუნება. ამავე დროს, როგორც ეს ზემოთაყ აღენიშნეთ, ამ ნაშრომში, ლოგიკურად საესებით უგულებელყოფილია თვით ბუნებისა და საზოგადოებრივი ცხოვრების მშვენიერების თავისებურება, და, რაც მთავარია, არა მარტო ხელოვნებასთან შედარებით, არამედ საერთოდაც, ყველაფერი ეს კი იმას ნიშნავს, რომ ესთეტიკურის ცალმხრივი, მცდარი გაგება თანმიმდევრული სახით არის განვითარებული „მარქსისტულ-ლენინური ესთეტიკის საფუძვლებში“. კიდევ უფრო მეტი იოქმის სამხატვრო აკადემიის სახელით ხელოვნების თეორიისა და ისტორიის სამეცნიერო-კლასიკური ინსტიტუტის მიერ მომზადებული კოლექტიური ნაშრომის „მარქსისტულ-ლენინურ-

რი ესთეტიკის ნარკვევების¹ შესახებ. აქ ნ. ზერ-ნიშვილის თვალსაზრისის აბსოლუტურ აღიარებასთან ერთად, უფრო ხშირად ძალზე პრიმიტიული მსჯელობაც არის მოყვანილი.

ცხადია, ყველა მარქსისტი ესთეტიკოსი გველევარი არ დგას აღნიშნულ ცალმხრივ თვალსაზრისზე. მაგრამ ესთეტიკურის არსის საიდუმლოების ახსნა, ჯერ კიდევ არც იმ გველვებრებს აქვთ მოყვანილი, რომელთა ძიებას შედარებით უფრო სწორი პოზიცია, მიმართულება და მიზანი განაპირობებს.

რადიკალურად განსხვავებული მდგომარეობაა თანამედროვე იდეალისტურ ესთეტიკურ აზროვნებაში. ეს უკანასკნელი საეუბრით აცდენილია კემპარიტ მეცნიერულ გზას, უკიდურესი სუბიექტივისტური თეორიების ასპარეზს წარმოადგენს. ამ თეორიების მიხედვით, ესთეტიკური ბუნებაში და ხელოვნებაში გვევლინება, როგორც წმინდა სუბიექტური ემოცია, თვითშეგრძნობა, თვითბოღვა, ინტუიცია. იგი შთელი თავისი არსებით სუბიექტური, ინდივიდუალური მოვლენაა. ამიტომ არ არსებობს ესთეტიკურის ზოგადი კანონზომიერება, ობიექტური კანონები. არ არსებობს არც არავითარი საერთო ზღვარი მშვენიერსა და მამიჯს შორის, რადგან რაც ერთისათვის მამიჯია, მეორესათვის მშვენიერს წარმოადგენს, და პირიქით. ამიტომ, ის შესანიშნავი ტენდენციები, რომლებიც მოცემული იდეალისტური ესთეტიკის წარსულში, პირველ რიგში ჰეგელის ესთეტიკურ ნააზრევში, მეორე საფეხის სუბიექტივისტურმა იდეალისტურმა ესთეტიკამ ზეღაღებით უარყო.



ეს წერილი ეხება ესთეტიკურის არსს ხელოვნებაში. ამასთან, მის ამოცანას შეადგენს ამ პრობლემის ანალიზი მხოლოდ იმდენად, რამდენადღაც ამას მოითხოვს ხელოვნების სპეციფიკური არსის ზოგადი დახასიათება.

ხელოვნების თავისებურება და ხელოვნების ესთეტიკური არსი ერთი და იგივე მოვლენებია. მაშასადამე, ესთეტიკური ხელოვნებაში გვევლინება მხატვრულის (მხატვრულობის) საბით. ამ ფაქტს თითქმის ყველა ესთეტიკური მოძღვრება აღიარებს ამა თუ იმ საბით. აზრთა სხვადასხვაობის საგანს აქ თვით ესთეტიკურის, მხატვრულის არსის ანალიზი, დადგენა წარმოადგენს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ხელოვნებისა და ობიექტური სინამდვილის ესთეტიკურ ბუნებას შორის არსებითი განსხვავება არსებობს: „შემოქმედები-

თი ესთეტიკური“ თვისობრივად განსაზღვრება „ემპირიული ესთეტიკურისაგან“². ათევე დროს, ეს უკანასკნელი „სრულიად სწრაფმადგენს აქტიურად საფუძველს, გამამართლებელ ფაქტორს მხატვრის შექმნისათვის: ესთეტიკური, რომელიც ცხოვრებისა და ბუნების მოვლენებს ახასიათებს, არც მიზეზია და არც პირდაპირი წყარო, ან ნიშნები ხელოვნების ესთეტიკური ბუნებისა. ამიტომ, რომ საკუთრივ ესთეტიკური თვალსაზრისით, ხელოვნებასათვის არსებითად ერთობლივად მნიშვნელობის საგანს შეადგენს სინამდვილის ყველა მოვლენა, განურჩევლად მათი თავისთავადი ესთეტიკური ღირსებისა; და არა მარტო ესთეტიკური ღირსებისა, არამედ საერთო საზოგადოებრივ-მორალური არსისაც. მშვენიერი და მამიჯიც, კეთილიც და ბოროტიც, სეკარულიც და სიძულვილიც, ბედნიერებაც და უბედურებაც, სათნოებაც და ვერაგობაც, ერთი სიტყვით, ცხოვრების ყველა მხარე და ბუნების ყველა ქმნილება, თვით გველიც და ვარდიც კი, მხოლოდ მაშალა, ამასთან პრინციპულად ერთობლივად მნიშვნელობის მასალა მხატვრულის, ესთეტიკურის შესაქმნელად. აქ მათ ობიექტურ ესთეტიკურ ან ანტიესთეტიკურ თვისებებს არავითარი არსებითი მნიშვნელობა არა აქვთ. მართალია, ხელოვნების ნაწარმოების როგორც საერთო ხასიათი, ისე საკუთრივ ესთეტიკურიც, გამოვლენის მხრივ ერთნაირი არ არის ყველა აღნიშნულ შემთხვევაში, მაგრამ ეს სხვადასხვაობა გაპრობებულეა ასახულიანდ ხელოვნების დამოკიდებულების (პოზიციის) ხასიათით. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ ამ სხვადასხვაობაში გარკვევით ელენდება ასახული მოვლენის საერთო არსი, რომელიც მოიცავს საკუთრივ ესთეტიკურ თვისებასაც, ეს უკანასკნელი მაინც წარმოგვიდგება, როგორც მხოლოდ ასახვის საგანი, მოვლენის საერთო არსის ერთ-ერთი მხარე და არა როგორც „შემოქმედებითი ესთეტიკურის“ (ხელოვნების ქმნილების ესთეტიკური არსის) საფუძველი, პრობა. ამიტომ ზელოვნება ესთეტიკურის მხრივაც ისეთსავე მიმართებაშია განსახოვნებელი მოვლენის ესთეტიკური თვისებასთან, როგორიათვე ხასიათდება იგი ამ მოვლენის სხვა თვისებების მიმართ. ასე, რომ არ იყოს, მაშინ მშვენიერი მოვლენებისა და საგნების განსახოვნება უფრო ადვილი იქნებოდა, ვიდრე მამიჯისა. სინამდვილეში კი, უფრო ხშირად, პირიქითაა. აღზათ, ამითაც იახსნება სრულქმნილი დადებითი სახეების შედარებითი სიმცირე ხელოვნების ისტორიაში.

¹ ამ საკითხს აქ არ შეეხებოდა, რადგან მის შესახებ სხვა წერილში გვექონდა მსჯელობა (იხ. „ხელოვნების პრობლემები“, გამოც. „ხელოვნება“, 1959 წ., გვ. 25-26).

² Очерки марксистско-ленинской эстетики, Москва, 1960, гв. 157—173.

ამ საკითხს აქვს მეორე მხარეც: განა ყველ-ფერი, რაც ხელოვნებაში აისახება, თავისთავად ესთეტიკურს მოიცავს, მშვენიერებაა? და თუ ხელოვნებისათვის ნიშნადობლივს ესთეტიკური ასახულის ესთეტიკურ ღირსებას ემყარება, მაშინ სინამაზის ან ტრაგიკულის განსახიფტების შემთხვევაში როგორ იხადება, იქმნება იგი? ეს შენაგან პრინციპულად წინააღმდეგობა, საგანგებოდ კიდის მიუხედავად, ვერ დაძლია ნ. ზერნიშვესკიმ. იგი, ცხადია, კიდევ უფრო მეტ სიძნელეს წარმოადგენს ნ. ზერნიშვესკის ცალმხრივი მიმდევრებისათვის.

ესთეტიკური ხელოვნებაში წარმოადგენს არა ასახვის საგნის ესთეტიკური თავისებულების „შე-მოქმედებით ასახვას“, წარმოქმნას, არამედ ხელოვნების სპეციფიკური კანონზომიერების გამოვლენას (ცხადია, ეპოქისთვის გამოვლენას). ეს კი იმასაც ნიშნავს, რომ ესთეტიკურის ეს სახეობა არის შემოქმედებით მოვლენა, ხელოვნების საკუთარი თვისება, ზოგადი სპეციფიკური კანონი, ხოლო ამიტომ მისი სფერო მხატვრული შემოქმედების საზღვრებს არ სცილდება. იგი სინამდვილის მხატვრული ასახვის პროცესს უკავშირდება მთელი თავისი არსებით: ამ პროცესში იხადება, იქმნება. ხელოვნება ასახვის გამოა ხელოვნება, მაშასადამე, ხელოვნების სპეციფიკა, (ესთეტიკური არსი) ასახვითი, შემეცნებითი კატეგორიაა. ეს დიდებული პრინციპი, ფუძემდებელი არისტოტელის მიერ, ხოლო შემდეგ თავისებური სახით განვითარებული პეღელის ესთეტიკაში, სრულყოფილ მეცნიერულ გამოქვეყნებასა და დასაბუთებას მარქსისტულ ესთეტიკაში პოულობს. სამწუხაროდ, იგი ჯერ კიდევ არ არის სთანადო სტრამით და სისრულით ანალიზირებული თანამედროვე მეცნიერათა მიერ, რაც ზემოთ განხილული მდდარი თვალსაზრისის გავრცელების ერთ-ერთ მიზეზად გვევლინება.

ცხადია, ყველაფერი ეს არ ნიშნავს, თითქმის, ესთეტიკური ხელოვნებაში წმინდა სუბიექტური კატეგორია იყოს. პირაქით, მისი ბუნება ობიექტურია. ეს იმით, რომ ესთეტიკური ხელოვნებაში გვევლინება, როგორც ობიექტულის სუბიექტურობის, სუბიექტური წარმოსახვის სპეციფიკური ფორმა, სპეციფიკური ასახვითი მოვლენა. ამავე დროს, მისი ისტორიული პროცესი ობიექტურ სოციალურ ვითარებაში პოულობს ახსნას¹.

¹ ამიტომ ესთეტიკური არ არის თავისთავადი მნიშვნელობის მოვლენა, ან თვითმზნანი შემოქმედების პროცესისა. მაშასადამე, იგი არ იქმნება მხოლოდ იმისათვის, რომ მან ესთეტიკური ტკობა, სიამოვნება აღძრას ადამიანში. იგი განსახიფტების სპეციფიკური მხარეს, სპეციფიკურ არსს წარმოადგენს, რის გამო ასახ-

ზოგი მეცნიერები აქ განხილულ მტკარ გაგებას ხელოვნების „სპეციფიკური საგნის“ თვორით „ასახვითებს“. ამ თვორით, თვალსაზრისით, შექმნილია ვალიზირებული ხელოვნების თავისებურება ისე, თუ არ ვალიზირებთ ხელოვნების საგნის თავისებურებას. ხელოვნების სპეციფიკა მხოლოდ ხელოვნებისათვის საგნის სპეციფიკურობიდან შეიძლება მომდინარეობდეს.

ეს დასკვნა არსებითად მეცნიერების დარგების თავისებურებათა საფუძვლით არის შეთავაზებული. მართლაც, მეცნიერების ყოველი დარგის სპეციფიკა, მაშასადამე — არსებობაც, გაპირობებულია საგნის, ობიექტის თავისებურებით. ეს საკვებით გასაგებია, რადგან მეცნიერებანი სინამდვილის ასახვის ერთი ფორმით ხასიათდებიან, ხოლო იქ, სადაც ასახვის ერთ ფორმისთან გააქვს საქმე, ცხადია, განსხვავება მხოლოდ საგნის (მეცნიერული პრობლემატიკის, შესასწავლი კანონების) სხვადასხვაობაში უნდა ვეძებოთ. მაგრამ შექმნილია ამავე მიდგომით განვიხილოთ ხელოვნების მიმართება თეორიულ შემეცნებასთან, საერთოდ ხელოვნების თავისებურება, ე. ი. ხელოვნებაზე შექმნიერება გაგვირკელოთ ის თვალსაზრისი, რომლითაც განიხილება მეცნიერების დარგთა ურთიერთდამოკიდებულება და თავისებურებანი. ეს იმით, რომ ხელოვნება წარმოადგენს სინამდვილის არა ყოველგვარ, არამედ მხოლოდ მხატვრულ ასახვას, თავისებას, რის გამო მისი თავისებურება თვით ამ ასახვის სფეროშია მოცემული. სწორედ ეს გაგვიჩვენებს არა აქვს გათვალისწინებული ა. ბუროვის, რომელმაც თავის შრომაში „ხელოვნების ესთეტიკური არსი“, სავანგებოდ განიხილა ხელოვნების სპეციფიკური (ესთეტიკური) საგნის საკითხი. ბუროვის მტკიცებით, შემეცნების საგანი არის შემეცნების შინაარსის ობიექტური საფუძველი და განმსაზღვრელი საწყისი. ასეთი დამოკიდებულება ხელოვნების საგანსა და თავისებურებას შორისაც. ამიტომ ხელოვნების სპეციფიკა შექმნილია წარმოიდგინოთ სპეციფიკური საგნის გარეშე. ეს მტკიცება სწორია საკუთრივ თეორიული შემეცნების მიმართ, მით უმეტეს, თუ შინაარსს გაივიგებთ ბუროვისეული ინტერპრე-

ეთი ფუნქცია მის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თვისებას შეადგენს. ამასთან, ესთეტიკური იმდენად შინაგანად მოიცავს ასახულს, ანდა, უფრო ზუსტი იქნება თუ ვიტყვი, იმდენად ორგანული თვისებაა ხელოვნების ნაწარმოების მთელი ორგანიზმისა (მაშასადამე, კერძოდ, შინაარსისაც), რომ მხოლოდ აბსტრაქციის ძალით არის შესაძლებელი მისი განცალკევებობა წარმოადგენს.

ტაკით. მაგრამ ხელოვნებაში სულ სხვა გარემოებასთან გვაქვს საქმე. ხელოვნება ხომ მხოლოდ ასახვის ფუნქციით არ იფარგლება, იგი განსახიერებაა, მაშასადამე, შეთხზულის, მხატვრული განზოგადების საშუალებით ანსაზიერებს სინამდვილეს. ესთეტიკური მხატვრული შემოქმედების სწორედ ამ სპეციფიკურ ბუნებას ემყარება და გამოხატავს, მოიცავს თავისთავში. ამიტომაც, რომ იგი მთელი თავისი არსებით შემოქმედებით მოვლენას წარმოადგენს.

ამ ფაქტით აიხსნება ის, რომ ვერც ბეროვმა და ვერც მისმა თანამოაზრეებმა ვერ დაასაბუთეს არა მარტო ხელოვნების სპეციფიკური არსის გამაპირობებელ ფაქტორად ხელოვნების სპეციფიკური საგნის მიჩნევა, არამედ თვით ამ სპეციფიკური საგნის არსებობაც საერთოდ. ის, რაც მათ მიუთითებს ამ მხრივ, დიდი ხანია ცნობილია ესთეტიკური აზროვნებისათვის. საბოლოოდ ეს გასულ საუკუნეში განმტკიცდა და დასაბუთდა ის თვალსაზრისი, რომ ხელოვნების საგანი არის საზოგადოებრივი სინამდვილე, ცხოვრება, ადამიანი, საერთოდ ადამიანი სიამყარო და აგრეთვე ბუნების ის მხარე, რომელიც შინაგანად არის დაეპოირებული ამ სამყაროსთან. მაგრამ ყველაფერ ამას ხომ შეცნირებდათა მოვლი ცოლი, ე. წ. საზოგადოებრივი მეცნიერებანიც შეისწავლის. ამ დაბრკოლების (შეუსაბამობის) დაძლევის ა. ბეროვი, შემდეგ, არსებითად ლ. ფოიერბახიდან მომდინარე ანალიზით ცდილობს: რადგან ესთეტიკურისა და ესთეტიკური იდეალის განსაზღვრულ საფუძველს შეადგენს წარმოდგენა სრულფასოვან, სრულყოფილ ცხოვრებაზე, ე. ი. ესთეტიკური იდეალი არის ადამიანის იდეალი უკეთესი ცხოვრების შესახებ, ხოლო თვით ადამიანი უმადლესი, ყველაზე სრულყოფილი ცხოვრების განსახიერებაა, ამიტომ ეს უკანასკნელი (ადამიანი) არის აბსოლუტური ესთეტიკური საგანი, მოვლენა, აბსოლუტური ესთეტიკური საგანი და ხელოვნების საგანი ეს ერთადიანევეა. არსებითად ეს იგავება შეადგენს ხელოვნების ესთეტიკური არსის საფუძველს. მაშასადამე, ესთეტიკურს ხელოვნებაში განაპირობებს აბსოლუტური ესთეტიკური საგნის — ადამიანის წარმოსახვა. ამასთან, ა. ბეროვის ხელოვნების წარმომავლის შინაარსიც ესთეტიკურ კატეგორიად მიიჩნია, რადგან მასში ადამიანის არსის გახსნაა მოცემული (თვით შინაარსს, როგორც ეს უკვე აღვნიშნეთ, ბეროვი ხელოვნების წარმომავლის იდეურ მხარეს უწოდებს).

ბეროვის განსაზღვრით, შინაარსი საერთოდ ასახულის არსის გავებას, განსაზღვრას ნიშნებს, ხოლო ყრმოდ ხელოვნებაში — საკუთრივ იდეურ შინაარსს. ეს კი, ცხადია, მართლაც საგნის არსისაგანაც არის დამოკიდებული.

ერთი სიტყვით, აქ არსებითად ესთეტიკურის სპეციფიკური იტყვება საკუთარივე ფუნქციით, თავისთავად ცხადია, უარყოფითად. უარყოფით სპეციფიკური არსიც. საერთოდ ბეროვი, ხელოვნების სპეციფიკის შესახებ მსჯელობისას, არა მარტო წერნიშნების ესთეტიკის შედგომ განვითარებას ვერ გვაძლევს, არამედ ჩერნიშნების დაბლაც კი ემყება. აღნიშნულის გათვალისწინებით, რომ ბეროვის უოველგაიო ცდა, ნათელყოფს ადამიანის, როგორც ხელოვნების საგნის აბსოლუტური ესთეტიკურობა, ვერ აღწევს შედეგს.

ასეთივე უნიადგაო ხელოვნების სპეციფიკურ საგნად ადამიანის სინამდვილისადმი ესთეტიკური დამოკიდებულების აღიარებაც. ეს შეხედულება, აღნიშნული ესთეტიკური დამოკიდებულების როგორი კონკრეტული ანალიზიც არ უნდა ედგას მის საფუძველად, ვერ შეუთავსდება ჩვენი დროის ესთეტიკური აზროვნების შეცნირებულ პრინციპებს. იგი მცდარია, რადგან ადამიანთა ესთეტიკური დამოკიდებულება სინამდვილისადმი, რაც, პირველ რიგში, ესთეტიკურ იდეალებში იხატება, ხელოვნების საგანს კი არ შეადგენს, არამედ ხელოვნების ნამდვილი საგნის წარმოსახვის, განსახიერების პროცესში ვლინდება, როგორც ესთეტიკურის ეპოქისეული არსის (კონკრეტული შინაარსის) უშუალო საფუძველი და განსაზღვრელი.

ხელოვნების სპეციფიკური საგნის ძიების ყველა ცდა, პრინციპულად ხელოვნების ესთეტიკური არსის ობიექტურობის შექანისტერესტგარულ გავებას ემყარება. ეს იმიტომ, რომ ესთეტიკური, ხელოვნების სპეციფიკური საგნის „დასაბუთების“ ყველა შემთხვევაში, განხილულია მხოლოდ „ობიექტის ფორმაში“ და მხოლოდ იდეური თვალსაზრისით. სხვა საფუძველი შეუძლებელია მოენახოს იმ პირობისას, რომელიც, როგორც ვნახეთ, ესთეტიკურს ხელოვნებაში განიხილავს, როგორც ბუნებია და საზოგადოებრივი ცხოვრების მშვენიერების შემოქმედებით ასახვია და წარმომავლის იდეური შინაარსის მთლიანობას, ან ადამიანის იდეალების განსახიერებას.

აქ, უბრალოდ ვოვლისა, უგულებელყოფილია ის ცნობილი, ზემოთ არაერთხელ აღნიშნული გარემოება, რომ ესთეტიკური ხელოვნებაში მთელი თავისი არსებით შემოქმედებით მოვლენაა. იგი თუმცა ობიექტურობის მხატვრული სუბიექტურობის საფუძველზე იხადება, მაგრამ მიუხედავად ამისა, სულ სხვა კანონზომიერების მომცემაა, ვიდრე ესთეტიკური ბუნე-

1 და ეს მაშინ, როდესაც ბეროვის შრომის კითხვის დროს თავს გაბეზრებთ გაუთავებელი ხმაური ხელოვნებისა და ესთეტიკურის სპეციფიკური არსის დაკვირვება და შესწავლის აუცილებლობის შესახებ.

ბნა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. მას ხელ-
ლოვანი ქმნის „სილამაზის კანონების მიხედ-
ვით“, ეპოქისეული ესთეტიკური იდეალის, სა-
ზოგადოების ესთეტიკური შეხედულებების შე-
საბამისად. ამიტომ მისი სახით ჩვენ საქმე
გვექვს ესთეტიკურის ისეთ სახეობასთან, რო-
მელშიც ასახულია ადამიანის იდეალები, მთელი
სტლიური სამყარო და რომელიც, თავისი
ღრმად ეპოქისეული და ინდივიდუალური ბუ-
ნების მიუხედავად, საყოველთაო ხასიათისა.

აქვე ისიც უნდა დავსძინოთ, რომ ზელოვ-
ნებს, ან კერძოდ ესთეტიკურის ობიექტური
არსის აღიარება არ ნიშნავს, თითქოს, ამ მოვ-
ლენების არსის, ყველა შემადგენელი კომპონენ-
ტის პირდაპირი საფუძველი ობიექტურ სინამდ-
ვილში იყოს მოცემული. ეს მეტად ველგა-
რული გაგება იქნებოდა ობიექტურობისა. ამას-
თან, თუ ესთეტიკური ზელოვნებაში არის
ასახეა სინამდვილისათვის ნიშანდობლივი ეს-
თეტიკურისა, ანდა, თუ „ზელოვნების სილამა-
ზის“ საფუძველს „სინამდვილის სილამაზე“
შეადგენს, მაშინ როგორ უნდა ავხსნათ ამ გუ-
ნიანულ ნაწარმოებთან ესთეტიკური ღირსებანი,
რომლებიც მახინჯს, უარყოფითს, ტრაგიკულსა
და შემზარავს ანსახებრებენ? როგორც ჩანს,
ასეთ შემთხვევაში ესთეტიკურის გამოხატულე-
ბად ბეროვს შიანია ზელოვნების ნაწარმოების
იდეური შინაარსი. ამრიგად, ესთეტიკურს არ-
სებითად ყველა ნიშანდობლივი, სპეციფიკური
თვისება შემოეცალა. აქ სხვა შესაბამისობასთან-
დაც გვექვს საქმე, მაგრამ განზიღული თვალსაზ-
რისის მცდარობას უკვე აღნიშნული საესებით
ნათელს ხდის.

ლ. ფოიერბაში სამართლიანად შენიშნავდა,
რომ ზელოვნება, რელოვისაგან განსხვავებით,
არ ითხოვს მისი ქმნილება აღიარებული იქნას
სინამდვილედ. მას ასეთი მოთხოვნის საფუძვე-
ლი არც აქვს, რადგან მის დანიშნულებას და
სტიქიას არც ერთ ასპექტში არ შეადგენს სი-
ნამდვილედ ქვეყა. იგი სინამდვილის განსახო-
ვნებას წარმოადგენს, ხოლო თვით ამ განსახო-
ვნების პროცესში გარკვევით შორდება (უთმე-
ბა) სინამდვილის „ობიექტურ ფორმას“, თავისი
სპეციფიკური არსის გამო, ესთეტიკურის არსის
გამო. ერთ სტიკური, თუმცა ზელოვნების ქმნი-
ლება, როგორც ეს სწორად შენიშნა ზ. ბელინ-
სკიმ, უფრო კეშმარტივა და უფრო ჰავს სი-
ნამდვილეს, უფრო გამოხატავს სინამდვილის
მოვლენების არსს, ვიდრე თვით სინამდვილე,
თავისი ობიექტური ფორმით. მაგრამ საყურთრე
ესთეტიკურის თვალსაზრისით, ისინი (ზელოვნე-
ბა და სინამდვილე) მინც მკვეთრიად, არსებითად
განსხვავდებიან ურთიერთისაგან.

მაშ, სად უნდა ვეძიოთ „შემოქმედებითი ეს-
თეტიკურის“ საფუძველი?

ზელოვანის სუბიექტურ სამყაროში?

ვთქვათ, ამ საკითხს სწორად სწყევტს სუბი-
ექტური იდეალიზმის საფუძველზე აღმოცენე-
ბული ესთეტიკური თეორიები. დღესვე, ესთე-
ტიკური, მართლაც, მხოლოდ სუბიექტური კა-
ტეგორიაა, ზელოვანის თვითმემყვთეა, თვით-
ხილვას წარმოადგენს.

მაშინ, როგორ უნდა ავხსნათ ესთეტიკურის
საყოველთაო ხასიათი და მარადიულობა? ანდა,
სად უნდა მოვნახოთ ის საერთო, ზოგადი ნი-
შანდობლივი თვისება ესთეტიკურისა, რომელიც
ამ უკანასკნელს გარკვეული სპეციფიკური
მოვლენის სახით არსებობას განამარბებს?

ყველაფერი ეს საიდუმლოებით არის მოცუ-
ლი სუბიექტივისტური ესთეტიკური მოძღვრე-
ბისათვის.

არსებითად ასეთივე ცალმხრივობით ხასიათ-
დება ზემოთ განხილული ველგარული თეო-
საზრისიც: თუ ესთეტიკური საბოლოო ანგარიშ-
ში თვით ცხოვრების, ან სასურველ ცხოვრებაზე
წარმოდგენების იდენტურია, ხოლო ეს ცხოვ-
რებაც და ეს წარმოდგენებიც იცვლებიან, მაშინ
რაღა განამარბებს ზელოვნების ესთეტიკური
არსის ზოგად საფუძველს, საყოველთაო ხა-
სიათს? აქაც არავითარი დადებითი, გონივრული
პასუხი არ შეიძლება მიიწახოს.

ჩვენი აზრით, ამ საკითხის, საერთოდ ზელო-
ვნების ესთეტიკური არსის გასაღებს მოიციავს
კ. მარქსის ცნობილი მითითება „სილამაზის
კანონების“ შესახებ. თავისთავად ცხადია, რომ
„სილამაზის კანონების მიხედვით“ შექმნა,
უპირველეს ყოვლისა, ზელოვნების სფეროს,
უფრო ეწიროდ თუ წარმოვადგენთ, ესთეტი-
კურის სფეროს გულისხმობს, ეს კი იმას ნიშ-
ნავს, რომ კ. მარქსი „სილამაზის კანონების“
სახით შემოქმედებითი ესთეტიკურის თავისებუ-
რების არსს, ობიექტურ კანონზომიერებას, კანო-
ნებს მიუთითებს. ამრიგად, ის განსხვავდება, რო-
მელიც ზელოვნებასა და სინამდვილეს შორის
არსებობს, ის სპეციფიკური, ის „ახალი სამყა-
რო“, „ესთეტიკური ღირსება“, რომელსაც ზე-
ლოვანი ქმნის სინამდვილის მხატვრულ წარ-
მისახვეს პროცესში, გამარბებულია იმით,
რომ თვით ეს პროცესი ეწყარება „სილამაზის
კანონებს“, ესთეტიკურის კანონებს. ზელოვანი
ამ სპეციფიკური კანონების, კანონზომიერების
მიხედვით ქმნის, თხზავს; მაშასადამე, იგი არ
იმყოფებს და არც ეწყარება იმას, რაც სინამდ-
ვილეს ახასიათებს ობიექტური ესთეტიკური
თვისების სახით.

საკითხის მხოლოდ ამ ასპექტში განხილვა
ხდის შესაძლებელს ავხსნათ ესთეტიკურის საი-
დუმლოება.

შეჯელობის სისრულისათვის საჭიროა აქვე
აღინიშნოს ისიც, რომ „სილამაზის კანონების“,
ესთეტიკურის სპეციფიკური კანონზომიერების
გამოვლენის ხასიათი და სიღრმე მხატვრული

შემოქმედების პროცესში, გამაბრუნებელია ეპოქის თავისებურებით და ხელოვანის ინდივიდუალურობით. ეპოქა განსაზღვრავს ესთეტიკური გამოვლენის კრედიტს, ანუ საზოგადოებრივ-ადამიანური შინაარსის ხასიათს; ხელოვანის პიროვნება (ტალანტი, ოსტატობა, ერთდროცა, შემოქმედებითი ნატიურისა და სულიერი სამყაროს თავისებურებას) კი, როგორც თავთ ესთეტიკურის ობიექტური არსის, კანონების, ისე მათი ეპოქისეული შინაარსის გამოვლენის სრულყოფილობასა და ინდივიდუალობას (სტუბიკტურ ხასიათს). ამიტომ ესთეტიკურის ეპოქისეული მხარე არის ესთეტიკურის ობიექტური კანონების, კანონზომიერების გამოვლენის კონკრეტული შინაარსი, ისტორიული ფორმა, რომელიც უწყვიფინება საზოგადოების ესთეტიკური გემოვნება, იდეალები და შეხედულებები, დროის მთელი სტრუქტურა. რაც შეეხება ესთეტიკურის იმ მხარეს, რომელიც ხელოვანის სუბიექტურ სამყაროში პოულობს ახსნას, იგი იფარგლება იმავე კანონებისა და მათი ეპოქისეული შინაარსის, სამოსლის შემოქმედებითი განხორციელების სიღრმის, სრულყოფილობისა და თავისებურების სფეროთი. ყველაფერი ეს საეხებით ნათესს ხდის ესთეტიკურის, როგორც ობიექტურ, ისე სუბიექტურ არსს.

ესთეტიკურის ობიექტურ კანონზომიერებას ზევს აქ საგანგებოდ მივლითებით არა მარტო იმიტომ, რომ მას არსებითი მნიშვნელობა აქვს ზვენი საკითხისათვის, არამედ იმ გარემოების გამოც, რომ თანამედროვე იდეალისტური ესთეტიკის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს სწორედ ამ კანონზომიერების უარყოფა წარმოადგენს. სუბიექტივისტური ესთეტიკის იმ არსოდეს არ უყოფილა ისეთი მკაცრი და უკიდურესი, როგორც იგი ვახადა მეოცე საუკუნის იდეალისტურმა ესთეტიკურმა თეორიებმა. ეს თეორიები ესთეტიკურის არსს განიხილავენ მხოლოდ, როგორც „ინდივიდუალურ ღირებულებას“, „სუბიექტურ ხილვას“. ისინი ობიექტურად უარყოფენ არა მარტო მშვენიერების ზოგადი კანონზომიერების არსებობასა და საყოველთაო ხასიათს, არამედ სიმბოლურს, ბოროტების, სეერთოდ ყოველგვარი ანტიესთეტიკურის არსებობასაც: ესთეტიკურის ერთადერთი ზოგადი კანონი ისაა, რომ მას არავითარი ზოგადი კანონზომიერება, საყოველთაო ხასიათი და ობიექტური კრიტერიუმი არ გააჩნია, როგორც ბუნებაში, ისე საყოველთაოდ ხელოვნებაშიც. თავისთავად ცხადია, ეს თვალსაზრისი თანამედროვე ბურჟუაზიული ხელოვნების (ახსტრუქციონიზმისა და სხვა ანალოგიური მოდური დეკადენტური იმპიზმის) შემოქმედებითი პრინციპების თეორიულ საფუძველსა და დასაბუთებას წარმოადგენს. ამიტომაც, რომ ამ ხე-

ლოვნების ესთეტიკურ-მხატვრული ბუნება არა მარტო ძალზე შეზღუდულია, არამედ არსებითად საეხებით მოკლებულია ესთეტიკურ ღირსებას. ბუნებრივად უნდა იქნებოდა ისიც, რომ აქ ქვეს ორ უხეშად დამუშავებულ ღოდს „შეეგარებულები“ შეიძლება ეწოდოს, ხოლო ფერისა და ხაზის ყოველად გაურკვეველ და უაზრო შეხამებას — „ეპოქის იდეა“. და რაც მთავარია, ეს თვალსაზრისი, არსებითად, საერთოდ ნიშნავს ხელოვნების უარყოფას, რადგან ის, რაც ზოგადი ობიექტური კანონების, კანონზომიერების გარეშე დგას, არ შეიძლება არავითარცა როგორც საერთო მოვლენა. ხელოვნების, ამ კერძოდ ესთეტიკურის არსებობის, არსისა და მნიშვნელობის შესახებ მხოლოდ მაშინ შეიძლება მსჯელობა, თუ ჩვენ ვალიარებთ, რომ მათ გარკვეული ზოგადი ბუნება, ზოგადი კანონზომიერება ახასიათებთ. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ჩვენ ხელოვნების კმნიღებებს შორის მხოლოდ სხვაობას დავინახავთ, ე. ი. ხელოვნების საფუძველად მხოლოდ ინდივიდუალურ, სუბიექტურ საწყისს ვალიარებთ, ლეგაურად ხელოვნების უარყოფას დავასაბუთებთ.



მაგრამ რით ხასიათდება ესთეტიკურის ეს ობიექტური კანონზომიერება, ზოგადი სპეციფიკური არის? აქ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა კიდევ ერთხელ შევითხროთ იმ გარემოებას, რომ ესთეტიკური ხელოვნებაში საყოველთაო ხასიათის მოვლენას წარმოადგენს. მაშასადამე, კემზმარტად ესთეტიკური აუცილებელი საყოველთაო აღიარებით ხასიათდება. მშვენიერი ყველასათვის მშვენიერია. მშვენიერების ცნობილ კანტისეულ განსაზღვრების უდავოდ მართებულად არის ასახული კერძოდ ეს მომენტები. მართალია, კანტისათვის მშვენიერების ეს საყოველთაო ხასიათი ემყარება განსჯის უნარის „სუბიექტურ აუცილებლობას“, წმინდა ესთეტიკური მიმართებას, აგრეთვე ცნობილია კანტის ესთეტიკის მსოფლმხედველობრივ-პრინციპული საფუძველი. მაგრამ ჩვენ ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს საკითხის მხოლოდ ერთი მხარე — ესთეტიკურის საყოველთაო ხასიათის აღიარება. თუ კანტის ესთეტიკის ამ მომენტს კრიტიკულად ავითვისებთ, მარქსისტული ესთეტიკის პრინციპების თვალსაზრისით გავაშქრებთ და დავასაბუთებთ. ესთეტიკურის საზღვრები გარკვევით გვექნება მოხაზული ხელოვნებაში. მართალია, ის რაც კემზმარტად ესთეტიკურად ხელოვნებაში, საყოველთაო ხასიათისაა სწორედ თავისი სპეციფიკური არსის გამო და არა ეპოქისეული შინაარსის შედეგად. ცხადია, ეს არ გამოირჩევა იმ ცნობილ ფაქტსა-

რომ ესთეტიკურის სრულყოფილი სახეობა მხოლოდ ააიხიბა მოცემული, როდესაც იგი პალალ სანოვადობებზე შინაარსაც მოიცავს. უპოქის მოწინავე იდეებია და ესთეტიკური ადვანის განსახიფების სახით. ვიმორებთ: ესთეტიკური ხელოვნებაში არ არსებობს ანაბე-თი ფუნქციის გარეშე; მისი სპეციფიკური „შეც“ ასახვის პროცესში ვლინდება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მისი არსებობა და საყოველ-თაო ხასიათი გაპირობებულია მისივე სპეცი-ფიკური ბუნებით და არა იმით, თუ რა კონკრეტულ ისტორიულ ხასიათსა და შინაარსს მიიღებს იგი ამა თუ იმ ეპოქაში. ეს სახეობით ვასაგებებ უნდა იყოს, რადგან საყოველთაო ეპო-ქანეული, არსებითად, თვით არ არის საყოველ-თაო მონაცემების, კრელოს, შინაარსის მქონე ჯა, მაშასადამე, ესთეტიკურის საყოველ-თაო ბუნებასაც ვერ დაედება საფუძვლად. მისი სიღრმე და პროგრესულობა ესთეტიკურს მხო-ლოდ აწლიერებს — სრულყოფილობასა და ზემოქმედების ძალას მატებს.

როგორც ცნობილია, კანტის განსაზღვრის ცალმხრივობა და პრინციპული მკდარობა ის არის, რომ მისში როგორც ესთეტიკური, ისე ესთეტიკური განსჯის უნარი მხოლოდ ფორმით არის შემოფარგლული. კანტისათვის ესთეტი-კური სახეობით იზოლირებული, მხოლოდ თა-ვისათვის ჩაყვითლი მოვლენია. ამავდროს კანტი ესთეტიკურის არსს როგორც ბუნებაში, ისე ხელოვნებაში არკვევს სუბიექტურის მეშ-ვეობით. ეს კი იმითაა გამოწვეული, რომ, მისი თვალსაზრისით, მშენებებების სფერო შედგენო-ბადია; იგი ჩვენითვის მხოლოდ ესთეტიკური განსჯის სახით არსებობს. მიუხედავად ამისა, კანტი მინც საგანგებოდ ეხება ხელოვნების ესთეტიკურ არსს, მხატვრულ შემოქმედების საერთო ხასიათის განსაზღვრის სახით. ცხადია, აქაც იგი სრული იზოლირების თვალსაზრისზე დგას. ადამიანის სულიერ ძალთა თავისუფალი თამაში — ასეთია მისი განსაზღვრით ესთეტიკურ-ის სპეციფიკური საფუძველი და ბუნება. ხელოვნებას შეუძლია იყოს ზნობრივის, სოცე-თის სიმბოლო, მაგრამ ეს მხოლოდ იმის გამო, რომ მხატვრულ ქმნილებას შესწევს უნარი ადამიანებში აღძრას, გამოიწვიოს ის, რაც თვით მის არ ახასიათებს. კანტი მხოლოდ ამ სახით არღვევს ესთეტიკურის მკაცრ ავტონომიას; ის ენს შიშინს, როდესაც როგორც ესთეტიკური, ისე განსჯის უნარი, მას ცნებისა და ინტერესის, წმინდა და პრაქტიკული გონების შეამღებარედ მიიჩნია.

პიკულმა სიწინააღმდეგო მიდგომით გააშუქა ესთეტიკურის ბუნება. მან რადიკალურად გაა-თარათოა უკანასკნელის არსი იმ ზოგარის წაშე-ლით, რომლითაც კანტიმ მშენებური გამოიჯან-ვემარტებისა და სოცეთის სფეროებისაგან. ამიტომ ჰეგელი არნებითად ესთეტიკურს განი-

ზილავს, როგორც სინთეტიურ მოვლენას. მ. ნეტ-ნიშევსკი ჰეგელის სწორედ ამ პრინციპის მხ-ტერიალისტურ ათვისებას ემყარებოქუთუდესაც იგი ესთეტიკურ განსჯაში ხედავს: „ქვეყნის ყველა ძალისა და უნარის ერთობლივ მოქმე-დებას“.

ეს პრინციპი სახეობით სამართლიანად არის აღიარებული დიდწინამშენებლოვან თვალსაზრისად, ცალკეულ მარქსისტ მეკლვეართა მიერ. ჩვენი აზრით, სწორედ მხოლოდ ამ თვალსაზრისის განვითარებით შეიძლება მიღწეული იქნას ეს-თეტიკურის სპეციფიკური ბუნების განსაზღვრა. ესთეტიკური არ ინაზღვრება ადამიანის მხო-ლოდ ესთეტიკური (ე. წ. „წმინდა ესთეტიკურ-ი“) ნაწარმების, ან წმინდა ესთეტიკური გრძობის ინტერესებით. მისთვის საერთოდ უცხოა უყოველგვარი შეზღუდულობა. იგი მთელს ადამიანურ სამყაროს მოიცავს თავის-თავში, ადამიანის მთელი სულიერი და გონებ-რივი ცხოვრების, იდეალებისა და ინტერესების მთლიანობის ემოციურ გამოხატულებას წარ-მოადგენს. შეიძლება მეტიც ითქვას: ადამიანის „შე“, „ადამიანური სამყარო“ სწორედ ესთეტი-კურის სფეროში იხატება განსაკუთრებული სიუხადით და მთელი თავისი მრავალფეროვნე-ბით. ამიტომ ესთეტიკური ადამიანის ასულიერი და გონებრივი ძალების“ ერთობლივი მოქმე-დების შედეგად იქმნება. ბუნებრივია, ამავ-დალების ასეთივე ერთობლივი მოქმედებით ხასიათდება ესთეტიკურის აღქმა და გაცნა, ესთეტიკური ტუბობა.

ეს მთლიანობა, სინთეტიკობა იმიტომ არის ესთეტიკურის თავისებურების საფუძველი, რომ აქ ადამიანის ცნობიერების, სულიერი და გო-ნებრივი ცხოვრების — ყველა ძალა და უნარი“, ყველა მხარე, ადამიანის ყველა მიწარაფება, ინტერესი, იდეა და სწრაფვა, სახეობით კარგავს განკერძოებულ, დამოუკიდებელ მდგომარეობას და ერთიანდება მათი საერთო, ზოგადი ხაწყისის საფუძველზე — დადებით ადამიანური პოპოციის საფუძველზე (ეს უკანასკნელი ქვევით არის დახასიათებული). ამის გარეშე კი შეუძლებელია ესთეტიკურის, ესთეტიკური გრძობისა და ეს-თეტიკური ტუბობის არსებობა. თავისთავად ცხადია, აქ იგულისხმება მათი ნორმალური ჩა-მოყალიბებული ფორმები, შექმნილი ხანგრძლი-ვი ისტორიული პროცესის შედეგად.

სიამოვნება, აღტაცება, სიხარული, სულიერი კმაყოფილება, რომელიც გამოწვეულია კერძო მიზნით და კერძო ხასიათისა, ე. ი. არ მალ-დება ადამიანის აქ აღნიშნულ მთელს სულიერ და გონებრივ სამყაროდ, ამ სამყაროს საერ-თო რეაქციის შედეგს არ წარმოადგენს, — არ შეიძლება იყოს ესთეტიკური, რადღ სიამოვნე-ბასაც არ უნდა განვიცდიდეთ რომელიმე მეც-ნიერული ნაშრომის, ან ფილოსოფიური ტრაქ-ტატის კთხვისას, ჩვენ საქმე გვაქვება მინც



შეზღუდული ხასიათის საამოცნებებსა და აღტაცებასთან. ეს იმიტომ, რომ ეს საამოცნება შეზღუდული იქნება ჩვენი გონებრივი ინტერესისა და მოთხოვნის სფეროთი, ასევე, არ იქნება ესთეტიკური არც ის სიხარული და აღტაცება, რომელთაც ჩვენი გამოიწვევს მაღალი მორალური მოქმედება, საერთოდ ყოველგვარი სიკეთე, ბედნიერება, მასობრივი აღაშინის, ან თვით ჩვენი განსაკუთრებული წარმატება თუ კეთილდღეობა. ცხადია, ესთეტიკური გრძნობა ყოველთვის არც მაშინ ვლინდება, როდესაც ჩვენ აღტაცებით ვამბობთ: „მშვენიერია“. მაგალითად, თუ ზღვრის ქაანაქება სიკვამლე მოწვევრებულ მგზავრს წყაროს ცივი წყლით გაუმასპინძლებით, იგი სწორედ ამ სიტყვით გამოხატავს თავის აღტაცებას, საამოცნებას. მაგრამ ეს იქნება მხოლოდ კერძო ხასიათის გრძნობა, ემოცია, აღმართული ღირსეურობის მოთხოვნის დამყაროვლით. ამასთან, ცნობილია, რომ საამოცნება, რომელიც ყნოსვისა და გემოვნების გზით წარმოიშობება და ამ გრძნობებით იფარგლება, არასოდეს არ არის ესთეტიკური. ამის მიზეზიც ამ გრძნობების კერძო, შეზღუდული ხასიათის ისინი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ მალდებიან შემოთხითივით მთლიანობაში. ამიტომაც, რომ ე. წ. სენსორულ ესთეტიკის არ გაანინა არავითარი ობიექტური საფუძველი, ხოლო „ესთეტიკური გრძნობება“ მხოლოდ სმენა და მხედველობა ითვლება. ერთი სიტყვით, ესთეტიკური განსჯა და ტკბობა იბადება მხოლოდ მაშინ. როდესაც აღქმის ობიექტი იწვევს აღმინის მთელი სულიერი და გონებრივი სამყაროს ერთობლივ რეაქციას და კვშმარტ ემოციურ ამაღლებას. ამის შედეგია, რომ აღმინები ესთეტიკურის აღქმისას უფრო მთლიანი, პარმონიული, აღმინური ხდებიან, ვიდრე ეს დამახასიათებელი მათთვის სხვა შემთხვევაში. საერთოდ, ესთეტიკურისა და ესთეტიკური გრძნობის არსი შინაგანად გულისხმობს მაღალი აღმინური გრძნობებით გამსჭვალვასა და კვშმარტ სულიერი ამაღლებას.

თავისთავად ცხადია, რომ მკვლევარებს, რომლებიც ცალმხრივად ავიტარებენ ნ. ჩერნიშევსკის თეალსაზრისს, ესთეტიკური ამ მხრისკე კვშმარტების, პროგნოსული სოციალური იდეებისა და სიკეთის, კარგი ცხოვრების უბრალო ჯამის სახით აქვთ წარმოგვიჩინო. ამის გამო ესთეტიკური განსჯა და ტკბობა მათ არსებითად ანალიზირებული აქვთ როგორც მოწონება, აღტაცება, სიხარული, კმაყოფილება საერთოდ, ე. წ. ესთეტიკურის აქ საცვებით წარმოებული აქვს თავისი სპეციფიკური ხასიათი, ბუნება. ესთეტიკურის ზემოთ განხილული მდლარული გაცემა ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს. ეს იმიტომ, რომ, როგორც ვნახეთ, ამ გაცებით,

ესთეტიკური ხელგეგმაში არის სრულქმნილ ცხოვრების, ან კარგ, სასურველ ცხოვრებაზე ჩვენი წარმოდგენებისა და კვშმარტის იდეების ასახვა. არსებითად ამ ვულგარულ თეალსაზრისს ემყარება ა. ბუროვის გარგვრულად პრეტენზიული ძიებაც ხელგეგმის ესთეტიკური არსისა.

ჩვენი აზრით, ესთეტიკურის არსის ანალიზი მხოლოდ მაშინ აუღება ასეთი შედეგით დამთავრების საშინოობებს, როდესაც ნაჩვენები იქნება არა მარტო ესთეტიკურის სინთეტიკური ბუნება, არამედ ამ უკანასკნელის (სინთეტიკობის) შინაგანი დასაყრდენიც (შინაგანი პირობაც), ე. წ. როდესაც ესთეტიკურის სპეციფიკური ნიშნების ძიება თანმიმდევრული და მთლიანი ხასიათის მატარებელი იქნება. აქ იგულისხმება ის ფაქტორი, რომლის გამო ესთეტიკურის სფერო არ ხასიათდება რომელიმე ერთი აღმინური ინტერესისა და გრძნობის გამოთქმული, დამოუკიდებელი მოქმედებით, ანდა, რომლის საფუძველზე აღმინის მთელი სულიერი, გონებრივი, საზოგადოებრივი და ინტიმური სამყარო, ყველა მიზნარება და ინტერესი ერთობილება და ერთ მოვლენად, თვისობრივად ახალ მოვლენად იქცევა.

ამ შინაგან ფაქტორს ემოციურის სფერო, ემოციურობა წარმოადგენს.

როგორც ცნობილია, იდეალისტური ესთეტიკა ხშირად ემყარება ამ სფეროს, ესთეტიკურის არსის ანალიზისას. მაგრამ ჩვენი მსჯელობაში ბუნებრივია, არსებითად საწინააღმდეგე, პრინციპულად სხვა თეალსაზრისი და ასპექტი არის მოცემული. ეს თეალსაზრისი და ასპექტი უმთავრესად თავისებურია ამ საკითხის შესახებ მარქსისტ მკვლევართა მიერ გამოთქმულ შეზღუდულობებთან შედარებითად.

უბრველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ ესთეტიკურისათვის ხელგეგმაში ნიშანდობლივია ემოციურობის თავისებური სახეობა, სახელდობრ, წარმოსახვითი, აქტიური, მძაფრი, ამაღლებული, ემოციათა შორის უველაზე მკვეთრი, შეუზღუდავი, ზემოქმედი და ზოგადაღმინური ემოციურობა. ამიტომაც, რომ მხოლოდ ხელგეგმას ახასიათებს სინამდვილის ასახვის განსაკუთრებული ემოციური სიღრმე და ყოველმხრივობა. მაგრამ ეს — ემოციურობის აქ აღნიშნული სახეობის თავისებურების მხოლოდ ერთი მხარეა. მის მეორე არსებით თვისებას შეადგენს დადებითი აღმინური პოიციკა, რომელიც აღმინითა საერთო სულიერი სწრაფვას, ინტერესს, სასურველი (მიზნობრივი) განცდის, ემოციური გახწყობისა და დამოკიდებულების საერთო საწყისს, ზოგად მიზრის, ტენდენციას ემყარება და გამოხატავს. რა მოვლენა და განცდაც არ უნდა შეადგენდეს ესთეტიკურის საგანს — მშვენიერი თუ მახინჯი,

ამაღლებული თუ დაბალი, კეთილი თუ ბოროტი, სისხიარული თუ შემზარავი, ბედნიერება თუ უბედურება, დაბადება თუ სიკვდილი, ჭეშმარიტება თუ ცთუნება, სიყვარული თუ ვერაგობა, გამარჯვება თუ დამარცხება, — ყველაფერი ეს, მიუხედავად თავიანთი კონტრასტული ობიექტური არსისა და ესთეტიკური თვისებების, ღრმა ემოციური გარდასახვის განიცდის ერთიდაიგივე პოზიციის ასპექტში — აქ აღნიშნული დადებითი, მაღალი ადამიანური განცდის, ემოციურობის ასპექტში (დადებითი ემოციური პოზიციის ასპექტში). ყველაფერი ამსკვალება და იხატება იმ ფერებით (ცხადია, შესაბამისად თვით საგნისა), რომლებიც ესიტყვებიან მაღალ ადამიანურ გრძნობებს და ინტერესებს, მისამალამე, გამოსახატვენ ჭეშმარიტ ადამიანურს, სულიერი სამუაროს ყველაზე ზოგად და ყველაზე სათეთ საწყისს, ემსახურებიან კეთილის, სათნოების, ბედნიერების, სიყვარულისა და ამაღლებულის განმტკიცებას. რასაკვირველია, აქ არ იგველისხმება მხატვრული ქმნილების საყოფიერ იდეური შინაარსი. ასე რომ იყოს, მაშინ ის ავტორებთან, რომლებიც ყველა შემთხვევაში გამოსავალ პუნქტად მხოლოდ კარგ, სასურველ ცხოვრებას, ან მის შესახებ წარმოდგენებსა და ჭეშმარიტებას იღებენ, ხოლო ამ პრინციპის ლოგიკური განვითარებით მერტად უბეშ და შეზღუდულ დასკვნებს აკეთებენ, — სადავო არაფერი გვექნებოდა. აქ ლაპარაკია იმ დადებით ადამიანურ პოზიციასზე, ემოციების, გრძნობების იმ საერთო საწყისზე, ერთიან შინაგან ტენდენციასზე, რომელიც უზულოდ ესთეტიკურის სფეროში შედის, და არა იმის შესახებ, რაც ესთეტიკურის გზით, მეშვეობით ენაურდება, მაგრამ ესთეტიკურის კომპონენტს არ წარმოადგენს. ერთი სიტყვით, დადებითი ემოციური პოზიკია (ანდა — ემოციურის დადებითი პოზიკია) გვევლანება, როგორც ესთეტიკურისათვის ნიშანდობლივი ემოციურის ის სპეციფიკური ნიშანი, არსებითი საფუძველი, რომლის შედეგად სინამდვილის ყველა მხარე ერთიდაიგივე თვისებით — მოწონების, სულიერი ამაღლების, ესთეტიკური ტკობის აღძვრის უნარით აღიჭურვება მხატვრული წარმოსახვის, შეთხზვის პროცესში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ემოციურის დადებითი ადამიანური პოზიკია მაშინაც კი ვლინდება აქ აღნიშნული შედეგით, როდესაც წარმოსახვის საგანი მხინჯი, უარყოფითი ან შემზარავი სინამდვილე არის, ხოლო იდეური შინაარსი, ტენდენცია უარყოფას მოიცავს. კიდევ უფრო მეტად: იგი მაშინაც გვაქვს მოცემული (ცხადია, შედარებით უფრო შეზღუდული სახით), როდესაც ნაწარმოების იდეური შინაარსი მცდარია, ან ესთეტიკურის ეპოქისეული კრეფი აწმინდა ხელოვნებით“ ვაბრუნებს გამოხატავს. ამრიგად, დადებითი ადამიანური პოზიკია ყოველთვის

ვლინდება ესთეტიკურის სფეროში ანა თუ იმ სახით. იგი ზოგადადამიანური ემოციია და გაცილებით უფრო ფართო, ზოგადი ხარისხის მქონეა, ვიდრე ნაწარმოების იდეურულ კრეფითაა რეგულირებული მისი ეს თვისება, არსი განაპირობებს იმ მთლიანობას, სინთეტურობას, რომელიც ესთეტიკურის არსებობის საფუძველს, სპეციფიკურ პირობას შეადგენს ხელოვნებაში. მისი ეს თვისებაა შემოქმედებითი ესთეტიკურის საყოველთაო ხასიათის საფუძველიც.

ძირითადად აღნიშნული სპეციფიკური ბუნებით ხასიათდება ესთეტიკური ხელოვნებანი. მაშასადამე, ესთეტიკური ხელოვნებაში წარმოდგენს ადამიანის მთელი სულიერი და გონებრივი სამუაროს მთლიანობის ემოციურ გამოხატულებას. სხვა სიტყვებით: იგი გვევლანება, როგორც სინამდვილის ასახვის სპეციფიკური ფორმა, ადამიანის ცნობიერების, მთელი გონებრივი და სულიერი სამუაროს ყველა ძალისა და უნარის“ ერთობლივი მოქმედება, ადამიანის ყველა მიწრაფებისა და ინტერესის ერთობლივი გამოხატულება (შინაგანი მთლიანობა), განხორციელებული ემოციურის საფუძველზე, სინამდვილის ემოციური გარდასახვის, ემოციური სურათის შეთხზვის საფუძველზე. ზვენი აზრით, სხვა სპეციფიკური ნიშანი, ზოგადი არსებითი თვისება არ გაიანია ესთეტიკურის ხელოვნებაში.

მაგრამ ყველაფერი ეს შეეხება შემოქმედებითი ესთეტიკურის საკეთარი, სპეციფიკურ არსს, ზოგად სპეციფიკურ კანონზომიერებას. ესთეტიკურის ხელოვნებაში, როგორც ეს ცნობილია და შემოთავი ითქვამს, აქვს მკორე არსებითი მხარეც ისტორიული არის სახით. ესთეტიკურის ეს მხარე, თავისთავად ცხადია, ხელოვნების სოციალურ-ისტორიული ბუნებიდან გამომდინარეობს და იმის მთქვებელია, რომ ხელოვნებაში საკეთარიც ესთეტიკურიც განუწყვეტელ პროცესს, ცვლილებებს, განვითარებას განიცდის საზოგადოების ესთეტიკური შეზღუდულების. ესთეტიკური იდეალებსა და გეგმონების განვითარების შესაბამისად. ესთეტიკურის სპეციფიკური არსი არასოდეს არ ენაურდება თავისთავად, იგი მხოლოდ ამ პროცესში არის ასახული და აქ იღებს კონკრეტულ სახეს, ეპოქისეულ საშოსელს, შინაარსს. ერთი სიტყვით, ესთეტიკური ხელოვნებაში მოცემულია, როგორც აქ განხილული ზოგადი სპეციფიკური კანონზომიერების შემოქმედებითი განხორციელება. კონკრეტული ისტორიული ფორმა, ეპოქისეული გამოხატულება, მაშასადამე, ზოგადი სპეციფიკური არსისა და ეპოქისეულის შინაგანი მთლიანობა ამიტომ შემოქმედებითი ესთეტიკურის სიმღერე, ღირსება, შემოქმედების ძალა, საერთოდ სრულყოფილობა ყოველთვის იმ მთლი-

ნობის ხასიათით არის გაპირობებული¹. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ერთი მხრივ — რაც უფრო მეტი სისტულით ვლინდება ესთეტიკურის ზოგადი სპეციფიკური არსი, კანონზომიერება, ხოლო მეორე მხრივ — რაც უფრო პროგრესულია და ზალხური ამ უკანასკნელის ეპოქისეული კრედი, ე. ი. რაც უფრო ღრმად არის წარმოსახული ხასიათები, ცხოვრების სურათები, ეპოქის მოწინავე ესთეტიკური იდეალი და შეხედულებანი, სოციალური იდეები, საერთოდ „ღრმის სულისკვეთება და სიმართლე“, მით უფრო ძლიერი, მაღალი და სრულყოფილია ესთეტიკური (იგივე — ხელოვნების ნაწარმოების ესთეტიკურ-მხატვრული ღირსება). მაშასადამე, ესთეტიკურის ძალა, სრულყოფილობა (ანდა ე. წ. „ესთეტიკური ღირებულება“) არ არის თავისთავადი მოვლენა. იგი თუმცა თვით ესთეტიკურის ზოგად სპეციფიკურ არსს ემყარება, მაგრამ ამ შინაგანი საწყისის მიუხედავად, ეპოქისეულის, კონკრეტული ისტორიული შინაარსის გარეშე არ არხეობს. ეს ესთეტიკურის გარდაუვალი კანონია.

შ. არსთაველის პოემის უდიდესი ესთეტიკური ღირსების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი ის არის, რომ ამ ნაწარმოებში, როგორც ხასია-

თების საოცარი სიღრმით და სიმართლით განსახილვება, ისე ეპოქის მოწინავე ესთეტიკური, სოციალური და ფილოსოფიური იდეების განსახილვება, მოცემულია მარად ცოცხალ, ზოგადკაცობრიულ ჰუმანისტურ ასპექტში. ამავე ღრმს, პოემის ეს უდიდესი ეპოქისეული ღირსება თავის მხრივ წარმოადგენს ერთ-ერთ პირობას ესთეტიკურის ზოგადი სპეციფიკური კანონზომიერების მეტი სისტულით გამოვლენისათვის. ამასთან ეს უკანასკნელიც აძლიერებს, მეტ სიმკვეთრეს აძლევს ეპოქისეულს. საერთოდ რაც უფრო მეტი სრულყოფილობით ვლინდება ესთეტიკურის ზოგადი არსი, იმდენად უფრო ღრმა, მართალი და პროგრესულია ეპოქისეული. ამგვარ ზემოქმედებას ვხვდებით ამ შემთხვევაშიც კი, როდესაც შესატყვის საფუძველს არ მოიცავს ხელოვნის სუბიექტური რწმენა.

თავისთავად ცხადია, „ვეფხისტყაოსანი“ არ წარმოადგენს გამოჩაყლისს. აქ მითითებულს მხატვრული კულტურის მთელი ისტორია ავლენს სხვადასხვა შემთხვევაში სხვადასხვა სახით, სხვადასხვაგვარი კონკრეტული მონაცემებით და სიუხადით.

¹ თვით ამ მთლიანობის, საერთოდ ესთეტიკურის ისტორიული ბუნების ანალიზი არ შეადგენს ამ წერილის საგანს. ამიტომ მას გაცივით ვეხებოთ.

3. რაზინი

თერგდალეულთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხვედრების კლასობრივი ბუნების გაგებისათვის*

მესამე თვალსაზრისი, რომელიც წინა ორთხი შედარებით უფრო ახლოსაა სიმართლესთან, ცდილობს დაგვარწმუნოს, რომ ილია ჭავჭავაძე და მისი თანამებრძოლები არ ყოფილან არც ერთი ცალკე კლასის იდეოლოგები, არამედ გამოხატავდნენ მთელი ქართველი ერის ინტერესებს, განურჩევლად წოდებისაო. ასეთი თვალსაზრისი გამოთქვა, კერძოდ, მკვლევარმა ლ. ასათიანმა 1950 წელს ჟურნალ „მნათობში“ დაბეჭდილ ერთ-ერთ რეცენზიაში¹. ეს თვალსაზრისი მით არის განსაუფრთხილები საინტერესო, რომ მომდინარეობს თვით თერგდალეულებისაგან; ილია, ავაცი და სხვა თერგდალეულები აბაყათხელ აღნიშნავდნენ ხოლმე, რომ ისინი ზრუნავდნენ მთელი ხალხის, მთელი ქართველი ერის კირ-ვარამზე და არა რომელიმე ცალკე კლასის ინტერესებზე. ჩვენ წინათაც გვქონია შემთხვევები აღგვენიშნა² და ახლაც გვინდა გავიმეოროთ, რომ თერგდალეულებს ჰქონდათ საფუძველი ელპარაყნათ მთელი ხალხის, მთელი ერის სახელით, მაგრამ თვით თერგდალეულთა მოღვაწეობისა და შემოქმედების უტრადობებით შესწავლა სავსებით ცხადყოფს, რომ მათი საზრუნავი ჩინმედლებით მორთული, უსაქმური თავადაზნაურობა, ან კიდევ ხალხის შევლადელი ბერეუაზია კი არ იყო, არამედ საზოგადოების ის ნაწილი, რომელიც ერის ცხრა მეათედს შეადგენდა და რომელიც თავისი შრომით ჰქმნიდა ერის მთელ მატერიალურ დოვლათს.

შემდეგი, სათვალავით მეოთხე შეხედულება თერგდალეულთა შესახებ. კომპრომისული შეხედულებაა და ცდილობს დაასაბუთოს ის აზ-

რი, თითქოს ილია ჭავჭავაძე თავის მხატვრულ ნაწერებში რევოლუციური დემოკრატია, ე. ი. გლეხობის იდეოლოგია, ხოლო პუბლიცისტურ წერილებში — ლიბერალი; ე. ი. აღმავალი ბერეუაზიის იდეოლოგი. ეს თვალსაზრისი ახალი არ არის, იგი ჯერ კიდევ კტა აბაშიძიდან მოდის, მაგრამ ამ უკანასკნელად მისი დასაბუთება სცადა მკვლევარმა მ. დუდუჩავამ ნაშრომში „ილია ჭავჭავაძის ესთეტიკა“, რომელიც 1960 წელს გამოიცა. მ. დუდუჩავას აზრით, „ი. ჭავჭავაძის შემოქმედებისა და პუბლიცისტურ-თეორიულ წერილებში ასახული თვალსაზრისის ძირითადი ტენდენციები სხვადასხვაა“³; ეს სხვადასხვაობა კი თითქოს იმაში მდგომარეობს, რომ თავის მხატვრულ ნაწარმოებებში ილია „ობიექტურად მართლაც გვევლინება რევოლუციონერ-დემოკრატად“⁴, ხოლო მის პუბლიცისტურ ნაწერებში „ობიექტურად, უფრო მეტად ისაბუთავს აღმავალი ბერეუაზიის ინტერესები და მისწრაფებანი“⁵.

ზედმეტად მიგვაჩნია იმის მტკიცება, რომ ილიას შემოქმედების ამგვარ მექანიკურ გაყოფას არ გააჩნია რაიმე ცოტად თუ ბევრად სერიოზული საფუძველი. მართალია, მხატვრულ ნაწერებში უფრო აღვილი იყო მეფის ცენზურისათვის თვალის ახვევა და რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების გაპარება, რის გამოც ილიას მხატვრული შემოქმედება უფრო მეტ მასალას შეიცავს მისი რევოლუციურ-დემოკრატიული პოზიციების დასახასიათებლად, მაგრამ დაკვირვებელი მკვლევარი ადვილად იპოვის იმავე აზრებს ილიას პუბლიცისტურ წერილებშიც. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ამას გაცნობს თვით მ. დუდუჩავაც, რომელიც კარგად იცნობს ი. ჭავჭავაძის როგორც მხატვრულ, ისე პუბლიცისტურ შემოქმედებას, მაგრამ თუ ის მაინც იძულებულია ზემოხსენებუ-

გაგრძელება. იხ. „მნათობი“, № 10.

¹ იხ. „მნათობი“, 1950 წ. № 11

² იხ. ნაშრომი „ილია ჭავჭავაძე, ფილოსოფიური და სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი“, 1954 წ., გვ. 62-64, 331, 332 და ა. შ.; აგრეთვე მისი რუსული გამოცემა „Илья Чавчавадзе, философские и соц.-полит. воззрения“, გვ. 39-40.

³ მ. დუდუჩავა, „ილია ჭავჭავაძის ესთეტიკა“, 1960 წ., გვ. 305.

⁴ იქვე, გვ. 302

⁵ იქვე, გვ. 306.

ლი კომპრომისული თვალსაზრისი ვაიზიაროს, ეს ფაქტი, ჩვენი აზრით, შემდეგი ვარაუდებით აიხსნება: მკვლევარი მიხედვრილია, რომ ძველი, ხუნდაძისეული კონცეფცია აღარ არის დამაკმაყოფილებელი და საჭიროა მისი შეცვლა, მაგრამ ჯერ კიდევ ვერ უპოვია უდავო თეორიული საბუთები მის უარსაყოფად და ექუსაგდებოდ.

შემდეგი, სათვალავით მეხუთე თვალსაზრისი, რომელსაც აგრეთვე კომპრომისული ხასიათი აქვს, ცდილობს დავაარწმუნოს, რომ თათქოს ილია ჭავჭავაძე ბატონყმობის გაქმეზამდე გლეხობის იდეოლოგია, მამასადამე, რვეოლუციური დემოკრატი იყო, ხილო რეფორმის შესდევ ბერყუა-ლიბერალის პოზიციანზე გადავიდა. ასეთი თვალსაზრისი გამოთქვა, მაგალითად, კრიტიკოსმა შ. ჩივაქემ ეტრნალ „ვოპროსი ფილოსოფიის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ ერთ-ერთ რეცენზიანში, მისი სიტყვით, «И. Чавчавадзе до отмены крепостного права был идеологом крестьянства»¹, ხოლო «после отмены крепостного права перешел на позиции просветителя-демократа»².

ძნელი დასანახი არ არის, რომ ამგვარი თვალსაზრისი მხოლოდ ი. ჭავჭავაძის შემკვიდრების არასაკმარისად შესწავლის შედეგად შეიძლებაა წარმოშობილიყო. ვინც ვაულისშით გადაათვალიერებს ილიას როგორც რეფორმამდე, ისე რეფორმის შემდეგდროინდელ მხატვრულ და პუბლიცისტურ ნაწერებს, მისთვის ამჟამა ვახდება, რომ ჩვენი სასიძალო მწერალი მართლი პიროვნება იყო და ლაპარაკი მისი ძირითადი შეხედულებების რაიმე შეცვლაზე არა თუ საშოციან წლებში, არამედ 80-90-იან წლებშიც კი, მოკლებულია ყოველგვარ საფუძველს.

დაბოლოს, აღსანიშნავია კიდევ ერთი, საკმაოდ გავრცელებული თვალსაზრისი, რომელიც თავისი შინაარსით ამჟამად ეკლექტიური ბუნებისაა. ამ თვალსაზრისის წარმომადგენლები, — თუკი შეიძლება, რომ ის ცალკე, დამოუკიდებელ თვალსაზრისად ჩაითვალოს, — თანთან ნაშრომებში არ გამოთქვამენ ჩვენთვის საინტერესო საკითხზე არავითარ ახალ აზრს, არამედ ცდილობენ უყვე არსებული, სხვადასხვაგვარი შეხედულებების შეერთებას და ამრავალ, ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებათა შერიგებას, ან ყოველ შემთხვევაში, მათ შორის არსებულ წინააღმდეგობათა შერბილებას. ასეთი თვალსაზრისის წარმომადგენლებად, ჩვენი აზრით, ჩაითვლებიან, მაგალითად, მკვლევარები ვ. ბახტაძე და ა. თაქაძე.

თავის ნაშრომებში „Очерки по истории грузинской общественно-экономической мысли“ და „Илия Чавчаваძის სოციალ-ეკონომიური შეხედულებანი“, ვ. ბახტაძე ცდილობს ერთმანეთის სრულიად საწინააღმდეგო შეხედულებების შეერთებას. ერთი მხრივ, ის ყოველგვარი კრიტიკის გარეშე იზიარებს ვ. წერეთელს. ხუნდაძის დასვების თეორიას,³ ხოლო, მეორე მხრივ, ცდილობს დასაბუთოს იმ აზრი, რომ თერგდალეულები გლეხობის ინტერესების თანმიმდევრული დამცველები იყვნენ. ზოგჯერ წიგნის ერთსა და იმავე გვერდზე მოთხვეული იპოვის ერთკაცის იმის შესახებაც, რომ, ეთქვით, ნ. ნიკოლაძე 80-იან წლებში ლიბერალურ-ბურჟუაზიული მიმართულების მოღვაწე იყო და იმის შესახებაც, რომ იმავე ხანებში იგი «последовательно защищал интересы крестьянства»⁴.

ხუსტად ასეთივე სურათია ი. ჭავჭავაძის მიმართაც. ავტორი არაერთხელ სამართლიანად მიუთითებს, რომ ილია იყო გლეხობის ინტერესების თავდადებული დამცველი და ცარიზმის წინააღმდეგ შეუდრეკელი მებრძოლი⁵, მაგრამ იქვე ამტკიცებს, რომ ის თათქოს ვერ ამაღლა რუსეთის რევოლუციონერი-დემოკრატების მსოფლმხედულობამდე, «не стал революционным демократом»⁶.

ანალოგიური თვალსაზრისის წარმომადგენლად ჩვენ მიგვანია აგრეთვე მკვლევარი ა. თაქაძის ნაშრომში „Илия Чавчаваძის ფილოსოფიური და ესთეტიური შეხედულებანი“, რომელიც 1954 წელს გამოვიდა, ილია ჭავჭავაძე, ერთი მხრივ, აღიარებულია, როგორც „ქართული გლეხობის ინტერესების გამომხატველი“⁷ და „ბატონყმობის და თვითმყრობელობის წინააღმდეგ მგზნებარე მებრძოლი“⁸, ხოლო, მეორე მხრივ, როგორც ისეთი მოღვაწე, რომელიც „იწყოდა საქართველოს კაპიტალისტური განვითარებისათვის... უმტკივნეულოდ, ფეოდალების შემორჩევის გზით“⁹, როგორც მოღვაწე, რომელიც „ფეოდალების წინააღმდეგ რვეოლუციური ბრძოლას უარყოფდა“; „ხალხის რვეოლუციური მოძრაობის საჭიროდ არ ცნობდა“¹⁰ და ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლაში „შემარტობულურ გზის აღგა“¹¹.

¹ იხ. В. Бахтадзе, «Очерки по истории грузинской общественно-экономической мысли», 1960, გვ. 103, 104, 114 და ა. შ.

² იხ. იქვე, გვ. 105.

³ იხ. იქვე, გვ. 161, 172, 173 და ა. შ.

⁴ იხ. იქვე, გვ. 175-276.

⁵ იხ. დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

⁶ იქვე, გვ. 51.

⁷ იქვე, გვ. 9.

⁸ იქვე, გვ. 146.

⁹ იქვე, გვ. 9, 146.

¹ იხ. ეტრნ. „Вопросы философии“, 1951, № 4, გვ. 244.

² იქვე, გვ. 243.

ცხადია, ამგვარი, ამჟამად ერთმანეთის საწინააღმდეგო დებულებებში შექანიერები შეერთება მეცნიერულ თვალსაზრისად ვერ ჩაითვლება. მაგრამ ესეც კია, რომ ამ მკვლევარების პოზიცია თერგდალეულთა ისტორიოგრაფიის ახლანდელი ეთარებისათვის შეტად დამახასიათებელია: ის მამკვებელია ძველი, დრომოკმული შეხედულებების კრიზისისა და წარმოადგენს ამ კრიზისის დაძლევის თავისებურ ცდას.

მთელი რიგი ავტორები, მათ შორის ცნობილი კრიტიკოსები და მკვლევარები, თავიანთ ნაშრომებში ხშირად საესებით უვლიან გვერდს თერგდალეულთა იდეოლოგიის კლასობრივ კუთვნილებას განსაზღვრის საკითხს და თმშეპირდაპირ არსად არ ამბობენ, თერგდალეულებია გლეხობის იდეოლოგები იყვნენო, მაგრამ მათი მსჯელობიდან ასეთი დანჯნა თავისთავად გამომდინარეობს. ამ მხრივ საინტერესოა პ. ელენტის ნაშრომი, რომელიც შესავლის სახით წამძღვარებული ჰქნს ილია ჭავჭავაძის რჩეული ნაწერების ერთ-ერთ რუსულ გამოცემას. ჩვენი აზრით, ეს ნაშრომი დამერილია დიდი ერთდციით, მკაფიოთ და ცოცხლად; მასში გამოთქმულია არა ერთი გაბედული და მეცნიერულად სწორი დებულება, რომელიც ლახვარს სცემს ძველ თეორიას და საესებით შეესაბამება ახალ თვალსაზრისს¹.

ავტორის მსჯელობიდან პირდაპირ გამომდინარეობს, რომ ილია ჭავჭავაძე გლეხობის იდეოლოგია იყო. მაგრამ ავტორი თავს იკავებს და არსად არ აკეთებს ასეთ დასკვნას. როგორც ჩანს, ის შეგნებულად უვლის გვერდს ამ შეტისშეტად დახლოთულ და სადავო საკითხს, ზედმეტ სიფრთხილეს იჩენს და სადავო მანც საპირთოდ სთელის შოაგონის მკითხველს, რომ თერგდალეულები ცნობილნი არიან «...в истории грузинской общественной мысли под названием «Пирвели даси»!». ეს მითითება უხალაღებულ პირველ დასკვ, ჩვენი აზრით, ნაშრომში სრულიად ზედმეტია, შართალია, ავტორი არ იყენებს ისტორიულ მასალას, რადგან ი. ჭავჭავაძის შეხედულებებს შხოლოდ ლიტერატურულ ასპექტში იხილავს, მაგრამ ის ვრცელი ლიტერატურული მასალაც, რომელსაც ის ევრდნობა და სწორადაც აფასებს, სრულ

საფუძველს აძლევდა მის განესაზღვრა ილიას შოლოდზედღეელობა როგორც გლეხთა იდეოლოგიის გამოხატულება და ჭავჭავაძის დრომოკმული დასკვნის თეორიას.

ყოველივე ზემონათქვამიდან ცხადია, რომ თერგდალეულთა შეხედულებების კლასობრივი ბუნების გაგების ირგვლივ შრავალი სხვადასხვაგვარი შეხედულება არსებობდა და დღესაც არსებობს. მაგრამ არ იქნებოდა სწორი ვევეფიქრა, თითქმის ყველა ისინი ჩვენში ფართოდ იყოს გავრცელებული და სერიოზულად უშლიდეს ზელს თერგდალეულთა მეგყიდრების შესწავლას. სინამდვილეში ზემოთ ჩვენს მიერ ჩამოთვლილ შემდარ შეხედულებებს (გარდა ს. ხუნდაძის კონცეფციისა), ამჟამად მხოლოდ თითო-ორთა წარმომადგენელი ჰყავთ მეცნიერთა შორის და, ვეფიქრობთ, არც მომავალშია მოსალოდნელი მათი ფართოდ გავრცელება, რადგან არ არსებობს არც ისტორიული და არც თეორიული საფუძველი მათი მეცნიერულად დასაბუთებისათვის.

სულ სასიხის მდგომარეობაა ს. ხუნდაძისა და მისი მიმდევრების შეხედულებათა მიმართ. ს. ხუნდაძის თვალსაზრისი 1934 წლიდან შოკიდებული დაახლოებით ოცდასეთი წლის განმავლობაში განუყოფლად ბატონობდა და დღესაც უდავოდ ძლიერი პოზიციები გააჩნია როგორც ქართულ, ისე განსაკუთრებით რუსულ ისტორიოგრაფიაში. თუ რამდენად გავრცელებულია ამჟამადაც გ. წერეთელ — ს. ხუნდაძის თვალსაზრისი, ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ამ დრომოკმულ კონცეფციის ჯერ კიდევ იზიარებს ქართველ და რუს მკვლევართა უმრავლესობა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ძველი თვალსაზრისის დამცველ მეცნიერთაგან ყველას რომელი უმეშავინა საგანგებოდ თერგდალეულთა შოლაწიობისა და შემოკმედების შესასწავლად მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მხოლოდ გაკრით ეხება საკითხს და იზიარებს გ. წერეთელ — ს. ხუნდაძის თვალსაზრისის მხოლოდ იმტომ, რომ ის ყველაზე გავრცელებული თვალსაზრისია. მაგალითად, ისეთი ცნობილი ისტორიკოსი, როგორც იყო გ. ზაქაძე, თვითონვე ამბობდა, ეალიარებო თერგდალეულებს დასებად დაყოფის ტრადიციულ სქემას «как это принято считать в исторической литературе»². ასევე ითქმის ისტორიკოსებზე ს. კავთაძესა და ზ. შშველიძეზე, რომლებიც სხვა საკითხების კვლევასთან დაკავშირებით და ისიც მხოლოდ

¹ იხ. «Илья Чавчавадзе, избранные сочинения», 1957 წ., გვ. VIII, XI, XII, XXXII, XXXV და ა. შ.

² იქვე, გვ. VIII.

¹ Г. В. Хачапуридзе, «К истории Грузии первой половины XIX века», 1950, გვ. 17.

გაერთიანებული თერგდალეულთა კლასობრივი რაობის საკითხს¹. რაც შეეხება ლიტერატურათმცოდნეებს, მათი მნიშვნელოვანი ნაწილი მართო ლიტერატურულ მასალაზე ამწეებს თავის მსჯელობას, ხოლო ისტორიულ და თეორიულ სფეროში არ აწარმოებს დამოუკიდებელ კვლევა-ძიებას და იზიარებს იმავე „საერთოდ მიღებულ“ დასკვნებს, ე. ი. დასების თეორიის დებულებებს. ეს შეეხება არა მართო ლიტერატურის ისტორიის დამწეებს მეცნიერებს, არამედ ისეთ ცნობილ მეცნიერებსაც, როგორც არიან, მაგალითად, შიხ. ზანდუელი² და შ. რაღინა³ აგრეთვე, აბ. მახარაძე⁴ და სხვები.

ჩვენი ზედმეტად მიგვაჩნია კამათი ისეთ ავტორებთან, რომლებსაც თერგდალეულთა საზოგადოებრივ შეხედულებებზე არ მოეპოვებათ სპეციალური გამოკვლევები და მხოლოდ სხვა მეცნიერთა აზრს იზიარებენ, რადგან თუ დამტკიცდება, რომ მათი აზრების წყარო ყალბია, იმედია, ისინი გაუტყდებიან და იხილენ თანაერთ შემდგომ შეხედულებებზე.

მაგრამ არიან ისეთი ავტორებიც, რომლებსაც სპეციალური გამოკვლევები აქვთ დაწერილი თერგდალეულთა ცხოვრებასა და მოღვაწეობაზე და ამ გამოკვლევებში ბევრი საინტერესო ისტორიული მასალა მოეპოვებათ. ილინდ როცა საქმე თეორიულ განხილვებებზე მიდგება, ისინი უკან იხივენ და უკრიტიკოდ იღებენ ძველი თეორიის დებულებებს. ასეთი ავტორების რიცხვს, ჩვენი აზრით, მიეკუთვნებიან ისტორიკოსი გ. ზაქარიძე, რომელმაც გამოაქვეყნა სპეციალური ნაშრომი ნ. ნიკოლაძის სოციალურ-პოლიტიკურ შეხედულებებზე⁵. ს. ავალიანი, რომელმაც საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა გიორგი წერეთლის ფილოსოფიური მსოფლმხედველობის გამოკვლევას და ლიტერატურათმცოდნე ე. მეშველია, რომელმაც ასე-

ვე საგანგებო ნაშრომი მიუძღვნა საქართველოს დასების თეორიის საკითხს⁶. ეს ავტორები, სამწუხაროდ, არაფერს ახალს არ გვიუბრალებენ თერგდალეულთა შეხედულებების კლასობრივ ბუნების შესახებ და არსებითად უცვლელად იმეორებენ დასების ძველი თეორიის დებულებებს. ამიტომ თავისთავად ცხადია, რომ ამ საკითხზე მათთან კამათი ზედმეტად უნდა ჩაითვალოს.

დაბოლოს, ძველი თეორიის დამცველთა შორის მოიპოვებიან ისეთი ავტორებიც, რომლებიც არ სჯერდებიან გ. წერეთელს — ს. ზენდაძის დებულებათა უბრალო განმეორებას; ეს მეუღლეებში გრძობენ, რომ ახლანდელ პირობებში ძველი თეორიის დაცვა მისი წინანდელი, უცვლელი სახით, შეუძლებელია; მაგრამ იმის ნაცვლად, რომ გამოეწვევიდნენ ამ უნიკალად თეორიას, ისინი ცდილობენ შესწორონ და შეალამაზონ იგი, ცდილობენ განავითარონ და დაასაბუთონ ძველი დებულებები ახალი თეორიული არგუმენტებით, კერძოდვე, ი. ლენინის აზრების მოშეუღლებით. ეს ავტორები ცდილობენ გააუმჯობესონ და, თუ შეიძლება ასე ითქვას, „გაკეთილშობილონ“ ძველი თეორია, მაგრამ თუ უფრადღებთ შევისწავლოთ იმ ცვლილებებს, დამატებებსა და შესწორებებს, რომლებსაც ამ თეალსაზრისის დამცველები გვთავაზობენ, დეგრადირებული, რომ ცვლილებები მხოლოდ საქმის გაჩვენს მხარეს — ვადმოკემის მანერას და ფრაზოლოგიას შეეხება, საკითხის არსი კი უცვლელი რჩება.

მიუხედავად ამისა, ვფიქრობთ, კრიტიკის მთავარი ეცესლი ჩვენ სწორედ ასეთი ავტორების წინააღმდეგ უნდა მივმართოთ, რადგან ამჟამად მხოლოდ ისინი წარმოადგენენ ძველი თეორიის ნამდვილ საყრდენს.

განსაკუთრებით სამწუხარო ის არის, რომ ხსენებული დროშობული თეორიის მხედველთაა

¹ იხ. С. Какабадзе, «Краткий обзор истории Грузии», 1941, გვ. 75; აგრეთვე: ზ. შველიძე, «რევოლუციურ-ხალხობნური მოძრაობა საქართველოში», 1960, გვ. 11, 12, 15.

² იხ. შ. ზანდუელის ნაშრომი „ახალი ქართული ლიტერატურა“, ტ. 11, 1954 წ. გვ. 222, 226, 238, 240 და ა. შ.

³ იხ. მისი „ლიტერატურული მეშვეობა“ 1939, გვ. 23, აგრეთვე მისი «История грузинской литературы», Москва, 1952, გვ. 148.

⁴ იხ. მისი «ნარკვევები ქართული ლიტერატურის ისტორიიდან», 1952.

⁵ იხ. გ. ზაქარიძე, „ნიკო ნიკოლაძის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებანი“, 1955, გვ. 9, 10, 50; 51, 169, 227 და ა. შ.

⁶ იხ. ს. ავალიანი, „გიორგი წერეთლის ფილოსოფიური მსოფლმხედველობა“, 1954, გვ. 23, 24, 25 და ა. შ.

¹ იხ. ილ. წულუკიძის სახელობის ქუთაისის პედაგ. ინსტიტუტის „შრომები“, XV, 1956, გვ. 333 — 385.

რაც სიტყვამ მოიტანა, აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ ე. მეშველიამ სცადა საჯაროდ, პრესის ფურცლებზე დაეცვა გ. წერეთელს — ს. ზენდაძის დასების თეორია (იხ. „ლიტერატურული გაზეთი“, 1956 წ. № 14 და № 15), მაგრამ ვერ შესძლო ეგოვა ვერც ერთი ცოტად თუ ბევრად საყრდადღებო არგუმენტი ამ დროშობული თეორიის დასაბუთებლად; მან არსებითად გაიმეორა იმავე გ. წერეთელს — ს. ზენდაძის დებულებები. ე. მეშველია თვითონაც არ ფარავს, რომ მისი მიცნიერული კვლევა-ძიება ვერ სცოლდება ს. ზენდაძის მიერ ქუთაის კოლეჯ 1927 წ. შედგენილ სქემას (იხ. ჟურნალის პედაგ. ინსტ. დასახელებული „შრომები“, გვ. 341).

შეფასებული თერგდალეულთა მემკვიდრეობა ისეთ სერიოზულ გამოცემებში, როგორცაა საშუალო სკოლის უფროსი კლასების ქართული ლიტერატურის სახელმძღვანელო¹, მოსკოვში გამოცემული «История грузинской литературы»².

რაც შეეხება რუსულ ისტორიოგრაფიას, ჩვენდა საეალოდ, იქ ჯერ-ჯერობით თითქმის განუყოფლად ბატონობს ქართული ავტორების მიერ შემუშავებული ზემოთხსენებული თეორია³, რომლის მიხედვით ჩვენი სახელოვანი მწერლები და საზოგადო მოღვაწენი ყოველგვარი შერბილებისა და შეღამაზების გარეშე არიან წარმოდგენილნი როგორც გაბატონებული კლასების, — ე. ი. მეფის მთავრობის, მემამულეებისა და ბურჟუაზიის, — ერთგული მსახურნი, რომლებიც ვითომ «стремились ужиться с царизмом и стояли на страже интересов господствующих классов грузинской нации»⁴.

ეს სიტყვები ჩაწერილია არა რომელიმე მეორეხარისხოვან გამოცემაში, არამედ კამბიტალურ ნაშრომში «История СССР», რომელიც ასიათასიანი ტირაჟით არის გამოცემული მოსკოვში 1959 წელს და სათანადო სამინისტროს მიერ დაშვებულია, როგორც უმაღლესი სასწავლებლების ოფიციალური სახელმძღვანელო მთელ საბჭოთა კავშირში.

ასეთივე სურათს ეხედავთ უმაღლესი სასწავლებლების მეორე სახელმძღვანელოში «История политических учений», რომელიც გასულ, 1960 წელს გამოიცა მოსკოვში. მასში ნათქვამია, რომ «Идеи Чавчавадзе, его политические идеалы не вышли за рамки дворянского либерализма»⁵; რომ «А. Церетели не смог возвыситься до проповеди революционной борьбы»⁶.

ასეთი უაღბო შეხედულება საყოველთაოდ გავრცელებული შეხედულებაა და თემცა არის ზოგიერთი გამოცემის (მაგალითად, ერთ-ერთ სპეციალურ ნაშრომში ისტორიკოსი ი. ზერ-

ნიკა ნ. ნიკოლაძეზე სამართლიანად აზრობს, რომ ის იყო «участник революционно-демократического движения шестидесятихвосемидесяти годов прошлого столетия» მაგრამ გამოცემის მიხედვით ვერ სცლიან საერთო სურათს.

თუ რამდენად ფართოდაა რუსეთში და მთელ საბჭოთა კავშირში გავრცელებული ძველი, უკვე დრომოკმეული შეხედულება, მოწმობს თუნდაც ასეთი ფაქტი: ზემოთხსენებული თეორიის საფუძვლად უდევს თერგდალეულთა მემკვიდრეობის შეფასებას ისეთ უღიშეს გამოცემებში, როგორცაა «დიდი საბჭოთა ენციკლოპედია» (გამოიცა 300 ათასი ტირაჟით) და აბრეშინი «მსოფლიო ისტორია» (რუნმა 165 ათასი ტირაჟით).

ვიცნო არ მოერიდება შრომის გადაათვალიეროს «დიდი საბჭოთა ენციკლოპედია» ის ტომები, რომლებშიც მოთავსებულია სტატიები თერგდალეულებზე, აგრეთვე საბჭოთა კავშირის ხალხთა იმ გამოჩენილ მოღვაწეებზე, რომლებიც თერგდალეულებთან ერთად ხელ-ხელ ჩაკიდებულნი, ერთიან იდეურ წინააღმდეგობარ-ძირს ებრძვიან და გაბატონებული კლასების წინააღმდეგ, ის თვალნათლივ დარწმუნდება, რომ «ენციკლოპედიაში» უკვეა ხალხის მოწინავე შეილები არიან დაფასებულნი ღირსეულად, გარდა ქართველი ხალხის შეილები. ასე, მაგალითად, სტატიაში, რომელიც ი. ჭავჭავაძისადმი მიძღვნილი, მხოლოდ ეს არის ნათქვამი: «Выдающийся грузинский писатель и общественный деятель, основоположник критического реализма в груз. литературе»⁷ (მერე მიდის მოკლე ბიოგრაფია); აკაკი წერეთელზე ნათქვამია: «Выдающийся грузинский поэт», გიორგი წერეთელზე: «Выдающийся грузинский писатель и публицист»; ნიკო ნიკოლაძეზე: «Грузинский общественный деятель, публицист и литературный критик».

ახლა შედარებისათვის ენახოთ, რა არის ნათქვამი, მაგალითად, ტ. შევჩენკოზე: «Великий украинский народный поэт, художник, революционер-демократ, борец против феодализма и крепостничества».

ასეთივე მალაი შეფასება აქვს მიცემული ბელორუსი ხალხის საამაყო მოღვაწეს 60-იანი წლების რევოლუციონერ-დემოკრატს კ. კალინოვსკის, სომეხი ხალხის სახელოვან შვილს მიქაელ ნალბანდიანს და სხვებს.

ძალიან დამახასიათებელია «დიდი საბჭოთა ენციკლოპედიაში» მოთავსებული განმარტებული სტატია «Революционные демократы», რომელშიც მოცემულია რუსეთში მოღ-

¹ იხ. სახელმძღვანელო «ქართული ლიტერატურის ისტორია», 1955 წ., გვ. 241

² იხ. «История грузинской литературы», 1952, მეორე ნაწილის მეორე თავი (ავტორი შ. რაბინაძე).

³ ჩვენ აქ უმთავრესად მხედველობაში გვაქვს სამეცნიერო ლიტერატურა და არა საერთადად გავრცელებული სტატიები.

⁴ «История СССР», том. II, Москва, 1959, стр. 278.

⁵ «История политических учений», М., 1960, стр. 541.

⁶ იქვე.

⁷ იხ. «Литературное наследство», ტომი 62, გვ. 402.

⁸ იხ. БСЭ, т. 47, 1957, გვ. 15.

ვაწე რევოლუციონერ-დემოკრატთა საერთო შეფასება. სტატია იწყება რევოლუციონერ-დემოკრატთა შემდეგი ზოგადი დახასიათებით: «Революционные демократы в России — участники русского революционно-освободительного движения, являвшиеся идеологами крестьянской демократии и борившиеся с крепостничеством и его пережитками: после реформы 1861 г., за свержение самодержавия путем народной революции... В годы революционной ситуации 1859—1861, когда вопрос об отмене крепостного права приобрел наибольшую остроту, выступила целая плеяда Р. Д., призывавших народ к революционной борьбе, разоблачавших политику либералов, направленную на сговор с царизмом».

ამის შემდეგ სტატიის ავტორი კონკრეტულად ასახელებს რუსეთისა და რუსეთის იმპერიაში შემაჯალი ერების რევოლუციონერ-დემოკრატებს, ბელანსის, გვრცენის, ჩერნიშევსკისა და დობროლიტოვის მრავალრიცხოვან მიმდევარსა და თანამებრძოლთა სახელებს, მაგრამ მათ შორის დასახელებული არ არის არც ერთი ქართველი რევოლუციონერი — დემოკრატი. შემთხვევითია, თუ არა ეს ფაქტი? რა თქმა უნდა, არა. ავტორი, რომელიც ძველ თეორიას მიჰყვება, სახეებით ლოგოვრად იმეცება: მართლაც, თუ ქართველი სამოციანელები ლიბერალები იყვნენ, როგორღა შეიძლება იმათი მოთავეება გლეხური დემოკრატიის იდეოლოგიებს შორის, რომლებიც ებრძოდნენ რა ცარინშს, ამავე დროს დაუნდობლად ამოთრახებდნენ ლიბერალებსაც, რომელთა პოლიტიკა ნამდვილად იყო მიმართული „на сговор с царизмом“.

ასე ცალმხრივად და დამახინჯებულად არის წარმოდგენილი ჩვენი სახელოვანი სამოციანელების ღვაწლი „დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში“.

დაბოლოს, გადავავლოთ თვალი აგრეთვე ისეთ ფრიალ მნიშვნელოვან გამოცემას, როგორცაა ზემოთხსენებული მრავალტომეული „Всемирная история“. ეს გამოცემა სამართლიანად არის მიჩნეული საბჭოთა ისტორიოგრაფიის უდიდეს მიღწევად; მასში თანამედროვე მეცნიერების თვალსაზრისით არის განხილული, განალიზებული და შეფასებული ყველა ქვეყნის, მათ შორის საბჭოთა კავშირში შემაჯალი ერების ისტორიის უმნიშვნელოვანესი ფაქტები და მოვლენები. ამიტომაც, რომ ამ გამოცემის ყოველ ტომს დიდი ინტერესით მოვლის საბჭოთა მკითხველი, ამ ცოტა ხნის წინათ გამოვიდა სხენებული გამოცემის მესამეც ტომი, რომელშიც გაშუქებულია მსოფლიო ისტორიის სწორედ ჩვენითვის საინტერესო მონაკვეთი. ტომში, რუსეთისადაც მიძღვნილ თავ-

ში მოიპოვება სპეციალური პარაგრაფი «Развитие революционного движения в 60-х годах. Продолжение буржуазных реформ в 1863—1874 гг. ამ პარაგრაფში, რომელიც მოცულადაა დაახლოებით ერთი თანახმად, ერცლად არის წარმოდგენილი რევოლუციური მოძრაობა როგორც რუსეთის, ისე რუსეთის იმპერიაში შემაჯალი ხალხებისა გასული საუკუნის 60-იან წლებში დახასიათებულია ამ მოძრაობის ყველა ცოტა თუ ბევრად თვალსაჩინო მოღვაწე, მათ შორის ზემოთხსენებული კ. კალინოვსკი და გ. ნალბანდიანი, რომელთა ბიოგრაფიებს დაახლოებით ნასვეარი გვერდები უჭირავს, მაგრამ არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი ქართველ რევოლუციონერ-დემოკრატებზე, — ისინი უბრალოდ ნახსენებიც კი არ არიან.

ამრიგად, საბჭოთა კავშირის ხალხებისა და მთელი კაცობრიობის წინაშე ჩვენი ერის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე ბრწყინვალე ხანა წარმოდგენილია სრულიად გაღარიბებულად; გამოიღს, რომ ფეოდალიზმის რღვევისა და კაპიტალიზმის გამარჯვების ხანაში ყოველ ერს ჰყავდა რევოლუციონერები, — ამ საზოგადოებრივ ძალთა ბელადები, რომელნიც ქმნიან ყოველგვარ გარდაქმნას¹, — ისინი არ ჰყოლია მხოლოდ ქართველ ერს².

ეს რომ მართალი იყოს, მაშინ რა გვეთქმოდა, მაგრამ რომ არ არის მართალი?! ჩვენ მოგვეპოვება უამრავი ფაქტობრივი მასალა, რომელიც უდავოდ ამტკიცებს, რომ ზემოთხსენებულ ხანაში ქართველ ერს ჰყავდა არა ერთი, ან ორი, არამედ მთელი გუნდი სახელოვანი რევოლუციონერებისა, რომლებიც ღირსეულად მიუძღოდნენ წინ ერს მის დაუღვრებელ ბრძოლაში ყველა ჯერის მშაგერელთა წინააღმდეგ, ეროვნული და სოციალური თავისუფლებისათვის.

შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ ქართველ სამოციანელთა მოღვაწეობის ზემოთხსენებული არასწორ შეფასება შედეგია ზოგიერთი ავტორის არაობიექტიური და ტენდენციური დამოკიდებულებისა მათ მიმართ, მაგრამ ეს ასე არ

¹ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 17, გვ. 134

² ზოგიერთი ავტორი, სამწუხაროდ, უფრო შორსაც მიდის და ქართველ სამოციანელებს ადგილს არ უთმობს არა თუ რევოლუციონერ-დემოკრატიული მიმართულების მოღვაწეთა შორის, არამედ საერთოდ XIX საუკუნის რუსეთის ხალხთა მოწინავე საზოგადოებრივ აზრის წარმომადგენელთა შორისაც კი (იხ. მაგალითად, ს. მიხაილვის სტატია ეურნალში „ეობრის ფილოსოფია“. 1952 წ., № 5, გვ. 180—189).

არის. თავისთავად ცხადია, რომ იმ ავტორებს, რომლებიც საგანგებოდ არ შეისწავლიან თერგდალეულთა მოღვაწეობას და მხოლოდ ძველი თეორიის დამცველთა ნაშრომებს დაეყრდნობიან, რაგინდ ყოფი გაწყობილებაც არ უნდა ქონდეთ თერგდალეულებისადმი, მიიწე არ შეუძლიათ მათი ღირსეულად დაფასება. ამის მაგალითია, თუნდაც, ქართული ლიტერატურის ისტორიის ცნობილი მკვლევარი ვ. გოლცევი, რომელიც უდავოდ დიდი სიმპათიებით იყო გამსჭვალული ჩვენი კლასიკოსებისადმი და ბევრიც იწრომა მათი პოპულარიზაციისათვის, მაგრამ ამის მიუხედავად ილია ქვეყაძეს და მის თანამოაზრეებს, რა თქმა უნდა, ძველი თვალსაზრისის გაღვინით, — ისიც „ლიბერალურ-თავდაზნაურულ ჯგუფში“ ათავსებდა¹. მაშასადამე, საქმე პირად სიმპათიებსა და ანტიპათიებში ვი არ არის, არამედ საკითხის სწორ გაგებაში, ვ. ი. ნამდვილად მეცნიერული თვალსაზრისის შემუშავებაში, რაც, ცხადია, უპირველეს ყოვლისა ქართული მეცნიერების ამოცანაა.

ჩვენი ღრმა რწმენით, ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიის კვლევებიდან წინ ვერ წავა, თუ არ დაეძლიეთ თერგდალეულთა შესახებ ჩვენი გავრცელებული ყალბი თეორიები. მათ შორის, როგორც ითქვა. ყველაზე გავლენიანი და, მაშასადამე, დღევანდელ პარტიზანულ ჩვენი კულტურისათვის ყველაზე მეტი ზიანის მომტანი უდავოდ ს. ზენდაძისა და მისი მიმდევრების დამოკიდებული კონსტრუქცია, რომელიც მით უფრო მეტ საფრთხეს შეიცავს, რომ თანამედროვეობის ყველაზე მოწინავე თეორიის — მარქსისტულ-ლენინიზმის სახელით გამოდის, მარქსისტულობას ჩემულობს. ამიტომ ამ კონსტრუქციის უნიადაგობის დასაბუთება ჩვენი ისტორიოგრაფიის გადაუღებელი ამოცანაა².

2. ბურჟუაზიისა და მისი იდეოლოგიის ისტორიული როლის ორგანიზაცია: ხალხი და მეცნიერული.

ძველი თეორიის დამცველთა შეცდომების ერთ-ერთი მთავარი წყარო ჩვენებური ბურჟუაზიისა და მისი იდეოლოგიის ისტორიული როლის არასწორი გაგებაა.

ისტორიოგრაფიულ მიმოხილვიდან, რომელსაც ჩვენ ზემოთ გავხილეთ, მკითხველი უნდა დაინახავდეს, რომ ძველი თვალსაზრისის დამცველები წინანდელი მოაზროვნეებიცა და საბ-

ჭოთა მკვლევარებიც) ბურჟუაზიის, როგორც აღმავე კლასის, სოციალ რეფორმითა ეპოქის ყველაზე მოწინავე კლასად და ჩამორჩენილნი პროლეტის რეზორსირებად, სოციალ ანტიპროლეტარული რევოლუციური მოძრაობის მთავარ ხელმძღვანელად და მამოძრავებელ ძალად; ამის შესაბამისად, საქართველოს ბურჟუაზიის მამინდელი იდეოლოგიაც მათ მიანიათ ყველაზე მოწინავე, დემოკრატიულ იდეოლოგიად, რომელიც ეთიომ გამოხატულია ნაშრომებში, რომლებიც ხალხის სურველებსა და მისწრაფებებს, მისი სოციალური და ეროვნული თავისუფლების იდეებს. ეს აზრი გერ კიდევ XIX საუკუნეში იყო გარკვევით გამოთქმული³, მაგრამ განსაკუთრებით მწყობრად და რელიგიურად ის ნაშრომებიდან უკანასკნელი წლებში მანძილზე გამოხატული ნაშრომებში, რომლებიც საქართველოს ისტორიისა და ქართული საზოგადოებრივი აზრის ცნობილ მკვლევართა კლასს ეკუთვნის. იმისათვის, რომ მკითხველმა კონკრეტულ მაგალითებზე დაინახოს, თუ როგორ ესმით ზემოთხსენებული ძველი თეორიის თანამედროვე მომხრეებს ბურჟუაზიისა და მისი იდეოლოგიის როლი, ჩვენ თავს ნებას მივცემთ მაგალითისათვის მოვიყვანოთ ამონაწერები პროფესორების ა. კიციძისა და ი. კაჭარავის ნაშრომებიდან.

ნაშრომი „საქართველოს ისტორია“, რომლის პირველი ნაწილი (XIX ს.) 1954 წელს გამოვიდა, ხოლო მეორე ნაწილი (XIX—XX სს.) — 1959 წელს, ა. კიცივი ერთდროულად ილია ჩვენთვის საინტერესო პრობლემას და ცდილობს განავითაროს და გააუმჯობესოს ვ. წერეთელ — ს. ზენდაძის თეორია.

„ხალხი და მისი ცხოვრება, — ამ უმთავრესი საგანი და სარბიელი ქართველი მებრძოლი ინტელიგენციის მოქმედებისა. ასეთ მოთხოვნისა და აუცილებელი დემოკრატიული იდეებით შეიარაღებულ ახლი თანამედროვედღერი არისტოკრატიის წინააღმდეგ. თერგდალეულები — ილ. ქვეყაძე, ა. წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, კირილე ლორთქიფანიძე, სერგეი მესხი და სხვ. მკაცრად გამოდნენ ძველ მემამულეობას, ქადაგებდნენ სოციალური თანასწორობისა და ეროვნულ-პოლიტიკური თავისუფლების იდეებს. თერგდალეულებმა მწერლობას მიზნად დაუსახეს ხალხის ცხოვრების ასახვა, ხალხის განათლება და აღზრდა და მთელი თავიანთი შემოქმედებითი პრაქტიკა ამ მხრით წარმოიტეს“⁴.

¹ იხ. «Илья Чавчавадзе», избр. произведений, М., 1950, გვ. 7.

² ს. ზენდაძისა და მისი მიმდევრების კონსტრუქციის ჩვენ სიმოკლესათვის ზოგჯერ „ძველ თეორიას“ ან „ძველ თვალსაზრისს“ ვუწოდებთ.

³ მაგალითად, 1894 წელს ნ. ნიკოლაძე წერდა: „ერისა და ქვეყნის გამოშყვანი სიღარიბისა და შინობისაგან, უმეტრებისა და უსწორ-მასწორობისაგან ყოველთვის და ყოველგან... ბურჟუაზია ყოფილა და იქნება“.

⁴ იქვე, გვ. 61.

წერს ა. კიკვიძე, და უოველივე ეს უდავო კუშმართებია. მაშასადამე, ვისი იდეოლოგიები ყოფილას თერგდალეულები? თითქოს აქ პასუხი ხათელი უნდა იყოს: ავტორის მსჯელობიდან ლოგოკურად ვაიოდის, რომ თერგდალეულები ხალხის (ძირითადად გლეხობის) იდეოლოგიები ყოფილან, მაგრამ არა, ავტორი სრულიად იოლოდნულ პასუხს იძლევა, ის ცვილობს დაგვარწუნოს, რომ თერგდალეულები... ხალხის მწავლებლის, ბერეუებისა და გაბერეუების გზაზე შეძღვარი თავადხანერობის იდეოლოგიები არიანი. აი, სად იჩინა თავი ურდობართი, ძველი თეორის გველენამ! ავტორის სიტყვით, „ილია ჭავჭავაძე ქადაგებდა აგრაოულ კაპიტალიზმს, მემამულეობის შეზრდას კაპიტალიზმით“¹, რაც შეეხება გ. წერეთელსა და ნ. ნიკოლაძეს, მართალია 60-70-იანი წლების მათს წერებებში „გატარებულა ფართო დემოკრატიული პრინციპები, მაგრამ ის ხელს არ უშლიდა იმას, რომ მათი სახით „ღრობა“ და მისი დამატება „კრებელი“ განვიხილო, როგორც ბერეუაზიული საზოგადოების მისარწენი“², ე. წ. პირველი დასიცი და მეორე დასიცი ბერეუაზიული იდეებს ქადაგებდა ოდნურ „მეორე დასიცი უფრო მიუახლოვდა კაპიტალიზმისაგან გამოწვეული ღროის მოთხოვნილებას და იწყო სამარწველო ამხანაგობებისა და რიგ წარმოებათა დაარსების პროპაგანდა. ასევე, კაპიტალიზმური პროგრესის გზისაკენ მიუთითებდა პირველი ხალხს ილი. ჭავჭავაძეც, თემცვა, როგორც აღენიშნეთ, ეს იყო მემამულერი მერენობის კაპიტალიზმში გადხარდის გზა“³. ავტორი დაწმუნებელია, რომ „დემოკრატიული თავისუფლების პრინციპები“ და „დადამინთა თანასწორულებიანობის მოთხოვნა“, რომელსაც თერგდალეულები ქადაგებდნენ, „ემსახურებოდა ახლად წარმოქმნილი ბერეუაზიული საზოგადოების მოთხოვნას, ახლგაზრდა ბერეუაზიული კლასის ინტერესებს და წარმოიღვენდა ამ კლასის მოქმედების იდეოლოგიურ გამოხატულებას“⁴.

კიდევ უფრო მეტი სითამამით იცავს ზემოთგამოთქმულ შემცდარ თვალსაზრისს ა. კაპარავა; ის თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს ძველი თეორიის ტრადიციულ და უკვე გაცვეთილი დებულებებს, შემდეგ კი თავს ესხმის იმ მკვლევარებს, რომელთაც „არ ესმით“, თუ როგორი „პროგრესული“ ბზრების გამოხატველი იყო ვასულ საუკუნეში სიტყვები „ბერეუა“ და „ბერეუაზიული“. შემდეგ ავტორის

მოაქვს ციტატი ვ. ი. ლენინის ცნობილი ნაშრომიდან „რა დემოკრატიულია ვაისათ დროს“, რომელშიც, ა. კაპარავის აზრით, „წინადადება ვარაუდის, რომ ბერეუაზიული საზოგადოების ხალხი ყოფილა, როგორც ეს „ზოგიერთებს“ წარმოედგენია; რომ ისინი „პროგრესისა და ცივილიზაციის მდროშე იყვნენ“⁵ და ა. შ.

სამწუხაროდ, მთელი ეს მსჯელობა გაუგებრობის ნაყოფია. ჩვენი ავტორების (ძველი თეორიის დამცველების) შეცდომა ის არაა, რომ მათ ევროპის მოწინავე სახელმწიფოთა ბერეუაზიული განვითარების კანონზომიერებანი პირდაპირ, მემანიერად გადმოაქვთ საქართველოში და არაეითარ ანგარიშს არ უწევენ არც დროთა ბრუნვით გამოწვეულ ისტორიულ ცვლილებებს, არც ადგილობრივი ვითარების თავისებურებებს. იქ, ევროპაში, კერძოდ საფრანგეთში ბერეუაზი მართლაც ანტიფეოდალური რევოლუციის ხელშეწყობის ძალი და იმდროინდელი პროგრესისა და ცივილიზაციის მდროშე იყო; სწორედ ბერეუაზი ხელმძღვანელობდა იქ. ე. წ. „მესამე წოდების“ (მათ შორის გლეხობის) ბრძოლას ბატონყმური წესწყობილების წინააღმდეგ და ამ ბრძოლაში გლეხობა მისი ერთგული მოკავშირე იყო, ბერეუაზი კი — გლეხობის ინტერესების ერთგული დამცველი, რევოლუციური ძალი, რომელიც ახანაზრებდა ძველ სამყაროს.

მაგრამ ყოველივე ეს იყო საფრანგეთის დიდი რევოლუციის ეპოქაში. მომდევნო ხანაში, თუნდაც უკვე 1848 წლის ბერეუაზიული რევოლუციების პერიოდში, თვით ევროპაშიც კი ძირფესვიანად შეიცვალა რევოლუციაში ბერეუაზიის როლი და, მაშასადამე, შეიცვალა ბერეუაზიული რევოლუციების მამოძრავებელი ძალების ხასიათი. ეს ცვლილება კიდევ უფრო მეტადვე გამოიხატა რუსეთის იმპერიაში რუსეთის პირველი ბერეუაზიული-დემოკრატიული რევოლუციის მომზადებისა და გატარების (1861 — 1905 წლების) პერიოდში.

ეს საკითხი ლენინიზმში დიდი ხანია გადაწყვეტილია და სამწუხაროა, რომ ღღეს კვლავ გვიხდება ამავე მსჯელობა, მაგრამ, როგორც ჩანს, უამისოდ ვერ მოვიშორებთ ძველ ტვირთს, რომელიც ლოდივით გვაწევს და წინსვლას გვიშლის. ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ მოვიყვანოთ სათანადო ამონაწერები ვ. ი. ლენინის ნაშრომებიდან.

ეხება და ანალიზს უკეთებს რა ჩვენთვის საინტერესო საკითხს, ვ. ი. ლენინი თავის სამპროგრამო ნაშრომში „სოციალ-დემოკრატიის

¹ იქვე, გვ. 70.
² იქვე, გვ. 75.
³ ა. კიკვიძე, „საქართველოს ისტორია“, II, 1959 წ., გვ. 77.
⁴ იქვე, გვ. 76.

⁵ იხ. ა. კაპარავა, სოციალურ-პოლიტიკური ცხოვრების განსაკუთრებული პირობები და გლეხთა რევოლუციური მოძრაობის თავისებურებანი საქართველოში“, 1959 წ., გვ. 43-44.

აგრარული პროგრამა რუსეთის 1905 — 1907 წლების პირველ რევოლუციამი, ამბობს: „...არქისტიკების ერთი ნაწილი, სახელდობრ მარჯვენა ფრთა, ყოველთვის კმაყოფილდებოდა ბურჟუაზიული რევოლუციის ზოგადი, აბსტრაქტული, შაბლონური გაგებით და ვერ შესძლო გაეგო ამ ბურჟუაზიული რევოლუციის, სწორედ როგორც გლეხური რევოლუციის განსაკუთრებული ხასიათი... როგორც ცნობილია, ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის მომხდარი გათიშვის დასაწყისში, 1903 წელს, კატეტიკ უკანასკნელთა მხარეზე დადგა. 1907 წელს, რუსეთის რევოლუციაზე დაკვირვების შემდეგ, რომლის შესახებაც არა ერთხელ დაუწერია კაუციუს, იგი ერთბაშად მიხვდა, რა შეცდომა დაუშვა პლენუმმა, რომელმაც მის თავისი ცნობილი შეკითხვის ფურცელი გაუგზავნა. ამ შეკითხვის ფურცელში პლენუმზე ვკითხებოდა მხოლოდ რუსეთის რევოლუციის ბურჟუაზიულ ხასიათზე და არ გამოაყოფდა გლეხური ბურჟუაზიული რევოლუციის ცნებას, არ ცდილობდა გაეჩინა ფრჩხილები: „ბურჟუაზიული დემოკრატია“, „ბურჟუაზიული იმპერიული პარტიზმი“. გაუცემი გაასწორა ეს შეცდომა და პლენუმის უკანასკნელმა, რომ ბურჟუაზია არ წარმოადგენს რუსეთის რევოლუციის მამოძრავებელ ძალას, რომ ამ გაგებით ბურჟუაზიული რევოლუციების დრო წასულია, რომ „ინტერესთა მტკიცე ერთობა მთელი რევოლუციური ბრძოლის პერიოდში არსებობს მხოლოდ პროლეტარიატსა და გლეხობას შორის (დასახელებული ბროშურა, გვ. 30-31); რომ „სწორედ ეს (ინტერესთა ეს სიმტკიცე) უნდა დაედოს საფუძვლად რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მთელ რევოლუციურ ტაქტიკას“ (იქვე, გვ. 31). აქ სრულიად ნათლად არის გამოთქმული ბოლშევიკური ტაქტიკის საფუძვლები წინააღმდეგ მენშევიკურისა... პლენუმმა ვერ გაიგო გლეხური ბურჟუაზიული რევოლუციის არა გლეხური ბურჟუაზიული რევოლუციისაგან განსხვავების საკითხი“¹.

სხვა ადგილას, სახელდობრ ნაშრომში „პროლეტარიატის ბრძოლის მიზანი ჩვენს რევოლუციამი“, ლენინი კვლავ უბრუნდება ამ საკითხის ისტორიას და ამბობს:

„პლენუმის მეორე შეცდომა კაუციუსი გაასწორა იმით, რომ ნათლად და გარკვევით გამოიჯნა „ლიბერალური“ და გლეხური ბურჟუაზიული დემოკრატია... შეენიშნა, რომ კაუციუსი, როდესაც იცავს ტრადიციის ბურჟუაზიულ რევოლუციამი პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირის იდეას, არსებითად არავითარ „ახალ“ იდეას არ აყენებს, არამედ სავსებით

მოდის მარქსისა და ენგელსის გზით. მარქსი 1848 წელს „რეინის ახალ გაზეთში“ წერდა: „მსხვილია ბურჟუაზიამ, — ტაბორკერე ვერსტანს წლის 18 მარტის შემდეგ ღირსეულად ბურჟუაზიაზე, — თავიდანვე ანტირევოლუციურმა, თავდაცვითი და შეტევითი კავშირი დასდო რეაქციასთან ხალხის შიშით, ე. ი. მუშებისა და დემოკრატიული ბურჟუაზიის შიშით“. გვერდების 1848 წლის რევოლუცია, — წერდა მარქსი 1848 წლის 29 ივლისს, — საფრანგეთის 1789 წლის რევოლუციის მხოლოდ პაროდია არის... საფრანგეთის 1789 წლის ბურჟუაზიის ერთი წუთითაც არ მიუტოვებია თავისი მოკავშირეები, გლეხები... გვერდების 1848 წლის ბურჟუაზია სრულიად ურცხვად დალატობს გლეხებს...“

მარქსი აქ ბურჟუაზიული რევოლუციისადმი დამოკიდებულებაში აშკარად უპირისპირებს ერთმანეთს რეაქციასთან შეკავშირებულ კონტრ-რევოლუციურ ბურჟუაზიასა და მუშათა კლასს პლუს დემოკრატიული ბურჟუაზია, ე.ი. უმთავრესად გლეხობა“².

ამრიგად, ჯერ კიდევ მარქსი და ენგელსი აღნიშნავდნენ, და უფრო გვიან ეს კაუციუსაც შენიშნა, რომ 1848 წლიდან მოყოლებული ბურჟუაზიული რევოლუციებში ბურჟუაზია აღარ გამოდიოდა როგორც მისი მამოძრავებელი ძალა და პროლეტარიატს, რომელიც ძველი წყობილების წინააღმდეგ ყველაზე თანმიმდევრული მებრძოლი იყო, გვერდში ედგა (როგორც მოკავშირე) არა ბურჟუაზია, არამედ გლეხობა. დიდმა ლენინმა, რომელიც მარქსისა და ენგელსის მოძღვრებას ვერცდნობოდა, რუსეთის ბურჟუაზიული რევოლუციის ძალთა კონკრეტული ანალიზის საფუძველზე შეიმუშავა ბოლშევიკური პარტიის ახალი ტაქტიკური ხაზი და მუშათა კლასი წაიყვანა არა ლიბერალურ ბურჟუაზიასთან, არამედ გლეხობასთან, მკვიდრი კაუციუსის მეთისა და მემამულეების ძალაუფლების დასამხობად³.

შესაძლოა ჩვენ შემოგვედონ და გვითხრან, რომ ყოველივე ეს სწორია 1905 — 1907 წლების რევოლუციის პერიოდისათვის, მაგრამ არ ურცხვდება გასული საუკუნის 60-70-იანი წლების ხანაზე. ამის გასამართლებლად ჩვენ მივუთითებთ ლენინის მიერ არაერთხელ გამოთქმულ კემზარტებებზე იმის შესახებ, რომ

¹ ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 15, გვ. 459 — 460

² უფრო დაწვრილებით ახსნი-განმარტებას აქ აღჭრულ საკითხზე მკითხველი იპოვებს ვ. ი. ლენინის კლასიკურ ნაშრომში „სოციალ-დემოკრატიის ორი ტაქტიკა დემოკრატიულ რევოლუციამი“ (თხზულებანი, ტ. 9).

„1861 წელს წარმოშვა 1905 წელი¹ და რომ 1860-იანი წლების ლიბერალები და ჩერნიშევსკი წარმომადგენლები არიან თბა ასტორიული ტენდენციისა, არი ისტორიული ძალისა, რომელიც მას შემდეგ დღევანდლამდე განსაზღვრებენ ახალი რუსეთისათვის ბრძოლის შედეგს“².

ასეთი რუსეთის ბერევაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის მომხაღვბისა და გატარების პერიოდში (1861 — 1905 წწ.) ბერევაზიისა და მისი იდეოლოგიის როლის მეტეორული გაგება.

ამის შემდეგ გასაგები და საესებით ბუნებრივია, რომ ლენინი ყოველთვის დაუნდობლად ამბობდა ბერევა-ლიბერალების პოლიტიკას, დასცილდა მათ შემარავებლურ-ლაქაურ სულს, ზრდიდა მუშათა კლასს და მშრომელ გლეხობას ბერევაზიასთან შეტრეგბლობის სულისკვეთებით. ლენინი თითქმის ყოველთვის ზიზღით ლაპარაკობდა ლიბერალებზე (ე. ი. ბერეველებზე) და იშვიათად თუ დასუდებოდა თბილი სიტუება ბერევაზიის რომელიმე იდეოლოგზე³. წერილში „საგლეხო რეფორმა და პროლეტარულ-გლეხური რევოლუცია“, ლენინი 60-იანი წლების ლიბერალების შესახებ ამბობდა:

„ლიბერალებს უნდოდათ რუსეთი „განთავისუფლებით“ „ზევიდან“, არ დაერღვიათ არც მეფის მონარქია, არც მემამულეთა მიწათმფლობელობა და ბატონობა, და მხოლოდ უჩევედნენ მათ „დათმობით“ ღროის მოთხოვნებისათვის... 60-იანი წლების ლიბერალებს ჩერნიშევსკიმ „მოლაუბენი, მკეხარები და სუფლები“ უწოდა ვინაიდან ის ნათლად ხედავდა მათ შიშს რევოლუციის წინაშე, მათ უხასიათობას

და ყრმობრილ მონობას ძლიერთა წინაშე... ყოველივე ამის შემდეგ რაღა ფასი უნდა ქონდეს ზოგიერთი ზენი ისტრუქციული უბეუცებას იმის შესახებ, თითქოს გლეხურ-რევოლუციის 60-იანი წლებში ბერევა-ლიბერალები „პროგრესისა და ცივილიზაციის მედროშენი“ იყვნენ? ასე წერა და ასე მსჯელობა მხოლოდ იმ ადამიანებს შეუძლიათ, რომლებიც სათანადოდ ვერ იცნობენ რუსეთის ბერევაზიულ რევოლუციაში ბერევაზიის როლის ლენინერ თეორიას, რაზედაც ეს-ეს არის ვეკონდა საუბარი.

გაცილებით უფრო თანმიმდევრულ, თქმცა ამკარად არასწორ პოზიციაზე დგანან ის თანამედროვე რუსი ისტორიკოსები, რომლებიც თავიანთ განსაზღვებულ ნაშრომებში თერგდალეულთა მიღეაწეობას ეხებთან და მათი საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებების კლასიზირეი არსის განსაზღვრას ცდილობენ. რუსი საბჭოთა ისტორიკოსები (ყოველ შემთხვევაში მათი უმრავლესობა) ამ საკითხში ქართული ისტორიკოსების ნაშრომებს ვერდნობან და ამის შესაბამისად თერგდალეულებს ისინიც ლიბერალებად, ე. ი. ბერევაზიის იდეოლოგებად სთვლიან, მაგრამ ქართულ ისტორიკოსთაგან (ძველი თეორის დამკველთაგან) განსხვავებით, ისინი სავანს პირდაპირ თავის სახელს არქმევენ და თქმცა აღიარებენ თერგდალეულთა ერთგვარ პროგრესულ როლს ქართული კულტურის განვითარებაში, სრულიადეც არ ცდილობენ ლიბერალები „პროგრესისა და ცივილიზაციის მედროშეებად“ გამოაცხადონ. აი, მაგალითად, როგორ არის შეფასებული თერგდალეულთა მიღეაწეობა და იდეოლოგია ზემოთ ჩვენს მიერ უკვე ნახსენებ, სსრ კავშირის ისტორიის უმაღლესი სკოლის სახელმძღვანელოში:

«В Закавказье национальное движение среди дворянской и буржуазной интеллигенции в первую очередь проявилось в Грузии и Армении. В Грузии оно было представлено двумя группами: либерально-помещичьей (газета «Иверия», призывавшей дворян стать во главе капиталистического развития), и буржуазно-либеральной (Г. Церетели, Н. Николадзе и др.), ратовавшей за развитие промышленности и торговли. Обе группы, играя прогрессивную роль в развитии грузинской культуры, грузинского языка и литературы, отражали чаяния грузинской буржуазии, стремившейся к овладению национальным рынком. Обе группы стремились ужиться с царизмом и стояли

¹ ე. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 17, გვ. 132.

² იქვე, გვ. 128 — 129.

³ რამდენიმე ასეთი თბილი სიტუება ლენინს ნათქვამი აქვს ცნობილ ბერევა სკალდინზე და მის მსგავს ლიბერალ-განმანათლებლებზე წერილში „რა მემევიდროებაზე ვამბობთ უარს?“ ლენინის ამ სიტყვებს სრულიად უდავლოდ ამოწმებს ი. კავარავა ზემოთ ჩვენს მიერ უკვე ციტირებულ ნაშრომში. ლენინი სკალდინს უწოდებს განმანათლებელს, რაც საესებით სწორია, რადგან 60-იანი წლებში განმანათლებულთა რიგებში დემოკრატებთან ერთად არამუშათად ლიბერალებიც მოხვდებოდნენ ზოლმე, მაგრამ არც ერთი ლიბერალი არ ამაღლებულა და არც შეიძლებოდა, რომ ამოღებულყო რევოლუციური დემოკრატების პოზიცებაზე; ლენინს აზრადეც კი არ ქონია ბერევა-ლიბერალი სკალდინი ჩერნიშევსკი — დობროლიუბოვის სიმადლებე აყუყანა და მათთვის ვეთანაბრება.

¹ ე. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 17, გვ. 129 — 130.

на страже интересов господствующих классов грузинской нации»¹.

ამ სტრატეგიის ავტორმა, ცხადია, ცუდად იცის საქართველოს იმ პერიოდის ისტორია, სამაგიეროდ არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ მან კარგად იცის თეორია: ვინც იტყვის თერგდალულებზე ლიბერალებთან, მან ისიც უნდა იტყვას, რომ ისინი შეფხის და ვაბატონებულ კლასების ლაქები აჩიანო; ხოლო ვინც იმას გვიქადაგებს, რომ ჩვენებური ბურჟუაზიები უნდა „პროგრესისა და ცივილიზაციის მედროშენი“ იყვნენ, — ის თვალს გვიხვევს.

მეოთხედა, რა თქმა უნდა, შეაშინებდა, რომ აქამდე ხვენ უმთავრესად ვლადიმეროვიძის რუსეთის ბურჟუაზიაზე, მაგრამ რამდენად საჭიროა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, ჩვენ სრული უფლება გვაქვს იმდროინდელი რუსეთის სოციალური ცხოვრების შესახებ გამოთქმული ზოგად-თეორიული დებულებანი საქართველოზედაც გავაყრდნობოთ; ცხადზე უნდა დავსვათ, რომ ყოველივე ის, რასაც დღევანდელი რუსეთის ბურჟუაზიის ბოლის შესახებ ამბობს, შეეხება საქართველოს ბურჟუაზიასაც. რომელიც ეროვნებათ უმთავრესად სომხური, რუსული და გერმანიული წარმოშობის კაპიტალიზტებისაგან შესდგებოდა.

რაც შეეხება საყოფიერო ქართულ, ეროვნულ ბურჟუაზიას, — რეფორმების წინ და თვით რეფორმების ხანაში (60-იან წლებში) მის არა თუ „პროგრესისა და ცივილიზაციის მედროშობა“ არ შეეძლო, არამედ ის იმ დროს არც კი არსებობდა როგორც კლასი. თანამედროვე ქართულ საისტორიო მეცნიერებაში საკლებით დამტკიცებულა და აზიან დაკობს იმის შესახებ, რომ რეფორმების წინ და თვით რეფორმების ხანაში ქართველი ეროვნული ბურჟუაზია როგორც კლასი არ არსებობდა და მხოლოდ ჩანასახ მდგომარეობაში იმყოფებოდა. მისი როგორც კლასის ჩამოყალიბება მოხდა რეფორმის შემდეგ პერიოდში. 60-იან წლებში საქართველოში არ ყოფილა არც ქვანახშირის (არსებობდა) და არც მარგანეტის მრეწველობა, არ ყოფილა არც ბათუმის ნავთის გადამამუშავებელი ქარხნები (მათივე იმ დროს ჯერ კიდევ თერქეთის ხელში იყო), არ ყოფილა არც ფოთის ნავთსადგური, არც ერთი რკინიგზა და

საინჟინერო ქალაქი; მთელი მშენებელი სექტორი ეროვნულ მრეწველობა, რომელიც თავმოყრილი იყო თბილისში და რამდენიმე ქალაქში, თითქმის მთლიანად უცხო კაპიტალისტების ხელში იყო.

მაგრამ საისტორიო მეცნიერებასაც რომ თავი დაეანებოთ, განა ქართული კლასიკური ლიტერატურის ყოველი მკვლევანათვის ნათელი არ არის, რომ 60-იან წლებში ჩვენში ეროვნულ ბურჟუაზია მხოლოდ ჩანასახ მდგომარეობაში იმყოფებოდა? სოლომონ ისაკიან მეჯღანუაშვილი უდავოდ იმდროის ტიპური ფიგურაა, მაგრამ განა სასაცილო არ არის ვამტყვიყოთ, რომ მეჯღანუაშვილები იმდროინდელი „პროგრესისა და ცივილიზაციის მედროშენი“ იყვნენ? ან კიდევ: ილია, აკაკი და მათი სახელოვანი თანამებრძოლები მეჯღანუაშვილების იდეოლოგები იყვნენ?

არა, ილია კავკავაძე მეჯღანუაშვილებს კი არ უმღეროდა, არამედ აკაკოს, ზაქაროს, გაბრიელს, პეტროს, ოთარაანთ ქვიციყს და გიორგის სწორედ ესენი — მშრომელი ქართველი გლეხობის წარმომადგენლები იყვნენ, ილიას ახრით, ქართველი ერის სული და გული, მისი მომავალი, და სწორედ მათზე ამყარებდა ის მთელ თავის იმედებს. ამ ფაქტის არ დანახვა ისტორიული სინამდვილის წინაშე თვალის დასუქვას ნიშნავს.

ამრიგად, არ არსებობს არავითარი საბუთი, არც თეორიული და არც ისტორიული, რომელიც ოდნავ მაინც მიგვიითხებოდა, რომ თითქმის ჩვენებური ბურჟუაზია „პროგრესისა და ცივილიზაციის მედროშე“ იყო. პირიქით, ყველიფრიდან ჩანს, რომ ასეთი აზრი დიდხინის დროშოქმული მითია, და ჩვენი მეცნიერული აზრის ჩამორჩენილობის ბრალია, რომ ეს მითი დღემდე ცოცხლობს.

4. ბურჟუაზიული რეფორმების ეპოქაში ნამდვილი დემოკრატია — გლეხური დემოკრატია.

თერგდალულთა მეშველებობის შეფასებაში დაშვებული სერიოზული შეცდომების მეორე წყარო გლეხობის ისტორიული როლისა და გლეხური დემოკრატის მნიშვნელობის არასწორი გაგებაა.

ძველი თვალსაზრისის დამცველები (წინანდელი მოაზროვნეებოცა და საბჭოთა ბელევიერებიც) ვერ ითვალისწინებენ რუსეთის პირველი ბურჟუაზიული რევოლუციის, როგორც გლეხური რევოლუციის, თავისებურებებს და გვერდს უდრიან ამ რევოლუციის მომხადებაში გლეხობის როლის საკითხს, რის გამოც მათთვის სრულიად გაუგებარი რჩება გლეხური დემოკრატის ისტორიული მნიშვნელობა. არ შეიძლება იმის უარყოფა, რომ ამ შეცდევართა კონ-

¹ იხ. «История СССР» том. II, М., 1959, стр. 278.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ სახელმძღვანელოში ილია, აკაკი, ნ. ნიკოლაძე და სხვა ქართველი რ. ბ. დემოკრატები გათანაბრებულია არა მ. ნაღბანდიანთან და სხვა რევოლუციონერ — დემოკრატებთან, არამედ „მშაქოს“ რედაქტორ არწრუნიანთან და მის მსგავს ბურჟუაზიულ ლიბერალებთან (იხ. იქვე).

ცეცხლში უდავოდ არის ერთგვარი ლოგოკა: რაკი მათ ისტორიული პროგრესის მედროშედ ბრყეუნი ალიარეს, გლეხობას, ცხადია, კედ-ში მოიხანალოს როლი უნდა რგებოდა და არც მისი საყრდენი გვირგვინი ბრძოლა და არც მისი იდეოლოგია თავდადებული მოღვაწეობა ანკარ-ში წასავდები არ უნდა ყოფილიყო, მაგ-რამ ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ მათი ლოგოკა სრულიად ყალბ წინამძღვრებზეა აშე-ნებული.

ჩვენ აქ აღარ გამოვუდგებით გლეხობაზე ჭარბულ ბრყეუნიულ მოპროცენთა შეხედუ-ლებების გარჩევას, რადგან ეს საჭირო არ არის: ისინი სწორედ იმიტომ იწოდებიან ბრ-ყეუნიულ მოპროცენებად, რომ ბრყეუნიის თვალსაზრისს წამოხატავენ, ბრყეუნია მიანი-ნათ ერის წინამძღვრად და ბრყეუნიის ისტორიებს იყავენ; ასეთ ხალხს კი, ცხადია, ვერ მოვთხოვთ გლეხობის როლის სწორი გაგე-რა მოვყოლო.

სულ სხვანაირად დგას საკითხი მეშათა კლასის იდეოლოგების — მარქსისტების მიმართ. სწორედ ისინი — მეშეხისა და გლეხების ინ-ტერესთა ეს ნამდვილი და თანმიმდევარი დამ-ცველები — ისტორიის მიერ მოწოდებული იყვნენ ამაღლებულიყვნენ გლეხობის როლის სწორ გაგებაში; სწორედ მათ მოვთხოვებო-დათ მეშათა კლასის მტერ-მოყვარის გარჩევა, ლიბერალური იდეოლოგიისაგან გლეხური დემოკრატიის გამოყოფა და მისი ისტორიული მნიშვნელობის სწორი, მეცნიერული გაგება.

ცნობილია, რომ რუსეთის პირველი მარქსის-ტული ჯგუფის — „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფის პროგრამის უველაზე სუსტი ადგილი სწორედ გლეხობის როლის არასწორი გაგება იყო. ამ ჯგუფის დამაარსებელი და ხელმძღვანე-ლი, გამოჩენილი მარქსისტი გ. პლენხანოვი ვერ აფასებდა გლეხობის როგორც რევოლუ-ციისში მეშათა კლასის მოკავშირის როლს. „პლენხანოვს ლიბერალური ბრყეუნია მიიხნდა ისეთ ძალად, რომელსაც შეეძლო რევოლუციის-სათვის მზარდაქვრა, თუმცა არამტკიცე მზარ-დაქვრა, გლეხობას კი ზოგიერთ თავის შრომისში იგი სრულებით არ იღებდა მხედველობაში“¹.

პლენხანოვის შეცდომაზეა შემდეგში საკმაოდ გააღდა ფესვები როგორც რუსეთის, ისე საქარ-თველოს სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობაში². საჭირო ვხვდებით დიდი ლენინისა და მისი თანა-მებრძოლების ხანგრძლივი და შეუბოყარის ბრძოლა ამ შეცდომების დასაძლევად, გასანაღ-გურებლად და უკუგაგდებად. მაგრამ ზოგი-ერთი ისტორიული საკითხის გაგებაში, კერძოდ

კი თერგდალეულთა მემკვიდრეობის შეფასე-რის ეს შეცდომები დღემდე არ არის ბოლო-მდე დაძლეული. სამწუხაროდ, ეს განტყობე-ბეების მშობლი აიხსნება იმ აბსურდის წარმოდე-ბით, რომელიც ამ საკითხში დიკავა ცნობილმა რევოლუციონერმა და საზოგადო მოღვაწემ ფ. მახარაძემ.

ჯერ კიდევ 1904 წელს, ნაშრომში „დანიელ კონქაძე და მისი დრო“, ფ. მახარაძე შემდეგ-ნაირად აბსიათებდა რევოლუციის ხანის სა-ჭარბველოს საზოგადოებრივ ვითარებას:

„რას წარმოადგენდა მეტარამეტე საუკუნის პირველ ნახევარში ჭარბველი საზოგადოება?“

ამ კითხვაზე პასუხის მიცემა ადვილი არ არის. როცა რომელიმე საზოგადოებაზე ვლა-პარაკობთ, ჩვენ განსაკუთრებით ხალხს ეს ნაწილი გვყავს მხედველობაში, რომელიც სა-ზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილე-ობას იღებს და საზოგადოებრივ განვითარებას თავის დაღს ასეამს. პროგრესული როლს თამა-შობს ესა თუ ის საზოგადოება, თუ რეგრესი-ულს, ეს სულ სხვა კითხვაა...

„...ქართული საზოგადოება ამ ნახევარი სიუ-კუნის წინათ თითქმის მარტო თავდაზნაურთა-ობისაგან შესდგებოდა. გლეხ-კაცობაზე არ შეიძ-ლება ვილაპარაკოთ, ვინაიდან იგი ყოველგვარ უფლებას მოკლებული იყო და ამიტომ მას არ შეეძლო საზოგადოებაში აქტიური მონაწილეო-ბის მიღება... რაც შეეხება სხვა საზოგადოე-ბრივ ელემენტებს... მხოლოდ ვაჭრები და ჩარ-ჩები ჩნდებოდნენ აქა-იქ, მაგრამ როგორც საზო-გადოებრივი ძალა, იმართ მნიშვნელობა ჯერ კიდევ მცირე იყო ამ ხანებში. ამნაირად დაგე-რჩა მხოლოდ თავდაზნაურობა... ბურთი და მოუდანი ამ ხანებში, რომლებზედაც ჩვენ ახლა ვლაპარაკობთ, საზოგადო ასპარეზზე სამოქმე-დლო, როგორც იყო კიდევ, ისევ მხოლოდ თავ-დაზნაურობას ჰქონდა დამოკიდობა“³.

ძნელი დასანახი არ არის, რომ აქ ავტორი აშკარად არამარქსისტულად უდგება ისტორიულ მოვლენათა ახსნას, ავტორობებს და არასწო-რად წარმოგვიდგენს ბრ-იანი წლების საქარ-თველოს საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარე-ბის სურათს.

მოდვებული შეცდომა ფეოდალურ-ბატონ-ყმური წყობილების რდევვისა და კაპიტალიზ-მის გამარჯვების ეპოქაში გლეხობის გამოთი-შეა საზოგადოებისაგან და მისი ისტორიული როლის არ დანახვა. „გლეხ-კაცობაზე არ შეიძ-ლება ვილაპარაკოთ, ვინაიდან იგი ყოველგვარ უფლებას მოკლებული იყო“, — ამბობს ავ-ტორი, მაგრამ ვანა ცხადზე უცხადესი არ არის, რომ გლეხობის უფლებობა ვერ გამოდგება

¹ საკ. კ. ბ. (ბ) ისტორია, მოყლე ჟურნალი, 1952, გვ. 20

² იხ. ამ საკითხზე „საქართველოს კომუნისტუ-რი პარტიის ისტორიის ნარკვევები“. 1957, გვ. 38-12.

³ „მწათობა“ № 11.

⁴ ფ. მახარაძე, თხზულებათა კრებული, ტ. V, გვ. 128 — 129.

იმის საბუთად, თითქმის იგი არავითარ აქტიურ მონაწილეობას არ იღებდა იმდროინდელი საზოგადოების ცხოვრებაში და „თავის დაღს“ არ აუვადა იმ ცხოვრებას? გლეხობა ბატონყმობის დროს რუსეთშიც ისეთივე უუფლებო წოდება იყო, როგორც საქართველოში, მაგრამ ვინ, რომელმა მარქსისტ-ლენინელმა უარყო რუსეთის გლეხობისა და მისი იდეოლოგიების — ჩერხნიშევსკის სახელოვანი თაობის უდიდესი ისტორიული როლი რუსეთის საზოგადოებრივ ცხოვრებაში? ან კიდევ: ვინ არ იცის დღეს, რომ თუშკა ქართველი გლეხობა ბატონყმობის დროს უუფლებო იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, და თუ ვნებათ სწორედ ამიტომ, ის თავგანწირვით იბრძოდა ბატონყმობის წყობილების წინააღმდეგ, იბრძოდა იმისათვის, რომ შოპოვეზინმა ეს უფლებები, შოპოვეზინმა მიწა და ადამიანური ცხოვრების პირობები. ფ. მახარაძემ მშვენიერად იცოდა, რომ მეცხრამეტე საუკუნის საქართველოში, განსაკუთრებით კი სწორედ ბატონყმობის გაუქმების წინ, საქართველოში გლეხობა იარაღით ხელში აქტიურად იბრძოდა მემაძღვრეებსა და მეფის მთავრობას, მაგრამ თავისი ველგარეული მეთოდის წყალობით ის ვერ ამჩნევდა იმ პირდაპირ კავშირს, რომელიც არსებობდა გლეხობის ამ ბრძოლასა და თერგდალეულთა რევოლუციურ იდეებს შორის.

როგორც ვიცით, ლენინმა ბელინსკის ცნობილ წერილში ვაგოლისადაც სრულიად სამართლიანად დაინახა ემა გლეხთა სულიერი განწყობილება; საკვირველია, რომ ჩვენმა მარქსისტებმა ეს განწყობილება ისეთ ნაწარმოებებშიც კი ვერ შეინიშნეს, როგორცია „აკო უხალი“ და „აჭრილი“.

უდავოდ შემცდარი და არამარქსისტულია ფ. მახარაძის ის აზრიც, თითქმის მარტო გლეხობის წრიდან გამოსულ მოღვაწეს შეუძლია გამოხატოს გლეხობის სულისკვეთება და მისწრაფებანი, ე. ი. ვახდეს გლეხობის იდეოლოგია. ეს თვალსაზრისი რომ სწორი იყოს, დიდი ხანი ნაშრომითყოფილ რევოლუციურ დემოკრატის სახელი რუსეთის ისეთ გამოჩენილ მოღვაწეებს, როგორც იყვნენ: ვერცინი, ოგარიოვი, ნერაზოვი, პისარევი, სალტიკოვ-შჩედრინი და მრავალი სხვა, რადგან ყველა ისინი თავდაზნაურთა წრიდან იყვნენ გამოსულნი; ასევე დემოკრატთა ბელორუსი ზაღის სიამაყეს, გამოჩენილ რევოლუციურ დემოკრატს კ. კალინოვსკისაც, რომელიც თუშკა შთამომავლობით აზნაური იყო, მაგრამ თავდადებით იბრძოდა გლეხობის ინტერესებისათვის.

დაბოლოს, სრულებით არ შეეფერება ისტორიულ სიმართლეს და არასწორია იმის მტკიცება,

რომ თითქმის დ. ჰონტაძე ზაღის წრიდან გამოსული ერთადერთი პირი იყო, რომელსაც ზაღისი კეთილდღეობა სწყურობდა. მისივე ყველა დანარჩენი იმდროინდელი „მემატონეთა წოდებიდან იყვნენ გამოსული“ და მათ ლიტერატურა უფრო დროს გასატარებულ, ვასაბოთ საქმედ მიიჩნდათ. რა შემატონები იყვნენ, მაგალითად თერგდალეულთა ისეთი გამოჩენილი წარმომადგენლები, როგორც იყვნენ ნიკო ნიკოლაძე და იაკობ გოგებაშვილი? ან კიდევ: ანტონ ფურცელაძე, პეტრე უშაკაშვილი და სხვანი? რაც შეეხება იმ თერგდალეულებს, რომლებიც შთამომავლობით მართლაც თავდაზნაურთა წრეს ეკუთვნოდნენ, მათი უმრავლესობაც, როგორც ეს ყველასათვის ცნობილია, გაღარიბებული ოჯახის შვილები იყვნენ და თავადაზნაურთა არსებობად მარტო სახელია ჰქონდათ შერჩენილი. თვით ილია ჭავჭავაძე, რომლის მიმამბიძანი ირან-თურქეთისა და ლეკების წინააღმდეგ ბრძოლებაში დაეცნენ და განადგურდნენ, პეტრ-პეტრუშის სასესებო ფულით გაემგზავრა და სიღარიბის გამო განათარბულად კი იყო სწავლის ქიორისაგან; ვიორტი წერეთელი, ერთადერთი ლორთქიფანიძე, ნიკო, დავით, ბესარიონ ლოლობერიძეები და ბევრი სხვა თერგდალეული პეტრპეტრუშის ყოფნისას დიდ მატერიალურ გაჭირვებას განიცდიდნენ და უმთავრესად სტიპენდიით ან კერძო ვაკეთილებით ცხოვრობდნენ. არა გვგონია შევსდეთ თუ ვიტყვიო, რომ ალბათ მარტო ვერცინა და ოგარიოვის თავიანთი მიმუღებებიდან იმაზე მეტი შემოსავალი ემნებოდათ, ვიდრე ყველა თერგდალეულს ერთად, მაგრამ ვის, რომელ მარქსისტს მოსელება რუსეთში იბრძალ ამ საბუთით მათი რევოლუციური მოღვაწეობა უარყო? ჩვენ აღარაფერს ვამბობთ იმ საოცარ ლოგიკაზე, რომლის დახმარებით ავტორმა ილიას და აკაის მთელი შემოქმედება „გასაბოთბ საქმედ“ გამოაცხადა.

ფ. მახარაძის შემცდარი თვალსაზრისი შემდეგში, როგორც ვიცით, შესცვალა ს. ზუნდაძის ასევე შემცდარი კონცეფციამ, რომელშიც რვავე სთელი თავადაზნაურთა ადგილს ლბერალები იჭერენ, ზოლო გლეხობისა და საერთოდ წერალო ბურჟუაზიის ისტორიული როლი კვლავ უგეღებულყოფილი რჩება. გ. წერეთელს. ზუნდაძის თეორიის მიმდევრებს გლეხობა სრულებით არ სჭირდებათ და არც იწუხებენ თავს მისი როლის შესწავლა-გარკვევისათვის. მათ საეხებით აკმაყოფილებთ ძველი, ტრადიციული სქემა: იყო ფეოდალური წყობილება, მოვიდა კაპიტალიზმი, თავადაზნაურთა შესცვლა ბურჟუაზიამ; ეს უკანასკნელი ახალი, აღმაველი კლასია და, მამსადაძე, ის არის ახალი, მოწინავე იდეების მატარებელი, პროგრესისა

1 იხ. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 16, გვ. 148.

და ცოცხალი მემკვიდრე, რაღა საჭიროა აქ კიდევ, გლეხობის შემორჩა?

დაახლოებით ასე მსჯელობდნენ ძველი თეორიის მიმდევრები და ისინი საყვებით დარწმუნებულნი იყვნენ, რომ მარქსისტულ თეორიას რისის იცადნენ.

მაგრამ ძველი თეორიის განვითარება ამაზეც არ შეჩერებულა. როცა გამოჩნდნენ მკვლევარები, რომლებმაც გლეხობისა და მისი იდეოლოგიების როლზე დაიწყეს ლაპარაკი, ძველი თეორიის დამცველებმა იგრძნეს, რომ მათ სქემას დანგრევა მოელოდა და წამოაყენეს ახალი, ყოვლად უსაფუძვლო დებულება, რითაც კიდევ უფრო გააღრმავეს თავიანთი შეცდომა; მათ გამოაცხადეს, რომ წერილობრივი (გლეხური) იდეოლოგია ჩვენი, კაპიტალიზმის იდეოლოგიის ხანაში, რეაქციული იდეოლოგიაა. მაგალითად, პროფ. ა. კიკვიძე, ზემოთ ჩვენს მიერ უკვე ციტირებულ ნაშრომში, გვარწმუნებს, თითქოს „წერილობრივი მიმართულება საზოგადოებრივ მოძრაობაში კაპიტალიზმის აღმავლობის ხანაში რეაქციას წარმოადგენდა და რომ ილ. კიკვიძემ წერილი ბერეჟაშვილის იდეოლოგია ყოფილიყო, ის ვერავითარ პოეტურულ როლს ვერ შეასრულებდა ქართული საზოგადოების ცხოვრებაში“¹.

ამრიგად, თუ წინათ ბევრი ჩვენი მკვლევარი გლეხობას და საერთოდ წერილობრივობას² XIX ს. შიგორ ნახევრის ისტორიულ მოვლენათა ანალიზისას ანგარიშში არ ავლებდა, ახლა ზოგი მათგანი მას რეაქციულ ძალადაც კი აცხადებს. გლეხური დემოკრატიის როლის ასეთი გაგება, რა თქმა უნდა, დიდი გაუგებრობაა და მისში მარქსისტული არადგება.

შეიხვეწისათვის რომ ნათელი გახდეს, ერთ მხრივ, ძველი თეორიის დამცველ მკვლევართა შეხედულებების უსაფუძვლობა, ზოლო, მეორე მხრივ, გლეხობისა და გლეხური დემოკრატის ნამდვილი ისტორიული როლი რუსეთისა და საქართველოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, შევეცდებით ძალიან მრუდუნად განვიხილოთ ე. ი. ლენინის შეხედულებები [სტრუქტურა] უპირველეს ყოვლისა ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ლენინი უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა იმ არსებითი განსხვავების დანახვას, რომელიც რუსეთში ბერეჟაშვილისა და გლეხობის, ე. ი. ლიბერალიზმისა და ნამდვილი დემოკრატიის ინტერესებს შორის არსებობდა.

„რუსეთში დემოკრატიისაგან ლიბერალიზმის გამოყოფის საკითხი მთელი განმთავისუფლებული მოძრაობის ერთ-ერთი ძირითადი საკითხია“-ო, — ამბობდა ლენინი³.

წერილში გერცენის სმოენას, რომელიც 1912 წელსაა დაწერილი, საკითხს რუსეთის ბერეჟაშვილ რევოლუციაში ლიბერალური ბერეჟაშვილისა და გლეხობის ინტერესთა განსხვავების შესახებ, ლენინი უწოდებს „ნამდვილად მნიშვნელოვან და სერიოზულ ისტორიულ საკითხს“ და მიუთითებს, რომ ეს საკითხი ახალი კი არ არის, არამედ უკრ კიდევ გერცენის „კოლოკოლმა“ დააყენათ⁴.

ზემოთ, როდესაც რუსეთის პირველ რევოლუციაში ბერეჟაშვილის როლის საკითხს ვიხილავდით, ჩვენ უკვე დაინახეთ, რომ ლენინი ყოველთვის არსებითად განსხვავებდა ერთმეორისაგან ამ რევოლუციაში ბერეჟაშვილისა და გლეხობის როლს, გადაჭრით ემართდა პლენარისა და მისი მენშევიკი მიმდევრების შემთხვევით ტრაქტაციას და მოუწოდებდა შემათაველას არა ლიბერალთან (ბერეჟაშვილისთან), არამედ გლეხობასთან კავშირისაკენ. ჩვენ დავინახეთ, რომ სწორედ გლეხობა და არა ბერეჟაშვილი მიიწინა ლენინს რუსეთის ბერეჟაშვილ რევოლუციაში პროლეტარიატის ბუნებრივ და საიმედო მოკავშირედ.

(გაგრძელება იქნება)

¹ იხილეთ კიკვიძე, საქართველოს ისტორია, II, 1969 წ., გვ. 78.

იმვე ნაშრომში (გვ. 77) ავტორი აცხადებს, თითქოს ჩვენ წერილში „დასების თეორიის გადარსიერებისათვის (ლიტერ. გაზეთი“, 1956 წ. № 4) გავიმოკრეთ მისი თეატრალური პირველი და მეორე დასის შესახებ. ეს განცხადება გაუგებრობის შედეგია. გულწრფელად ვაღიარებთ, რომ ჩვენთვის ფრიად სასიამოვნო იქნებოდა, ჩვენი აზრები რომ ემთხვეოდეს ხსენებული ავტორის აზრებს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის: პირველი და მეორე დასის შეფასების საკითხში ჩვენ სულ სხვადასხვა, ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებულ პოზიციებზე ვდგავართ.

² როგორც ცნობილია, მარქსისტული თეორიის დამცველი იმ ეპოქაში წერილობრივობას, გლეხობასთან ერთად, მიეკუთვნებოდნენ: ხელოსნები, წერილი ეპურები, ინტელიგენციის ფართო ფენები და მოსწავლე ახალგაზრდობა.

³ ე. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 19, გვ. 353.

⁴ იქვე, ტ. 18, გვ. 15.

პ. ბარამიძე

წერილი რედაქციას

„ქილილა და დამანას“ ახალი გამოცემის გამო

„ქილილა და დამანას“ გარშემო სადისკუსიოდ ქცეული საკითხებიდან საჭიროდ ვთვლით აქ ძალიან მოკლე შეფასებით ამ ძეგლის ანდერძების საკითხს.

„ქილილა და დამანას“ შემოუნახავს ორი ანდერძი. ერთი ეკუთვნის ვახტანგს, მეორე — სულხან-საბა ორბელიანს. ვახტანგს გადმოცემული აქვს თხზულების ქართულ ენაზე თარგმნის ისტორია, საყუთარი თარგმანის თაობაზე სწავლული მეფე მოკრძალებით შენიშნავს: „თუკა დამეკლოს რაჟე, ნუ დამგმობთ. ზემო ქირი ჭეის ჰქონებოდა, დადნებოდა. ჩემი დიჭირი და ნოდველი ზღვის ალაგს აყვებდა. და თუკა ვინმე უკეთ იტყვიო, არ ვიშლი და კარგსა იყო“. ვახტანგი აცხადებს, რომ სპარსული ტექსტი მან გადმოიღო სიტყვა-სიტყვით „ლექსი ლექსად“ და „ამბავი — ამბავად“ (ამბავი აქ ნიშნავს პროზას). მთარგმნელი დასძენს: „ლექსი სპარსული ქართულს ენაში ლექსად არ ითარგმნებება, ამბად (პროზად) მოვა, და მე იმავე ამბის (პროზის) ვალექსება მოვიდომე; და ვგებო ლექსი არ მოგეწონოსო, გასინჯეთ, რომ სხვის კაცისაგან ნათქვამს ამბავს მეორე ისე ვედარ იტყვის. სპარსის ლექსის იგავნი ამის უკეთ ქართულად ვერ მოიყვანენ, თვარამ სპარსულში დიად გაწყობილია“.

„ქილილა და დამანას“ ვახტანგმა გადმოთარგმნა გადასახლებაში ყოფნის დროს, ქალაქ ქირმანში (1714 — 1716 წლები). სანამ შვიგნობარი სრულყოფდა თარგმანის ტექსტს, იგი დანიშნეს ქართლის მეფედ და ერანის სპასალარად, რის გამო ისპაჰანში გადავიდა და განაახლა პოლიტიკური საქმიანობა. „ქილილა და დამანას“ გაუმართავი და გაუწყობელი დარჩა. გაუმართავი ტექსტი ვახტანგმა გამოუტანა ქართლში იმ ხანად ევროპიდან დაბრუნებულ სულხან-საბა ორბელიანს.

საქმის შემდეგი ვითარება მოთხრობილია საბას ანდერძში (თავის ჩვეულებისამებრ საბა მოგვეთხრობს მესამე პირით): „ეს წიგნი... შეუყვანა ვახტანგს დიდის პირით ქართულად გამოვიდა... რა ვაეთავებინა, ქართლში სულხან-საბა

ორბელიანისათვის გამოეგზავნა და მიეწერა. მაღალსა მღაბალი ბოდიშები, და ებრძანა: ეს ჩემი ქირანხული გაიხლებ გემოიანდ, და სადაც ლექსები ჩართული იყოს, აგრევე ქართულად ლექსები ჩაერთო“.

საბა სავანეებოდ აღნიშნავს, რომ „ჩხუბიანი კაცების“ წყალობით მასა და ვახტანგს შორის მაშინ დიდი უთანხმოება („დიდი დახტოქლება“) ყოფილა ჩამოყდებული. ამისდა მიუხედავად საბას უკისრია მძიმე დაეღუბის შესრულება („უარი აღარ იქნებოდა, თვარამ მონახუნისაგან ამისთანა ამბავი უწყესა და ურიგო“).

სულხან-საბა ორბელიანს პრინციპულად უარ-უყვია ვახტანგ შეფის მიერ გამოუყენებული სიტყვა-სიტყვითი თარგმანის მეთოდი. იგი ამბობს: „სხვას ენის წიგნი სხვას ენაზედ, თუ არ კაის მყოღნარისაგან, გამოთარგმნა მნელია: ზოგან წინა უკან უნდა მოიყვანოს, და ზოგან ართორნი ან მოეშალოს, ან დააკლოს, თვარამ სწორადერ უგემურს მოვა“.

საბას შეხედულების თანახმად, უცხოური ტექსტი უნდა თარგმნოს ისეთმა გამოცდილმა პირმა, რომელიც ზედმიწევნით ფლობს იმ ენასაც, საიდანაც თარგმნის და იმ ენასაც, რომელზედაც თარგმნის. საბას მოწმობით, ვახტანგმა „თვითან ზედმიწევნით სპარსული არ იყოდა, და მთარგმნელებიც თავის გუნებისა ვერ ემოვნა“. ამიტომაც ტექსტი „მირევ-მორვეით გარდმოუთარგმნათ“. „ქილილა და დამანას“ ვახტანგისეულ თარგმანს საბა უწოდებს „სწორადრე“ ანუ სიტყვა-სიტყვითს, „უგემურს“ და „მირევ-მორვეით“ თარგმანს.

ანდერძში გამოთქმული მოსაზრების შესაბამისად, სულხან-საბა ორბელიანს ძირფესვიანად გადაემუშავებია „გასაჩაღავად“ მიღებული ტექსტი, „თავიდან ბოლომდე ვაუტარებია სარდაქითი ქარტყლში“ (ე. კეკელიძე).

ტექსტების შეპირისპირება ცხადყოფს, რომ ვახტანგის თარგმანი წარმოადგენს სიტყვა-სიტყვითს პუკარედს. ამ პუკარედის საფუძველზე საბას შექმნილია ნამდვილი ლიტერატურული შედევრი. სპარსული კონსტრუქციის მქონე



და უხვში ლექსიერი ბარბარეზმებით სავსე პეკარედის ტექსტები საბას ვაუშართავს სა-
უცხოო ქართული მწიგნობრული ენით, ამოუკვეთია დედნის ტაეტოლოგიური გან-
მეორებანი, აუცილებია შრავალსიტყვაობა, მკა-
ფიოდ, სხარტად ვადმოუცია დედნისეული ფრა-
ზების აზრობლიე-შინაარსობლივი უოევი დე-
ტალი. საბასეული ტექსტის ფრანგოლოგიას,
ლექსიკას და მთელ ენობრიე-სტილერ ინვენ-
ტარს ამშვეენებს ეროვნული, ქართული იერი.
ახეი დამუშავებული „ქილილა და დამანას“
მთელი ტექსტი. ამას ისიც უნდა დავძინოთ,
რომ საბა ორბელიანს თხზულება ვაუშარბავს
ეროვნულ-სარწმუნოებრივი მსოფლმხედველი-
ბის თვალსაზრისით, აქა-იქ საკუთარი ზნეობ-
რცი შეგონებანიე დურთავს იგავ-არაკებისა-
თვის. შეინიშნება არსებითი ხასიათის ზოგი-
ერთა სხვა თავისებურებაე.

კიდევ უფრო მეტი თავისუფლება გამოუჩე-
ნია საბა ორბელიანს „ქილილა და დამანას“
პოეტური ნაწილის დამუშავებისას. იგავ-არაკთა
ეს უხარმზარეი კრებული საბას ვაუშვეია (ვაუ-
ლქსავს) „ქართული რიგის“ მიხედვით.

ერთი სიტყვით, სულხან-საბა ორბელიანმა
შექმნა „ქილილა და დამანას“ ლიტერატურუ-
ლად სრულყოფილი რედაქცია. რა თქმა უნდა
საბას დეაწლი სცილდება ჩვეულებრივი რედაქ-
ტორული საქმიანობის ფარგლებს. საბას შემოქ-
მედებითად ვადაუშავებია ვახტანგის თარგ-
მანი, არსებითად გარდაუქმნია იგი და დამოუ-
კიდებელი ლიტერატურული ნაწარმოების ხა-
სიათი მიუცია ნათარგმნი ძეგლისათვის. სულხან-
საბა ორბელიანს ვერ ჩავთვლით „ქილილა და
დამანას“ მარტოოდენ რედაქტორად, იგი ამ
ძეგლის ქართული რედაქციის ერთგვარი თანა
ავტორია.

„ქილილა და დამანას“ ვადაუშავებული ტექ-
სტი სულხან-საბა ორბელიანმა ვახტანგს წარუ-
დგინა. ვახტანგმა მოიწონა საბას ნამუშევარი.
შეფის ბრძანების თანახმად მომზადდა „ქილილა

და დამანას“ კახელად ვადაწერილი და სრულ-
ხოოდ დასურათებული ცალკარ ჩამყდრქს ამ
თხზულების ხელნაწერ გამოცემა-წარმზადგქს
(იგი მოლწეულია ჩვენ დრომდის). ამის შემდეგ
ვახტანგის დასტურის საფუძველზე საყოველ-
თაოდ ვაერეულა „ქილილა და დამანას“ სწო-
რედ საბასეული რედაქცია, თარგმანის პეკარე-
დი კა შემონახულია უნიკალური ხელნაწერის
სახით. მეცნიერული თვალსაზრისით დიდი
ვახტანგის თარგმანის მნიშვნელობა და სასურ-
ველია მისი გამოქვეყნება. „ქილილა და დამა-
ნას“ საბასეული რედაქცია ორჯერ გამოიცა
ბეჭდურად (1886 და 1949 წლებში). ამჟამად
„საბჭოთა საქართველო“ სცემს ამ რედაქციის
მეცნიერულ-კრიტიკულად დადგენილ სრულ
ტექსტს. გამოცემის სატიტულო ფურცელზე
აღინიშნება, რომ ტექსტის თარგმანი ეკუთვნის
ვახტანგ მეექვსესს, ხოლო ლიტერატურული
რედაქციის ავტორია სულხან-საბა ორბელიანი.

რედაქციისაგან. ეურნალ „მნათობის“ 1961
წლის №3-ში გამოქვეყნდა ვ. ვახტანგისა წე-
რილი „ქილილა და დამანას“ გარშემო. წერილმა
ფართო გამოხმარება პოევა და „ლიტერატურ-
რული ვაშეთის“ ფურცლებზე გაიშალა საინტე-
რესო კამათი.

ამ კამათს ქქონდა გარკვეული დადებითი
მნიშვნელობა.

რედაქციას საკითხის მართებულ ვადაწვეე-
ტად მიანნია საბა-სულხან ორბელიანის თხზუ-
ლებათა სრული კრებულის რედაქტორის აკად.
ა. ბარამიძის განცხადება, იმის შესახებ,
რომ „ამჟამად „საბჭოთა საქართველო“ სცემს
ამ რედაქციის მეცნიერულ-კრიტიკულად დადგე-
ნილ სრულ ტექსტს. გამოცემის სატიტულო
ფურცელზე აღინიშნება, რომ ტექსტის თარგმა-
ნი ეკუთვნის ვახტანგ მეექვსესს, ხოლო ლიტე-
რატურული რედაქციის ავტორია სულხან-საბა-
ორბელიანი“.

რედაქცია ამით კამათს ამოწურულად თვლის.

ნარკვევები ამიერკავკასიის ხალხთა ლიტერატურაზე

ამიერკავკასიის ხალხების სამი უნივერსიტეტის ეროვნული ლიტერატურის ისტორიის კათედრებში ერთი კარგი ტრადიცია დაამკვიდრეს: ლიტერატურის ისტორიის სპეციალისტები დროდადრო მგზავრობენ თბილისის, ბაქოსა და ერევნის უნივერსიტეტებში და ქართული, აზერბაიჯანული და სომხური ლიტერატურის ისტორიის კურსის სპეციალისტებს ნაყოფებს უკეთხვენ ფილოლოგიის დავულებების იმ სტუდენტებს, რომელნიც საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის ისტორიას შეისწავლიან. ეს არის ცოცხალი და ქმედითი კავშირი უმაღლეს სასწავლებელთა შორის, რომლის მიზანია ამიერკავკასიის ხალხთა შორის შეგობრული ურთიერთობის განმტკიცება.

ლექციების კითხვით გამოწვეულმა კავშირმა წარმოიშვა აზრი ერთობლივი წიგნის გამოცემისა, რასაც სიამოვნებით დაუბრუნეს მხარი ერევნისა და ბაქოს უნივერსიტეტებმა. უკვე გამოვიდა პირველი კრებული, რიგის მიხედვით ერევნის უნივერსიტეტის მიერ გამოცემული (მეორე კრებულს გამოსცემს ბაქოს, ხოლო მესამეს თბილისის, უნივერსიტეტი, შემდეგ ისევ ერევნისა და ა. შ.). სამეცნიერო ნაშრომთა კრებულის აღნაგობაც, აგრეთვე შეთანხმების საფუძველზე, ისეთი უნდა ყოფილიყო, რომ ასახულიყო ქართული, სომხური და აზერბაიჯანული ლიტერატურის განვითარების ეტაპები — ძველი, XIX საუკუნისა და უახლესი ლიტერატურისა.

კრებულის წინასიტყვაობა მოკლედ განსაზღვრავს ასეთი ერთობლივი ნაშრომის მიზანსა და ამოცანას. რადგან ეს სამი — ამიერკავკასიაში მცხოვრები ერი მსგავსს ისტორიულ პირობებში ცხოვრობდა და ერთგვარად განიცდიდა ეროვნულ და სოციალურ ჩაგვრას, ზშირადვე შეერთებული ძალებით იბრძოდა შემოსეული მტრის წინააღმდეგ. ამიტომაც მათი შეგობრობა გამოაწირობს ბრძოლის ერთგვარბა პირობებში. ამ

ისტორიულმა ტრადიციამ, ბუნებრივად, მათს კულტურასა და ლიტერატურაში მრავალი ერთგვარი თვისება გამოამუშავა. სამი უნივერსიტეტის ლიტერატურის ისტორიის კათედრებში გააღწევიტეს გაეშუქებინათ ეს ვითარება, ასახული ლიტერატურაში და შეითხვევს რუსულ ენაზე მიუძღვნეს კრებული, რომელიც მას გააცნობს ამიერკავკასიის ხალხთა ლიტერატურების დიდი წარმომადგენლების შემოქმედებას.

კრებულში პირველ ადგილზე დაბეჭდილი პროფ. ალ. ბარამიძის — „რეალიზმის საწყისის საკითხისათვის ქართულ ლიტერატურაში“, ამ მეთოდის ერთგვარ პირველ წარმომადგენლად ავტორი თვლის არჩილ მეფეს (1647 — 1713), რომლის შემოქმედებაშიც ცხადად გამოჩნდა რეალისტური ტენდენცია, — ითქვას მხოლოდ სიმართლე და უარყოფილ იქნეს ზღაპრული და მითოლოგიური.

არჩილის დამსახურება საკმაოდ ზუსტადაა გადმოცემული, დახასიათებულა მისი შემოქმედების რეალისტური ტენდენცია ძლიერი და სუსტი მხარეების აღნიშვნით, რომ არჩილი არ მოექცა ფაქტების ჩამოთვლის სქემაში, არამედ განზოგადებისა და ტიპიურის ძიებაში იგი ნამდვილი ხელოვანი იყო და, რომ, ამასთანავე, არჩილის რეალიზმი განსაზღვრული იყო იმდროინდელი საქართველოს ისტორიულ-პოლიტიკური ვითარებით.

ამ ე. წ. „ადრეული რეალიზმის“ მეორე წარმომადგენლად პროფ. ალ. ბარამიძე ასახელებს დავით გურამიშვილს, რომლის შემოქმედებაშიც მშაფრად გამომდგენდა მჭლავრი მოქალაქური პათოსი და პოლიტიკური მგზნებარება, რაც პოეტმა მოახაზა საქართველოს ბედუქულობათობის აღწერას და არც ის ადამიანები დაინდო, რომელთაც პოლიტიკური სიბეცე გამოიჩინეს ქვეყნისა და ხალხის ბედის წარმართვის საქმეში.

ძველი სომხური ლიტერატურის მნიშვნელოვანი წარმომადგენლის გრიგორ ნარეკაციის შესახებ წერლის ავტორია პროფ. მ. შქრიაინი, გრიგორ ნარეკაცი X საუკუნის პოეტია, რომლის შემოქმედებაში ანარკული ჰყოვა სიშვეხ

გლებობის სოციალურმა მოძრაობამ, ცნობილმა თანდაჯერებულმა მოძრაობის სახელით. გრიგორ ნარეკაცი, პროფ. მ. შერიაინის სიტყვით, პირველი პოეტია სომხურ ლიტერატურაში, რომელმაც ლირიკის ძვარი საეკლესიო მწერლობას ჩამოაყალიბა და მისი დამოუკიდებელი წარმოდგენა გახდა. მისი ლექსები, — განაგრძობს იგი, — ბრწყინვალე ნიმუშებია ნოვატორული ლირიკისა, რომელშიც შექმნილია ბუნება და ადამიანი. როგორც ჩანს, გრიგორ ნარეკაციისათვის იმ დროს ძნელი ყოფილა მთლად გათავისუფლებულიყო ქრისტიანობის დოგმებისაგან; მართალია, მან ახალი სიტყვა თქვა სომხურ პოეზიასა და მხატვრულ აზროვნებაში, მაგრამ გარეგნულად მაინც იგი იმ მხატვრულ სახეთა არეში ტრიალებდა, რაც შექმნილი იყო სომხური საისტორიო მწერლობისაგან.

ძველი აზერბაიჯანული ლიტერატურის წარმომადგენლის მუქამედ ფიზულის შესახებ წერილი ეყუთუნის ჰ. არასლის. ფიზული აღმოსავლეთში სახელგანთქმული პოეტია, მისი თხზულებები მეტად იყო გავრცელებული. ჰ. არასლი ერთ ქართულ ხელნაწერს ასახელებს, რომელშიც აზერბაიჯანული პოეტის ლექსები ქართული ასოებითაა ჩაწერილი. ფიზული XVI საუკუნის აზერბაიჯანული პოეტი იყო, სამ ვნახე — არაბულზე, აზერბაიჯანულზე და ფარსულზე წერდა ლექსებს — უმოაგრესად ლაზულეს. ფიზულის შემოქმედებამი ორი პერიოდი გამოირჩევა — ახალგაზრდობაში, ვიდრე ცხოვრების ავ-კარგს ვაიცილობდა, იგი მეოცნებე იყო, არსებულის მიმდებნი და სიუვარულით აღფრთხილებული, მაგრამ, როცა მოწმე შეიქმნა ფეოდალური ეპოქის ომებისა, ფეოდალთა თვითნებობისა, შეახებინა და სულთნების ღეს-პოტიზმისა, იგი ჩაუღრმავდა სინამდვილეს და მისმა პოეზიამ პროტესტისა და ზოგჯერ უიმედობის მოტივები გამოხატა. ფიზულის „ღეილი და მკუნენი“ ერთ-ერთი უბრწყინვალესი ნაწარმოებია ამავე თემზე დაწერილი ნიზამის თხზულების შემდეგ, რომელშიც XVII საუკუნის პოეტმა თავისი ეპოქის სული, სოციალური და პოლიტიკური ინტერესები გამოხატა — ჰუმანიზმის დიდებულა იდეა, ნიჭის შეფასება და ადამიანის სულიერი სიმდიდრე.

XIX საუკუნის ლიტერატურის წარმომადგენელთა შესახებ წიგნი შეტანილია ფ. კასუმზადეს წერილი ნაჯატ ბეკ ვეზიროვის ლიტერატურულ მოღვაწეობაზე. ნაჯატ ბეკ ვეზიროვი (1854 — 1926) მირზა ფატალი ახუნდოვის შემოქმედებითი ტრადიციების გამგრძელებელია აზერბაიჯანულ ლიტერატურაში, მისი სახელი თეატრისა და დრამატურგიის განვითარებისათვის არის დაყვანილი. რეალისტური აზერბაიჯანული თეატრის რეპერტუარში, რომლის გა-

ფორჩქენის ხანად XIX საუკუნის 90-იანი წლები ითვლება, ნ. ვეზიროვის პეტიტი-პიესა იყო მოქცეული. პიესებით იბრძოლა დრამატურგი ხალხის გონებას დამანულებელი ძალების, უსინდისობის, ექსპლოატატორების წინააღმდეგ. განსაკუთრებით ძლიერი ხმოვანება ვეზიროვის შემოქმედებას მიეცა მაშინ, როცა მან კაპიტალისტური სამყაროს „ბნელი სამეფო“ წარმოადგინა. კრიტიკული რეალიზმის წარმომადგენელი მწერალი თავის შემოქმედებაში მშობლიური ლიტერატურის ტრადიციებს ვერდნობდა, ამასთან, მისთვის უცხო არ ყოფილა გოგოლისა და ოსტროვსკის შემოქმედებითი ისტატობა.

პროფ. მიხ. ზანდუელის წერილი ეხება ილია ქავჯავაძის შემოქმედებას. ილ. ქავჯავაძე ამ წერილში წარმოდგენილია პროგრესულ-რევოლუციურ მოაზროვნედ, დემოკრატი პოეტად, ეროვნული გათავისუფლებისათვის მებრძოლ მოქალაქედ. წერილის ავტორი მოკლედ ასახიანებს ილია ქავჯავაძის დროინდელ ქართულ სოხვალდობრივ ცხოვრებას, რომლის ფონზეც დახატულია ილიას შემოქმედება როგორც მებრძოლი მწერლისა. უპირველესი ადგილი წერილში დათმობილი აქვს ილიას, როგორც ქართველი ხალხის ეროვნულ-გამათავისუფლებელი ბრძოლის მეთაურს, სოციალური წინააღმდეგობის ასახეულს, მგზნებარე პუბლიცისტს, რომლის უყვდავი შემოქმედება XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართველი ხალხის ცხოვრების თანამდებე იყო.

გ. თამარზიანის წერილი — „ა. შირვანზადე და რეალიზმის განვითარება სომხურ ლიტერატურაში“ მიმოიხილავს XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან რეალიზმის განმტკიცების საკითხს სომხურ ლიტერატურაში. ამ ლიტერატურული მიმართულების განმტკიცებაში საქაოლ დიდი როლი შეასრულეს ხ. აბოვიანიმა („სომხეთის პრილობა“) და პ. პროშიანიმა, აგრეთვე ლ. აღაიანიმა, დრამატურგმა გ. სულდუკიანიმა და სხვებმა. ეს რეალიზმი ემსახურებოდა სოციალური და ეკონომიური მოვლენების ასახვას, რომელთაც ადგილი ჰქონდათ სომეხი ხალხის ცხოვრებაში. წერილში განხილულია ერთი თავისებურება სომხური ლიტერატურისა, რაც გამოიხატება იმაში, რომ რეალიზმი და რომანტიზმი პარალელურად არსებობდნენ სომხურ ლიტერატურაში XIX საუკუნის მეორე ნახევარში. გ. თამარზიანი ხსნის ამ პროცესს და განმარტავს. თუ ერთი მხრით სოციალური საკითხი იყო ძირითადი, რასაც მიუძღვნეს თავისი შემოქმედება აღაიანიმა, პროშიანიმა, სულდუკიანიმა და სხვებმა, ამავე დროს სომხურ მწერლობას ადგლებდა სომხეთის დანაწილება და ერთი დიდი ნაწილის თურქეთის მმართველობაში

მოქცევა, რამაც განაპირობა რაფისა და პატკინაის შემოქმედების რომანტიზმი. მიუხედავად ამისა, რეალისტრი მიმართულება მაინც წამყვანი იყო. ასეთ ეითარებაში მოვიდა ლიტერატურაში ალ. შირვანზადე, რომელმაც თავისი შემოქმედებით სრულიად ახალი, სომხური ლიტერატურისათვის სრულიად უცნობი ეპოქა გადაუშალა მკითხველს. ავტორი განიხილავს ალ. შირვანზადეს შემოქმედებას ამიერკავკასიაში კაპიტალიზმის განვითარების ფონზე.

გ. თამარაშვილის შინაარსიანად დაწერილ წერილში კარგადაა დახასიათებული ის გზა, რაც გაიარა შირვანზადემ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან, ვიდრე იმ თხზულებაამდე, რომელიც მან შექმნა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ და რითაც შეწრაფილი სომხური ბურჟუაზიის მესაფლავედ იქცა.

კრებულის მესამე ნაწილი შეიცავს ამიერკავკასიის ხალხთა საბჭოთა ლიტერატურას.

ვლ. ჯერბაშვილის წერილში — „ელიშე ჩარენცი — რევოლუციის მომღერალი“ განხილულია ადრე დაღუბული ნიქიერი სომეხი პოეტის შემოქმედება. ვ. ჩარენცი იყო სოციალისტური რევოლუციის ერთ-ერთი წარმომადგენელი სომხურ საბჭოთა ლიტერატურაში. წერილის ავტორი საკმაო სისრულით განიხილავს ვ. ჩარენცის შემოქმედებითად რთულ გზას, იმ წინააღმდეგობებს, რომელთა გავლა და დაძლევა ჰოვხდა პოეტს, დაწვებული დეკლენტური განწყობილებებით, დამთავრებული „პროლეტარტისა“ და „ლუფერი“ გატაცებებით. 1917 წლის რევოლუციის შემდეგ პოეტი მივიდა პროლეტარიატის კლასთან, მივიდა ხალხთან. ოქტომბრის რევოლუციამ მოახდინა მისში გარდატეხა და მისი პოეზია იქცა პათოსით აღსავსე პიზნად მათ მიმართ, ვინც ახალი სამყარო შექმნა და დაადგინა.

იდაით ეფენდიევის წერილში „სამედ ვერდუნი — აზერბაიჯანის სახალხო პოეტი“ დახასიათებულია აზერბაიჯანის ერთ-ერთი პირველთაგანი პოეტი, საკუთარი შემოქმედებათი ხშირობისა და აზრის მქონე შემოქმედი. მისი ლექსების პირველი წიგნი „პოეტის ფიცი“ 1930 წელს გამოვიდა, მისი დებიუტი დაემთხვა სასტრუქ ბრძოლას ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური და დეკლენტური განწყობილებების წინააღ-

მდეგ. პოეტის შემდეგი წიგნები („ვერლის წიგნი“, „ლექსები“, „თავისუფლება“/„შემოქმედება“ და სხვა) უკვე შემოქმედებითად უკმაყოფილების ნაბიჯები იყო. „ჩვენ ენაში ვეძებთ ხალხის სულს, ხალხის სურვილს“, — ამბობდა პოეტი და ეს თეორიული შეხედულება პრაქტიკულ გამოხატურებასაც მის შემოქმედებაში პოეტიკად. ს. ვერდუნის ლექსებში ჩანს მისი მშობლიური ხალხის წარსულის საშინელებანი, სიღატაკე, უცილობა და უფლებობა. ხალხური შემოქმედება მისი პოეზიის ერთერთ მნიშვნელოვან წყაროდ იქცა.

წიგნის დასასრულს დაბეჭდილია პროფ. შ. რაღიანის „გალაკტიონ. ტაბიძის ლირიკა“, რომელშიც დიდი ქართული პოეტია დახასიათებული, როგორც ნოვატორი, ახალი ქართული პოეტური კვლავის ფუძემდებელი. წერილში განხილულია გ. ტაბიძის შემოქმედებათი გზა, პოეტური განწყობილებანი, გალაკტიონისეული ბუნების აღქმა. გ. ტაბიძე დახასიათებულია სიტყვის ვრცელ ოსტატად, ზვენი ცხოვრების მემბათიანად, ჩვენი ხალხისა და მისი საქმიანობის პატრიოტად და მომღერლად.

კრებულში მოთავსებულ ყველა წერილს ერთი საერთო ნაყი გააჩნია. მათში ამათუიმ შეწრლის შემოქმედების განხილვისას, ნაყლები ადგილი ეთმობა იმ მომენტებს, რაც ადვილებად გააჩნდათ ამიერკავკასიაში მცხოვრებ მწერლებს. ცხოვრებისეული ფაქტების განხილვა ურთიერთ კავშირში არა მოცეხული. თითოეული მწერალი დამოუკიდებლად განხილული, მავალითად, თითქოს ალ. შირვანზადეს არ ჰქონდეს ნაცნობობა ქართველ მოღვაწეებთან და ამ ნაცნობობას გავლენა არ მოეხდინოს მისი შეგნების ჩამოყალიბებაზე და ა. შ. ამისი მსგავსი ამბები ამიერკავკასიის ხალხთა ისტორიაში საკმაოდ ბევრია.

კრებულს აყლია ერთი ისეთი ხასიათის წერილი, რომელიც ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრების საერთო მიმოხილვას უნდა მოქმედება და განხილული იქნებოდა ამ ხალხების ისტორიის ის მომენტები, რომელნიც ერთნაირ გამოხატურებას პოეტიკად ან ხალხების ლიტერატურაში. ამის აღნიშვნა ევალება ამ მკრდ კარგი კრებულის მომდევნო გამოცემებს.



გაგრატ შინკუბას ლექსების კრებული

კაცისის მთის ძირას, სადაც ვადმოცემით
მეჯაქველი ყოფილა ღმერთებთან მებრძოლი
გმირი აბრკილა, მღვებარობს სოფელი ჭლოუ,
სადაც დაიბადა თანამედროვე აფხაზური ლი-
ტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენელი,
პოეტი გაგრატ შინკუბა.

მშობლიურ სოფელ ჭლოუში გაატარა ბავშ-
ვობა პოეტმა. ლექსების წერაც ამ სოფლის
სკოლის მერბზე დაიწყო. პოეტი იგონებს
თავის ყრობის წლებს და ამბობს:

ჭლოე, ჭლოე აქ დამერწა
ყრობის აყანი
და პირველი ჩემი ლექსის
ბუდეც აქ არის.
(თარგმანი არჩილ სულაჟერისა)

აგრ კიდევ სოხუმის პედაგოგიური ინსტიტუ-
ტის სტუდენტი იყო გაგრატ, როდესაც 1935
წელს დაიბეჭდა მისი პირველი ლექსი „მეჯა-
კობა“. 1938 წელს გამოვიდა პოეტის ლექსე-
ბის პირველი კრებული.

გაგრატ შინკუბას ლექსების, ბალადების და
პოემების წიგნის ქართული თარგმანი გამოსცა
გამომცემლობა „საბკოთა მწერალმა“; ერთი
თავის გადავლებითაც ადვილად შეიძინებთ,
რომ გაგრატ შინკუბას პოეზიას ძალზე მდიდა-
რი მასალა მისცა აფხაზურმა ზეპირსიტყვიერე-
ბამ.

პოეტმა კარგად შეისწავლა აფხაზური ხალ-
ხური სიტყვიერება და 1950 წელს გამოაქვეყნა
კრებული შრომა „აფხაზური ლექსთუყობის პრინ-
ციპები“.

თავის პოეზიაში შინკუბა ხალხურ თქმულე-
ბებსა და ლეგენდებს იყენებს როგორც ერთ-
გვარ მასალას. პრინციპი კი მუდამ ერთია —
იგი ყოველთვის ცდილობს თავის შემოქმედებით
პრინციპში გაატაროს ეს მასალა, თანამედროვე-
ობას დაეკავშიროს იგი.

საილუსტრაციოდ ავიღოთ სარკეცნობი წიგნ-
ში მოთავსებული ბალადა „რიწა“ (თარგმანი
რევაზ მარგინისა). კაციახონის მალღ მთებში
ჩაფლული მარგალიტის — რიწის ტბის შესახებ
მრავალი ლეგენდა შემოუნახავთ აფხაზებს.

აღნიშნული ბალადა თანამედროვეობას ეხმუ-
რება: ზვენი მრავალეროვანი სამშობლოს ყველა
კუთხიდან მრავლად მიმუტრებიან რიწის ტბის
სანახავად. ბალადა იწყება სცენის აღწერით
გლხერში, სადაც ვადმოცემულია ის სიყვარუ-
ლი, რომლითაც გამსჭვალული არიან საბკოთა
ადამიანები ერთმანეთის მიმართ. მოხუცი აფ-
ხაზი ყანსოფ მშობლიური სიყვარულით გადას-
ცემს აზერბაიჯანელებს, ყაზახებს, უკრაინე-
ლებსა და ლენინგრადელებს ლეგენდას რიწის
ტბაზე („ორი მშის ამბავი“).

ხალხური ზეპირსიტყვიერებითა მასალა:

უღვებს საფუძვლად ლექსს „გაგრატ შინკუბა“ (თარგ-
თვითურაზ ჯანგულაშვილისა). პირველ ნაწილში
ვაიყისა და ქალის გაშორების დროს ქალი ამ-
ხელს ხოლმე იმ ნაკლავანებებს, რომლებიც
ვაეს გააჩნია და მოუწოდებს მისი გამოსწორე-
ბისაკენ. პოეტი აღნიშნულ ლექსში ხალხურ
მასალას იყენებს იმისათვის, რომ დაგვიჩა
გვიერთი იმ ახალგაზრდის ქცევა, რომელიც
სოციალისტურ შრომას გაუბრუნდა. ლექსი გვობს
რა მათ საქციელს, აღმზრდელობით ხასიათს
ატარებს და ამდენად დღევანდელი დღის სა-
ჭირბოროტო საყოფის ეხება. იგივე შეიძლება
ითქვას ხალხურ თქმულებებსა, ლეგენდებსა
და ზღაპრებზე შექმნილ სხვა ნაწარმოებთა
შესახებაც. ზეპირსიტყვიერების შესწავლას პოე-
ტი, როგორც თვით წერს წიგნის წინასიტყვა-
ობაში, ცვლავად განაგრძობს. იგი ამჟამად მუ-
შაობს პოეტურ ნაწარმოებზე „სიმღერა კლდე-
ზე“, რომელსაც საფუძვლად უღვებს ხალხური
ლეგენდა 1905 წლის რევოლუციის აფხაზეთის
სახალხო გმირ კახაბა ხაჯარაბის შესახებ.

მშობლიური აფხაზეთის გრანდიოზული ბუ-
ნება პოეტის შემოქმედების ერთ-ერთი წყაროა.
პოეტი ერთგვარი კრძალვით ამბობს ლექსში
„პასუხი“ (თარგ. ნ. გურშვილისა), რომ მას არ
შეუძლია სრულად გადმოგვეცეს მხატვრულ
სახეებში აფხაზეთის ბუნების სილამაზე, რად-
გან ეს გენიოსის კალამის კი გაუქირდებოდა

მე რომ შეუძლოს
ხატვა მისი სიტუტის დარად
უპირველესი ექნებოდი პოეტი ქვეყნად —
ამბობს იგი.

ბუნებას ბ. შინკუბა წარმოგვიდგენს ადამიან-
თან მთლიანობაში, ადამიანი აღტაცებულია ბუ-
ნების მშვენიერებით. ბუნებაც ღამაზია და
კარგია იმით, რომ მას თავისუფალი ადამიანი
ის ბელი ქარგავს და ვარდაქმნის.

ლექსში „გზაში“ (თარგმანი რ. მარგინისა)
პოეტი ასე მიმართავს თავის მშობლიურ მზა-
რეს:

მამ უფრო მეტად იყავდი
და უფრო გაიხარე; —
ჩემი კაცობის შუქვრო,
ჩემო სამშობლო მზარეც...
გზა მიზნისაკენ სწორია
და უფრო ვანიერო,
ამ ნათელ გზაზე გუღლიად
მევაღ და მივიღწერო.

პოეტი ღვიძლი შველია თავისი ხალხისა და
ბუნებრივია, რომ იგი ერთნაირად განიცდის ში-
სხარულსა და მწუხარებას. აფხაზი ხალხის
ტრაგედიას, რომელიც მეტყველებს საფუძნის
მეორე ნახევარში დატრიალდა შეფის რუსეთის



დამპყრობლური პოლიტიკის შედეგად და გამოხატა ე. წ. მახაჯირობაში, პოეტის მწარედ განიცდის. გაპარტახა აფხაზეთის ზღვიპირეთი, მახაჯირის ცრემლით კიდევ უფრო გამაშვდა შავი ზღვა, მაგრამ პომპეის რწმენა ამ დროსაც კი არ დაუკარგავს ხალხს, აფხაზეთი დარწმუნებული იყენენ, რომ გაივლის დრო, ბავშვები დაიზრდებიან, შავ ზღვას ცერვით გადმოლაზვენ და მიმკრალ მშობლიურ ფაქმაში ცეცხლს გააბალებენ. სწორედ ეს განწყობილება ასახული ლექსში „მახაჯირული ნანა“, რომელიც ეხება თერქეთში იძულებით გადასახლებულ აფხაზთა ერთ ნაწილს.

სამამულო ომის გმირული რომანტიკა დაუმრეტელი წყაროა ქვეშარტი შემოქმედებისათვის. პოეტი ლექსში „გააწი, ვაკაფე“ (თარგმანი ირ. აბაშიძის) წერს:

მე ვემღერ გმირებს და ვაფაეობას,
ვიყავ უკველთვის მხდალთა მგომბული.

ეს დღეები უდევს საფუძვლად სამამულო ომის თემაზე შექმნილ მის ყველა ნაწარმოებს.

საბჭოთა ხალხის მტერთან — პიტლერულ ფაშისთან ბრძოლის დროს პოეტმა შექმნა არაერთი ნაწარმოები, რომლებშიც ასახვა პოეტს სამამულო ომის კამეულში ეპიზოდებმა, საბჭოთა მეომრების გმირულმა სახეებმა. მათ შორის ერთ-ერთი საპატიო ადგილი უკავია პატრიოტულ პოემას „მახილა“, რომელშიც მოცემულია ედა რესი მეომრის სახის დახატვისა. სამამულო ომის თემაზე შექმნილ ნაწარმოებთა შორის სარტყნზიო წიგნში მკითხველს უკრადღებას იბურობს ზალადა „პარტიზანი“ (თარგმანი ნოდარ გურგენიძისა). მტერს რისხვად ატყდებოდა გმირი, რამდენი ფაშისტი გაუგზავნია მას მიუსაღლეთში. ზედმა უმუხთლა ვაფაეც, ახლა იგი დნებრის პირას მიმედ დაქრილი წვეს. მას აწუხებს, რომ ჩვენ წმინდა მწაზე მტრის საზიზღარი ურღოები დათარეშობენ, დაქრილი პარტიზანი რაღაც ზეძალით აღიესება:

დარდი თითქოს ნიავს მოაქვს,
სხეულს რაღაც ძალა აესხებს,
ვაჰმე, რა დროს სიკვდილია,
ჯერ მტრებია ჩემს მიწაზე —

ამბობს იგი და საბრძოლველად ანთებელი, ხელუშობარს სტყორცნის მშვიერი მგელივით შემოსეულ ფაშისტ დამპყრობლებს.

ზურგში დარწმენილი ადამიანების ვეაეცერი სულია განზოგადებული სამამულო ომში დაღუპული საბჭოთა კავშირის გმირის ვლადიმერ ხარაზიას მამის ყამაველს სახეში. ლექსში „ამა“ (თარგმანი თ. ჯანგელაშვილისა) მოხუცი ყამსავე ვლადიმერის დაღუპვის გამო ატირებულ ცოლმეაღს ასეთი სიტყვებით მიმართავს:

უნდა გრცხვენოდეთ მოხუცი მამის,
უნდა გრცხვენოდეთ დეგმირი ძმისა,
ჩვენ სატირალი არა გვეყენს ნიანა,
ო, ცრემლებს ნუ ღერით, შვილო და
ცოლო,
ქვეყნად ცოცხალ მვედარს ტირიან
მხოლოდ.

აფხაზი ხალხის სიყვარული პროლეტარიატის დიდი ზღადაღსადმი გადმოცემულია ზალადაში „ლენინთან“ (თარგმანი კარლო კლამისა). აფხაზეთმა გადაწყვიტეს გაეგზავნათ დელეგაცია კრემლში დიდი ლენინის სასახავად. ჩვეული უბრალოებოთა და თავაზიანობით მიიღო იგი ზელაღმა.

ამ მწერალს კარგად აქვს გადმოცემული ადამიანის ფსიქიკისათვის დამახასიათებელი ერთი თვისება: ზშირად ძლიერი შთაბეჭდილებების გამო აღტაცების გრძობა წინასწარ გათვალისწინებულ მიზანს გაიწყუებს. ასე მოუვიდათ აფხაზეთსაც და წამოსულენს გული მხოლოდ ამაზე სტიკიდათ, რომ

...ვერ მოვიპატიყეთ
სტუმრად თეთთან ზელადი.

ომისშემდგომდროინდელი აფხაზეთის საკოლმუერნეო სოფლის ცხოვრება ასახული პოემაში „ჩვენი თანამემამულენი“, რომელსაც ავტორი „ხალხთა შრომამზე“ სიმღერას უწოდებს. მიუხედავად იმისა, რომ ეს ნაწარმოები წიგნში ნაწყვეტების სახითაა მოცემული (თარგმანი მერმან ლებანიძისა), მესამე მიანც კარგად ჩანს ის თავდაღებული შრომა და ბრძოლა, რასაც ეწევიან ჩვენი ქვეყნის მშრომელები კომუნისმის მწვენებლობის დაღ ეპოქაში. პოემის გმირებს, სამამულო ომიდან დაბრუნებულ კოლმუერნეობის პარტორგანიზაციის მიღევანს დამეის, ინეინერ არსანს და კოლმუერნეობის თემუჯღომარე ძიკურის — ერთი ნათელი მიზანი ამოძარეებთ—აგონ მდინარე ძიკავზე ელსადგერი და სარწყავი ტუმბოები, კიდევ უფრო ლამაზი და ზედწერივი გახადონ მშობლიური სოფელი. მრავალი სიმწელ ზედებათ მათ ამ გზაზე, მაგრამ პოეტმა კარგად იცის, რომ, როცა ადამიანისათვის ნათელია მიზანი, მაშინ არ არსებობს სიმწელე, რომლის დაძლევა მას არ შეეძლოს. ამიტომ, რომ მის გმირებს სიმწელით არ აშინებთ. ამ კეთილშობილ საქმეში მათთან არიან მომე ქართველი ხალხის შვილები პაროფესორ მწელაძის სახით. თავდაღებული შრომის შედეგად მიზანიც მიღწეულია: მდინარე ძიკვის თეთრი მხეფები ილიჩის ნათურებად კაშაშებენ.

კარგად აქვს გადმოცემული პოეტს აფხაზეთის საკოლმუერნეო სოფლის სურათები. თითქოს ანიმალისტური ფერწერის ფუნჯითაა დახატუ-

ლი ძროხა და ხბო (ლექსი „ხბო“, თარგმანი გრიგოლ აბაშიძისა):

მინდორში მოჩანს ხის ჩრდილი ვრძელი;
იმ ჩრდილში, ხის ქვეშ, ძროხა დგას ჭრელი,
დგას თადეხრილი, კედს წყნარად იქნევს,
რძე მოსწოლია მის სავესე ჯიქნებს.
მზეზე ვერცხლისფრად უბრწყინავს რქები,
პეჯანან მოჰედლის ძვირფასი ქვეებით.
ხბო მოუვია ძროხას ამ დილით,
დგას სააღერსოდ კისერგაწვედილი.

სოფლის ბუნების სურათები ბევრ ლექსში აქვს გამოსახული ბაგრატ შინკუბას, მთავალი-თად: „გლეხი ბრუნდება იმელიანი“, „მთების-კენ მიდის თოვლი“, „ლამის ნათელი შარა“, „ზაფხული, დღა“ და სხვ.

ორიოდე სიტყვა თარგმანის შესახებ. უნდა ითქვას, რომ ბაგრატ შინკუბას ლექსები წარს-

დგა ქართულ მკითხველის წინაშე კარგი თარგმანებით, ეს არც გასაკვირველია, რადგან მისი ლექსები ისეთმა ცნობილმა ქართველმა პოეტებმა თარგმნეს, როგორც არიან ირაკლი აბაშიძე, კარლო კალაძე, გრიგოლ აბაშიძე, რევან მარგინი (ლექსების უმრავლესობა მის მიერაა თარგმნილი), მურმან ლებანიძე, გიორგი შატბერაშვილი, ალექსანდრე გომიაშვილი, არჩილ სულაკაური და სხვ. ბაგრატ შინკუბას როგორც შემოქმედს გააჩნია სიტყვის შეგარძნების უნარი, კარგად იყენებს ენის ხატოვან შესაძლებლობებს. სარგეცენოვი წიგნის კითხვისას საერთო შთაბეჭდილება ისეთია, გგონიათ, რომ ეს ნაწარმოებები პირდაპირ ქართულ ენაზე დაიწერა, ჩანს, შთარგმნელებს მთელი მონდომებით უმუშავიათ, რათა მწერლისათვის არ დაეკარგათ წერის თავისებურებანი და ქართულ ენაზე მისთვის დამახასიათებელი სტილით აემთავრებინათ მოძველებული პოეტის ბაგრატ შინკუბას ლექსები.

3. მასიუმილი.

ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის

ქართული სალიტერატურო ენის თანმიმდევრული ისტორიის შექმნა საბჭოთა ენათმეცნიერების საპატიო ამოცანაა. ამ დარგში ჩვენ მოგვეპოვება მუტად მნიშვნელოვანი ნაშრომები, შესრულებული გამოჩენილ ქართველ მეცნიერთა მიერ, რომლებიც მტკიცე ნიადაგს ამზადებენ დიდ თეორიულ განზოგადებათათვის. უდავოა, რომ ენის სრული ისტორია მანინ დაიწერება, როდესაც ცალკ-ცალკე, ისტორიულ ასპექტში, დამუშავდება თვითველი გრამატიკული კატეგორია და, მათი შეჯამების შედეგად, შესაძლებელი გახდება თვალი გავადგენოთ მდიდარი ქართული საშფერლო ენის მრავალსაფეხოვანი განვითარების ხანგრძლივ ისტორიულ პროცესს.

სწორედ ამ მიზანს — ქართული ენის ცალკეულ საკითხთა მონოგრაფიულ შესწავლას — ემსახურება შოთა ძიძიგურის წიგნი „კავშირები და საკავშირებელი სიტყვები“, რომლისთვისაც ავტორის ზოგადი სახელწოდებაც მიუძღი: „ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისათვის“.

კავშირების ყოველმხრივ შესწავლას ბუნებრივად მივევართ წინადადების აგების საკითხებთან, ვინაიდან კავშირთა პრობლემატკა მჭიდროდაა დაკავშირებული წინადადების სტრუქტურის, მისი ისტორიული განვითარებისა და სინტაქსის რიგ მნიშვნელოვან საკითხებთან. ამდენად, შეიძლება ვთქვათ, რომ შ. ძიძიგურის ეს საფუძვლიანი გამოკვლევა არსებითად

წარმოადგენს ქართული წინადადების შენების ისტორიის შესწავლას ცლას კავშირთა მრავალსახეობასთან დამოკიდებულებით და არა კავშირების იზოლირებულად განხილვას, როგორც მუტყველების ცალკეული ნაწილისას. ეს ნათლად ჩანს წინასიტყვაობიდანაც: „ჩვენი შრომის მიზანია, — აღნიშნავს ავტორი, — გვიჩვენოს კავშირები ქართულში სალიტერატურო ენის ძეგლებისა და თანამედროვე ცოცხალი მუტყველების მიხედვით, გამოავლინოს მათი ფუნქციები, ურთიერთდამოკიდებულება, მორფოლოგიური შედგენილობა და ამასთანავე ნათელი გახადოს, თუ რას გვეუბნება კავშირების სემანტიკურ-მორფოლოგიური ანალიზი ქართული წინადადების ისტორიისათვის.“ (გვ. 6).

ამ მიზნის შესაბამისად შ. ძიძიგურს დიდი მუშაობა გაუწევია, მას გულდასმით გადაუსინჯავს ძველი, საშუალო და ახალი ქართულის ლიტერატურული ძეგლები, დილაქტურა მუტყველების ტექსტები და უპირველესტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით დაუდგენია კავშირების, საკავშირებელი და ე. წ. მისამართი სიტყვების მრავალსახეობა, რომელთა ნიმუშები, მდიდარ საილუსტრაციო მასალასთან ერთად, სითანადო ჯგუფების მიხედვით ცალკ-ცალკე თავებად წარმოდგენია.

ტრადიციულად ცნობილ კავშირთა და საკავშირებელ სიტყვათა პარალელურად ავტორი გვაჩვენებს მათს ახალ სახეებსაც და ვრცლად განიხილავს, როგორც მათს ფუნქციებს, ისე

ხმარებლობის ფარგლებს. აქვეა მოცემული კავშირ-კორელაციების სემანტიკურ-ფუნქციური, ეტიმოლოგიური და მორფოლოგიური ანალიზი, მათი ურთიერთი და წინადადების წევრებთან მიმართების საკითხი, შედგენილია სქემები, ტაბულები და განხილულია კავშირთა დეტალური შესწავლიდან გამომდინარე საფურცელდებო სინტაქსური პრობლემები. ამასთან ერთად ჩამოყალიბებულია სინტერესო დებულებები რთული წინადადების აღნიშვნის თვისებებზე. ამ მიმართულებით გამოკვლევაში ბევრი რამ ახალი თქმული, რაც უფროდ იმის შედეგია, რომ ავტორი ახალ მეთოდოლოგიურ პოზიციაზე დგას და ცდილობს რთული წინადადების ელემენტების კვლევისას უმთავრესად გრამატიკულ-კონსტრუქციული მეთოდი მოიმარჯვოს. — ეს კი უპირისპირდება მოვლენათა შესწავლის ტრადიციულ მეთოდს, რამდენაც ავტორი თვითონვე მიუთითებს: „ტრადიციულმა მეთოდებმა გვიანდერაა რთული წინადადების ძირითადი ნაწილების — მთავარი და დამოკიდებული წინადადებების — კლასიფიკაცია, ავტორი ლოკურ-სემანტიკურ თვალსაზრისზე, ხოლო რთული წინადადების გრამატიკული სტრუქტურის კვლევა-ძიებას, მისი კონსტრუქციული ელემენტების გამოვლენას ნაკლები ყურადღება ეთმობა“. წიგნში სწორედ ამ მხარეზეა გადატანილი მთავარი ყურადღება და დამატარებლად არის ნაჩვენები, რომ კავშირთა ფორმის თვალსაზრისით ანალიზს შეუძლია წამოიყაროს რიგი საკითხები რთული წინადადების აღნიშვნის გასარკვევად.

ამ დებულების ნათელსაყოფად საკმარისია მიველით დათმობითი (ავტორის ტერმინით: „გამორიცხვითი“) წინადადების რაობაზე.

კავშირთა ღრმად შესწავლამ შ. ძიძიგური ამ დსკვანამდე მიიყვანა, რომ ავტორებელთა გავარჩილთ ურთმანეთსაგან ამ წინადადების ორი ქვესახეობა: რეალური დათმობითი წინადადება და ირეალური დათმობითი წინადადება. პირველისათვის ნიშანდობლივია შემასმენლის თხრობითი კილო, მეორისათვის — კავშირებითი კილო. მათ განსხვავებული მასალის კავშირები და კორელაციები მოგხავევ ერთურთისაგან.

ნაშრომში ასეთივე კონსტრუქციული ნიშნის მიხედვითაა მიღებული დღემდის არსებული ნომენკლატურისაგან გამსხვიებული სახეობები, როგორცაა „ვითარებით — შედეგობითი“, „ვითარებით — შედარებითი“ და „პირობით-შედევლობითი“ წინადადებები.

სარეცენზო წიგნის პირველ, მეორე და მესამე თავებში (გვ. 9-208) დახასიათებულია ქვემდებარეული, დამატებითი, განსაზღვრებითი, ვითარებით — შედეგობითი, ვითარებით — შედარებითი, პირობითი, პირობით — შედეგობითი და გამორიცხვითი კავშირების ფუნქციები სა-

ლიტერატურო ენის საფუძვრების მიხედვით, დამოწმებულია ვრცელი კონტექსტები მრავალრიცხოვანი ენობრივი ძველებიდან.

განსაკუთრებით ყურადღებამს „შეძრბის“ შემთხვევა თავი — „კორელაციის სისტემა“ (გვ. 209—259). მართალია, ჩვენს გრამატიკულ ლიტერატურაში გარკვეული ყურადღება ეთმობა კორელაციებს, მაგრამ შ. ძიძიგურის დამსახურება ისაა, რომ მას მოეცა ამ საკითხის მონაგრაფიული დამუშავება. შრომაში ვრცლადაა გათვალისწინებული კორელაციები ძველი, საშუალო და ახალი ქართლის მიხედვით, მოხმობილია მდიდარი სალიტერატურო მასალი, გამოვლენილია ახალი კორელაციები და მოცემულია განმარტავებელი დასკვნები მათი გამოყენების თაობაზე. ავტორი არაკვევს კორელაციების ბუნების და აღგენს, თუ რატომ ახლავს ზოგ კავშირს უხვი კორელაციები, ზოგს — მცირე, ზოგს კი სულ არ ახასიათებს. უფროდ სარწმუნოა წიგნში წარმოდგენილი დებულება „რთული კავშირების“ („ასე რომელ“, „ასე რომ“, „იმიტომ რომ“, „მამინ როდესაც“ და სხვა) ჩამოყალიბების ისტორიული გზის შესახებ. ავტორი გვიჩვენებს, რომ „გარკვეული ტიპის კონსტრუქციებში კორელატი მთავარი წინადადებიდან გადმოინაცვლებს დამოკიდებულში და იქცევა კავშირის კომპონენტად, კავშირის შემადგენელ ნაწილად გვევლინება“. (გვ. 257).

ნაშრომის მეხუთე თავი ეძღვნება კავშირისა და შემასმენლის მიმართების საკითხებს. აქ წინადადებათა ტიპების მიხედვით დადგენილია, თუ რა მასალის კავშირს რომელ კილოსა თუ მწკრივში ეხამება დამოკიდებულები წინადადების შემასმენელი. ავტორის დაკვირვებები საფურცელდებო და ისინი შექს ჰქვენ წინადადების კონსტრუქციის საკითხებსაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია მსჯელობა მესამე კავშირებითისა და მეორე თურმეობითის ისტორიული ურთიერთობის საკითხზე.

ცალკე თავადია წარმოდგენილი კავშირთა და კორელაცითა მორფოლოგიურ-ეტიმოლოგიური ანალიზი. სათანადო კვლევით დადასტურებულია, რომ კავშირებს ავტო ნაცვალსაბლურ-ზმნიზედური, ნაწილადური და ზმნური წარმოშობა.

წიგნის მეშვიდე თავი გვიხასიათებს კავშირთა სემანტიკურ-ფუნქციურ თანამიმართებას. აქ ნახვევებია, რომ კონკრეტული კავშირების საფუძველზე მიღებულია აბსტრაქტულ-ლოგიკური მიმართების კავშირები. ეს განხილულია აზროვნების ისტორიის მონაცემთა გათვალისწინებით. ყურადღება ექცევა იმ გარემოებას, რომ სიერციის კატეგორია საფუძველად დაედო დროისა და მიზეზობრივობის კატეგორიებს და ამის შესაბამისად დროულობა-აუზალობის კავშირები ეტიმოლოგიურად დაი-

ყვანება სიერციტ კავშირებზე. მოცემულია აგრეთვე პოლისემანტური კავშირების ლოგიკური დასაბუთება.

მეტად საყურადღებო საკითხია გარკვეული შ. ძიძიგურის გამოკვლევის შერვე თავში (სქეწუობის გენეზისის საკითხისათვის კავშირების ჩვენებათა მიხედვით). ავტორი აქ გვიჩვენებს, რომ კავშირების შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია დაისვას საკითხი რთული დაქვემდებარებული წინადადების წარმოშობის შესახებ. მართლაც, მთელი რიგი ნიმუშების განხილვა ადასტურებს შეხედულებას, რომ ქვეწუობა თანწუობის ნიადაგზეა მიღებული.

შრომამში ყურადღებას იმართებს საკვლევი საკითხების ფართოდ დასმის წესი და პოზიტიურ დებულებათა ზოგად — მეცნიერულ სიმაღლემდე აყვანის ცდა, რის გამო ავტორის მიღწევები ხშირ შემთხვევაში სცილდება ქართული ენის კონკრეტული სინამდვილის ფარგლებს და ზოგადასენათმეცნიერო მნიშვნელობას იღებს. მეკვლევის მსჯელობა მკაცრი ლოგიკური თანმიმდევრობითა და ზუსტი წესრიგით ხასიათდება, დისკვნიები მრავალ შემთხვევაში საფუძვლიანი და დამაჯერებელია.

კავშირებისა და რთული წინადადების საკითხებზე ჩამოყალიბებული სიახლის შემცველი ავტორისეული დასკვნებიდან თუ ცალკეული მოსაზრებებიდან ზოგი შეიძლება სადავოდ ან

არადამაჯერებლად იქნეს მიჩნეული. ასე, მაგალითად, ახალი ტერმინებიდან შეუფერებელია „გამორიცხეობის“ ხმარება ტრადიციული ელემენტების მოხილვისას; ნაცვლად; ზოგჯერ ავტორის ხმარობის ტერმინებს „სუბიექტური კავშირები“, „ობიექტური კავშირები“, ნაცვლად მიღებული ქვემდებარებისა და დამატებითისა; საეკვოა „ჩატომ — იმიტომ“ კორელატების შორელოგიური ანალიზი; ასევე არადამაჯერებელია „მაგრამ“ კავშირის ეტიმოლოგიაც; სალიტერატურო მასალის დამოწმების დროს ყოველთვის არ არის დაცული თანფარდობა სალიტერატურო ენის საფუძვლების მიხედვით; ვფიქრობთ, წყაროებიდან ამოკრებილი ნიმუშების შედარება ძველებთან ზოგ არაზუსტ ადგილებსა და შეცდომებსაც გამოაქვს, ვინაიდან წიგნი არ არის დაზღვეული კორექტორული შეცდომებისაგან.

მიუხედავად აღნიშნული ნაკლოვანებებისა, შ. ძიძიგურის ნაშრომი წარმოადგენს ორიგინალურ გამოკვლევას, სადაც დაწერილობითაა შესწავლილი საკვლევი საკითხი, წამოკრილი და ძირითადად სწორად არის გადამყვებილი, ან ახლებურად გაშუქებული თანამედროვე სინტაქსის აქტუალური საკითხები. ქართული სალიტერატურო ენის ისტორიკოსი გვერდს ვერ აუღლის ამ სერიოზულ ნაკვლევს, რომელიც შედგვია ავტორის დიდი ხნის საკვლევი მიზნით.

ილია შინსრაძე.

ნაშრომი მეფუტკრეობის წარმოშობა-განვითარების შესახებ

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ალექსი რობაქიძის ნაშრომი „მეფუტკრეობის ისტორიისათვის“, რომელიც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობამ ახლახან გამოსცა, მიძღვნილია ქართველი ხალხის სამეურნეო ყოფის ერთი მეტად არსებითი მხარის შესწავლისადმი. სარეცენზიო ნაშრომს საფუძვლად უდევს ავტორის მიერ თითქმის ათი წლის მანძილზე შეკრებილი საეკვლე ეთნოგრაფიული მასალა და დიდძალი მეცნიერული-ლიტერატურული წყაროები.

როგორც ცნობილია, საქართველოში მეფუტკრეობის განვითარებას ოდითგანვე ზელს უწყობდა ზელსაყრელი ბუნებრივ-კლიმატური პირობები და თავისი შემცველი მცენარეულის სიუხვე. ცნობილია ისიც, რომ ქართული გრძელბორთქმანი ფუტკარი მალაღი პრიოდქტულობით და ამტანობით განთქმულია მთელს

მსოფლიოში. ასეთი თვისებების გამო ქართული ფუტკარი ექსპორტის სივანს წარმოადგენს. იგი დიდი რაოდენობით გაყავდათ და ვაჟავთ არა მარტო მოკავშირე რესპუბლიკებში, არამედ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში: ევროპაში, ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში. საქართველოს მთელ რიგ კუთხეებში (მესხეთ-ჯავახეთი, აჭარა, თრიალეთი, გურია, სვანეთი და სხვ.) მოსახლეობის ეკონომიკაში მეფუტკრეობას გარკვეული ადგილი უჭირავს.

სარეცენზიო ნაშრომში მეფუტკრეობის საკითხი გაშუქებულია ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ასპექტში. შესაბამისად ამ ძირითადი ამოცანისა ნაშრომში დადგენილია მეფუტკრეობის კონკრეტული ფორმები (ტყუური და შინაური მეფუტკრეობა), გაშუქებულია მისი განვითარების ძირითადი საფუძვრები, შესწავლილია მისი წარმოშობის დროისა და პირობების საკითხი,

გამოვლინებულია მეფუტკრეობასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებათა საკმაოდ მდიდარი კომპლექსი და დასძლეული საკითხი ამ კომპლექსში შემავალი ზოგი ელემენტის გენეზისის შესახებ.

აღ. რომაქიძის ნაშრომით ცხადი ხდება, რომ მეფუტკრეობას საქართველოს პირობებში განვითარების მეტად დიდი და საინტერესო გზა გაუვლია. პირველ ყოვლისა, ამაზე მიგვიითყუებენ ის ისტორიული საბუთები, რომლებითაც ნათელი ხდება, რომ ჯერ კიდევ წინაფეოდალურ ხანაში ქართველთა უძველესი ტომები მეფუტკრეობის პროდუქტებს (თაფლი, ცვილი), იყენებდნენ სხვადასხვა საქმიანობისათვის. კერძოდ, არქეოლოგიური მონაცემების მიხედვით (ბ. კუჭინი) ცხადი ვახდა, რომ ძველად ქართველი ტომები ცვილს იყენებდნენ სხვადასხვა დანიშნულების ბრინჯაოს იარაღების ჩამოსახმელად. არქეოლოგ ა. იესენის მიერ გამოქვეყნებული მასალის მოშვლებით ავტორი აღწერს სპილენძის წარმოების პირველი საფეხურისათვის მანიშნებელ ინვენტარს (უღლი, თახჩი, სატუბი) მაკოპისა და ნოვოსეობოდნაის სამარხებიდან, რომლებიც „ცვილის დაყარვის წესით“ უნდა უოფილყო დამზადებულა. აქვე უნდა დავუმატოთ ის გარემოებაც, რომ ავტორი კვლევის დროს, ქართული სინამდვილეს პირველ ყოვლისა საერთო კავკასიურ გარემოში განიხილავს. ამით იგი მოუწოდებს შვედეთს, რათა კავკასიის რომელიმე ხალხის წარსული თუ აწმყო ცხოვრების შესწავლისას არ დაივიწყოს საერთო კავკასიური გარემო, სადაც მიუხედავად მთელი რიგი წინააღმდეგობებისა და ტომობრივი სხვადასხვაობისა, საუცუნოების მანძილზე ექმნებოდა პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესების თანხვედრილობა და, რაც მთავარია, კულტურისა და ყოფის მერნაჟებად საერთო ფორმები.

ჯერ კიდევ ანტიკური ეპოქის მეცნიერ-მოგზაურთა შრომებში შემონახულია ისეთი ცნობები, რომლითაც ნათელი ხდება ძველი ქართული მეფუტკრეობის მაღალი კუთრითი წონა. შორეულ წარსულშიაც ცნობილი იყო კოლხური თაფლის მეტად მაღალი სასარგებლო თვისებები. ძვ. წ. IV-ს. კოლხების სამეურნეო ყოფაში შინაურ მეფუტკრეობას მნიშვნელოვანი ადგილი ეპირა და მთელი სამყაროსათვის კარგად ცნობილი „პონტოს ცვილზე“ დიდი საექსპორტო მოთხოვნილება არსებობდა და ა. შ.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აღ. რომაქიძის ნაშრომში დაყენებულია საკითხი შინაური მეფუტკრეობის წარმოშობა-განვითარების შესახებ. ამ მხრივ ავტორი მაქსიმალურწინაშის მოძღვრების პოზიციებიდან აკრიტიკებს რიგ შვედეთარებს, რომლებიც ცდილობენ არა სწორად

წარმოადგინონ ეს საკითხი. პირველ რიგში ესება კ. სიფერტისა და მისი მიმდევრების არა სწორი შეხედულებას, (რომელთაც შემდეგითაც ფუტკარსა და თაფლს *„საქართველო“* ეძღვნა ინდოგერმანელების რელიგიური მსოფლმხედველობიდან და მათვე ახრით, თერმე, ფუტკრის მოშინაურება სხვა ხალხებმა ინდოგერმანელებისაგან ისწავლეს. მიუხედავად ასეთი ვითარებისა კ. სიფერტის ზოგიერთი მიმდევარი (ა. შაურიანი) იძულებულია აღიაროს სხვა ქვეყნებში და, კერძოდ, კავკასიაში მეფუტკრეობის შესწავლის „განსაცვიფრებელი პერსპექტივა“. კ. სიფერტისა და მისი მიმდევართა ამ შეხედულებების მცდარობა იქიდანაც ჩანს, რომ ცნობა ეგვიპტეში მეფუტკრეობის არსებობის შესახებ ძვ. წ. III ათასწლეულს გაუერთებია, ე. ი. იმ, ხანას, როდესაც ინდოგერმანელები ჯერ კიდევ არ ჩანდნენ. აღ. რომაქიძის მრავლად მოყავს ცნობები უძველეს სხვა ხალხებში მეფუტკრეობის არსებობის შესახებ და იგი იმ დასკვნამდე მიდის, რომ მკაფიო აზრის უძველესი ხალხების მითოლოგიაში, რწმუნა-წარმოდგენებში ფუტკრის კულტურის არსებობა აქ მოსახლე ამორიგენ ხალხების ყოფაში მეფუტკრეობის ხანგრძლივ ტრადიციასე მიუთითებს. ვაიდა ამისა, არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს შემდეგ გარემოებას: თანამედროვე ეთნოგრაფია არ იცნობს არც ერთ ხალხს, რომელიც ბუნებრივად ზელსაყრელ პირობებში ამ მსაღვდეს მეფუტკრეობის ნაყოფის მოპოვებას, იმის და მიუხედავად, თუ რა ფორმას ატარებდა იგი. მაშასადამე, ავტორის მიერ სამართლანადაა გაკრიტიკებული სხვადასხვა თეორიები, რომელთა მიხედვითაც მეფუტკრეობა ერთი რომელიმე ხალხის კულტურული მონაპოვრად და მიჩნეული, ხოლო მისი აღმოცენება ახსნალია რელიგიური საწყისებით. ამ „თეორიების“ ავტორთა საწინააღმდეგოდ აღ. რომაქიძე წერს, რომ „ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მასალა (რასაკვირველია, საქართველოს მიმართებით, ი. ჩ.) კიდევ ერთხელ ნათელიყოფს, რომ ფუტკრის პროდუქტის მომპოვებლობას, მისი განვითარების გზებს და შინაური მეფუტკრეობის ჩამოყალიბებას საფუძვლად ედო საარსებო საშუალებათა წარმოების ინტერესები და არა რელიგიური წარმოდგენები თუ კულტი, რომ თვით ამ ზედნაშენური მოვლენების ვაგება და სწორად ახსნა მხოლოდ იმ რეალური მნიშვნელობის გათვალისწინების შედეგადაა შესაძლებელი, რომელიც მეურნეობის ამ დარგს ადამიანის სამეურნეო ყოფაში ჰქონდა“.

აღ. რომაქიძე კ. სიფერტისა და მისი მიმდევრებს მხოლოდ ქართული სინამდვილიდან როდეს ამხელს. იგი რესპექტულად თავს უთმობს რუსეთის მეფუტკრეობას და, რუსული ისტორიული, არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მონაცემების საფუძველზე, აბათილებს კ. სიფერტის

ტის მოსაზრებას რუსეთში მეფუტკრეობის შენაერთი ფორმის შემოტანილობის შესახებ; ყველა სახის ლიტერატურული მონაცემების მიხედვით ნათელი ხდება, რომ სლავეების სამეურნეო ყოფაში მეფუტკრეობას ძველთაგანვე განსაკუთრებული ადგილი ეკავა და იგი ადგილობრივ ნიადაგზე უნდა იყოს ჩამოყალიბებული.

დასასრულ, რამდენიმე შენიშვნა. ავტორს ეთნოგრაფიული მასალა შეგროვები აქვს საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში და მიკრორაიონში, და, როგორც ნაშრომიდან ჩანს, მას უაღრესად შრომატევადი და თავისთავად მეტად საინტერესო საველე მუშაობა ჩატარებია. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მას ეთნოგრაფიული კვლევებების არედან გამოუტოვებია საქართველოს ისეთი რაიონები, სადაც დღესაც კი მაღალ დონეზე დგას ტრადიციულად მომდინარე მეფუტკრეობა. ჩვენ არ ვიცით, რა მიზეზით, მაგრამ მას გამოტოვებული აქვს მესხეთ-ჯავახეთისა და აჭარის, განსაკუთრებით ამ უკანასკნელის ერთი შემადგენელი ნაწილის, მარიონის ხეობის ეთნოგრაფიული მასალა. კარგი იქნებოდა ნაშრომში გარკვეული ადგილი ჰქონო-

და დათმობილი მარიონის ხეობის კლდეში წყვეთ „ფუტყართა ქალაქების“ შესახებ ჩრსებულ მასალას.

მეფუტკრეობა

ავტორი კარგად იყენებს მეფუტკრეობასთან დაკავშირებულ ქართულ ტოპონიმოკას, მაგრამ იგი რატომღაც გვერდს უვლის ქართული ონომასტიკონის მეტად საყურადღებო მონაცემებს. ხომ გვხვდება გვარები ფუტყარაძე, გეჯაძე, გეჯიაშვილი და ა. შ. მეფუტკრეობასთან დაკავშირებული ონომასტიკონის გამოყენება, ვფიქრობთ, ზელს შეუწყობდა მკვლევარს მთელი რიგი რთული საკითხების გარკვევაში. ისევე საჭირო იყო ერთმანეთთან უოფილიყო შედარებული კავკასიის ხალხთა მეფუტკრეობასთან დაკავშირებული ონომასტიკონისა და ტოპონიმოკის მონაცემები. ვარდა ამისა, ვინაიდან ავტორი რუსეთში გავრცელებულ მეფუტკრეობასაც ეხება, კარგი იქნებოდა მოეყვანა რამდენიმე მაგალითი რუსეთში ტყეური ფუტყარის მოშინაურებისა.

აღ. რობაქიძის ნაშრომი კარგი შენაქენია როგორც ქართული ისტორიული მეცნიერებისათვის, აგრეთვე, ზოგადი ეთნოგრაფიისათვისაც.

თეიმურაზ ჩიქოვანი

ახალი წიგნები

„საბავთა მწარალი“

- ვახილ ბარნოვი — თხზულებანი. ტომი. 3. რედ. გ. ლეონიძე. გვ. 563, ფასი 1 მან. 97 კ.
- დიმიტრი ბენაშვილი — ვაჟა-ფშაველა. რედ. გრ. აბაშიძე. გვ. 554, ფასი 1 მან. 66 კ.
- პაოლო იაშვილი — ლექსები. რედ. შ. დემეტრაძე. გვ. 104, ფასი 27 კაბ.
- ვახტანგ ქოჩორაძე — ანა ზეგერსი. რედ. ზ. ჭარხალაშვილი. გვ. 259, ფასი 50 კაბ.
- მაცუვალა მარეველიშვილი — გულისა. რედ. რ. მარგვიანი. გვ. 72, ფასი 10 კაბ.
- რუთა ბერაძე — პირველი ფრენა. რედ. კ. ლორთქიფანიძე. გვ. 101, ფასი 13 კაბ.
- როსტომ ბუენიშვილი — გულაღმა მოთიბულ ბალახზე. რედ. გ. ნატროშვილი. გვ. 213, ფასი 34 კაბ.
- ვერა ბუაჩიძე — მოთხრობები. რედ. ნ. ხომერიკი. გვ. 290, ფასი 44 კაბ.
- ასმათ დავითიშვილი — შეთქმულსმეტე დღე. რედ. შ. აფხაიძე. გვ. 153, ფასი 20 კაბ.
- გივი მეფთხაშვილი — მესხების ოჯახი. შ. ძიძი გუ რ ი ს რედაქციით და წინასიტყვაობით. გვ. 102, ფასი 17 კაბ.
- ნუნუ ხომერიკი — ლიტერატურული ჩინაწერები. რედ. შ. აფხაიძე. გვ. 256, ფასი 52 კაბ.
- დრო და აღმანი — ნარკვევები. რედ. კ. ლორთქიფანიძე. გვ. 184, ფასი 30 კაბ.
- დღღ გზაზე — ნარკვევები. რედ. კ. ლორთქიფანიძე. გვ. 169, ფასი 27 კაბ.

„ნაბადული“

- ჩვენი საუნჯე — ტომი 17. რედ. გრ. აბაშიძე. გვ. 472, ფასი 1 მან. 80 კაბ.
- ჩვენი საუნჯე — ტომი 18. რედ. დ. შენგელაია. გვ. 696, ფასი 2 მან. 10 კაბ.
- ნინო ნაკაშიძე — რჩეული, ტომი 2. რედ. თ. ჯიბლაძე. გვ. 346, ფასი 82 კაბ.
- კ. გოგიაშვილი — თავუნას გასეირნება. რედ. ქ. ნალირაძე. გვ. 18, ფასი 15 კაბ.
- ი. ტურგენივი — მწყერი. თარგმ. ნ ი ნ თ ქ ე ჩ ე უ კ ა შ ვ ი ლ ი ს ი. რედ. შ. ამბუშვილი. გვ. 16, ფასი 2 კაბ.
- მურმან ღებანიძე — ოთხი დრო. რედ. ვ. გვეტაძე. გვ. 64, ფასი 8 კაბ.
- შოთა აკობია — ურჩის თავდასასვალი. რედ. ჯ. ნიქაბაძე. გვ. 28, ფასი 10 კაბ.
- პიტერ აბრამასი — ქვეაქუხილის ბილიკით. თარგმ. ნ ო დ ა რ ბ ა დ რ ი ა შ ვ ი ლ ი ს ი დ ა ე თ ე რ თ ვ ა რ ა ძ ი ს ა. რედ. ე. მაღრაძე. გვ. 304, ფასი 52 კაბ.
- ამირანის თქმულება — დამუშავებული შიხეილ ნიქოვანის მიერ. რედ. გ. შატბერაშვილი. გვ. 160, ფასი 22 კაბ.
- ა. კარბელაშვილი — დატყვევებული მზე. რედ. ს. თვარაძე. გვ. 96, ფასი 15 კაბ.
- ნიკოლოზ ვირტა — ჩემი თანამეშვე უარსიბევი. თარგმ. მ ა რ ი ა მ ა გ ი ა შ ვ ი ლ ი ს ი. რედ. ზ. ქუმბურაძე. გვ. 144, ფასი 19 კაბ.
- ნოდარ ნაკაშიძე — ბორღინოს გმირი. რედ. რ. ინანიშვილი. გვ. 124, ფასი 17 კაბ.
- ოური ნაგიბინი — ბოშა ბიკის თავდასასვალი. თარგმ. ლ. გ ო გ ო ხ ა ი ს ი. რედ. ნ. ჩხეიძე. გვ. 186, ფასი 25 კაბ.
- ლევ კახილი — ჩემი საუვარდელი ბიჭუნები. თარგმ. შ. ქ ა ე თ ა რ ა ძ ი ს ა. რედ. ნ. აგიაშვილი. გვ. 178, ფასი 27 კაბ.
- ევენი შვარცი — ვულვაიწვი ჯადოქარი. თარგმ. ნ. ბ ე ზ ა რ ა შ ვ ი ლ ი ს ი დ ა ქ. ნ ა დ ი რ ა ძ ი ს ა. რედ. ლ. გეგელია. გვ. 48, ფასი 7 კაბ.
- ა. დორხოვი — ეს უნდა გახსოვდეს. თარგმ. შ. კ ი ე ნ ა ძ ი ს ა. რედ. გ. ქველაძე. გვ. 116, ფასი 12 კაბ.
- ნ. ბეზარაშვილი — სოფლის წყაროზე. რედ. შ. ამბუშვილი. გვ. 64, ფასი 8 კაბ.
- ვ. საბლინი, ზ. ფაზინი — საგანგებო კომისარი. თარგმ. რ. ო რ ჯ ო ნ ი კ ი ძ ი ს ი დ ა ლ. ძ ი ძ ი გ უ რ ი ს ი. რედ. დ. ჯაბუა. გვ. 412, ფასი 70 კაბ.

3360 80 333.

0 15



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

„М Н А Т О Б И“

ИЗДАТЕЛЬСТВО «САБЧОТА МЦЕРАЛИ»